

K256072  
3

ს. იორეალი, 6. გერგეგის ქ., ა. საჯარი



# იაკობ გოგებაშვილი

სხოვარებისა და გემოფენების მაფიანი  
გიოგიგლიორგჩავილი ეროვნული

1840—1912



ი. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ. საჭაია




## იაკობ გოგებაშვილი

ცხოველისა და პერფექტების მატიანე  
ბიობიბლიოგნაფიული ჩრონიკა  
1840 — 1912

სიყვარუს წერილი და განვითარებული სამართლის  
მუზეუმის მიერ გამოცემული არქივის  
მიერ გამოცემული არქივის  
მიერ გამოცემული არქივის  
მიერ გამოცემული არქივის



თავისი უნიკალური გამოსახულებები  
თავისი 2003



წინამდებარე „მატრანჯ“ უაქტებზე ანაკინძი წიგნია. მასში ქრისტიანული თანხიმდევებისთვის გადმოცემულია ა. გოგია-შვეიც ცხოვრებისა და შემოქმედების ყოველივე ის „პირად-პირადი“ და, რასაკეირებელია, „საზოგადოც“, რომელთაც რაიმე ღირებულება გააჩინათ ამ დიდი ადამიანის პიროვნების წარ-მოსახვისათვის.

წიგნი უთუოდ დააიტერესებს მეიოხეელ საზოგადოებას.

რედაქტორები: ა. გოგიართელი

ქ. ბლაგოძე


რეცენზიენტები: ლ. მინაშვილი

ი. ვავენიძე

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2003

8 4601000000  
608(06)-03

ISBN 99940-13-09-2



K 256. 042

„... იღაღადებენ შენი ნაშრომნი და დარ-  
წება სამარალისოდ შენგან დატექმილია გზა-  
და, ვინც იმ გზას არ გაივლის, ის არც ქართ-  
ველად იხსენიება“.

ა კ ა კ ი

„ჩემი ახალი წიგნი... ღაღადებს ეროვნუ-  
ლის პრინციპის გამეფებას ყოველს სფეროში,  
ღაღადებს, რაც ძალი და ღონე აქვს მის ავ-  
ტორს, და ამ უკანასკნელს უნდა, რომ უშიშრად  
დაადგეს ქართველობა მისი ეროვნული აზრების  
განხორციელებას“.

ი ა კ ო ბ გოგებაშვილი

## თ ი ნ ა თ ა მ ა

1840—1912 წლები იაკობ გოგებაშვილის საწუთისოფლო ცხოვ-  
რების წლებია. აქედან ორმოცდათო წელი იაკობმა საქართველოს ერ-  
თიანობის, მისი დამოუკიდებლობის აღდგენა-დამკვიდრებისათვის, ქარ-  
თველ ხალხში სწავლა-განათლების დანერვებისა და დედაენის სიწმინ-  
დისათვის დაუღალავ შრომასა და ბრძოლაში გაატარა. უფრო ძვირ-  
ფასი, ვიდრე საქართველო, ქართული ენა, ქართველთა განათლებაა,  
ი. გოგებაშვილს არ გააჩნდა.

იაკობ გოგებაშვილი ქართველი ხალხის „ისეთი ეროვნული მნა-  
თობია, რომელიც ყოველ მხრიდან ყველასათვის ერთნაირად სჩანს.“

და აი, ამისათვის საჭიროდ მიგვაჩნია, საზოგადოებამ იცოდეს ამ  
დიდებული ქართველის უკანასკნელი სულისკვეთება, ზოგიერთი მნი-  
შენელოვანი ფაქტი, მისი სიტყვები. მისი დამახასიათებელი უბრალო  
წერილმანების გამოქვეყნებასაც კი დიდი მნიშვნელობა ექნება, რად-  
განაც ისინი საზოგადოების ოვალში შეავსებენ და ერთ მთლიან სუ-  
რათად გააცხოველებენ და დაასურათხატებენ საყვარელი ეროვნული

მოძღვრის სულიერ სახეს"<sup>1</sup>. ამის საჭიროებას მიიჩნევდა იაკობის ერთ-ერთი ახლობელთაგანი მისი გარდაცვალების ფას.

იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების წინამდებარე „მატიანეც“ ამავე საჭიროებას ეხმიანება. მატიანეში ქრისტიანობური თანამიმდევრობით მოტანილია ლიდი მამულიშვილის პედაგოგიური, პუბლიცისტური, ლიტერატურული, საზოგადოებრივი მოღვაწეობის ფაქტები, პირადი ცხოვრების ამბები.

წიგნი სისრულით აღნუსხავს იაკობის თხზულებებს, გამოქვეყნების თარიღებისა და წყაროების ჩვენებით, შეძლებისდაგვარად კა წარმოაჩენს მათი დაწერის მიზეზსა თუ მიზანს. მატიანე აღრიცხავს იაკობის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებისა და სხვა წიგნების ყველა გამოცემას მის სიცოცხლეში, სიტყვებს, მოხსენებებსა და წინადაღებებს, საქმიან და პირად მიმოწერას, პოლემიკას. წიგნში მოთხოვდულია ყველა მნიშვნელოვანი ლიტერატურული გამოხმაურება იაკობის მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ.

ნაშრომში მოთხოვდული ყოველგვარი ფაქტი, მოვლენა უმეტესწილად გამყარებულია იაკობისავე ნაწერებით, დოკუმენტებით, მის თანამედროვეთა მოგონებებით. „მატიანის“ შედგენისას გამოყენებულია მხოლოდ ბეჭდური წყაროები, XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის პერიოდული პრესა, აგრეთვე წიგნები, თანამედროვეთა გამოკელევები, წერილები ი. გოგებაშვილის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

„მატიანის“ მოხმარების გააღვილების მიზნით, წიგნს ერთვის ი. გოგებაშვილის ნაწერებისა და მატიანეში მოხსენიებულ პირთა საძიებლები.

<sup>1</sup> ერთული იაკობ გოგებაშვილის სახსოვოდად, გვ. 94—95.

## პირამიდის დაცვის ეროვნული აკადემია

1840

ოქტომბრის 15 — დაბადება იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილისა, სოფელ ვარიანში, ვარიანის ღეთისმშობლის ეკლესიის მღვდლის — სიმონ გოგებაშვილისა და მაგდანა კალმახელიძე-გოგებაშვილის ოჯახში.

«...рождение и крещение священнического сына Якова Гогебова по метрикам селения Варнани значится записанным не в 1842<sup>1</sup>, а в 1840 году» (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი. დოკუმენტ. მასალები. 1951, გვ. 19).

„ეს თარიღი ზუსტადაა დაცული იაკობის ყველა ბიოგრაფიაში და აღარიავთარ ეჭვს არ იწვევს. თვით ვარიანის ღეთისმშობლის ეკლესიის მეტრიკულ წიგნში, რომელიც ინახება თბილისის ცენტრალურ მმარში, იაკობის მმისწულ ალექსანდრე გოგებაშვილის სიტყვით, თურმე თვითონ იაკობის ხელითვეა ჩაწერილი საკუთრივ თავისი, მმობლებისა და მთელი ნათესაობის ზუსტად შემოწმებული ცნობები მათი დაბადებისა და გარდაცვალების შესახებ“ (დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფია, 1940, გვ. 17).

1841—1848

## გავარის რეაგი სოფალ ვარიანი

სოფელი ვარიანი „მთელ ქართლში... სახელ-განთქმულია თავისი გემრიელი, შემრგო და თეთრი პურითა. სხვაფრივ-კი უფრო დასაწუნია, ვიდრე საქები. იგი მდებარეობს დიდი ლიახვის მარჯვენა პირას,

<sup>1</sup> 1862 წლამდე, სანამ თბილისის სასულიერო სემინარიის მოთხოვნით საქართველოს სინოდალური კანტორა გასცემდა შეტრიუქ ამონაწერს, იაკობ გოგებაშვილის დაბადების თარიღად შეცდომით შეჩერება იყო 1842 წელი.

გორიდან შვიდი კერძის მანძილზე. წყალ-დიდობას ლიახვი ხშირად ვა-დავარდება ხოლმე სოფლისაკენ, აქა-იქა სტოკებს გუბეებს და აჩენს ჭაბებს, ამის გამო პავა ვარიანისა ვერ არის საღი...” (კრებული „იდ-კობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, გვ. 8).

ვარიანში ატარებს იაკობი ბაეშვილის წლებს თავის უფროს მმებ-თან — ივანესთან და დიმიტრისთან, შემდგომ მის მომდევნო და-მმებ-თან ანდრია, ზაქარია, მარიამ და ეფემიასთან ერთად (მებუთე მმა — ყველაზე უმცროსი, აღრუე გარდაცვალა) და სხვა თავის ტოლებთან.

დედ-მამის შვილებში იაკობი ყველაზე სუსტია აგებულებით, მაგრამ მეტად ცოცხალი, მკვირცხლი და გონებიანი. უყვარს ფშანში თვე-ზაობა, განსაკუთრებით, დამის მეხრეობა, გუთნეულზე ჯდომა და სიმ-დერების მოსმენა...

როგორც თვით იაკობი შემდგომში აღნიშნავს, ის არის „...შეაქართლში დაბადებული და დაბადებიდან ხალხის კალთაში აღზრდილი. ესეც ცოტაა. იგი სიყმაწვილის დროს ეკუთხნოდა იმ ბაეშვებსა, რომ-ლებსაც შეიძლება ხალხის პოეზიის ფოკუსები დავარქვათ. მას არ გა-მოეპარებოდა არც საბავშვო ლექსი და არც სიმღერა. თუმცა შემ-დეგში იგი ცხოვრების ჩარხის ტრიალმა დააშორა ხალხის ცხოვრება-სა და ჩააგდო სხვაგვარ გავლენათა ქვეშ, თუმცა ბეღმა გაატარა ცეც-ხლსა, წყალსა და სპილენძის მილებში და სიცოცხლით სავსე ყმაწვი-ლი ავადმყოფ არსებად შესცვალა...“ (თხზ., ტ. 1, 1955, გვ. 95).

## 1848

შშობლების დიდი წინააღმდეგობის! მიუხედავად, იაკობის უფროს მმას — ივანეს პატარა კაკო (ასე ეძახდნენ ბაეშვილისას იაკობს) სას-წავლებლად მიჰყავს გორში და აბარებს სასულიერო სასწავლებელში (დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფია, 1940, გვ. 21—23).

1 შშობლების სურეილი, როგორც ამას გადმოვცემს იაკობის ერთ-ერთი ბო-გრაფი დ. ჯასრაძე, კოფილა, აკობისათვეს წერა-კითხვა შინ ესწავლებინათ და შემ-დეგ შიომღვიმის მონასტერში გაესტრუმრებინათ ბერად.

” — თქვენ გინდათ, რომ ამ ბაეშვის ცოდოში ჩაედგოთ ყველანი, — უთხრა ივა-ნებ, აგატებიათ — ბერი, ბერით და ისწავლის და შემდეგ იქნებ უარი არა სოქვას ბერობაზე, ანდა იქნებ უკეთესი გზა აირჩიოს, ვიღრე ბერობაა! შიგაბაროთ სასულიე-როში, გაიზიდება. დავაუკაცება, გზას თვითონ მონახავს. დღვერმედი იყოს, ყველა-უერს მოასწრებს, — არ უსკენებდა ივანე შშობლებს“ (დ. ჯასრაძე, იაკობ გოგება-შვილი, ბიოგრაფია, 1940, გვ. 22).



სახალხო ტეატრი თამისის სახალის სახურავის  
და ცეკვისაზი

1849

გორის სასულიერო სასწავლებლიდან იაკობი გადაპყავთ თბილი—  
სის სასულიერო სასწავლებელში.

თბილისში პირველად ჩამოსვლის ამბავს იაკობი მოვაიანებით ასე  
გადმოგცემს თავის ნახევრად აეტობითოვრაფიულ მოთხრობაში. „ხა-  
ტის მიზეზი?“

„ორმოცი წლის ამბავს მოგახსენებთ. ამბავს უტყუარსა, ნამდვილ-  
სა, მომხდარსა.

1850 წელი იდგა [უნდა იყოს 1849 წელი] და ენკენისთვის პირვე-  
ლი იყო. სამი ვარიანტი ურემი საღამო ჟამს გამოსცილდა სოფელს  
აკვალასა... ურმებზედ ედო ტომრები, სავსე მშევნიერი ვარიანტი  
უქვეიდითა. ფქვეიდი მეურმებს მოპქონდათ თბილისში გასაყიდად. წი-  
ნა ურმის კოფოზედ ესკუპა შეიძი-რვა წლის სოფლები ბავშვი, რო-  
მელსაც, თუ კარგად დაცემებით, შეატყობდით, რომ მეტად  
მგრძნობიარე იყო.

ეს პატარა მეხრე ზანტად, უნდომრად ერეკებოდა ხარ-კამეჩისა, თი-  
თქო წინ წასვლა სრულიად არ უნდაო. ბავშვს აშეარად ემჩნეოდა, რომ  
ქეიიზედ არ იყო. მაგრამ მისი ურმული მაინც სშირად გაისმოდა პაერ-  
ში. სიმღერაში ცხადად გამოისმოდა საიდუმლო დარდი. ეს დარდი ხან-  
დახან მატულობდა და ბავშვს პირისახე ეღრუბლებოდა. ხოლო რა-  
წამს უკან მიიხედავდა და თვალს შეაჩერებდა გამოვლილს მთებსა და  
ცასა, ღრუბელი პირისახიდან გადაყრებოდა და ჩვეულებრივი ბავშვუ-  
რი სიხარული ეფინებოდა.

„კაკო, შეხე, შეხე, რავდენი ჩირალდანი გამოჩნდა ქვემოდ“, უთ-  
ხრა ბავშვსა მოხუცმა მეურმემ, რომელიც ურემს გვერდით მისდევდა  
და შოლტს უტყლაშუნებდა წინა ხარებსა. „ის სულ თბილისის სან-  
თლებია და ფარნები. ჩევნს ვარიანტი ღამით ჭრაქიც არსადა ბჟუტავს  
და ქალაქში კი ღამითაც ისეთი ნათელი სდგას, როგორც დღისითა.  
ნეტავი შენა, რომ ვანათებულს ქალაქში იცხოვრებ, სკოლაში იელი  
და კაცად გამოხვალ“, ოხვრით დაუმატა გლეხშა.

კაკოს კიდევ გადაურბინა პირისახეზედ შავმა ღრუბელმა და ოცნებისა; ეტყობოდა, რომ ის სხვა აზრისა იყო და სულაც არ ეთანხმებოდა თავისს მოხუცს მეურმესა“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 69).

ნოემბრის 10 — თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა იხდავს სიმონ გოგებაშვილის თხოვნას — მისი შეიღის იაკობის თბილის სასულიერო სასწავლებელში მიღების შესახებ და აღგენს: მიღებულ იქნეს პირველ სამრევლო კლასში მღვდლის სიმონ გოგებაშვილის მწლის შვილი იაკობი (ა. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტი. მასალება, 1951, გვ. 165)

1855

ივნისი — პირველ მოწაფედ ამთავრებს თბილისის სასულიერო სასწავლებელს.

სექტემბერი — მშობლებს შეჰყავთ თბილისის სასულიერო სემინარიაში.

«...первоначально обучался в Тифлисском уездно-приходском училище, из коего, по окончании курса поступил в сентябре 1855 года в Тифлисскую духовную семинарию...» (ა. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტი. მასალება, 1951, გვ. 18).

ექვს წლიწადს სწავლობს იაკობი სასულიერო სემინარიაში, საღაც გაბატონებულია ყაზარმული რეკიმი.

„საშინელება იყო იმ ღროინდელი მდგომარეობა უბედური სემინარიისა! წლიურ სახარჯოდ თვითეულ მოსწავლეზე სულ ხუთი-ექვსი თუმანი იყო მთავრობისაგან გადადებული. რაღა თქმა უნდა, ცოტაა, მაგრამ იმ ღროის მიხედვით რომ ვიანგარიშოთ, ამ ფულით ცხოვრება შესაძლებელი იყო. უბედურება იმაში იყო, რომ ეს გროშებიც სრულიად არ ხმარდებოდა მოსწავლეს. უფროსიდან მოიქიდებული სულ უმცროს მოსამსახურებრივ ყველანი თითქმის განცხადებით იპარავნენ. ამის გამო როგორც სმა და ჭამა, ისე ჩაცმა-დახურვა მოსწავლეებისა ღვთის ანაბარას იყო მიგდებული... ამაზე უფრო უარესად იყო დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე. ერთიცა და მეორეც მხოლოდ შიშსა და მრავალგვარ სასჯელზე იყო დამყარებული. ახსნა გაევეთილისა გაშინდელ მასწავლებელს უიქრადაც არ მოუკიდოდა. — აქედან აქამდის — იტყოდა იგი და გულდამშეიდებით გავიდოდა კლასიდან.

რაღვან მთლად სასწავლებელში ძლიერ ცოტანი იყვნენ ხეირია-

ნად მცოდნენი რესული ენისა, ამის გამო ასსინით, თავის სიტყვის  
გაკეთილის დასწავლა შეუძლებელი იყო მოსწავლეთა დიდი უმრავ-  
ლესობისათვის. ამის გამო კაჭკაჭური, უაზრო ზეპირობა ტვინსა და  
ვონებას ულაყავდა საბრალო მოსწავლეებს.

უმთავრესი საგანი სწავლებისა იყო საღმოთ სჯული. იწყებოდა  
იგი უმცროს კლასში და თავდებოლა მეშვიდეში. მთელი ჩვიდმეტ-  
თერამეტი წელიწადი და ხშირად მეტიცა მოსწავლეს უნდა ეწეპირნა,  
ედება ეს საგანი და მაინც-ეს ვერა გამოეტანა-რა, გარდა მის მიმართ  
განუზომელი სიძულვილისა. ამ სიძულვილს აორკეცებდა ყოველ კვი-  
რა-უქე დღეებში აუცილებელი და ხანგრძლივი გაშემებული დგომა  
ეკლესიაში მონასტრული წირვა-ლოცვის დროსა. ფეხზე დგომით არა-  
ქათგამოლეულ მოსწავლეებს ხშირად უწესდებოდათ გული.. მთელი  
ცხოვრება უბედური სასწავლებლისა გონებითი და ზნეობრივი წყვდი-  
ადით იყო მოცული. და ამ წყვდიადში უცებ აინთო ბრწყინვალე დამ-  
პარი განათლებისა, ქველობისა და კაცო-მოყვარეობისა. ეს იყო მა-  
ლალი აზრებით ნათელ-მოსილი პიროვნება იაკობ სვიმონის ძის გო-  
გებაშვილისა" (კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად," 1913,  
გვ. 11-12).

სემინარიაში სწავლის პირველი წლიდანვე იაკობი იჩენს დიდ ბე-  
კითობას და მასწავლებელთა მაღალ შეფასებებს იმსახურებს.

დეკემბერი — პირველი სასწავლო წლის პირველი ნახევრის შეფა-  
სებები:

ოსურ ენაში — მასწავლებელი დანიელ ჭონქაძე  
უნარიანობა — ურიალი  
წარმატება და  
ბეჭითობა — ძალზე კარგი

გეომეტრიაში — მასწავლებელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერება-  
თა პროფესორი გ. ქიქოძე

უნარიანობა — კარგი  
ბეჭითობა — გულმოდგინე  
წარმატება — ძალზე კარგი

ალგებრაში — მასწავლებელი, ფიზიკა-მათემატიკურ მეცნიერება-  
თა პროფესორი გ. ქ. ქ. მ. ე

ბეჭითობა — ძალზე გულმოდგინე

წარმატება — ძალზე კარგი  
უნარიანობა — ძალზე კარგი

სიტყვიერებაში — მასწავლებელი ი. სულხანოვი  
უნარიანობა — ძალზე კარგი  
ბეჯითობა — გულმოდგინე  
წარმატება — ძალზე კარგი

სამოქალაქო ისტორიაში — მასწავლებელი ა. პოსლევევი  
უნარიანობა — საქმაოდ კარგი  
ბეჯითობა — გულმოდგინე  
წარმატება — საქმაოდ კარგი  
(ა. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ მასალები, 1951,  
165—166).

1861

ივლისი — იაკობი დიდი წარმატებით (პირველი თანრიგით) ამთავრებს თბილისის სასულიერო სემინარიის სრულ კურსს (იქვე, გვ. 19).

ივლისის 7 — თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიიტი ვიქტორი წერილობით მოახსენებს საქართველოს ეგზარქოს იაკობ გოგებაშვილის კიევის სასულიერო აკადემიაში გაგზავნის შესახებ.

«1. В состав нового ХХ курса Киевской духовной академии назначить окончившего курс учения воспитанника здешней семинарии Иакова Гогебова, которого правление признает гораздо благонадежнейшим Гвиниева, по способностям, успехам в науках и поведению.

2. О состоянии здоровья воспитанника Гогебова и бытии на нем оспы истребовать свидетельство от врача семинарии и инспектора врачебной управы П. Собольщикова» (იქვე, გვ. 17).

„ოცი წლისა ვიქნებოდი, როდესაც სემინარია დავამთავრე, — ივნინებს იაკობი, — პირველი მოწაფე ვიყავი წინა კლასებშიც და უკანასკნელი კლასიც პირველ მოწაფედ დავამთავრე. აյადემიაში გასაგზავნად დამნიშნეს. მხოლოდ მომთხოვა მთავრობამ — ექიმს ეჩვენენ და მოწმობა მოიტანე ჯანმრთელობისათ ვეჩვენე. ექიმმა სობოლჩიკოვმა კარგად გამსინჯა... მოწმობაში ჩასწერა: „გოგებაშვილი ამჟამად

სალია, მაგრამ სუსტი აგებულების პატრინია და შეიძლება რუსეთის ჰავა ვერ აიტანოსო". ეს მთავრობას რომ მივუტანე, მითხრეს: „ეხლა თქვენზეა დამოკიდებული საქმე — თუ წასვლა გსურთ გაგებზავნით, მაგრა არა და მეორე მოწაფეს გავამებზაერებთ აკადემიის თვინიათ. მე ძალიან მწყუროდა მაღალი განათლება და წასვლის სურვილი განვაცხადე...“ (დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფია, 1940, გვ. 29).

ივლისის 12 — თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა წერილობით სიხოვს საქართველო-იმერეთის სასინოდო კანტორის სემინარიის კურსდამთავრებულ იაკობ გოგებაშვილის დაბადებისა და ნათლობის მეტრიკული ამონაწერის გაცემის შესახებ (იქვე, გვ. 19).

ივლისის 14 — თბილისის სასულიერო სემინარია იაკობ გოგებაშვილის სახელშე გაცემს ატესტატს № 462, მის მიერ სასულიერო სემინარიის დამთავრების შესახებ.

«Объявитель сего Тифлисской духовной семинарии воспитанник Яков Гогебов, Тифлисской губернии Горийского уезда, селения Вариани, священника Симона сын; от роду 19 лет; первоначально обучался в Тифлисском уездно-приходском училище, из коего, по окончании курса поступил в сентябре 1855 года в Тифлисскую духовную семинарию, где и совершил новый учебный курс при способностях отлично хороших, прилежании весьма ревностном и поведении весьма хороших.

На окончательных испытаниях оказался успевшим:

В знании:

- « священного писания — весьма хорошо
- « православного исповедания — хорошо

В науках:

- « восточной церкви — хорошо
- « богословии пастырском — отлично хорошо
- « учении о вероисповеданиях — отлично хорошо
- « богословии нравственном — отлично хорошо
- « богословии собеседовательном — отлично хорошо
- « церковной общей истории — очень хорошо
- « истории русской церкви — отлично хорошо
- « истории грузинской церкви — весьма хорошо
- « каноническом праве — весьма хорошо
- « церковной археологии — отлично хорошо
- « сельском хозяйстве — весьма хорошо

- « иконописи — не обучался
- « медицине — удовлетворительно
- « священной герменевтике — весьма хорошо
- « церковной патристике — весьма хорошо
- « логике и психологии — весьма хорошо

В истории:

- « церковно-библейской — отлично хорошо
- « гражданской всеобщей — хорошо
- « гражданской русской — весьма хорошо
- « гражданской грузинской — весьма хорошо
- « естественной — весьма хорошо

В физике — весьма хорошо

В риторике и поэзии — весьма хорошо

В знании учения о богослужебных книгах, алгебре, геометрии, геодезии и пасхалии — очень хорошо

В языках:

- « татарском — не обучался
- « осетинском — хорошо
- « церковно-грузинском — весьма хорошо

По окончании семинарского курса, в июле 1861 года, семинарским правлением, с утверждения высокопреосвященного экзарха Грузии причислен к первому разряду без степени студента, потому что сие звание воспитанникам Тифлисской семинарии начальством еще неусвоено, и уволен в епархиальное ведомство, в удостоверение чего и дан ему, Якову Гогебову, сей аттестат из правления Тифлисской духовной семинарии за подлежащим подписанием и приложением казенной печати. Июля, 14 дня 1861 года. Член правления семинарии» (ა. ოვადი, იაკობ გოგებაშვილი, ღოკემენტი. მასალები, 1951, გვ. 18—19).

აგვისტო (?) — სწავლის გასაგრძელებლად მიემგზავრება კაცვში, სადაც სასულიერო აკადემიაში „მისაღებ ეგზამენტებსაც თავმოწაფე იჭერს...“ და „სტუდენტი ხდება“ (დ. კასრაძე, იაკობ გოგებაშვილი, ბიოგრაფია, 1940, გვ. 29).

„ეს დრო იყო, როდესაც მთელი რუსეთის ცხოვრება მესამოცე წლების ზეგავლენით სდუღდა და გადმოდიოდა. თეთი აკადემიაში დადად განვითარებული და მაღალი გონიერის პროფესორები კითხულობდნენ ლექციებს. იმავე დროს კაცვში ხშირად მოდიოდნენ და ცხოვრობდნენ ორი წარჩინებული ადამიანი, — პიროვნეული და უშინესი.. შესაძლე-

ბელია, რომ სწორედ ამ პიროვნების და უშინსეის ზეგავლენით ჩაეწერ—  
გა მას გულში სურვალი პედაგოგიური მოღვაწეობისა.

თვით აკადემიაშიც ჩინებულად იყო დაყენებული ფილოსოფიის,  
ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის, ისტორიისა და სიტუაციების ლექციების  
კონცერტი. კველა ამ ლექციის არა თუ ისმენდა გულდადებით, არამედ მათ  
შინაარსს მოკლედ წერდა თავისთვის. ამასაც არა სჯერდებოდა: დღე  
და ღამ განუწყვეტლად ხელში ეჭირა სხვა და სხვა თხზულებანი და  
მათი შესწავლით აკსენტი ლექციების ნაკლასა სწორედ ამ დროს, ამ  
აკადემიურ პირველ წელს მოხდა იაკობის სულიერ ცხოვრებაში დიდად  
საყურადღებო ამბავი. იგი ხშირად დაიარებოდა უნივერსიტეტში და  
ისმენდა მომეტებულად საბუნების-მეტყველო ლექციებისა. ერთხელ  
ლექციის შემდეგ იაკობი გამოუდგა პროფესორს, გაეცნო და რამდე-  
ნიმე კითხვა მისცა. ნაცელად პასუხისა პროფესორმა ურჩია — წა-  
კითხვა პუმბოლტის „კოსმოსისა“. იმავე დღეს იყიდა ეს დიდებული  
თხზულება დიდებული აეტორისა და იწყო გულმოლგინედ მისი კით-  
ხვა. კითხულობდა და რამდენიც წინ მიღიოდა, იმდენად მოელი მისი  
დეთის-მეტყველური შეხედულობა, აზროვნება პარტში დაკიდებულ  
ლამაზ, მაგრამ უსაძირკვლო კოშეებს ემზგავსებოდა „კოსმოსისაგან“  
დაწყებული საქმე სრულიად დაამთავრა ფიზიოლოგიის პროფესორმა,  
რომლის რამდენიმე ლექცია მოისმინა იაკობმა იმ დროს უნივერსიტეტ-  
ში, — გაღმოგვცემს მისი ბიოგრაფი ნ. ლომოვური თვით იაკობის ნა-  
ამბობს (კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913,  
გვ. 9—10).

წლის ბოლო — იაკობი ავად ხდება ტვინის ანთებით.

„...ამ დროს იყო თურმე კამი, როდესაც ბეწვზე ეკიდა მისი სი-  
ცოცხლე. რამდენსამე კვირის შემდეგ ამ ავადმყოფობას იაკობმა  
შშივიდობიანად დააღწია თავი, მაგრამ მისგან დაძაბუნებულ ავებუ-  
ლებას ახლა სხვა დაუძინებელი მტერი აღმოუჩნდა: დააწყებინა ხეე-  
ლება... (იქვე, გვ. 10).“

## 1862

ამ წელს იაკობი კვლავ ავადმყოფია. გამუდმებული სიცხე აქვს,  
ხველებაც მატულობს. ხშირად უხდება საავადმყოფოში წოლა. ლექ-  
ციებს აცდენს (იქვე, გვ. 10).

თებერვლის 23 — საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორა თბი-  
ლისის სასულიერო სემინარიას მისივე მოთხოვნით უგზავნის იაკობ  
გოგებაშვილის მეტრიკულ ამონაწერს.



იაკობის ჯანმრთელობა უარესდება.

„...სისხლის ღებინება და სხვა ნიშნები ჰლექისა ცხადად აღმოაჩინდა“.

ექიმების გადაწყვეტილება ურუევია — დაუყოვნებლივ დაბრუნდეს სამშობლოში. აკადემიის ხელმძღვანელობაც ასევე უჩინევს.

იაკობი იძულებულია დაემორჩილოს თავის მწარე ხვედრს, ტოვებს აკადემიას და გულნატკენი ბრუნდება საქართველოში.

მაისის 31 — იაკობის სასულიერო აკადემიის რექტორი არქიმანი დრიტი ფილარეტი იაკობს შუამდგომლობს საქართველოს ეგზარქოსთან მისი კავკავის სასულიერო სასწავლებელში ინსპექტორად დანიშვნის შესახებ.

„...в Владикавказском училище открылось инспекторское место. У нас на это место имеется в виду студент нашей Академии ... Яков Гогебов, который, вследствие опасений потерять здоровье в здешнем климате не совсем ему благоприятствующем, по совету врачей, должен оставить Академию. И он имеет желание занять означенное место... прошу ... сообщить мне ваши мысли касательно сего предмета. С своей стороны долгом считаю присовокупить, что Гогебов, как уроженец Кавказского края, как знакомый с осетинским языком и как студент, отличавшийся постоянно в продолжение двух лет благонравием и прекрасными успехами, при отличных своих дарованиях, представляется благонадежным кандидатом к занятию означенной инспекторской должности.... Академия, по совести скажу, увольняет его от себя с искренним сожалением, что здоровье не позволяет ему до кончить свое образование, но вместе с тем надеется, что он, и не окончив курса при своих правилах и дарованиях, везде и всегда будет полезным для общества и церкви деятелем“ (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 166—167).

საქართველოს ეგზარქოსი აღნიშნულ წერილს უგზავნის თბილის სასულიერო სემინარიის მმართველობას დავალებით: შეატყობინონ აკადემიის რექტორს, რომ გოგებაშვილს არ შეუძლია აღნიშნული სამსახურის დაკავება კავკავის სასწავლებლის დახურვის გამო, ამასთან ავალებს წარუდგინონ წინადადება გოგებაშვილისათვის ად-

გილის გამოსაძებნად აღვიღობრივი სასულიერო სასწავლებლის უწყებაში (იქვე, გვ. 167).

ივლისის 16 — კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი არქიმან-განდირიტი ფილარეტი თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას სთხოვს იაკობ გოგებაშვილის კავკავის სამაზრო-სამრევლო სასწავლებლის ინსპექტორად დანიშნებას.

«Правление Академии, определив уволенного по болезни из Академии студента II курса Якова Гогебашвили, согласно его прошению, ни праздное инспекторское место в Владикавказском училище, дает знать о сем тифлисскому семинарскому правлению, для зависящего к исполнению распоряжения, присовокупляя, что о таковом распоряжении доведено до сведения и вашего начальства» (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 19).

ავესტოს შემდეგ — იმის გამო, რომ კავკავის სასულიერო სასწავლებელი, სადაც ინსპექტორად დანიშნული იყო იაკობი, დაიხურა, იგი ორჯერ წარუდგენს მოხსენებით ბარათს კავკასიაში ქრისტიანობის აღმადვენელ საზოგადოების კომიტეტს თხოვნით, ერთი წლის განმავლობაში აძლიონ ხელფასი, როგორც უსამსახუროდ დარჩენილს.

კომიტეტი ორივეჯერ უარს ეუბნება და საქართველოს ეგზარქოს სთხოვს გოგებაშვილისათვის ადგილის გამოძებნას სასულიერო უწყებაში (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 20).

## 1864

იანვრის 7 — იაკობი თხოვნით მიმართავს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, დანიშნონ ამავე სემინარიაში რაიმე თანამდებობაზე.

«...хотел бы по призванию служить по училищному ведомству. Покорнейше прошу правление Тифлисской семинарии дать мне какое-либо назначение в своем учебном заведении по своему благоусмотрению» (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 20).



\* \* \*

იანვრის 15 — საქართველოს ეგზარქოსისა და თვით იაკობის თხოვნით მას ნიშნავენ თბილისის სასულიერო სასწავლებლების მეორე კლასის მეორე მასწავლებლად (იქვე, გვ. 20, 167, 168).

იანვრის მეორე ნახევარი — იაკობი გადაჟყვავთ იმავე სასწავლებლის მეოთხე კლასის მეორე მასწავლებლად (ნ. ლომოურის ცნობით, ასწავლის გეოგრაფიასა და არითმეტიკას).

«Хотя я в настоящее время занимаю место второго учителя в четвертом классе...» (იქვე, გვ. 20—21).

იანვრის 28 — თხოვნით მიმართავს სასულიერო სემინარიის მმართველობას სასულიერო სასწავლებელში შეთავსებით ზედამხედველად დანიშნენის შესახებ (იქვე, გვ. 20).

თებერვლის 16 — სასულიერო სემინარიის მმართველობა აქმა-ყოფილებს იაკობის 28 იანვრის თხოვნას და მას შეთავსებით ნიშნავს სახელმწიფო ხარჯზე მყოფი უსულგაულო მოსწავლეების სამეთვალყურეოდ ოთახის ზედამხედველად (იქვე, გვ. 168).

თებერვლის 21 — სასულიერო სასწავლებელში იწყებს ოთახის ზედამხედველის მოვალეობის შესრულებას მასწავლებლობასთან ერთად შეთავსებით (იქვე, გვ. 22).

ივლისის 1 — ეკონომიკურად უმწეო მდგომარეობაში მყოფი იაკობი სასულიერო სემინარიის მმართველობას სთხოვს, აღმოუჩინონ ერთ-ერთული შემწეობა.

«Правлению семинарии известно, что я в прошлом году почти полгода оставался без места, вследствие стечения особых обстоятельств... Это обстоятельство, недавность моей службы и ограниченность жалованья причиною тому, что я до сего времени не мог обзавестись самыми необходимыми и существенными вещами и не мог себе справить приличной должности одежды. Это заставляет меня покорнейше просить правление Тифлисской духовной семинарии, если возможно, назначить мне единовременное пособие и тем сколько-нибудь улучшить мое настоящее положение» (იქვე, გვ. 21).

სექტემბრის 1 — თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებელი გიორგი თიბისიაშვილი ავსებს

იაკობ გოგებაშვილის ფორმულარს. აი, ზოგიერთი საინტერესო ცნობას აკადემიის სტუდენტი იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი, ობილისის სა-  
სულიერო სასწავლებლის უმაღლესი განკოფილების მასწავლებელი  
და ოთახის ზედამხედველი, 25 წლის, მართლმადიდებელი, ხელფასს  
იღებს: მასწავლებლის თანამდებობაში — 200 მანეთს და ზედამხედ-  
ველობაში 100 მანეთს. სულ 300 მანეთს წელიწადში. აქვს სახელ-  
მწიფო ბინა (იქვე, გვ. 167, 168).

ნოემბრის 11 — საქართველო-იმერეთის სინოდალური კანტორის ბრძანებით, იაკობს აჯოლდოებენ 100 მანეთით (ვერცხლით) სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველის თანამდებობის აღსრულებისათვის (იქვე, გვ. 21).

• • •

ამ წელს იაკობი აღვენს სახელმძღვანელოს — „ქართული ან-ბანი და პირველი საკითხები წიგნი მოსწავლეთათვის.“

ო — მიცვალე იაკობის შამა სიმონ გოგებაშვილი, 60 წლისა (ზ. ჭი-  
ჭინაძე, იაკობ გოგებაშვილი, 1900, გვ. 32).

1865

იანვარი — აგრძელებს მუშაობას სახელმძღვანელოს — „ქართული ანბანი და პირებელი საკითხები წიგნი მოსწავლეთათვის“ — შედგენაშე.

თებერვლის 19 — თხოვნით მიმართავს სასულიერო სემინარიის მმართველობას მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს „ქართული ანბანის და პირველი საკითხები წიგნის“ დაბეჭდვის ხარჯების მიცემისა და წიგნის გავრცელების საქმეში დახმარების შესახებ.

«Крайняя неудовлетворительность существующих грузинских азбук, замеченная семинарским начальством, побудила меня составить азбуку по одному из лучших новейших методов.

Но напечатать ее я не могу, за неимением средств. Поэтому покорнейше прошу правление Тифлисской духовной семинарии оказать мне пособие для напечатания представляемой при сем азбуки и благоволить содействовать ее рас-

пространению в подведомых оному духовных училищах» («*Союз православной культуры*», № 1, 1951, с. 22).

ივნისი(?) — ადგენს 1864/65 სასწავლო წელს სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეთა მიერ განვლილი გაკვეთილების მიმოხილვას არითმეტიკასა და გეოგრაფიაში (იქვე, გვ. 168—171).

იელისის 20 — თხოვნით მიმართავს სასულიერო სემინარის შპარ-  
თველობას სასულიერო სასწავლებელში ზედამხედველის მოვალეობის  
შესრულებისათვის გასამრჯველოს მიცემის შესახებ (იქვე, გვ. 22).

• • •

ამ წელს გამოდის იაკობის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხაეთი წიგნი მოსწავლეთათვის“ ტუ., მელიქიშვილის და კამპ. სტ., 1865, 103 გვერდი.

1866

თებერვლის 16 — იაკობი თხოვნით მიმართავს სასულიერო სემინარიის შმართველობას, შეუცვალონ მეცადინეობის განრიყი, კერძოდ, მისი ავადმყოფობის დროს მეცადინეობის პირველი საათები შეუცვალონ მეორე საათებით (იქნე, ვ. 23. 23).

აპრილის 29 — გაზეთი „დროება“ (№ 9) ხელმოწერლად აქვეყნებს იაკობ გოგებაშვილის პირველ პუბლიცისტურ წერილს — „ამერიკა (პოლიტიკური მიმოხილვა)“, რომელშიც ნათლად ჩანს აკტორის თანავრძნობა და სიმპათია მონათმფლობელობის წინააღმდეგ შეუპოვარი მებრძოლის — პრეზიდენტ ლინკოლნისადმი.

ამ წერილს აკტორი შემდგომში („რჩეული პედაგოგიური და პუბ-ლიციასტური ნაწერები“, I ტ., 1910) ასე ასათაურებს: „ბრძოლა ამე-რიკის შეერთებულს შტატებში პრეზიდენტის ლინკოლნის მოკვეთის შემდეგ კონგრესსა და პრეზიდენტს შორის“.

ივლისის 23 — თხოვნით მიმართავს თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას, უშუამდგომლოს ზემდგომი ხელმძღვანელობის წინაშე, კორის სასულიერო სასწავლებელში არსებულ ზედამსჯელების ვაკანტურ აღგილზე მისი დანიშვნის შესახებ (იქვე, გვ. 23).

(დღემდე არ არის ცნობილი, თუ რა მიზეზით არ იქნა დაკმაყოფილებული ა. გოგებაშვილის ეს თხოვნა).

ავესტოს 16 — ნიშნავენ თბილისის სასულიერო სემინარიის ბიბლიოთეკარად. ამის შესახებ გვაუწყებს 23 ავესტოს გაცემული ცნობა:

«По случаю перемещения г. Павлова на должность смотрителя и учителя Горийского духовного училища, правление семинарии 16 сего августа, между прочим, положило: занимаемую учителем Павловым должность библиотекаря семинарской библиотеки возложить на учителя училища Якова Гогебашвили, с тем, чтобы первый сдал, а последний принял ее по каталогам...» (იქვე, გვ. 171—172).

ნოემბრის 2 — კიევის სასულიერო აკადემია თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობას (მათსავე შეკითხვაზე (?)) ატყობინებს, რომ აკადემიას არ შეუძლია შუამდგომლობა გაუწიოს ა. გოგებაშვილს მისი თბილისის სემინარიის სიტყვიერების კათედრაზე მასწავლებლად დანიშნის შესახებ, რამდენადაც ა. გოგებაშვილს არა აქვს დამთავრებული აკადემიის სრული კურსი (იქვე, გვ. 23).

ნოემბერი (?) — თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა, მიუხედავად კიევის სასულიერო აკადემიის 2 ნოემბრის მოწერილობისა, იაკობის ნიშნავს სიტყვიერების მასწავლებლის შემსრულებლად (რაც დასტურდება მის მიერ სემინარიის მმართველობისადმი წარდგენილ გ. კალანდარიშვილის წიგნის ჩეცენზიაზე ხელმოწერით — «Исправляющий должностный учитель словесности Яков Гогебашвили») (იქვე, გვ. 25).

ნოემბრის 29 — იაკობი თავის აზრს (რეცენზიას) წარუდგენს სემინარიის მმართველობას გ. კალანდარაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს შესახებ, სადაც აღნიშნავს, რომ იგი სრულიად დამაკმაყოფილებელია რუსული ენის შესასწავლად ჩვენს სკოლებში (იქვე, გვ. 23—25).

\* \* \*

— ამ წელს (?) — იაკობი იწყებს მუშაობას „ბუნების კარის“ შეგენაზე.



— სკოლისაგან თავისუფალ ღრის მუშაობს „ბუნების კარის“ შედებენაზე. წლის ბოლოსათვის იაკობს უკვე მშაღა აქვს წიგნი დასაბეჭდად.

წლის პირველი ნახევარი — მეორე გამოცემად გამოდის სახელმძღვანელო „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“.

ივლისის 7 — გაზეთი „დროება“ (№ 27) ბეჭდავს მ. ბეთანიშვილის რეცენზიას იაკობ გოგებაშვილის წიგნზე — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი“.

იანვრის დასაწყისი — იაკობი სტეფანე მელიქიშვილის სტამბაშა იწყებს მოსწავლეთათვის მის მიერ შედგენილი საკითხავი წიგნის („ბუნების კარი“) ბეჭდას.

„იბეჭდება ანბანის შემდეგ მეორე საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის იაკობ გოგებაშვილისა“ („დროება“, 1868, 12 იანვ., № 2).

მაისის 3 — გაზეთი „დროება“ (№ 18) აქვეყნებს შემდეგ ბიბლიოგრაფიულ ცნობას: „საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვილთათვის, ი. გოგებაშვილისაგან შედგენილი, მომავალ თვეში გამოვა ბეჭდვილან...“

მაისის 27 — სასულიერო სემინარიის მმართველობა ი. გოგებაშვილს სთხოვს, განიხილოს ზუევის მიერ შედგენილი რეკები და წარუდგინოს თავისი აზრი სემინარიის მმართველობას (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 25).

მაისი-ივნისი (?) — „ბუნების კარის“ ბეჭდების პროცესში იაკობი საჭიროდ მიიჩნევს, მასში შეიტანოს — კარტა „კავკასიის აქეთა მხრისა“. ეს და სხვა გარემოებები იწვევს წიგნის გამოცემის დაგვიანებას. მის შესახებ გაზეთი „დროება“ (№ 26) 28 ივნისს მეითხელებს აუწევს:

„საკითხავი წიგნი მოსწავლე ყმაწვილთათვის, ი. გოგებაშვილისაგან შედგენილი, დანიშნულ დროზედ ვერ გამოვა, სხვათა შორის, იმი-

ტომ, რომ კავკასიის აქეთა მხარის კარტის დამატება საჭიროთ დარჩენა. სექტემბრისათვის ეს უთუოდ მზად იქნება. სივრცით წიგნი თორთული მეტ თაბაზამდის გასწევს. კარტის მასშტაბი იქნება: „ერთ დიუმზე 40 კვარსი“. იგივე ცნობას განვითი „დროება“ აქვეყნებს 5 ივლისს, მომდევნო 27-ე ნომერშიც.

ამასთან, როგორც თვით ავტორი წიგნის წინასიტყვაობაში წერს: „წიგნი თან იწერებოდა და თან იძებდებოდა“ — სლება მიზეზი წიგნის გამოსვლის დაგვიანებისა.

ავისტოს 16 — ცენზურა ნებას რთავს „კავკასიის აქეთ მხარის კარტის“ დაბეჭდვასა და სახელმძღვანელოში მის შეტანაზე.

სექტემბრის 3 — იაკობი წერილობით წარუდგენს სემინარიის მმართველობას თავის აზრს (რეცენზიას) ზუევის მიერ შედგენილ რუსეთის ევროპული ნაწილის გენერალური რუკების შესახებ.

«Вследствие отношения семинарского правления от 27 мая 1868 г. за № 453, я рассмотрел географические карты Зуева, при этом заметил не мало погрешностей, как в подробной генеральной карте Европейской России, так и в сокращенной» (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 25).

ოქტომბერი — იაკობს ირჩევენ თბილისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველად.

„ზედამხედველის თანამდებობაზე ჩემი საქმიანობა დაიწყო 1868 წლის ბოლოს და გაგრძელდა თითქმის 1873 წლის შემოდგომამდე. სასწავლებელი მე ჩავიბარე ყოველმხრივ აწეწილ მდგომარეობაში...“

მე კარგად ვიცნობდი ამ სასწავლებლის მდგომარეობას, წინასწარ ვგრძნობდი, თუ რა სიძნელეს წარმოადგენდა მისი კეთილმოწყობა, ვგრძნობდი პასუხისმგებლობის სიმძიმეს, რომელთანაც დაკავშირებული იყო მოშლილი სასწავლებლის მმართველობა და ხელმძღვანელობა და ამიტომ თავს ვარიდებდი ზედამხედველის თანამდებობას. მაგრამ სასულიერო წოდების საოლქო ყრილობამ, რომელსაც სურდა ბოლო მოელო სასწავლებლის საკალალო მდგომარეობისათვის... შემომთავაზა სასწავლებლის უფროსობა და ამირჩია მის ზედამხედველად. კარგად მესმოდა, რომ ყოველი საქმის წარმატება დამოკიდებულია ხელმძღვანელი პირის განსაკუთრებულ ყურადღებაზე. მე იმდენ დროს ვანდომებდი სასწავლებლის კეთილდღეობისათვის შრომას, რომ

დროც აღარ მრჩებოდა ჩემ მიერ ზედამხედველის თანამდებობის მიღებამდე შედგენილ სახელმძღვანელოებში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუმჯობესებისათვის. მაგრამ წარმატება მაღვე ერ მოვიპოვე” (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 176—177).

„...თბილისის სამღვდელოების გამოჩენილი წარმოადგენლების თხოვნით, წინადადება მომეცა მეთხოვნა ზედამხედველის აღილი.

მე უარი ვთქვი, და სრულიად კულტრულადაც, შემღევი მოსაზრებით: კიევის სასულიერო აკადემიაში ყოფნის შემღევ მე დამჩემდა სისხლდებინება, რაც შეიძლებოდა გაძლიერებულიყო ზედამხედველის რთულ მოვალეობათა შესრულების გამო... დადი სურვილი მქონდა განმეგრძო მუშაობა ქართული სასწავლო და სახალხო-პოპულარული ლიტერატურის გასამდიდრებლად, რასაც თითქმის დაუძლეველ დაბრკოლებას შეუქმნიდა ზედამხედველის აღილის მიღება. მაგრამ ჩემი კატეგორიული უარის მიუხედავად სამღვდელოების ყრილობამ ჩემი კანდიდატურა წამოაყენა და გაიყვანა. კენჭისყრისას პავლოვმა მიიღო ერთი თეთრი კენჭი და ოცდაცხრამეტი შავი, მე კი ოცდაცხრამეტი თეთრი და ერთი შავი... მაგრამ ეგზარქოსმა არ დამტკიცა ყრილობის დადგენილება და რამოდენიმე თვის შემდევ ახალი არჩევნები დანიშნა. უარი იმით იყო დასაბუთებული, რომ მე დეთისმეტყველების მეცნიერული ხარისხი არ მქონდა. სამღვდელოების მეორე ყრილობამ ერთხმად ამირჩია” (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 363).

თქმიმბრის ბოლო — გამოდის „ბუნების კარი. საყმაწვილო წიგნი დაბალ კლასებში სახმარებელი. შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. საქართველოს კარტით“. 1868. 302 გვ. 65 კ (ცენზურის ნებართვა 23 თქმიმბრის).

„ბუნების კარი... დაიბეჭდა და ისყიდება შემდგომ აღგილებში: სასულიერო სემინარიაში, ვართანოვის წიგნის მაღაზიაში და მელიქშვილის სტამბაში. წიგნთან დამატებულია საქართველოს კარტა. ფასი ყველგან 65 კაპიკი“ (დროება, 1868, 16 ნოემბ., № 46).

ნოემბრის 12 — თხოვნით მიმართავს სასულიერო სემინარიის მართველობას ბიბლიოთეკარის თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

«Покорнейше прошу правление Тифлисской духовной семинарии уволить меня от должности библиотекаря, так как совмещение оной с должностю смотрителя оказывается

крайне трудным. Библиотекарь семинарии Я. Гогебашвили» (ა. იოვიძე, თავთა გოგებაშვილი. ღოუშენტ. მესალები. 1951, გვ. 26).

ხოემბრის 29 — გაზეთი „დროება“ (№ 48) ხელმოუწერლად პეჭ-დას ნიკოლაძის ვრცელ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას „ბუნე-ბის კარის“ შესახებ (წერილი დაუშთავრებელია, დაიბეჭდა მხოლოდ მისი პირველი წერილი).

„ახლა ყველამ იცის, რომ კარგი აზრი და საქმის დამყარება სა-ზოგადოებაში იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენი კაცი თანაუგრძნობს ამ საქმეს და ამ აზრს... კარგს საქმეს რამდენადაც უფრო ბევრი მომ-ხრე ეყოლება საზოგადოებაში, იმდენად უფრო მაღლე ასრულდება ისა. გაშასადამე, პირველი და უკანასკნელი ღონისძიება იმაზე უნდა იყოს მიძყრობილი, რომ კარგი საქმის მომხრენი საზოგადოებაში გაამრავ-ლოს, ხოლო საუკეთესო საშუალება ამისათვის არის აღზრდა საზო-გადოებისა. ამ შემთხვევაში მით უფრო მაღლობელი უნდა ვიყოთ იმი-სა, ვინც ამ აღზრდის საქმეს ხელს შეუწყობს. ამისათვის ჩვენი გული-თადი მაღლობა და პატივისცემა უნდა მიექცეს უფ. გოგებაშვილისადმი, რომელმაც გვაჩიქა ყოვლად შესანიშნავი საკითხავი წიგნი ქართველ ახალგაზრდობის დამყენებელ სწავლის გზაზე. მაგრამ, ვიღრე დაბო-ლოვებით წარმოვსთევამდე ჩვენს აზრს ამ ძეირუასს წიგნზედ, სჯობია გამოვკრიბოთ ზოგიერთი ალაგი თვითონ ავტორის წინასიტყვაობიდ-გან“.

დეკემბრის 20 — გაზეთი „დროება“ (№ 51) საზოგადოებას აუწ-ყებს, რომ „მომავალი წლის „დროების“ ხელის მომწერლებს უფასოთ დაურიგდებათ კავკასიის აქეთი მხრის კარტა“.

\* \* \*

— ამ წელს გამოდის მესამე შეცელილი გამოცემა წიგნისა — „ქარ-თული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“.

წიგნის ეს შეცელილი გამოცემა, რომელიც შედგენილია ბეგრით-სინთეზური მეთოდით, „მასწავლებლისათვის“ განკუთვნილ წინასიტ-ყვაობაში ამ ცელილებას ასე ამართლებს: „ჩვენ ნამდვილად შევიტ-ყვეთ, რომ წინანდელ მეთოდს შეკოლებშიაც კი ხეირიანად ვერა ხმა-რობდნენ. ამიტომ ამ მესამე გამოცემაში ანბანის მეთოდი შევცვალეთ, ესე იგი უწინდელი მეთოდი წაღმა მოვაბრუნეთ. ამ მეთოდით სწავლე-ბა ყველასათვის ადვილია“.



იანვრის 2 — გაზეთი „დროება“ (№ 1) განმეორებით ბეჭდავს ცნობას, რომ „დროების“ ხელის მომწერლებს უფასოთ დაურიგდებათ კავკასიის აქტით მხრის კარტა“.

იანვარი — გაზეთი „დროება“ აქცეყნებს ცნობებს „ბუნების კარის“ გამოსვლის შესახებ (№ № 6, 9—11, 15).

ივნისი — უურნალ „მნათობის“ მასი-ივნისის ნომერში გამოქვეყნებულ თოროლის [გ. გამრეკელი] „მიმოხილვაში“ აღნიშნულია ი. გოგებაშვილის დვაწლზე სახალხო განათლების საქმეში.

„მიმოხილვაში“ ვკითხულობთ: „...პირველად ჩვენი ხალხი ანბანს შევაჩიოთ, წერას, კითხვას, ხეირიან წიგნებს შევაჩიოთ და ამ სახით მივიახლოვოთ ხალხი სწავლასთან. პირველი ჩვენი ჯიბრი, ანუ კოკურენცია უნდა მდგომარეობდეს ანბანში. მისი ხშირი გამოცემა სხვადა-სხვა სახედ, მეთოდზედ მიგვიყვანს ადვილ და სწორე გზაზედ. შეძგომ, მის შემდგომ საკითხები წიგნები, აი რით მოეუტანთ ხალხს სარგებლობას... თუ კი მიეწერება მაღლობა ამნაირ შრომაში და ცდაში — გოგებაშვილი უთუოდ დირსია. იმედი გვაქვს არ მოგვაკლებს თავის სახალხო კალმის დვაწლს. დარწმუნებული ვარ და იქნება დარწმუნებული იყვნენ მეთოველები, რომ უფალმა გოგებაშვილმა თავისი ანბანით და „ბუნების კარით“ უფრო დიდი სარგებლობა მოუტანა ყმაწვილებს და ახალ მოსწავლეებს, ვიდრე ჩვენმა ლიტერატორებმა თავიანთი დაუუძნებული წრუელი სჯით“ (გვ. 12—13).

ნოემბრის 13 — გაზეთი „დროება“ (№ 46) აქცეყნებს განცხადებას: „ამ ნომერთან ჩვენი გაზეთის ხელის მომწერთ უგზავნით დაპირებისამებრ ქართულ ენაზე დაბეჭდილ კარტას“ („დროების“ ამ ნომერს მართლაც აქვს დართული „კარტა კავკასიის აქტით მხრისა“, რომელიც დაცენტურებულია 1868 წ. 16 აგვისტოს).

\* \* \*

— გამოდის მეოთხე გამოცემა წიგნისა — „ქართული ანბანი და პირველი საკითხევი წიგნი მოსწავლეთათვის“.

— მიცვალა იაკობის დედა მაგდანა ტუბერკულიოზით (ზ. ჭიჭინაძე, იაკობ გოგებაშვილი, 1900, გვ. 32).

— იაკობი მთლიანად დაკავებულია ზედამხედველის შძიმე საქმიანობით. ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ მას ამ წელს არ გამოუცია მის მიერ შედგენილი არც ერთი სახელმძღვანელო, არ მოუხდენია მათში ცვლილებები. ამის შესახებ იაკობი შემდგომში, ერთ-ერთ წერილში წერს: „მე იმდენ დროს ვანდომებდ სასწავლებლის კეთილდღეობისათვის შრომას, რომ დროც ალარ მრჩებოდა ჩემ მიერ ზედამხედველის თანამდებობის მიღებამდე შედგენილ სახელმძღვანელოებში ცვლილებების შეტანისა და მათი გაუმჯობესებისათვის“ (თხ. ტ. 1, 1952, გვ. 177).

ზოგჯერ იაკობი ახერხებს მონაწილეობა მიიღოს იოსებ შამაცაშვილის ოჯახური წრის დებატებში, სადაც იქრიბებოდნენ ძეელი და ახალი თაობის მოწინავე წარმომადგენლები. აქ იაკობი ეცნობა და შემდგომში მეგობრულ ურთიერთობას ამყარებს ნიკო ცხვედაძესთან და გიორგი იოსელიანთან.

„ამ წელს 1870 წელში მიემატნენ ორი განათლებული ახალგაზრდა ქართველინი, რომელიც მოსკოვის სასულიერო აკადემიაში კურსის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაპროდნენ და თბილისში გამწერნენ სასულიერო სემინარიის მასწავლებლად. ესენი იყვნენ: ნიკო ცხვედაძე და გიორგი იოსელიანი“ (თხ. ტ. 4, 1955, გვ. 392).

## 1871

აპრილის 26 — იაკობი, როგორც სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველის მოვალეობის შემსრულებელი, სემინარიის მმართველობას სთხოვს სახელმწიფო ხარჯზე მყოფი მოსწავლეების პირობების გაუმჯობესებას. კერძოდ, იაკობი ითხოვს ყოველი მოსწავლის ტანსაცმლის, ფეხსაცმლის და საწოლი მოწყობილობისათვის გამოყოფილი თანხა 20 მანეთიდან დამატებით გაზარდონ 14 გ. 74 კ-ით (ა. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 26).

მაისის 4 — სასულიერო სემინარიის მმართველობის წინაშე აყენებს მოთხოვნას, უშეამდგომლოს ვისთანაც ჯერ არს სასწავლებლის ოთახის ზედამხედველთა ჯამაგირის გადიდების შესახებ (იქვე, გვ. 27).

დეკემბრის 31 — სასულიერო სემინარიის მმართველობას წარუდ-

გენს მის მიერ შედგენილ საქართველოს საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებელთა გარდაქმნის ერცელ პროექტს, ამასთან თბილისის სასულიერო სასწავლებლისათვის სასწავლო საგნების განრიგს, საშტატო განრიგს და 1871/72 სასწავლო წლის სასწავლო საგნების განრიგს.

\* \* \*

— ისე, როგორც წინა წლებში, იაკობი ყოველ ღონის ხმარობს სწავლების დონისა და საერთოდ თავისი რწმუნებული სასწავლებლის ღირსების ამაღლებისათვის. ამის შესახებ თვით იაკობი გადმოგვცემს:

„ზედამხედველის თანამდებობის მიღებიდან ნახევარი წლის შემდეგ, სემინარიის მისაღებმა გამოცდებმა, რაც პირველად იქნა მაშინ შემოღებული ახალი წესდების თანახმად, გამოააშეარავა მეტად მცირე წარმატება. თბილისის სასწავლებლის 40 მოსწავლიდან მხოლოდ 8 კაცმა დაიჭირა გამოცდა დამაქმაყოფილებლად მაშინ, როცა ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მოსწავლეები ჩინებულად მომზადებული აღმოჩნდნენ, ამან მაიძულა მე გამეორებულინა ძალით, რომ ჩემდამი რწმუნებული სასწავლებელი ქუთაისის სასწავლებლის სიმაღლემდე ამჟყვანა... მიზანს გაცილებით უფრო აღრე მივაღწია, ვიღრე მოველოდი. ორი წლის შემდეგ, 1871 წლის ზაფხულზე, სემინარიის მისაღებმა გამოცდებმა ყველას თვალნათლივ დაანახა, რომ თბილისის სასწავლებელი არამცუ ამაღლდა ქუთაისის სასწავლებლის დონეზე, არამედ კიდევაც გაუსწრო მას. მისაღები გამოცდების შედეგების განხილვისას, სემინარიის გამგეობამ ჩემდამი რწმუნებული სასწავლებელი პირველ ადგილზე დააყენა საქართველოს საეგზარქატოს სასწავლებელთა შორის (ამასთან საჭიროა ვიცოდეთ, რომ მასწავლებელთა პერსონალი წინანდელი დარჩა და ჩემს დროსაც არ შეცვლილა“) (თხზ., ტ. 1, 1952, გვ. 177).

1872

— იაკობი თავისი „ქართული ანბანის და პირველი საკითხავი წიგნის“ სარგებლობის გააღვილებისათვის, მასწავლებელთათვის აღგენს და გამოსცემს მეთოდიურ სახელმძღვანელოს — „დარიგება მასწავლებლისათვის, თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება წერა-კითხვისა

ქართულ ანბანში და პირველ საკითხავ წიგნში". წიგნი დაიბეჭდა მე-ლიქიშვილისა და კამპ. სტამბაში. თავუურცელზე, გარდა სათაურისა, დაბეჭდილია: „შეღენილი ა. გოგებაშვილისაგან. გამოცემა პირველი: ფასი დიდი მოძრავი ასოებით, ერთი შაური“ (წიგნი მხოლოდ ერთხელ გამოიცა).

აგვისტო (?) — გამოდის მეხუთე შეცელილი გამოცემა წიგნისა — „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“ შეღენილი ა. გოგებაშვილისაგან. მეხუთე გამოცემა, შეცელილი და შემოკლებული... 48 გვ. (წიგნის წინა, 1869 წ. მეოთხე გამოცემა შეცელა 80 გვერდს).

„გამოვიდა და ისყიდება ქართული ანბანი, ახალი გამოცემა, შეღენილი ა. გოგებაშვილისაგან...“ (სასოფლო გაზეთი, 1872, № 16, გვ. 8).

სექტემბერი — ოქტომბერი (?) — თბილისის სასულიერო სასწავლებელს იყელეს პეტერბურგიდან ჩამოსული, სინოდის სასწავლო კომიტეტის წევრი ზინჩენკო. მოვუსმინოთ ამის შესახებ თვით იაკობს, რომელიც თავის მოგონებაში გადმოგვცემს:

„1872 [სასწავლო] წლის დასაწყისში პეტერბურგიდან გამოგზავნილ იქნა უწმინდეს სინოდთან არსებული სასწავლო კომიტეტის წევრი ბ-ნი ზინჩენკო ადგილობრივი სასულიერო სასწავლებლების გამოსარკვევად. მან ყოველმხრივ გამოარკვია სასწავლებელი და სცნო იგი მშვენიერ მდგომარეობაში. განსაკუთრებით კმაყოფილი დარჩა ის სასწავლო საქმის დაყენებით. მაგალითად, მოსწავლეთა წარმატება რუსულ ენაში მან ჩინებულად და ყოველივე მოლოდინზე ზეალმატებულად მიიჩნია. ეს სასიხარულო შედეგი მან მიაწერა უმთავრესად მოსწავლეთა მიერ წიგნების კითხვის პირადად ჩემ მიერ შემოღებულ მიზანშეწონილ ორგანიზაციას, რასაც მუდამ თან ახლდა მოსწავლეთა ზეპირი და წერილობითი მოხსენებანი. სასწავლო კურსის ყველა საგანში მოსწავლეთა ათამდე თხზულება მან თან წაიღო პეტერბურგში, რომ იქ წარედგინა იმის თვალსაჩინო საბუთად, თუ რა შესანიშნავი წარმატებაა მოპოვებული რუსული ენის შესწავლაში და მოსწავლეთა განვითარებაში იმპერიის შორეული კუთხის არარეს მოსახლეობაში“ (თხზ., ტ. 1, 1952, გვ. 178).

ნოემბრის 23 — სინოდის ობერ-პროკურორი და სახალხო განათ-

ლების მინისტრი გრაფი დიმიტრი ტოლსტიო საქართველოს ეგზარქოს  
უგზავნის მომართვას თბილისის სასულიერო სასწავლებელში სწავლების  
მაღალი დონის მიღწევის საქმეში ამ სასწავლებლის ზედამხედვე-  
ლის იაკო გოგებაშვილის დამსახურებისა და მისათვის მისი და-  
ჯილდობის შესახებ. სთხოვს შეატყობინოს თავისი აზრი, თუ რა სა-  
ხის ჯილდო შეიძლება გადაცეს გოგებაშვილს.

«Обозревавший в текущем году Тифлисское духовное учи-  
лище, член учебного комитета при Святейшем синоде кол-  
лежский советник Зинченко в отчете своем об исполнении  
возложенного на него поручения, свидетельствуя, что учебное  
дело в сем училище... поставлено весьма удовлетворительно,  
присыпывает это усердной педагогической деятельности смо-  
трителя сего училища Гогебашвили.

В виду такого заявления ревизора о заслугах означенного  
смотрителя, признавая справедливым ходатайствовать об  
удостоении его соответствующей его заслугам наградой, имею  
честь покорнейше просить ваше преосвященство сообщить  
мне ваш отзыв о том, к какой награде, по вашему мнению,  
мог бы быть представлен Гогебашвили, присовокупив к сему  
и формулярный о службе его список» (ა. ივანე, იაკო გოგე-  
ბაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 35—36).

აღნიშნულ მოწერილობას ეგზარქოს უკავებს ჩეზოლეციას:  
«1872 წ. Декабрь 12 дня Семинарское правление, по справке  
и по рассмотрении, представит мне с своим мнением» (იქვე, გვ. 36).

### 1873

იანვრის 12 — თბილისის სასულიერო სემინარიის პედაგოგიური  
კრება იხილავს სინოდის ობერ-პროკურორის, სახალხო განათლების  
მინისტრის დიმიტრი ტოლსტიოს მოწერილობას იმის შესახებ, თუ რა  
სახის ჯილდოზე შეიძლება იქნეს წარდგენილი სასულიერო სასწავ-  
ლებლის ზედამხედველი იაკო გოგებაშვილი (იქვე, გვ. 173).

თებერვლის 22 — სასულიერო სემინარიის მმართველობას უდგენს  
შუამდგომლობას სასულიერო სასწავლებელში ძველი ენების — ბერ-  
ძნულისა და ლათინურის პროგრამებისა და გაკვეთილების შემცირების  
ნებართვის მიცემის შესახებ (იქვე, გვ. 172).

მარტის 8 — თბილისის სასულიერო სემინარიის მმართველობა სა-  
ქართველოს ეგზარქოსისადმი სინოდის ობერ-პროკურორის მოწერა-

ლობის საფუძველზე მიიჩნევს, რომ გოგებაშვილისათვის, მისი ავად-მყოფის გათვალისწინებით, საუკეთესო ჯილდო იქნება ერთდროული ფულადი დახმარება, რაც მას ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებას მისცემს. მმართველობა აღგენს: მიეცეს დახმარება გოგებაშვილს მისი ერთი წლის ჯამაგირის — 900 მანეთის რაოდენობით (ვერცხლით) (იქვე, გვ. 127).

აპრილის 18 — საქართველოს ეგზარქოსი მიწერილობას უგზავნის სინოდის ობერ-პროკურორს იაკობ გოგებაშვილისათვის ერთდროული ფულადი დახმარების მიცემის შესახებ. ამასთან სთხოვს განკარგულებას ამ თანხის გაცემის შესახებ.

«...препровождая служебной список Гогебашвили, имею честь покорнейше просить ваше сиятельство сделать распоряжение об отпуске ему единовременного денежного пособия в размере годового оклада его жалованья — девятисот рублей сер., присовокупляя, что таковой расход на награду Гогебашвили не может быть отнесен на суммы грузинского церковного хозяйства по причине весьма значительных в настоящее время расходов по случаю преобразования духовных учебных заведений грузинской епархии» (იქვე, გვ. 36).

ოქტომბერი (?) — იაკობის დაუსწრებლად (იგი ამ დროს ავად არის) სასულიერო სასწავლებელს იკვლევს პეტერბურგიდან ჩამოსული რევიზორი კერსეი და სასწავლებლის მთელ საქმიანობას უარყოფითად აფასებს, ხოლო იაკობს სწამებს ათეიისტობას, სეპარატიზმისა და რუსულობიას.

ერთი წლის შემდეგ სემინარიაში არსებული უწესრიგობის გამოსაკვლევად თბილისში ჩამოსულმა მეორე რევიზორმა, ბ-მა კერსკიმ გამოარკეთ სასწავლებელი და სცნო ის მომლილად, ხოლო ჩემი საქმიანობის შესახებ სულ სხვა აზრი გამოთქვა. ვინ იყო მართალი ბ. ზინჩენჯო, თუ ბ. კერსეი? თუ მხედველობაში მიეღებთ, რომ პირველმა მნახა სამსახურის დროს, დაესწრო ჩემს გაკვეთილებს, ხშირად საუბრობდა ჩემთან და საერთოდ შესაძლებლობა პქონდა გამცნობოდა და გამოერკეთ ყველაფერი სასწავლებელში, ხოლო უკანასკნელმა კი მოახდინა რევიზია ჩემი ავადმყოფობის დროს, რომ მას ჩემთვის არ მოუმართავს არც ზეპირი არც წერილობით განმარტებისათვის..» (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 179).

ოქტომბრის ბოლო — ნოემბრის დასაწყისი — ჩევიზორ კერძების უსამართლო განჩინება-დასკვნითა და შანაურთა გაიძერობით ავალ-მყოფი იაკობის ჯანმრთელობა კიდევ უფრო უარესდება. ნერვებაშა-ლილი და დაღლილ-დაქანცული იაკობი თვითმევლელობის განზრახ-ვამდე მიდის. მანამდე კი წერილებს უგზავნის რევიზორ კერსკის, სი-ნობს, ეპისკოპოს გაბრიელს, რომელებშიც ამხელს ეგსარქოს ეკვევის, სემინარიის რექტორ ვალენტინის და მათი დამქაშების ბოროტმოქმე-დებებს.

იაკობის სასოწარევეთილებას, მის გამომწვევ მიზეზებს მისი ბიო-გრაფი ნიკო ლომოური ასე გადმოგვცემს:

„ათასნაირი გაიძერაობა ობობას ქსელივით შემოეხვია იაკობს ვარშემო.

შინაურმა მტრეპმაც მრისხანებით წამოჰყო თავი: სიცხემა და ხველამ უმატა. ხშირად სისხლიც ამომქონდა ნახველში იაკობს ახლა-კი მოაგონდა თავისი ძეველებური ფრთხილი ცხოვრება. შრომას უკ-ლო, გავვეთილებს აკლდებოდა, შინიდან კარზე ხშირად ვეღარ გა-მოლიდა. რაკი ცოცხალ საქმეს ერთგული თვალ-ყურის ჭერა მო-აკლდა, მრუდე ხელმა იწყო ფარულად მოქმედება. კანცელარია სრუ-ლიად აურ-დაურიეს, შესავალ-გასავლის წიგნები მოჰპარეს, სხვა და სხვა საბუთის ქალალდები მისჩქმალეს. ავადმყოფი ხედავდა ვეღა-მას, მაგრამ რას იზამდა? ნერვები საშინლად აეშალა. იაკობის ოთა-ხიდან ხშირად ისმოდა გაჭირვებული ძახილი, მუქარა, წყველა-კულვა.

მძლავრი გონება აფორიაქებულმა ნერვებმა დაიმორჩილეს. სე-შინარიელები ყოველ დღე დაღიონდნენ სასწავლებელში და მუდამ ერთი მეორეზე შემწუხებელი ამბები გამოქინდათ. ერთ დღეს გაის-მა — იაკობ გოგებაშეილი სადღაც დაკარგულაო. შიშის ზარიეთ მო-კლო ეს ხმა სემინარიელების სულსა და გულსა წამს მოელი უზარ-მაშარი შენობა სემინარიისა დაცარიელდა. გუნდ-გუნდად მოეღვნენ მოსწავლენი თბილისის გარშემო მდებარე მთა და ბარსა. ანტონ უურცელაძე, ნიკო ცხველაძე და გიორგი იოსელიანი ეტლებით დარ-ბოლნენ აქეთ-იქით. მტკვარში რამდენიმე მეთევზე ნავებით დაცუ-რავდნენ და ეძებდნენ დაკარგულის გვამს. ასე გაგრძელდა საღა-მომდე.

შზის ჩასვლისას საიდანლაც გაისმა სანუგეშო ხმა — იაკობი ცო-ცხალია. საღამოს რეა საათი იქნებოდა, როდესაც სემინარიაში მოვა- 30

და სანდრო ცხვედაძე, უმცროსი ძმა ნიკოსი, სახალხო სკოლის შპს-წავლებელი, მხნე და ერთგული მეგობარი გლეხ კაცისა, კოვლად პა-  
ტიოსანი ადამიანი, და გვიამბო შემდეგი: შუა დღე იქნებოდა მოტანე-  
ბული, როცა მე რაღაც საქმისთვის კერის სასაფლაოს გადასწროვ  
დაღმართზე ჩივდიოდი ძირსაო. მარცხენა ნაპირიდან ვიღაც მოადგა  
მტკვარსა და ისე, გაუხდელი, შევიდა წყალშიო...“ (კრებული „იაკობ  
გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, გვ. 24—25).

ოქტომბერ-ნოემბერი(?) — გამოდის „ბუნების კარის“ მეორე გა-  
მოცემა მცირეოდენი ცვლილებებით (წიგნს შეცდომით(?)) აწერია შე-  
სამე გამოცემა).

ნოემბერი — ჯანგატეხილ და სულიერად აფორიაქებულ იაკობს  
მუურნალობენ საავადმყოფოში.

იმ სასოწარმკეთი მომენტის შემდეგ „მცირეოდენი მოლაპარაკე-  
ბისა, იაკობი მიხეილის საავადმყოფოში დაებინავებინათ.

ორიოდე კეირის შემდეგ ვნახე იაკობი სულით ავადმყოფთა გან-  
ყოფილებაში. დილის ათი საათი იქნებოდა, — იგონებს იაკობის ცხოვ-  
რების მემატიანე ნ. ლომოური, — როდესაც მის თთახში შევედი. გამ-  
ხდარ-გაყიდოლებულ სახეზე სევდიანად გამოიყურებოდნენ მისი და-  
ღონებული ოვალები. მაგიდაზე კარგა მოზრდილი რეეული ედო. პირ-  
ველ ფურცელზე დიდი ასოებით ეწერა „კონა“.

— წიგნს ვადგენო, — დაბალის ხმით წარმოსთქვა იაკობმა: —  
„დედა ენიდან“ „ბუნების კარზე“ გადასვლა მნელია მოსწავლისათვის.  
მინდა შევადგინო ისეთი წიგნი, რომელიც ხიდად გაედება მოხსენებულ  
ორ სახელმძღვანელოს შუა.

ეს აზრი, როგორც ვიცით, ვერ გაუმართლდა იაკობს. „კონა“ დაი-  
ბეჭდა, მაგრამ სახელმძღვანელოს მნიშვნელობა ვერ მოიპოვა: დარჩა  
საყითხავ წიგნათა. ერთი თვის შემდეგ იაკობმა საავადმყოფოს თავი  
დაანება. იგი დაბინავდა თავის ერთგულ მეგობარ ნიკო ცხვედაძეს-  
თან, მთაწმინდაზე“ (იქვე, გვ. 25—26).

ნოემბრის 30 — გაზეთი „დროება“ (№ 400) ბეჭდავს ნიკო ნიკო-  
ლაძის მეორე რეცენზიას (ნ. სანდელის ხელმოწერით) იაკობის „ბუ-  
ნების კარის“ შესახებ, რომელშიც ზედმეტად მკაცრად და დაუმსა-  
ხურებლად არის გაქიტიკებული იაკობის წიგნი.

„ეს წიგნი, თავიდან დაწყებული ბოლომდე, ძველ სხოლასტიკურ სისტემით არის შედგენილი... მთელი წიგნი მძიმე ენით, უზალისოდ, უსულოდ არის დაწერილი, მერე ისე, ყმაწვილს კი არა, ნასწავლასაც კი გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება“.

ამასთან, რეცენზია წინააღმდეგობრივიცაა: „როცა ეს ახირებული წიგნი პირველ ჯერ გამოიცა, ჩვენ სრული თანაგრძნობით ვისურვეთ მისი გავრცელება და წარმატება(?) მაშინ ჩვენს მდგომარეობაში ეს წიგნი — პირველი საკითხავი წიგნი, ქართულ ენაზე გამოცემული — მართლაც ხეირიან მოვლენას წარმოადგენდა და ჩვენ — ამის გამო — მის ნაკლოვანებებზე და სუსტ მხარეებზე ხმა არ უნდა ამოგველო — მით უფრო ეს პირველი ცდა იყო, პირველი ნაბიჯი ჩვენი პედაგოგიური მწერლობისა“.

ნოემბერ-დეკემბერი — თბილისის სასულიერო სემინარიის რექტორის — ვალენტინის მიერ შეკრებილი ცნობებითა და წარდგინებით იაკობ გოგებაშვილი, ვიორგი იოსელიანთან, თომა ტურაშვილთან, ნიკო და კონსტანტინე ცხვედაძეებთან ერთად შემყავთ საზოგადოებრივი სამსახურისათვის არასაიმედოთა სიაში. იაკობს სამსახურიდან ითხოვენ.

« გოგებაშვილის შესახებ წარდგენილი ცნობები: «... 2 года учился в Киевской духовной академии и уволен из оной по болезни не окончивший курса. 1864 года был определен учителем Тифлисского духовного училища, а 1868 года в октябре определен смотрителем оного училища. 1 ноября 1873 года заявил себя сумасшедшим и имеющим покушение на собственную жизнь; до 3 ноября проживал неизвестно где; 3-го ноября найден неизвестно где и теперь находится в городской тифлисской больнице» (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, ღონიშვილი. მასალები, 1951, გვ. 38).

„...მძიმე ავაღმყოფი შეეიქნი, — იაკობი, — ფილტვებიდან სისხლის დენა მქონდა, და უკიდურესად დაძაბულობის გამო, ამას საშინელი უძილობაც დაერთო. ამას დაემატა ჩემი სამსახურიდან დათხოვნა მესამე მუხლის ძალით“<sup>1</sup> (თხ., ტ. 4, გვ. 393).

<sup>1</sup> როგორც პოლიტიკურად არაკუთხლ-საიმედო.

\* \* \*

— გამოდის მეექვესე გამოცემა წიგნისა: „ქართული ანბანი და პირ-პირი კელი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“.

1874

ზამთარი — გაზაფხული — სამსახურიდან დათხოვნილი იაკობი ბინად არის თავის ერთგულ მეგობარ ნიკო ცხვედაძესთან.

მეგობრებისა და კუთილი ადამიანების ხელშეწყობით იაკობის სულიერი მდგომარეობა კალაპოტში დგება.

„ზამთარი იყო, იაკობის სანახავად მივედი ამ ბინაზე. გაჩაღებული ბუხრის წინ იჯდა და რაღაც ქაღალდებსა სინჯავდა. ფერი მოსკლოდა, სახე დამშეიდებოდა. მხიარულად მომეგება, — იგონებს 6. ლომოური და განაგრძობს, — რამდენიმე წამის შემდეგ სახლში მოვიდა ნიკო და თან შემოიტანა თავისი ჩვეულებრივი მხიარულება და აღფრთოვანება.

— როგორ ხარ, იაკობ? — კარებიდანვე შემოსძახა მეგობარს.

— აი ეს წყეულები მაწუხებენ, — უპასუხა იაკობმა, — მინდა თავიდან მოვიშორო.

სთქვა თუ არა ეს, მავიდიდან აკრიფა მოელი ბლუჯა დაწერილი ქაღალდებისა და გაჯავრებით შექყარა გაძლიერებულ ბუხარში.

— რა იყო იაკობ? რა ქაღალდები უთვავაზე ამ ჩვენ შნიარულ ბუხარსა? — ჰკითხა ღიმილით ნიკომ.

— დავწეი ჩემი გეგმები, რომ უკან დაბრუნება აღარ შემეძლოს, — წარმოსთქვა იაკობმა. ატესტატი სემინარიისა, მოწმობა აკადემიისა, სამსახურის სია და სხვა საბუთის ქაღალდები ყველანი ცეცხლს მივართვი ძლიერადა. ვაი თუ მაგათის წყალობით შემდეგ როდისმე გამოვიძებოდა სურეილი სამსახურში შესელისა. ამიერიდან მოელი ჩემი სიცოცხლე, ძალა და ღონი ჩემს ქვეყანას მოვახმარო“ (კრებული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, გვ. 26).

— იაკობი ასრულებს წინა წლებში დაწყებული წიგნის — „საყმაწვილო კონას...“ შედგენას და დასაბეჭდად გადასცემს სტამბას.

ამ წიგნის შესახებ იაკობი იგონებს: „...სამოციანს წლებში, ზოგი ქართული ოჯახები ნამდვილს ცენტრებს წარმოადგენდნენ, სადაც

3 ა. გორგაძე, 6. გურგენიძე, 8 საჯაა

იქრიბებოდნენ მცენის და ახალის თაობის საუკეთესო წარმომადგენელი.

ამგვარ ოჯახთა შორის თვალსაჩინოდ განირჩეოდა ოჯახი იოსებ მამაცაშვილისა. აქ.-რუსთავან მუდმივ დამსწრე იყო... ცნობილი პედაგოგი სიმონოვიჩი თავისი ნიჭიერი და განვითარებული მეუღლით, რომელმაც დაარსა უკრნალი «Детский сад» და რომლის დახლოებით დამებადა აზრი შემედგინა და გამომეცა — „კონა“ პირველ დაწყებით მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებილგან“ (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 391—392).

იანვრის ბოლო — „სასოფლო გაზეთი“ (№ 2) აქვეყნებს ბიბლიოგრაფიულ ცნობას: „ისყიდება ქართული ანბანი და პირველი საექსავი წიგნი ყმაწვილთათვის ... იქვე ისყიდება „ბუნების კარი“.

ივნისი-სექტემბერი — ავადმყოფი. იაკობი სამურნალოდ იმყოფება აბასთუმანში. იგი უკმაყოფილოა სეზონით.

„აბასთუმნის საზოგადოებას საფუძველი აქვს იყოს უკმაყოფილო ახლანდელი სეზონით. ამ ზაფხულის მკერრმა ატმოსფერულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად შეამცირა მთის შესანიშნავი ბუნების კუთილნაყოფიერი გავლენა და ცული გავლენა მოახდინა მოაგარეთა ჯანმრთელობაზე. მოაგარაკენი თითოეულ უქსის ნაბიჯზე უჩიეიან გაცივების გამო გამოწვეულ ავადმყოფობას, რამაც დაუკარგა მათ იმედი ჯანმრთელობის აღდგენისა და გამაგრებისა. შოელი ივნისი და ივლისის პირველი ათი დღე ისეთი წვიმიანი და ცივი იყო, რომ ბინებში ღამდამობით ცერცხლის წყალი 8 გრადუსამდე ეშვებოდა... ეს იყო ნამდვილი უბედურება იმიტომ, რომ ასასთუმნის ბინების დიდი უმეტესობა წარმოადგენს უბრალო ქოხებს... შემდევ კი უცეცრად ისეთი სიცხეები დაისირა, რომ ჩრდილში დღისით ტემპერატურა 25 გრადუსს აღწევდა... 20 ავგვისტოდან კვლავ დაატყდათ თავს ცვალებად შემოდგომის ღროის ყოველგვარი უსიამოვნება. მაგრამ ატმოსფერული ცვლილებანი ერთადერთი მიზეზი როდია, რამაც მავნე გავლენა მოახდინა მოაგარეთა ჯანმრთელობაზე“ (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 15).

ივლისის დასაწყისი(?) — წერილს უგზავნის კირილე ლორთქიფანიძეს აბასთუმნიდან. სთხოვს უყიდოს და გაუგზავნოს წიგნები, მათ შორის თავისი „ქართული ანბანი“, ეკითხება თავისი წიგნის „საყმაწ-

ვიღო კონას...” ბეჭდეის მოგომარეობას და სთხოვს „დროების“ შემ-დგომ ნომრებში შემდეგი ბიბლიოგრაფიული ცნობის გამოქვეყნებას: „იბეჭდება და შემოდგომაშე გამოვა გასასყიდად „საყმაწვივლო კონა“ ანუ პირველ დაწყებითი მოთხოვობანი ბუნების მეცნიერებიდგან, პირ-ველი ნაწილი, შედგებაშვილისაგან“. (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 311).

იქლისის მეორე ნახევარი — განმეორებით უგზავნის წერილს აბასთუმნილან კირილე ლორთქითანიძეს. სთხოვს გაზეთ „დროებაში“ დაბეჭდოს შეუცვლელად შემდეგი სტრიქონები: „ჩვენ ამ წინაშედაც გვქონდა გაერთიანებით ი. გოგებაშვილისაგან და ახლაც დამტკიცებით შეეტყვეთ მისგან, რომ ის თავის სახელმძღვანელოებს: ანბანს და პირველ საკითხავ წიგნსა დარიგებით, — თუ როგორ უნდა იხმარებოდეს ეს წიგნი (ეს დარიგება ცალკე ბროშურათ არის დაბეჭდილი), ბუნების კარსა, ახლათ შედგენილ წიგნსა, რომელიც იბეჭდება, და ყველა სახელმძღვანელოს, რომელსაც კი ის შემდგომში შეადგენს, სდებს სახალხო შეკოლების სრულ და წაუცილებელ საკუთრებათ. — მაგრამ რომ ამ გადაწყვეტილებამ შესაფერი სარგებლობა მოუტანის ჩვენ სახალხო შეკოლებს, საჭიროა, რომ ახლავე, დაუგვიანებლივ, შესდგეს კომიტეტი წერა-კითხვისა და მიიღოს თავის მზრუნველობის ქვეშ სახელმძღვანელოების ბეჭდება, მათი გაერცელება და იაფ-ფასით გაგზავნ-გამოგზავნა შეკოლებში“. — მე ჩემი გადაწყვეტილების საქვეყნოდ გამოცხადება აქამდის არა მსურდა, მაგრამ რაღაც ამ განცხადებას შეუძლია წერა-კითხვის კომიტეტის დაარსება ბევრათ დააჩქაროს, ამიტომ საჭირო შევრაცხე „დროებაში“ მისი დაბეჭდვა“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 312).

ი. გოგებაშვილის ზემოთ აღნიშნული სტრიქონები თითქმის უცვლელად იბეჭდება გაზეთ „დროების“ № 434-ში, 2 აგვისტოს.

აგვისტო — „სასოფლო გაზეთი“ (№ 15—16) და „გუთნის დედა“ (№ 15) ბეჭდავენ ბიბლიოგრაფიულ ცნობას — „იბეჭდება და მოკლე დროში გამოვა „საყმაწვილო კონა“, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან.

აგვისტოს 4 — წერილს უგზავნის ნიკო ლოლობერიძეს აბასთუმნიდან, ეკითხება „საყმაწვილო კონას“ ბეჭდვის მდგომარეობისა და გაზეთ „დროებაში“ გამოსაქვეყნებელი მისი განცხადების დაუბეჭდველობის მიზეზზე (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 336—337).

აგვისტოს ბოლო — წერს კორესპონდენციას აბასთუმნის საკურორტო სეზონისა და ანა მუსხელიშეიღის მზრუნველობით გახსნილი ახალციხის ქალთა სკოლის მდგომარეობის შესახებ და გამოსაქვეყნებლად გზავნის „დროების“ რედაქციაში. წერილს „აბასთუმნანი, 24 აგვისტოს“ ხელმოწერით „დროებით აბასთუმნელი“ აქვეყნებს ვაჟეთი „დროება“ 13 სექტემბერს № 434-ში.

სექტემბრის 3 — ზემოთ აღნიშნული კორესპონდენციის უფრო სრულ ვარიანტს რესულ ენაზე გზავნის გაზეთ „ტიულისი ექსტრიქში“, რომელიც ხელმოუწერლად ქვეყნდება ამ გაზეთის №89-ში სათაურით: «Абас-Туман».

სექტემბრის ბოლო (?) — იაკობი აბასთუმნიდან სოხუმში მიემგზავრება სამჯურნალოდ.

სექტემბრის 29 — წერილს უგზავნის საზღვარგარეთიდან თბილისში ახლად დაბრუნებულ სერგეი მესხს. სოხოვს დახმარებას „საყმანვილო კონას...“ ბეჭდვის დასაჩქარებლად და ამ წიგნზე ზარაფოვის მიერ დაწესებული პრემიის მისაღებად.

„უნდა მწარმოედ ედაც ცოტა იზრუნოთ. საქმე იმაშია, რომ თუ ამ მწარმოებელმა ზარაფოვისაგან გამოცხადებული პრემია არ მიიღო, საწამლავის შოენა სრულიად საჭირო აღარ დარჩება, — მის როლს აასრულებს შიმშილი. ყველაზედ ცუდი ამ შემთხვევაში იქნება ის, რომ შემდგომი წლისათვის ჩვენ შეკონტაქტობით მიიღოთ მაგრამ განა მარტო შემდგომი წლისათვის? ამიტომ მე იმედი მაქვს, რომ შენ ყოველ ღონისძიებას იხმარებ, რათა ზარაფოვმა თავისი გადაწყვეტილება აღასრულოს“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 325).

ნოემბრის 22 — სოხუმიდან წერილს უგზავნის სერგეი მესხს. ესაუბრება სოხუმის ამბებზე, რომელსაც ს. მესხი აქვეყნებს გაზეთ „დროების“ № 451-ში კორესპონდენციის სახით.

„მმაა სერგეი! ვერ წარმოიდგენ შენ, რა უკმაყოფილო განკვირვებაში მოვედი მე, როცა 28-ს [უნდა იყოს 29-ს] ნოემბრიდგან „დროების“ ნომერში წავიკითხე დაბეჭდილი, რასაკვირველია შეცვლით, ის სტრიქონები, რომლებიც მე კერძოდ წერილში მოგწერე...

სწორედ ვითხრა ძალიან გაჯავრებული ვარ შენზედ“ (თხზ., ტ. 9,  
1962, გვ. 326).

ვარებული  
მიმღებელი

ნოემბრის 29 — გაზეთ „დროების“ № 451-ში გაზირის რედაქტორი სერგეი მესხი ბეჭდავს კორესპონდენციალ იაკობის პირადი წერილიდან ამოკრეფილ სტრიქონებს.

დეკემბრის დასაწყისი — გაზეთ „დროებისათვის“ წერს წერილს სოხუმის კლიმატური პირობებისა და მისი სამუშალო თვისებების შესახებ, რომელსაც უგზავნის „დროების“ რედაქტორს სერგეი მესხს.

დეკემბრის 10 — სოხუმში სამუშალოდ მყოფი იაკობი წერილს უგზავნის სერგეი მესხს. პპირდება წერილების გამოგზავნას გაზირისათვის სოხუმისა და აფხაზეთის შესახებ. აცნობებს თავის ჯანმრთელობის მდგომარეობას, სთხოვს გაზეთების გაგზავნას.

„ამ წერილებს მე ბევრს დროს ვერ მოვახმარებ, ამიტომ სუმბუქი ხასიათი ექნებათ, მაგრამ სოხუმზედ კი და აფხაზეთზედ მთელ წარმოდგენას მისცემენ ქაითხველებასა... რაც შეეხება ჩემ მდგომარეობას, იგი იმდენათ უკმაყოფილოა, რომ ყოველ დღე შეიძლება საჭირო დარჩეს ჩემი ღოშპიტალში გადასვლა. სან ერთი სენი, ხან მეორე და ხან მესამე მოსვენებას არ მაძლევს“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 327).

დეკემბრის 20 — გაზეთ „დროების“ რედაქტორი სერგეი მესხი აქვეყნებს წერილს „ქართული სახელმძღვანელოები (ზარაფოვის ჯილდო)“. რომელშიც მეოთხეველს აუწევს, რომ ზარაფოვის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილმა „საყმაწვილო კონკამ“ და დამსახურა ზარაფოვის ჯილდო.

„თითქმის წელიწადზე მეტია, რაც უფ. სტ. ზარაფოვმა ჩვენს გაზირში გამოაცხადა, რომ ვინც ჩვენი სახალხო შეკლებისათვის სახელმძღვანელოებს შეადგენს, ოც თუმანს პრემიას მიიღებსო და ამის გარდა შედგენილ სახელმძღვანელოებს ჩემის ხარჯით გამოვსცემო. ეს საქმე უფ. ზარაფოვმა „დროების“ რედაქტორის მიანდო, რომელსაც ამგვარი კომისიის შედგენა უნდა ეკისრა... ამორჩეულ იქნა ექვსი კაცისაგან შემდგარი კომისია... ამ სახელმძღვანელოებიდამ კომისიამ ჯერჯერობით მხოლოდ ერთი წიგნი იცნა უფ. ზარაფოვის პრემიის ღირსაღ; ეს არის „საყმაწვილო კონა“ უფ. ი. გოგებაშვილისა, რომელიც კიდევ დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა“ („დროება“, 1874, № 254).

წლის ბოლო — გამოდის იაკობის მიერ შედგენილი „საყმაწვილო კონა პირველ-დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან“. ნაწ. პირველი. ტფ., ზარაფოვის, გამოცემა, ვ. ხელაძის სტ., 1874. IV, X, 186 გვ.

„დაიბეჭდა და მოკლე დროში გამოვა გასასყიდად „საყმაწვილო კონა...“ (დროება, 1874, № 453; 1875, № 1).

წიგნს ახლავს მიძღვნა: „ძვირფასს ხსოვნას გერასიმე სეიმონის ძე კალანდარიშვილისას ღრმა პატივის ცემით/სწირავს ამ მცირე ნაშრომს შემდგენელი“.

წიგნი განკუთვნილია სკოლის გარეშე საკითხეავ წიგნად. მასში შეტანილია 77 მოთხრობა. წინასიტყვაობაში, რომელიც გამიზნულია მშობლებისა და მასწავლებლებისათვის, იაკობი თავის წიგნს ასე ახასიათებს:

„მხოლოდ მცირე ნაწილი მოთხრობებისა არის ორიგინალური. უმეტესი ნაწილი კი ამოღებულია სხვა წყაროებიდან, რომელთ შეაპირებული ადგილი უჭირავთ ვაღნერის მოთხრობებსა ბუნების ისტორიიდან. მაგრამ ეს უკანასკნელი მოთხრობებიც შეუცვლელად არ შევიტანეთ წიგნში. კილო, ფორმა, საცა კი საჭირო იყო, შევცვალეთ: შიგა და შიგ შინაარსი შევამსეთ. თუმცა ზოგიერთა საჭირო მოთხრობების მოქცევა წიგნში ამჟამად ვერ მოვასწარით და თუმცა საზოგადოდ წიგნი ... ვერ ასცილდა ამ ნაკლულოვანებათა ... მაგრამ ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნს მცოდნე პირი მაინც მაღლა დააყენებენ ვაღნერის მოთხრობებზედ ბუნების ისტორიიდან, რომელთაც ევროპის საყმაწვილო ლიტერატურაში პირები ადგილი უჭირავთ... ასევე პაზრი შესახებ ამ წიგნისა წარმოსთვეებს ზოგიერთა მცოდნე პირებმა, რომელთაცა პქნდათ შემთხვევა ხელთნაწერი რვეულები წაეკითხათ“ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 316—317).

— წლის ბოლო თვეებში იაკობი მუშაობს თავისი სახელმძღვანელოების შეესებაზე. აქ, სოხუმში ესახება აზრი იაკობს „დედა ენის“ შედგენისა და იწყებს მასალების შეგროვებას. სოხუმიდან გამოგზავნილ წერილში იაკობი სერვეი მესხს სწერს:

„მესამე სათხოვარი შენთან კინადამ დამავიწყდა, რომ არ მაგონებოდა, ბევრს ვინანებდი შემდეგში, რაღვანაც საჭირო საქმეს შეეხება. აი რაშია ძალა: სახელმძღვანელოსათვის მე ლექსები სრულიად არა მაქვს. ზოგს ჩვენი პოეტები მითარგმნიან, მაგრამ მაინც საყმა-

რისი არ იქნება მათი ნაშრომი. მე მახსოვეს „დროებაში“ ხან და ხან იძეჭდებოდნენ იმ გვარის ლექსები, რომლებიც ან მთლათ, ან ნაწყვეტი ნაწყვეტათ ბავშვებისათვის გამოიგებიან. გეთაყვა, სერგეი, გადაკვლე თვალი „დროების“ ნომრებს ძველი განვითარებილი აქამიშვე, ამოარჩირ ის ნომრები, რომლებშიაც ნახო საყმაწვილო ლექსები და გამოიგზავნე. მე ამოვსწერავ, რაც საჭიროა, და ისევ უკან დაგიბრუნებ“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 326).

— ამ წელს სასულიერო სასწავლებლებში გამოსაყენებლად აკრძალება „ბუნების კარი“, როგორც მისი შემდგენლის ი. გოგებაშვილის, პოლიტიკურად არასაიმედო პიროვნების, მესამე მუხლის ძალით სამსახურიდან მოხსნის გამო.

„ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ „ბუნების კარის“ ხმარება ერთგვარ სასწავლებლებში აკრძალული იქნა ამ ორი წლის წინათ...“ („დროება“, 1876, № 40).

## 1875

იანვარი-მაისი — იაკობი სოხუმშია სამურნალოდ. მუშაობს „დედა ენის“-სათვის მასალების შეკრება-დამუშავებაშე.

„...1875 წელში მე იძულებული ვიყავი რვა თვე მეცხოვრა სოხუმში ფალტვების და ნერვების ავადმყოფობის გამო...“ (თხ., ტ. 3, 1954, გვ. 316).

იანვრის 5, 8 — ქვეყნდება იაკობის წერილი „სოხუმი, 10 დეკემბერი“, სადაც განხილულია: სოხუმის ყურე — ბუნების სურათები სოხუმის გარშემო — მისი მდებარეობა და პავა — ჰლექი და სოხუმის პავა — ფაქტების წინააღმდეგობის შესახებ ამ პავით მკურნალობისა — ორ ესკულაპს შუა მამლაყინწური ომი — სიმრთელის აღმაშენებელი მხარეები სოხუმის პავისა — რომელ შემთხვევაში ხდება სოხუმის პავა ჰლექის მორჩენის წამალი. წერილი ხელმოუწერელია („დროება“, 1875, № 3, 4).

იანვრის 22 — გაზეთი „დროება“ (№ 10) მკითხველებს განმეორებით აუწყებს „საყმაწვილო კონას“ გამოსვლას.

ოებერვლის ბოლო — მარტის დასაწყისი — გაზეთი „დროება“

(№№ 24—26, 29, 30) ბეჭდავს გ. კურდლელაშვილის მეცნისა და ქა-  
უმსახურებელ რეცენზია-მიმოხილვას „საყმაწვილო კონაზე“.

ი. გოგებაშვილს რეცენზირითისათვის არ უპასუხნია „...უპასუხოდ  
დავსტოვეთ კრიტიკა: ბ. კურდლელაშვილისა „კონის“ შესახებ...“  
(თხ., ტ. 2, 1954, გვ. 78).

მაისი — სოხუმიდან იაკობი მიემგზავრება თავის სოფელ ვარიან-  
ში. აქ იგი მუშაობს „დედა ენის“ შედგენაზე. მოსახლეობაში იწერს  
ხალხური შემოქმედების ნიმუშებს.

„როცა „დედა-ენას“ ვაღვენდით, ჩვენ გადავსახლდით სოფლად,  
ვაგროვებდით ქალებისა და კაცებისაგან ლექსებს, ზღაპრებს, თქმუ-  
ლებებს, ანდაზებს, გამოცანებს და ვიმყოფებოდით მთლად და საესე-  
ბით სახალხო პოეზიის პიპნოტიურს გავლენის ქვეშ“ — იყონებს შემ-  
დგომში იაკობი.

„...ჩვენს სახელმძღვანელოში — „დედა-ენა“ — ბლომად არის მოქ-  
ცეული ხალხური ლექსები და ზღაპრები. უმეტესი წილი ამ ნაწარმოე-  
ბისა ჩვენ მიერ არის შეკრებილი სოფელს ვარიანში ოც-და-ათის  
წლის წინად და შემდეგ ჩართული „დედა-ენაში“ (თხ., ტ. 4, 1955,  
გვ. 187).

იაკობი მთელ ზაფხულს ვარიანში რჩება, მხოლოდ შემოდგომაზე  
ბრუნდება თბილისში და ებმება საზოგადოებრივ საქმიანობაში. კერ-  
ძოდ, იაკობი აქტიურად ზრუნავს წინა წლებში აღძრული საკითხის —  
წერა-კითხვის საზოგადოების დასაარსებლად.

„სოხუმიდან გაზაფხულზე გავემგზავრე ჩემს სოფელს ვარიანში,  
საღაც დავყავ შემოდგომამდინ.

როცა თბილისში ჩამოვედი, მაშინვე გავემგზავრე თულაშვილთან  
და ვეითხე: შენი სიმამრისაგან მიიღე თუ არა მეთქი დაბარებული  
წესდებულება, და მან მიპასუხა: წელიწადზედ მეტია, რაც აი, ამ სტო-  
ლის უჯრაში მიძევს, მაგრამ საქმის დაწყებას არავინ აპირებსო. ამო-  
ვალებინე წესდება, წავიღე თან და ნიკო ცხვედამესთან ერთად საქმის  
განხორციელებას შევუდექით. — პირველი ჩვენი გადაწყვეტილება იყო  
ასეთი: ამ საქმის სათავეში უნდა მოვაქციოთ იმისთვის გვამი, რომელ-  
საც დიდი სახელი და პატივი აქვს ქართულს საზოგადოებაშიც და  
მთავრობის წრეებშიაც... ჩვენ ამისთვის გვამად ვიცანით დიმიტრი  
ივანეს-ძე ყიფიანი... ერთს მშენიერს საღამოს ვეახელით და თან  
მივიტანეთ ნორმალური წესდება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“.

როცა ჩვენი წინადაღება მოისმინა, მხურვალე თანაგრძნობით მიეკუ-  
ბა ჩვენი ძეირუასი მასპინძელი, და ხანგრძლივ მოლაპარაკების შემთხ-  
ვებ გადავწყვიტეთ: ყოველ შაბათს საღამოს შევერებებილიყავით მასთან  
და შეგვემუშავებინა წესდებულება „წერა-კითხვის საზოგადოებისა“  
ქართველთა შორის. გაჩაღდა შაბათის კრებები. ჩემდა სამწუხაროდ,  
მე დაეცესწარი მხოლოდ რამდენსამე კრებას; ზამთრის სიცივემ ისევ  
ამიშალა ფილტვების ავადმყოფობა და შინ დამამწყვდია“ (თხზ., ტ. 4,  
1955, გვ. 393—394).

1876

— ამ წელს იაკობი მონაწილეობს „წერა-კითხვის გამარცელებე-  
ლი საზოგადოების“ წესდების საბოლოო რედაქციაში. დიმიტრი ყო-  
ფიანისა და ნიკო ცხვედაძის მიერ შემუშავებულ საზოგადოების წეს-  
დებაში იაკობის წინადაღებითა და დაუინებითი მოთხოვნით შეაქვთ  
ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მუხლი — სკოლებში სწავლების დედაენა-  
ზე წარმოების შესახებ.

„წესდებულების დამთავრების შემდეგ იგი გამოვართვი ცხვედა-  
ძეს და გულდადებით გადავიყითხე. აღმოჩნდა, რომ მუხლი დედაენა-  
ზედ საგნების სწავლების შესახებ არ შეეტანათ შიგა. როცა მიზეზი  
ვიყითხე, ცხვედაძემ მითხრა, რომ დიმიტრი ივანეს-ძეს აზრით მაგ  
მუხლს მთავრობა არ შეიწყნარებს, წესდებულებას არ დაგვიმტკიცებს  
და საზოგადოებას ვერ დავაარსებოთ. მე ვუპასუხე: თუ ეგ მუხლი  
არ იქნება მოქცეული წესდებაში, საზოგადოების დაარსება ამათ იქ-  
ნება, რადგანაც ბიუროკრატიას უფლება მიეცემა სწავლება საზოგა-  
დოების სკოლებში რუსულ ენაზე მოითხოვოს, და მაშინ ჩეენი სა-  
ზოგადოება ქართველის ხალხის განათლებას კი არ გაუწევს სამსა-  
ხურს, არამედ მის გადაგვარებას და მის გონიერების დაბნელებას დაქ-  
მარება მეთქი“. და მაშინვე ჩემი ხელით წესდებულებაში, რომელიც  
დაწერილი იყო ცხვედაძის მიერ შავად, ჩავურთე შემდეგი პარაგრაფი:

«Общество достигает своей просветительной цели посредством организации всего начального обучения на родном, понятном детям языке и способствует обучению русскому языку» (თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 394).

პარაგრაფის 23 — გაზეთი „დროება“ (№ 40) ბეჭდავს და დაინია-  
შვილის „შენიშვნას“ [ხელმოწერა: ღ-შვილი], რომელშიც აღნიშნუ-

ლია 0. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების „ქართული აზანის“<sup>1</sup> და „ბუნების კარის“ სწრაფი გავრცელება.

ეროვნული  
სახელმძღვანელო

მაისი-ივნისი (?) — იაკობი „დედა ენას“ განსახილებულად და სკოლებში სახმარებლად უდგენს ლიტერატურთა და პედაგოგთა კომისიას. ეს უკანასკნელი „დედა ენას“ იწონებს სახელმძღვანელოდ და აჯილდოებს. წიგნს „ზარაფიშვილის პრემიით (წიგნის დაჯილდოების შესახებ გოგებაშვილი მიუთითებს „დედა ენის“ წინასიტყვაობის მინაწერში): P. S. ეს წიგნი დაჯილდოებულ იქნა სტეფანე ზარაფოვის პრემიით, თანახმად გადაწყვეტილებისა მით კომისიის წევრებისა, რომელიც რამდენიმე წლის წინეთ შესდგა ქართული სახელმძღვანელოების გასასინჯველათა“).

„დამწერმა იგი დაბეჭდა და წარუდგინა კერძო ქართველ ლიტერატურთა და პედაგოგთა კომიტეტსა (მაშინ არ არსებობდა არც „წერა-კითხების საზოგადოება“ და არც სააზნაურო სკოლა), რომლის თავმჯდომარედ იყო, როგორც გვახსოვს, ყველასაგან პატივცემული კარილე ბეჟანის ძე ლორთქიფანიძე. ამ კომიტეტმა მოიწონა „დედა-ენა“ და სცნო იგი ღირსად ზარაფიშვილის ოცუმნიანის პრემიისა... კომიტეტის გადაწყვეტილების შემდეგ „დროებაში“ დაბეჭდა რეცეზია „დედა-ენის“ შესახებ ერთმა ახალგაზრდა ქართველმა, რომელიც რამდენისამე წელიწადს შვეიცარიაში სწავლობდა, სხვათა შორის, პედაგოგიას და სკოლის საქმეს, და დაადარა იგი საუკეთესო სახელმძღვანელოებს ეკრობისა. ამასთანავე რეცეზია დაბეჭდა «Тифлисский вестник»-ში ერთმა ქართულის ენის მასწავლებელმა. მხოლოდ ამის შემდეგ წარუდგინა ავტორმა „დედა-ენა“ მთავრობას მოსაწონებლად... მან ამ წიგნის განხილვა და დაფასება მიანდო... ცისკაროშვილია [ჩენი ღრმა რწმენით უნდა იყოს ტატიშვილი] და გიორგი ნიკოლოზის ძეს იოსელიანია. ამათ ვრცელი მოხსენება მიართეს ამ საგანზედ, წიგნი დასახეს ფრიად სასარგებლო სახელმძღვანელო!

<sup>1</sup> თვეთ იაკობი გრძნობდა წიგნის ნაელვანებებს და „დედა ენის“ წინასიტყვაობის დასასრულს აღნიშნავდა: „თუმცა ამ წიგნის შეღენაზე ერთგულად და კანანი ეშრომეთ, მაგრამ ყოველგვარი სისრულით მაინც ვერ შევამეტ და ზოგიერთი ნაელვანებანი მაინც ვერ ავითავდეთ“ და შემდეგ „ვინც ამ წიგნის ნაელვანებებს ჩენთვის სასაკუებურო სენათ ჩასთელია, ამას ჩენ მოვაგონებთ, რომ გამოჩენილი პედაგოგები ერთხმით სთელად პირველი საბავშვო წიგნის შეღენას უძრეს საქმეთ მოედ პედაგოგიაში, მაშინაც კი, როდესაც ხალხური ლიტერატუ-

და იგი მოწონებულ იქმნა სკოლებში სახმარებლად. ეს ვრცელი მოხსენება შემდეგ დაბეჭდა ბ-ნმა ოსელიანმა გაზეთ „კავკაზშირი ულიტონად“ (თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 59—60).

„ჩეკენ შევატყვეთ, რომ „ქართული წიგნების გამომცემელნი“ ამ მოქლე ხანში უფ. იაკობ გოგებაშვილის ახალი სახელმძღვანელო წიგნის გამოცემას აპირებენ, სახელად „დედა-ენა“. ამ წიგნის გამოსაცემი უკლი 6000 მან. გამომცემელთ უფ. სტ. ი. ზარაფულვა შესწირა და ამას გარდა თვითონ წიგნის შემდგენელს პრემიად მისცა 200 მან.“ („დროება“, 1876, 4 ივნ.).

ივნისი — გამოდის „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხევი წიგნი სახალხო შეკვეთისათვის“ შედგენილი ი. გოგებაშვილისავან, გამოცემა პირველი, სურათებით. 1876. XIII, 175 გვ. 30 კ.

ოქტომბრის 22 — იაკობი თხოვნით მიმართავს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს „დედა ენის“ დაწყებით სკოლებში სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ.

«Представляя при сем вашему превосходительству составленную мною учебную книгу на грузинском языке под заглавием «Родной язык», имею честь покорнейше просить... если она по рассмотрении заслужит одобрение, учинить зависящее распоряжение о принятии оной руководством при обучении грузинскому языку в начальных школах, причем нужным считаю присовокупить, что если с педагогической точки зрения будут признаны необходимыми и полезными какие-либо изменения в книге, то оные будут произведены мною с полною готовностью» (ა. ივაძე იაკობ გოგებაშვილი. დოკუმენტ. მასალები. 1951, გვ. 38).

ნოემბრის 17, 19, 21 — გაზეთი „დროება“ (№ № 124, 125, 126) თავის უურცლებზე ბეჭდავს ანონიმი ავტორის ვრცელ რეცეზიას ახლად გამოცემულ „დედა ენის“ შესახებ.

დეკემბერი — თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტის მასწავლებელი გიორგი ოსელიანი კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს

რა შეიცვას მზადებელ მასალას ამ წიგნისათვის. რამდენათ მომტებული უნდა ყველ ეს სიძნელე იქ, სადაც ამგვარი მასალის დამზადებით თავი არავის შეუწეხებია და საჭაც კაცმა თოთქმის არაურიდებან უნდა დაბადოს წიგნი».

წარუდგენს ვრცელსა და დადებით რეცენზიას იაკობ გოგებაშვილის  
მიერ შედგენილ „დედა ენის“ შესახებ (იქვე, გვ. 39—43).

დეკემბრის 19 — გაზეთი „დრობა“ (№ 138) პეტდავს ეფრემ მარ-  
ჯანიძის წერილს „უფ. ი. გოგებაშვილის „დედა ენაზე“.

დეკემბრის 20 — მშობლიურ მხარეში, გორში მყოფი(?) იაკობ  
ამთავრებს ვრცელ კრიტიკულ წერილს «К проекту о бессловест-  
ных учителях» (თხზ., ტ. 1, სათაურით: „მუნჯ მასწავლებელთ  
პროექტის გამო“) და გამოსაქვეყნებლად გზავნის გაზეთში „ტიულის-  
კი ცესტინი“.

დეკემბრის 30 — კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბ-  
ჭო იხილავს იაკობ გოგებაშვილის თხოვნას „დედა ენის“ სახელმძღვა-  
ნელოდ მიღების შესახებ, გორგი იოსელიანის რეცენზიის საფუ-  
ცელზე ადგენს: «Принять эту книгу как обязательное руковод-  
ство при обучении грузинскому языку в начальных школах  
округа» (იქვე, გვ. 38—39).

\* \* \*

— ამ წელს(?) დიდი მონდომებითა და მოწადინებით იაკობი იწყებს  
ხალხური სიმღერების ნოტებზე გადაღების ორგანიზებას სკოლები-  
სათვეს.

„კარ ხანია ამ სტრიქონების დამწერი მოწადინებული იყო ვის-  
თვისმე გადაეღებინა ნოტებზედ ხალხური სიმღერები ჩვენი სკოლე-  
ბისათვის. ეს წადილი ჩემში გაძლიერდა მეტადრე მასუკან, რაც ორის  
წლის წინედ გამოვეცი „დედა ენა“. მასში მოვაქციე ბევრი ხალხის  
ნაწარმოები, რის შეთვისებაც შეეძლოთ ბავშვებს სრული შეგნებით  
და ხალისთა აკლდა მხოლოდ სახალხო სიმღერები, ნოტებზე გადა-  
ღებული... ახლანდელი დროის სკოლა განათლებულ ქვეყნებში ყოვლად  
შეუძლებელია უსიმღეროდ.

ამ აზრით ხელმძღვანელობდით, როდესაც ჩვენ ორის წლის წი-  
ნად შევეღებით ცდასა, რომ უფრო მარტივი მოტივები, ხმები ჩვენი  
ხალხური სიმღერებისა გადაღებული ყოფილიყო ნოტებზედ. მაგრამ  
საქმე მეტად ძნელდებოდა. ვერ ვპოვებდით პირსა, რომელსაც ნოტები  
კარგად სცოდნოდა და ეს შრომა ეკისრნა... ჩვენი გაჭირვების შესახებ

ხალხური სიმღერის ნოტებზედ დაწყობისა შევწივლეთ ელენე დიმიტ-  
რის ასულს ყიფანსა. ჩეენ-და სასიხარულოდ, მან სთქვა, რომ მოვა-  
შრომის კისვრა და შესრულება მეც შემიძლიანო და დიდის სიამოვ-  
ნებით მივიღებ მონაწილეობასათ. გადავსჭერით, რომ მოვლე ხნის  
განმავლობაში შევეღებოდით ჩეენი წადილის ასრულებას. ჩეენ უნ-  
და გვემდერნა, ელენე დიმიტრის ასულს დაწერა ნოტებზედ და შემ-  
დევ ფორტოპანის შემწეობით გადაღებულის სისწორე შეგვემოწმე-  
ბინა... .

ჯერ კიდევ საქმის დაწყების მზადებაში ვიყავით, როდესაც ერთს  
დიღლას მიხეილ მაჭავარიანი მოულოდნელად მოვიდა ჩემთან და თან  
მოიტანა ერთი პატარა რევული ... ეს რევული შეიცავდა ნოტებზედ  
დაწყობილს რამდენსამე სიმღერასა და საგალობელსა. თუმცა ეს სიმ-  
ღერები აღმოჩნდნენ ქალაქური კილოსი ... ჩეენ მეორე დღესვე შე-  
ვეღებით ჩემი მოტივების გადაღებასა ... მე უმღეროდი, მაჭავარიანი  
სწერდა, ბოლოს თეითონ ნოტებზედ გაღობდა და მე უნდა შეცდომა-  
ნი შემენიშნა და გაგვესწორებინა. რამდენიმე თვის შრომის შემდევ  
შესდგა კოლლექცია ოცი საყმაწვილო სიმღერისა“ (თხზ., ტ. 1, 1952,  
გვ. 252—255).

— ბეჭდავს და ავრცელებს „ბუნების კარის“ მესამე, შევსებულ  
გამოცემას ახალი სახელწილებით — „ბუნების კარი ანუ საკითხავი  
წიგნი ყმაწვილთათვის, უმცროს კლასებში სახმარებელი“.

## 1877

იანვრის 5 — გაზეთი „ტიფლისეი ვესტნიკი“ ბეჭდავს იაკობის  
წერილს «К проекту о бессловесных учителях (Письмо из  
Гори)». წერილში აკტორი მკაცრად აკრიტიკებს სწავლებაში მუნ-  
ჯური მეოდიდის მომხრეებს და ასაბუთებს სწავლების ამ ხერხის სრულ  
უვარევისობას.

იანვრის 28, 30 — თებერვლის 2, 4, 9, 11, 13 — გაზეთი „დრო-  
ება“ (ქმ № 11—17) ბეჭდავს გ. კურდღელაშვილის წერილს „სამაგა-  
ლითო პედალოლური გამოსარჩევება ი. გოგებაშვილის „დედა ენა-  
ზედ“.

თებერვლის 11, 12, 14 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ № 31, 32, 33) მეთაურების სახით (Тифлис 11-го февраля, Тифлис 12-го февраля, Тифлис 14-го февраля) ბეჭდავს იაკობის წერილებს სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხების შესახებ (თხ., ტ. 1, სათაურით: „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“).

მარტის 18 — თბილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ნ. ტატიშვილი წერილობით წარუდგენს თავის აზრს სასულიერო სემინარიის მთართველობას ი. გოგებაშვილის „დედაენაზე“ და რეკომენდაციას უწევს მას ყველა სასულიერო სასწავლებელში გამოსაყენებლად.

«Книга Гогебашвили «Родной язык» самое редкое и еще небывалое в этом роде явление в грузинской литературе, но она более замечательна теми особенностями, которые составляют новизну современной нам педагогической литературы...»

В заключение своего отзыва честь имею покорнейше просить правление Тиф. духовной семинарии порекомендовать разобранную мною книгу «Родной язык» Я. Гогебашвили, как удовлетворительную во всех отношениях, по грузинскому языку, всем духовным училищам для первого и приготовительного классов грузинского экзархатства» (ა. ითვალიძე გოგებაშვილი. ღორუმებტ. მასალები. 1951, გვ. 43, 45).

მარტის 20, 21 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ № № 60, 61 მეთაურების სახით (Тифлис, 20-го марта, Тифлис 21-го марта) ბეჭდავს იაკობის წერილებს ქართველი უნის სწავლების საკითხებზე (თხ., ტ. 1, სათაურით: „მშობლიურ ენაზე სწავლების საკითხები“).

პრილის მეორე ნახევარი(?) — იაკობს ირჩევენ წერა-კითხვის საზოგადობის წესდების შემსწორებელ კომისიაში („ცნობის უურცელებელი“, 1904, № 2452).

ივნისი — გამოდის ი. გოგებაშვილის „ქართული ანბანი და პირველი საკითხები წიგნი სახლობაში სახმარებელი“. მერვე ვრცელი და შეცელილი გამოცემა 1877. 64 გვ.

ივნისის 17, 18, 20 — გაზეთი „დროება“ (№ № 74, 75, 77) კ კალმახელიძის ხელმოწერით აქცევნებს იაკობის წერილს სათაურით:

„სამწუხარო მოელენა პედაგოგიაში (პასუხი უ. ნათიევს)“. წერილში დაგმობილია მასწავლებელ აღ. ნათაძის სწავლის სისტემა, რომელიც უარყოფს სწავლებას დედაქანაზე.

„რომელ მიზეზს უნდა მივაწეროთ ამგვარი ღალატი დედა-ენისა ქართველისავე შეიღისაგან, ღალატი, რომელსაც ვერ ვაძლევდა უცხო თემის კაციც-ე? გონების სისუსტეს და სიბნელეს, თუ ზნეობითს სიმახინჯეს, იმ სიმახინჯეს, რომელიც ჩინოვნიკური ერთგულების გამოჩენისათვის არ დაზოგავს არც ერთს დაბალ ღონის-მიებასა? — თუ ორიე მიზეზს ერთათა? არჩევანი მოგვინდევია თვითონ უ. ნათიევისათვის“ (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 51).

ამ წერილის შესახებ იაკობი შემდგომში აღნიშნავს:

„როცა ვირის საოსტატო სემინარიიდგან დასაბეჭდად მოუვიდა 1876 წელში მზრუნველია ქართულ-რუსული ანბანი და პირველ საკითხავი წიგნი, რუსული ასოებით დაწერილი, ნაცელად ქართულისა, ილიამ და მე გადაეწყვიტეთ მასხრად აგვეგღო — იმას „ივერიაში“ და მე „დროებაში“ და კიდეც შევასრულეთ ორივემ და მახინჯი ჩანასახი დედის მეცელში გაწყალდა“ (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 523).

იელისის 7, 8 — გაზეთ „დროების“ №№ 89, 90-ში ქვეყნდება იაკობის „კრიტიკული წერილი — „ერთი მუჭა წიგნი, ათი მუჭა სულელობა, ანუ მდივანოვის ანბანი“ — ხელმოწერით კ. კალმახელიძე.

„ოუმცა მდივანოვის ანბანი არსებობს აგერ თოთხმეტ-თხუთმეტი წელიწალია, მაგრამ მისი წაკითხვა და გაცნობა მხოლოდ ეხლა მოვახერხეს. კაი ხანია მე ისე ვულით არ მიცინია, როგორც ვიცინე ამ წიგნის კითხვის დროსა...“

მაგრამ სიცილი მალე გადამექცა სიმწუხარეთ, როცა მოვიგონე, რომ ეს სასაცილო, სამასხარაო და უგუნურებით სავსე წიგნი ამდენი ხანია იუინება ჩვენ ხალხში და ეხლა მერვე გამოცემით დაბეჭდილია. შეიძლება გამოცემას ბევრი ზარალი და ვნება უნდა მიეცა პატარა და დიდი ქართველების გონებისათვის!...

ჩვენ, რასაკვირველია, მოშორებული ვართ იმ განზრახვას, რომ მდივანოვის ანბანი ვრცელათ გავარჩიოთ. ეს მეტათ დიდი პატივი იქნება მისთვის. ჩვენ გვსურს მხოლოდ გაკერით ზოგიერთა მისი სასაცილო და უაზრო მხარეები გამოვააშეაროთ საქვეყნოთა“ (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 52).

იელისის 23 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ 135) მეთაურის სახით ბეჭდავს იაკობის წერილს (თიფლის, 23-го июля) საშუალო სასწავლებლებში ქართველ მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდის საკითხის შესახებ.

აგვისტო 28 — სოფელ კავთისხევში მყოფი იაკობი ამთავრებს წერილს «Карталиння» ქართველ-სომეხთა ურთიერთობის შესახებ და გამოსაქვეყნებლად აძლევს გაზეთ „ტიფლისკი ვესტნიკი“ რედაქციას.

სექტემბრის 6, 7 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ № 192, 193) ბეჭდავს წერილს «Карталиння» — ხელმოწერით Я. სვიმონიძე.

სექტემბრის 26, 27 — „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ № 209, 210) მეთაურის სახით ბეჭდავს წერილს (თიფლის, 26-го сентября) აფხაზეთის ტერიტორიის შესახებ.

ოქტომბრის 6 — გაზეთ „ივერიის“ № 32-ში იბეჭდება იაკობის წერილი „თბილისის სამხედრო გიმნაზიაში მისაღებ ეგზამენტისა გამო“. წერილის დასასრული იბეჭდება 13 ოქტომბერს № 33-ში. წერილი ქვეყნდება ინიციალებით „გ. ა.“.

წერილის ავტორი აყენებს საკითხს: დააწესონ მოსამზადებელი კლასები ყოველგვარი სასწავლებლისათვის.

ნოემბრის 5, 7—9, 11, 12 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ № 243—246, 248, 249) მეთაურების სახით (თიფლის, 5-го ноября) ბეჭდავს იაკობის წერილს ქართველების აფხაზეთში ჩასახლების შესახებ (თხ. ტ. 1, 1952, სათაურით: „ვინ უნდა იქნეს დასახლებული აფხაზეთში“).

წერილი გამოწვეული იყო გაზ. „კავკაზის“ № 207-ში გამოქვეყნებული სოხუმის ოლქის უფროსის ვეღენსკის სტატიით «К вопросу о будущей колонизации Абхазии», რომელიც, თავის მხრივ, მიმართული იყო იაკობის წერილების (ტიფლისკი ვესტნიკი, № № 209, 210) წინააღმდეგ.

ამ პოლემიის არსე იაკობი მოგვიანებით ასე განმარტავს: აფხაზეთის დასახლების საკითხის „გადაწყვეტა მთავრობაზე იყო დამო-

კიდებული, ამიტომ სტატია დავწერე ჩუსულად და დავბეჭდე წელს [უნდა იყოს 1877 წ.] «Тифлисский вестник»-ში, რომლის მედმიერი თანამშრომელი ვიყავი მაშინ. წერილი პატარა არ იყო და ორს ნომერში იქმნა დაბეჭდილი მეთაურად. ამ წერილში მე ის აზრი გამყვანდა, რომ საუკეთესო მოსახლეთა კონტინგენტს დაცარიელებულს აფხაზეთისათვის შეადგენენ მეგრელები, ბარის იმერლები და ბარისავე გურულები მეთქი. ამ წერილის წინააღმდეგ „კავკაზში“ დაბეჭდა წერილი მაშინდელმა სოხუმის ოკრუგის უფროსმა ბ-ნმა ვე-ფენსკიმა. გაშინ მე მის პასუხად საკითხი უფრო ფართოდ დავაყენე, საგანი გამოვიყელი ყოველი მხრივ და დავწერე ვრცელი წერილი, რომელიც იმავ განხეთში დაბეჭდილ იქმნა მეთაურებადევე თორმეტს ნომერში ზედა-ზედ. მე მოველოდებოდი მეორედ გამოლაშერებას ვეღენსკის მხრივ; მაგრამ სასიამოვნოდ მოვტყუვდი. ეს ავტორი პი-რადად გამოცხადდა განხეთის რედაქტიაში და, ჩვენ განსაცეიირებლად, უთხრა რედაქტორს თავადს ბებუთოვს: „ვსდებ კალამს და არამც თუ ერთს სიტყვასაც აღარ ვიტყვი წინააღმდეგ, არამედ ამ ღლივებან მოსარჩევ შევიქნები იმ აზრისა, რომელიც სრული საფუძლიანობით არის განმარტებული თქვენს გაზიეთშით“. და ასეც მოიტარდა” (თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 317).

ნოემბრის 13 — თბილისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ეფრემ მარჯანიძე განცხადებით მიმართავს ამავე სასწავლებლის მმართებელობას ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მიზანთად სა-ზელმდღვანელოდ შემოღების შესახებ.

«Заявляя вновь о книге „бунебиს კარი“, как об единственной в нашей педагогической литературе, удовлетворительной книге, для чтения в начальных классах, позволяю себе надеяться, что правление училища примет на себя труд ходатайствовать пред кем следует, чтобы учителям старших приготовительных классов духовного экзархата дозволено было, по примеру учительского института и других учебных заведений города Тифлиса, книгу «Дверь к природе» иметь не в качестве пособия, а в качестве основной книги для классного чтения, так как она обладает несомненно важными педагогическими достоинствами» (ი. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 46).

<sup>1</sup> ა. გორგაძე, ნ. გურგენიძე, ვ. ხაჯაია

იანვრის 19, 24 — გაზეთი „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ № 15, 19), მეთაურის სახით ბეჭდავს იაკობის წერილებს უსათაუროდ (თხ. ტ. 1, სათაურით: „თბილისის სასულიერო სემინარია“).

თებერვლის 8, 9 — „ტიფლისკი ვესტნიკი“ (№ № 31, 32) უსათაუროდ და ხელმოუწერლად ბეჭდავს იაკობის ნააზრებს, რომელშიც ასაბუთებს მშობლიურ ენაზე სწავლების აუცილებლობას. წერილები მიმართულია სამასწავლებლო ინსტიტუტის დირექტორის — ზახაროვის წინააღმდეგ, რომელიც ინსტიტუტთან არსებულ ორკლასიან სამოქალაქო სასწავლებელში საერთოდ უარყოფდა მშობლიურ ენაზე სწავლებას.

აპრილის 20 — საქართველოს ეგზარქოსად იოანიკის დანიშვნის შესახებ „ტიფლისკი ვესტნიკის“ № 86-ში მეთაურ წერილად ქვეყნდება (Тифлис, 20 априля) იაკობის წერილი.

ივნისის დასაწყისი — გამოდის „დედა ენა ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შეკვეთისათვის“, მეორე შესწორებული გამოცემა, 1878, 159 გვ.

ბელისის 20 — გაზეთი „დროება“ (№ 145) საზოგადოებას აუწყებს იაკობ გოგებაშვილის მიერ საბავშვო წიგნების „პატარა ბიბლიოთეკის“ სერიით გამოცემის შესახებ:

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ერთგული და კეთილსინდისიანი მოღვაწე ჩვენი პედაგოგიური ლიტერატურისა უფ. იაკობ გოგებაშვილი აპირებს ჩვენი შეკვეთისათვის პატარ-პატარა აღვილ საკითხავ წიგნების გამოცემას, რომელთაც ერქმევა საზოგადო სახელი „პატარა ბიბლიოთეკა“. პირველ შემთხვევისათვის, როგორც ვავიგეთ, ის დაბულები ჩინებულს ზღაპარს „ფაშა მწყემსს“ აბეჭდინებს. საზოგადო ხასიათი ამ წიგნებისა ისეთი იქმნება, რომ ერთსა და იმავე დროს ჩვენი შეკვეთისათვისაც ადვილად გასავები და სასარგებლო უნდა იყვნენ და ხალხისათვისაც. თითო წიგნის ფასი ორ შაურზე მომეტებული არ იქნებაონ“.

ივლისის ბოლო — ი. გოგებაშვილის რედაქციით გამოდის „პატარა ბიბლიოთეკის“ სერიის პირველი წიგნი სახელწოდებთ: „მეუე ხე-

ლოსანი. — ფაშა-მწყემსი". ტფ., 1878, 64 გვ. (წიგნში შესულია მე-  
სამე მოთხრობა „ყმაწვილის გამოღვიძება").

„დაიბეჭდა და ისყიდება „პატარა ბიბლიოთეკა", წიგნი პარელი,  
რომელიც შეიცავს სამ საყმაწვილო მოთხრობასა, ი- გოგებაშვილის  
რედაქციით" („დროება", 1878, № 154).

აგვისტო — უურნალი „ივერია" (№ 30) აქეცენებს ივ. როსტო-  
ვაშვილის (განოს ხელმოწერით) ვრცელ წერილს „ორიოდე სიტყვა  
ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურაზე", რომელიც მთლიანად ეძღვნება  
იაკობის რედაქციით გამოსულ „პატარა ბიბლიოთეკას". რეცენზენტი  
აღნიშვნავს:

„ამ დღეებში ტფილისში გამოვიდა ერთი პატარა, მავრამ ურიად  
სასარგებლო წიგნი, სათაურით „პატარა ბიბლიოთეკა", რომლის რე-  
დაქცია აპირებს ამგვარ წიგნების დროვამოშვებით გამოცემას... გა-  
მომცემელს პსურს შემდეგში, თუ გარემოებამ ხელი გაუმართა, „პა-  
ტარა ბიბლიოთეკა" გადააქციოს საყმაწვილო თვიურ უურნა-  
ლად... ეს მოვლენა და ეს პირელი დაწყება უფ. გოგებაშვილისა,  
ძლიერ კეთილი დაწყება და განზრახვა ჩვენში, ამიტომ ქართველ  
საზოგადოებას ვალი ედება, ამ დაწყებას მხარი მისცეს და ხელი  
გაუმართოს ამ ახლად დაბადებულს „პატარა ბიბლიოთეკას".

აგვისტოს 10 — გაზეთი „დროება" (№ 161) იაკობ სვიმონის ძის  
ხელმოწერით ბეჭდავს ი. გოგებაშვილის წერილს „მცირე შენიშვნა  
ახალ საქმეზედ", რომელშიც აღწერილია, თუ „ვინ და როგორ გადა-  
ილო ნოტიბზე ქართული ხალხური სიმღერები სახალხო სკოლებისა-  
თვის" (ამავე სახელწოდებით შეტანილია თხზ., ტ. 1).

სექტემბრის 30 — გაზეთი „დროება" (№ 197) მეთაურ წერილად  
ბეჭდავს იაკობის წერილს „სოფლის მასწავლებელთა კრების ზოგიერთ  
გადაწყვეტილებაზედ" (ხელმოწერა ი. გ.) წერილში იაკობი აყენებს  
საკითხებს დაწყებით სკოლებში სწავლების ოთხ წლამდე გახანგრძლი-  
ვების შესახებ.

სექტემბერი — იაკობის თაოსნობითა და უშუალო მონაწილეობით  
წიგნად გამოდის „სამშობლო ხმები ყმაწვილებისათვის სამღერავი სა-  
ხალხო სიმღერები გარდაღებული ნოტზედ ერთ-სამ და ოთხ ხმისათ-  
ვის. შედგენილი მ. მაჭავარიანისა".

„თუმცა ჩეენ ყოველი ღონისძიება ვისმარეთ, რომ სიმღერების გამოცემა ყოფილიყო უნაკლო, მაგრამ რადგანაც მაინც შესაძლებელი იყო შეცდომების შეპარვა, ამიტომ გადასჭერით, რომ პირველად ვამოვეცა მცირე რიცხვი, მარტო 300 ეგზემპლარი, მოვევსმინა მოვდნე პირთა მსჯელობანი და მეორე გამოცემისათვის მოგვეხდინა ცვლილებანი, თუ ეს საჭირო აღმოჩნდებოდა..“

ლექსები სიმღერებისათვის იმ გვარის ამოვარჩიე, რომელიც ან პოეტურის მხრით არიან ჩინებულნი, ან კეთილ-აზროვანნი და პედაგოგიური შინაარსი აქვთ.

გამოცემა შეადგენს სრულს საკუთრებას შიხეილ მაჭავარიანისასა, რომელმაც საქები ერთგულებით იშრომა ამ კეთილის საქმისათვის” (თხ. ტ. 1, 1952, გვ. 255, 257).

ოქტომბრის 4, 5 — გაზეთი „დროება“ (№ 200, 201) „ვინე დამსწრის“ ხელმოწერით ბეჭდავს წერილს „მასწავლებელთა კრებაზედ (პასუხი უფ. ი. გ. — ს)“, რომელშიც გაკრიტიკებულია „ბუნების კარი“ და იგი მიიჩნიეს უვარვისად.

ოქტომბრის 31 — გაზეთ „ობზორის“ (№ 291) უურცლებზე გამოქვეყნებულ „საკვირაო საუბრებში“ («Воскресные беседы») ნიკო ნიკოლაძე ეხება თბილისის სასულიერო სასწავლებელში 1873 წელს (ხუთი წლის შემდეგ?!?) რევიზორ კერსეის მიერ ჩატარებულ რევიზიას, ცილისწამებლურად და უდიერად მოიხსენიებს იაკობ გოგებაშვილს.

„ამ დღეებში გავეცანი ბატ. კერსეის საქმაოდ საინტერესო საანგარიშო მოხსენებას — 1873 წელს თბილისის სასულიერო სასწავლებელში ჩატარებული რევიზიის შესახებ, ეს საანგარიშო მოხსენება საქმაოდ უცნაურ აზრს იწვევს ჩემში, — წერს ნ. ნიკოლაძე, — ვინ იფიქრებდა, რომ ჩეენს დროში, კეთილმოქმედ რეფორმებსა და პროგრესზე ყვირილის შემდეგ, ცხოვრობდნენ და მოქმედებდნენ წმინდა სისხლის მაგნიტები? — და შემდეგ ვკითხულობთ:

„ბატ. გოგებაშვილისა და K° მსგავსი ბრიუვები [?] ყოველოვის ასეთ შედევებს აღწევენ ... მაგრამ მითხარით, თუ ღმერთი გწამთ, განა სერიოზული და პატიოსანი ქართველები, რომელთაც სურთ გულწრფელად და ბნელი აზრების გარეშე ემსახურონ საკუთარი ქეყინის განვითარებას, დამნაშავენი არიან ბატ. ტურივეის ან გოგებაშვილის სიბრიუვეში? თუ ეს უკანასკნელი დამნაშავენი არიან რამეში და სა-

ქე აქამდე მივიღა, დასაჯეთ ისინი. მაგრამ ბატ. კერსეი თვეოთონ  
წერს, რომ ბატ. გოგებაშვილი ნორმალური ადამიანი არაა, ხოლო  
ბატ. ტურიევი მხოლოდ უბადრუები მატყუარაა” (ნ. ნიკოლაძე, თბზუ-  
ლებანი, ტ. 6, გვ. 643, 645).

ნოემბერი — გაზეთების „ობზორისა“ და „ტიფლისეი ვესტნიკის“  
ფურცლებზე იმართება პოლემიკა ნიკო ნიკოლაძესა და იაკობ გოგება-  
შვილს შორის.

იაკობი თავს იმართლებს ნიკო ნიკოლაძის ცილისწამებისაგან. აქ-  
ვევნებს საპასუხო წერილებს „ტიფლისეი ვესტნიკი“ (№ № 244,  
247), „ობზორში“ (№ 294) «Ответ г. Николадзе» და კვლავ „ტიფლისეი ვესტნიკი“ (№ 256) «Последний ответ г. Никола-  
дзе».

ნიკო ნიკოლაძე იაკობ გოგებაშვილს უარყოფითად მოიხსენიებს  
„ობზორში“ (№ № 294, 296) გამოქვეყნებულ „საკვირაო საუბრებში“,  
აგრეთვე ამავე გაზეთის № 308-ში მთლიანად მიუძღვნის წერილს  
«Снова о Гогебашвили».

ნოემბრის 12 — გაზეთ „ტიფლისეი ვესტნიკის“ № 253-ში ქვეყნ-  
დება იაკობის ავტობიოგრაფიული ხასიათის წერილი — «О моей дея-  
тельности в качестве смотрителя Тифлисского духовного  
училища».

„მანამ შევუდგებოდე ბ-ნ კერსეის ანგარიშის ვანხილვას, თანახ-  
მად დაპირებისა, გაგაცნობთ ჩემი, როგორც ზედამხედველის მოღვა-  
წეობის მოკლე ისტორიას, რაკი უკანასკნელ დროს თავს მესხმიან ამ  
მოღვაწეობის ვამო“ (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 176).

\* \* \*

— ამ წელს (?) იაკობი მუშაობს გერასიმე კალანდარიშვილის მი-  
ერ შეღვენილი სახელმძღვანელოს — „პირველი დასაწყისი კურსი რუ-  
სული ენისა ქართველთათვის“ რედაქცია-შესწორებაზე.

1879

იანვრის დასაწყისი (?) — უკრნალ „ივერიის“ პირველი ნომრისა-  
თვის ამზადებს მიმოხილვას სახალხო განათლების საკითხებზე.

თებერვლის 3 — გამოდის კურნალ „ივერიის“ იანვრის ნომერი, რომელშიც მოთავსებულია იღია ჭავჭავაძისა და იაკობის ერთობლივი სტატია — „შინაური მიმოხილვა. 1879 წელი. იანვარი“.

მკვლევარ პ. ინგოროვას აზრით, აღნიშნული მიმოხილვის დასაწყისი კურთვნის იღიას, ხოლო დაბოლობა, დაწყებული აბზაციდან „ამ იმედს აძლიერებს და ურთებს ასხამს გარემოება...“, კურთვნის იაკობს (ი. ჭავჭავაძე, თხკ, ტ. V, 1955, გვ. 174—185).

მარტი — გაზეთ „ობზორის“ № 399-ში, ნ. ნიკოლაძე ბეჭდავის წერილს (Грузинская апатия, элегия в прозе), რომელშიც ატარებს აზრს, რომ გოგებაშვილის „დედა ენა“ შექმნილია უშინსევ „როდნოე სლოვოს“ გავლენით.

მაისის 15 — თბილისის საადგილმამულო ბანკის შენობაში დამატირი ყიფიანი ხსნის „ქართველთა შორის წერა-კითხების საზოგადოების“ პირველ სხდომას. სხდომას ესწრება 28 წევრი, მათ შორის გრ. ორბელიანი;

საზოგადოების გამგეობის წევრებად ირჩევენ დ. ყიფიანი, ი. ჭავჭავაძეს, ი. გოგებაშვილს, ნ. ცხვედაძეს, ივ. მაჩაბელს, ალ. სარაჯიშვილს, რ. ერისთავს („დროება“, 1879, № 101).

მაისის 17 — მონაწილეობს წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მეორე სხდომაში, სადაც განიხილავენ საზოგადოების შემოსავალ-გასავალს.

ივნისის 21, 22 — გაზეთი „კავკაზიი“ (№№ 137, 138) ბეჭდავის იოსელიანის დადებით რეცენზიის ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მეორე გამოცემაზე.

ივლისის 11 — კავთისხევიდან თბილისში წერილს უგზავნის იონ მეუნარგიას. თხოვს პლატონ იოსელიანსა და დავით ჩუბინაშვილის ქართული გრამატიკის სახელმძღვანელოების გაგზავნას, აგრეთვე წერა-კითხების საზოგადოების წესდების 50 ეგზემპლარის გაგზავნას.

ივლისის 15 — გაზეთი „დროება“ (№ 146) საზოგადოებას აუწყებს, რომ ი. გოგებაშვილს, პ. უმიკაშვილს და დიმ. ჯანაშვილს განზრახული აქვთ ქართული ენის გრამატიკის შედგენა.

ივლისი-აგვისტო (?) — კავთისხევიდან წერილს სწერს იონა მეუნარგვას. სთოვს გაუგზავნოს გერასიმე კალანდარიშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს სასიგნალო ეგზისტაციი (იაკობთან შეთანხმებით იონა მეუნარგვას დავალებული იქნა გ. კალანდარიშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს ბეჭდეის ხელმძღვანელობა).

აგვისტო-სექტემბერი (?) — იაკობის რედაქციითა და მისივე წინასიტყვაობით გამოდის გერასიმე კალანდარიშვილის მიერ ქართული სკოლებისათვის შედგენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს მე-6 გადამუშავებული გამოცემა.

წიგნის წინასიტყვაობაში ნათელყოფილია ის არსებითი ცვლილებები, რაც განიცადა წიგნმა ი. გოგებაშვილის გადამუშავების შემდეგ.

ნოემბრის 3 — იაკობი მონაწილეობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის სხდომაში, რომელსაც უდგენს წინადადებებს თბილისში ქართული სკოლის გახსნის, სახელმძღვანელოების შედგენისა და მასწავლებელთა კადრების შერჩევის შესახებ. იაკობის ამ წინადადებების განხილვის შედეგად სხდომა იღებს შესაბამის დადგენილებას. სხდომას, გარდა გოგებაშვილისა, ესწრებიან ი. ჭავჭავაძე, 6. ცხევედაძე, ი. მაჩაბელი. არ იყო საზოგადოების თავმჯდომარე დ. ყიფიანი.

ნოემბრის 18 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე დიმიტრი ყიფიანი დაწვრილებით ეცნობა ი. გოგებაშვილის წინადადებებს, რომლებიც 3 ნოემბერს განიხილა საზოგადოების გამგეობაში, ურთავს შენიშვნებს, რომ მისი წინადადებები მეორედ იქნეს განხილული მისი თანდასწრებით (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 332—333).

დეკემბრის 18 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას იაკობი განმეორებით, რამდენადმე შეცვლილი სახით უდგენს მოხსენებას თბილისში ქართული სახალხო სკოლის გახსნის შესახებ (იგივეს, რაც 3 ნოემბრის სხდომას წარუდგინა).

## 1880

იანვრის 4, 5 — გაზეთ „დროების“ (№ № 2, 3) ფურცლებზე ქვეყნდება იაკობის წერილი „ხე ნაყოფით იცნობების“, რომელშიც აკტორი

მეაცრად აკრიტიკებს ქრისტიანობის აღმაღვენელი საზოგადოების სკოლების ხელმძღვანელობას ამ სკოლებიდან მშობლიური ენის გან-დევნის გამო.

„ქრისტიანობის აღმაღვენელი საზოგადოების სკოლების საფუძ-ველს, ქვა-კუთხედს დედა-ენა როდი შეადგენს. ეს ძალიან ცოტ-ვსთქვით. დედა-ენა სრულიად გამოძევებულია. მასწავლებელს აკრძალული აქვს მისი ხმარება პირველი ოთხი თვეს შემდეგ. ყველაუ-რი, ყოველი საგანი უთუოდ, მიუცილებლად გაუვებარს რუსულს ენა-ზედ უნდა ასწავლოს. ამითაც არა თავდება დედა-ენის შევიწროება. ქართული ენა სრულიად გამოკლებულია საგნების რიცხვიდგან, არც ერთი საათი არ არის დადებული მისი სწავლებისათვის. დედა-ენს ჩამორთმეული აქვს ყოველი უფლება და ისიც სად? საცა ის უნდა იყოს ცენტრი, დედა-ბოძი, ბურჯი შენობისა...“

დედა-ენის გამოძევება შეადგენს სასიკედილო სენს ქრისტიანობის აღმაღვენელ საზოგადოების სკოლებისას“.

იანერის 20 — „დროების“ № 15-ში ქვეყნდება იაკობის „წერილ-რედაციისადმი“. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ყრილობის წინ იაკობი აყენებს მოთხოვნას მმართველობის წევრთ, ექვსი ერთეულით გაზრდის შესახებ.

„რადგანაც სფერა, ასპარეზი საზოგადოების მოქმედებისა არის მთელი საქართველო, ამიტომ ეს ექვსი ახალი წევრი იმ სახით უნდა იქმნას ამორჩეული, რომ ყოველ კუთხეს საქართველოსას ჰყავნდეს თავისი წარმომადგენელი მმართველობაში. ეხლანდელი მისი წევრები სულ ქართლ-კახელები არიან. იმერეთი, სამეგრელო, გურია, რაჭა, ახალციხის მხარე და თუშ-ფშავ-ხევსურეთი მოკლებულნი არიან წარ-მომადგენლებსა.“

იანერის 22 — გაზეთი „დროება“ (№ 16) ბეჭდავს იაკობის წე-რილს „მზათა ვართ?“ რომელშიც ავტორი ეხება კავკასიაში, კერძოდ, თბილისში უნივერსიტეტის დაარსების საკითხს. ამ საკითხის ნორ-მალურად გადასაწყვეტად ავტორი მოითხოვს ქართველ მოსწავლეთა რიცხვებს გაზრდას „...იმ ნორმამდის, იმ ხარისხსამდის, რომელიც შე-ესაბამება ჩვენი ერის რაოდენობას და იმ ადგილს, რომელიც სჭერია და უნდა ეჭიროს მას კავკასიის ერთა კრძალულში“.

გაზეთის ამავე ნომრის „ახალ ამბებში“ გადმოცემულია წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების მოკლე ანგარიში და

ამ კრებაზე ი. გოგებაშვილის მიერ წარმოთქმული სიტყვის მთავარი აზრი — საქართველოს ყველა კუთხეს ყავდეს თავისი წარმომადგენერაციის საზოგადოების გამგეობაში.

თებერვლის 8 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარტივებულებელი საზოგადოების გამგეობას უდევს მოხსენებით ბარათს წინადაღებით საზოგადოების მატერიალურ (ქონებრივ) მდგომარეობათა გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 182).

თებერვლის 9, 10, 12 — გაზეთ „დროების“ (№ № 31, 32, 33) ფურცლებზე სიმონის ძის ხელმოწერით იძეჭდება იაკობის „ზოგიერთი შენიშვნები“, რომლებიც შეეხება ქართველებისა და საქართველოს ისტორიას მე-18 საუკუნეში.

სექტემბრის 5 — გაზეთი „დროება“ (№ 187) „ამერის“ ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის წერილს „იმერეთის სახალხო შეკლების მასწავლებელთა კრებას“ (თხ., ტ. 1 სათაურით: „დასავლეთ საქართველოს სკოლების მასწავლებელთა კრებას“).

სექტემბრის 29 — რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტი იხილავს დოკუმენტ ალ. ცაგარლის დაღებით რეცენზიას „დედა-ენასა“ და „ბუნების ქარზე“, სადაც აღნიშნულია: «Составитель этих учебников Я. Гогебашвили известен, как весьма добросовестный, сведущий трудолюбивый педагог, в течение более 15 лет издавший несколько прекрасных учебников на грузинском, выдержавших по несколько изданий... в настоящем виде эти труды г. Гогебашвили несравненно выше всех других известных грузинских учебников этого рода и вполне удовлетворяют требованиям рациональной педагогии... книги смело можно рекомендовать, предпочтительно перед другими, к принятию в качестве учебников в грузинских школах».

კომიტეტი ეთანხმება ალ. ცაგარლის გამოხმაურებას და ღებულობს გადაწყვეტილების ქართულ სკოლაში მათი სახელმძღვანელოდ შემოღების შესახებ (Циркуляры по управлению Кавказским учебным округом, 1880, № 12, с. 639—641).

ოქტომბრის 3, 4 — გაზეთი „დროება“ (№ № 208, 209) ბეჭდავს 6. ბაღელიძის ანგარიშს „ქუთაისის მასწავლებელთა კრება 25 ენე-

ნისთვეს", რომელშიც გადმოცემულია კ. ლორთქიფანიძისა და დ. ლა-  
ბაშიძის აზრები ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე და გვდა-  
უნასა "და „ბუნების კარზე".

ნოემბრის 15 — გაზეთ „დროების“ (№ 241) საშუალებით რაც. ერი-  
სთავი, ი. გოგებაშვილი და ი. მეუნარგაა საზოგადოებას აუწყებს „ვეფ-  
ხისტყაოსნის“ სარედაქციო კომიტეტის „შექმნისა და მცოდნე პირთა  
მოწვევის შესახებ.

ნოემბრის 24 — მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის“ რედაქციის პირ-  
ველ სხდომაში.

„ორშაბათ სალამოს, 24 ნოემბერს, მოხდა პირველი ყრილობა ქარ-  
თულ მწერლობის მოყვარულთა, რომელთაც აქვს განშრახვა დაბეჭ-  
დილი „ვეფხისტყაოსანი“ შეათანხმონ ხელთნაწერ „ვეფხის-ტყაოს-  
ნებს“ („დროება“, 1880, 27 ნოემბ., № 250).

## 1881

იანვრის 13 — გაზეთ „დროების“ № 8-ში ი. სიმონიძის ხელმო-  
წერით ქვეყნდება იაკობის წერილი „ტყუილს მოკლე ფეხები ასხია“. ავტორი ამხელს იმ მოხელეებს, რომლებიც „...ამტკიცებენ, რომ სა-  
მეგრელოს ხალხს სურს პირ ვეღი დღეებიდან ვე სკო-  
დაში ასწავლონ პარალელურად, ტოლად ქართული და რუ-  
სულიონ“.

იანვრის 18 — „დროება“ (№ 12) ახალ ამბებში მკითხველს აუწ-  
ყებს პროფ. ალ. ცაგარლის მიერ გამოთქმულ დაფებით აზრს იაკობ  
გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე, რომლებიც წარდგენილი იყო  
რუსეთის სახალხო განათლების სამინისტროს სამეცნიერო კომიტეტ-  
ში.

თებერვალი(?) — გამოდის მესამე გამოცემა წიგნისა „დედა ენა  
ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახალხო შეკლებისათვის“,  
შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან. მესამე გადასწორებული გამოცე-  
მა 1881, 158 გვ.

თებერვალი-მარტი — იაკობი მონაწილეობს „ვეფხისტყაოსნის“  
შემსწორებელი სარედაქციო კომისიის სხდომებში.

მარტის 8, 17 — გაზეთი „დროება“ (№ № 50, 57) მეთაურ წერილებად („ტფილისი, 8 მარტი“, „ტფილისი, 9 მარტი“) ბეჭდავს მოყვანილის წერილს, რომელიც მიმართულია კავკასიის სასწავლო თაღის მზრუნველის — იანოვსკის სასწავლო გეგმის წინააღმდეგ, ამასთან აკტორი მიუთითებს იმ წინააღმდეგობაზე, რომელიც არსებობს სასწავლო გეგმასა და გაზეთ „კავკასიის“ ფურცლებშე გამოქვეყნებულ იმავე იანოვსკის წერილს შორის.

თავისი ამ წერილის შესახებ იაკობი გადმოგვცემს:

„...წერილი იანოვსკისა დაბეჭდილი იყო გაზეთს „კავკაზში“ და იყრიბდა მის შეხედულობას სახალხო სკოლების მოწყობის შესახებ ჩვენს ქვეყანაში. პასუხის დაწერა რედაქციამ მე დამივალა, მაგრამ მე მიყუგე: საჭიროა უფრო გამოჩენილმა და გავლენიანმა ქართველმა გასცეს პასუხი, მაგალითად იღია ჭავჭავაძემ, ყველა საჭირო მასალას იღიას მე თვითონ მიყუტან; სამაგიეროდ, როცა ამ დღეებში იანოვსკის პლანი გამოვა, მის გარჩევას მე კეისრულობ მეთქი. და ასეც მოხდა“ (თხ. ტ. 1, 1952, გვ. 237).

მარტის 25 — ქვეყნდება იაკობის წერილი „განათლების მდგომარეობა საქართველოში 1880 წელს“ („დროება“, 1881, № 64).

აპრილი — უურნალ „იმედის“ № 3—ში ქვეყნდება „გადაღმელის“ ხელმოწერით ანთიმოზ ჯუდელის უარყოფითი რეცენზია ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ მესამე გამოცემაზე.

აპრილის 12, 22 — გაზეთი „დროება“ (№ № 77, 82) მეთაურების სახით („ტფილისი, 12 აპრილს“) ბეჭდავს იაკობის ორ წერილს ირლანდიის შესახებ და გლადისტონის რეფორმის პროექტზე (თხ. ტ. 1, სათაურით: „ირლანდიას უთენდება“).

აპრილის 26 — „დროება“ № 85 მეთაურის სახით („ტფილისი, 25 აპრილს“) ბეჭდავს იაკობის წერილს თელავისა და თბილისის წმინდანინოს სასწავლებლების შესახებ.

მაისის 28 — გაზეთ „დროების“ № 109-ში მეთაურის სახით ხელმოუწერლად იბეჭდება იაკობის წერილი „სამდვდელოთა კრებას, ტფილისი, 27 მაისი“ (თხ. ტ. 1, სათაურით: „აღმოსავლეთ საქართველოს სამდვდელოების კრებას“), რომლითაც იაკობი კრების მონაწილეებს მოუწოდებს, „...ბეჭითად და მტკიცედ მოითხოვოს მთავრობისაგან ორი

რამ: პირველად, ქართული ენის კათედრის დადგენა ყველა სასულიერო სასწავლებელში სავაჭრო, საქანებოში და სემინარიაში ვრცელი პროგრამით, რომელიც უნდა, სხვათა შორის, შეიცავდეს: ქართულს კრატიკას, გეოგრაფიას და ისტორიას, მასწავლებელნი ქართული ენისა და ლიტერატურისა უნდა იქმნენ ჩარიცხულნი შტატში და გათანასწორებულნი სხვა საკრების მასწავლებლებთან როგორც ჯამაგირით, ისე ყოველ-გვარი უფლებით.

მეორედ, უნდა მთავრობამ წესად დასდოს, რომ თბილისის სემინარიიდან ყოველ წლივ გაგზავნილიქმნას სასულიერო აკადემიაში საკვლევით ხარჯით არა ერთი მოწაფე, არამედ ოთხი მაინც.

ივნისის 2 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მინდობილობით იაკობი წერს რეცენზიას გ ცამციევის (ძამსაშვილის) „საქართველოს შემოკლებულ ისტორიის“ ხელნაწერზე.

„საქართველოს შემოკლებული ისტორიის განხილვა მართველობისაგან საკუთრად მე შეონდა მონდობილი. მაგრამ, რაღვანაც ეს საგანი ზედმიწევნით არა მაქვს შესწავლილი და შესაძლებელი იყო შეუცდომელად ვერ დამეფასებინა გარდმოცემული თხზულება, ამიტომ მე მივმართე დიმიტრი ზაქარიას მეს ბაქრაძეს, როგორც ვამოჩენილი ჩვენს მეისტორიეს, და ვთხოვე განეხილა გულდაღებით შემოკლებული ისტორია საქართველოსი...“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 183—184).

ივნისი-ივლისი — „ივერიის“ № № 6-სა და 7-ში ქვეყნდება იაკობის წერილი „უმეცრების ამაყობა (კუძლვნი სახალხო მასწავლებლებს)“, რომელიც წარმოადგენს პასუხს უურნალ „იმედის“ № 3—4-ში დაბეჭდილ გადაღმელის (ანთიმოზ ჯუღელის) რეცენზიაზე.

ივლისი-აგვისტო — უურნალი „იმედი“ № 7—8 ბეჭდავს გადაღმელის (ანთიმოზ ჯუღელის) საპასუხო წერილს იაკობ გოგებაშვილის წერილზე „უმეცრების ამაყობა“ — (სათაურით: „უფ. იაკ. გოგებაშვილის „უმეცრობის ამაყობა“).

აგვისტო-სექტემბერი — ეკრალი „ივერია“ (№№ 8, 9) თავის  
ფურცლებზე სვიმონიძის ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის საისტორიკ  
წერილს „რანი ვიყავით გუშინ?“ (აღნიშვნული წერილის შემოკლებული  
დარინანტი სათაურით: „ზოგიერთი შენიშვნები“ გამოქვეყნდა  
1881 წ. გაზეთ „დოკუმენტი“ №№ 31—33).

„ეს ისტორიული წერილი 12 წლის წინად დაიბეჭდა უკრნ. „ივე-  
რიაში“. მის მახლობელ მიზნად და ერთს უმთავრეს წყაროდ გახდა  
საქართველოს უკანასკნელის მეფის გორგის მე-13-ს ცხოვრების  
აღწერა, რომელიც ეკუთვნის განსვენებულს პლატონ იოსელიანსა და  
რომელიც დაიბეჭდა იმავე უკრნალში. პლატონ იოსელიანი იყო ძე  
მხურვალე და განვითარებულის მამულიშვილისა და ფრიად პატივ-  
ცემულის მოძღვრისა სამეცო კარის მღვდლისა, პქონდა დააბლოებუ-  
ლი ნაცნობობა რუსეთსა და საქართველოში ჩევნის სამეცის გვარე-  
ულობის წევრებთანა, კარგად იცნობდა მოსწრებულ გვამთა და თითქ-  
მის ყველაზედ უკეთესად შეეძლო, თეით სათავეშივე შეეტყო ნამ-  
დეილნი და უტყუარნი ცნობაზი საქართველოს ისტორიის უკანასკნელ  
ხანაზე. მისი მოწმობა მით უმეტესად უნდა ჩაითვალოს მიუფერებ-  
ლად და მიუდევომლად, რომ თუ ერთი ნახევრობით პლატონ იოსე-  
ლიანი მოგავონდებათ თავისს მამის მხურვალე მამულიშვილობას,  
შეორე ნახევრობით იგი იყო ნამდვილი მოხელე, ჩინოვნიკი“ (თხმ.,  
ტ. 1, 1952, გვ. 532).

ოქტომბრის 2 — წერილობით მოხსენებას უდგენს კავკასიის მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოს თავისი წიგნებისა და სახელმძღვანელოების გამოსაცემად უულადი დახმარებისათვის.

«Одно препятствие сильно тормозит мою деятельность — это неимение собственных средств к изданию своих книг. Издателями их являются армянские купцы, и это обстоятельство не только обуславливает мою бедность, тем более тяжелую, что я человек больной, но представляет существенные неудобства для школ, которые не всегда в свое время снабжаются необходимыми книгами, благодаря неисправности издалий. Дать мне средства самому издавать свои книги значит не только помочь мне лично, но и оказать содействие школам и, вообще, народному образованию: ибо в этом случае школы будут получать книги всегда своевремен-

но, дешевле нынешнего и лучше изданные» (а. омводе, იაკობ  
გოგებაშვილი. დოკუმენტ. მასალები. 1951, გვ. 50).

ოქტომბერ-ნოემბერი(?) — მონაწილეობს იღია წინამდლერიშვი-  
ლის მიერ გამართულ კრებაში. კრების მიზანია შეიმუშაოს წესდება,  
სასწავლო გეგმა და პროგრამები სამეცნიერო სასწავლებლისათვის,  
რომლის დაარსება გადაწყვეტილი აქვს იღია წინამდლერიშვილს თა-  
ვის სოფელ წინამდლერიანთ-კარში. კრებაზე იმართება მწვავე კამათი  
იაკობის წინადაღების გამო. იმ მოტივით, რომ ასეთ გეგმას არ და-  
ამტკიცებდნენ.

„ეს კრებული, რამდენსამე სხდომაზე, ადვილად შეთანხმდა ყველა-  
უერში, მხოლოდ უთანხმოება ღაიძადა ორის მუხლის შესახებ, რომე-  
ლიც მე წავაყენ. პირველი მუხლი იყო ასეთი: სწავლება ყველა საგ-  
ნებისა პირველი წლიდან დაწყებული მევქესე წლის დასრულებამდინ  
უნდა მიდიოდეს ქართულს ენაზე. მეორე მუხლი წესად სდებდა: რუ-  
სულის ენის სწავლება სამეცნიერო სასწავლებელში უნდა დაწყებულ  
იქმნას მესამე წლიდან. მთელმა კრებულმა ეს ორივე ჩემი აზრი იც-  
ნო სრულიად შეუწინარებლად მთავრობის მიერ. ორივე ეს მუხლი  
პირდაპირ ეწინააღმდეებათ აზრებსა და მიმართულებას მშრუნველის  
იანოვსკისასათ და იგი არას გზით არ დასთანხმდება მაგისტრანა გეგ-  
მის დამტკიცებაზე, და სამეცნიერო სასწავლებელი გაუბისნელი დაგ-  
ვრჩებათ. მე უკასუხე: ჩვენ ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს არა მშრუნ-  
ველთან, არამედ თვით ნამესტნითან და მის თანაშემწე სტაროსელ-  
სკისთან, რომელიც მოკლებული არიან იმ ვიწრო ბიუროკრატიულს  
შეხედულებას, რომლითაც გამსჭვალულია იანოვსკი-მეთქი. მე წარ-  
ვუდინე სიტყვიერად ყველა ის საბუთები, რომელიც მოყვანილია ამ  
განმარტებითს წერილში, და დასასრულ ორივე მუხლი შეტანილი იქ-  
მნა სასწავლებლის წესდებაში, თუმცა ამასთან ყველანი შიშის აცხა-  
დებდნენ, რომ არც ერთი მუხლი შეწინარებული არ იქნებათ. ბოლოს  
დამთავრდა წესდებაც, სამოსწავლო გეგმაც და პროგრამებიც... იღია  
ივანეს ძემ არ დააყოვნა და წარუდგინა დასამტკიცებლად სტაროსელ-  
სკის წესდებაც, პროგრამებიც და სამოსწავლო გეგმაც“ (თხ. ტ. 1,  
1952, გვ. 411—412).

ნოემბრის 17 — გაზეთი „დროება“ (№ 240) ხელმოუწერლად  
ბეჭდავს იაკობის წერილს(?) მარტივილის სასულიერო სასწავლებლის  
შესახებ, სათაურით: „სამეცნიელოს სასწავლებლის წეწვა-გლეჯა“.

ნოემბრის 25 — გაზეთი „დროება“ (№ 249) ხელმოუწერლად შეჭრავის იაკობის წერილს(?) სათაურით: „ერთი 126 შემდგენთაგანი წერა-კითხების საზოგადოებაზედ.“

ნოემბრის ბოლო(?) — იაკობი აღგენს განმარტებით წერილს სოფელ წინამძღვრიანთქარში დასაარსებელი სამეურნეო სასწავლებლის გეგმისათვის:

„გავიდა რამდენიმე კვირა, ჩემთან მთაწმინდაში ამობრძანდა პ-ნი წინამძღვრიმშეიღი და მწუხარებით მითხრა: კრებულის შიში გამართლდა: სტარისელსკიმ მითხრა — მზრუნველი არა სთანხმდება ამ ორს მუხლზე და თხოულობს მათ შეცვლას, თანახმად მის მიერ შედგენილის და მთავრობის მიერ დამტკიცებულის პლანისა აღვიღობრივის პირველ-დაწყებითს სკოლებისთვისო. მე მივუგე: მაცადეთ ერთი კეირა, დავსწერ ვრცელს განმარტებითს წერილს ჩვენის სამოსწავლო პლანისას და თქვენ მას წარუდგენთ სტარისელსკისა ... გულდადებით გადაიკითხავს წერილსა, დარწმუნდება, რომ ჩვენი გეგმა სასარგებლოა საქართველოსათვისაც და სახელმწიფოსათვისაც... დააჯერებს თვითონ იანოვსესა და თქვენ მიერ წარდგენილი ყველა წესდებულებანი უცვლებად იქმნებიან დამტკიცებულნი.

ესეც მოხდა. შეწყნარებულ იქმნენ არა მარტო წესდება და პროგრამები... არამედ თვით სამოსწავლო გაგმაც ხელუხლებლივ დამტკიცებული მივიღეთ“ (იქვე, გვ. 412).

დეკმბერი — უურნალ „ივერიის“ № 12-ში ქვეყნდება იაკობის მიერ შედგენილი „განმარტებითი წერილი სწავლების პლანისა, რომელიც მიღებული უნდა იქმნას სამეურნეო სკოლაში ს. წინამძღვრიანთ კარს.“

„ეს განმარტებითი წერილი, ჩემ მიერ დაწერილი რუსულს ენაზე მთავრობისათვის და წარდგენილი მასთან, სთარგმნა ქართულად ვანო მაჩაბელმა და დაბეჭდა უურნალს „ივერიაში“, რომლის ფაქტიური რედაქტორი იყო. მხოლოდ ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ბოლოში დამტება დაგვერთო უურნალ „ივერიის“ მკონცელთათვის, პოსკრიპტუმის სახით...“ (თხ., ტ. 1, 1952, გვ. 412).

— უურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება იაკობის კრიტიკული წერილი „იგავ-არაქნი, კრიტოვისაგან და სიბრძნე-სიცრუიზმან, ვალექსილი თავ. რაფ. ერისთავისაგან“.

დეკემბრის 24 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი ბელი საზოგადოების გამგეობას წარუდგენს მოხსენებით ბარათს (ივ. მაჩაბელთან ერთად, თუმც მოხსენებას ხელს აწერს მხოლოდ გოგებაშვილი) სასოფლო სეილებისათვის გამგეობისაგან დახმარების აღმოჩენის შესახებ წიგნებისა და სასწავლო ნივთებით მომარაგების საქმეში.

## 1882

იანვარი(?) — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის დავალებით იაკობი განიხილავს ქუთაისის სააზნაურო სეილის ანგარიშს. თავის შენიშვნებსა და დასკვნას წარადგენს წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობაში (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 336).

იანვრის 22 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას დასამტკიცებლად უდგენს მის მიერ შედგენილ „წესს სახალხო სეილების ბიბლიოთეკისა“ (იქვე, გვ. 335).

იანვრის 27 — გაზეთი „შრომა“ (№ 4) აქცეუნებს კურნალ „ივერიის“ 1881 წ. № 12-ის ეკ. მჟღალიძისეულ [ხელმოწერა ბოსლეველი] მიმოხილვას, რომელშიც სხვა წერილებთან ერთად განხილულია გოგებაშვილის „განმარტებითი წერილი“ წინამდლორიანთ-კარის სასოფლო სამეურნეო სკოლაზე.

თებერვალი — გამოდის და მკითხველებს ურიგდებათ „ივერიის“ პირველი ნომერი, რომელშიც დაბეჭიდილია იაკობის წერილი „შინაური მიმოხილვა“ შემდგენ შინაარსით: შესავალი, მამულის სიყვარულის გრძნობის აღზრდა ეჭირვება; ვისა პქვიან მამულის შეიღია უკავას თუ არა ჩერნ ახლა ნამდვილი მამულის შეიღები; წმინდა თვესებანი ჩვენებურის მამულის სიყვარულის; მსვანესება ჩეენის მამულის შეიღების და რუსეთის მოდასავლეთეთა; ქართველს საზოგადოებაში ეროვნულის გრძნობის გაღვიძება; ბ. ჩუბინაშვილის მიგებების მნიშვნელობა.

მიმოხილვა ცენზორის მიზეზით ქვეყნდება შემოკლებულად. ამის შესახებ უკრნალის რედაქტორი შენიშვნავს: „ამ წიგნისათვის კრცელ „შინაური მიმოხილვა“ იყო მომზადებული, მაგრამ ჯერჯერობით მხოლოდ პირველ თავს ეღირსა დაბეჭდვა და ისიც შემოკლებით, იმედს

არ ვკარგავთ, რომ მეორე და მესამე თავი შემდეგ წიგნში მაინც დაი-  
ბეჭდება".

"შინაური მიმოხილვის" ავტორი წერილს იწყებს მობორიშებით:

"ივერიის" შინაურს მასპინძელს არა სცალიან. იგი სხვა გვარს  
გასპინძლობას გიწევთ. მე, როგორც შორი-ახლო მეზობელს, წილად  
მხედა ამ უამაღ გავუმასპინძლე მის ყოველ-თვიურს სტუმრებსა. მაგ-  
რამ ბალა ეს არის, რომ ამ გვარ მასპინძლობას ჩვეული არა ვარ,  
არა ვარ დახელოვნებული ამ ბნელს, მაგრამ მეტად საამურს საქმეში,  
და შეიძლება ხამობა დამეტყოს. მაინც და მაინც ჩემგან სტუმარი  
სრულიად არ უნდა მოელოდეს იმ გვარ შექცევას, რომლითაც იგი გა-  
ნებივრებული ჰყავს შინაურს მასპინძელსა".

ამ „შინაური მიმოხილვის“ ავტორობის შესახებ მოვეიანებით ია-  
კობი შენიშვნავს: „ვინ იყო აქ მოხსენებული ყოველ-თვიური მასპინ-  
ძელი? ბ-ნმა არჩილ ჯორჯაძემ „ცნობის ფურცელში“ ამ მასპინძლად  
ჩასთვალა რომელიდაც თანამშრომელი უურნალის „ივერიისა“ — და  
თქვენს წინ მდებარე მიმოხილვის ავტორად კი დასახა თვითონ რე-  
დაქტორი ილია ჭავჭავაძე. ნამდვილად კი საქმე სრულიად სხვანაირად  
იყო. ყოველ-თვიურს მასპინძლობას უურნალში მეტოხეელებს უწევდა  
პირადად თვითონ რედაქტორი. მხოლოდ ამ მიმოხილვისათვის მან ვერ  
მოიცალა, რაღაც ბანკის საქმეებისათვის ბაქოში წავიდა და დამაკა-  
ლა დამეწერა მიმოხილვა უურნალისათვის, რაც დიდი სიამოვნებით  
შევასრულე, ამ მიმოხილვის გარდა მე დავწერე კიდევ მხოლოდ ერ-  
თი მიმოხილვა" (თხ. ტ. 1, 1952, გვ. 369).

თებერვლის ბოლო — გამოდის „ივერიის“ მეორე ნომერი, რომელ-  
შიც დაბეჭდილია იაკობისეული „შინაური მიმოხილვის“ მე-2 და მე-3  
თავები შემდეგი შინაარსით: ეროვნული მნიშვნელობა დედა ენის და  
ლიტერატურის შესწავლისა; უნუგეშო მდგომარეობა ამ საქმის საერო  
სასწავლებლებში; მეტის-მეტი მცირე რიცხვი ქართულის ენის გა-  
ვეთილებისა; ამ ენის მასწავლებლების მეტის-მეტი უვარებისობა; რა  
და როგორ უნდა ეშველოს ამ საქმეს? ჩვენის ქვეყნის სასწავლებლებ-  
ში ადგილობრივ ენათავან მარტო ქართული უნდა იქმნას ვალდებუ-  
ლი; სამღვდელოება და ერი; ეროვნულის პრინციპის უარყოფა ჩვენს  
სასულიერო სასწავლებლებსა და სემინარიაში; ვინ არის ამაში დამ-  
ნაშავე? უვარგისობა სამღვდელოებისა; ამ საქმეს როგორდა უნდა ეშ-  
ველოს? მარჯვე დრო სასულიერო სასწავლებლების და სემინარიის

პროგრამის შეცვლისათვის; მიმართვა ქუთაისის სამდედელოებისად-  
მი; ეროვნულის პრინციპის და ეკონომიკურის აღორძინების ერთმანეთ-  
ზე დამოკიდებულება; რად ჩამოვრჩით უკან ეკონომიკურის კითხვების  
განვითარებაში? ადგილმამულის სივიწროვე საქართველოში; სად და  
ვინ იქმნას გადასახლებული ჩვენის ქვეყნიდგან; ხმა სწავლების ფასის  
მომატებაზედ.

მარტის 11 — გაზეთი „დროება“ (№ 51) ბეჭდავს აღ. მირიანა-  
შვილის წერილს „საყმაწვილო ლიტერატურის საჭიროებაზედ“, რო-  
მელშიც მოხსენებულია „დედა ენა“, „ბუნების კარი“ და მათი ავ-  
ტორი ი. გოგებაშვილი.

მარტის 14 — „დროება“ (№ 54) ხელმოუწერლად ბეჭდავს იაკო-  
ბის წერილს „სწავლების კურსი სასოფლო სკოლებში. ტფილისი, 13  
მარტს“.

მარტის 17 — გაზეთი „შრომა“ (№ 11) ბეჭდავს „ივერიის“ პირ-  
ველი ნომრის ეკ. მჭედლიძისეულ [ბოსლეველის ხელმოწერით] მიმო-  
ხილვას. მიმოხილვის ავტორი განსაკუთრებით ჩერდება პატრიოტუ-  
ლი გრძნობის სტ. ჭრელაშვილისეულ და ი. გოგებაშვილისეულ გან-  
მარტებებზე.

მარტის 21, 23, 24 — გაზეთი „დროება“ (№ № 60—62) აქვეყნებს  
ვინე „ჭონის“ ვრცელ რეცენზიას „ივერიის“ № 1-ში დაბეჭდილ  
ი. გოგებაშვილისეულ „შინაურ მიმოხილვაზე“, რეცენზირ არკვევს,  
თუ ვინ არის ან ვინ შეიძლება იყოს „ქართველი პატრიოტი“.

მარტის 31 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებე-  
ლი საზოგადოების გამგეობას აძლევს წერილობით პირობას (უფლე-  
ბას) „დედა-ენისა“ და „ბუნების კარის“ გამოცემის თაობაზე (თხ. ტ.  
10, 1965, გვ. 336).

„მაქვს პატივი მოვახსენო გამგეობას, რომ მე ვაძლევ მას უფლე-  
ბას ხელახლად გამოსცეს „დედა ენა“ და „ბუნების კარი“ ქვემოხსე-  
ნებულ პირობებითა:

1. გამგეობაშ უნდა, გამოსცეს „დედა ენა“ 18,000 ცალი და „ბუ-  
ნების კარი“ 4,000 ცალი.

2. გამგეობა დახარჯავს ორივე წიგნის გამოცემაზედ და ჩემ —  
ავტორის — ჯილდოდ ხუთას სამოცს თუმანსა.

3. გამოცემისა და კორექტურის შესახებ ზრუნვას ვესირულობ მე  
და ვალდებული ვარ გავათავო ბეჭდვა „ბუნების კარისა“ 15 ავგის-  
ტომედე და „დედა-ენისა“ 15 სექტემბრამდე.

4. როცა მე ქალაქ გარეთ ვიქნები, წიგნების ბეჭდვას თვალური  
უნდა აღევნოს თვით გამგეობამ თავისი საქმის მწარმოებლის ან რო-  
მელიმე წევრის შეამავლობით.

5. გამგეობა ვალდებულია მაძლიოს ფული გამოსაცემად წიგნე-  
ბისა და ჩემს ჯილდოდ შემდეგი რიგით: სამოცი თუმანი თვეში აპ-  
რილიდგან დაწყებული ვიღრე ნოემბრამდე ამ მომავალის წლისა და  
ნოემბრიდგან თხუთმეტი თუმანი თვეში, ვიღრე სულ გადაიხდიდეს ზე-  
მოთ განსაზღვრულს ფულსა. ფულის მიცემა უნდა მოხდეს თვის პირ-  
ველ რიცხვში.

თვით წიგნს „დედა-ენისას“, რომელიც გამგეობას აბაზად უკადე-  
ბა, იგი ჰყიდის ექვს შაურად, ხოლო „ბუნების კარს“, დამჯდარს ათ  
შაურად, ჰყიდის თხუთმეტ შაურად, მაგრამ როცა ვინმე ნაღდს ფულ-  
ზედ ჰყიდულობს [ბიოუ]მად, უფრო იაფად უნდა დაუთმოს ორივე წიგ-  
ნი, სახელდობრ: „დედა-ენა“ უნდა მისცეს ხუთ შაურად. ათის ცალის  
სყიდვის დროსა და „ბუნების კარი“ თოთხმეტ შაურად ათის ცალის  
სყიდვის დროსა. ვინც ოც ცალს იყიდის ერთად და სამ აბაზათ,  
როცა ერთბაშად ვინმე წაიდებს ან დაიბარებს] ოცდა ათს ცალსა.

მე ვალდებული ვარ შემდეგი ახალი გამოცემანი „დედა-ენისა“  
და „ბუნების კარისა“ იქამდის გასასყიდი არ გამოვუშვა, ვიღრემდის  
ახლანდელი გამოცემანი მთლად არ იქნებიან გასყიდული გამგეობის  
მიერ“ (თხ. 9, 1962, გვ. 191—192).

პრიოლის 28 — გაზეთი „შრომა“ (№ 16) ბეჭდავს დავით კეზელის  
წერილს „რამდენიმე საყურადღებო შენიშვნა“ „ივერიის“ მეორე ნო-  
მერში დაბეჭდილ ი. გოგებაშვილის „შინაურ მიმოხილვაზე“. ავტორი  
განსაკუთრებით ეხება მიმოხილვაში სომებ-ქართველთა ურთიერთობის  
საკითხის გოგებაშვილისეულ დასმა-გადაწყვეტას.

მაისის ბოლო — წერილს (20 მაისის თარიღით) ღებულობს მას-  
წავლებელ მოსე ნათამისაგან ხონიდან. ითხოვს მასწავლებლად გამ-  
წესებას ბათუმის სკოლაში, ან ქუთაისის სააზნაურო სკოლაში (თხ. 10,  
ტ. 10, 1965, გვ. 363—364).

ივნისის 27 — ქვეყნდება ცნობა „ბუნების კარისათვის“ საქართველოს რუკის ბეჭდების შესახებ („დროება“, 1882, № 133).

ივლისი — გამოდის „ბუნების კარი“ ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლასებში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგება-შვილისაგან. მეოთხე შეცვლილი გამოცემა, 1882, 416 გვ., 1 რუკა.

ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ავტორი აღნიშნავს დიმიტრი გოგიანის წვლილს წიგნის გაუმჯობესებაში: „ამ ახალ გამოცემაში ჩვენ მოვახდინეთ ზოგიერთა ცვლილებანი. პირველი, ყურადღება მივაქციეთ ენის გაუკუთხესობასა. ამ გაუკუთხესობაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო დიდათ პატივცემულმა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა, რომელმაც გულდადებით გადაიყითხა ეს სახელმძღვანელო და თავის შენიშვნები ენის შესწორების შესახებ გამოგვიგზავნა ჩვენა. ამ შენიშვნებით, რასაკეირებელია, ჯეროვნად ვისარგებლეთ და ენა ყველან გავასწორეთ, სადაც მის უკანონობაზედ დაერწმუნდით“.

ივლისის 4 — გაზეთი „დროება“ (№ 138) საზოგადოებას აუწყებს „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემის გამოსვლას.

„ჩვენ მივიღეთ მეოთხე „შეცვლილი“ გამოცემა ბ. იაკ. გოგება-შვილისაგან შედგენილის „ბუნების კარისა ანუ ყრმათათვის საკითხსავის წიგნისა უმცროს კლასებში სახმარებლად“.

ივლისის 7 — გაზეთი „დროება“ (№ 139) საზოგადოებას აუწყებს ი. გოგებაშვილის მიერ ქართული წერის დედანის გამოსაცემად შზადების შესახებ.

„ჩვენ შევიტყეთ, რომ ჩვენი პატივცემული პედაგოგი ბ. იაკობ გოგებაშვილი ადგენს დედანს ქართული წერის სასწავლებლად.“

ბ. გოგებაშვილი ისეთი გამოცდილი და დახელოვნებული პედაგოგია, რომ იმედი უნდა ეიქონიოთ, რომ ის ხეირიანს დედანს შეადგენს, ისეთს რასმე, რომელიც თავის პირდაპირ დანიშნულებას — ყმაწვილებისათვის ლამაზად წერის სწავლის გააღვილებას — კარგად მიაღწევს და ამით შეასრულებს, სხვათა შორის, ერთ ნაკლს ჩვენის პედაგოგიურ ლიტერატურისას“.

ივლისის 22 — ქვეყნდება ცნობა „ბუნების კარის“ მეოთხე გამოცემის შესახებ („დროება“, 1882, № 151).

„ბუნების კარი ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უფროსს კლასებ-

ში სახმარებელი", შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მე-  
ოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის შატა-  
ზიაში".

სექტემბრის 8 — გაზეთ „დროების“ № 188-ში ქვეყნდება ი. გო-  
გებაშვილის „წერილი რედაქტორთან“, რომელშიც ავტორი უარყო-  
ფითად ეკიდება კერძო სასწავლებლებს.

სექტემბრის 12 — ქვეყნდება ა. ღულაძის „წერილი რედაქტორ-  
თან“ („დროება“, 188, № 191). იგი წარმოადგენს პასუხს ი. გოგება-  
შვილის წერილზე („დროება“, 1882, № 188), რომელშიც უარყოფი-  
ლია კერძო სასწავლებლები.

სექტემბრის 17 — კერძო სასწავლებლების შესახებ წარმოებული  
პოლემიკის გამო იაკობი (ხელმოწერით გ-ღი) ბეჭდავს წერილს „პა-  
სუხი ბ. ა. ღულაძეს“ („დროება“, 1882, № 194).

სექტემბრის 24 — გაზეთი „დროება“ (№ 200) აქვეყნებს ანდრია  
ღულაძის წერილს — „უკანასკნელი პასუხი ბ. გ[ოგებაშვი]-ლს“.

ნოემბერი(?) — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებე-  
ლი საზოგადოების გამგეობის დავალებით იაკობი ადგენს პასუხს ქუ-  
თაისის სააზნაურო სკოლის მიერ საზოგადოების გამგეობაში დასამ-  
ტეოცებლად გამოგზავნილ სასწავლო პროგრამებზე (თხ. ტ. 10,  
1965, გვ. 336).

დეკემბერი — მასწავლებელ მოსე ნათაძეს ხონში დეპეშით ატყო-  
ბინებს ბათუმის სკოლაში მასწავლებლის თავისუფალი ადგილის შე-  
სახებ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 331).

\* \* \*

— ამ წელს იაკობი გამოსცემს (მე-7 გამოცემა) გ. კალანდარი-  
შვილის მიერ შედგენილ რუსული ენის სახელმძღვანელოს. წიგნმა  
კვლავ განიცადა ცვლილებები, რასაც აღნიშნავს კიდეც იაკობი მის  
მიერ შედგენილ წინასიტუვაობაში: «Книга к настоящему изданию  
тщательно пересмотрена, исправлена, дополнена новыми  
рассказами.»

— ამ წელს ან უფრო ადრე(?) იაკობი იწყებს ქართული სკოლებისათვის რუსული ენის სრულყოფილი სახელმძღვანელოს შედგენას. ამის დასტურია მისი განცხადება გ. კალანდარიშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოს მე-7 გამოცემის წინასიტყვაობაში: «В близком будущем появится и вторая книга для чтения, вполне приспособленная к потребностям грузинской начальной школы, под заглавием: «Русское слово».

1883

იანვარი-მარტი — იაკობი გამოსაცემად ამზადებს „დედანს ქართულ წერისას“.

თებერვლის 19 — ი. გოგებაშვილი გაზითის („დროება“, 1883, № 37) საშუალებით მიმართავს საზოგადოებას, რომ გამოსაცემად ამზადებს ქართული წერის დედანს და სთხოვს ძველი და ახალი წერის ნიმუშების გაგზავნას (იაკობის წერილი თხზ., ტ. 1-ში ქვეყნდება სათაურით: „ქართული ხელნაწერის ნიმუშების შესახებ“).

„ამჟამად ვძეგჭდავთ „დედანს ქართულ წერისას“... ნიმუშები გამოგზავნილ უნდა იქნას მომავალს მარტის თხუთმეტამდის, რაღვან ამ ღროიდგან დაიწყება „დედნის“ უკანასკნელი განყოფილების მოთხრა ლიტოგრაფიის ქვაზედ“.

მარტის დასაწყისი — „ივერიის“ № 2-ში ქვეყნდება კრიტიკული წერილი იაკობ გოგებაშვილის მისამართით — „ჩვენი პედაგოგიის ნაყოფი კალანდარიშვილი გერასიმე პირველი დასაწყისი კურსი რუსული ენისა ქართველთათვის გამოც. მე-7 შეცვლილი და დამატებული ი. გოგებაშვილისაგან“. წერილს ხელს აწერს „ქუთათური ბორა“.

მარტის 23 — გაზით „დროების“ № 62-ში გამოკვენებულ მირიანაშვილის კრიტიკულ „შენიშვნა“-ში უარყოფითად არის შეფასებული ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დედა ენა“ და „ბუნების კარი“.

მარტის ბოლო — „ივერია“ (№ 3) ბეჭდავს იაკობის საპასუხო წერილს — „უკუღმართი ნაბიჯი“, რომელიც მიმართულია ქუთათური ბორას წერილის — „ჩვენი პედაგოგიის ნაყოფი“ — წინააღმდეგ.

წერილის დასასრულს იაკობი დასკვნის სახით აღნიშნავს:

„კალანდარიშვილის სახელმძღვანელოს აქტს არა ერთი ნაკლებადან გადამზადება და სასარგებლო წიგნია, როგორც რესულუსულის ენის შესწავლისათვის, ისე დედა-ენისათვის, მბოლოდ მიუცილებლად საჭიროა, რომ მასწავლებელი სკოლისიანად ეპყრობოდეს თავის თანამდებობასა, ყოველ გაეცეთილისათვის ემზადებოდეს, ცოცხალი სიტყვით შეათვისებინებდეს ბავშვს კოველი პარაგრაფის შინაარსსა და წიგნსა ხმარობდეს მაშველებელ ღონისძიებათა, გასამეორებლად და კითხვაში სავარჯიშოდ“ (თხ. 1, გვ. 494—495).

რედაქცია წერილს შემდეგი შენიშვნით აქვთნებს: „ეს წერილი სრულად და უცელელად კერ იძეჭდება“. მომდევნო ნომერში რედაქცია აცხადებს: „რაღანაც არა ჩვენზედ დამოკიდებული მიზეზით დასასრული წერილისა „უკალმართი ნაბიჯი“ ამ ნომერში არ მოექცა, ამიტომ წიგნი დაგვიანდა და უამსტატიოთ გამოიცა, იმედი გვაქვს, რომ შემდეგს ნომერში მოექცეს შემოკლებულად და შეცვლილი მაინც“.

(წერილის დასასრულის დაბეჭდას კრძალავს ცენზურა, უურნალის რედაქცია № 7-ის პირველ კერძზე ამ წერილის შესახებ აკეთებს განცხადებას: წერილი კერ იძეჭდება ეხლა და ვერც შემდგომში დაიბეჭდება“ (თხ. 1, 1952, გვ. 536).

პპრილის 1 — გაზეთი „დროება“ (№ 68) ბეჭდავს იაკობის წერილს „წერილის ნიმუში (პასუხად ა. მირიანაშვილსა)“, რომელიც გამოწვეულია ალ. მირიანაშვილის „შენიშვნით“, რომელშიც მისი სახელმძღვანელოები მოხსენებულია უარყოფითად.

პპრილის 12 — გაზეთი „დროების“ № 75-ში ალ. მირიანაშვილი აქვთნებს წერილს „თანამედროვე გოლიათს (პასუხად ი. გოგებაშვილს)“, რომელიც გამოწვეულია იაკობის წერილით „წერილის ნიმუში“.

პპრილის 23 — გაზეთი „დროება“ (№ 80) ბეჭდავს იაკობის საბასუხო წერილს ალ. მირიანაშვილისადმი სათაურით: „უკანასკნელი სიტყვა“.

პპრილის 24, 25, 26 — გაზეთი „დროება“ (№№ 81—83) ბეჭდავს ვინმე „მაღაროელი გლეხის“ ხელმოწერით წერილს („ნამდვილი წერ-

პურტი“) ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების „შესახებ, რომელ შიც ესახჩდება აღ, მირიანაშვილს, ამცირებს „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ ღირსებებს. თუმცა იგივე ავტორი შემდგომში („ივერია“ № 9) ვერ უარყოფს ი. გოგებაშვილის ღვაწლს და აღნიშნავს რომ „დედა ენისა“ და „ბუნების კარის“ „ავტორი, რასაკეირველია, მაგლობის ღირსია“.

ივნისის 8, 9 — გაზეთი „დროება“ (№ № 106, 107) ხელმოუწერ-ლად ბეჭდავს იაკობის წერილს წინამძღვრიანთარის სასოფლო სამეურნეო სკოლის დაარსების გამო, სათაურით: „ახალი ნაბიჯი“.

ივნისის მეორე ნახევარი — წერილს ღებულობს (15 ივნისის თარიღით) ქუთაისიდან ალექსი ჭიჭინაძისაგან, რომელიც სთხოვს დამარებას თბილისში, სათავადაზნაურო სასწავლებელში სასკოლო ინსპექტორად გადაყვანის საქმეში (თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 84).

ივლისის დასაწყისი — გამოდის ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი ლექსთა კრებული სახელწოდებით: „ხომლი ანუ რჩეულ ლექსთა კრება მოზრდილთათვის.“ 1883, 91 გვ.


წიგნში შესულია XIX საუკუნის ქართველ პოეტთა საუკეთესო ლექსები და პოემები — ი. ჭავჭავაძის, ა. წერეთლის, ნ. ბარათაშვილის, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანების, რაფ. ერისთავის, მ. გურიელის და სხვ.

ეს გამოცემა განათლების სამინისტრომ მოიწონა იმ სასწავლებელში სახმარებლად, რომელშიც ქართული ენა ისწავლება.

ოქტომბრის 12 — გაზეთი „დროება“ (№ 202) მეთაურად („ტფალისი, 11 ოქტომბერს“) ბეჭდავს იაკობის წერილს ეროვნულ პრინციპებზე შედგენილი სახელმძღვანელოების მნიშვნელობის შესახებ (თხზ., ტ. 1, სათაურით: „სახელმძღვანელოების შესახებ“).

ოქტომბრის 30 — გაზეთი „დროება“ (№ 217) ბეჭდავს იაკობ გოგებაშვილის საპასუხო წერილს ღიმიტრი თუმანიშვილისადმი, რომელიც შეეხება თავად დავით დადიანის „არზის“ თარგმნის საკითხს.

ნოემბრის 18 — „დროების“ № 232-ში მეთაურად ქვეყნდება იაკობის წერილი ნიკოლოზ კორფის გარდაცვალების გამო სათაურით:



ნოემბრის 27 — გაშეთ „დროების“ (№ 239) მეთაურად ქვეყნდება იაკობის წერილი საკვირაო სკოლების შესახებ სათაურით: „იაფი და აღვილი წამალი უმეცრებისა“ (თხზ., ტ. 1, სათაურით: „საკვირაო სკოლების მნიშვნელობა“).

დეკემბრის 7, 10 — „დროება“ (ქ. № 246, 249) მეთაურ წერილად აქვეყნებს იაკობის წერილს „რა მიზეზია?“ (თხზ., ტ. 1, სათაურით: „რა მიზეზია წერა-კითხვის საზოგადოების მცირე ნაყოფიერების?“).

„საზოგადოების წევრებად ქართველები ითელებიან არა ათიათა-სობით, არამედ ასობით, წევრები საზოგადოებისა ისე გულ-გრილად ეპყრობიან საქმესა, რომ რის ვაი-ვაგლაბით შემოდის საზოგადოების კასაში მხოლოდ მეათედი ნაწილი იმ ფულისა, რომელიც ყოველ წლივ უნდა გრივდებოდეს. გამგებასაც გადაედო ეს გულგრილობა, და იგი ვერ იჩენს ჯეროვან უნარსა და მხეობასა, და მას რაიმე შესამჩნევი კვალი ჯერ არ ვაუღია. ორიოდე სკოლა, ორიოდე წიგნაეს გამოცემა, სამიოდე სტიპენდია და ერთი შეაფი წიგნები, აი მთელი მისი მოქმედების ნაყოფი დღემდინ“ — წერს გულისტყავილით იაკობი და წერა-კითხვის საზოგადოების მცირე ნაყოფიერების ნამდვილ მიზეზათ მიიჩნევს მართვის ცენტრალიზებულ სისტემას.

დეკემბრის 20 — რჩევას აძლევს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას მიხეოლ ყოფიანის მიერ თარგმნილი ელემენტარული სახელმძღვანელოების გამოცემის თაობაზე.

„წემის აზრით მართველობა ძლიერ კარგს იზამს, თუ ამ წიგნების გამოცემას დაუყონებლივ შეუდგება და ამით ჩასდგავს სამირკველს ელემენტარულ მეცნიერებისას ქართულ ენაზედ“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 196).

\* \* \*

— ი. გოგებაშვილის რედაქციით გამოდის მოთხრობათა კრებული სახელწოდებით: „კუნწულა ანუ მოთხრობანი მოზრდილი ყრმათათვის“, წიგნი პირველი, ტფ., 1883, 128 გვ.

წიგნში შესულია: მეფე და ხელოსანი. — ფაშა-მწყემსი (ლაპულე-სი). — მწყემსი (ტურგენევისა), — გრიბული (ეორუ-სანდისა). — ღმერ-

თი შართალსა ხედავს, მაგრამ მაღვე კი არ ამეღავნებს (ტოლსტიოსა). უკანასწერები გავვეთილი. — მოღალატე ბავშვი. — გულის ფანცქალი მოზარდი კავაბისა (ყველა ღოდესი).

წიგნს დართულ ბოლოსიტყვაობაში იაკობი გაღმოგვცემს: ეს გამოცემა არის განახლება იმ უწინდელი ჩემი გამოცემისა, რომელსაც სახელად ერქვა „პატარა ბიბლიოთეკა“ და რომელიც დიდი ხანია, რაც გასაყიდად აღარსად მოიპოვება. უცხო, უხეირო სახელი გამოცეცვალეთ, დავარქვით ჩეცნებური ხალხური სახელი, უფრო ღილა ფორმატი და სივრცე მივეცით წიგნსა და უფრო რთული შინაარსიანი მოთხრობებისათვის დავნიშნეთ...

გამოცემა დანიშნულია არა ბავშვებისათვის, არამედ ყმაწევილებისათვის...

ჩეცნი გამოცემა პერიოდული არ იქნება. ხშირად ამ წიგნების ბეჭდვას ჩეცნ საზოგადოებას ვერ აღუთქვამთ... ჩეცნ ყოველ ღონისძიებას ვიზმართ, რომ მასში მოექცნენ ხოლმე მხოლოდ რჩეული ქმნილებანი ევროპული, რუსი და ჩეცნებური მწერლებისა. აյ საჭიროდ ვრაცხ ვსთხოვოთ ჩეცნ ნიჭიერ მწერლებს, რომ, თუ ისურვებენ ჩეცნს გამოცემაში მონაწილეობა მიიღონ, სწერონ არა საბავშვო, არამედ საყმაწევილო მოთხრობანი”.

— ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უდგენს (ალბათ საზოგადოებისვე დავალებით) „ანგარიშს „ვისრამიანის“ გამოცემის ხარჯისა“.

ანგარიშის ბოლოს იაკობი გამოთქვამს აზრს, რომ წიგნი დაიბეჭდოს ზაეოდებად (იაკობი 600 ეგზემპლარს მიიჩნევს საქმარისად, წერა-კითხვის საზოგადოება კი 1200).

„ჩემის პაზრით ყოველი ამგვარი ძველებური წიგნი, როგორიც არის „ვისრამიანი“, უნდა გამოიცეს ნახევარი ზაოდი იმ მიზეზის გამო, იმათ არა აქვთ აღმზრდელი და განმავითარებელი თვისება და საყრადებონი არიან მხოლოდ ლინგვისტიკის მხრივ და ისტორიული მიზენელობით. ჩეცნი ხალხის გონების განვითარებას უნდა მოვეღოდეთ ახალი მეცნიერების მოფენით და ეს მოფენა მაშინ შეგვეძლება, როცა ახალი შინაარსის წიგნებს დავბეჭდათ, და გავავრცელებთ ხალხში. ამიტომ მართველობა ძალიან კარგს იზამს, თუ ოქრომჭედლიშეიღსა სთხოვს, რომ იმ 6000 მანეთიდან, რომელიც მან ძველი წიგნების დასაბეჭდათ შემოსწირა საზოგადოებას, ნახევარი გადაღოს ახალი წიგნების გამოსაცემათ“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 181).

იანვრის 8, 10 — გაზეთი „დროება“ (№ № 5, 6) ხელმოუწერლად ბეჭდავს იაკობის წერილს — „დიალექტიკა და სიმართლე“, რომელიც გამოწეულია „ივერიის“ მეთორმეტე ნომრის „შინაურ მიმოხილვაში“ იაკობის წერილის „რა მიზეზიას“ უსაფუძვლო კრიტიკის გამო.

იანვრის 10 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამეცების მინდობილობით წერს მოხსენებით ბარათს მაზრებში საზოგადოების აგენტურების დაარსების შესახებ.

საზოგადოების გამგეობის 21 იანვრის სხდომაზე ი. გოგებაშვილის წინადაღებები მიიღეს ზოგიერთი ცვლილებით.

იანვარი-მარტი(?) — ადგენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების „ინსტრუქციას აგენტებისათვის“ (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 336).

იანვრის 11, 18, 19 — სეიმონიძის ხელმოწერით აქვეყნებს რეცენზიას უურნალ „ნობათის“ სანიმუშო ნომერზე („დროება“, 1884, № № 7, 12, 13).

თებერვლის 23, 24, 25 — გაზეთ „დროების“ № № 41, 42, 43) ფურცლებში ქვეყნდება იაკობისეული რეცენზიის მეორე წერილი უურნალ „ნობათზე“.

მარტი — უურნალ „ნობათის“ დამატების № 3-ის სარჩევში შეტანილია იაკობ სეიმონიძის წერილის სათაური — „მიუტევებელი დანაშაულობა“, ხოლო მის დაბეჭდვას კრძალავს ცენზურა.

მარტის 21 — საპასუხო წერილს უგზავნის სოფ. მარნის დაწყებითი სკოლის მაწავლებელ იასონ ქაპანაძეს. უწონებს სასოფლო სკოლასთან ბიბლიოთეკის დაარსების განზრახვას და პპირდება შემწეობას წიგნების გაგზავნით.

„ჩინებული საქმე განვიძრახავთ. ბიბლიოთეკის დაარსება სასოფლო სკოლასთან მეტად სასარგებლო რამეა ყველასათვის: სოფლისა, მოწაფეებისა და ოფიც მასწავლებლისათვის. უბიბლიოთეკოდ სასოფლო სკოლა, რაც უნდა მარჯვედ და ნაყოფიერად მიღიოდეს, მეტნაკლებლობით უძლურია და თავის მიზანს ვერ მიეწევა. თუ სკოლაში

ნასწავლს ბავშვებს საკითხავი წიგნები არა აქვთ და მათით კუნძული გათავების შემდეგ არ სარგებლობენ, სამ-ოთხს წელიწადს უკან ისევ დაავიწყდებათ, რაც სკოლაში უსწავლიათ და მაღლობის მაგიერად სკოლას ცუდი სიტყვით მოიხსენიებენ, როგორც დაწესებულებას, რომელმაც ტყუილ-უბრალოდ სამი-ოთხი წელიწადი მოაცდინა და შრომის ფასი დაუკარგა. მე, რასაკეირველია, დიდის სიამოვნებით მივიღებ ამ მეტად კეთილ საქმეში მონაწილეობას და ოქვენს თხოვნას ავასრულებ.. საჭიროა დანამდგილებით შემატყობინოთ, რა ვერაზ ბაბლიონთეკა გსურთ დააარსოთ, მარტი ქართული წიგნებისა, თუ გსურთ იმისთანა ზოგიერთა რუსული წიგნებიც ჩაურთოთ, რომელნიც საჭირონი და სასარგებლონი არიან მასწავლებლისათვის, აგრეთვე საჭიროა ვიცოდე, სახალხო წიგნები უფრო საჭიროა თქვენი ბიბლიოთეკისათვის, თუ საყმაწვილო. ჩემის აზრით ყოველი ხეირიანი წიგნი საყმაწვილო და სახალხო უნდა იყოს თქვენ ბიბლიოთეკაში ზოგი თითოთოთო ეგზემპლარი, ზოგი კი, უფრო საუკეთესო, ორ-ორი ეგზემპლარი... წიგნები გაურჩეველად არ უნდა იქმნან გამოწერილნი; ბიბლიოთეკაში უნდა ადგილი მიეცეს მხოლოდ პაზრივანს, გონიერს და სასარგებლო წიგნებსა და ქარაცმუტა და მავნებელი წიგნები, რა-საკვირველია, შიგ არ უნდა შეიშვას...“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 306 307).


მარტის 23 — გაზეთ „დროების“ № 65-ში ი. კალმახელიძის ხელმოწერით იძეჭდება იაკობის წერილი კავთისხევში ბავშვთა ავადმყოფობის შესახებ სათაურით — „ტყუილის გამოაშკარავება“.

აპრილი — „ივერიის“ № 4-ში ხელმოუწერლად ქვეყნდება იაკობის წერილი(?) თბილისის სათავადაზნაურო სკოლის შესახებ სათაურით — „შინაური მიმოხილვის მაგიერ“.

აპრილის 14 — თხოვნით მიმართავს საცენზურო კომიტეტს მის წერილის „მიუტევებელი დანაშაულობის“ „ნობათში“ ან სხეა სალტერატურო ორგანოში დაბეჭდვის ნებართვის შესახებ.

წერილში გატარებულია აზრი, რომ ოჯახში ბავშვი უნდა სწავლობდეს მშობლიურ ენას, რომელიც წარმოადგენს მისი სწორი განვითარების, ასევე სახელმწიფო და უცხო ენების შეგნებული და მტკცედ შესწავლის საფუძველს.

საცენტურო კომიტეტი არ აქმაყოფილებს იაკობის თხოვნას მა-  
სი წერილის დაბეჭდვის შესახებ.



მაისი — წერილით ატყობინებს სოფ. მარნის დაწყებითი სკოლის  
მასწავლებელ იასონ კაპანაძეს, რომ აპირებს უახლოეს დღეებში ამ  
სკოლის ბიბლიოთეკისათვის შეძენილი წიგნების გაგზავნას.

მაისის 5 — მონაწილეობს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა  
საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის გამართულ  
კრებაში („დროება“, 1884, № 100).

მაისის 11 — გაზეთი „დროება“ (№ 102) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს — „საყურადღებო სიტყვა“, რომელშიც ავტორი ეხება სამღვდე-  
ლოების სწავლა-განათლებას და აყენებს საკითხს — ეკლესიისავე ხარ-  
ჯით საქართველოდან სასულიერო აკადემიაში იგზავნებოდეს სემინარი-  
ელთა გარევეული რაოდენობა.

მაისის 27 — სიტყვით გამოდის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების საზოგადო კრებაზე („დროება“, 1884, № 119).

ივნისის 9 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მინ-  
დობილობით განიხილავს ბათუმის სკოლის წლიურ ანგარიშს და თა-  
ვის მოსაზრებებს უდგენს გამგეობას (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 336).

ივნისის პირველი ათლათური — ილია ჭავჭავაძის მიწვევით საგუ-  
რამოში არტურ ლაისტის ხსლავან აკაკი წერეთელი, იაკობ გოგება-  
შვილი, 6. ცხვედაძე და სხვანი.

ივნისის 12 (?) — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების  
გამგეობის მინდობილობით აღგენს დასკვნას ქუთაისის სააზნაურო სკო-  
ლის 1883/84 სასწავლო წლის მუშაობის ანგარიშზე (თხზ., ტ. 10,  
1965, გვ. 337).

ივნისის 23 — იაკობი მიწვეულია და მონაწილეობს წინამდლვრი-  
ანთკარის სამეურნეო სკოლის წლიურ გამოცდებში.

„სკოლაში წლიური ეგზამენი მოხდა ამ თვის 23 რიცხვში და  
ჩერენ, მიწვეული, დაეცნარით მათზედ“ (თხზ., ტ. 1, 1952, გვ. 513).

იენისის 29 — გაზეთ „დროების“ № 140-ში იმუშავდება იაკონის წერილი — „პირველი ნაბიჯი სამეურნეო სკოლისა“. აკორდი

წერილში გაღმოცემულია სამეურნეო სკოლის მუშაობის ერთ წლის შედეგები:

„გაგაცნობთ მხოლოდ მას, თუ რა ნაყოფი გამოუღია სკოლას ერთი წლის განმავლობაში და რა შეუძენიათ მის ნორჩ მოწაფეებსა“. აკორდი

იელისის 11 — გაზეთი „დროება“ (№ 149) მეთაურ წერილად აქცენტის იაკონის წერილს — „რესპუბლიკური პარტიის დაცემა მერიაში“. აკორდი

იელისის 26 — ქვეყნდება ვ. გაბიჩვაძის ქრიტიკული წერილი — „ორიოდე სიტყვა „ქართული წერის დედანის“ გამოცემაზე“ (სოფლის მასწავლებლის საყურადღებოდ), რომელიც მიმართულია ი. გოგუბაშვილის „დედანის“ წინააღმდეგ („დროება“, 1884, № 161).

იელისის ბოლო — გამოდის „კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეცნიერებიდან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისა. მეორე, შევსებული გამოცემა“. ტუ., ე. ხელამის სტ., 1884, 184 გვ. იღ.

პირველი გამოცემისაგან განსხვავებით, მეორე გამოცემა დაიბეჭდა წინაასიტყვაობის გარეშე. გამოცემა დასურათებულია.

„ჩვენ მივიღეთ იაკობ გოგებაშვილისაგან შედგენილი ქრესტომატია ბუნებისმეცნიერებისა, რომელსაც „საყმაწვილო კონა“ [მეორედ გამოიცა „კონის“ სახელწოდებით] ეწოდება. წიგნი მშევნივრად არის დაბეჭდილი და, სხვათა შორის, იმით გაირჩევა პირველი გამოცემისაგან, რომ ამ გამოცემაში სურათებია ჩართული, რაც ძალიან აშნიანებს წიგნს („დროება“, 1884, № 155).“

„კონის“ ამ გამოცემაზე უურნალ „ნობათის“ დამატებაში ხელმოუწერლად (№ № 7—8, 9) ქვეყნდება მეაცრი, მეტად უარყოფითი რეცენზია, რომლის ავტორია „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე აქედან იღებს სათავეს ცნობილი პოლემიკა ი. გოგებაშვილსა და ა. ღულაძეს შორის.

იელისი-აგვისტო — ილია ჭავჭავაძის, ი. გოგებაშვილის და სხვათა ხელმოწერით ქვეყნდება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელებელი საზოგადოების საქმის წარმოება 1883 წ. 15 მაისიდან 1884 წ. 15 მაისამდე“ („ივერია“, 1884, № 7, 8, გვ. 1—16).

აგვისტოს 13, 15 — გაზეთი „დროება“ (№ № 176, 177) ბეჭდავს იაკობის კრცელ რეცენზიის სათაურით: „ქართული წერის დედანი შედგენილი პ. გაბიჩვაძისაგან“. რეცენზიის დასასრულს იაკობი დასძენს: „ახლა ბატ. გაბიჩვაძის რიგია. ახლა იგია ვალდებული ყოველ მხრით გაარჩიოს ჩვენი დედანი და გამოაშეარაოს ყოველი მისი ნაკლოვანება.. ჩვენს შემდეგ სხვანი მოიწადინებენ ბაასში ჩარევასა, და გაიმარტება ცხარე და ნაყოფიერი ბაასი.. საქმე ამ ბაასით ბევრს მოიგებს, არა ერთი ჰქუაში დასაჯდომი აზრი წარმოითქმება ჩვენი წერის ვითარების და ოვისების შესახებ და ყველა ამის შედეგი ის იქმნება, რომ ამის შემდეგ დაბეჭდილი ქართული დედანი იქნება ბევრად უფრო უკეთესი და სასარგებლო“.

იაკობის რეცენზიის პირველი ნაწილი (გამოქვეყნებული „დროების“ № 176-ში) განმეორებით იძებეჭდება „დროების“ № 202-ში რედაქციის შემდეგი შენიშვნით: „ეს პირველი ნახევარი პ. იაკობ გოგებაშვილის წერილისა თუმცა ჩვენის გაზეთის № 176-ის ფელეტონად იყო დაბეჭდილი, მაგრამ რადგან ამწყობის შეცდომით სვეტები გადარეული იყო, უაზრობა გამოდიოდა, ამიტომ საჭიროდ დავინახეთ ხელმეორედ დაგვებეჭდა“.

აგვისტოს შუა რიცხვებში იაკობი წერდა: „ამ დღეებში ბატ. გაბიჩვაძემ გამოცა „დედანი ქართული წერის“. ამ დღეებშივე გამოვა ჩვენი „დედანიც“ (დროება, 1884, № 176).

აგვისტოს 21 — „დროება“ (№ 181) ი. სეიმონიძის ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის წერილს კოპენძაგენში ჩატარებულ მეცნიერ-ექიმთა კრების შესახებ სათაურით: „ფრიად შესანიშნავი კრება“ (თხზ., ტ. 1-ში სათაურით: „სახელოვანთა მეცნიერთა კრება“).

აგვისტოს 24 — გაზეთ „დროების“ № 184-ში ქვეყნდება ვ. გაბიჩვაძის „წერილი რედაქტორთან“, რომელიც წარმოადგენს პასუხს იაკობის რეცენზიაზე — „ქართული წერის დედანი შედგენილი პ. გაბიჩვაძისაგან“.

აგვისტოს პოლო — წიგნად გამოდის „დედანი ქართული წერისა“, შედგენილი იაკობ გოგებაშვილისაგან, 1884, 24 გვ.

სექტემბრის 1 — გაზეთი „დროება“ (№ 189) ბეჭდავს იაკობის წერილს „მსხვერპლი დედა-ენის უცოდინარობისა“, რომელშიც ავ-

ტორი ერთ მაგალითზე (მასწავლებელ მაკარიძის თვითმკვდელისა და მართარებს აზრს, რომ აუცილებელია დედა-ენის საფუძვლიანი შექმნა) მაკარიძის თვითმკვდელისა და მართარებს აზრს, რომ აუცილებელია დედა-ენის საფუძვლიანი შექმნა.

ა. გოგებაშვილის ამ წერილს ეხმაურება დ. ექტელი გაზეთ „ნოვე იბოზრენიეში“ (№ 236 და 239).

სექტემბრის 5 — „დროების“ № 192-ში ვ. გაბიჩვაძის წერილის („დროება“, 1884, № 184) პასუხად იაკობი ბეჭდავს წერილს — „სიტყვას ბანზედ ნუ აგდებთ“.

სექტემბრის 7 — გაზეთი „დროება“ (№ 194) აქვეყნებს ვ. გაბიჩვაძის „ღია წერილს ბ. გოგებაშვილისადმით“.

სექტემბრის 8 — იაკობი მეორე დღესვე („დროება“, 1884, № 195). აქვეყნებს წერილს — „პასუხად ბ. გაბიჩვაძეს“.

სექტემბრის 13 — წერილს უგზავნის სოფრომ მგალობლიშვილს. ესაუბრება თავისი ნაშრომის „დედანი ქართული წერისა“ შესახებ. უმაცყოფილებას გამოთქვამს მისი უხარისხოდ გამოცემისა და მის გარშემო ატეზილი პოლემიკის გამო. განსაკუთრებით ნაწყენია დავით კუნილის საქციოლზე, რომელმაც უკადრისად მოიხსენია მისი „დედანი..“ „ნოვოე იბოზრენიეში“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 320—321).

სექტემბრის 16 — გაზეთი „დროება“ (№ 200, ბეჭდავს უურნალ „ნობათის“ რედაქტორის წერილს „ბ. ი. გოგებაშვილის „საბასო“-ს გამო“. წერილი გამოწევეულია იაკობის მიერ უურნალ „ნობათის“ მონსენიების გამო: „ნობათის“ მსგავსი გამოცემა ჩვენც კი გვექონდა დაწყებული, მაგრამ მისი გაგრძელება შევაჩირეთ იქამდის, ვიდრე ეს სასარგებლო გამოცემა არ მოიპოვებს ხუთასს წლიურს ხელის მომწერს მაინც და მტკიცე ნიადაგზე არ დასიდგება“ (წერილში — „სიტყვას ბანზედ ნუ აგდებთ“).

სექტემბრის 20 — გაზეთ „დროების“ № 200-ში იაკობი აქვეყნებს წერილს „ახირებული ვაჟხუკიანება (პასუხად ბატ. ღულაძეს)“, რომელიც გამოწევეულია ა. ღულაძის წერილით „იაკობ გოგებაშვილის „საბასოს“ „გამო“ („დროება“, 1884, № 200). პასუხში იაკობი არკვევს საბავშვო და საყმაწვილო უურნალების („ნობათის“ და „კუნწულას“) დანიშნულებასა და მათი ერთდროულად გამოცემის საკითხს.

„...საბავშვო უურნალი ერთია, და საყმაწვილო მეორე, რომ სპი-  
რად არამც თუ სხვა-და-სხვა პირი, არამედ ერთი და იგივე რედაქტორი  
ცია ბეჭდავს ორს უურნალსა — ერთს პატარა ბავშვებისათვის და მე-  
ორეს მოზრდილი ყმაწვილებისათვის. შეიძლება რავდენსამე ხანს  
ერთმა და იმავე უურნალმა ასრულოს ორივე უურნალის დანიშნულე-  
ბა, თუ იმას ეყოლება მარჯვე და განეითარებული რედაქტორი; მაგ-  
რამ მხოლოდ ღრ თე ბით. როდესაც მკითხველი მოზარდი თაობა  
იძარტყებს და საბავშვო მწერლებიც ბლომად გამოვლენ ასპარეზზედ,  
გაშინ ამგვარი ორეცი გამოცემა უნდა გადაიქცეს ორს განსაკუთრე-  
ბულ უურნალად“.

სექტემბერი — უურნალ „ნობათის“ დამატების № 7-8-9-ში ა. ღუ-  
ლაძე ხელმოუწერლად ბეჭდავს რეცენზიას ქრებულ „კონაზე“.

— გამოდის მეოთხე გამოცემა წიგნისა „დედა ენა ანუ ანბანი და  
პირველი საკითხავი წიგნი სკოლებისათვის“.

ოქტომბრის 13 — გაზეთი „დროება“ (№ 221) საზოგადოებას აუწ-  
ყებს „კუნწულას“ და „წერის დედანის“ სავალდებულო სახელმძღვა-  
ნელოდ მიღების შესახებ სასულიერო სასწავლებლებში.

„... გოგებაშვილისაგან შედგენილი წიგნი მოზრდილი ყმათათვის  
საკითხავად სახელად „კუნწულა“ და აგრეთვე წერის სასწავლო დე-  
დანი, შედგენილი მისგანეუ მიუღია თბილისის სასულიერო სემინა-  
რიის მთართველობას ჩვენი საეგზარხოსოს სასულიერო სასწავლებ-  
ლებში სავალდებულო სახელმძღვანელოდ.

უნდა ვსოდეთ, რომ ეს სასარგებლო განკარგულება სრულის თა-  
ნავრძნობის ღირსია ჩვენის საზოგადოების მხრივ“.

ოქტომბრის 20 — გაზეთ „დროების“ № 227-ში მეთაურად იბეჭ-  
დება იაკობის წერილი „ორ-გვარი გრძნობის ამშლელი ფაქტი“, რო-  
მელშიც ავტორი აკითარებს შემდეგ აზრს: „როდესაც რომელიმე  
ნიჭიერი ქართველი იჩინს თავს თავისი შესანიშნავი შრომით და ნი-  
ჭით სხვა ქვეყანაში, უცხო საზოგადოებაში მოინადირებს საყოველ-  
თაო ყურადღებას და მისი მოქმედება შეიქნება ქების საგნად უურნალ-  
გაზეთებში, მაშინ ოქენეს გულში იბადება ორ-გვარი, ერთი ერთმანე-  
თის წინააღმდეგი გრძნობა: გიხარიანთ ერთი მხრით, სწუხართ მეო-  
რე მხრით.“

გიხარიანთ ჯერედ ისა, რომ თქვენი მოყვასი, თქვენი თანამემშე-  
ლე წარმატებაშია, თავის გულის წადილს მოსწერა, ბეჭდიარების  
გზას დასდგომია... იგი მთელი ქეყნის თვალში უკეთებს სახელს თა-  
ვის ერს, ცხადჰყოფს მის შემოქმედებითს ძალასა...

მაგრამ ... მაინც სწუხართ და სტირით, და ამ წუხილს და ტირილს  
აქვს სრული საფუძველი...

დიალ, სწორედ სტირიან ნიჭიერთა მოღვაწეთათვის: ქართული  
თეატრი... ქართული ლიტერატურა... ქართული მეცნიერება...

თარხნიშვილს, სუმბათაშვილს, მელიქიშვილს, პეტრიაშვილს და  
სხვებს შეეძლოთ ფეხზე დაეყენებინათ ერთი საქმე, მეორის აღორძი-  
ნებას მხნედ დახმარებოდნენ, მესამის დაბადება და აღზრდა დაეჩქა-  
რებინათ; მაგრამ, საუბედუროდ, მათ შუა და ამ საქმეთა შორის სტეკი  
ღიდი მანძილი.

მართალია... მათი მოქმედება ახლაც სასარგებლოა ჩვენთვის, მაგ-  
რამ ეს სარგებლობა გარეგანია და არა შინაგანი, ერის სახელს ეხმა-  
რება, ხოლო სახრავს კი ვერ უმატებს...“.

ოქტომბრის 25 — „დროება“ (№ 230) ბეჭდავს სარედაქციო წე-  
რილს „ქართული პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელონი“, რომელიც  
მთლიანად ეძღვნება ი. გოგებაშვილის „დედა ენის“ უსაფუძველო კრ-  
ტიკას.

ნოემბრის 2, 4 — გაზეთ „დროების“ № № 237 და 238-ში იაკობ  
აქეევნებს წერილს „უსარგებლო გამეორება“, რომელიც გამოწვეულია  
უავტორო წერილით — „ქართული პირველ-დაწყებითი სახელმძღვანე-  
ლონი“. იაკობი თავის საპასუხო წერილში მთლიანად ააშკარავებს  
კრიტიკოსის უსაფუძვლობას.

დეკემბრის 1, 4 — „დროება“ (№ № 259, 261) ბეჭდავს იაკობის  
საპასუხო წერილს „უძლური სიბრაზის ნაყოფი“. წერილი გამოწვეუ-  
ლია ანდრია ლულაძის მიერ „კონას“ (1884 წ.) მეორე გამოცემის  
უსაფუძველო კრიტიკით.

„ნობათის“ რედაქციას ... თავის უკანასკნელ წიგნში დაუბეჭდავს  
ჩვენი საყმაწვილო „კონის“ კილვა, სავსე ბავშვეური და უნიჭო სიბ-  
რაზითა. როგორც ყველა, წვრილმანურს ბოროტების ნაყოფში, ა  
კიცხვაშიაც ერთმანეთს ეჯიბრებიან სიბრიყვე და მტკნარი უკიცხა.

არაურობაზედ ვრცელი საუბრის გამართვა შეუძლებელია; ამიტომ ჩვენ მხოლოდ რაოდენსამე სიტყვას „ვიტყვით“ და დასასრულს რაკობრივი შეუნდობს მტრობას, წერს:

„თუმცა „ნობათმა“ მოყერობა მტრობით გადაგვიხადა, სიკეთისათვის ბოროტი მოგვიგო, მაგრამ ჩვენი განწყობილება უურნალთან იოტის ოდენადაც არ შეიცვლება; იმიტომ რომ „ნობათს“ შეაღგენენ არა მისი უვიცი ექსპედიტორი თავისი ერთად ერთის ყურმოჭრილის ყმითა, არამედ თანამშრომელი, რომელიც თავიანთი კალმით ამდიღებენ ჩვენს პედაგოგიურს ლიტერატურასა და რომელთაც ეკუთვნის ჩვენი სიმპატია, სრული ჩვენი თანაგრძნობა“.

იაკობის ამ წერილის გამო „ნობათის“ რედაქტორი ანდრია ღულაძე იაკობს იწვევს სამედიატორო სასამართლოში („წერილი რედაქტორთან“ — „დროება“, 1884, № 263).

დეკემბრის 8 — გაზეთ „დროების“ (№ 264) საშუალებით იაკობი თანხმობას უცხადებს ან. ღულაძეს სამედიატორო სამართალში გაწვევის შესახებ — „პასუხი პედაგოგიური უურნალის „ნობათის“ რედაქტორ-გამომცემელს ბ. ღულაძეს“.

დეკემბრის 9 — გაზეთ „ნოვოე ობოზრენიე“ № 329-ში გამოქვეყნებულ წერილში დ. კეზელი (ხელმოწერა — ვილ) ადანაშაულებს ი. გოგებაშვილს „ნობათის“ რედაქტორ ან. ღულაძესთან პოლემიკაში.

დეკემბრის 13 — ზოილ-ზიგზაგის (დ. კეზელი) საპასუხოდ იაკობი „ნოვოე ობოზრენიეში“ (№ 333) ბეჭდავს «Письмо в редакцию».

დეკემბრის 14 — დ. კეზელი „ნოვოე ობოზრენიე“-ში (№ 334) ბეჭდავს წერილს იაკობის საპასუხოდ.

დეკემბრის 19 — „ნოვოე ობოზრენიე“-ში (№ 339) ქვეყნდება იაკობის «Письмо в редакцию» დ. კეზელის წერილის (ნოვოე ობოზრენიე, 1884, № 334) საპასუხოდ.

დეკემბრის 20 — დ. კეზელი კვლავ ბეჭდავს წერილს იაკობის საპასუხად (ნოვოე ობოზრენიე, 1884, № 340).



იანვრის 11 — გაზეთი „დროება“ (№ 8) ბეჭდავს იაკობის მოქმედნას („წერილი რედაქტორთან“) ღულაძესთან სამედიატორო სამართლის დაჩქარების შესახებ.

— „დროების“ ივანე ნომერი საზოგადოებას აუწყებს ი. გოგება-შეილის წერილების გამოცემის განზრახვის შესახებ.

იანვარი — იაკობი განმარტებით წერილს უდგენს მედიატორების სამართალს ღულაძესა და მას შორის წარმოებული პოლემიკის გამო.

იანვრის 17 — დ. კეზელი ბეჭდავს «Ответ на письмо Гогебашвили» ამხანაგური სასამართლოს უარყოფის გამო (ნოვოე ობოზრები, 1884, № 365).

თებერვალი — უურნალ „ივერიის“ № 2-ში მედიატორთა სამართლის ნებართვით იაკობი ბეჭდავს „განმარტებითი წერილი მედიატორთა სამართალს“.

„ჩვენ საჭიროდ დავინახეთ ვეესარგებლა მედიატორები ნება დართვით და დაგვებეჭდა ეს დამატებითი მოხსენება, რომ მკითხველს საზოგადოებას საქმის ყოველივე საბუთი ხელში ჰქონდა და თვითონვე გაესინჯა... მედიატორთა სამართალმა, რომელიც შესდგა გასარჩევად პოლემიკისა ბ. ღულაძესა და ჩვენს შორის, ვალად დაგვედო წარგვედვინა მისთვის ახსნანი გასამართლებელნი დამატებანი იმ ანტიკორტაკისა, რომელნიც ჩვენ დავბეჭდეთ „დროებაში“ შესახებ „კონის“ კრიტიკისა; ეს უკანასკნელი დაბეჭდილი იყო „ნობათში“.«

აქე ქვეყნდება მედიატორებით დ. ბაქრაძის, ვ. ყიფიანის, გ. იოსელიანის განაჩენი ი. გოგება-შეილისა და ა. ღულაძის პოლემიკის შესახებ.

— უურნალ „ნობათის“ № 2-ში ან. ღულაძე ბეჭდავს თავის განმარტებით წერილს მედიატორთა სამართლისადმი.

მარტის 19 — იაკობი წერს კორესპონდენციას («Из Тбилиси») თბილისის სასულიერო სემინარიაში მომსდარ შემთხვევას — სემინარიის რექტორ დეკანზ ჩუდეცის ფიზიკურ შეურაცხყოფას სემინარების მიერ და ამ შემთხვევის მიზეზებს. წერილი კრიპტონიმით-ნ. ქვეყნდება გაზეთში «Современные известия», № 88,

გოგებაშვილი რედაქტიას სთხოვს: „...ჩემს სახელზე გამოაგზავნოს განულის იმ ნომრის ათი ეგზემპლარი, რომელშიც მოთავსებული იქნება ეს კორესპონდენცია. ჩემი მისამართი: თბილისი, ქართული შეთანხმული შეთანხმული „დროების“ რედაქტია, ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე სკომინიძეს“ (თხ. ტ. 2, 1954, გვ. 471).

მაისის 16 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამეობას უდგენს დასკვნას ქუთაისის სააზნაურო სკოლის 1884/85 სასწავლო წლის მუშაობის ანგარიშზე (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 337).

მაისის 29 — იაკობი განცხადებით მიმართავს յავების საცენტურო კომიტეტს, იმის გამო, რომ ცენზორმა ღუჟა ისარლოვმა „ბუნების კარში“ ტერმინები „დასავლეთ საქართველო“, „სამხრეთ საქართველო“ შეცვალა გამოთქმებით „იმერეთი“, „თურქეთის საქართველო“ და ითხოვს აღრე ხმარებული ტერმინების აღდგენას.

ივნისის 5 — იაკობი განმეორებით მიმართავს საცენტურო კომიტეტს „ბუნების კარში“ ძველად ხმარებული ტერმინების „დასავლეთ საქართველოს“ და „სამხრეთ საქართველოს“ დატოვებას.

აგვისტო — გამოდის „ბუნების კარის“ მეხუთე შევსებული გამოცემა.

„დაიბეჭდა, გამოვიდა და ისყიდება ახალი, მეხუთე, გამოცემა „ბუნების კარისა“ გასწორებული და შევსებული. ამ გამოცემაში ცოტად შემოკლებულია პირველი განყოფილება, რომელიც ისყირობს ბუნების მეტყველებას, ჩამატებულია ახალი სურათები, ახალი ლექსები, ქრესტომატია გადიდებულია, წიგნი შევსებულია ახალი ისტორიული განყოფილებით, რომელიც ისყირობს ვრცელს აღწერას საქართველოს ისტორიის სახელოვანი პირების ცხოვრებისას და მოქმედებისას. გამოცემა შემკულია ახალი ქარტით, რომელიც მოჭრილია საუკეთესო თუილებით სპეციალისტისაგან“ (ივერია, 1885, № 8, გვ. 125).

ოქტომბრის 29 — მოხსენებით ბარათს უდგენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას ბათუმის ქართული სკოლის მასწავლებელ მოსე ნათაძის ათი თუმნით დაჯილდოების შესახებ (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 337).

დეკემბრის 25 — პროფესორი ალ. ცაგარელი იაკობს უგზავნის წერილს:

„კარგა ხანია თქვენი წიგნი განვიხილე, მოვიწონე და გაცემავნე კომიტეტში, აქამდინ მგონი მოგივიდოდათ: ჩემის პაზრით, ა კადუ მიური ასოებით რომ ბეჭდოთ ემჯობინებოდა, რადგან აკადემიური შრიფტი თუმცა წვრილია, მაგრამ უფრო ცხადია და მშვენიერი, ვიდრე „დროების“ შრიფტი, რომლითაც თქვენი წიგნის უმეტესი ნაწილი დაბეჭდილია. ქაღალდიც რომ უფრო სქელი იყოს და ერთი გვერდიდან მეორეში შავი ხაზები არა სჩანდეს, — ემჯობინება თვალისათვის, სხვაფრივ მშვენიერი წიგნია თქვენი წიგნი. ვგონებ ცალკე „ქრესტომატია“ რომ გამოსცემ ძველი და ახალი მწერლების ნიმუშებით, ასენით და განმარტებით ბიბლიოგრაფიულ-ბიოგრაფიულითა სასაჩვენებლო წიგნი იქნება“ (თხ., ტ. 6, 1958, გვ. 754).

\* \* \*

— ამ წელს გამოსცემს წიგნებს: „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი“, შედგენილი ო. გოგებაშვილისაგან, გამოცემა მეცხრე შეცვლილი, 1885, 62 გვ. (ეს წიგნი 1865—1877 წწ. გამოდიოდა სახელწოდებით: „ქართული ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეთათვის“. ამ სახელწოდებით გამოვიდა 8-ჯერ).

— Начальный курс русского языка для грузин по практическому методу. Сост. Г. Каландаришвили. Изд. восьмое, совершенно переделанное Яков Гогебашвили. 1885, 186 с.

## 1886

იანვრის 1 — „თეატრის“ № 1-ში ქვეყნდება ა. ახნაზაროვის სახალწლო იუმორისტული საყოველთაო თხოვნა, რომელშიც მოიხსენიებს ო. გოგებაშვილს.

იანვრის 14 — „ივერია“ (№ 9) საზოგადოებას ახალ ამბად აუწყებს რუსული ენის მასწავლებლის აზრს ო. გოგებაშვილის „რუსეთის“ სლოვოს“ შესახებ.

იანვრის 20 — ო. გოგებაშვილის მოხსენების საუძველეს წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობა მაღლობას უკავებს.

ხადებს აღექსი ჭიშინაძეს, ქუთაისის სააზნაურო სკოლაში გაწეულა დვაწლისათვის.

„თანახმად წევრის უფალ გოგებაშეიღის მოხსენებისა გამოეცხადოს აღექსი ბესარიონის ძე ჭიშინაძეს მმართველობის გულითადი მაღლობა იმ დვაწლისათვის, რომელიც მან დასდო ქუთაისის სააზნაურო სკოლას“ (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 337).

იანვრის 21 — წერა-კითვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს მოხსენებით ბარათს საზოგადოების სკოლების 1884/85 სასწავლო წლის მუშაობის ანგარიშების შესახებ (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 337).

— ამავე დღეს საზოგადოების გამგეობას უდგენს მეორე მოხსენებით ბარათს საზოგადოების სკოლებისათვის ახალი პროგრამების შედეგენის თაობაზე. მოხსენებითი ბარათის დასასრულს იაკობი წერს: „მე პირადად ვალად ვიდებ შევადგინო ვრცელი პროგრამა ქართული ენისა და ქართული წერისა სამავალითო გაკვეთილებით“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 208).

— დასკვნას უდგენს ავრეთვე ქუთაისის ქართული სკოლის ინსპექტორის აღექსი ჭიშინაძის მიერ დასამტკიცებლად წარმოდგენილ სასწავლო პროგრამაზე.

იანვრის 26 — „ივერია“ (№ 20) იტყობინება, რომ გამოვიდა გერ. კალანდარიშვილის მიერ შეღვენილი რუსული ენის სახელმძღვანელოს «Начальный курс русского языка для грузинъ» მერვე გამოცემა, რომელიც მთლიანად გადაეცებული იყო იაკობ გოგებაშვილის მიერ.

თებერვლის 1, 2 — გაზეთ „ივერიის“ № № 25, 26 ქვეყნდება იაკობის წერილი „საგრამატიკო შენიშვნა“ (თხ. ტ. 2 სათაურით: „საგრამატიკო ბაასი“).

იაკობის წერილი არის გამოხმაურება მიხეილ ნასიძის წერილზე — „ორი საგრამატიკო საგანი“ („ივერია“, 1886, № 17, 18).

„ამ დღეებში „ივერიამ“ დაბეჭდა ბ. ნასიძის წერილი სათაურით: „ორი საგრამატიკო საგანი“. ავტორმა წერილი დააბოლოვა გამოცხადებით, რომ ამ მოქლე ხანში მეც ვაპირებ ქართულის გრამატიკის გამოცემასო“.

ცხადია, ავტორს არა მარტო ის უნდოდა, რომ განეზიარა მყოფ-  
ველისათვის თავისი საგრამატიკო მოსაზრებანი, არამედ ისიც სურდა,  
რომ მყითხველის მხრივ გამოწვევია ბეჭდვითი მსჯელობა და შეეტყო,  
რავდენად მტკიცე ნიადაგზედ სდგას იგი და რაედენად მოწიულად  
უნდა ჩაითვალოს მისი ნაწარმოები, დასაბეჭდად დამზადებული. თა-  
ვისი ვალი მან უკვე შეასრულა, თავაზა გაგვიწია, — ახლა ჩვენი, მკ-  
თხველების, ჯერია სამაგიერო სიკეთე მიევაგოთ და ჩვენც ჩვენი ნაპ-  
რი და ნაფიქრალი გულწრფელად განვუზიაროთ“.

თებერვლის 20, 21 — გაზეთი „ივერია“ (№ № 41, 42) ბეჭდავს  
მიხეილ ნასიძის წერილს იაკობის „საგრამატიკო შენიშვნას“ გამო სა-  
თაურით: „ბ-ს იაკობ გოგებაშვილის პასუხად“.

მარტის დასაწყისი — ილია ჭავჭავაძის თაოსნობით სტამბურაძ  
იბეჭდება ცენზურის მიერ ნებადართული უწყება (შეტყობინება), რო-  
მელიც „ივერიას“ რედაქციაში 8 მარტის სხდომის მონაცილეებს აუ-  
ნობებს, რომ სხდომაზე უნდა განიხილონ სალიტერატურო ქართულის  
სადაც საკითხები. ასეთი შეტყობინება ეგზავნება აღ. ჭყონიას, ი. გო-  
გებაშვილს, პ. უმიკაშვილს, ივ. მაჩაბელს და ქართული ენის სხვ.  
მცოდნებს.

„მოწყალეო ბატონო იაკობ სვიმონის ძე,

გთხოვთ მობრძანდეთ მარტის 8, შაბათს საღამოს „ივერიას“ რე-  
დაქციაში განსახილველად საგრამატიკო საგანთა იმ აზრით, რომ ერ-  
თი საერთო, პაყოველთაო კანონი აიხსნას და დაადგინოს მწერლობა-  
ში სახმარებლად.

რომ წინადევ ცნობილ იქმნას რა და რა საგანზედ იქმნება სჯა,  
თვითეულს საგანს აქავ გაეუწყებთ...“ (ილია ჭავჭავაძე, საიუბილეო  
კრებული, 1939, გვ. 18—19).

მარტის 5—7, 14 — გაზეთი „ივერია“ (№ № 50—52, 58) ბეჭდავს  
იაკობის წერილს „დაბრიყვებული ბრუნვები (პასუხად ბ-ს ნასიძეს)“.  
(თხზ., ტ. 2 სათაურით: „მეორე საგრამატიკო ბაასი“).

„ამ პასუხის გარდა იაკობს სხვა საპასუხო წერილიც დაუწერია,  
მაგრამ იგი არ გამოუკეყნებია“ (თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 471).

მარტის 8 და შემდეგ(?) — იაკობი მონაწილეობს „ივერიის“ რე-  
დაქციაში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით მოწყობილ სალიტერატურო  
ქართულში სადაც საკითხების დამდგენ თაობირში.

აპრილი — კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარში (№ 4)  
ქვეყნდება სახალხო განათლების დეპარტამენტის ვიცე-დირექტორის

შიმართვა კავებისის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი ჰოგიერთო  
ქართული გამოცემის მოწონების შესახებ, მათ შორისა ა. გოგებარების  
შეიღის «Букет элементарных рассказов из естественной истории».

მაისის 15 — გაშეთი „ივერია“ (№ 104) აქვეყნებს სათავადაზნა-  
ურო სკოლის ანგარიშს, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის თავ-  
მჯდომარე ი. ჭავჭავაძე და კომისიის წევრები, მათ შორის ი. გოგე-  
ბაშვილიც.

ივნისის 14 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების გამგეობას უდგენს მოხსენებით ბარათს ქუთაისისა და  
სამეგრელოს სააზნაურო სკოლების 1884/85 სასწავლო წლის მუშა-  
ობის ანგარიშების შესახებ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 338).

აგვისტო — იაკობის რეკომენდაციით სათავადაზნაურო სასწავლებ-  
ლის კომიტეტი აღექსი ჭიჭინაძეს ირჩევს ამ სასწავლებლის ინსპექ-  
ტორად.

„...მე ეურჩევ კომიტეტს დაუყონებლივ მოიწვიოს იგი ინსპექტო-  
რად. ეს იყო 15 აგვისტოს. კომიტეტი არ ჩქარობდა, იგი იმებდა ახალ  
კანდიდატებს და ამასობაში გაიარა მთელმა ორმა კვირამ. ბოლოს და-  
ვითანხმე თავმჯდომარე კონსტანტინე ქრისტეფორეს-ძე მამაცაშვილი  
და ჩევნ ორმა შევადგინეთ ხმათა უმეტესობა წინააღმდეგ ორის სხვა  
წევრისა...“ (თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 84—85).

სექტემბრის 1 — თბილისის სასულიერო სემინარიის გამგეობა მი-  
წერილობას უგზავნის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველ  
გ. თინიკაშვილს იაკობ გოგებაშვილის სიტყვიერების მასწავლებლად  
დანიშვნის შესახებ სემინარიის მესამე განყოფილებაში (ა. იოეაძე, ია-  
კობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 176).

სექტემბრის დასაწყისი — ქვეყნდება ბიბლიოგრაფიული განცხადე-  
ბები „დედა ენის“ მეხუთე გამოცემის შესახებ („ივერია“, 1886,  
№ № 189, 192, 194 და ა. შ.).

სექტემბრის 24 — ურნალი „თეატრი“ (№ 39) ბეჭდავს კრიტი-  
კულ წერილს „დედა ენის“ შესახებ, სათაურით „საყურადღებო საგა-  
ნი“. წერილი ხელმოწერილია კრიპტონიმით — „კ — ე“.

სექტემბრის მეორე ნახევარი — ოქტომბრის დამდეგი — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრულებელი საზოგადოების მიწოდობით იაკობი ამოწმებს ბათუმის, ქუთაისისა და ხელთუბნის სერებს.

„...მე გავმიჯვე სექტემბრისა და ოქტომბრის დამდეგს სამი სკოლა საზოგადოებისა...“ (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, ღოუშენტ. მასალები, 1951, გვ. 75).

ნოემბრის 14 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრულებელი საზოგადოების გამგეობას წარუდგენს მოხსენებას ბათუმის, ქუთაისისა და ხელთუბნის სკოლების შემოწმების შედეგებზე (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, ღოუშენტ. მასალები, 1951, გვ. 75).

ნოემბრის 20 — გაზეთი „ივერია“ ბეჭდავს იაკობის წერილს (სკომონიძის ხელმოწერით) „ირიბი ხელი“ (შემდეგში ავტორი უცვლის სათაურს — „ირიბი ხელის უვარევისობა“).

დეკემბრის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 267) ბეჭდავს ვ. გაბიჩვაძის წერილს „ირიბული კრიტიკოსი. პასუხად ი. სკომონიძეს“ („ივერია“, 1886, № 252). წერილი მიმართულია ი. გოგებაშვილის წერილის — „ირიბი ხელის“ წინააღმდეგ.

## 1887

იანვრის 6 — გაზეთ „ივერიის“ № 3-ში იაკობ სკომონიძის ხელმოწერით ქვეყნდება იაკობის წერილი „ჩვენი სისუსტე“ (თხ. ტ. 2 სათაურით „პრესა ჩვენში და პატარა ერქებში“), რომელშიც ავტორი ქვება უურნალ-გაზეთებისა და საერთოდ ბეჭდვითი სიტყვის გაერცელების გულგრილ დამოკიდებულებას ქართველებს შორის.

იანვრის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 6) აქვეყნებს იაკობის წერილს „ირიბი ხელის სარჩლის გამო (პასუხად ბ-ნს გაბიჩვაძეს)“.

იანვრის 15 — იაკობი წერს წერილს („ცვლილებები საქართველოს საეკლესიო ცხოვრებაში“) რესულ ენაზე და გამოსაქვეყნებლად გზავნის 6. 6. კრიბტონიმით გაზეთ „სოვრემენიე იზვესტიაში“ (გამოქვეთ 6-და № 14-ზა).

ვარტის 27 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს მოხსენებას ძველი სენაკისა და ქუთაისის სააზნაურო სკოლების შესახებ.

„თანახმად მმართველობის მონდობილობისა, მე განვიხილე როგორც ძველი სენაკის სააზნაურო სკოლის წლიური ანგარიში, ისე განაჩენი ქუთაისის სააზნაურო სკოლის პედაგოგიური რჩევისა ყოველიური გაკვეთილების განაწილებით“ (ა. ოციძე, იაკობ გოგიძაშვილი, ღოვეუმენტ. მასალები, 1951, გვ. 77).

მოხსენებასთან ერთად საზოგადოების გამგეობას უდგენს გაკვეთილების ტაბულას ძველი სენაკის სააზნაურო სკოლისათვის.

ვარტის 31 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს მოხსენებას ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში მეგრულ ენაზე სწავლების მოწყობის თაობაზე.

„თანახმად მმართველობის მონდობილობისა, მე შევადგინე პასუხი ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის წინადაღებაზე, შესახებ იმისა, რომ ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში სწავლება მოეწყოს მეგრულს ენაზე ნაცვლად ქართულისა. პასუხი ესე მე წავუკითხე ბატონს თავმჯდომარეს... ილა ჭავჭავაძეს, რომელმაც სცნა იგი კანონიერად და შესაბამისად“ (იქვე, გვ. 79).

აპრილის 2 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს „არჩილიანის“ გამოცემის ხარჯთაღრიცხვას.

„თანახმად მმართველობის მონდობილობისა, მე გადავათვალიერე „არჩილიანი“ და გამოვიანგარიშე, თუ რამდენი დაჯდება მისი გამოცემა. აღმოჩნდა, რომ ეს ხელთნაწერი გამოვა ვებერთელა წიგნი თექესმეტი თაბახიდგან ოცს თაბახამდის...“ (იქვე, გვ. 79).

მაისის 4 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას წარუდგენს დასწენა-რეცენზიას სოფურომ მგალობლიშვილის მიერ თარგმნილი საბავშვო წიგნის შესახებ. იაკობი მოითხოვს მის გამოცემას (იქვე, გვ. 219).

— წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მინდობილობით ადგენს მოხსენებით ბარათს ქუთაისის ქართული სკოლის 1885/8<sup>ა</sup> სასწავლო წლის მუშაობის ანგარიშის შესახებ (ა. ოციძე, იაკობ გოგებაშვილი, ღოვეუმენტ. მასალები, 1951, გვ. 80).

მაისის 12 — წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას წერილობით წარუდგენს თავის წინადაღებებს ქართული წიგნების გამოცემის შესახებ.

„რადგანაც უკანასკნელს სანში საზოგადოებას მოეცა მომეტებული ნივთიერი ღონისძიება მოქმედებისათვის, ამიტომ საჭიროა, სხვათ შორის ჯეროვანი მხეობით და დაჩქარებით შევუდგეთ ქართულის წიგნების გამოცემასა. საქმე უნდა დავიწყოთ იმისთანა წიგნების გამოცემით, რომელიც უფრო საჭირონი და სასარგებლონი არიან ჩეკინის სკოლებისა და ოჯახებისათვის“.

შემდეგ ჩამოთვლის რამდენიმე წიგნს, „ვეფხისტყაოსანს“ ნაპბობს ბავშვებისათვის, სახალხო კალენდარს და სხვ.

საზოგადოების გამგეობა ი. გოგებაშვილის ამ წინადაღებას იხილავს 26 მაისს და იღებს შესაბამის დადგენილებას (იქვე, გვ. 82).

მაისის 13 — წერილს უგზავნის კირილე ლორთქითანიძეს თბილისიდან ქუთაისში.

„გუშინ სალამოზედ მოხდა ერთი (კერძო) კრება, რომელშაც დამავალა გამოშეგზავნა თქვენთვის დაუყონებლივ...“ საიდუმლო წერილები ძველი სენაკის სააზნაურო სკოლაში ქართულ ენაზე სწავლების მოსპობისა და სამეცნიეროს სკოლების სამოსწავლო გეგმის შესახებ. თხოვს მეცნიერებთან მოსაუბრება-განხილვის შემდეგ აცნობოს მათ შეხედულებები ამ საკითხზე (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 313—314).

მაისის 19 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამოცემას უდგენს მოხსენებით ბარათს სკოლებში მასწავლებელთა შორის კლასების განაწილების შესახებ (თხ., ტ. 10, 1965, გვ. 339).

მაისის 20 — გაზეთი „ივერია“ (№ 98) იტყობინება: „ჩვენ გაეცემთ, რომ ბ-ნი ი. გოგებაშვილი ადგენს ამ უამაღ ერთს ქართულს სახელმძღვანელოს წიგნს, რომელიც „დედა-ენას“ შემდეგ უნდა ისწავლებოდეს სკოლებში“.

მაისის 24 — გაზეთი „ივერია“ (№ 102) „ახალ ამბებში“ მეითხეველს აუწყებს რუსული ენის სახელმძღვანელოს — „რუსენი სლოვის“ მზადების შესახებ: „ჩვენ შევიტყეთ, რომ მზადდება დასაბეჭდად ახალი სახელმძღვანელო რუსული ენისა ქართული სკოლებისათვის სახელწოდებით «Русское слово». ჩვენ გვქონდა შემთხვევა გა-

დაგვესინჯა ეს სახელმძღვანელო და საჭიროდ ვრაცხთ მოქლე ცნობა გარდაცეთ მკითხველს მასზედ. სახელმძღვანელო იწყება ესრედ წოდებულის ლექსიურის განყოფილებით... ამ განყოფილებას მოსდევს რუსული ანბანი, შედგენილი შემოკლებულს სინკრეტიულს მეთოდზე. ანბანის შემდეგ შეგხვდებათ განყოფილება რუსულის თვალსაჩინო გაკვეთილებისა... ამას მოსდევს პირველი საკითხავი წიგნი, რომლის დამზადებას აცტორი ახლა აღვია და რომელიც ორ ნაწილად განიყოფება: პირველი ნაწილი შეიცავს უმეტესად ქართულს ენიდგან ნათარგმნ მოთხრობებსა, მეორე ნაწილი — წმინდა რუსულს ნაწარმოებთ. ერთი გახსაუთრებული თვისება ამ ახლის წიგნისა ის იქნება, რომ მასში ქართველი ბაჟვები შეხვდებიან ქართულს საუკეთესო საბავშვო ლექსებს რუსულად ლექსალე თარგმნილს!... წიგნი თავდება ქართულ-რუსული ლექსიკონით... წიგნი ამ რამდენსამე თვის შემდეგ დაიბეჭდება".

მაისის 26 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდევს მოხსენებით ბარათს ბათუმის სკოლის მდგომარეობისა და მისი საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე.

ამ მოხსენების გამო საზოგადოების გამგეობა იმავე დღეს აღვენს: „მიენდოს ბ. ბ. ცხვედაძეს და თავ. ვასილ მაჩაბელს წავიდნენ ქ. ბათუმს, შეკრიბონ ადგილობრივი ცნობები ამ საგანზე და თავისი მოსაზრება წარმოუდგინონ გამგეობას" (თხ., ტ. 10, 1965, გვ. 339).

ივნისის 2 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდევს მოხსენებას საზოგადოების სკოლებთან ბიბლიოთეკების დაარსების აუცილებლობის შესახებ.

„მიუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენ სკოლებთან დავაარსოთ ვრცელი ბიბლიოთეკა ყოველგვარი ქართული წიგნებისა" (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, ღოვანენტ. მასალები, 1951, გვ. 177).

— ბათუმის სკოლის მასწავლებელ მოსე ნათამეს შეამდგომლობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წინაშე მისი სხვა ადგილზე გადაყვანის შესახებ.

<sup>1</sup> ამის შესახებ თვით იაკობი შემდეგს წერს: „...იულებული შეეძლენ შემედგინა ახალი სახელმძღვანელო რუსული ენისა თვალსაჩინო მეთოდით მშიდროდ დაკავშირებული ჩემს „დედა ენასთან" (თხ., ტ. 2, 1954, გვ. 180).

ივნისის პირველი ათდღიური — იაკობი დასასვენებლად ადის თბილისიდან სურამში, სადაც მთელ ზაფხულს ატარებს.

„ამ დღეებში ამოვედი თბილისიდან სურამში“ — წერს იგი 12 ივნისს სოფრომ მგალობლიშვილისადმი გაგზავნილ წერილში (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 321).

ივნისის 12 — იაკობი წერილსა და მოსეოეის უურნალებში გამოსაქვეყნებელ ორ სტატიას რუსულ ენაზე უგზავნის სოფრომ მგალობლიშვილს გორში და სთხოვს დახმარებას მისი გადაწერის საქმეში.

„მინდა დავაძეჭდვინო ერთი, უფრო მოზრდილი, უურნალში «Русская мысль» და მეორე, უფრო მომცრო, Русские Ведомости-ებში. ამ უკანასკნელს სტატიას, სუფთად გადაწერილს, მოუნდა გადასწორება და დამატება და ამ გარემოებამ მისი ხელმეორედ გადაწერა საჭიროდ გახადა. სამწუხაროდ, სურამში კერ ვიშოვნე სანდო პირი, რომელსაც რიგიანად და კანონიერად შესძლებოდა მისი გადაწერა. მე ოვითონ არ დავიზარებდი მის გადაწერასა; მაგრამ ეს ორი კვირა გული ძლიერა მტკიცა და ბევრს წერას, მეტადრე მეხანიკურს, ვერიდები. მეტი გზა არ არის, უნდა დამეხმაროთ ამ საქმეში...“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 321—322).

სექტემბრის 5 — წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს პირობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში საწყობების მოწყობის თაობაზე და სთავაზობის სესხად ოცდაათ თუმანი, სარგებლის გარეშე. სანაცვლოდ ითხოვს მისი წიგნებიდან შემოსული სარგებელი მოახმაროს მისსავე წიგნების გავრცელებას. საზოგადოების გამგეობა თანხმდება წაყენებულ პირობაზე (თხ., ტ. 10, 1965, გვ. 340).

ოქტომბრის დასაწყისი — მონაწილეობს ქართული (დრამატული საზოგადოების წევრთა კრებაში, სადაც გამოდის საზოგადოების შემოსავალ-გასასვლის განხილვაში).

„მე მოონია, რომ დასის შედგენამ და წარმოდგენების მართვამ არ უნდა დაუშალოს კომიტეტს, სხვა საქმეებისათვისაც იზრუნოს დასის

<sup>1</sup> სამწუხაროდ, დღემდე ჩვენთვის ცნობილი არ არის, იაკობის რა სტატია დაგეჭდა ამ წელს აღნიშნულ უურნალებში.

შეღენა, წარმოდგენების მართვა და ზემოხსენებული სხვა საქმეები  
საზოგადოებისა, მეტადრე რეპერტუარზე ზრუნვა, ორი ერთად შეკუნ  
კავშირებული საგანია და მათი განცალკევება არ იქნება. თუ გვინდა,  
რომ დასმა წარმატებით იმოქმედოს, პიესების მოპოვებაზე უნდა ვზრუ-  
ნავდეთ, ხოლო პიესების მოპოვებაზე ზრუნვა, ისე არ შეიძლება, თუ  
დასი არ მოქმედებს და წარმოდგენებს არ ჰმართავს. ვინ დასწერს, ან  
გადასთარგმნის და ან გადააჯეთებს პიესებს, თუ არ ეცოდინება, რომ  
მისი დაწერილი პიესა წარმოდგენილი იქნება ერთისა და ორის თვის  
შემდეგ. ამიტომ სასურველია, რომ კომიტეტმა შარშანდელებურად  
წელსაც იყისროს დასის შეღენა და უმთავრესი ყურადღება რიგია-  
ნის რეპერტუარის მოპოვებას მიაქციოს, რადგანაც ჩვენი დღევანდე-  
ლი პიესები მეტად გაცედნენ, თავი მოგვაბეზრეს და საზოგადოებას  
აღარ იზიდავენ. ახალი პიესების შესაძენად საჭიროა პრემიები დაენი-  
შნოს პიესების დამწერთა და მთარგმნელთა. შეიძლება აკტორს მიე-  
ცეს გადაწყვეტილი პროცენტი იმ შემოსავლიდამ, რომელიც იმ პიე-  
სის წარმოდგენის გამო იქნება. კომიტეტმა ამოირჩიოს რამოდენიმე  
კარგი მცოდნე ქართულისა და უცხო ენებისა და მიანდოს იმათ, სწო-  
რად დაგვალოს, რომ სასარგებლო პიესები ან გადასთარგმნონ ან გადა-  
აკეთონ“ („ივერია“, 1887, № 206).

\* \* \*

— ამ წელს ი. გოგებაშვილის წინადაღებით წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებული საზოგადოების გამგეობამ ძირეულად შესცვალა სწავლის  
წესი, სელა სკოლებში, და ამ ცელილების დედა აზრი ექვთვინის გამ-  
გეობის წევრს ბატ. ი. ს-ძეს გოგებაშვილს, რომელმაც შემდეგი წი-  
ნადაღება შემოიტანა გამგეობის კრებაში განსახილველად: „ძირი-  
თადი დაბრულება, რომელიც წინ ელობება ჩვენის საზოგადოების  
სკოლების ჯეროვანს წარმატებას, მდგომარეობს იმაში, რომ ოვითეულ  
სკოლაში არის ოთხი განყოფილება, რომელთა ერთად გაძლილია მას-  
წავლებლებს ძრიელ უჭირდებათ. ამიტომ მიუცილებლად საჭიროა საქ-  
მე ასე მოეწყოს, რომ ერთსა და იმავე დროს მასწავლებელს საქმე  
სქინდეს ორს განყოფილებასთანა და არა სამსა ან ოთხთან. საუკეთე-  
სო ღონისძიებად ამისათვის მე კოვლი ორ-პირად გაყოფას მთელის  
ოთხ-განყოფილებიან სკოლისას. პირველს პირს უნდა შეადგენდეს  
პირველი და მეორე განყოფილება, მეორეს — მესამე და მეოთხე გან-

ყოფილება. პირველმა პირმა უნდა იაროს სკოლაში დილით და ქ-  
წავლოს შუაღლემდე, მეორე პირი მოწაფეთა ივლის შუაღლის უკა.  
ორცევ პირს სწავლა მოუვა სამის საათის განმავლობაში ყოველ დღე,  
ანუ კვირაში 18 სამოსწავლო საათი, ამის და მიხედვით იქნება საგ-  
ნებიც განაწილებული, „რასაკვირველია“ (ანგარიში ქართველთა შო-  
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მოქმედებისა.  
1888. გვ. 11—12).

## 1888

იანვრის 1 — გაზეთი „ივერია“ (№ 1) ბეჭდავს საახალწლო მილო-  
ცვებს, მათ შორის ი. გოგებაშვილისადმი:

„შენ ეს ხელი საკლებად  
დაღ სწორებ გასდეთ,  
სხვა თუ ბრუნდებ გაიელის,  
შენ რა წყალში ვარდეთ“

თებერვლის მეორე ნახევარი — წიგნად გამოდის ი. გოგებაშვილის  
რუსული ენის სახელმძღვანელო: Русское слово, или классное ру-  
ководство к русскому языку для грузинских школ. Составил  
Яков Гогебашвили. Год первый, второй и третий. Тиф., Изд.  
Кавказской книжной торговли, 1887. 228 с. с ил.

„სტამბიდან გამოვიდა და ისყითბა ახალი სახელმძღვანელო რუ-  
სულის ენისა, «Русское слово» შედგენილი იაკობ გოგებაშვილის  
მიერ. წიგნი იყერობს ექვს განყოფილებას: ლექსიურსა, რუსულს ან-  
ბანს სურათებზედ დამყარებულს, თვალსაჩინო გაეკეთილებს სხვა-და-  
სხვა სავარჯიშოებით რუსულ ენაში, პირველს საეკითხაებს წიგნსა, სარ-  
წმონიობრივს განყოფილებას და ლექსიურონს... წიგნი ისყიდება გამოშ-  
რემლის გრიქუროვის მაღაზიაში, კუთის ხიდის ყურთან, ზუბალოვის  
სახლში“ („ივერია“, 1888, 26 თებ., № 45).

აპრილის 15 — „რუსეთ სლოვოს“ ქართულ სკოლებში სახელ-  
მძღვანელოდ დამტკიცების მიზნით იაკობი სტამბურად დაბეჭდილ  
კრცელ განმარტებით ბარათს (რომელშიც უჩვენებს „რუსეთ სლო-  
ვოს“ ღირსებებს სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით) წიგნთან  
ერთად უდგენს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს და სასული-  
ერო მთავრობას (თხ. ტ. 7, 1960, გვ. 560).

«Неудовлетворительность руководств, по которым происходило и происходит до сего времени преподавание русского языка в грузинских школах, побудила меня составить новое руководство, под заглавием «Русское слово», которое имеет своею задачею облегчить и ускорить разумно-сознательное усвоение нашего государственного языка подрастающим поколением грузин» (ა. თვალიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტი, მასალები, 1951, გვ. 83—84).

აპრილის ბოლო — მაისის დამდევი — გამოდის იაკობის მიერ შედგენილი „ბუნების კარის“ მექენეს გამოცემა, უცვლელად გაღმობეჭდილი მეტეთე გამოცემიდან.

მაისი — სხვა ქართველ მოღვაწეებთან ერთად მასპინძლობს ოქსუორის უნივერსიტეტის პროფესორს, ქართველოლოგ ვ. მორფილს.

„ჩამოვიდა ტფილისში ინკლისელი პროფესორი ქართული ენისა მორფილი“ (ი. მანსვეტაშვილი, მოვონებანი, 1936, გვ. 140).

„გუმინ-წინ დილით გაემგზავრა ტფილისიდამ სტამბოლში და იქიდამ წავა ინკლისს პროფესორი ოქსუორდის უნივერსიტეტისა, ფოლოლოგი ვ. რ. მორფილი, მცოდნე ქართულის ენისა და ლიტერატურისა. მორფილი სულ რამდენსამე დღეს დარჩა ტფილისში, ინახულა ჩვენი რედაქტურა და კანცელიარია „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“, საცა დაათვალიერა ბიბლიოთეკა ქართულის ხელნაწერებისა და ქართული დაბეჭდილი წიგნები. სხვათა შორის საზოგადოებამ მიართვა ბ-ნს მორფილს სურათებიანი „ვეფხის-ტყაოსანი“ „ივერია“, 1888, 3 მაისი, № 91, გვ. 2).

„მეოთხველებს მოქსენებათ, რომ მაისის გასულს საქართველოს ეწვია ინგლისიდგან ცოტა ხნობით ოქსუორდის უნივერსიტეტის პროფესორი ბ-ნი მორფილი...“ („ივერია“, 1888, 3 ივლ., № 138).

ივნისის დამდევი — იაკობი ამოწმებს ხელთუბნის სკოლის მუშაობას. ამის შესახებ მოხსენებას უდევს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამვეობას 14 სექტემბერს.

„თანახმად მართველობის მონილილობისა, მე წარსულის ივნისის დამდევს გაეშინჯე ხელთუბნის სკოლა...“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 221).

ივლისის 3 — გაზეთი „ივერია“ (№ 138) საზოგადოებას აუწყებს სასულიერო მთავრობის მიერ ი. გოგებაშვილის „რუსეთ სლოვის“ მოწონებას.

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ სასულიერო მთავრობას უკვე გაუშინდა  
ახალი სახელმძღვანელო ბ-ნის გოგებაშვილისა «Русское слово,  
множество უძირატესობა ყველა სახელმძღვანელოზე, რომელიც კა აქტ  
დისინ დაბეჭდილა საქართველოში და მოუწონებია».

— გაზეთის იგივე ნომერი საზოგადოებას ახალ ამბად აუწყებს ინგ-  
ლისელი პროფესორის — მორფილის აზრს იაკობ გოგებაშვილის სა-  
ხელმძღვანელოების შესახებ.

„ივერია“ (№ 138) მკითხველს აუწყებს ოქსფორდის უნივერსიტეტის  
ტის პროფესორ მორფილის საქართველოში კოფნისა და აქ ქართვე-  
ლიგნების შეგროვების შესახებ. სამშობლოში დაბრუნების შემდევ  
ოქსფორდიდან წერილი გამოუგზავნია ი. გოგებაშვილისათვის, რო-  
მელშიც ნათქვამია: „თუმცა მოგზაურობის გამო მხოლოდ გადასინჯ-  
ვა მოვასწარ თქვენის წიგნებისა, მაგრამ მაინც ეხლავე შემიძლია  
ვსთვავა, რომ ფრიად სასარგებლო უნდა იყოს ეს წიგნები ქართვე-  
ლისათვის“.

ავგისტოს 9 — რუსეთის სახალხო განათლების სამინისტრო, სა-  
დაც დასამტკიცებლად გაგზავნილი იყო კავეასიის სასწავლო ოლქი  
მზრუნველისაგან ი. გოგებაშვილის „რუსეთი სლოვო“, უკან უბრუნებ-  
ალიშნელ წიგნს დასკვნისათვის (თხზ., ტ. 7, 1960, გვ. 561—562).

სექტემბერი — თბილისის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსპე-  
ტორი ა. გრენი იხილავს ი. გოგებაშვილის „რუსეთი სლოვოს“ და უა-  
ყოფით რეცენზიას უდგენს სასწავლო ოლქის მზრუნველ კ. იანუ-  
სკის (თხზ., ტ. 7, 1961, გვ. 562—564).

ოქტომბრის დასაწყისი — გამოდის „დედა ენისა“ და „ბუნება  
კარის“ მექქესე გამოცემები.

„დღეს ჩვენ მოგვივიდა ახალი, მექქესე გამოცემა „დედა ენის“  
და „ბუნების კარისა“. „ბუნების კარი“ უცვლელად არის დაბეჭდილ  
და ზედ რუსულად აქვს წარწერილი: «Книга эта рекомендована  
ученымъ комитетомъ Министерства народного образования  
«как прекрасное классное руководство къ грузинскому языку  
для народныхъ школъ и прогимназическихъ классовъ» ...», ფე-

ენა” შეცვლილია და გადიდებულია მთელის ფორმით” („ივერია”,  
1888, 6 ოქტ., № 208).

ოქტომბრის 29 — თბილისის წმ. ნინოს სასწავლებლის ინსპექტორი ი. კრუპნენიკოვი ი. გოგებაშვილის „რუსეთ სლოვოზე” დადებით რეცენზიას უდევს სასწავლო ოლქის მზრუნველს.

რეცენზიის დასასრულს ი. კრუპნენიკოვი წერს: «В заключение всего сказанного, я полагаю, что книга «Русское слово» Гогебашвили и при указанных недостатках является однако же, благодаря многим бесспорным достоинствам, единственным пока руководством, по которому наиболее успешно можно обучать грузинских детей русскому языку в начальных сельских школах. С устранением же из этого руководства указанных мною недостатков следует безусловно одобрить его» (თხ., ტ. 7, 1960, გვ. 570).

დეკმბერი — ეურნალი „თეატრი“ (№ 46—47) „უცნობის“ ხელმოწერით ბეჭდავს იუმორისტულ შენიშვნებს წერა-კითხვის საზოგადოების კრებაზე ანდრია ლელაძის გამოსვლის შესახებ, კერძოდ, ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების დიდი ტირაჟით ბეჭდვის გამო. მას განუცხადებია:

„ეს გოგებაშვილის წიგნთა გამოცემა მათცებს მე. გამგეობას უნდა დაეხეჭდა 20 ათასი ცალი, მაგრამ უული არა პქონდა და ვერა პბეჭდავდა. ამ დროს მოდის გოგებაშვილი და უუბნება გამგეობას — მე თანახმა ვარ, დაპბეჭდეთო და გამგეობაც პბეჭდავდა, რათა?... რათა პბეჭდავს, გეითხებით მე თქვენა. რათა პბეჭდავს, როდესაც თავისი სარეგბლობა უნდა დაიცვას და არა გოგებაშვილისა!.. მე ეს სრულებით არ მომწონს. ეს რაღაც ნათელ-მირონობა გამოდის... ბ. გოგებაშვილმა სულაც არავითარი უკმაყოფილება არ გამოაცხადა, რომ ასე წარამარად იყო ხსენებული ახალგაზრდა ორატორის მიერ. პირიქით სულ ღიმილი მოსდიოდა ტუჩებზე, როდესაც პასუხს აძლევს წიგნების შესახებ: რაც მეტს დამიბეჭდავდნენ, იმდენი მეტი ხარჯი მოუვიდოდა საზოგადოებას და იმდენად მომეტებული მოგება დარჩებოდა. მაშასადამე, სრულებით ჩემი ჯიბის საქმე იყო, რომ მე ნაკლებს დავჯერდიო და რა ნება უნდა პქონდეს ვისმე მისაყვედუროს, რატომ მომეტებული მოგება არ მიგაქვსო“ (იქვე, გვ. 6).

დეკემბრის 22 — კავკასიის სახუავლო ოლქის სამზრენველო სპ. ჭო, რომელიც იხილავს გოგებაშვილის „რუსკო სლოვოს“, არ იწენებს მას დაწყებით სკოლებში გამოსაყენებლად. საბჭოს გადაწყვეტილებას ამტკიცებს სამოქალაქო ნაწილის მთავარმართებელი კავკასიის 1889 წ. 4 იანვარს (თხ., ტ. 7, 1960, გვ. 570—571).

1889

იანვრის 13 — გაზეთი „ივერია“ (№ 9) მეოთხეულს უზიარებს ერთი მასწავლებლის აზრს „რუსკო სლოვოს“ შესახებ, „რომელსაც აწიგნით უსწავლებია რუსული ენა სამს განყოფილებაში წარსულს სკოლებრიდან. აი მასწავლებლის აზრი სიტყვა-სიტყვით:

«Русское слово» Мэдденингро მეთოდური სახელმძღვანელოა ქათული სკოლებისათვის. ჩვენს სკოლებში აქამიმდე ყველგან «Родное слово» იყო მიღებული და ყველგან კოჭლობდა რუსული ენა. ამა ასე ნახეთ, რა ხალისითა და სიამოვნებით კითხულობდეთ ყმაწეოდები «Русское слово»-დან სტატიებს. ისე ადვილად და ხალისიანად სწავლი ბავშვები ამ წიგნიდან სახელმწიფო ენას, რომ სწორედ მოგეწინებათ. მესამე განყოფილება წელს სულ დაამთავრებს ამ წიგნს. ჭუბირატესობა იმით აისწენება, რომ სამშობლო ბუნების მასალა ხულოვნურად არის მოთავსებული წიგნში. წიგნს ერთი-ორიად უმატეს ფასს სასაუბროები და საკითხავები. ისე ლამაზად უგვებენ ბავშვებს პასუხს, ისე შეეჩინენ რუსულის ზეპირად ლაპარაქს, რომ არც «Родное слово» და არც სხვა სახელმძღვანელო ამ საქმეს ვერ იძამდა».

იანვრის შუა რიცხვები — უურნალი „თეატრი“ (№ 2) ბეჭდაქ კარიკატურას ი. გოგებაშვილსა და გაბიჩევაზე.

მარტის 3 — არტისტული საზოგადოების დარბაზში იაკობი ესწრება მომღერალ ტარტაკოვის კონცერტს. კონცერტით მოხიბლული იაკობი იმავე საღამოს წერს საგაზეთო წერილს „ტარტაკოვის კონცერტი“, რომელსაც გაზეთი „ივერია“ (№ 51) ცოტა მოვალინებით — 9 მარტს აქვეყნებს შენიშვნით: „ეს წერილი ორშაბათსვე მოგვივიდა მაგრამ დაბეჭდვა ვერ მოვასწარით“. ტარტაკოვის ამ კონცერტით კამოწევულ იაკობის აღტაცებას ეხმაურება სფირიდონ ჩიტორელი [მ. ზ. ყოფიანი(?)] 28 აპრილს „ივერიის“ № 88-ში დაბეჭდილი პულიკაციით — „წერილები სხვადასხვა რაგინდარაზე“.

ი. გოგებაშვილის ამ სტატიაზე კრიტიკული წერილი იძებნდება აკ  
რეთვი უწ. „თეატრის“ № 12-ში.

საქართველო  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

ვარტის 25 — იაკობი ესტრება წერა-კოთხვის გამავრცელებელი სა-  
ზოგადოების გამგეობის მიერ გამართულ ღიატერატურულ-სამუსიკო  
საღამოს. საღამოს შესახებ იაკობი წერს რეცენზიას, რომელსაც აქ-  
ვეყნებს „ივერიის“ № 73-ში, იაკობ სკომონიძის ფსევდონიმით, სათა-  
ურით: „საღამო წერა-კოთხვის საზოგადოებისა“. რეცენზიაში ნათევა-  
მია: „ამ გვარი საღამოს სარგებლობას მარტო უდის შემოსავალი  
არ შეადგენს, მას აღმზრდელი გავლენაც აქვს საზოგადოდ...“ იაკობი  
ასე წინასწარმეტყველებს ბალანჩიკიძის მომავალს: „... იმას მოვლის  
სწორედ სახარბილო მომავალი გამოჩენილის მომლერლისა და ად-  
გილი ერთის ბრწყინვალე ვარსკვლავისა სამუსიკო ცაზედ“.

აპრილის 6 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს კ. იანოვ-  
სკის უდგენს ვრცელ მოხსენებით ბარათი „რუსეთ სლოვოს“ შესა-  
ხებ. ი. გოგებაშვილის ეს მოხსენებითი ბარათი წარმოადგენს დასა-  
ბუთებულ პასუხს რეცენზენტების (ა. გრენის და ი. კრუპენიკოვის)  
დასკვნებზე და სამზრუნველო საბჭოს 1888 წ. 22 დეკემბრის დაღვე-  
ნილებაზე, რომლის ძალითაც „რუსეთ სლოვო“ არ იქნა მოწონებული  
ქართულ სკოლებში საბარებლად.

«При отношении концелярии от 11 января текущего года  
мною получена выписка из протокола Попечительского со-  
вета Кавказского учебного округа, состоящегося 22 декабря  
1888 года. Из этой записки явствует, что книга моя, «Рус-  
ское слово» для грузинских школ, признана на основании  
мнения двух рецензентов, не заслуживающей одобрения в на-  
стоящем своем виде. Считая такой приговор совершенно не-  
заслуженным моему книгою, я решился представить вашему  
превосходительству настоящее объяснение...» (ა. ივაძე,  
იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 99—100).

აპრილის დასაწყისი — ეურნალი „თეატრი“ (№ 14) ბეჭდავს იუ-  
მორისტულ ჩანახატს ი. გოგებაშვილზე. როგორც თეატრალურ რე-  
ცენზენტზე და (№ 15, გვ. 9—10) ფიქრებს „ივერიაში“ ი. სკომონი-  
ძის რეცენზიების გამო.

აპრილის 19 (?) — წერა-კოთხვის გამავრცელებელი საზოგადოების  
გამგეობას უდგენს თავის წინადადებებს აჭარა-ქობულეთის მხარეში  
წერა-კითხვის გავრცელების შესახებ.

მაისის 1 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი წერილობით  
პასუხობს ი. გოგებაშვილის მოხსენებით ბარათზე, რომ მის მიერ შედ-  
გენილი სახელმძღვანელო „რუსეთ სლოვო“ იმ სახით, რა სახით, ი-  
იგი წარმოდგენილი იყო განსახილველად, არ იქნა მოწონებული დაწ-  
ყებით სკოლებში სახმარებლად (ა. ოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, ღა-  
კუმენტ. მასალები, 1951, გვ. 113—114).

მაისი-აგვისტო — იმ გარემოების გამო, რომ „რუსეთ სლოვო“ არ  
იქნა მოწონებული კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბ-  
ჭოს მიერ, იაკობს მასში შეაქვს ცვლილებები.

მაისის 23 — გაზეთი „ივერია“ (№ 105) „ახალ აშებში“ საზო-  
გადოებას აუწყებს:

„მოსკოვიდგან გვწერენ: მოსკოვის ქართველი სტუდენტების ბიბ-  
ლიოთეკის მოუვიდა ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილისაგან წიგნები, რომელიც ი-  
ამ პატივცემულ პედაგოგ შეუდგენია თავის ხანგრძლივ ნაყოფიერის  
მოღვაწეობის განმავლობაში. სტუდენტები გულითად მაღლობას უძღ-  
ვნიან შემომწირელს და იმდი აქვთ, სხვა მწერლებიცა და გამომცემ-  
ლებიც არ დაიშურებენ თითო ეგზემპლარს თავიანთის ნაწერებისა  
და ღარიბს ბიბლიოთეკას ხელს მოუმართავენ.

— ამავე ნომერში გაზეთი წერდა: „იაკობ გოგებაშვილის სადგო-  
მიდგან მოსამსახურებ ევგენი გოცირიძემ, რაჭის მაზრის აზნაურშა,  
მოიპარა შვიდი მომგებიანი ბიბლეთი შინაგანის სესხისა, საში თუმანი  
ფული და თავისი პასპორტი“.

ივნისის 7 — გაზეთი „ივერია“ (№ 116) იტყობინება: „ქართველ-  
თა შორის წერა-ეთნოს გამავრცელებელს საზოგადოებას“ განუ-  
ზრახავს გამოსცეს ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი მოთხ-  
რობათა კრებული — „ერნა“.

— გაზეთის ივიც ნომერი ბეჭდავს ცნობას იაკობ გოგებაშვილის  
გაქურდვის შესახებ: „როგორც მეითხველებს მოეხსენებათ, ამას წი-  
ნად გაპქურდეს ჩვენი პატივცემული პედაგოგი ბ-ნი იაკობ სეიმონის  
ძე გოგებაშვილი და გაიტაცეს შვიდი მომგებიანი ბიბლეთი. ამ ქურ-  
დობის გამო აქამდე დაპატიმრებული არიან გამქურდველი ევგენი  
გოცირიძე და მისნი თანამოაზრენი: უღენტი და თუმანოვა. პოლიცია  
ამჟამად დაეძებს თანამოაზრეს, გიგო აკოფორებს... ორი ბიბლეთი უკა  
ნაპოვნია...“

ივნისის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 120) ბეჭდავს ცნობას ი. გოგებაშვილის ბინის ქურდების დაპატიმრების შესახებ: „გიგო აკოფოვა რომელიც დიდს მონაწილეობას იღებდა ბ-ნ გოგებაშვილის გაქურდაშვილი და რომელსაც ეძებდა პოლიცია, უკვე დაჭერილია და ციხეში ჩასმული. იმას გარდა ამ დღეებში დაიჭირეს სხვა მონაწილენიც: ერთი ოქრომჭედელი, ერთი ხარაზი და ერთი ბაყალი. პოლიცია ახლა ეძებს ვანო იორამაშვილს, რომელსაც ღიღი მონაწილეობა მიუღია იმ ქურდობაში“.

ივლისის 2 — გაზეთი „ივერია“ (№ 137) მკითხველს აწვდის ცნობას ი. გოგებაშვილის ნაწერების რუსულ ენაზე ბეჭდვის შესახებ: ქ-ნ ე. მესხის სტამბაში იბეჭდება რუსულს ენაზე წიგნი, შედგენილი ბ-ნ იაკობ სვიმონის ძე გოგებაშვილისაგან: Руководство для учителей и учительниц грузинскихъ начальныхъ школ къ преподаванию русского языка по учебнику «Русское слово».

ივლისის 16 — გაზეთი „ივერია“ (№ 149) იტყობინება: „ჩევენ შევიტყვეთ, რომ ავლაბრის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს უპოვნია ის ხუთი მომგები ბილეთი, რომელიც ამას წინად მოსამსახურე ბიჭმა, გოცარიძემ, მოპპარა ბ-ნს ი. ს. გოგებაშვილს“.

— ამავე გაზეთის საშუალებით იაკობი მადლობას უხდის („წერილი რედაქციის მიმართ“) პოლიციის ბოქაულის თანაშემწე რომან ნაცვლიშვილს მოპარული ბილეთების პოვნისათვის. მასში ნათქვამია: „ნება მიბოძეთ თქვენის გაზეთის საშუალებით გულითადი მადლობა გამოვუცხადო ბ-ნს ნაცვლიშვილს, ავლაბრის პოლიციის ბოქაულის თანაშემწეს, იმ მხურვალე მონაწილეობისა და მარჯვე მოქმედებისათვის, რომელიც გახდა მიზეზი ხუთის მომგებიანის მოპარულის ბილეთის პოვნისა. ბ-ნი ნაცვლიშვილი მით უფრო ღირსია ჩემის მხრივ მადლობისა, რომ საქმე იმთავით დახლართული იყო და ძლიერ ძნელი იყო მიგნება და პოვნა იმ კაცისა, რომელსაც ეყიდნა ხუთი ნაქურდალი ბილეთი... აგრეთვე გულითადს მადლობას ვუცხადებ პროკურორის თანაშემწეს, ბ-ნ სტალინსკის, რომელიც საქმეს მხურვალედ მოეკიდა, და, იმის გარდა, გამომძიებელს ბ-ნს ენგიბაროვს, რომელმაც ფრიად მარჯვედ აწარმოვა გამოიძება და ხუთის ბილეთის პოვნითაც დაავაზირებინა“.

აგვისტო(?) — წერა-კითხვის გამაურცელებელი საზოგადოებრივი გამგეობას უდევს წინადაღებებს საზოგადოების ბიბლიოთეკის შენი-ბის ავების, სახალხო კალენდრის, სალიტერატურო სალომოების შემართვის, ზღაპრების, ლეგენდების ბეჭდებისა და სხვა საკათებები (ა. იოვიძე. იაკობ გოგებაშვილი. ლოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 179—180).

აგვისტოს 30 — იაკობ გოგებაშვილი და „რუსკოე სლოვო“ კუმოცემელი ზ. გრიგურიოვი კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრენელ საბჭოს წარუდგენენ სახელმძღვანელო „რუსკოე სლოვო“ შესწორებულ ეგზემპლარს და თხოვენ სკოლებში სახმარებლად მის მოწონებას (ა. იოვიძე. იაკობ გოგებაშვილი. ლოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 114—115).

სექტემბრის 3 — გაზეთი „ივერია“ (№ 186) ბეჭდავს იაკობის წერილს „მოულოდნელი უცერემონიობა“, რომელიც წარმოადგენს ს. ჯუჯანაშვილის სახელმძღვანელოს „მეგობარის“ კრიტიკას, სადაც მაგალითებით ნათელყოფს შემდგენლის მიერ მისი სახელმძღვანელოებადან მასალების გადმობეჭდვის ფაქტებს.

ოქტომბრის დასაწყისი — გამოდის იაკობის მიერ შედგენილი — «Методическое руководство для учителей и учительниц начальных школ к преподаванию по книге того же автора «Русское слово». Тиф., 1889. 98 с.

„ჩვენ მოვავიდა სუფთად დაბეჭდილი ახალი წიგნი ი. გოგებაშვილის «Руководство...» წიგნი საქმაოდ მოზრდილია და დის 50 კაპ“ („ივერია“, 1889, 5 ოქტ., № 210).

ოქტომბრის 7 — ი. გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო“ შესწორებულ ეგზემპლარის შესახებ ი. კრუპენიკოვი ახალ რეცენზიას უდევს კავკასიის სამოსწავლო ოლქის შზრუნველს. მისი დასკვნა ასეთია: «..Русское слово» является в настоящее время единственным и весьма хорошим руководством для обучения грузинских детей русскому языку...» (თხზ., ტ. 7, 1960, გვ. 574).

ნოემბრის 22 — საპასუხო წერილს უგზავნის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას. საუბარი აქვს უურნალ „ჯეკილში“ თავისი მოხრობის დაბეჭდვის შესახებ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 301).

ნოემბრის 25 — კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭო  
ახილავს ი. გოგებაშვილის „რუსული სლოვოს“ და ი. კრუპენიშვილის  
(7 ოქტომბრის) დადებითი რეცენზიის საუძღველზე იწონებს ამ წიგნს,  
რომორც სასწავლო სახელმძღვანელოს (დამხმარე წიგნად). ამის შე-  
სახებ „კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარში“ (№ 12, გვ. 583)  
ქვეყნება შემდეგი: «Определением Попечительского Совета  
Кавказского Учебного Округа от 25 ноября 1889 года... По-  
становлено:

Составленные Я. Гогебашвили книги: «Русское слово, или  
классное руководство к русскому языку для грузинских  
школ... 1887 г.» и «Руководство для учителей и учительниц  
грузинских начальных школ к преподаванию по книге «Рус-  
ское слово». Тифlis, 1889 г.» — Одобрить: первую — как  
учебное пособие... а второю — для библиотек средних и низ-  
ших учебных заведений Кавказского Округа» (თხ., ტ. 7,  
1960, გვ. 575).

აღნიშნულის შესახებ ი. გოგებაშვილს ოფიციალურად ეცნობა  
იმავე წლის 8 დეკემბერს.

თავისი წიგნების მოწონების შესახებ „ივერიის“ ქრონიკისათვის  
ილია ჭავჭავაძეს შემდეგ ცნობას უგზავნის:

„წარსულს შაბათს სამოსწავლო ოკრუგის მზრუნველის რჩევას  
სხდომა პქონია და გადაუწყვეტია ჩემი წიგნების შესახებ: «Русское  
Слово для грузинских школ», одобрить, а методическое ру-  
ководство к нему рекомендовать. «Русское слово» — ზედაც  
ფრიად საქებარი. აზრი წარუდგენიათ რეცენზენტებს, დაურქმევიათ:  
«вклад в педагогическую литературу, единственное кавказ-  
ское руководство по русскому языку» მაგრამ სტამბის ნაკლუ-  
ლოვანებებს (რომელთაც მეორე გამოცემაში გავაქრობ) დაუშლია შა-  
საც მიერო უმაღლესი ხარისხი მოწონებისა — რეკომენდაცია.

ეს ოფიციალური მოწონება არის სანქცია იმ მოწონებისა, რომე-  
ლიც «Русское Слово»-ს მიუსაჯა საზოგადოებამ და სკოლამ და  
რომელიც გამოიხატა იმ ნამდვილ ფაქტში, რომ ჩემი სახელმძღვანე-  
ლო მოქლე ხნის განმავლობაში, ოფიციალურად მოწონებამდის, მა-  
ღაზიადგან გაიყიდა 7 000 ეგზემპლარი. რავდენი გაიყიდება ახლა,  
მოწონების შემდეგ ადეილი წარმოსადგენია.

ყველა ეს რომ ქრონიკაში მოიხსენიო კარგი იქნება სხვათაშორის  
აი რად: ამას წინედ განხეთის კავკაზის რედაქციას დაუვალებია თა-  
ვისი თანამშრომელის გოროდენსკისათვის; რომ ერთი კარგად მიამ-

სხვრიე გოგებაშვილის რუსული სახელმძღვანელოვთ. იმას წაუკითხავს ჩიგნი და რედაქციაში უოქვამს: წიგნი მღვიმებინა და ქების მეტს ვერას ვიტყვით. მაშინ უთქვამთ, მაშ ნურაფერს დასწერო, გოროლენსე არის მასწავლებელი საოსტატო ინსტიტუტისა და წმინდა ნინოს ზავედენისა. ეს ამბავი თვითონვე აღუარებია მასწავლებელთა შორის ნინოს ზავედენიაში ამ ერთი კვირის წინედა.

ერთი სიტყვით, გავიმარჯვე და ისიც რა უშველებელს ბაიუშთაბაყუშზედ! მე და ჩემმა ღმერთმა ტრაპაზი მეუკუთხნის" (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 347).

ნოემბრის 29 — გაზეთ „ივერიის“ ქრონიკისათვის ილია ჭავჭავაძეს უგზავნის ოთხ ცნობას სახალხო განათლების საკითხებზე, მათ შორის ზემოთ მოყვანილ ცნობას თავისი წიგნების მოწონების შესხებ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 346—348).

ნოემბერი-დეკემბერი (?) — საპასუხო წერილს უგზავნის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთლისას. საუბარი აქვს მოთხრობა „სპილო და ჭანჭველების“ ჯვარში გამოქვეყნების თაობაზე.

«За свой рассказ «Слон и муравей» я принимаю полную ответственность на себя и прошу в оглавлении журнала против этого рассказа поместить мою фамилию. Что же касается до повести, то после получения Вашего письма я решил напечатать ее отдельной книжкой. С этой целью вчера же я побывал у Чарквиани, выбрал шрифт, формат и условился относительно напечатания. Но сегодня утром, проверив свое решение, нашел его эгоистическим и пришел к тому заключению, что раз я считаю повесть полезною для «Джеджили»...» (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 299).

დეკემბრის 4 — კირილუ ლორთქიფანიძეს წერილით ატყობინებს არტურ ლაისტის მიერ „ვეფხისტყაოსნის“ გერმანულ ენაზე თარგმნის შესახებ და თხოვს მისი თაოსნობით ქუთაისელმა ქართველებმაც მიაღმონ მონაცილეობა თარგმნისა და მისი გამოცემის ხარჯებში (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 314—315).

დეკემბრის 9 — გაზეთ „ივერიის“ № 262-ში ბეჭდავს წერილს სათაურით: „დიდი ნაკლის შევსება“ საბავშვო ეურნალ „ჯვარის“ და არსებისა და საზოგადოების მიერ მისაღმი ხელშეწყობის საჭიროების შესახებ.

დეჯემბრის 31 — გაზეთი „რეერია“ (№ 279) საზოგადოებას აუწყებს: «Русское слово» შედგენილი ია. გოგებაშვილის მიერ, რომელიც ამას წინად მოიწონა აღვილობრივმა სამასწავლებლო მთავრობამ, უკვე დაუბარებია ათონდე სახალხო მასწავლებელს ტფილის გუბერნიისას და აღვილობრივ დირექციას გაუგზავნია, კიდეც სამასამდე ეგზიმპლიარია».

\* \* \*

— ამ წელს გამოდის:

„დედა ენის“ მეშვიდე უცვლელი გამოცემა და „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. გამოცემა მეათე შეცვლილი. წერაკითხვის საზოგადოების გამოცემა, 1889. 63 გვ.

— საქართველოს კალენდარი 1889 წ. (გვ. 430—434) აქვეყნებს დადგენილებებს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების მოწონების შესახებ.

## 1890

იანვრის დასაწყისი — ცალკე წიგნად გამოდის „იავნანამ რა პქმნა?“ მოთხრობა მოზრდილ ყმაწვილებისათვის, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. თუ. კრ. ჩარკვიანის სტ., 1890. 31 გვ.

„ივერიის“ 4 იანვრის ნომერი მკითხველებს აუწყებს: „დღეს მოგვივიდა პატია წიგნი მოზრდილ ყმაწვილებისათვის დაწერილი მოთხრობა: „იავნანამ რა პქმნა?“ წიგნი ლამაზად არის გამოცემული, კარგ ქაღალდზე, სულ ორი შაური ლირს და ყველა ბავშვი დიდის სიამოკნებით წაიკითხავს“.

წიგნის შესახებ ბიბლიოგრაფიულ ცნობას აქვეყნებს უურნალი „თეატრიც“ (№ 2).

წიგნის შესახებ კრიტიკ „საბიბლიოგრაფიო შენიშვნას“ პეტლავს უურნალი „მწყემსი“ № 23—24, სადაც რეცენზირებული მწერალი და პედაგოგი თ. ხუსკივაძე აღნიშნავს: „...ერთ ამ გვარი გონიერით საზრდოს ეკუთვნის ჩვენი პატივცემული პედაგოგი-ლიტერატორის იაკობ გოგებაშვილის საყმაწვილო მოთხრობა „იავნანამ რა პქმნა?“, რომლითაც

ახალი წელიწადი მოულოცნია ჩეენი მოზრდილი ყმაწვილებისათვეს... ეს პატარა მშპავი ავტორს წიგნაკად გამოუცია, მეძღვებისდაგვარანტი სუფთად და ფაქტიზად... მოთხრობა საზოგადოდ კარგია და დიდი სია- მოვნებითაც კითხულობენ პატარა მეოთხელები".

იანვრის 8 — იაკობი წერილსა და თავის ახლად გამოცემულ წიგნს „იავნანამ რა პქმნა“ უგზავნის ცნობილ პედაგოგს სილოვან ხუნდაძეს და თხოვს დაქსმაროს იმ მეოთხელთა მთაბეჭდილებების გაგებაში, რომელთათვისაც განკუთვნილია მოთხრობა.

„გიგზავნით ჩემს პატარა მოთხრობას, ცალკე წიგნად გაშიცე- მულს და დანიშნულს მოზრდილი ყმაწვილებისათვის, ისე ცამეტის წლიდგან დაწყებული. მე ძალიან მსურს შევიტყო, რა გაგებით, ინტე- რესით და შევნებით წაიკითხავენ საქართველოს სხვადასხვა კუთხ- ებში მოზრდილი ქალი, თუ ვაკინ და ამიტომ გთხოვთ... წაუკითხოთ მესამე მეოთხე კლასის მოწაფეებს და მაცნობოთ, რა მთაბეჭდილებას მოახდენს ეს ჩემი პირველი მოთხრობა მათზედ ვისთვისაც დაწერი- ლია ...მოზრდილ ქალებზედ, უფროსი კლასის გიმნაზიელებზედ ას- სხვებზედაც“ (თხ. 9, 1962, გვ. 354).

თებერვალი — ახლად დაარსებული უურნალ „ჯეჯილის“ № 1-ში ქვეყნდება იაკობის მოთხრობა „სპილო და ჭიანჭველები“.

— დიმიტრი ბაქრაძის სახელობაზე დაარსებული უონდისათვის „ივერიის“ რედაქციას გადასცემს 25 მანეთს (ივერია, 1890, № 36).

თებერვალი 15 — გაზეთ „ივერიის“ № 34-ში ქვეყნდება იაკობის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელშიც ავტორი მოითხოვს დიმიტ- რი ბაქრაძის გარდაცვალების გამო მისი ღვაწლის ღირსეულ დაუსაუ- ბასა და ოლნიშნავს.

აპრილის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 73) საზოგადოებას აწევდა ცნობას იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოების გამოცემის შე- სახებ.

„აი პირველად როდის და სულ ერთად რამდენი წიგნი დაუბეჭდა... ამ თხუთმეტიოდე წლის განმავლობაში ჩეენს პედაგოგს და სახელ- მძღვანელოების შემდგენელს ბ-ნს იაკობ გოგებაშვილს. დედა ენა (პირ- ველად 1876 წ. დაიბეჭდა) სულ დღემდე 92.000 ეგზემპლარი, ბეჭ- ბის კარი (პირველად 1868 წ.) 29.000, კოკორი (პირველად 1885 წ.)

48.000, კონა 3.600, კუნძული 1.200, ხომლი 1.200, დარიგება მასწავლებელთათვის 1.200, იავნანაშ რა პქმნა 1.200, დედანი 8.000, რა «Русское слово» 10.800, «Методика къ Русскому слову» 197.400 ეგზემპლარი.

აპრილის 14 — „ივერია“ (№ 77) იაკობ სვიმონიძის ხელმოწერით ბეჭდავს წერილს წინამდლერიანთვარის სამუშანეო სკოლისათვის სა-თავადაზნაურო ბანკისაგან სამუდამო შემწეობის ღანიშვნის საკითხ-ზე, სათაურით: „მცირე მოხსენება დიდს საგანზედ“.

მაისის 13, 15, 17, 20 — გაზეთი „ივერია“ (№ № 100—102, 104) იაკობ სვიმონიძის ხელმოწერით ბეჭდავს ნაშრომს ერთს ცხოვრებაში დედა ენის მნიშვნელობის შესახებ, ქართული ენის სწავლების სა-კითხებზე, სათაურით „ძირითადი უკუღმართობა“ („შემდგომში ავტორი აძლევს სათაურს: „ბურჯი ეროვნებისა“).

იაკობის ამ თხზულებას აქვეყნებს აგრეთვე უურნალი „მწუჟმსი“ (№ № 12, 17, 19, 20).

მაისის ბოლო — საბასუხო წერილს დებულობს (19 მაისის თარი-ლით) ნიკო ლომოშვირისაგან გორიდან. მაღლობას უხდის გაზეობისა და თავისი სახელმძღვანელოს გაგზავნისათვის. უკებს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას, „ძირითადი უკუღმართობას“. ამავე სტატიის გამოცემის შესახებ აძლევს რჩევას.

„თქვენი წერილი, რომელიც ამეამად „ივერიაში“ იბეჭდება ცხოველს, მეტად სასიამოვნო შთაბეჭდილებას სტოკებს ყველაზედ ... მრავალი მკითხველი ამ წერილისა იმ აზრისაა, რომ ეს პატარა სტატია ცალკე პაწია წიგნაკად იყენებს დაბეჭდილი და გავრცელებული მთლად ჩვენს საზოგადოებაში... მხოლოდ ერთი აზრი უნდა გავიზიარო მის სულ მცირე რაიმე ნაკლულოვანების შესახებ და იმედია არ გეწყინება. თუ, ვინიცობაა, ცალკე დაბეჭდოთ, თუ ლმერთი გრამთ, გამოსტოვოთ ფრაზა „ბავშვი დაორსულებულია ენითა“ და სხვა... (ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე, ტ. 1, 1959, გვ. 246—247). 6. ლომიურის ეს შენიშვნა იაკობმა გაიზიარა და შემდგომში ციტირებული ადგილი შეცვალა: „...ბავშვში ჩასახულია დაბადებიდგან დედა-ენა“.

აგვისტოს 3 — გაზეთი „ივერია“ (№ 166) იწყებს დ. მარხანელის „მოგონების“ პუბლიკაციას. „მოგონებას“ ავტორი უძღვნის იაკობ გოგებაშვილს.

სექტემბრის 23 — გაზეთ „ივერიაში“ (№ 203) ქვეყნება დ. კურ-  
მიცანაშვილის [ლ. წულაძის] „ფელეტონი ყოველთვიური პპროვინცი-  
ელისა“, რომელშიაც ნათქვამია: „...დედა ენას“ რაღა უბედურება  
სწვევია, რომ სამრევლო სკოლებისათვის ერთა გამომდგარა. „დედა-  
ენის“ შემდგენელს ეუბნებიან, რომ სამრევლო სკოლებში თქვენი „დე-  
დაენა“ არ დედა-ენობს და ერთი სხვა „დედა-ენა“ უნდა შევაღინოთ  
ამ სკოლებისათვისო. მიუვირს რატომ არ ვარგა „დედა-ენა“ სამრევლო  
სკოლებში სახმარებლად, როცა ეს წიგნი როგორც ვიცით, უწმინდე-  
სის სინოდის და საერთ განათლების სამინისტროს მიერ დაარსებულის  
სამოსწავლო კომიტეტებისაგან მოწონებულია“.

ოქტომბერი — იაკობი გამოსცემს „რუსულ სლოვოს“ პირველ ნა-  
წილს. ამის შესახებ „ივერია“ 4 ნოემბრის № 235-ში წერს: „ამ ორი  
წლის წინად, როგორც მკითხველებს უკვე მოქსენებათ, პირველად და-  
იბეჭდა რუსული ენის სახელმძღვანელო «Русское слово», შედგენი-  
ლი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიერ: ამჟამად მთელი პირველი გამოცე-  
მა, რიცხვით თერთმეტი ათასი, უკვე გაყიდულია, მთლიანად. ამიტომ  
გამოვიდა მეორე გამოცემა ამ წიგნისა. სახელმძღვანელოში შეტანილია  
ახალი განყოფილებანი და სავარჯიშონი და რადგანაც სახელმძღვანე-  
ლო გადიდებულია, ორ წიგნად გაუყვითა. ჩვენ მოვეიციდა ამ ეპმად პირ-  
ველი ნაწილი, რომელიც შეიცავს ოთხს განყოფილებას... წიგნი მა-  
ლიან სულთად და ლამაზად არის დაბეჭდილი... საქმიანდ არის დაუ-  
რაობებული, 100 გვერდს შეიცავს და ფასად ძვირად არა ჰლირს —  
30 კა.“.

ა. გოგებაშვილის „რუსულ სლოვოს“ პირველი ნაწილი გამოდის  
შეცვლილი სახელწოდებით: Русское слово или учебное руковод-  
ство к русскому языку для грузинских школ. Часть первая.  
Подготовительные ступени. Издание второе, исправленное  
и дополненное. Тифлис, 1890.

წიგნის გამოსცელის შესახებ ბიბლიოგრაფიული ცნობები ქვეყნე-  
ბა „ივერიის“ ნოემბრის ნომრებში.

ოქტომბრის 29 — „რუსულ სლოვოს“ მეორე შესწორებული და  
შეცვლილი გამოცემის პირველ ნაწილის სახელმძღვანელო მოწონების  
შესახებ იაკობი თხოვნით მიმართავს კავკასიის სასწავლო ოლქის  
მზრუნველს პ. იანოვსკის და ულგენს აღნიშნულ წიგნს.

ოლქის მზრუნველი კ. იანოვსეი „რუსულე სლოვოს“ სარეცენზიონებადასცემს ინსპექტორი ი. კრუპენიოვეს (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 118).

ნოემბრის 21 — იაკობი წინადადებას წარუდგენს ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების გამეობას გაბრიელ ეპისკოპოსის საზოგადოების საპატიო წევრად არჩევის შესხებ.

„...ვთხოვ მართველობას საზოგადოებისას საზოგადო კრებაში შეიტანოს წინადადება შესახებ საპატიო წევრად აღმორჩევისა ყოვლად-სამღვდელო ეპისკოპოზის იმერეთის გაბრიელისა“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 228).

ი. გოგებაშვილის ამ წინადადების შედეგად საზოგადოების კრება აღენს: „ამას გარდა საზოგადო კრებამ მიიღო რა მხედველობაში, რა ღვაწლი და სამაგალითო სამსახური მიუძღვით გაბრიელ ეპისკოპოს და ი. გოგებაშვილს ქართულის მწიგნობრობის გასავრცელებლად ჩვენს ქვეყანაში, ერთხმად დაადგინა, არჩეულ იქნენ საზოგადოების საპატიო წევრებად გაბრიელ ეპისკოპოზი და იაკობ გოგებაშვილი“ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 341).

ნოემბრის 30 — თბილისის წმ. ნინოს სახელობის ქალთა სასწავლებლის ინსპექტორი ი. კრუპენიოვი დადებით რეცენზიას წარუდგენს ქავებისის სასწავლო თლქის მზრუნველს ი. გოგებაშვილის „რუსულე სლოვოს“ მეორე გამოცემაზე.

«На основании всего вышеприведенного, несмотря даже на некоторые недостатки, нельзя не прийти к заключению, что 2-е издание «Русского слова», именно первая часть его, представляет многие бесспорные улучшения сравнительно с первым изданием и потому вполне заслуживает одобрения как руководство для преподавания русского языка в грузинских школах...» (ა. იოვიძე, იაკობ გოგებაშვილი, დოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 121).

დეკემბრის 12 — გაზეთი „ივერია“ (№ 265) ბეჭდავს იაკობის წერილს სათაურით: «უცნაური ჯადოს წრე». წერილი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ „რუსულე სლოვოსა“ და მისი სწავლების მეთოდის სამსაწავლო ხელმძღვანელობისაგან მოწონების მიუხედავათ მათ-

თვის კარები დახშული აღმოჩნდა ქუთაისის გუბერნიის საერო სკოლებში.

წერილის დასასრულს იაკობი სეამს კითხვას „ეს რა ამბავი და თინია? რა უცნაური ანგარიში აწარმოებს ამ უკულმართობას? ვინ ეწევა ამ უკანონო და სახელმწიფო ენისათვის მავნებელ წინააღმდეგობას? რა საბუთებით არის იგი აღჭურვილი და რა გამზრახვით და გუმანით გამსჭვალული? — და ითხოვს პასუხს, — ამის პასუხს მოველით მათგან, რომელიც სწავლის საქმის აღვილობრივი მეცნელენა არიან და რომელთა პირდაპირი მოვალეობაა დაიცვან სიკეთე და ინტერესი სახელმწიფო ენისა“.

დეკამბრის მეორე ნახევარი — გამოდის „რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილის მეორე შესწორებული გამოცემა, სახელწოდებით: Русское слово или учебное руководство к русскому языку для грузинских школ. Часть вторая. Книга для чтения. Издание второе, исправленное и дополненное со многими картинами. Тифлис, 1890.

დეკამბრის 28 — კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭო ი. კრუპენიკოვის რეცენზიისა და თვით ი. გოგებაშვილის მოხსენებითი ბარათის საუძღველზე „რუსეთი სლოვოს“ იწონებს სახელმძღვანელოდ ქართულ დაწყებით კლასებში სახმარებლად.

დეკამბრის 29 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის იაკობ წარუდგენს თხოვნას „რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილის სასკოლო სახელმძღვანელოდ დამტკიცების შესახებ (თხზ., ტ. 7, 1960, გვ. 588).

## 1891

იანვრის 4 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი კ. იანოვი იკი იაკობ გოგებაშვილის (1890 წ. 29 დეკამბერი) თხოვნას „რუსეთი სლოვოს“ სახელმძღვანელოდ დამტკიცების შესახებ წიგნებთან ერთად დასკვნისათვის გადასცემს სასწავლო ოლქის ინსპექტორ მის. ზევად-სკის (ა. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი, ღოკუმენტ. მასალები, 1951, გვ. 122).

იანვრის 9 — გაზეთი „ივერია“ (№ 6) ბეჭდავს ბიბლიოგრაფიულ ცნობას „რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილის გამოსვლის შესახებ.

„ეს გამოცემა ბევრად შევსებულია წინანდელზედ და შემცირდი მრავალი ახალი სურათებით იძყრობს 200 გვერდსა და ღირს ორი აბაზი“  
მეორე ნაწილზე.

იანვრის 17, 18 — გაზეთი „ივერია“ (№ № 12, 13) ბეჭდავს ვრცელ  
გიბლიოგრაფიულ მიმოხილვას ახლად გამოცემულ „რუსულ სლოვოს“  
მეორე ნაწილზე.

იანვრის 25 — კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარია ოფიცია-  
ლურად ატყობინებს ი. გოგებაშვილს მისი „რუსულ სლოვოს“ პირ-  
ველი ნაწილის დამტკიცებას რუსული ენის სახელმძღვანელოდ ქარ-  
თულ დაწყებით სკოლებში: «Протоколом Попечительского Сове-  
та, утвержденным 23-го сего января Генерал-Лейтенантом  
Графом Татищевым, определено: — Книгу «Русское слово  
или учебное руководство по русскому языку для грузинских  
школ ... ввиду значительных улучшений сравнительно с перв-  
ым изданием той же книги, одобренным уже Советом как  
пособие, — одобрить, в качестве руководства для грузинских  
начальных школ» (თხ., ტ. 7, 1960, გვ. 585).

იანვრის 31 — გაზეთი „ივერია“ (№ 24) თავის მკითხველებს აუწ-  
ყებს: „ოფიციალური წყაროდგან შეეიტყვეთ, რომ მეორე კამოცემა  
«Русское слово»-სი ... მთავრობას მოუწონებია, როგორც რუსუ-  
ლის ენის სახელმძღვანელო (учебное руководство) ქართულ სკო-  
ლებში სასწავლებლად. ამას უნდა დაუმატოთ, რომ სამოსწავლო წიგ-  
ნების მოწონება სამხარისსოფანია, — მცირე ხარისხისა, როცა წიგნს  
იწონებენ როგორც მაშველებელს (пособие), საშუალო ხარისხი —  
როგორც სამოსწავლო მაშველებელს (учебное пособие), ხოლო  
უმაღლეს ხარისხს შეაღენს, როცა წიგნს სახელმძღვანელოდ იწონე-  
ბენ. სწორედ ეს უმაღლესი ხარისხი ნარგუნები აქვს «Русское сло-  
во»-ს. ამ უმაღლესივე ხარისხით მოუწონებია სენატული სახელ-  
მძღვანელო სასულიერო მთავრობასაც...“. ასეთივე ცნობას აქვეყნებს  
ეურნალი „მწყემსიც“ (№ 3).

თებერვალი — კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარი (№ 2)  
აქვეყნებს დადგენილებას «რუსულ სლოვოს“ პირველი ნაწილის მო-  
წონების შესახებ.

თებერვალის 5 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამარცელე-  
ბელი საზოგადოების გამგეობის მიერ გამოყოფილი კომისია ი. გოგე-  
ვაშვილი, 6. გურგენიძე, 8 საჯარი

ბაშეილის, გ. იოსელიანისა და ალ. ჭიჭიაძის შემაღენლობით გმ. გეობას ედგენს მოსაზრებას საზოგადოების შემოსავლების გაძლიერებისათვის (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 229—230).

თებერვლის 16 — გორის საოსტატო სემინარიაში „რუსეთი სლოვოს“ სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ ნ. ლომოური იაკობს წერილით ატყობინებს:

„შენი სახელმძღვანელო რუსული ენისა აფიციალურად მიღლო გაშინ ჩვენმა პედაგოგიურმა კრებამ სახელმძღვანელოდ აქაურ პირველ დაწყებით სასწავლებელში“ (ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე, ტ. 1, 1959, გვ. 247).

თებერვლის 23 — გაზეთი „ივერია“ (№ 43) აქვეყნებს ცნობა გორის საოსტატო სემინარის საბჭოს მიერ „რუსეთი სლოვოს“ მოწონებისა და სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ.

აპრილის 14 — გაზეთი „ივერია“ № 82) ბეჭდავს დათივო ვერმაციანაშვილის [ლ. წულაძის] წერილს „სახელმახელოს“, სადაც ებჯა ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში ი. გოგებაშვილის „რუსეთი სლოვოს“ აკრძალვას. წერილის ავტორი გულისტკვილით აღნიშნავს «მოწონებული და ჩვენს სასოფლო სკოლებში სახელმძღვანელოდ დადებული წიგნი დაუწუნებიათ, აბრუ გაუტეხიათ და ხმარებიდან გუდევნიათ».

აპრილის 15 — იაკობი თხოვნით მიმართავს კავკასიის სასწავლი ღლების მშრუცველს ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში „რუსეთი სლოვოს“ დაუბრულებლად გავრცელებას, რამდენადაც ამ სკოლებში მისი სახელმძღვანელო ფაქტიურად აკრძალული იყო ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორის ლევიტსკის მიერ, მისი აუკანასქელის საკუთარი სახელმძღვანელოს გავრცელების მიზნით (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 446).

აპრილის 26 — გაზეთი „ივერიის“ № 87-ში იაკობი ბეჭდავს წერილს რედაქციის მიმართ, სათაურით: „უკანონო წინააღმდეგობა“, რაც გამოწვეულია ქუთაისის გუბერნიის სკოლებში „რუსეთი სლოვოს“ დევნით.

მაისი — გამოდის „დედა ენის“ მერვე შეცელილი გამოცემა.

„ჩვენ მივიღეთ ახალი (მერვე) გამოცემა „დედა ენისა“. ანბანში ჩართულია რამოდენიმე სურათი სამღვთო საგნებისა ... ერთიანობად მეტია წინანდელზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს სამრევლო სკოლებისათვის“ (ივერია, 1891, № 110).

მაისის 16 — სიტყვას წარმოთქვამს შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობის თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საზოგადო კრებაში.

მაისის 28 — გაზეთი „ივერია“ (№ 111) ბეჭდავს 16 მაისს იაკობის მიერ წარმოთქმული სიტყვის შინაარსს.

მაისის 30 — ქვეყნდება იაკობის „სიტყვა, თქმული სათავადაზნაურო სკოლის საზოგადო კრებაზედ“ („ივერია“, 1891, № 113).

ივნისის 2 — „რუსეთ სლოვოს“ მეორე ნაწილზე ი. კრუპენიკოვი დადგით რეცენზიას წარუდგენს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს.

ივლისის 10, 11, 18 — გაზეთ „ივერიის“ № № 144, 145, 151-ში ი. გ-ლის ხელმოწერით იბეჭდება იაკობის ერცელი რეცენზია რუსული ენის სახელმძღვანელოზე სათაურით: „პედაგოგიური საკურაველება ანუ «Курс русского языка для грузинских начальных школ, год первый, составил Ф. Левитский».

რეცენზიის მეორე ნაწილი ქვეყნდება 21, 22 აგვისტოს „ივერიის“ № № 177, 178-ში.

ნოემბერი (?) — აკაკი წერეთელი პეტერბურგიდან გამოგზავნილი წერილით ივანე მარიაშვილის სთხოვს: „იაკობ გოგებაშვილს ჰქოთხე, მომცემს ნებას, რომ გადათარგმნილი იქნეს მაგის „იავნანამ რა პქმნა?“, რომელიც აქ ოსტროგორსკის ძალიან მოსწონს, თუ არა?“ (ა. წერეთელი. თხზ. სრ. კრებული, ტ. XV, გვ. 140).

ნოემბრის 12 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველისადმი წარადგენილ მოხსენებით ბარათში იაკობი განმეორებით მოითხოვს „რუსეთ სლოვოს“ ორივე ნაწილის შეუფერხებლივ დამკვიდრებას ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლებში.

ნოემბრის 28 — გაზეთი „ივერია“ (№ 253) „ახალ ამბებში“ მკათ-

ხველს აუწყებს, რომ ი. გოგებაშვილი თანხმობას აცხადებს „იავნანაშა რა ჰქონა?“ - ს რუსულად თარგმანის შესახებ.

„...რუსეთის პედაგოგს ოსტროგორსკის უთხოვნია ბ-ნ ი. გოგებაშვილისათვის ნებართვა მისი მოთხრობის „იავნანაშა რა ჰქონა?“ - ს გადათარგმნისა რუსულად და ბ-ნს გოგებაშვილსაც მიუცია ეს ნებართვა“.

დეკემბერი — გამოდის „რუსეთი სლოვოს“ პირველი ნაწილის მესამე გამოცემა.

— გამოდის „ხომლი ანუ რჩეულ ლექსთა კრება მოზრდილ ყრმათათვის...“ გამოცემა მეორე, უცვლელად გაღმობეჭდილი პირველი გამოცემიდან, რომელიც მოწონებული იქმნა განათლების სამინისტროს და უწმინდესის სინოდისაგან სახმარებლად სკოლებში. 1891. 98 გვ.

დეკემბრის 14 — ქუთაისის გუბერნიის სკოლებში „რუსეთი სლოვოს“ აკრძალვის გამო ი. გოგებაშვილის მოხსენებათა საფუძველზე, სასწავლო ოლქის მზრუნველის მოთხოვნით ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორი ფ. ლევატსკი პატავს უდგენს სასწავლო ოლქის მზრუნველს.

დეკემბრის 17 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ი. კრუპენიკოვი უდგენს დასკვნას „რუსეთი სლოვოს“ პირველი ნაწილის მესამე გამოცემის შესახებ.

«Так как 2-е издание «Русского слова» было одобрено Попечительским Советом как учебное руководство, то настоящее третье издание, заключающее в себе значительные улучшения, по справедливости заслуживает полного одобрения» (თხ., ტ. 7, 1960, გვ. 594).

დეკემბრის 20 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორს ფ. ლევატსკის წერილობით ატყობინებს, რომ მისი რუსული ენის კურსი არ შეიძლება დატოვებული იქნას დაწყებით სკოლებში სახელმძღვანელოდ (ა. იოვაძე, იაკობ გოგებაშვილი. ღოკუმენტ. მასალები. 1951, გვ. 134).

## 1892

იანვრის დასაწყისი — იაკობისადმი შიძლვნილ სახალწლო ექსპრესტებს ბეჭდავს გაზეთი „ივერია“ № 1-ში შერმადინის ხელმოწერით [იაკობ მანსევეტაშვილი] და № 3-ში № №-ის ხელმოწერით.

მხოლოდ მტრობაა და შეტანილია  
ამ ჩენენ წუთა-სოფელშია  
ფხიზღადა შექება მუდამ ყურია:  
ჩემსას არების არ დაუკორონდე,  
(ცეკვა, 1892, № 1).

იანვრის 21 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველის კანცელარია ი. გოგებაშვილს წერილობით ატყობინებს სამზრუნველოს საბჭოს გადაწყვეტილებას „რუსეთ სლოვოს“ პირველი ნაწილის (მესამე გამოცემა) და მეორე ნაწილის (მეორე გამოცემა) სახელმძღვანელოდ მოწონების შესახებ.

«...одобрить в качестве руководства для грузинских начальных школ,

Об этом канцелярия имеет честь уведомить вас, милостивый государь, в ответ на ваше отношение от 11 ноября<sup>1</sup> прошлого года» (თხ., ტ. 7, 1960, გვ. 595).

იანვრის 30, 31 — გაზეთ „ივერიის“ № № 22 და 23-ში ი. გ-ლის ხელმოწერით ბეჭდავს რეცენზიის მესამე წერილს ფ. ლევიტსკის რუსული ენის სახელმძღვანელოზე, სათაურით: „პედაგოგიური საკირველება ანუ «Курс русского языка для грузинских начальных школ, год первый, составил Ф. Левитский» (რეცენზიის პირველი და მეორე წერილი დაბეჭდია 1891 წ. ივლის-აგვისტოში).

იანვრის 30 — უურნალ „მწყემსში“ (№ 2) ქვეყნდება იაკობის განმარტება საახალწლო ექსპრომტების შესახებ. მასში ნათქვამია: ბ. რედაქტორო! ჩემს საახალწლო ექსპრომტებში მოხსენებული გვარების „ინიციალებიდამ“ კ-ჩ ძეს ბევრს, თურმე, პონია ბ. კალისტრატე ჩიკვაიძე. ეს შემცდარი აზრია. ჩენენ ჩენენ ექსპრომტებში სახეში გვყავს საღიტერატურო ასპარეზზედ მოქმედი პირი და არა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა შინა მოსამსახურენი“:

თებერვალი — უურნალი „მწყემსი“ (№ 3—4) ბეჭდავს ვინჩე „მ. მ-ძეს“ წერილს რედაქციისადმი, რომელშიც გამოთქმულია უკმაყოფილება ი. გოგებაშვილის მიერ „დედა ენის“ ხშირი ცვლილებებისა და ამის გამო უხერხულობების შექმნით სკოლებში.

<sup>1</sup> უნდა იყოს: 12 ნოემბრი

„... ეთხოვთ ჩვენს პატივცემულ პედაგოგს გამოგვიხსნას რომელიც ამ გაჭირვებისაგან, ან ჩვენ შეგვიძრალოს, ან საწყალი მშობლები ჯიბე“.

თებერვლის 25 — კომისია, რომლის შემადგენლობაშიც შედაა გ. იოსელიანი, ი. გოგებაშვილი, ან. წერეთლისა, თავის მოსახურება წარუდგენს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ბიბლიოთეკების გამართვის „უ-ცილებლობის შესახებ.

„რაღანაც „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას“ სხვა-და-სხვა გარემოებათა გამო, დაბრულება ეღლება წინ და სკოლების დაარსებით ვერ ასრულებს თავის უმთავრესს დანიშნულებას წერა-კითხვის გავრცელებას ხალხში, ამატომ საჭიროა გამგეობა შაუდგეს სახალხო ბიბლიოტეკების გამართვას სოფლებში.

გამგეობა უნდა ეცადოს, გამართოს სახალხო ბიბლიოტეკები საქართველოს ყველა უმთავრეს ნაწილებში.

ბიბლიოტეკა უნდა დაარსდეს ისეთ დიდ სოფლებში, სადაც, თუ-დაც სკოლა არ იყოს, მოიპოვებიან საქმაოდ წერა-კითხვის მცოდნები...

სახალხო ბიბლიოტეკის წიგნებით უნდა სარგებლობენ მეოთხეველი უსასყიდლოდ, მაგრამ იმ შემთხვევაში, როცა წიგნის დაკარგვენ, ანუ გააფუჭებენ, მოვალენი უნდა იყონ პზღან.

ყველა ბიბლიოტეკას უნდა ექმნას ქათალოგი, სადაც ჩაწერილი უნდა იყოს ყველა წიგნები; წიგნი, რომელშიც უნდა აღინიშნებოდეს საკითხავად გატანილი წიგნები და საკუთარი წიგნი შემოწირულობათა ჩასაწერი.“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 230—232).

მარტის 1 — გაზეთ „ივერიის“ № 46-ში ხელმოწერით ნ. ქაბეკევინდება იაკობის წერილი „სომეხთა ეკლესია“ (მის რჩ. ნაწერები ტ. I-ში 1910 წ. სათაურით „ბედნიერი ეკლესია“).

იაკობის ამ სტატიას მ. ნავასარდიანცი უმაღვე თარგმნის სომხურ ენაზე და ბეჭდავს გაზ. „არძაგანკ“-ში რედ. შენიშვნით.

მარტის 31 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას იაკობი უფლებას აძლევს გამოსცეს მის შიგებედების სახელმძღვანელოები: „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ და უდგენს პირობებს. საზოგადოების გამგეობა იმავე დღეს ადგენს: „და-

ბეჭდოს ორივე წიგნი „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ — აქ მოხსენება ბული პირობებისამებრ” (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 340).

აკრილი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 2) ბეჭდავს იაკობის „დევნილ ვეგობარს“ და მის მიერცე გადმოკეთებულ ივავს „ბატი და ღორი“.

აპრილის 24 — გაზეთ „ივერიის“ № 85-ში ი. სვიმონიძის ხელმოწერით ქვეყნდება წერილი „ერთი სკოლის შესახებ“ (თხ. ტ. 2, 1954, სათაურით: „ბათუმის სკოლის შესახებ“).

მაისი — უურნალი „მეურნე“ (№ 12—16) აქვეყნებს ი. გოგება-შვილისა და აღ. ჭიჭინაძის აზრს სათავადაზნაურო სკოლის შესახებ.

— ქვეყნდება ცნობა იაკობის სახელმძღვანელოების «Русское слово»-ს და «Руководство для учителей и учительницы... к преподаванию по книге «Русское слово»-ს მოწონების შესახებ (კავკასიის სასწავლო ოლქის ცირკულარის ტ. 5, ნაწ. 2, გვ. 1965. რუს. ენ.).

მაისის 23 — გაზეთი „ივერია“ (№ 105) საზოგადოებას აუწყებს, რომ იაკობ გოგებაშვილი გამოდის სათავადაზნაურო სკოლის კომიტეტის შემადგენლობიდან. ამის შესახებ თვით იაკობი შემდეგს გადმოგვცემს: „ორი წლის შემდეგ მე გამოიედი სააზნაურო სკოლის კომიტეტიდან, თუმცა წინა არჩევნების დროს თითქმის ერთხმივ ვიყავ არჩეული... ჩემი გამოსვლა კომიტეტისაგან გამოიწვია ორმა პრინციპიალურის თვისების გარემოებამ. პირველი გარემოება იმაში მდგრადი იყოდა, რომ ბ-ნმა ცხვედაძემ თავისი გაიყვანა და კლასიკური გიმნაზიის პროგრამა შემოადებინა სააზნაურო სკოლაში, მე კი წინააღმდეგი ვიყავი კლასიციზმისა და რეალურ გიმნაზიას ვამჯობინებდი. მეორე, უფრო მახლობელი მიზეზი ის გახლდათ, რომ კომიტეტმა მოიწადინა წინააღმდელი წესდება, რომლის შედგენაში მახლობელი მონაწილეობა მხვდა წილად, შეეცვალა წოდებრივ ინტერესების მიხედვით... კომიტეტმა მოინდომა შეეცვალა ხსენებული მუხლი ისე, რომ დაბალის წოდების შეიღები ბანკის ხარჯით სკოლის პანსიონში აღარ მიეღო. მე კი ეს მიმართდა არა მარტო შეცდომად, არამედ დანაშაულად, უკადურეს უსამართლობად. საქმე ის გახლავთ, რომ განზრახული ცელია პირდაპირ ეწინააღმდეგებოდა სააზნაურო ბანკის შემდეგ მუხლს: ჩистая прибыль банка идет в пользу землевладельческого и земледельческого сословия, ამიტომ მე განვუცხადე კომიტეტსა,

თუ განზრახული ცვლილება შეწყნარებული იქნება, წევრობის უკადაგვანებებ-მეთქი. ცვლილება მიიღო კომიტეტმა და მეც დაუტოვეთ და სრულიად მოვშორდი იმდენად, რომ წლიურს, კრებაზედაც ვა უკადაგვესწრებოდი ხოლმე“ (თხ. ტ. 4, 1960, გვ. 85—86).

ინისი — უურნალ „ჯეჯილის“ № 3-ში იაკობ სვიმონიძის ხელი, წერით ქვეყნდება გადმოკეთებული მოთხრობა „ყვაჩალია მეიდავი“.

ავესტოს 28, 29 — გაზეთი „ივერია“ (№ 182, 183) ი. სეიმის ნიბის ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის წერილს ხოლერისა და მის წანააღმდეგ ბრძოლის შესახებ, სათაურით: „დღიურის ვარმის შესახებ“ (თხ. ტ. 2, 1954, სათაურით: „ხოლერასთან ბრძოლა“).

ოქტომბერი — იაკობი ცალკე წიგნად გამოსცემს თავის მოთხრობა „ასპინძის ომი“. ისტორიული მოთხრობა (მოზრდილი ყმაწვილებისა და ვის) დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. მეცე ერეკლეს პორტტეტით და ქარტით. ტფ., 1892, 31 გვ. იღ.

ამ წიგნის შესახებ 23 მაისს გაზეთი „ივერია“ (№ 105) მეობეცელს აუწყებდა: „იბეჭდება და მოკლე ხანში გამოვა პატარა ისტორიული მოთხრობა „ასპინძის ომი“ დაწერელი ბ-ნ ი. გოგებაშვილის მიერ. წიგნს ჩართული ექნება სურათი მეცე ერეკლესი და რუკა ადგილებისა, სადაც ზემოხსენებული ომი იყო გამართული. რუკა შეუდგენია ბ-ნ ვ. თულაშვილს“.

იმავე წლის 30 ოქტომბერს უურნალი „მწყემსი“ (№ 20) იუწყება: „ჩვენ მივიღეთ ბ. იაკობ გოგებაშვილისაგან მისგანვე შედგენილ პატარა წიგნაკი „ასპინძის ომი“. წიგნი მშვენივრად არის გამოცემული და არა თუ მოზრდილ ყრმათათვის, არამედ ყველა ქართველთვის საინტერესო საკითხავია“.

— გამოდის „დედა ენის“ მეცხრე გამოცემა „ჩვენ მივიღეთ ამ შემოდგომას ახლად დაბეჭდილი მეცხრე გამოცემა „დედა ენისა“, რომელსაც სახატავები და საწერი დედანიცა აქვს ზედ-დართული“ („იურია“, 1892, 6 ნოემბ., № 235).

დეკემბრის 2 — წერილს უგზავნის ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელი, რომლითაც ატყობინებს მისგან დაბარებული წიგნების და თავის მხრივ დამატებული სახელმძღვანელოების გაგზავნას (თხ. ტ. 9, 1962 გვ. 338).

დეკემბრის ბოლო — ეურნალი „მწყემსი“ (№ 23—24) ბეჭდას 60-  
კობ გოგებაშვილის შეკრ შედგენილ სახელმძღვანელოებისა კუთხის შედების  
წიგნების ნუსხას — სულ 12 სახელწოდების წიგნს.

\* \* \*

— იაკობის დაკვეთით ქართველ გამომცემელთა ამხანაგობა წიგ-  
ნად გამოსცემს მის თხზულებას „რანი ვიყავით გუშინ?“ წერილი ია-  
კობ გოგებაშვილისა. ტფ., 1892. 70 გვ.

წიგნის გავრცელება აეტორისავე სურვილით შეჩერებული იქნა  
გაურკვეველი დროით. ამის შესახებ იაკობი 14 წლის შემდეგ (1905 წ.)  
მეოთხეულს აუწყებს:

„1892 წელში მე დავაძეჭდვინე ქართველ გამომცემელს ამხანაგო-  
ბას ცალკე წიგნაკად ჩემი საისტორიო წერილი: „რანი ვიყავით გუშინ?“,  
რომელიც წიგნად „ივერიაში“ იყო დაბეჭდილი, დავაძეჭდვინე არა უც-  
ვლელად, არამედ სხვა-და-სხვა ახალი დამატებით. წიგნაკი დაიბეჭდა  
2000 ცალი, საცენტურო კომიტეტმა ჯეროვანი ბილეთიც მისცა გა-  
სასყიდად გამოშვებისათვის; მაგრამ მე თვითონ შევაჩირე წიგნაკის გა-  
მოსვლა შემდეგის მიზეზის გამო. ქვევიდგან მოვდიოდი, ხელში მეჭი-  
რა პირველი ცალი ჩემის ახალის წიგნაკისა, როდესაც გოლოვნის  
პროსპექტზე ... შემხვდა ბ-ნი არჯევანიძე ... ამ განათლებულმა ქარ-  
თველმა ... მითხრა: ახლანდელი მომენტი მეტად უკუდმირთა ყოველის  
მხრივ და ეგ წერილი უჟად ჩაივლის და იქნება უარესიცა პეტენაო.  
რომ მოუცადოთ და შესაბამ დროს მოპფინონ ჩვენ საზოგადოებაში,  
ყურადღებასაც დაიმსახურებს, შთაბეჭდილებასაც მოახდენს მკოთხვე-  
ლებზე და საზოგადოებრივ მოძრაობასაც დაეხმარებათ. დამიჯდა ჰე-  
აში ეს სიტყვები და დავევითხე რამდენსამე სხვა განათლებულს ქარ-  
თველსა. ამათაც იგივე აზრი წარმოსთქვეს, და მირჩიეს წიგნაკის გა-  
მოსვლა შემეჩერებინა. მე გადაუხადე გამომცემელს ამხანაგობას მთე-  
ლი ხარჯი, რაც-კი მათ მოსვლოდათ წიგნაკის გამოცემაზე, და და-  
ვავალე, ეწყოს ეგ გამოცემა თქვენს საწყობში, ვიდრე მარჯვე დრო  
დადგებოდეს და მაშინ მე თვითონ ვიზრუნებ მის გავრცელებაზე მეო-  
ქთ“ (თხ №, ტ. 4, 1955, (გვ. 94—95).

— ცალკე წიგნად გამოსცემს აეტობიოგრაფიულ მოთხრობას „ხა-  
ტის მიზეზი?“ მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის. დაწერილი  
იაკობ გოგებაშვილის მიერ. თუ., 1892. 16 გვ.

მოთხრობაში ავტორი გადმოგვცემს თავისი ბავშვობის დროინდენ  
განცდებს მშობლიური კუთხიდან სასწავლებლად ქალაქს წასვლის  
ვამო.

„რას მოვიგონებდი მაშინ, — წერს ავტორი მოთხრობის დასა-  
რულს, — თუ შემდეგში, სწავლა გამიტებებოდა, ვართანზედ მეტად შე-  
მიყვარდებოდა თბილისი, როგორც კერა სწავლისა, განათლებისა. რას  
მოვიგონებდი მეთქი, ვამბობ, იმიტომ რომ ეს პატარა კაკო ვიყავი ჩე-  
და ეს ამბავი მოგონებაა სიყმაწვილის დროის შემთხვევისა და სხვ.  
არაფერი“.

— გამოდის „კონა პირველ დაწყებითი მოთხრობებისა ბუნების მეც-  
ნიერებიდგან, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მესამე სურაუ-  
ბიანი გამოცემა, უცვლელად გადმობეჭდილი მეორე გამოცემიდან  
რომელიც მოწონებული იქნა განათლების მინისტრის და უწმინდესის  
სინდის მიერ სახმარებლად სკოლებში“. ტფ., 1892, 192 გვ. ღლ.

— ცალკე წიგნად გამოსცემს თავის თხზულებას „ძირითადი ეკუ-  
მართობა“. წერილი იაკობ გოგებაშვილისა. ტფ., 1892. 62 გვ. (შე-  
დგომში გამოსცემს შეცვლილი სათაურით: „ბურჯი ეროვნებისა“).

— ამავე წელს გამოდის „ბუნების კარის“ მეშვიდე გამოცემა.

### 1893

ამ წელს იაკობი დიდი ნაყოფიერებით მუშაობს საბავშვო ლიტე-  
რატურაში. წერს და უურნალი „ჯეჯილში“ აქვეყნებს საბავშვო მო-  
ხრობებს ბუნებისმცოდნეობიდან და საქართველოს ისტორიიდან.

თებერვალი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის სა-  
ბავშვო მოთხრობებს „ბავშვობის დროის მოგონებანი (თევზაობა),  
„ჩიტი და ვანო“. მოთხრობები ქვეყნდება ი. სვიმონიძის ხელმოწერით.

აპრილი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 2) ი. სვიმონიძის ხელმოწე-  
რით აქვეყნებს იაკობის მოთხრობებს: „სანდრო და ვაშლი“ და „მედ-  
და მისი სახლობა“.

აპრილის 11 — უურნალი „კვალი“ № 15-ში აქვეყნებს იაკობის წე-  
რილს იაკობ სვიმონიძის ხელმოწერით ინგლისის პრემიერ-მინისტრ  
გლადსტონის შესახებ, სათაურით: „დიდებული წალილი დიდებული  
მოხუცისა“, რომელშიც გოგებაშვილი გლადსტონის დიდებულ წა-

დილად სახავს მის მაღალ კაცობრეობას — მოსპოს ძალმოშრეობა ერებს შორის, კერძოდ „... საოცარი მოხუცი გამსჭვალულია და დამატებით — მოსპოს ბატონფორბა ერთა შორის და დაამყაროს ბული წადილით — მოსპოს ბატონფორბა ერთა შორის და დაამყაროს გმობა, თანასწორობა, თავისუფლება, ტანჯვა და ცრემლი შეამციროს, ლხენა და სიხარული განაძლევროს დედამიწის ზურგზედ. ... ბატონობას ინგლისის ირლანდიაში გამოუცხადა ომი უკეთესმა და უდიდებულესმა შვილმა თვით ინგლისისამა — გლადსტონმა, რომელიც აგრე ათი წელიწადი მეტი იქნება, რაც დაუძინებლად იბრძეის: უბედურ ირლანდიას დაუბრუნოს შინაური ბატონობა, მიანჭოს თვით მმართველობა, აღუდებინოს საკუთარი პარლამენტი და მსოლოდ პოლიტიკური კავშირი, პოლიტიკური ერთობა ირლანდიასთან აქმარებინოს ინგლისსა“.

აპრილის 18 — უურნალ „კვალის“ № 16-ში კალმახელიძის ხელმოწერით ქვეყნდება იაკობის წერილი სამრევლო სკოლების სასწავლო გეგმისა და სამეცნოებლოების დაარსების შესახებ, სათაურით: „საჭირო განმარტება“. იგივე წერილი მცირედი ცვლილებებით ქვეყნდება 4 მაისს გაზეთ „ივერიის“ № 92-ში.

აპრილის ბოლო — მონაწილეობს სათავადაზნაურო სკოლის წლიური კრების საქმიანობაში, 30 აპრილის სხდომაზე იაკობი წარმოთქვამს სიტყვას, რომელიც ქვეყნდება მოგვიანებით.

ივნისი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 3) ბეჭდავს იაკობის მოთხრობას „ბავშვობის დროის მოგონებანი. ცოლიანი ძალია“.

ივნისის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 121) ვინმე „ვ-ნო ო-მელი“-ს ხელმოწერით ბეჭდავს წერილს „მცირე შენიშვნა უშინსკის «Родное слово-ზედ», რომელშიც აღნიშნულია ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების როლის შესახებ სწავლების საქმეში. ამასთან წერილის აკტორი გაკვირვებას გამოთქვამს „რუსეთ სლოვოს“ სკოლებში აკრძალვის გამო.“

„წარსულ წლებში სწავლის საქმე უფრო მარჯვედ მიღიოდა ჩვენს სკოლებში, რადგანაც ბ-ნი ი. გოგებაშვილის «Русское слово» და მისივე „დედა-ენა“ გვქონდა სკოლებში სახელმძღვანელოდ. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, შარშან ამ წიგნის წყალობით შეგირდებმა სამის თვის განმავლობაში ისწავლეს ქართულ-რუსული წერა-კითხვა.

რუსელი ენის ვარჯიშობაშიც ეტყობოდათ გამარჯვება ბავშვები. ასამოსწავლო წლიდგან მოსპეს ქართული ენის სწავლება ჩევენ სკლებში, აგრეთვე უარ-პეცეს ბ-ნ გოგებაშვილის საყმაწვილო წიგნება ხმარება. ნაცვლად ამ წიგნებისა, გადმოგზავნეს შეგირდების დასარგებლად მოელი ერთი ურემი «Родное слово»-ები».

ივლისის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 161) საზოგადოებას აუწყევა იაკობ გოგებაშვილის განზრახვას თავისი ნაწერების შოთა რუსთაველის ფონდის სასარგებლოდ გამოცემის შესახებ.

„ჩევნ გვატყობინებენ, რომ ჩევენს გამოჩენილს პედაგოგს ბ-ნ იაკ სვიმონის ძე გოგებაშვილს განუზრახვს გამოსცეს ცალკე წიგნად კაველი თავისი ნაწერი საისტორიო, საპუბლიცისტო, საპედაგოვი და სხვანი. ნადირ შემოსავალი ამ გამოცემისა დანიშნულია აკტორის მიერ სასარგებლოდ ჩევნის უკედავის პოეტის რუსთაველის ფონდისათვის“.

ავეისტო — პეტერბურგში ახლად დაარსებული კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული უურნალი „ფილოლოგიჩესკაია ბიბლიოტეკა“ თავის ფურცლებზე ბეჭდავს აღოლფ ლიბერბანის რეცენზიას „რუსკო სლოვო პირელ ნაწილზე“. რეცენზიის ავტორი, თვით ამ უურნალის რედაქტორი მაღალ შეფასებას აძლევს „რუსკო სლოვო“-ს. აյ ვეოთხულის: «Редко можно встретить среди массы учебных руководств, составленных для изучения русского языка иностранными, такой прекрасный и талантливо составленный учебник, как труд г. Я. Гогебашвили. Материал, даваемый г. Гогебашвили, чрезвычайно обилен и интересен и, что особенно важно, расположен в строгой последовательности».

— უურნალ „ჯეჯილის“ № 4-ში ქვეყნდება იაკობის მოთხრობები „ვასო და ჩიტები“, „ორკეცი ფასი სწავლისა“, „სამი მომკალი“, „სკუთე ბოროტისათვის“.

ავეისტოს 4 — გაზეთი „ივერია“ (№ 165) ბეჭდავს დ. მიქელაძის (მეცელის ხელმოწერით) წერილს იაკობ გოგებაშვილის მიერ შოთა რუსთაველის ძეგლის ასაგებად შეწირულების გამო — სათაურით „სკურადლებო შეწირულება“. მასში ნათქვამია: დღევანდელი საუბრის განზრახვა დაგვიძადა ჩევნ საყურადღებო შეწირულობამ, რომელიც მოისურეა ჩევნმა დიდად სახელოვანმა და ერთგულმა საზოგადო მოღვაწემ ბ-მა იაკობ გოგებაშვილმა.

ჩეენ ვტყობილობთ რომ ეს პატივსაცემი შწერალი აპირობს ყველა  
ამღვდენის ხნის თავის კალმის ნაწარმოები გამოსცეს და ნადღი შეისაფარო  
გოსაცალი ამ წიგნების გაყიდვისაგან შესწიროს. რუსთაველის ძეგლს".

აგვისტოს 19—21 — გაზეთ „ივერიის“ № № 177—179-ში ქვეყნ-  
დება იაკობის „სიტყვა, თქმული სააზნაურო სკოლის საზოგადოების  
წლიურ კრებაზედ, 30 აპრილს, 1893 წელსა“.

სექტემბრის 1, 2 — გაზეთი „ივერია“ (№ № 186, 187) ბეჭდავს  
იაკობის წერილს ქართული წერის სწავლების შესახებ, სათაუროთ:  
„წალილი უსაფუძვლო ცვლილებისა (ვუძღვნი მასწავლებლებს)“.

ოქტომბერი — ურნალ „ჯეჯილის“ № 5-ში იბეჭდება იაკობის  
მოთხრობები: „მეგობრის დევნა“, „ისტორიული ამბავი. თავდადებული  
მღვდელი (ოვედორე)“. — დასასრული დაიბეჭდა ურნალის № 6-ში.

— ცენტურა კრძალავს გაზეთ „ივერიაში“ დასაბეჭდად გამზადე-  
ბულ იაკობის სტატიას „მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“.

ნოემბრის 4, 6 — გაზეთი „ნოვო ობოზრენიე“ (№ № 3390, 3392)  
ბეჭდავს იაკობის რეცენზიას «Родное слово» Ушинского в кав-  
казских школах».

დეკემბერი — ურნალ „ჯეჯილი“ (№ 6) ბეჭდავს მოთხრობებს:  
„მეითხავი“, „თავდადებული აზნაური (იოთამ ზეღვინიძე)“.

დეკემბრის 1, 2 — გაზეთი „ნოვო ობოზრენიე“ (№ № 3417, 3418)  
ბეჭდავს იაკობის წერილს «Курс начальной школы».

დეკემბრის 14 — წერს წინასიტყვაობას წიგნისათვის «Нормаль-  
ное письмо».

დეკემბრის 16 — „დედა ენის“ მეათე გამოცემის უფლებას გარკვე-  
ული პირობებით აძლევს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოე-  
ბას (თხ. 9, 1962, გვ. 232).

დეკემბრის ბოლო — პედაგოგიური სერიით ცალკე წიგნიდ გამოდის  
«Нормальное письмо». Тиф., 1893, 32 с.

\* \* \*

— ამ წელს გამოდის „რუსეთი სლოვოს“ პირველი ნაწილის ქვთხე და მეორე ნაწილების მესამე გამოცემები, უცვლელად გადმინაჭდილი ამავე წიგნების ბოლო გამოცემებიდან.

„რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილის მესამე გამოცემის თავუკეცელზე მითითებულია: «Перепечатано без перемен со второго издания, одобренного в качестве руководства учебным начальством».

— წერს წერილს „ერთი ეპიზოდი სასულიერო სემინარიის ცხოვრებიდან“ (აეტორის სიცოცხლეში არ გამოქვეყნებულა).

## 1894


იანვრის 22 — იაკობი ვრცელ წერილსა და ხუთ თუმანს უგზავნის ავაღმყოფ ეგნატე ნინოშვილს გურიაში.

„22 იანვარს მე მას ორცელი წერილი მიეწერე გურიაში, რომელთაც ვატყობინებდი, თუ რა ძლიერს ჩაბეჭდილებას სტოვებდა ყოველ მკოთხველში მისი მოთხრობა „ჩიგნი ქვეყნის რაინდი“ ... თანაც გავუაზავნე ხუთი თუმანი საკუთარი ჩემი ფული და მიეწერე: თუ ამ მცერიოთენ ფულს ჩასთვლით პატია სამაგიეროდ იმ დიდი კმაყოფილებისას, რომელსაც მაგრძნობინებს თქვენის მოთხრობების კითხეა, მეტად მასიამონებთ მეტე; თუ არა თა, რა გაეწყობა, შერიცხევ ეალად, რომელსაც თქვენ გადაიხდით, როდესაც მორჩებით და სახსასი იშოვნით მეტეი. ამას ისიც დავუმატე, რომ ვიდრე სრულიად გაჯანსაზღიბდღით, თევზში გაქნებათ ოთხი-თუმნიდგან ხუთ-თუმნამდე... თანა განვიცხავე სურვილი, მერასრა გამგეობა მისი თხზულებების გამოცემისა“ (თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 336—337).

იანვრის 26 — საცენტურო კომიტეტის თავმჯდომარის მ. გეგელის მოთხოვნის თანახმად (21.1.1894 წ.) ილია ჭავჭავაძე ახსნა-განმარტებას აძლევს „ივერიაში“ დასასტამბათ გამზადებული ი. გოგებაშვილის სტატიის („მთავარი საჭიროებანი სასულიერო წოდებისა“) გამო რომელიც ცენზურამ აკრძალა 1893 წ. ოქტომბერში.

იანვრის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 23) აქვეყნებს ვარშავის ქართველ სტუდენტთა სახელით ნიკოლოზ შენგელიას მაღლობის წერილი

იაკობისა და სხვების მიმართ ვარშავის ქართველ სტუდენტთა ბიბლიო-  
თეკისათვის წიგნების გაგზავნის გამო.



თებერვალი — ეურნალი „ჯეჯილი“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის მოთ-  
ხრობას „დაუფასებელი ფრინველები“.

— ეურნალ „ფილოლოგიჩესკაია ბიბლიოტეკას“ თებერვლის ნო-  
მერში ქვეყნება რეცენზია აღმოს ლიბერმანის „ი. გოგებაშვილის  
„რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილზე (მესამე გამოცემა). დასაწყისი იხ.  
1893 წ. აგვისტო.

თებერვლის 8 — გაზეთი „ივერია“ (№ 29) აქვეყნებს იაკობის წე-  
რილს ქართული ხელწერის შესახებ, სათაურით: „ქართული აზრის გა-  
მართლება“.

თებერვლის 9 — გაზეთი „ივერია“ (№ 30) ბეჭდავს ვინმე „ღრი-  
ანკელის“ რეცენზიას იაკობის წიგნზე «Нормальное письмо». Тб.,  
1893.

თებერვლის 11 — „ივერია“ (№ 32) ბეჭდავს იაკობის წერილს „წი-  
ნააღმდეგობა, თუ გაუგებრობა? (პასუხად ბ-ნს ღრიანკელს)“.

— „ივერიის“ ივივე ნომერი ბეჭდავს იაკობის განცხადებას იმის  
შესახებ, რომ მის მიერ შედგენილ წიგნებს და სამი მანეთის ღირებუ-  
ლების სხვა ქართულ წიგნების უფასოდ დაკვეთის უფლებას აძლევს  
ქართულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს.

თებერვლის შუა რიცხვები — იაკობი წერილს (12 თებერვლის თა-  
რილით) ღებულობს ეგნატე ნინოშვილისაგან სოფელ ჩოჩხათიდან.

იაკობის თანავრძნობით სავსე წერილის პასუხად ეგნატე სწერს:  
„პატივცემულო იაკობ სიმონის ძე! ჩემს უგულითადეს მაღლობას მო-  
გახსენებთ მეგობრული თანავრძნობით სავსე წერილისათვის, რომელ-  
მაც არა თუ მარტო გამამხნევა, ავადმყოფიდან მორჩინის იმედიც კი  
მომცა. პირადად რომ ვერ მიცნობთ, ამაში თუ ვინმეს ბრალი აქვს და  
საყვედური ერგება, ეს ისევ მე: მე ვიყავ ვალებული შოვსულიყავი და  
გაგცნობოდი თქვენ, როგორც საუკეთესო ქართველ მოღვაწეს, რო-  
გორც მოწინავე პირს. არ აღმისრულებია ეს ვალი და სასაყვედუროც  
მე ვარ აქ. ოღონდ პირად გაცნობაზე ვჩივი, თორემ ისე კი, ვინ იქნება  
დღეს წერა-კითხვა იცოდეს და თქვენ კი ვერ გაცნობდეს!“. შემდეგ

მწერალი დიდ მაღლობას უხდის იაკობს ფულის გაგზავნისათვის, ამას თან სთხოვს მომავალში ვალი დაუბრუნოს. „მე დაჯილდოუბულ ვთვლი თავისთვის, როცა თქვენისთანა ღირსეული პირი მეუბნება: შენი ნაწერების წაყითხევით ვისიამოვნეო. როგორ ღმერთი გამიწტრება, რომ თითოეული პირისაგან კიდევ ამისათვის ფული აეილო!“ და შემდეგ ეგნატე მაღლობას უცხადებს აკრეთვე მისი თხზულებების გამოცემაზე ზრუნვისათვის და წერს: „ჩემი მოთხრობების გამოცემისათვის ოქენისთანა მზრუნველს მე ვიღას ეიძოვნი. მე ამაზე ფიქრსაც ვერ გვაძებავდი, რომ თქვენ არ გვაძებანებიათ. ახლა, ჩაღვან თქვენ ინებეთ, მე სრულიად თანახმა ვარ მოგანდოთ თქვენ ყველა ჩემი მოთხრობა გამოსაცემად და აკრეთვე მოთხრობა „ჩეენი ქვეყნის რაინდი“, რომელიც ახლა იძეჭდება გაზ. „კვალში“ (ეგ. ნინოშვილი, თხზ., სრ. კრებული, გვ. 580—581).

თებერვლის 15 — გაზეთი „ივერია“ (№ 35) ბეჭდაეს რევაზ ფავლენიშვილის მაღლობის წერილს ი. გოგებაშვილისა და სსვებისაგან ცხინვალის სამყითხეველოსათვის გაწეული დახმარების გამო.

თებერვლის მეორე ნახევარი — ეურნალი „კვალი“ (№ 8) ბეჭდაეს წყალტუბოს სამყითხეველოს გამგის, მღვდელ იუსტინე ფანცხავის მაღლობას იმ პირთა მიმართ, ვინც დახმარება აღმოუჩინა სამყითხეველოს, დამხმარეთა შორის არის იაკობ გოგებაშვილი.

თებერვლის ბოლო - მარტის დასაწყისი — იაკობი იღებს მეორე წერილს ეგნატე ნინოშვილისაგან ბათუმიდან: ...თუ მოთხრობა „ჩეენ ქვეყნის რაინდის“ გამოცემის ნებას ინებებთ, იმ შემთხვევისათვის გაახლებთ გაზეთ „კვალის“ № №, რომლებშიაც ეს მოთხრობა ხელახლე შესწორებულია ჩემგან. თუ ჯერ არ დაუწყოა „მოამბეს“ „მოსე მწერლის“ ბეჭდვა, ჩემთვის ძლიერ კარგი იქნება, რომ ისიც თქვენ გამოცემინოთ. ამ საქმეების მონდობას ვერ გავიძებავდით, რომ თქვენ არ გვაძებანებია მე მომანდეებითო“ (იქვე. გვ. 581).

მარტი — იაკობი 50 მანეთს უგზავნის ავალმყოფ ეგნატე ნინოშვილს.

„მარტში გავუგზავნე ორი თვის 50 მანეთი ჩემივე საკუთარი, რომელსაც „კვალის“ რედაქციამ თავის მხრივ დაუმატა ერთი თუმანა; შემდეგ შევუდეგ ზრუნვასა, რომ მომეპოვებინა როგორმე სახსარის

ჭარხულობით აბასთუმანში გასაგზავნად...“ (თხ. 2, 1954,  
გვ. 337).

— უურნალ „მოამბის“ № 3-ში ქვეყნდება 6. მთვარელიშვილის  
კრცელი რეცენზია იაკობის სტატიაზე «Нормальное письмо».

მარტის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 52) აქვეყნებს განჯის რკინი-  
გზის სადგურის მოსამსახურე ქართველობის თხოვნას ი. გოგებაშვი-  
ლისამდი განჯის სადგურის ბიბლიოთეკისათვის წიგნების გაგზავნის  
თაობაზე.

მარტის ბოლო — გაზეთი „ნოვო ობოზრენიი“ (№ 3563) საზო-  
გადოებას აუწყებს, რომ იაკობი გამოსაცემად ამზადებს ეგნატე ნინო-  
შვილის თხზულებებს. მომდევნო ნომერში იაკობის მოთხოვნით რე-  
დაქცია ბეჭდავს შენიშვნას, „... რომ მთელი შემოსავალი საღიტრა-  
ტურო ფონდის სასარგებლოდ გადაიდება“ (თხ. 2, 1954, გვ. 338).

აპრილი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 2) ბეჭდავს იაკობის მოთხრო-  
ბას „უძლიერესი სიყვარული მოყვასისა (წმიდათა ცხოვრებიდან)“.

აპრილის ბოლო — უურნალი „კვალი“ (№ 18) საზოგადოებას „სა-  
ყურადღებო ამბავად“ აუწყებს ი. გოგებაშვილის მიერ თავისი გამო-  
ცემების ბიბლიოთეკებისათვის შეწირვის შესახებ.

მაისის 29 — გაზეთ „ივერიის“ № 113-ში ქვეყნდება (ზელმოწერით  
ი. ს-ძე) იაკობის წერილი სათაურით „უდროო შეერთება (პედაგოგი-  
ური შენიშვნა)“, (თხ. 2, 1954, სათაურით: „უცნაური შექება“) რაც გამოიწვია წინადღით გაზ. „ივერიიში“ გამოქვეყნებულმა ქებამ  
მასწავლებელ ქალთა საზოგადოების მიერ დაარსებულ სკოლის შესახებ.

„ძირითადი ნაკლულევანება ამ სკოლისა იმაში მდგომარეობს, რომ  
სხვა-და-სხვა ეროვნების ბავშვები ცალ-ცალკე სწავლობენ მხოლოდ  
ერთის წლის განმავლობაში, მეორე წლიდგან-კი ერთად იყრიან თავსა:  
რუსი, ქართველი და სომები; ადგენენ ერთს კლასსა და სწავლობენ  
ისე, როგორც წმინდა რესულს სკოლაში. ბევრი ფიქრი არ უნდა, რომ  
კაცმა ეს უდროო შეერთება შერაცხოს ფრიად მავნებლად მთელის  
სკოლისათვის“.

მაისის 31 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
9 ა. გოგებაძე, ნ. გურგენიძე, გ საჯაია

საზოგადოების გამგეობას გადასცემს „პუნქტის“ მერვე გამოცემის უფლებას (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 233).

ივნისის — ეურნალი „ჯეკილი“ (№ 3) ბეჭდავს იაკობის მოთხრობას „მონადირე“.

ივნისის 18 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებების საზოგადოების გამგეობის წინაშე შეამდგომლობს კავკავის ქართველ სკოლის მასწავლებელ დ. ბოცვაძისათვის უულადი დახმარების აღმასაჩინად (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 232).

ივნისის 25 — გაზეთ „ივერიის“ № 134-ში მეთაურ წერილი „თბილისი, 25 ივნისი“ (ხელმოწერა ი. სიმ-ძე) ქვეყნდება იაკობი წერილი ქართველთა ეროვნული ერთიანობის შესახებ (თხ. ტ. 2, 1954, სათაურით: „ნაციონალური ერთიანობა ქართველებისა“).

ზოგიერთი ე. წ. ჩვენი „მეგობრის“ მიერ ქართველების უდირებდა ცალკეულ დანაწევრებულ ტომებად მოხსენიების გამო განაწყენ ბული იაკობი ქართველ ერს აღარებს ძველ ბერძნებს:

.... ბერძნენი წარმოადგენენ ერთს დიდებულს ერსა. რადა? ამ. ტომ, რომ ერთის ჩამომავლობისანი იყვნენ, ერთს ენაზედ ლაპარ კობდნენ, ერთი ლიტერატურა პქონდათ, ერთი პომეროსი ჰყავდათ, ერთი კულტურა შეპქმნეს და ერთს სარწმუნოებას აღიარებდნენ. ქართველებში ვხედავთ თუ არა ასეთსავე ერთიანობასა? ოღონდაც ჰყავთ ყველა ქართველებს, იმერებს და ამერებს, ერთი. მამამთავარი ქართლოსი, ერთის ტომისანი არიან, ერთს ენაზე უბნობენ, ერთი ლტერატურა დაპატარეს, ყველას ეროვნულ გენიოსებად და ტალანტებად მიაჩინათ: რუსთაველი, დავით გურამიშვილი, გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, აკაკი წერეთელი, ილია ჭავჭავაძე, ვაკეუშველა, რაფიელ ერისთავი და სხვანი. ერთის სარწმუნოების მიმედვარნი არიან. ყველა ამას ემატება ერთი ისტორიული მოვლენაც, რომელსაც ბერძნების წარსულში ვერა ვხედავთ: ათასის წლის განმაზლობაში საქართველო ხშირად ერთს შეერთებულს სახელმწიფოს წილით მოადგენდა, ფარნაოზიდგან დაწყებული მეთექვემდეტე საუკუნემდებართველი ერთ, სრულიად ისტორიული, რომელმაც მეოთხე საუკუნეში მიიღო ქრისტიანობა, მაცხოვრის თაყვანისცემა გაავრცელა მთელ კავკასიაში, აუარებელს მტერს გასცა პასუხი, შექმნა მდიდარი ათაწილიანი ლიტერატურა და კულტურული ერების სიმაღლეზე ავიდა, იმ

სენიურა არა ერთად, არა ხალხად, არამედ თემებად, მაპშადიან ჩაჩინების და ინგუშების ტოლად, რომელთაც არც ანბანი აქვთ, არც მწიგნობრობა, არც ისტორია... დიახ, ჩვენს დაბრიყვებას და გათახსირებას საზღვარი არ უჩინს..."

ივნისის 27 — გაზეთ „ივერიას“ № 136-ში იაკობი აქეუცნებს „წერილს რედაქციის მიმართ“, რომლითაც იგი საზოგადოებას აუწყებს შემდეგს: „სხვა-დასხვა პირებს განუზრახავთ ცალ-ცალკე გამოსცენ ზოგიერთი მოთხრობანი ჩვენის უღროოდ დაკარგულის ნიჭიერის ბელეტრისტის ნინოშვილისა. ვოხოვთ ამ განზრახვაზედ ხელი აიღონ, რადგანაც მისი განხორციელება უეჭველად დააბრკოლებს გაერცელებას საზოგადოებაში სრული გამოცემისას განსვენებულის მოთხრობებისას. ეს გამოცემა უნდა მოხდეს მოკლე მომავალში, ვკონებ, ქუთათური ამხანაგობის შუამავლობით, რომელსაც მე წინაღადება უკავე მივეცი ბატონის ალექსანდრე ნანეიშვილის პირით... რაც შეეხბა ავტორის პონორარისა, იგი ორ თანასწორ ნაწილად განიყოფება: ნახევარი ერგებათ ლარიბს მექანიდრეებს განსვენებულისას და ნახევარი გადაეცემა სალიტერატურო ფონდსა.

მე ამ საქმეში ვმოქმედობ იმის გამო, რომ, თუმცა, პირადად არ ვიცნობდი განსვენებულს, მაგრამ მან წარსულს თებერვალში მომანდო ზრუნვა შესახებ სრული გამოცემისა თავის მოთხრობებისა და მაშინვე გამომიგზავნა გასწორებული და დამატებული ეგზემპლარი თავისი უკანასკნელი თხზულებისა: „ჩვენი ქვეყნის რაინდი“.

ივნისის 29 — გაზეთი „ივერია“ (№ 137) აქეუცნებს იაკობისეულ თარგმანს გერმანული თქმულებისა „ბულბული და გუგული“.

ზაფხული — იაკობი სამურნალოდ იმყოფება სურამში.

ივლისის 1 — გაზეთი „ივერია“ (№ 138) ი. ს-ძეს ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის წერილს ქართველ ხალხში „დაბალი ღობის“ ბეჭისაღმი მორჩილებისა და მისი განკურნების აუცილებლობის შესახებ სათაურით — „ცოტა რამ შინაური“ (თხზ., ტ. 2, 1954, სათაურით: „დაბალი ღობე ერთა შორის“).

„...თუ აღამიანი, მნ ხალხი სატყეა-ამოულებლივ, ქედ-შოდრეკით ემორჩილება დაბალი ღობის ბედსა ... ეს მისი უტყუარი ნიშანია, რომ მონობას, ყურ-მოჭრილ ყმობას შეუპყრია საზოგადოების სული და გული.

ამაზე მომაკვდინებელი სენი აღარ იქნება ერისათვის, ეს სწორები განვრენაა, მჭამელაა, საშინელი შინაგანი ავადმყოფია, რომელიც ხალხს ათანასწორებს ჭირით შეპყრობილ პირუტყვ-ნახირთანა, და ემუქრება გაუქარწყლოს მას ყოველი მომავალი.

დროა, დიდი ხანია დროა, ბოლო მოელოს ამ ურიალ სათავილი და დამამხობელს ჩვენს მდგომარეობასა ... დროა დაბალი ღობის მდგომარეობა სამარცხევინდ მიერჩიოთ ყველამ და მაღალ ღობებ ჩვენ გადაქცევას მხნედ და გაბედვით ვემსახუროთ".

ივლისის დასაწყისი — ეურნალი „კვალი“ (№ 28) ბეჭდავს აკა წერეთლის წერილს „ჭრელი ფიქრები“, რომელშიც აღნიშნავს ი. ჯავებაშვილის მიერ ნახმარი ფორმის „აღგიარებ“ ფორმის უმართებელობას.

ივლისის 8 — გაზეთ „ივერიის“ № 144-ში ქვეყნდება იაკობი წერილი „პატია სამაგიერო“ (ი. სიმონიძის ხელმოწერით), რომელიც გამოწვეულია აკაკი წერეთლის მიერ „კვალის“ № 28-ში გამოკვენებული „ჭრელი ფიქრებით“. აღნიშნულ წერილში აკაკი იაკობს უწებს ზმის ფორმას „აღგიარებ“.

„ჩემს პატიარა იგავ-არაქს „ბულბული და გუგული“ სახელოვანს აკაკიმ უძღვნა „კვალში“ „ჭრელი ფიქრები“. შემდგომ იაკობი განგრძობს ფორმა „აღგიარებ“-ს სისწორის მტკიცებას, მოჰყავს ოვა ავტორის წერილში დაშვებული შეცდომები:

„სამაგიეროდ, ჩვენის პოეტის პატიარა ჭრელს წერილში დავის ხელებთ თუნდ ათს მსხვილსა და უტყუარს შეცდომას“. დასასრული ი. გოგებაშვილი რწმენას გამოსთვამს, რომ ეს სამაგიერო აკაკის მარტინება:

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს მცირეოდენი სამაგიერო აკაკი ამებს“.

აკაკისა და იაკობის ამ წერილებით იღებს სათავეს ის მწვავე პალეოგა ქართული ენის საკითხებზე, რომელიც წლის ბოლომდე გრძელდება. „კვალში“, „ივერიასა“ და „მოამბეში“ წერილებს აქვეყნებს ზმის ფორმა „აღგიარებ“-„გაღიარებ“-ის მართებულობა უმართებულობისა და სხვა გრამატიკულ საკითხებზე: ა. წერეთელი, „აზ ცოდნა, არ ცოდვააო“ (კვალი, № 30); მისივე, „მცირე შენიშვნა“ (ივერია, № 208); სილ. ხუნდაძე, „ახალი თუ ძველი ენა“ (კვალი

№ 32); მისივე, „გიორგიძის ჩიქორთული“ (კვალი, № 35, და „ვიზუნდა გამართოს სადილი? პასუხი ბ-ნ სიმონიძეს“ (კვალი, № 39); პ. ჭარაძა (გიორგიძე), „დაუსრულებელი ბაასის გამო“, (ივერია, № 214); კ. ღოდაშვილი, „საგრამატიკო კვლევა“ (კვალი, № 36, 37, 38, 47, 48, 50); მისივე, „ბ-ნს იაკობ სიმონიძეს“ (კვალი, № 39) და „სამი საპალნის ნაცვლად ერთი ხახალი სამაგიერო“ (კვალი, № 49); გ. წერეთელი, „მცირე შენიშვნა“ (კვალი, № 43); მისივე. „ჭეშაბარიტების აღდგენა“ (კვალი, № 46); ს. მუხიანელი, „სახუმიარო გასართობი“ (კვალი, № 50); ე. რამიშვილი, წერილი რედაქციისადმი (კვალი, № 49). სახუმიარო გასართობები და გამოხმაურებები ქვეყნდება აგრეთვე „კვალის“ № № 34, 43 და „ნოვო აბოზრენიძეს“ № 3774-ში და სხვ.

აგვისტოს 10, 11 — გაზეთი „ივერია“ (№ № 170, 171) ბეჭდავს იაკობის წერილს „პასუხად ბ-ნს აკაკის“ (აკაკის წერილის „არ ცოდნა არ ცოდვაო“ — კვალი, № 30 საპასუხოდ).

„ჩვენს „პაწია სამაგიერო“-ს, ბატონიმა აკაკიმ პასუხი გასცა „კვალის“ ოც-და მეათე ნომერში სათაურით „არ ცოდნა არ ცოდვაო“. სწორედ მოგაბეჭოთ, სხვა ვინმე რომ გამომპასუხებოდა ამ სახით, ყურადღებას არ ვათხოვებდი, მაგრამ აკაკი და უყურადღებობა! — წერს მობოლიშებით იაკობი, — ეს ხომ მიუტევებელი, მომაკვდავი ცოდვა და უკადრისობა იქნებოდა. ესეც რომ არ იყოს, აკაკი ისეთს არა-ფერს დასწერს, რომ მოხერხებული შემთხვევა არ მოგცეს შენის აზრის გასაზიარებლად, გამოსამზევებლად ... ისიც-კი საბოლოო ჩემის მხრივ, რომ პასუხი დავაგვიანე“.

აგვისტოს 17, 18 — გაზეთ „ივერიის“ № № 175, 176-ში იაკობ სიმონიძის ხელმოწერით ქვეყნდება „პასუხი ბატონს სილოვანს“ (თხ. ტ. 2, 1954, სათაურით: „ორაზროვანი კილო ჩვენს პრესაში“). იაკობის პასუხი გამოწევეულია სილოვან ხუნდაძის მიერ „კვალში“ (№ 32) გამოქვეყნებული წერილით — „ახალი თუ ძეელი ენა“.

აგვისტოს 19 — სურამიდან წერილს უგზავნის ალექსანდრე ყიფ-შიძე-ფრონცელს. აგულიანებს, რუსულ გაზეთში დროულად გამოაქვეყნოს წერილი ქართველი გლეხობის შევიწროების შესახებ. ესაუბრება აგრეთვე სკოლებში ქართული ენის შევიწროებისა და ამ საქმეში ჩარჩვის საჭიროების შესახებ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 339—341).

აგვისტოს 20 — წერს საპასუხო წერილს („პასუხი ღირსეულ აუდაქციას“) უურნალ „კვალის“ № 34-ში მის წინააღმდეგ უავტორულ გამოქვეყნებულ „სახუმარო გასართობზე“ („სიმონიძე და შინი „გადამოწმებას“, რომელსაც უგზავნის დავით მიქელაძეს და თხოვს მის გამოქვეყნებას „ივერიის“ უახლოეს ნომერში.

აგვისტოს 25 — გაზეთი „ივერია“ (№ 182) იაკობ სვიმონიძის ხელმოწერით ბეჭდავს წერილს „პასუხი ღირსეულს რედაქციას“.

უურნალ „კვალის“ რედაქციის მწვავე კრიტიკის შემდეგ — წერილის დასასრულს იაკობი მეითხველს თხოვს „... სახეში იქონოს, რომ თითქმის ოც-და-ათის წლის მოღვაწეობის განმავლობაში არც ერთხელ არ გამოილაშქრია პირველად ქართველს მწერალზედ და არც ერთხელ არ მომიწადინებია სხვისი გათახსირებით და დამდაბლებით მაღლა. ამყევანა ჩემი სახელი. პოლემიკა ჩემთან ყოველთვის სხვას დაუწყია, სხვას გავუწვევავარ საბრძოლველად, როგორც ეხლა „კვალია“ პქმნა ესა, და ჩემი დანაშაულება იმაშია, რომ სამში ერთხელ სიჩქარე უერ მომითმენია და ვცდილვარ, ჯეროვანი პასუხით გამესტემრა გაღადებული უვიცობა და სიბრივეე“.

აგვისტოს ბოლო — სექტემბრის დასაწყისი — გ. წერეთელი აქვეყნებს წერილებს, მიმართულს იაკობ გოგებაშვილის საწინააღმდევობა „ფარისევლისა და მეზერის იგავი (ვუძღვნი ი. სიმონიძეს)“ (კვალი, № 36) და „ჭორი და ცილის-წამება, როგორც უკანასკნელი ფარსშია დამარცხებულთა“ (კვალი, № 37).

სექტემბრის 3 — ქვეყნდება (ივერია, № 187) იაკობის წერილი „ნიმუში „კვალის“ სიმართლისა“, რომელიც წარმოადგენს პასუხს უურნალ „კვალში“ (№ 34) მოთავსებული წერილის „ნინოშვალის თხზულებათა გამოცემის გამო“ (თხზ., ტ. 2, 1954, სათაუროთ: „ეგნატე ნინოშვალის შესახებ“).

სექტემბრის 10 — გაზეთ „ივერიის“ № 192-ში ი. სიმონიძის ხელმოწერით ქვეყნდება იაკობის წერილი „კიდევ ინსინუაცია (ვუძღვნი ბ. გ. წერეთელსა). წერილი მიმართულია გ. წერეთლის მიერ „კვალის“ № 37-ში გამოქვეყნებული მეთაური წერილის „ჭორი და ცილის-წამება, როგორც უკანასკნელი ფარსშია დამარცხებულთა (ვუძღვნი ი. სიმონიძეს)“ წინააღმდეგ.

„ეს ინსინუაცია რომ მხოლოდ ჩემსევენ იყოს გამოტყორცნილი, კრინტისაც აღარ დაეძრავდი... მაგრამ აქ ჩრდილი აღგება თვით გამ-გეობას „წერა-კითხვის საზოგადოებისას“ და ერთს სახალხო სკოლის ჩინებულ მასწავლებელს [ლ. ბოცეაძეს] და ამიტომ იძულებული ვარ რამდენიმე სიტყვით ვამხილო ინსინუატორი“.

სექტემბრის ბოლო — ოქტომბერი — გრძელდება პოლემიკა ი. გო-გებაშვილისა „კვალის“ თანამშრომლებთან (ა. წერეთელი, სილ. ხუნ-დაძე, კ. დოდაშვილი, გ. წერეთელი). იაკობი უელეტონებად ბეჭდავს წერილებს გაზეთ „ივერიაში“ (№№ 202, 208, 212, 213, 225, 226) საერთო სათაურით: „პასუხი „კვალის“ რაზმსაა.“

„ჩემი წინასწარმეტყველება აღსრულდა ისეთი საესებით, რომ მეც არ მოველოდი. ჩეენი პოეტი აკაკი, ბრძოლის ატეხის შემდეგ, იქით მიღვა და საომრად სხვები ჩამოგზავნა.“

მეორე მეომრად საგრამატიკო ველზე გამოჩნდა დასავლეთის პოეტ-გრამატიკოსი ბ-ნი სილოვანი ქართულის ენის მოსარჩლის ტანისამოს-ში. მაგრამ მალე გავარჩიეთ ამ ტანისამოსს ქვეშ აკაკის ადვოკატი. მას იმ წამსევ მხარი დაუჭირა ფაფხურა რაინდმა [გ. წერეთელმა] ... საქმის გამოსასწორებლად კი ჩამოგზავნა მეოთხე მეომარი, ახალი წევრი რედაქციისა [კ. დოდაშვილი]...“.

ოქტომბრის 14 — გაზეთი „ივერია“ (№ 218) ბეჭდავს იაკობის წერილს „ყვავილის უებარი წამალი“. ხელმოწერა: იაკობ სიმონიძე.

ოქტომბრის 27 — გაზეთი „ივერია“ (№ 227) ბეჭდავს დუტუ მე-გრელის „მცირე შენიშვნას“, ფორმა „ჰკვეირის“ გოგებაშვილისეული გაგების ვამო.

ოქტომბრის 28 — „ივერია“ (№ 228) ბეჭდავს იაკობის წერილს „ტელეგრამისა“ და შენიშვნის გამო (პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს). ფორმა „ჰკვეირის“ გარშემო.

ნოემბრის 1 — გაზეთი „ივერია“ (№ 231) აქვეყნებს იაკობის წე-რილს „ფაფხურასთან გამოხუმრება ივანიკასი და გოჯასპირისა“, რო-მელიც წარმოადგენს პასუხს „კვალის“ № 43-ში დაბეჭდილ „სახუ-მარო გასართობზე“.

ნოემბრის 9 — გაზეთი „ივერია“ (№ 238) აქვეყნებს იაკობის წე-რილს „მზის შუქი და მიკრობები“.

ნოემბრის 15 — ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელს წერილით თხოვა თბილისის საგუბერნიო სამართველოს 1868—69 წლების საქმეებიდან ამოუწეროს გიორგი წერეთლის თხოვა „სასოფლო გაზეთის“ გამოცემის შესახებ, აგრეთვე ცირკულაციული წერილი გუბერნიის შპა. თვეელობისა ამ საკითხთან დაკავშირებით (თხ. ტ. 9, 1962 გვ. 341—342).

ნოემბრის შუა რიცხვები — უურნალი „კვალი“ (№ 47) ბეჭდია მაზრებიდან გამოგზავნილ საპროტესტო წერილებს ანტონ უურცელად და დაკავშირებით გოგებაშვილს შორის წარმოებული კამათის გამო.

ნოემბრის 23 — გაზეთი „ივერია“ (№ 248) ბეჭდავს იაკობის წერილს „სიმართლეს ვერსად წაუხვალთ (პასუხად გ. წერეთელსა)“.

ნოემბრის 29 — დავით კარიჭაშვილთან ერთად დასკენის უგვაში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გ. იასელიანის მიერ გოეთეს „რეინიქე-მელას“ თარგმანის გამოცემის შესახებ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 233—234).

დეკემბრის 3 — გაზეთ „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად ქართველის საკითხებზე, კერძოდ, ზმინის „აღგიარო-გაღიარო, აღვიარებ-უდიარებ“ გარშემო წერს წერილს — სათაურით „ნაბოლარა (საგრამტიკო შენიშვნა)“. (წერილი ავტორის სიცოცხლეში არ დაბეჭდილ. თხ., ტ. 2, 1954, სათაურით: „საგრამტიკო შენიშვნა“).

„ეს უკანასკნელი სიტყვა ანუ ნაბოლარა ჩვენ დავსწერეთ წარსულის წლის დამლევს ხანგრძლივი საგრამტიკო ბაასის დასაბოლოებლად და წარვუდგინეთ „ივერიის“ რედაქციისა, მაგრამ მას უიქნამიერა, ვაი თუ ამდენი საგრამტიკო წერილები ქართველმა საზოგადოებამ იხამოსო და დაუთხესო, და ჩვენც ამის გამო შემდეგისათვის გადავდეთ მისი დაბეჭდვა“ (თხ., ტ. 2, 1954, გვ. 417).

დეკემბრის 13 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გადასცემს „კოკორის“ მერვე ას „კონას...“ მეოთხე გამოცემის უფლებას (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 234).

დეკემბრის პილო — უურნალი „კვალი“ (№ 50) ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს „რიდე აიხადეთ! პსევდონიმს სიმონიძეს“, რომელ შიც მოითხოვს სამედიატორო სამართალში გაწვევას.

\* \* \*

— ამ წელს გამოდის სახელმძღვანელოები:

„პუნების კარი“. მერვე გამოცემა უცელელად გაღმიობეჭდილი მე-  
ხუთე გამოცემიდან.

დედა ენა. მეათე გამოცემა.

„კონა“. მეოთხე სურათებიანი გამოცემა უცელელად გაღმიობეჭ-  
დილი მეორე გამოცემიდან.

1895

იანვრის 1 — უურნალი „კვალი“ (№ 1) საახალწლო ნობათად  
ბეჭდავს იაკობ გოგებაშვილისა და სხვებისადმი მიძღვნილ შაირებს.

იანვრის 4 — გაზეთი „ივერია“ (№ 2) მ. შარაძის ავტორობით  
საზოგადოებას აუწყებს ქართული საეკლესიო საგალობელთა ნოტებ-  
ზე გადაღებისათვის იაკობ გოგებაშვილისაგან ფულის შეწირვის შე-  
სახებ.

— ი. ჭავჭავაძის, იაკობის, ნ. ცხვედაძის, ე. თაყაიშვილის ხელმო-  
წერით ეგზავნება წერილი მეცნიატ ალ. ზუბალაშვილს საზღვარგა-  
რეთ, თხოვნით — დაუთმოს სასტუმრო „ლონდონის“ — ახლო მდე-  
ბარე ცარიელი აღვილი წიგნთსაცავის ასაშენებლად (თ. ჩხიტუნიძე.  
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების  
საბიბლიოთებით და საგამოშცემლო მოღვაწეობა. 1980, გვ. 51).

იანვრის 8 — გაზეთ „ივერიის“ № 5-ში ფირუზას ხელმოწერით  
ქვეყნდება ილია ჭავჭავაძის „ორ-ხმიანი საახალწლო ოპერეტის“ და-  
სასრული, რომელიც ეძღვნება იაკობ გოგებაშვილს:

„ჩემი აწ სცანით ყოველმან,  
მას ვაქებ, რაცა მიჩია:  
დედაენა მიჩნს სახელად,  
არ თავი გამიტქია.  
იგია უუძე ქართვლისა,  
მაგარი, ვითა ჯიქია ...  
დედაენითა წერთვინა ყრმისა  
შე ბევრჯერ მითქვაა, მიქა.  
დედაენა პირველადევ  
სიბრძნისა ერთი დარგი,  
ტკბილი ტკბილად გასაგონი,

ყრმათა წერილისთვის დაბა მარგა ...  
 მით ზრდას არვინ დამიწუნებს,  
 თუ კაცია მართლა ვარგა ...  
 სიტყვა სრულად გულა სწოდება,  
 დედანა მით არს კარგი"

და შემდეგ მისამლები:

«მაგრამ რა ცნათ, როგორ გავძლოთ,  
 როს ჩვენ ჭირი შენვე გვჭირდეს?  
 როს გორგა წერეთელი  
 დედაქანს სოხრიდეს, პრუნიდეს  
 და მაინც კა კაღნირად  
 მის გაწმენდას იქადიდეს?»

იანერის 10 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოების გამგეობას უთმობს „დედა ენის“ მეთერთმეტე გამოცემის უფლებას (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 238).

თებერვლის 7 — გაზეთი „ივერია“ (№ 28) საზოგადოებას აუწყებს, რომ საჭიროა ცალკე დაიბეჭდოს საქართველოს რუკა იაკობ გოგებაშვილის მიერ „ბუნების ქარისათვის“, ამ 30 წლის წინად დაბეჭდილი.

თებერვლის 10 — გაზეთ „ივერიის“ № 31-ში „ნაცნობის“ ხელმოწერით მეთაურ წერილად იბეჭდება იაკობის რეცენზია, სათაურით: „საოცარი პროექტი“, ივანე როსტომაშვილის წერილზე — „როგორ უნდა მოვაწყოთ სასოფლო სკოლები“.

მარტი — ი. გოგებაშვილი გამოსცემს თავის ისტორიულ მოთხოვათა კრებულს სახელწოდებით — „თავდადებული ქართველი“. წიგნში შესულია ოთხი მოთხოვობა: „თავდადებული მდვდება თევ-დორე“, „თავდადებული აზნაური იოთამ ზედგენიძე“, „თავდადებული თავადი ცოტნე დადიანი“ და დამატების სახით მოთხოვობა „გამარჯვებული დედა“.

ამის შესახებ გაზეთი „ივერია“ 8 მარტის № 52-ში აქვეყნებს შემდეგს: „დაიბეჭდა ახალი წიგნი ამავე ავტორის ... „გუნდი თავდა-დებულთა ანუ კრებული საყმაწვილო მოთხოვობებისა საქართველოს ისტორიიდგან“.

წიგნი ვრცელდება მოგვიანებით, წლის ბოლოს. ამის შესახებ „ივერია“ (1896, № 8) აქვეყნებს ცნობას: „დაიბეჭდა პირველ გამოცემად თავდადებული ქართველი ისტორიული მოთხოვნანი და გორგა გებაშვილისა“.

მარტის 1 — გაზეთი „ივერია“ (№ 45) აქვეყნებს ივ. როსტომაშვილის საპასუხო წერილს იაკობის რეცენზიაზე — „საოცარი პროექტი“ (ივერია, № 31).

მარტის 5 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას უდგენს მოხსენებას ხალხში ქართული წიგნისა და ქართული წერა-კითხვის გავრცელების გაუმჯობესებისათვის რწმუნებული პირის დანიშვნის შესახებ.

ი. გოგებაშვილის ამ მოხსენების გამო საზოგადოების გამგეობა ადგენს: „თანახმად ბ. გოგებაშვილის მოხსენებისა, მმართველობამ სცნა საჭიროდ დანიშნულ იქმნას საზოგადოების რწმუნებული პირი, რომელსაც ჩაბარებული ექნება საზოგადოების ღონისძიების გაძლიერება ... თუ საიდან ეძლიოს ჯამაგირი ... ამისათვის იყენეს დანიშნული საგანგებო კრება...“ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 342).

— ამ დღეს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაზე იაკობს ახლად ირჩევენ საზოგადოების წევრად.

მარტის 9 — გაზეთი „ივერია“ (№ 52) ბეჭდავს ი. გოგებაშვილის წიგნების ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას.

მარტის შუა რიცხვები — ეურნალი „კვალი“ (№ 13) საყურადღებო ამბებში ბეჭდავს ქუთაისელი კორესპონდენტის (ი. გო-ძეს ხელმოწერით) ი. გოგებაშვილის წიგნების „აკიდოსა“ და „ასპინძის ომის“ უარყოფით შეფასებას; ამასთან მოითხოვს სურათებიანი ანბანის გამოცემის საჭიროებას.

აპრილის 7 — გაზეთი „ივერია“ (№ 71) ბეჭდავს იაკობის „მცირე შენიშვნას“, რაც გამოწეულია „კვალის“ № 15-ის საყურადღებო ამბებში დაბეჭდილი „თბილისელი მასწავლებლის“ მოთხოვნით სურათებიანი ანბანის შედგენის თაობაზე.

მაისის შუა რიცხვები — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 3910)

ბეჭდავს იაკობის წერილს «Кавказские турки», ხელმოწერა  
Я. Г-ли.

მაისის 28 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 3918) ბეჭდავს  
იაკობის წერილს ბორჯომის წყლების სიძვირის გამო «Боржомские  
воды», ხელმოწერა: Я. Г-ли.

მაისის 31 — გაზეთი „ივერია“ (№ 111) საზოგადოებას აუწეს  
ეურნალ „ფილოლოგიჩესკია ბიბლიოტეკას“ 1893 წ. იგისტოსა და  
1894 წ. თებერვლის ნომრებში დაბეჭდილი ი. გოგებაშვილის „რეს-  
კოე სლოვოს“ ლიბერმანისეული მაღალი შეფასების შესახებ.

ივნისი (?) — იაკობს ევალება რაფიელ ერისთავის იუბილეს მოწ-  
ყობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელობა.

„... მე თვითონ, როგორც კერძო პირს, დამევალა — მომეწვა უკე-  
ლა რედაქციები ქართული უურნალ-გაზეთებისა, ყველა ქართულის  
საზოგადოებრივი დაწესებულებების წარმომადგენელი და შემეღვინ-  
კრება, რომელზედაც უნდა აერჩიათ საიუბილეო კომიტეტი ... კრება  
დაადგა იმ გადაწყვეტილებასა, რომ საჭიროა ახლავე ამორჩიოთ კო-  
მიტეტი ... მოისურვეს ჩემი ამორჩევა კომიტეტის წევრად და თაუ-  
მჯდომარეთაც: მაგრამ მე მოვახსენე: „ამ ცოტა ზანმი ტუილისა უნდა  
დავსტოვო და მოელი ზაფხული სოფლად გავატარო, ნუ ამორჩიერე  
ნურც მე და ნურც იმისთვისა პირებსა, რომელნიც ზაფხულობით ტუ-  
ლისში ვერ იცხოვრებენ“ (თხ., ტ. 2, 1954, გვ. 450—451).

ივნისის 20 — გაზეთი „ივერია“ (№ 128) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს სახელწოდებით „გამარჯვება პირდაპირი წერისა“. წერილი  
დაიწერა რუსეთის განათლების სამინისტროს მიერ პირდაპირი წერის  
სკოლებში შემოღების გადაწყვეტილების გამო.

„ეს უფლება რომ აღრევე მიენიჭებინათ პირდაპირი წერისათვის,  
არც ჩვენი ქართული დედანი პირდაპირი ხელისა, მოწონებული მა-  
ნისტრისაგან იქნებოდა გამოძევებული სახალხო სკოლებიდან აღ-  
გილობრივ დირექციის ჯიუტობით, და ვერც იძულებულ გაგეხდილნე  
«Русское слово»-ში პირდაპირი ნაწერი შეგვეცვალა ირიბულს რუ-  
სულს ხელზედა. შესანიშნავია, რომ რუსეთის პედაგოგი და ექიმები  
ხშირად თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებენ პირდაპირის წერის გა-  
სამართლებლად იმ საბუთებსა, რომლებითაც აქამომდე ვესარჩილები

დით მას ჩეენ ქართველები, ხან ქართულს ღიტერატურაში ხან რუსულში. ამ შემთხვევაშიაც გამართლდა ქართული ანდაზა: შინაურს ბერს განკითხვა არა აქვსო".

ივლისი — ახალ სენაქში, კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიის გამოცემით გამოდის „ასპინძის ომი“. ისტორიული ამბავი, მოზრდილ ყმაწვილებისათვის დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ, მეცე ერეკლეს პორტრეტით და ქარტით. გამოცემა მე-2.

ივლისის 5, 6 — გაზეთ „ივერიის“ № № 140, 141-ში „ნაცნობის“ ხელმოწერით იაკობი ბეჭდავს წერილს „უცნაური თავის გამართლება“, რომელიც მიმართულია სახალხო სკოლების მოწყობის თაობაზე გამოქვეყნებული ივ. როსტომაშვილის პროექტის წინააღმდეგ.

ივლისის 8 — გაზეთ „ივერიის“ № 143-ში „ახალდაბეჭის“ ფსევდონიმით მეთაურად ქვეყნდება იაკობის წერილი გორის საოსტატო სემინარიისათან დაარსებული ქართული, სომხური და თათრული დაწყიბითი სასწავლებლების შექრთების პროექტის შესახებ, სათაურით: „მოულოდნელი პროექტი“ (თხზ., ტ. 2, 1954, სათაურით „უცნაური ცელიდება გორის სამასწავლებლო სემინარიაში“).

წერილის დასასრულს იაკობი წერს: „თუ ხარჯის შემცირება ნოიოთხოვს ამ ცელიდებას იგი უნდა შექმოს მხოლოდ სომხურსა და თათრულს სკოლებსა, როგორც დაწესებულებას უმცირესობისათვის. ქართული სკოლა-კი უთუოდ დაცულ უნდა იქმნას ახლანდელი თავისი მოწყობილობით, როგორც დაწესებულება იმ ქვეყნის შეიღთავის, სადაც დაარსებულია გორის საოსტატო სემინარია. ამას მოითხოვს პრინციპი, დედა-კანონი უმრავლესობისა, საზოგადო სიკეთე და სიმართლე“. (თხზ., ტ. 2, 1954, გვ. 444).

ივლისის 19 — გაზეთი „ივერია“ (№ 152) აქვეყნებს ი. ფერაძის (ხელმოწერა ინ-ფარი) ვრცელ რეცენზიას ი. გოგებაშვილის „ასპინძის ომის“ მეორე გამოცემაზე.

ი. ფერაძე თავის დადებით რეცენზიას ამთავრებს მოწოდებით: „იმედია, ბ. იაკობ გოგებაშვილი ქართველი ახალი თაობის სახარგებლოდ დასწერს კიდევ ბევრს ასეთს საუცხოვოდ შედგენილს და სასიამოვნო საკითხავს ამბებს საქართველოს ისტორიიდგან“. 141

— იაკობი უურნალ „კვალში“ (№ 32) გ. იაკობაშვილის ხელმოწერაზე რით აქვეყნებს საპასუხო წერილს — „ლია წერილი ბ-ნ ინ-ფარისადგი.

ავეისტოს 6 — გაზეთ „ივერიის“ № 167-ში იაკობი (ი. გ-ლის ხელმოწერით) ბეჭდავს წერილს საბავშვო წიგნების დასურათებულად გამოცემის თაობაზე, სათაურით: „წიგნების გამოცემა შეერთებულად ძალით“.

სექტემბერი — გამოდის „რუსეთ სლოვოს“ პირველი ნაწილი მეხუთე გამოცემა. წიგნზე აღნიშნულია, რომ იგი გადმობეჭდილია მე-სამე გამოცემიდან უცვლელად, თუმცა წიგნმა მაინც განიცადა ზოგიერთი ცვლილება. ამის შესახებ „ივერია“ (№ 201) იტყობინება: „... ტექსტი წიგნისა უცვლელია, მაგრამ ას-ორმოც-და-ათი ახალ სურათი აქვს ჩართული. რეა საბავშვო ლექსი მეორე წიგნიდან გადმოტანილია პირველს წიგნში და ბოლოში დამატებული აქვს წერილი ხელის რუსული დედანი“.

სექტემბრის დასაწყისი — უურნალი „კვალი“ (№ 37) ბეჭდავს ბალტაზარის წერილს — („მომავალში საქართველოს შეიღთა მოქმედების პროგრამა“) გაგრძელებას, რომელშიც მოცემულია ი. გოგებაშვილის კრიტიკა.

სექტემბრის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 194) ბეჭდავს იაკობი წერილს — „ხალხის განათლება წინანდელს საქართველოში“ (მექანიზმით წერილიდან „რანი ვიყავით გუშინ“).

სექტემბრის 20 — გაზეთი „ივერია“ (№ 201) ბეჭდავს „რუსულ სლოვოს“ პირველი ნაწილის მე-5 გამოცემის ბიბლიოგრაფიულ მოხხილვას.

სექტემბრის 24 — იაკობი აქვეყნებს „კერძო განცხადებას“ (ივერია, № 205) მის მიერ განზრახულ გამოცემათა დამკვეთების მიმართ.

სექტემბრის დამლევი — უურნალი „კვალი“ (№ 40) აქვეყნებს აკაკი წერეთლის ლექსს „თერთმეტი ენკენისთვე“, რომელიც მიღვნილია იაკობ გოგებაშვილისადმი.

ოქტომბრის დასაწყისი — გაზეთი „ნოვო ობოზრენიე“ (№ № 4024,

4027) ბეჭდავს იაკობის წერილს «Как учить русскому языку?» ხელმოწერა: Симонидзе.

ოქტომბრის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 217) ბეჭდავს ლ. ბოც-ვაძის (ხელმოწერა Jgnotus) წერილს „მეთვალყურის შენიშვნები“, რომელიც მიმართულია „კვალის“ № 37-ში ბალტიარის ავტორობით გამოქვეყნებულ წერილის წინააღმდეგ.

ოქტომბრის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 218) „ახალ ამბაღ“ ბეჭდავს სამურზაყანოს და აფხაზეთის საზოგადოების თხოვნას სოფლის სასწავლებელში „დედა-ენის“ სწავლების შემოღების შესახებ.

ოქტომბრის 13 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრების სახელზე წერს მოხსენებას ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის საზოგადოების საპატიო წევრებად არჩევის შესახებ. საზოგადოების გამგეობა ამ მოხსენების გამო აღვენს (1896 წ. 16 აპრილს): ეთხოვთ ბ. ი. გოგებაშვილს თავისი მოხსენება წარუდგინოს საზოგადო კრებას“ (თხზ., ტ/ 10, 1965, გვ. 342).

ოქტომბრის 22 — მონაწილეობს რაფიელ ერისთავის იუბილეში.

„... მხოლოდ ნადიმისათვის მქონდა მოფიქრებული სიტყვა: მაგრამ ეს ნადიმი ისე სწრაფად და მოულოდნელად ვათავეს, რომ ბექრს დარჩა დამზადებული სიტყვა წარმოუთქმელად (თხზ., ტ. 2, გვ. 452).

ნოემბერი — ეურნალი „მოამბე“ (№ 11) „ნაცნობის“ ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის სტატიას „ხალხის განათლების შესახებ“.

ნოემბრის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 244) აქვეყნებს იაკობის წერილს „შევსება ერთი ამბისა“, რომელიც შექება რაფიელ ერისთავის იუბილეს მოწყობისა და გამართვის ორგანიზაციულ საკითხს.

— გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობა ი. გოგებაშვილის მიერ რაფიელ ერისთავის ფონდის სასარგებლოდ შემოწირულების შესახებ.

დეკემბრის 30 — იაკობი გაზეთის (ივერია, № 282) საშუალებით მიმართავს „ტფილისის გუბ. თავადაზნაურთა დარიბ მოსწავლეთა დამსმარე საზოგადოებას“ იმის შესახებ, რომ იგი უარს ამბობს სამეურნეო სასწავლებლის პროექტის შემდგენელი კომისიის წევრობაზე (შეცდ. გასწორება იხ. ივერია, № 283-ში, გვ. 2).

დეკემბრის 31 — გაზეთი „ივერია“ (№ 283) მეთაურიად ბეჭდის „მიმართვას“ სოფლის ინტელიგენციის მიმართ სახალხო სკოლების შესახებ ცნობების შეკრების თაობაზე. მიმართვას ურთავს დაწვრილებით კითხვარს.

\* \* \*

— ამ წელს გამოდის „დედა ენის“ მეთერთმეტე გამოცემა და „იავნანამ რა პქმა?“ მეორე სურათებიანი გამოცემა.

1896

იანვარი — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№№ 4119, 4126, 4130) ბეჭდავს იაკობის მიმოხილვით რეცენზიას «Русская речь». Элементарный учебник русского языка для грузинских начальных школ. Сост. А. О. Черняевский».

იანვრის 10 — გაზეთის საშუალებით (ივერია, № 6) იაკობს სხვებთან ერთად მადლობას უხდის პანკისის სკოლის ბიბლიოთეკის გამეგრ. კურდელელაშვილი ბიბლიოთეკისათვის წიგნების შეწირვის გამო.

იანვრის 21 — იაკობ გარიანელის ხელმოწერით („ივერიის“ № 16) მეთაურ წერილად ქვეყნდება იაკობის სტატია „ახალი წყალობა“ (თხ. ტ. 3, 1954, სათაურით: „ახალი წყალობა სუეორინისა“).

სტატია გამოწვეულია მოსკოვურ გაზეთ „ნოვოე ვრემიას“ ბუღაძეტორის სუეორინის რუსიფიკატორული პროექტით.

„ამას წინადან ამ ლალმა გაზეომა [„ნოვოე ვრემიას“] არც აცია, არც აცხელა და თამამად გამოსიტევა ის აზრი, რომ ქართველს სახელმწიფო გლეხებს მეტი მამულები უნდა მოვაჭრათ, ჩამოვართვათ და რუსეთიდან იქ გადავისახლოთ რუსი გლეხებით ... და აი ბ-ნ სუეორინის მოუწადინებია. რათა თხელი უფრო კიდევ გაათხელოს, და მჰილი უფრო კიდევ გაამჷიდროვოს.

მართლა და რუსს გლეხებს თავისს უფართოესს ქვეყანაში ერთსუთად მომეტებული მამული აქვთ, ვიდრე ქართველს გლეხებს საქართველოში“.

წერილის დასასრულს იაკობი სწერს: „ჩვენ, ჩასაკეირველია, „ახალი ღრო“-ს მოსარჯულებლად არ ვსწერთ ამ სტრიქონებსა, კარგად

მოგეხსენებათ, რაც უნდა ბევრი იყოთხოთ მგლის თავშედ სახარება, იყო მაინც თავისას არ დაიშლის. ჩევნ სახეში გვყავს, პირველად, სასახლის დავილარაბის მოყვარე მემამულენი, რომელთაც ისე დაშინებული პყავს გლეხები, რომ ეს უბედურები სუვორინის მუკიჯების ლუქმად ჰქონიან თავისს საკუთრებასა ...“

იანვარი — უურნალ „მეურნის“ № 3-ში ქვეყნდება იაკობის წე-რილი „რომელი უფრო მავნებელია, თეთრი თუ წითელი ღვინო?“.

სტატიის ბოლოს ავტორი თხოვნით მიმართავს ცნობილ ქართველ ქიმიკოსს ვასილ პეტრიაშვილს გამოთქვას თავისი აზრი ამ საკითხის შესახებ.

„წამოყენებულს საკითხზედ ერთობ საფუძვლიანი პასუხის მიცემა ყველაზე უკეთესად შეუძლიან, რასაკვირველია, ჩევნს პროფესორს ვა-სილ მოსეს ძეს პეტრიაშვილს, რომელიც იმედია, არ დაიზარებს მეც-ნიერების ლამპრით სრულიად და საბოლოოდ გაანათოს ხსენებული საგანი“. გამოხმაურება ვ. პეტრიაშვილისა ამ საკითხზე ქვეყნდება იმავე უურნალის მე-14 ნომერში — „წითელი ღვინო თუ თეთრი (პასუხი ა. გოგებაშვილს)“).

მარტი — უურნალ „მოამბის“ № 3-ში იაკობ სიმონიძის ხელმო-წერით იბეჭდება წერილი „აჩქარებული მსჯელობა“, რომელიც გამო-წვეულია უურნალ „მოამბის“ 1896 წლის მეორე ნომრის შესახებ გა-ზეთ „ივერიის“ № 69-ში გამოქვეყნებული უსაფუძვლო რეცენზიის გამო.

რასაკვირველია, ეს მცირე შენიშვნა გასაფრთხილებლად დავსწე-რე, და არა საბოლემიკოდ...“

— გამოდის „დედა ენის“ მეთორმეტე გამოცემა, რომელშიც დამა-ტების სახით დართულია ნოტებზე გადაღებული ქართული სიმღერე-ბი (ივერია, № 65).

მარტის 5 — გაზეთ „ივერიის“ № 51-ში ქვეყნდება გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალებისადმი მიძღვნილი იაკობის წერილი სა-თაურით „ლირსეული სახსოვარი“ (თხ. 3, 1954 სათაურით: „მთავრი ლირსება გაბრიელ ეპისკოპოსისა და საუკეთესო ძეგლი“),  
10 ა. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ საჯარი

რომელშიც ავტორი აყენებს წინადადებას განსკვენებულის სახელით  
სასულიერო და საერო წიგნების გამოცემებისა ქართულ ენაზე.

„კველა შეგნებულმა ქართველმა იცის, თუ რა მდიდარი იყო წინ,  
საუკენოებში სასულიერო ღიტერატურა ჩვენში. მარტო მცხოვა  
ტაძრის ბიბლიოთეკა იძყრობდა, პლატონ იოსელიანის სიტყვით, შევ-  
დი ათასს ტომსა, უმეტეს ნაწილად სასულიერო შინაარსისა. ახლა?  
ახლა-კი უბრალო კატეხიზმოც არ გვაძადია, თვით მაცხოვრის ცხოვ-  
რებასაც ვერ გაიცნობს ვრცლად ქართველი კაცი თავის დედა-ენა-  
ზედ და მოკლე უჩებნიკების ამარად ვართ დარჩენილი. დები  
მეტყველება დოგმატიური თუ ზნეობრივი სომ სანატრელადაც მეტ-  
გახდა ჩვენს ენაზედა. სასულიერო ყმაწვილობა, სემინარიებში მოქ-  
ცეული, იძულებულია კველა საგანი ისწავლოს უცხო ენაზედ და მოქ-  
ლებულია შეძლებას თავისუფალ დროს მაინც იყოთხოს ქართველ  
ენაზე იგივე საგნები. საერო მწიგნობრობაც ძლიერ დარიბი ვეაქე...“  
მარტის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 65) მეთაურად („ტუილის“,  
10 მარტი) ბეჭდავს იაკობის წერილს გაბრიელ ეპისკოპოსის და-  
რძალვის გამო. ხელმოწერა: ამერელი-შვილი.

მარტის 16 — გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 4194) ბეჭდავს ია-  
კობის წერილს გაბრიელ ეპისკოპოსის გარდაცვალების გამო, სათა-  
ურით: «Гаврил, епископ Имеретини, как педагог», რომელშიც  
ავტორი შედარებით ვრცლად და სრულყოფილად ახასიათებს გაბრი-  
ელ ეპისკოპოსის (ქიქობის) თეორიულ და პრაქტიკულ პედაგოგიუ-  
რობის გამო. ხელმოწერა: „სხვათა შორის“.

მარტის 20, 21 — გაზეთი „ივერია“ (№ № 64, 65) ბეჭდავს ია-  
კობის წერილს (ა. გ. ხელმოწერით) დაღესტნის სამხედრო გუბერ-  
ნატორის თავად ნიკოლოზ ზაქარიას ძე ჭავჭავაძის მოღვაწობის 38  
წლისთვის გამო, სათაურით: „სხვათა შორის“.

მარტის მეორე ნახევარი — იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ გა-  
წყობილი „კვალი“ (№ 13) ბეჭდავს სახუმარო გასართობს იაკობზე.

მარტის 29 — გაზეთ „ივერიის“ № 67-ში ქვეყნდება იაკობის „შე-  
ნიშვნა „მოამბე“-ზედ“ (თხზ., ტ. 3, 1954 სათაურით: „ორიოდე სი-  
ტყვა ქართულ ურნალზე“), რომელშიც ავტორი აჯამებს კურნალი-

ორი წლის ნაყოფიერ მუშაობას, საზოგადოებას მოუწოდებს აღმოუ-  
ჩინოს მას დახმარება და რჩევას აძლევს უურნალის რედაქციას, და-  
პირობებისამებრ გამოსცეს რვა თაბახიანი და არა ათი-თორმეტ თაბა-  
ხიანი ნომრები.

აპრილი — უურნალ „მოამბეში“ (№ 4) „ნაცნობის“ ხელმოწერით  
ქვეყნდება იაკობის წერილი პროფესორ ლამანსკის თხზულების «Три  
мира»-ს შესახებ სათაურით: „ლეთისნიერი აზრი“.

„... თუ სახალხო სკოლამ ზურგი შეაქცია დედა-ენას და გამოუდგა  
უმთავრესად რუსულის ენის შესწავლას, იგი ამ მიზანსაც ვერ მოე-  
წევა, ქართულ წიგნსაც ასცდება, და გარდაიქცევა უნაყოფო და მავ-  
ნე დაწესებულებად-მეტქი.

ამ საგანზე ბევრჯელ გვიბაასნია ... ამ უამაღ ჩეენ უნდა დაეიმოწ-  
მოთ ერთი გამოჩენილი რუსი მწერალი ... ყველასაგან პატივცემული  
თავისი მიმართულების და გულწრფელობის გამო. ეს მწერალი არის  
პროფესორი ლამანსკი, რომელიც თავის უკანასკნელ თხზულებაში  
«Три мира», სხვათა შორის ეხება სახალხო სკოლას რუსეთთან შე-  
ერთობულს უცხო ტომთა შორის და ... ღვთისნიერს აზრსა პქალა-  
გებს...“

აპრილის 6 — წერილით ულოცავს აკაკი წერეთელს სამშობლოში  
დაბრუნებას (პეტერბურგიდან). წერილთან ერთად უგზავნის აპელი-  
ნებს.

„გიგზაუნი აპელისნებს, რადგანაც გავიგე, რომ კიდევ გიყვარს და  
კუდევაც გარგებს“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 343—344).

აპრილის 11, 12 — გაზეთი „ივერია“ (№ № 78, 79) ბეჭდავს  
ს. ჯულელის (ხელნოწერა: სევ-ლი) წერილს „ჩვენის ახალგაზრდობის  
თვით-განათლებას მოწესრიგება სჭირია (ბ. ბ. ა. ხ-ისა და ი. გოგე-  
ბაშვილის წერილების გამო“).

აპრილის 16 — გაზეთი „ივერია“ (№ 82) თავის ფურცლებზე ბეჭ-  
დავს ხელმოუწერელ წერილს „ბ-ნ იაკობ სიმონისძეს (საკენკი)“, რო-  
მელიც გამოწვეულია იაკობის წერილით „აჩქარებული მსჯელობა“.

მაისის 2 — გაზეთი „ივერია“ (№ 94) თავის ფურცლებზე ბეჭ-  
დავს იაკობის წერილს „შედევი მიზეზად გადაქცეული“, რომელიც

წარმოადგენს პასუხს „ივერიის“ № 82-ში ხელმოუწერლად გამოქვეყნებული წერილისა „იაკობ სიმონიძეს (საკენკო)“.

მაისის 6 — გაზეთი „ივერია“ (№ 97) „ახალ ამბად“ ბეჭდავს ცნობას ი. გოგებაშვილის წიგნების „მოსაელის მცველნის“ და «Педагогический вопрос»-ის ბეჭდების შესახებ.

მაისის 10, 12 — გაზეთი „ივერია“ (№№ 99, 101) ბეჭდავს გრ. ბურჭულაძის (ხელმოწერა გ. ბ.) წერილს — „ზოგიერთი შენ-შვენები „დედა-ენის“ შესახებ.

მაისის 13 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაცრცელებელ საზოგადოების კრებაზე ი. გოგებაშვილის წინადადებით საზოგადოების საპატიო წევრებად ირჩევენ ილია ჭავჭავაძესა და აკაკი წერეთელს (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 342).

მაისის მეორე ნახევარი — გამოდის წიგნი: „მოსაელის მცველნი, ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“. შედგენილი იყო გოგებაშვილის მიერ. მრავალი სურათებით. ტფ.. 1896. 64 გვ.

წიგნში შესულია საბუნებისმეტყველო მოთხრობები: „დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი“, „ფრთიანი კატა ანუ ჭოტი“, „დიდი მოკურ მტრის კანში ანუ ბეღურა ჩიტი“, „უდანაშაულოდ დასჯილი თხევნელა“, „ღამურა“, „მერცხალი“, „გომბეშო ანუ მიწის ბაყაყი“ და სხვ.

წიგნს წამდლეარებული აქვს ი. გოგებაშვილის საყურადღებო წა-ნასიტყვაობა ხალხისათვის ბუნების კანონების ცოდნის მნიშვნელო-ბაზე.

„... თუ ადამიანი უეიცია ბუნების მეტყველებაში, არა გაეგება რა მისი, ეწინააღმდეგება მისს კანონებსა და არღვევს მათ. მაშინ იგი ის-ჯება ბუნებისაგან უფრო ულმობლად, უფრო სასტიკად, ვიდრე ამ-ნაშავე სახელმწიფოსაგან. ამისთანა ბუნების უეიცია ადამიანი ხშირად აკადმიკოფობს. უნაყოფოდ მუშაობს, ხელი ეცრება ყოველს ნაბიჯზე მოსავალი უცდება, დოვლათი არ უდგება სახლში ...

მეტადრე ძლიერ უჭირს ბუნების ცოდნა ზედმიწევნით იმისთვის ხალხსა, რომელიც ხენა-თესვით, მევენახეობით და მებალეობით სცხოვრობს, როგორც ქართველები ...

ჩვენი ქვეყნის ბუნება ძლიერ მდიდარია, ქართველები კი ღარიბია ვართ. რა მიზეზის ძალით? იმის გამო, რომ ჩვენს ხალხს თვისი

მდიდარი ბუნებისა არაფერი გაეტება, იმდენად არაფერი, რომ ხშირად ივი ებრძვის იმისთანა ბუნების ძალებს, რომელიც მისთვის მეტად სასარგებლონი არიან ...“

ივნისის დასაწყისი — უერნალი „მეურნე“ (№ 23) ბეჭდავს 6. მკურნალის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას ახლად გამოსულ ა. გოგბაშვილის წიგნზე — „მოსავლის მცენი“. ა.

„... იაკობ გოგებაშვილმა ერთი ძვირფასი წიგნი უძღვნა ჩვენს სამეურნეო ლიტერატურას ქართულს ენაზე ... ეს საქმის ცოდნით შედევნილი მრავალ-სურათებიანი წიგნი დაწერილია პედაგოგის მიერ მდაბიო, გასაგები ენით. ვურჩევთ ყველა მეურნეს თავისი დარიბი სამეურნეო ბიბლიოთეკა ამ სასარგებლო წიგნით, რომელიც დადს ნაყოფს და სარგებლობას მოუტანს პირადად მას, როგორც მეურნეს.“

ივნისის 12 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უთმობს „დედა-ენის“ მეთორმეტე და „ბუნების კარის“ მეცხრე გამოცემის უფლებას (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 238).

ივნისის ბოლო — წერილს დებულობს (21 ივნისის თარიღით) მარჯორი უორდროპისაგან. მადლობას უხდის მის მიერ გაგზავნილი წიგნებისათვის.

„დიდად მადლობელი ვარ თქვენი მშენებისათვის და თქვენი ბარათისათვის, ჩემთვის სავსე თანაგრძობით, ძალიან ძვირფასი არის თქვენი საჩუქარი“ (თბილისი, 1960, 25 ოქტ., № 254).

მარჯორი იაკობს უსურვებს მალე გამოჯამრთელებას და ბოდიშს უხდის, რომ პირადად ვერ ნახა მადლობის გადასახდელად.

ივნისი-ივლისი(?) — პედაგოგიური საკითხების სერიაში ცალკე წიგნად გამოსცემს თავისი სტატიების კრებულს (ისინი ადრე გამოქვეყნებული იყო პრესაში) სახელწოდებით: «Разбор учебных руководств по русскому языку» Якова Гогебашвили. Тиф., 1896 (დაცენზურებულია 29.04.1896).

წიგნში ავტორი საუკელიანად განიხილავს უშინესების, კოლერის, ლევიცკის, ჩერნიაშვესკის რუსული ენის სახელმძღვანელოებს.

ა. გოგებაშვილის ამ ნაშრომზე დადებით ჩეცენზიებს ბეჭდავენ უურნალები: „მოამბე“ (№ 10), „რუსეათა მისლ“ (№ 12), განეობის: „ნოვოე ობოზრენიე“ (№ 4389), ა. ხახანაშვილის წერილს, „ივერია“ (1897, № № 163, 164).

რვლისის 7 — იაკობი წერილობით მიმართავს ხონის საგარეულო დებლო სემინარიის დირექტორს ამ სემინარიისთვის არსებულ საჭირო შო დაწყებით სკოლაში „რუსეთი სლოვოსი“ სწავლების თაობები (თხ., ტ. 8, 1961, გვ. 295—298).

რვლისის 18 — წერილით ეპატიუება სურამში აღექსანდრე ყაუ შიძე-ფრონელს (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 314).

სექტემბერი — უურნალი „მოამბე“ (№ 9) ბეჭდავს იაკობის წერილს „შენიშვნები შენიშვნებზე (პასუხად ახალციხელ კრიტიკოსები)“ რომელიც დაწერილია გრ. ბურჭულაძის (გ. ბ.) („ზოგიერთი შენიშვნები „დედა-ენის“ შესახებ“. ივერია, № № 99, 101) წერილის გარავტორი თავის „შენიშვნებს შენიშვნებზე“ ამთავრებს ასე:

„თუ გავიხსენებთ, რომ რაცეი წერილები დაიბეჭდა „დედა-ენის“ წინააღმდეგ ამ ოცი წლის განმავლობაში, სულ ბზისა და ბურტისავად შესდგებოდა. ჩვენ მაღლობელი დავრჩებით ახალციხელის ავტორის, რომელმაც რამდენიმე საღი ჰურის მარცვალი შევვმატა“.

ოქტომბერი — უურნალი „მოამბე“ (№ 10) აქვეყნებს დადგენა რეცენზიას ი. გოგებაშვილის წიგნზე — «Разбор учебных руководств ...»

„სასურველია დასახელებულ წიგნს უკველად ადგილი პქონები, ჩვენებურის ინტელიგენტის — როგორც მასწავლებლის, ისე არა მასწავლებლის წიგნთსაცავში ...“ (გვ. 122).

ოქტომბრის 7 — ქართველთა შორის წერა-კითხების გამარცელებელ სახოგადოების გამგეობას წარუდგენს წინააღმდებას ბათუმის სკოლის მასწავლებლების საცხოვრებელი ბინის მოსავეარებლად.

ნოემბრის 29 — საპასუხო წერილს უგზავნის თელო სახოკას. ურჩევს კერძო სკოლის გახსნას სოხუმში.

„უნდა ეცადოთ ეს სკოლა სამაგალითო სკოლად გაეხადოთ კარგს იზამთ, თუ კორესპონდენციას გამოგზავნით რომელსამე რუსულს გაზეთში შესახებ იმისა, თუ რამდენად აბრკოლებს მანდაურის სკოლებში რუსული ენის წარმატებას, შესწავლას პოპოვის წიგნის რომელიც შედგენილია არა აფხაზების ბავშვებისათვის, არამედ რუსებისათვის“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 334).

წლის ბოლო — გამოდის „რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილის მე-

ოთხე გამოცემა. ამ გამოცემას დართული აქვს უურნალ „ფილოლო“ ვიჩესკაია ბიბლიოტეკას” გამოხმაურება, ამ წიგნზე.

წიგნის გამოსვლის შესახებ გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 70) 29 დეკემბერს აქვეყნებს შემდეგ ცნობას: „ჩენ მივიღეთ ახალი, მეოთხე შესწორებული და შევსებული გამოცემა «Русское слово»-ს გეორგი ნაწილისა, რომელიც დასურათებულია მრავალის ახალის ნახატებით. კორექტურული შეცდომა თითქმის არ მოიპოვება ამ გამოცემაში, რადგან აკტორს მეორე კორექტორად ჰყოლია ცნობილი რუსის ლიტერატორი, ყოფილი რედაქტორი «Новое обозрение»-სი ბ-ნი უსპენსკი“.

დეკემბრის 31 — გაზეთ „ცნობის ფურცელის“ № 72-ში ქვეყნდება იაკობის განცხადება — „ბ-ნო რედაქტორო“, „დედა-ენაში“ შეტანილი ხალხური სიტყვიერების მასალით სხვებისაგან სარგებლობის შესახებ.

\* \* \*

ამ წელს:

— გამოდის „ბუნების კარის“ მეცხრე გამოცემა, ეცვლელად გაჯ-მობეჭდილი მეხუთე გამოცემიდან.

— იაკობი უარს ამბობს ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სასწავლო პროგრამების შემუშავებელ კომისიის შემადგენლობაში შესვლაზე.

„... პირობებმა მაიმულა შარშან კატეგორიული უარი მეოქვა ამ კომისიაში შესვლის პატივზე, რომელიც ოძისის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის სასწავლო პროგრამების შესამუშავებლად აირჩიეს, ვინაიდან, როგორც მაშინ სიტყვიერადაც და წერილობითაც განვაცხადე, არ შეიძლება ემსახურებოდე ისეთ საქმეს, რომელიც არა გრამატიკული და რომლის განხორციელებას ახლანდელ ვითარებაში შეუძლებლად თვლი“ (თხ. 3, 1954, გვ. 127).

— ამ წელს(?) იაკობი ქუთაისის გუბერნიის სკოლების დირექტორს ლევაცისაგან კატეგორიულად მოითხოვს ცირკულარელად აცნობოს მისადმი დაქვემდებარებულ სკოლებს, რომ საწინააღმდევო არაფერი აქვს „რუსულ სლოვოს“ ხმარებისა, ანდა გასცეს განკარ-

გულება, რომ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ერთ ნაწილში შემოიღონ ი. გოგებაშვილის „რუსული სლოვო“, ხოლო მცხოვრილი ნახევარში მისი (ლევიცკის) „რუსული ენის კურსი“ და გამოცდილი ბაზ დაამტკიცოს, თუ რომელი მათგანი უფრო უწყობს ხელს რუსული ენის შეგნებულად დაუფლებას (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 454—455).

## 1897

წლის დასაწყისი(?) — იაკობი მოხსენებით ბარათს უდევნს უკანასკნელი სინოდის ობერ-პრიურორს, საიღუმლო მრჩეველს კ. პობედონოსცევს, რომელშიც ასაბუთებს „დედა-ენის“ ღირსებას. მოითხოვს მის სახელმძღვანელოდ დამტკიცებას საქართველოს სკოლებით-სამრევლო სკოლებისათვის (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 455—456).

იანვრის 3 — გაზეთი „ცნობის უურცელი“ (№ 74) „ახალ ამბეჭდის“ აქცევნებს ცნობას „რუსული უურნალი ი. გოგებაშვილზე“, რომელშიც ვკითხულობთ: „ერთი საუკეთესო და ძლიერ გაურცელებულ უურნალი, „რუსსკაია მისლ“, რომელიც მოსერვში გამოიდის, ქრისტიანობისთვის ნომერში კრიტიკულად არჩევს ჩვენის ცნობილის პერ გოგის ბ-ნ ი. გოგებაშვილის რუსულის თხზულებასა: «Разбор ученого руководства по русскому языку», რომელიც ამ ზაფხულს აუბინის ბეჭდად ცალკე წიგნად, და ქებით იხსენიებს აკტორს. უწიდეს მას გამოჩენილს პედაგოგს კავკასიაში და შემაღებელს საუკეთესო სახელმძღვანელოებისას — ქართულისას და რუსულისას. ბოლოს უხადებს სრულს თანაგრძნობას მის პედაგოგიურს გამოკვლევებსა, მარებსა და მიმართულებასა».

იანვრის 18 — გაზეთი „ივერია“ (№ 2) „ნაცნობის“ ხელმოწერა ბეჭდავს იაკობის წერილს, სათაურით: „სამახარობლო ერგება, რა არა? (კუძღვნი „კვალის“ რედაქციასა)“. წერილი ეხება ალ. ნათაშა სახელმძღვანელოს „ბავშვების მოკეთეს“ და გამოწვეულა „კვალის“ რედაქციის მიერ ამ წიგნის ხელნაწერის რეკლამირებით.

„ამას წინად „კვალია“ დაბეჭდა ახალ ამბებში შემდეგი ცნობა: „ჩვენს მკითხველებს უნდა ვახაროთ ერთი სასიამოვნო ამბავი: მთელი რობას მოუწონებია სკოლებში სახმარებლად პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო ქართულის ენისა სახელად „ბავშვების მოკეთე“.

სსენებული წიგნი ჯერ დაბეჭდილი არ არის. იგი პირდაპირ ხელთ-ნაწერის სახით არის წარდგენილი მთავრობის წინაშე მოსაწონებლად, სკოლების ხმარებისათვის. წინათ ჩვენში სრულიად სხვა რიგით მიღიოდა წიგნების მოწონების საქმე. აცტორი ჯერ დაბეჭდავდა თავისს წიგნსა, გამოაქვეყნებდა, მოისმენდა მსჯელობას ქართველ ლიტერატორებისას და პედაგოგებისას, და თუ მისი წიგნი აღმოჩნდებოდა სასარგებლო, ლირისული, ნაბიჯის წინ გადაღვმად იქნებოდა აღიარებული, მაშინ წარუდგენდა მთავრობას მოსაწონებლად და სკოლებში სახმარებლად”.

იანვრის 19 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 89) ბეჭდავს ია-კობის წერილს წიგნების გამომცემელი ახალი ამხანავობის შესახებ სათაურით: „ახალი მეთხველის შესახებ“.

იანვრის 25 — ფურნალ „კვალის“ № 5-ში იაკობ გოგებაშვილის საპასუხოდ გ. წერეთელი ბეჭდავს წერილს „ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუპი „ნაცნობი“.

წერილი წარმოადგენს პასუხს ი. გოგებაშვილის წერილზე „სამახარობლო ერგება თუ არა?“ რომელშიც აუგად არის მოხსენიებული სახელმძღვანელო „ბავშვების მოკეთე“.

„წარსული წლის უკანასკნელ რიცხვს ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილმა გამოისროლა ჩეცულებრივათ მწარე წამლით გატენილი ყუმბარა. ეს იყო მუქარა ქართველ პედაგოგების წინააღმდეგ, რომელთაც ის უკრძალავდა საერთო პოზიციან მასალის ხმარებას და მათ მიერ შედგენილ ხელ-სახელმძღვანელოებში“.

ახლა ვკითხოთ ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის ტყუპს, იმავე „ნაცნობს“, რა დააშავა ან გ. წერეთელმა, ან „კვალის“ რედაქციამ?.. ის, რომ ახალ შედგენილ ხელ-სახელმძღვანელოს ქართველ ენაზე სიხარულით მიეგება?.. ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს და მის ტყუპს „ნაცნობს“ აუკიწყებიათ, რომ სანამ „კვალის“ რედაქცია „ბავშვების მოკეთის“ შედგენას სიხარულით მიეგებებოდა, ხუთი წლის წინათ ვაზ. „ივერიამ“, რომელშიც ბ-ნი იაკობ გოგებაშვილი და მისი ტყუპი „ნაცნობი“ თანამშრომლობენ, კიდეც მოიწონა ეს „ბავშვების მოკეთე“, და კიდეც კარგი ქებით დააჯილდოვა“.

თანვერის 26 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 96) ბეჭდები ცნობას ი. გოგებაშვილის აეადმიყოფის შესახებ.

თანვერის 29 — გაზეთი „ივერია“ (№ 11) ბეჭდების პ. სურგულაძის დადებით რეცენზიას იაკობის წიგნზე „მოსალის მცველი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“.

თებერვალი — გაზეთ „ნოვო თბოზრენიე“ (№ 4487) ბეჭდების იაკობის წერილს სოფელ თბისში, ზაქარია ერისთავის მიერ შემოწირულ მამულში საშუალო სასოფლო-სამურნეო სასწავლებლის გახსნის თაობაზე, სათაურით «Два слова».

— ამის საპასუხოთ ლალი (გ. ლასხიშვილი) ამავე გაზეთში ბეჭდებს წერილს: «Ответ г. Гогебашвили».

თებერვლის 18 — სოფელ მელერეკისის სამრევლო სკოლის მა. წავლებელი ს. კენჭაძე გაზეთის საშუალებით (ცნობის ფურცელი № 119) სხვებთან ერთად მაღლობას უცხადებს ი. გოგებაშვილს აღნიშნული სკოლის სასარგებლოდ შემოწირებისათვის.

მარტის 6 — ივანე როსტომაშვილი გაზეთის საშუალებით (ფურია, № 42) მაღლობას უცხადებს იაკობს მის მიერ შედგენილი აღბომის „საქართველო სურათებად“ გამოცემის საქმეში თანაგრძნობისათვის.

მარტის 14 — გაზეთ „ცნობის ფურცელის“ № 142-ში იაკობის კევნებს წერილს „წრეს გადასული სიხარბე“, რომლითაც ივა წიგნის მაღაზიის მეპატრონებს თხოვს, არ გაყიდონ „დედა-ენა“ ჟერმატ ფასებში.

.... ვთხოვ ყველა წიგნის მაღაზიების პატრონს ამიერიდან „დედა-ენა“ პყიდოს დადებულ ფასად, არა უმეტეს ორი აბაზისა. წინააღმდეგ შემთხვევაში მე იძულებული ვიქნები „წერა-კოსხეის“ გამგეობას შევიტანო წინადადება, რომ მან აღარ გაუგზავნოს ძვირად გამყიდვულებს ჩემი წიგნი და თავისი საკუთარი საწყობები გამართოს იმ აღვილებში, სადაც ხსენებული სიხარბე თავს იჩინს“.

მარტის 20 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 148) ბეჭდების პ. ბეჭანეაშვილის გამოხმაურებას იაკობის წერილზე „წრეს გადასულ

სიხარბე". წერილი ქვეყნდება სათაურით „წრეს გადასული სიხარბის“ კანონიერი დასჯა“.

გარტის 21, 25, 28 — გაზეთი „ივერია“ (№ 54, 57, 59) ბეჭდავს იაკობის ვრცელ წერილს „ხრიკების ხუხულა ბ-ნი გ. წერეთლისა“, რომელიც წარმოადგენს ფაქტებით მოხმობილ პასუხს გიორგი წერეთლის მიერ უურნალ „კვალის“ № 5-ში გამოქვეყნებულ წერილზე „ბ-ნი ი. გოგებაშვილი და მისი ტყუპი ნაცნობი“.

გარტის 27 — გაზეთი „ცნობის უურცელი“ (№ 154) კვლავ ეხ-მაურება იაკობის წერილს „წრეს გადასული სიხარბე“. ამჯერად ქვეყნდება ვ. კორძაძის „საჭირო განმარტება“.

აპრილის 6 — უურნალი „კვალი“ (№ 15) ბეჭდავს გ. წერეთლის წერილს სათაურით: „ბატონი გოგებაშვილი და მისი „ხრიკების ხუხულა“, რომლითაც აეტორი ეპასუხება იაკობის წერილს „ხრიკების ხუხულა ბ-ნი გ. წერეთლისა“.

„ბატონი იაკობ გოგებაშვილი ცნობილია ქართულ ლიტერატურაში, როგორც პედაგოგი, „დედა-ენის“ შემდგენი“, და როგორც პო-ლემისტი“. მისი „დედა-ენა“ პირველ დაწყებით სკოლებში ხელსახელ-მძღვანელოთ არის მიღებული. ეს ოცი წელიწადი მეტია, რაც ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს „დედა-ენა“ ერთად-ერთ ცხოვრების წყაროთ ვა-უხდია, იქიდან წლითი წლობამდე შემოუდის ორას ორმოც-და ათ თუმნამდე. ბევრმა ქართველმა პედაგოგმა განიზრახა მისი კრიტიკუ-ლათ დაფასება, მაგრამ ასეთმა განხილვამ გამოიწვია ბ-ნ იაკობ გო-გებაშვილის მხრით საპოლემიკო ქარცეცხლი. ხანგრძლივმა ვარჯი-შობამ პოლემიკაში „დედა-ენის“ თაობაზე შესანიშნავი ხასიათი და მიმართულება მისცა მის პოლემიკასაც“.

აპრილის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 70) ბეჭდავს იაკობის წე-რილს სათაურით: „მეორე ხუხულა ბ-ნი გიორგი წერეთლისა“, რომე-ლიც მიმართულია გ. წერეთლის წერილს — „ბატონი გოგებაშვილი და მისი ხრიკების ხუხულას წინააღმდეგ“.

აპრილის 13 — გაზეთი „ცნობის უურცელი“ (№ 169) ბეჭდავს იაკობის საბავშვო მოთხრობას „ერეკლე მეფე და ინგილო ქალი“. ამავე წელს, მოთხრობას ცალკე წიგნად გამოსცემს წერა-კითხვის

გამაერცელებელი საზოგადოება „შემდევი ტიტულით: „ერეკლე პუხა და ინგილო ქალი“. სახალხო მოთხრობა იაკობ გოგებაშვილისა, ტაგამოცემა „წერა-კითხების საზოგადოებისა“, 1897, 16 გვ. გვ. გამოცემა „ამ წიგნის შესახებ „კვალი“ (№ № 28, 29) ბეჭდებს გ. წერეთლის უსაფუძღლო მკაფიო კრიტიკას.

— „ცნობის ფურცლის“ ამავე ნომერში ქვეყნდება წერილი — „თვალსაჩინო ატესტაციები“, რომელშიც ნაჩერენებია, თუ როგორ უკაყოფთად არის დახასიათებული გ. წერეთლის მიერ იღია ჟავჭავას და იაკობ გოგებაშვილი.

— უურნალი „კვალი“ (№ 16) ბეჭდავს ვინმე „დ-რის“ „მცირე შენიშვნას“ იაკობ გოგებაშვილსა და ვიორე წერეთლს მორის წარმოებული პოლემიკის გამო. შენიშვნის ავტორი განსაკუთრებით უკაყოფთად არის დახასიათებული გ. წერეთლის მიერ იღია ჟავჭავას და იაკობ გოგებაშვილი. იაკობს პოლემიკაში ზომიერების დაკარგვას, სხვათა ასრების უპატივცემლობასა და დაუფასებლობას. „წაიკითხეთ პატივცემულ იაკობ გოგებაშვილის უკანასკნელი წერილები, რომლებიც ან წლის „ივერიაში“ იყენენ მოთავსებული. გაუშინჯეთ ქბილი ან წარილებს და დარწმუნდებით, რომ ისინი პირად უქმაყოფილებაზე არა აგებული ... მე არ მწადს, გავასამართლო ბ-ნი ი. გოგებაშვილი აბ-ნი გ. წერეთლი. ისინი ერთმანეთს გაუსწორდებიან. სასურეკლ წემთვის და ჩემთან ერთად, შეიძლება, სხვებისთვისაც, რომ დატერმურული ზრდილობა, წეს-რიგი წერისა ჩეენს მწერლობაშიაც იუს შეწყნარებული, ქებას და ლანძლვას მტკიცე საზღვარი დაედევა“ (გვ. 319).

აპრილის 20, 22, 25 — გაზეთი „ივერია“ (№ № 174, 175, 176) ბეჭდავს წერილს „სახალხო წიგნების გამოცემა“, რომელშიც ნაჩერენებია იაკობ გოგებაშვილისა და ივანე როსტომაშვილის დააწელი წიგნების გამოცემის საქმეში.

აპრილის 25 — გაზეთ „ივერიის“ №78-ში ქვეყნდება აუტე მურელის წერილი რედაქციის მიმართ — „ბ-ნი ი. გოგებაშვილი და უურნალი „ჯეჯილი“, რომელშიც ი. გოგებაშვილი შეცდომით მიჩნეულ „ჯეჯილის“ შესახებ გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებულ წერილის ავტორად.

აპრილის 27 — უურნალ „კვალის“ ფოსტაში ქვეყნდება რედაქცია

აში გამოგზავნილი წერილი, რომელშიც დაგმობილია ი. გოგებაშვილის პოლემიკის კილო („კვალი“, № 18, გვ. 360).

აპრილის 29 — თხოვნის წერილს უგზავნის მღვდელ გიორგი ერისაშვილს, დახმარება აღმოუჩინოს გარდაცვლილი ძმის ანდრია დიაკვნის ობლების აპეკუნობის მოგვარებისა და ყოველწლიური დახმარების გაორკეცების საქმეში (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 294).

— გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 182) ბეჭდავს ჯამბაურ გურიელის წერილს „ერთი უმართებულო პოლემიკის გამო“, რომელიც შეეხება იაკობის მიერ მამია გურიელის უმართებულოდ მოხსენიებას.

აპრილის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 82) ბეჭდავს ი. მერნარგვას წერილს რედაქტორისადმი, რომელშიც პროტესტს გამოთქვამს ი. გოგებაშვილის მიერ თავის ერთ-ერთ წერილში მისი უმართებულოდ მოხსენიების გამო, მამია გურიელის ბიოგრაფიასთან დაკავშირებით.

აპრილი-მაისი — ცალკე წიგნად გამოსცემს თავის სტატიას «Правда о Тифлисе».

მანამდე ეს სტატია დასაბეჭდათ მიაქვს ჯერ „ნოვოე ობოზრენიერი“, შემდეგ კი „კავკაზში“, მაგრამ გაზეთის რედაქციის უარს ეუბნებიან მის დაბეჭდვაზე.

„როცა «Правда о Тифлисе» არ დამიბეჭდა „ნოვოე ობოზრენიერი“, იგი დასასტამბად მივუტანე ველიჩეოსა, მაგრამ იმანაც უარი მითხრა სრულიად წინააღმდეგი მიზეზით: ზოგი აღვილი ძლიერ საწყისად ჩასთვალა ჩვენი ჩრდილოელი ერთმორწმუნებისათვის. მე იძულებული შევიქენი ცალკე წიგნაკად გამომეცა, და საქმე ისე დატრიალდა, ორივე რედაქციას მადლობის მეტს ვერას ვეტყოფი: მთელი გამოცემა, რვა ასი ცალი, ორი კვირის განმავლობაში დაიტაცეს.

ამ წიგნას ველიჩეომ „კავკაზ“-ში უძღვნა ვრცელი საბიბლიონორაფიო წერილი. მაგრამ როგორი? ქებით მოიხსენია ის აღვილები, რომლებიც აშკარად ჰქიდიდნენ ჩვენი სამხრეთელის მეზობლების უმარეობას, ხოლო კრინტი არ დასძრა იმ საყვედურის შესახებ, რომელიც მიმართული იყო ჩრდილოეთისაკენ...“ (თხზ., ტ. 4, 1955, გვ. 28).

მაისი (?) — წერილს უგზავნის ექვთიმე თაყაიშვილს. წერილში საუბარია თბილისის ქართული გიმნაზიის მასწავლებელ ალ. ნათაძის

მიერ შედგენილ სახელმძღვანელო „ბავშვების მოქეთის“ გარეული იაკობი მოითხოვს საზოგადოებრივ სამართალს.

„მოსამართლედ მე ამომიჩინევა თვით მთელი კორპორაცია სა აზნაურო სკოლისა [იმ სკოლის პედაგოლეტივი სადაც ნათამე მას-წავლებლობდა] ოთხი ქართული გამოცემის ჩედატორების მონაწილეობით. ეს კორპორაცია გამოიყვლეს საქმეს თავიდგანვე, შეაგრძებს დედა-ენას და ბავშვების მოქეთს, ასწონ დასწონის იმ ღონისძიებებს, რომელთაც ხმარობდა ნათამე და ეხმარობდი მე და თავის გადაწყვეტილობას დაადგენს, რომელსაც თვითეული ჩვენგანი უნდა დაემორჩილოს ყოვლად უარის უთქმელად. გთხოვთ ეს ჩემი წინადაღება აცნობო ხვალვე სააზნაურო სკოლის კორპორაციას და კერძოდ ნათამეს“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 295).

მაისის 1 — გაზეთ „ივერიის“ № 83-ში ქვეყნება იაკობის „პარტია შენიშვნა ბატონ მეუნარვიას წერილის გამო“. იაკობის ეს შენიშვნა ეხება გ. წერეთლის მიერ მეუნარვიასათვის მამია გურიელი წერილის გადაცემის საკითხს.

მაისის 3 — გაზეთ „ივერიის“ № 85-ში იაკობი აქვეყნებს წერილს სათაურით: „ჯეჯილის“ აღვოკატისა, რომელიც გამოწვეულია დუტე მეგრელის წერილით „ბ-ნი ი. გოგებაშვილი და ურნალი „ჯეჯილი“.

„ბ-მა დუტე მეგრელმა ვეებერთელა წერილი გამოჭიმა ამას წინად „ივერიის“ უურცლებზედ ... იგი ეპრძევს ერთს კრიტიკულ წერილს „ჯეჯილის“ შესახებ, ვითომ ჩემ მიერ დაწერილსა ... ჩვენი მობაასე ამ შეცდომას ადეილად ასცილდებოდა, თუ რომ მას გაეხსენებინა, რომ მე ჩემს ნაწერებს ყოველთვის ვაწერ ქვეშ სრულ სახელ-გვარსა და ან იმისთვის უსევდონიმსა, რომელიც ბევრმა შინაურმა, ქართველმა, კარგად იცის.

თუ მოსკოვის სტუდენტებმა ... კარგად შეატყვეს „ცნობის უურცლის“ წერილს, რომ იგი არც კილოთი, არც ენით და არც მსჯელობის ხასიათით და მიმდინარეობით მე არ მომეწერებოდა, ბ-ნს დუტე მეგრელს რაღაც გაუჭირდა ეს ოლთისში“.

მაისის 4 — ურნალ „კვალის“ № 19-ში ქვეყნება გ. წერეთლის „მცირე შენიშვნა“ იაკობის (ივერია, № 70) წერილის პასუხად, რომელიც შეეხებოდა მამია გურიელის შექებას გ. წერეთლისადმი.-

„მცირე შენიშვნაში“ წერეთელი აბათილებს იაკობის მოსაზრებას  
ი. შეუნარგიას წერილის მოხსობით.

მაისის 6 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 189) ბეჭდავს იაკო-  
ბის წერილს სათაურით: „უსაფუძვლო საყვედლი“, რომელიც გამო-  
წვეულია ჯამბაურ გურიელის წერილით „ერთი უმართებული პო-  
ლემიკის გამო“ (ცნობის ფურცელი, 1897, № 182).

მაისის 9 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 192) ბეჭდავს ია-  
კობის წერილს სათაურით: „მეგობრის ახსნა“, რომელშიც აეტორი  
კულავ უბრუნდება ვიორგი წერეთელთან გამართული ცხარე პოლე-  
მიკის დროს მამია გურიელის მოხსენიების ფაქტს.

მაისის 11 — „ცნობის ფურცელი“ (№ 194) აქცეუნებს იაკობის  
წერილს „ახალი ჭორი ბ-ნი ვიორგი წერეთლისა“. რომელიც გამო-  
წვეულია გ. წერეთლის წერილით „მცირე შენიშვნა“.

მაისის 11, 18, 25 — იაკობ გოგებაშვილისადმი მტრულავ გან-  
წყობილი „კვალი“ (№№ 20, 21, 22) თავის ფურცელებზე აღილს  
უთმობს დ. ალბანელის „კრიტიკულ შენიშვნებს“ იაკობის წიგნზე  
„მოსაცემის მცენელი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“,  
რომლის მიზანი მხოლოდ აეტორის სახელის გატეხაა და არა წიგნის  
ნამდვილი შეფასება. რეცენზიის ავტორი ასეთი დასკვნით ამთავრებს  
თავის შენიშვნებს:

„დასასრულ ამ წერილისა უნდა ითქვას, რომ წიგნავი ახდენს  
მკითხველზე ცუდ შთაბეჭდილებას; მკითხველს გამოჰყავს ის აზრი,  
რომ ი. გოგებაშვილს მეტათ ცოტა შრომა, ცოდნა შეუძენია ბუნე-  
ბისმეტყველებიდან. მეტათ ცოტა უშრომია. ამის გამო წიგნავი უხე-  
რო შინაარსისა გამოდგა და იმათ არა ღირს რომ წაიკითხოს ადა-  
მიაჩნა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ეს წიგნავი რომ ბოლომდას  
გაიშინჯოს, ი. გოგებაშვილს დარჩება ჭოტი, ისიც ფრთა მოკვეცი-  
ლი...“

მაისის 16 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 199) ბეჭდავს რე-  
ცენზიას — „ახალი წიგნი ი. გოგებაშვილისა“ — «Правда о Тиф-  
лисе».

მაისის 25 — ურნალი „კვალი“ (№ 22) ბეჭდავს კ. ვარაშაძე-

მესხის „მცირე შენიშვნას (ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის მიმართ)“ დღეს „ენაში“ მოთავსებული ხალხური ლექსების შესახებ.

მაისის 27 — გაზეთ „ივერიის“ № 101-ში ქვეყნდება იაკობის წანაღმდეგ მიმართული აღ. ნათაძის კრიტიკული „მცირე შენიშვნა (ბ-ნი ი. გოგებაშვილის ხუხულათა გამო)“.

მაისის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 104) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქტირისადმი „სწორე გზა“, რომელიც გამოწვეულია აღ. ნათაძის წერილით: „მცირე შენიშვნა ბ-ნი ი. გოგებაშვილის ხუხულათა გამო“ და სახელმძღვანელო „ბავშვების მოკეთეს“ ავტორის ურჩევს შემდეგ:

„თუ ბ-ნს ნათაძეს მართლა საზოგადო სიკეთე ამოქმედებს, იმან უნდა ახლა მაინც ასრულოს ის, რასაც მოითხოვს ხალხის წმინდა მოვალეობა ხალხის განათლების წინაშე ყველა ქართველი მასწავლებლისაგან. სახელმძღვრ, მან უნდა წარუდგინოს თავისი ხელონა-წერი გასასინჯად და დასაფასებლად ან „წერა-კითხვის საზოგადოებას“, ან თბილისის სააზნაურო სკოლის კომიტეტს პედაგოგიური რჩევითურთ, ან ქრისტიანის სააზნაურო სკოლასა. ამ სამს დამოუკიდებელი დაწესებულებაში ერთი რომელიმე, ბ-ნი ნათაძის მიერებული, დანიშნავს კომისიასა ... რომელიც რამდენისამე დღის ვანმავლობაში გაიცნობენ „ბავშვების მოკეთეს“, შეადარებენ წიგნთან, რომელიც ახლა იხმარება სახალხო სკოლებში ... და დაადგინა სამართლიანს გადაწყვეტილობასა.

— თუ ეს გადაწყვეტილობა იტყვის, რომ „ბავშვების მოკეთე“ ცოტათი მაინც სჯობიან შინაარსის სიმდიდრით და ღირსებით ახლანდელს ქართულს სახელმძღვანელოს, რომლის სანაცვლოდ არის იგი დანიშნული, მაშინ ბ-ნი ნათაძე გამართლდება საზოგადოების წინაშე, ჩვენ აღარა გვეთქმის რა და მისს წიგნს ფართო გზა გაეხსება“.

ივნისის 8 — გაზეთი „ცნობის უურცელი“ (№ 219) ბეჭდავს იაკობის წერილს „ერთი პრეტენზიის გამო“. წერილი გამოწვეულია კ. გვარამაძის წერილით „მცირე შენიშვნა (ბ-ნი ი. გოგებაშვილის მიმართ)“ (კვალი, 1897, № 22), რომელიც შეეხება „დედა-ენაში“ მოთავსებულ ხალხურ ლექსებს.

ივნისის 10 — „ცნობის უურცელი“ (№ 221) აქვეყნებს ს. ღონდაძის წერილს „სახალხო ლექსების შესახებ“, რომელშიც აღნიშნავ

ა. გოგებაშვილის დიდ დახმარების სურამში მის მიერ ხალხური მა-  
სალების შეკრების საქმეში.

ივნისის 14 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 225) ბეჭდავს  
კ. გვარამაძე-მესხის წერილს „პასუხი ი. გოგებაშვილს“, რომელიც  
შეეხება „დედა-ენაში“ მოთავსებულ ხალხურ ლექსებს და წარმოად-  
გენს პასუხს ი. გოგებაშვილის წერილზე „ერთი პრეტენზიის გამო“.

ივნისის 22 — ყურნალი „კვალი“ (№ 26) ბეჭდავს ა. ნათაძის წე-  
რილს „პასუხი ბ-ნ ი. გოგებაშვილს“ ივერიის № 104-ში გამოქვეყ-  
ნებულ ი. გოგებაშვილის წერილზე, რომელშიც იგი აკრიტიკებს ა. ნა-  
თაძის ხელნაწერ სახელმძღვანელოს „ბავშვების მოკეთე“.

— გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 233) ბეჭდავს ბიბლიოგრა-  
ფიულ მიმოხილვას იაკობის ახალ წიგნზე — „ერეკლე მეფე და ინგი-  
ლო ქალი“.

— გაზეთი „ივერია“ (№ 123) ბეჭდავს სამურჩაყანოდან მოსულ  
ცნობას იმის შესახებ, რომ იქაურ სკოლებში შემოღებული იქნა ი. გო-  
გებაშვილის „რუსკოე სლოვო“.

ივნისის 23 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 234) ქართველ  
საზოგადოებას ახალ ამბად აუწყებს „რუსკოე სლოვოს“ მეორე ნა-  
წილის მეოთხე გამოცემის სამრევლო სკოლებში სახელმძღვანელოდ  
დამტკიცების შესახებ.

„ობილისის ეპარქიის სასკოლო რჩევას განუხილავს ჩვენის პედა-  
გოგის ი. ს. გოგებაშვილის მიერ შეღვენილი სახელმძღვანელო პირ-  
ველ-დასაწყისი სკოლებისათვის წიგნი «Русское слово» (მეოთხე  
გამოცემა) და დაუმტკიცებია, როგორც სახელმძღვანელო, ყველა სამ-  
რევლო სკოლებში საქართველოს ეპარქიაში“.

ივნისის 28 — გაზეთ „ცნობის ფურცელის“ № 239-ში ქვეყნდება  
იაკობის წერილი „ქართულის შრიუტის შესახებ“.

ივნისის 29 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 240) ბეჭდავს ია-  
კობის სტატიას „ახალი ლვაწლი „კვალისა“, რომელიც გამოწვეულია  
(„კვალში“ № № 20, 21, 22) დ. ალბანელის ფსევდონიმით გამოქვეყ-  
ნილი გორგაძე, ნ. გურგენიძე, ვ. საჯახა

ნებული „კრიტიკული შენიშვნებით“ იაკობის წიგნზე „მოსავლის ცარისა და მისი მიმდევადის შემთხვევაში მოსავლის მცირებული და დამატებული დაწერილი „კრიტიკული შენიშვნებით“ გაცხარებული იაკობი კითხულობს: „... როგორ მოვიყენოთ ჰუსაზედ „კვალის“ რედაქცია, რომელსაც უკურნებელ სენა გადაექცა ჩემი და ჩემი წიგნების კაცხვა თითქმის ყოველ ნომერში? და იქვე გამოსავალი თითქოს იძოვაო, პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის მისამართით წერს: „გადაიკითხოს ჩემი წიგნი „მოსავლის მცირებული“, და „კვალის“ კრიტიკა და „კვალშივე“ დაბეჭდოს თავისი [აზრი] შემდეგს ორ კითხვაზედ: ჰუსმარიტს, საჭიროს და სასაჩვებლო ციდნას იძყორობს ჩემი წიგნი თუ არა? „კვალის“ კრიტიკა საფუძვლიანია და რიგიანი, თუ უსაფუძვლო, უმართებულო და მავნებელია?“.

იელისის 6, 13 — უურნალი „კვალი“ (№ № 28, 29) ბეჭდავს გაორგი წერეთლის რეცენზიას (ხელმოწერა XX) იაკობ გოგებაშვილის წიგნზე „ერეკლე მეუე და ინგილო ქალი“.

რეცენზიის ავტორი სრულიად დაუმსახურებლად აფასებს მით ხრობას. აქ უმჯობესია მოვუსმინოთ თვით რეცენზიტს.

„წერა-კითხვის გამგეობის მიერ ახლათ გამოცემული პარია სახალხო მოთხრობა „ერეკლე მეუე და ინგილო ქალი“ ვიღაც უმინდონელო მწერლის კალმის ნაწარმოები რომ იყოს, ჩვენ მას კრიტიკას არ ვაღირსებდით, მხოლოთ დაგვრჩებოდა სანაწევლათ წერა კითხვის გამგეობის უწვრითნელი გემოვნება ხელოვნებისა, რომლითაც მას ვერ შეუგნია, რა არის ხალხური და სახალხო, ან როვორმა დატერატურულმა ნაწარმოებმა უნდა ასაზრდოვოს ხალხის გონიერა. მაგრამ რადგან „ერეკლე და ინგილო ქალი“ არის ნაწარმოები ისეთი დამსახურებული ქართულ მწერლობაში გვამისა, რომლის თბილება ყურადღებით კითხულობს ჩვენი ხალხი და შეუძლია მის გონიერის განვითარებაზე იქონიოს კარგი, თუ ცუდი გავლენა, ამისთვის ჩემ ვერ დავიღუმებთ და არ შეგვიძლია ვაპატივოთ ზოგიერთი ნაკულევანება ამ სახალხო მოთხრობას, რომლის მეოხებით ბუნებრივ ესტეტური გრძნობა მყითხველისა იმის კითხვის დროს უნდა შეიძახოს და ცრუ წარმოდგენა უნდა შეითვისოს ჩვენს წარსულზე“ (გვ. 536).

წერილის დასასრულს რეცენზიტი საყვედურს გამოთქვამს წერ-

კითხვის გამაცრცელებელი საზოგადოებისადმი ასეთი წიგნის გამოცე-  
მის გამო.

„ჩვენ არ ვიცით, რითი ხელმძღვანელობდა წერა-კითხვის გამგე-  
ობა, რომ ასეთი ცრუგამოხატულების სურათი გამოუცია ხალხის სა-  
კითხავათ. ერთი ვკითხოთ პატივცემულ წერა-კითხვის გამგეობას, რა  
გავლენა უნდა ჰქონდეს ასეთ სახალხო მოთხრობებს თვით ხალხის  
გონიეროვ განვითარებაზე? — არაფრი. ხალხი ამისთანა დაუკერებელს  
და გაზეიაღებულს ამბავს რომ წაიყითხავს, მაშინვე პირს იპრენდებს  
ას იტყვის: ეგ ან ზღაპარია, ან და ის ჩვენი სახელოვანი მეუკე ერეკ-  
ლე დიდი შეფე კი არ ყოფილა, არამედ უბრალო ვინმე“ (გვ. 548).

ავტისტო — უურნალ „მოამბის“ № 8-ში ქვეყნდება იაკობის წე-  
რილი „ჩვენის თავად-აზნაურობის განათლების შესახებ“.

ავტისტოს 5 — გაზეთი „ივერია“ (№ 159) „ნაცნობის“ ხელმოწე-  
რით ბეჭდავს იაკობის წერილს „მცირე რამ“ (თხ. სათაურით: „და-  
სავლეთ საქართველოს სამრევლო სკოლების მასწავლებელთა კრე-  
ბას“). იაკობის ეს წერილი გამოწვეულია „ივერიაში“ (№ 151). გამო-  
ქვეყნებული ქუთაისიდან გამოგზავნილი კორესპონდენციით: „სამრევ-  
ლო სასწავლებლების მასწავლებელთა კრება“. იაკობი გმობს ქუ-  
თაისის მასწავლებელთა კრებაზე ე. წ. მუნჯური და სილაბური მე-  
ოთხების პროპაგანდას.

ავტისტოს 8, 9 — გაზეთი „ივერია“ (№№ 161, 162) ბეჭდავს ია-  
კობის წერილს „უძლური ბოროტება“ (პასუხად „კვალის“ რედაქციი-  
ს), რომელიც გამოწვეულია გ. წერეთლის (XX ხელმოწერით) უსა-  
მართლო რეცენზიით „ერეკლე მეუკე და ინგილო ქალი. სახალხო მოთ-  
ხობა ი. გოგებაშვილისა“ (კვალი, 1897, №№ 28, 29).

ავტისტოს 10, 12 — გაზეთი „ივერია“ (№№ 163, 164) ბეჭდავს  
პ. სურგულაძის (ხელმოწერა: პ-რე ს-ძე) ვრცელ ბიბლიოგრაფიულ  
მიმოხილვას ი. გოგებაშვილის წიგნზე — «Разбор учебных руководств ...». რეცენზიის ავტორი წიგნს მაღალ შეფასებას ამდევს.  
„ეს წიგნი არის დაწერილი მეცნიერულად, საფუძვლად უდევს ლინ-  
გვისტერი, ფსიხოლოგიური და სხვა მეცნიერების მიერ შემუშავებუ-  
ლი კანონები ... ბ-ნი გოგებაშვილი თავისი წიგნით მცირე დახმარე-

ბას არ გაუწევს ჩეენს პედაგოგებს კრიტიკულად შეხედონ საგანს /  
საღი პედაგოგიური რწმენანი, პრინციპები გაიგონ და შეითვისონ/.

აგვისტოს 10, 13 — გაზეთ „ივერიის“ № № 163, 165-ში გამო-  
ქვეყნის ულ წერილებში „საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქ. ტფი-  
ლისში“ (ავტორები: „მ-შვილი“ და „მოკეთე“) საუბარია „რუსულ  
სლოვოს“ გარშემო, სადაც იგი შეფასებულია პირველ წიგნის რუსუ-  
ლი ენის შესასწავლად ქართველთათვის.

სექტემბრის 16 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 313) „მასწავ-  
ლებელის“ ხელმოწერით ბეჭდავს წერილს „რუსულ სლოვოს“ ღია-  
სებების შესახებ და გამოთქვამს თავის მოსაზრებას წიგნში მოთვ-  
სებული სურათების გარშემო.

სექტემბრის 27 — გაზეთი „ივერია“ (№ 199) ბეჭდავს (ხელმო-  
წერით „შინი“) წერილს — „უცნაური მოვლენა“, რომელიც გამოწავ-  
ულია ი. გოგებაშვილის „რუსულ სლოვოს“ საეკლესიო-სამრეველო  
სკოლებიდან დევნით და მის ნაცვლად ფ. ლევიცის „რუსული ენის  
კურსის“ დაწერებით. წერილში პანქტომბრივად ნათელყოფილია „რუ-  
სულ სლოვოს“ უძირატესობა ლევიცის წიგნთან და „უცველა ამის შექ-  
დეგ ნუთუ უცნაური, გაუგებარი და საოცარი არ არის ის მოვლენა,  
რომ ლევიტსკის წიგნი, ყოველ ღირსებას მოვლებული, კანონისა, სა-  
მართლისა და მოსწავლეთა სიკეთის წინააღმდეგ, ვრცელდება ქუ-  
თათურ სამრევლო სკოლებში“.

ოქტომბრის 5 — გაზეთი „ივერია“ (№ 206) ბეჭდავს წერილს სა-  
თაურით: „რომელი სახელმძღვანელოა უფრო დიდი?!“ წერილში სა-  
უბარია ი. გოგებაშვილის „დედა ენაზე“, უშინსკის „როდონე სი-  
უზე“, სომხურ „მაირენ ლეზუსა“ და ალ. ნათაძის „ბავშვების მი-  
კეთის“ შესახებ.

ოქტომბრის 10 — სოცელ ზემო სურების სკოლისათვის წიგნების  
და სასწავლო ნივთების შეწირვისათვის გაზეთის საშუალებით (ივე-  
რია, № 210) ი. გოგებაშვილს, კ. თავართქილაძესა და სხვებს მა-  
ლობას უხდის ამ სკოლის მასწავლებელი კ. ტრაპაიძე.

ნოემბრის 6, 7, 8 — გაზეთი „ივერია“ (№ № 230, 231, 232) ბეჭ-  
დავს იაკობის წერილს «Правда о Тифлисе» თარგმანს — „მართ-  
ლი ტფილისის შესახებ“. მთარგმნ. ინ-ანი [ივ. ახალშენიშვილი].

ნოემბრის 11, 12 — გაზეთი „ივერია“ (№ № 234, 235) ბეჭდავს  
ლ. ბოცვაძის წერილს ი. გოგებაშვილის „დედა-ენისა“ და აღ. ნათა-  
ბის „ბავშვების მოქეთის“ შესახებ, სათაურით: „შედარებითი განხილვა  
ვა ორივე წიგნის ანბანისა“.

დეკემბრის 18 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 404) ბეჭდავს  
(ხელმოწერა: „ქარ-ცეცხლი“) წერილს „ბ-ნ გოგებაშვილს ბ-ნ გოგე-  
ბაშვილზედვე“. წერილის ავტორი საჭიროდ მიიჩნევს „დედა-ენაში“  
ი. გოგებაშვილის სურათის მოთავსებას.

\* \* \*

— ამ წელს იაკობი რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებლად (?) ამზა-  
დებს წერილს «Нынешнее состояние Грузии», მაგრამ გამოქვეყ-  
ნება მისი რადიკალური შინაარსის გამო აღარ უცდია (?) — წერილი  
დაუმთავრებელია.

## 1898

იანვრის შუა რიცხვები — გაზეთ „კავკაზის“ № 14-ში გამოქვეყ-  
ნებულ ნარკვევში «Кавказская печать» აღნიშნულია გ. წერეთლის  
მიერ პოლემიკურ სტატიებში დაშვებული უხეში გამონათქვამები  
ი. გოგებაშვილის მიმართ.

— გაზეთი „კავკაზი“ (№ 18) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქ-  
ციისადმი «Маленькая заметка»-ს, რომელიც ეხება გ. წერეთლეთან  
გასულ წელს გამართულ პოლემიკას.

— გაზეთი „კავკაზი“ (№ 19) აქვეყნებს იაკობის «Маленькая  
поправка»-ს „პატარა კახის“ — „მაღლენები კახეტინეცად“ თარგმან-  
თან დაკავშირებით.

იანვარი-თებერვალი (?) — იაკობი წიგნად გამოსცემს თავის სა-  
ენაომეცნიერო-პედაგოგიურ ნაშრომს «Очерк сравнительной  
грамматики грузинского и русского языков. Тиф., 1898. 95 с.

„მავე წელს იაკობი იგი შეაქეს (როგორც ერთი თავი) წიგნში  
«Руководство для учителей...»

რანგის 29 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 441) ბეჭდები  
კ. ხელაძის მადლობის გამოცხადებას იაკობ გოგებაშვილისა და სხვების მიმართ მამათის სკოლისათვის წიგნების შეწირვის გამო.

თებერვლის 8 — სოფ. კეთელარის სკოლისათვის წიგნების შეწირვის გამო ამ სკოლის მასწავლებელი ბ. ფირცხალავა გაზეთის საშუალებით (ივერია, № 29) მადლობას უხდის იაკობ გოგებაშვილს.

მარტის 18 — არ. ქუთათელაძისაგან შეღებილი წიგნის „წარმოს“ მეორე წიგნის პიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში, რომელიც ეკუკვნის მ. ნასიძეს (მე გახლავარ) ი. გოგებაშვილის წიგნები „დედა-ენა“, „ბუნების კარი“ და „კუნწულა“ მოხსენებულია როგორც კლასიფიკაციას სახელმძღვანელოები ოჯახისა და სკოლებისათვის.

მარტის 24 — გაზეთი „ივერია“ (№ 64) ბეჭდავს იაკობის სატერმინოლოგიურ შენიშვნას რუსული სიტყვების „ვოდოპალ“ და „პორიგი“-ის ქართული შესატყვისების შესახებ, სათაურით: „პაწია შენია, პაწია საგანზე“.

ი. გოგებაშვილის ამ შენიშვნამდე წამოწყებულმა ბაასმა (პირველი წერილი გამოქვეყნდა ა. წ. 17 თებერვალს) ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ქვეყნდება გამოხმაურებები გაზეთ „ივერიაში“ (ვ. ავღალიშვილი — ივერია № 67; თ. რაზიკაშვილი — ივერია, № 76; პ. უაჯიკიძე — ივერია, № 82; ვ. ხელაძე — ივერია, № 77; გ. ჯანაშვილი — ივერია, № 74 და სხვ.).

მარტის ბოლო — მეორე გამოცემად გამოდის ი. გოგებაშვილის მიერ შეღებილი «Методическое руководство школ к преподаванию по книге того же автора «Русское слово». Изд. второе, исправ. и доп. Тиф., 1898, 96 с.

„ჩვენ მივიღეთ ბ-ნ ი. გოგებაშვილის წიგნის «Руководство...» გამოცემა მეორე, შევსებული და შეცვლილი“ (ცნობის ფურცელი, № 488).

მარტი-აპრილი — გამოდის „დედა-ენის“ მეცამეტე გამოცემა. წიგნის თავფურცელი ასე იქითხება: დედა-ენა ნუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სკოლებში სახმარებელი. შეღებილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. მეცამეტე გამოცემა. სამას სამოცი სურათით. მეორასკ

ათასი (200.000). წიგნი სახელგაკეთებულია (рекомендовано) გვ.  
ნათლების სამინისტროსაგან და მოწონებულია უწმინდესი სინოდის/  
გან. თბ., მ. შარაძისა და ამს. სტ., 1898.

ცალკეული  
გვ. 1898 წელი

— გამოდის „რუსულე სლოვოს“ პირველი ნაწილის შეექვსე შევ-  
სებული და შეცვლილი გამოცემა.

„დედა-ენის“ მეცამეტე გამოცემისა და ი. გოგებაშვილის რუსული  
წიგნების გამოცემების შესახებ ინფორმაციას ბეჭდავს 22 პრილს  
„ივერიის“ № 85, აგრეთვე „ცნობის უურცელი“ № 498.

აპრილის 2 — გაზეთი „ივერია“ (№ 71) ბეჭდავს იაკობის წერილს  
„სამი ტერმინი (უკანასკნელი სიტყვა)“, რუსული ტერმინების „ვო-  
ლოპად“, „პოროგი“, „კასკადის“ ქართული შესატყვისების თაობაზე.

მაისის 3 — სოფ. ახუთის სკოლისათვის 30 ცალი „რუსულე სლო-  
ვოს“ გაგზავნისათვის იაკობს მაღლობას უხდის ა. პაპასქირი გაზე-  
თის სამუალებით (ივერია, № 93).

მაისის 21 — გაზეთ „ივერიის“ № 105-ში ქვეყნდება რეცენზია  
ალ. ნათაძის „ბავშვების მოქეთის“ შესახებ, რომელშიც ავტორი  
ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ საუბრისას უშვებს  
გარევეული ხასიათის შეცდომებს.

მაისის 30 — იაკობი მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კით-  
ხეის გამავრცელებელი საზოგადოების წლიურ კრებაში. აქ იგი გამო-  
დის სიტყვით. ამავე კრებაზე საზოგადოების გამგეობის ახალი შემად-  
გენლობის არჩევნებისას იაკობს ირჩევენ გამგეობის წევრად.

მაისის 31 — გაზეთი „ივერია“ (№ 113) ბეჭდავს იაკობის „საჭი-  
რო შენიშვნას (ბ-ნ ნასრიძის წერილის გამო)“.

მაისის ბოლო — ივნისი (?) — იაკობი ცალკე წიგნად გამოსცემს  
თავის სტატიას «К вопросу о поднятии уровня образования  
среди грузинского дворянства» (ივერია, № 120).

ივნისის 9, 10 — იაკობი ბათუმშია, სადაც იგი წერა-კითხეის გა-  
მავრცელებელი საზოგადოების მინდობილობით ამოწმებს იქაური  
ქართული სკოლის მდგომარეობას. შემოწმების შედეგებს გამგეობას  
უდგენს ივნისის 15-ს.

რენისის 10 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 554) აქვთ კი  
იაკობის წიგნის «К вопросу о поднятии уровня образования  
среди грузинского дворянства»-ს ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას.

ივლისის 7 — გაზეთი „ივერია“ (№ 143) საზოგადოებას აუწყებს  
„რუსეთი სლოვოს“ მეორე ნაწილის მეხუთე გამოცემის ბეჭდვის შე-  
სახებ.

ივლისის 14 — გაზეთი „ივერია“ (№ 149) ბეჭდას ლ. ბოცვაძის  
წერილს „რა ვნება მოაქვს უცხო ენის აღრე სწავლებას“, რომელშიც  
ავტორი ასაბუთებს, რომ „ის პედაგოგი, რომელიც მოინდობს „რუს-  
ეთი სლოვოს“ ორივე ნაწილის ორის წლის განმავლობაში გაედას  
მოსწავლეებთან, დიდს შეცდომას ჩაიდენს, რომელიც ვნებას მოტკა  
არა მარტო მოსწავლეებს, არამედ თვით სახელმწიფო ენის კანონიუ-  
რად და შეგნებულად შესწავლასაც“.

ლ. ბოცვაძის ეს წერილი წარმოადგენს პასუხს გაზ. „ივერიას“  
№ 134-ში გამოქვეყნებულ ნ. კ-ს საინფორმაციო წერილზე — „სამუ-  
დაგოგიო კურსები ტფილისში“, სადაც ლაპარაკი იყო „რუსეთი სლ-  
ვოს“ ორს სამოსწავლო წლის განმავლობაში გავლაზე.

ივლისის 15 — ქვეყნდება (ივერია, № 150) იაკობის „პატარა შე-  
ნიშვნა (ბ-ნ ბოცვაძის წერილის გამო)“, რომელიც ეხება „რუსეთი  
სლოვოს“ სკოლებში სწავლების საკითხს.

სექტემბრის დასაწყისი — გამოდის „რუსეთი სლოვოს“ მეორე ნა-  
წილის მეხუთე შეკვებული გამოცემა.

„ჩეენ მივიღეთ მეხუთე გამოცემა «Русское слово»-ს მეორე ნა-  
წილისა. ეს გამოცემა შეკრებილია ახალი მოთხრობებით, დექსემბერ  
და ივან-არაებით, რომლებიც ამოღებულია უწმინდესის სინოდისა-  
გან მოწონებული სახელმძღვანელოებიდან. წიგნი წინააღმდეგზე გადა-  
დებულია ორი ფორმით ანუ ოცდა თორმეტი გვერდით. ფასი კი ივა-  
ევა დარჩენილი ...“ (ცნობის ფურცელი, № 629. ასეთივე ცნობას აქ  
ვეყნებს „ივერიაც“, № 198).

სექტემბრის 26 — ივანე მესხი ბათუმიდან ფოთში ნიკო ნიკოლა-  
ძეს წერილის ატყობინებს ქალაქის ხმოსანთა არჩევნების დღეს და ას  
დღეს იღია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილისა და სხვათა თბილი-  
სიდან მოღოდინის შესახებ.

„ქალაქის არჩევნებისათვის, რომელიც 2-ს ოქტომბერს არის და-  
წინული, მოგელით...“ (ნ. ნიკოლაძის არქივის კატალოგი. ნაწ. 1,  
1954, გვ. 48).

სექტემბრის ბოლო — ცალკე გამოცემად გამოდის იაკობის მოთ-  
ხრობა „სხივი წარსულისა“, ისტორიული ამბავი, დაწერილი იაკობ  
გოგებაშვილის მიერ. თბ., 1898. 16 გვ.

წიგნის თავფურცელზე კეთხულობთ: „ამ წიგნის წმინდა შემოსა-  
ვალი ავტორმა შესწირა სვეტი-ცხოვლის ტაძრის გასაახლებელ  
ფონდს“.

ამის შესახებ „ივერია“ იტყობინება:

„რედაქციამ მიიღო ახალი საყმაწვილო წიგნაյი „სხივი წარსუ-  
ლისა“ ... მშენებელს ქალალდზედ დაბეჭდილია და ღირს ერთი შაური.  
ამ წიგნაյის წმინდა შემოსავალი, ავტორის სურვილით, მოემატება იმ  
უულს, რომელიც იქრიბება მცხეთის სვეტი-ცხოვლის ტაძრის გან-  
საახლებლად“ (ივერია, № 210).

„სხივი წარსულისას“ შესახებ დაწერილ რეცენზიაში ავტორი  
ილ. ფერაძე წერს: „ვისურვებთ, რომ მრავალი დაწერილიყოს ქარ-  
თულს ენაზედ ამის მსგავსი წიგნაები ასეთისავე კეთილშობილური  
შინაარსისა და მაღალი აზრისანი ... მათ დიდი საკეთილო ვავლენა  
ექნებათ ჩევნს ხალხზე და განსაკუთრებით ახალგაზრდობაზედ“ (ცნო-  
ბის ფურცელი, 1899, № 719).

ოქტომბერი — სვეტი-ცხოვლის ტაძრის გასაახლებლად იაკობი  
შეწირულების სახით აგზავნის მისი წიგნის „სხივი წარსულის“ წმინ-  
და შემოსავალს (ივერია, 1899, № 1).

ოქტომბრის 6 — გაზეთის საშუალებით (ივერია, № 213) კონ-  
კრიშარია მადლობას უცხადებს იაკობს 40 ცალი „კოკორის...“ უსა-  
ყიდლოდ დათმობისათვის.

ოქტომბრის 7 — სოფელ ნატოჩაოს სკოლის მოსწავლეთათვის  
„რუსეთი სლოვოს“ უსასყიდლოდ დარიგების გამო იაკობს გაზეთის  
საშუალებით (ივერია, № 214) უდრმეს მადლობას უხდის მასწავლე-  
ბელი 6. კალანდარიშვილი.

ოქტომბრის 10 — ივ. ზურაბაშვილთან და გრ. ყიფშიძესთან ერთად იაკობი წარუდგენს დასკვნას ეკ. გაბაშვილის საყმაწვილო მოსახრობების გამოცემის თაობაზე (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 241).

ოქტომბრის მეორე ნახევარი — წერილს ღებულობს იურიევი, ვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტების საქართველოს ედილაშვილის და ანდრია ნადირაძისაგან (12 ოქტომბრის თარიღით) მატერიალური დახმარების გაწევის თხოვნით (ცისკარი, 1960, № 10, გვ. 149—150).

ნოემბერი(?) — საპასუხო წერილსა და ოც მანეთს უგზავნის სტუდენტებს ზ. ედილაშვილსა და ა. ნადირაძეს. წერილში ნათქვამის „ვწუხვარ, რომ მეტის ღონისძიება არა მაქვს, რაღანაც ღარისხ შესანახი მეტად ბევრი მყავს და მეც ხშირად აუადმყოფობ. ამ უკანა დამიბრუნებთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე გაჭირებებაში ჩავიტადები და თქვენ კი, კურსის დასრულების შემდეგ გადამეტებული შეალება გექნებათ“ (ცისკარი, 1960, № 10, გვ. 147).

ნოემბრის 6 — გაზეთი „ივერია“ (№ 238) აქცენტებს წერილს „სოფ. ვარიანი“, რომელშიც აღწერილია აღვილობრივი ეკლესია, მათითებულია ი. გოგებაშვილის დაბადების თარიღი, მისი მშობლების მაგდანისა და სვიმონის საფლავის ქვების წარწერები.

დეკემბერი — უკრნალი „მოამბე“ (№ 12) ბეჭდავს იაკობის გამოკელევას სათაურით: „მღაღადებელი ციფრები“ (თხ. ტ. 3, 1964 სათაურით: „რაოდენობა და წარმატება ყოველგვარ სასწავლებელი რუსებისა, ქართველებისა და სომხებისა“).

დეკემბრის 16 — კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველოს ექცელარია იაკობს ოფიციალურად ატყობინებს სამზრუნველოს საპჭოლი დადგენილებას მისი წიგნის „მოსავლის მცენის...“ სასწავლებელის ბიბლიოთეკებისათვის მოწონების შესახებ.

«Попечительский Совет Кавказского учебного округа постановил одобрить для фундаментальных и ученических библиотек средних, низших и начальных учебных заведений округа, в которых есть между учащимися грузины» (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 323).

ამ წიგნის მოწონებას სასკოლო ბიბლიოთეკების მეიოთხველებს აუკენებს გაზეთები „ივერია“ (№ 280) და „ცნობის ურცელი“ (№ 716).

— ამავე დღეს კავკასიის სასწავლო ოლქის კანცელარიის შპარ-  
უელი ი. გოგებაშვილს წერილობით ატყობინებს, რომ მისი წიგნე-  
ბი: „რუსეთი სლოვოს“ პირველი და მეორე ნაწილი, აგრეთვე მეორ-  
დური სახელმძღვანელო მასწავლებლთათვის განსაზღვევდად წარ-  
დგენილია სახალხო განათლების სამოსწავლო კომიტეტში“ (თხ.,  
ტ. 7, 1960, გვ. 600—601).

\* \* \*

— ამ წელს(?):

გამოსცემს წიგნაკს «Родной язык и его значение».

— მოხსენებით ბარათს უდგენს ქართლისა და კახეთის არქი-  
ეპისკოპოს ფლავიანეს „დედა-ენის“ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში  
სახმარებლად დამტკიცების შესახებ და პირდება, რომ მიმდინარე  
წელს და მომავალი წლის ბოლომდე მოახდენს მასში ცვლილებებს  
საეკლესიო-სამრევლო სკოლების მოთხოვნათა შესაბამისად (თხ.,  
ტ. 8, 1961, გვ. 456).

— იაკობი ვენაში უკვეთავს ანბანის ახალ შრიფტს.

„ამჟამად ვპეჭდავ ახალს, მეთოთხმეტე, გამოცემას „დედა-ენისას“  
ახალი შრიფტებითა, რომელთაგან ანბანის შრიფტი ჩემი ფასით გა-  
ვაკეთებინე ვენაში და დამიჯდა ოც თუმნამდე“ (თხ., ტ. 9, 1962,  
გვ. 244).

## 1899

იანვრის 1 — გაზეთი „ივერია“ (№ 1) ბეჭდავს ი. გოგებაშვილის  
წერილს რედაქციისადმი „ამ სამის თვის წიგნად...“ სკეტიცხოვლის  
ტაძრის შესაკეთებელ ფონდში თავისი წიგნის „სხივი წარსულისა“  
წმინდა შემოსავლის შეწირვის შესახებ.

იანვრის 6 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 719) ბეჭდავს ილია  
უერაძის დადებით რეცენზიას იაკობის წიგნზე „სხივი წარსულისა“.

— გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება ცნობა ი. გოგებაშვილისა  
და სხვებისაგან სკეტიცხოვლის ტაძრის შესაკეთებლად შეწირულება-  
თა შესახებ.

იანვრის 8 — უკრალი „კვალი“ (№ 2) ბეჭდავს „სააბაზნოსა და სამართლებას“ დექსად გან. „ივერიის“ თანამშრომლების ი. ჭავჭავაძე, ა. ახნაზაროვის, ი. გოგებაშვილისა და სხვათა წინააღმდეგ.

იანვრის 25 — იაკობი გ. იოსელიანთან ერთად მოხსენებას უდგენ ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას გომარეთის, ძველი სენაჟის სკოლების და უდის სამეთხუროს შესახებ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 242—247).

იანვრის 29 — იაკობი გრ. ყიფშიძესთან ერთად წერა-კითხვის კამარცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს წიგნების ბეჭდების კომისიის დადგენილებას ვაჟა-ფშაველას თხზულებათა გამოცემის შესახებ.

„კომისია სთხოვს მართველობას შეიწყნაროს მისი დადგენილება, და ნება-რიგი მისცეს შეუღეს ამ განზრახულის წიგნის ბეჭდება“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 248).

ამ მოხსენების გამო საზოგადოების გამგეობა 2 თებერვალს აჯვენს: „თანახმად კომისიის მოხსენებისა აქ მოხსენებული თხზულება ის ვაჟა-ფშაველასი დაიბეჭდოს ერთ წიგნად“ (თხ., ტ. 10, 1962, გვ. 344).

თებერვალის 23 — განეთი „ივერია“ (№ № 41, 42) ბეჭდავს იაკობის წერილს სათავადაზნაურო ბანკიდან დაბრუნებული თანხ. სწავლა-განათლების საქმეში მოხმარების შესახებ, სათაუროთ: „დღუვანდელი კერძობის, თუ ხვალინდელი ქათამი (კუძღვნი ამიერ-იმიურ თავადაზნაურობას)“.

აპრილის 28 — იაკობი წერილით პასუხობს ანთიმოზ კუდებალექსანდრე სარაჯიშვილის — სოხუმის მოურავის კანდიდატურის შესახებ.

„სოხუმელები, სხვათა შორის, მეც მექითხებით შესახებ ალექსანდრე სარაჯიშვილის კანდიდატურისა თქვენი ქალაქის მოურავის აღგილზე. უკეთეს კანდიდატს ვერ იშოვნით ვერც ქართველები და უკრალუსები. კაცს უსწავლია საქართველოში, რუსეთში და უკროპაში. სწორედ რომ განათლებული ქართველია... რასაც მე გწერთ სარაჯიშვილზე, მარტო ჩემი აზრი არ არის. ჭავჭავაძე ილია, ლოლობერია“

ნიკო, ცხვედაძე, უმიკაშვილი და მთელი თბილისის ინტელიგენცია  
სწორედ ამავე აზრისა არის" (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 367—368).

გაისის 18 — მოხსენებას უდგენს ქართველთა შორის წერა-კოთ-  
ხეის გამაურცელებელი საზოგადოების გამგეობას „დედა-ენის“ მე-  
თოთხმეტე და „ბუნების კარის“ მეათე გამოცემების შესახებ.

„ამერამად ვპეჭდავ ახალ, მეთოთხმეტე გამოცემას „დედა-ენისას“  
ახალი შრიფტებით, რომელთაგან ანბანის შრიფტი ჩემი ფასით გა-  
ვაკორებინე ვენაში და დამიჯდა ოც თუმნამდე ...“ და შემდეგ საზო-  
გადოების გამგეობას უყენებს ღირებულების გადახდის შედაგათიან  
პირობებს (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 244).

ავტოსტო-სექტემბერი — გამოდის „ბუნების კარის“ მეათე გამო-  
ცემა მრავალი ახალი სურათით და რუკით.

სექტემბრის დასაწყისი — გამოდის „რუსკო სლოვოს“ პირველი  
ნაწილის მეშეოდე (შეცვლილი) გამოცემა.

ამის შესახებ „ივერია“ (№ 201) 19 სექტემბერს მეოთხეელს აუწ-  
ყებს: „რედაქციამ მიიღო «Русское слово»-ს პირველი ნაწილის  
მეშეოდე გამოცემა, რომელშიაც შემდეგი ცვლილებანი მოხდენილა:  
პირველს — ლექსიურს განყოფილებაში ახალი პატარ-პატარა მოთ-  
ხობანი, აღწერანი, სალაპარაკონი და სამი პარია ლექსი ზეპირად  
დასასწავლად მასწავლებლის პირიდან“ და ა. შ. მიმოხილულია წიგ-  
ნის ყველა განყოფილება.

სექტემბრის 16 — გაშეთი „ივერია“ (№ 198) მეოთხეელს აუწ-  
ყებს „დედა ენის“ მეთოთხმეტე გამოცემის გამოსვლას.

— ამავე დღეს „ცნობის ფურცელი“ (№ 916) ბეჭდავს ამ წიგნის  
ურცელ ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას.

ოქტომბერი(?) — გამოდის „რუსკო სლოვოს“ მეორე ნაწილის  
შეექვსე გამოცემა.

„დაიბეჭდა მეექვსე გამოცემად «Русское слово»-ს მეორე ნაწი-  
ლი, დაიკაზმა და ეგზავნება დამბარებლებს, რომელთაც ტუილისიდ-  
გან ვეღარ ეგზავნებოდათ სექტემბრის თვითგან მეხუთე გამოცემის  
აღრიანად გამოლევის გამო“ (ივერია, № 238). ასეთივე ცნობას ბეჭ-  
დავს გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 954).

ოქტომბრის 1 — გაზეთები „ივერია“ (№ 211) და „ცნობის ფურცელი“ (№ 929) საზოგადოებას აუწყებენ ი. გოგებაშვილის „რუსეთის სლოვოს“ ქ. ყაზანიძან მოთხოვნის შესახებ: „ბ-ნ ი. ს. გოგებაშვილის სახელმძღვანელო «Русское слово» გზას იკვლევს რუსეთში... აც...“ (ივერია); „ჩვენებური სახელმძღვანელოს გავრცელება რუსეთში“ (ცნობის ფურცელი).

ოქტომბრის 7 — გაზეთი „ივერია“ (№ 215) აქვეყნებს ნარკვექ ფურნალ-გაზეთებიდან ი. გოგებაშვილის „ბუნების კარის“ მეათე გამოცემის შესახებ.

ნოემბრის ბოლო — იაკობი წერილს დებულობს (24 ნოემბრის ორილით) ავკავიდან ლუარსაბ ბოცვაძისაგან, რომელიც ატყობინებს ქვევის სკოლის დირექტორ გრუშევსკის დაღებით აზრს მისი „რეკოე სლოვოს“ შესახებ.

ნოემბრის 30 — ოლღა ჭავჭავაძე და ეკატერინე გაბაშვილი გაზეთის საშუალებით (ივერია, № 258) იაკობს მადლობას უცხავებენ ჩალთა სამკერვალოში მოსწავლეთათვის რვეულებისა და წიგნების შეწირვისათვის.

დეკემბერი — ფურნალი „ჯუჯილი“ (№ 12) ბეჭდავს იაკობის მოთხოვნებს: „თავის განწირვა მტრისათვის“ და „ქართველი კათოლიკის და მონალოლთა მბრძანებელი“.

დეკემბერის 3 — გაზეთი „ივერია“ (№ 261) იაკობის „რუსეთის სლოვოს“ მოწონებისა და გავრცელების შესახებ საზოგადოებას აუწყებს:

„წრეულს დასავლეთ საქართველოში მასწავლებლებს სადირექცია სკოლებისას «Русское слово» შეაქს რუსული ენის სახელმძღვანელოდ, რადგანაც ცნობილმა «Курც»-მა [ლევიცე] სახელმძღვანელოში თურმე იღავი გაუწყვიტა მოსწავლეებსაც და მასწავლებლებსაც ამავე «Русское слово»-მ წრეულს გზა გააკვლია განჯის გუბერნიაშიც სომხების სკოლაში. ჩრდილოკავკასიაშიც ებსნება გზა ამ ჩვენებურს სახელმძღვანელოს. არის ამისი საბუთიც 15 ნოემბერს დირექტორს გრუშევსკის უნახავს ქართული სკოლა, სადაც რუსული ენა ისწავლება «Русское слово»-ს საშუალებით, და თან წაუდია ორი ნაწილი ამ სახელმძღვანელოსა. გადა-

კითხვის შემდეგ მოუწერია შემდეგი თავისი კავკავის სკოლის უფროსი  
განცავლებლისათვის: «Русское слово» я признаю учебником ме-  
тодично правильно и вполне целесообразно составленным,  
вменяю себе в долг рекомендовать его в качестве первой  
учебной книги в инородческие училища вверенной мне ди-  
рекции». ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ დირექტორი გრუშევსკი  
ფრიად გამოცდილი პედაგოგია და თანაც რამდენიმე სახელმძღვანელო  
შეუდგენია».

— „რუსეთი სლოვოს“ შესახებ ასეთივე ცნობებს აქეყნებს კურ-  
ნალი „კვალი“, № 49.

დეკემბრის 9 — გაზეთი „ივერია“ (№ 265) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს რედაქციისადმი კავკავის სკოლის ქართველ მოსწავლეთა  
მომღერალთა გუნდის შესახებ, სათაურით: „ერთი ამბის განმარტება“.

\* \* \*

- ამ წელს გამოდის:
- „სხივი წარსულისა“. მეორე გამოცემა.
- „ხატის მიზეზი“. მეორე გამოცემა.
- „კოკორი ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი სახლობაში  
სახმარებელი“. მეთორმეტე გამოცემა.

## 1900

იანვარი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის მოთხრო-  
ბას „თავდადებული ქართველი ეჯიბი (საქართველოს წარსულიდან)“.

— ცალკე წიგნად გამოდის იაკობის მოთხრობა „საარაკო თავვა-  
დასავალი ტახტის მემკვიდრისა“ ისტორიული ამბავი დაწერილი ია-  
კობ გოგებაშვილის მიერ. ტფ., 1900, 32 გვ.

(1899 წლის 30 დეკემბერს „ივერია“ (№ 281) მკითხველს აუწ-  
ყებდა, რომ იაკობის ეს წიგნი 1899 წლის ბოლოს გამოვიდა).

იანვრის 27 — მოხსენებით ბარათსა და „რუსეთი სლოვოს“ ორი-  
ვე ნაწილს უგზავნის ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების ახალ  
დირექტორს, რომელსაც აცნობს საქმის მდგომარეობას „რუსეთი სლო-

ვოს" შესახებ მისი წინამორბედი დირექტორის — ლევაცის მიუკ-დებათა ვამო, თხოვს ცარკელიარულად გააცნოს მის ქვემდებარებულებს, რომ იგი წინააღმდეგი არ არის „რუსკოე სლოვო“ სმარტ-ბისა, ანდა გასცეს განკარგულება სკოლების ერთ ნაწილში იხშარებოდეს „რუსკოე სლოვო“. ხოლო მეორე ნაწილში ლევაცის წიგნი, რაც საშუალებას მოგვცემს დამტკიცდეს ამა თუ იმ წიგნის უპირატული რუსული ენის დაუფლების საქმეში (თხ. 8, 1961, გვ. 326—328).

თებერვალი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 2) ბეჭდავს იაკობის მოხარობას „კრუხების ბრძოლა ქორთან“ (ბუნების მეტყველებიდან).

„ჯეჯილის“ ამავე ნომერში ქვეყნდება იაკობის მიერ გაღმოყენებული მოთხოვა „მარო და მერცხალი“.

თებერვალის 29 — იაკობი წერა-კითხვის გამარტინებულ საზოგადოებას გამოცემის უფლებით სრულ საკუთრებაში გადასცემს თვის თხუთმეტი სახელწოდების წიგნს.

„მაქვს პატივი მოვახსენო ხსენებულს ვამგეობას, რომ მე დღეს რიცხვიდან გადავსცემ მას სამუდამოდ სრულს უფლებას გამოსცე ხოლმე თავის სასარგებლოდ შემდეგი ჩემი საკუთარი წიგნები: 1) „იაგნანამ რა ჰქება“; 2) „ხატის მიზეზი“; 3) „ასპინძის ომი“; 4) „თუდადებულნი ქართველნი“; 5) „მოსავლის მცენანი“; 6) „მეუე ერეკლე და ინგილო ქალი“; 7) „ძირითადი უკუღმართობა“; 8) „სხივი წარსულისა“; 9) „ხომლი“; 10) „კუნწული“; 11) „საარაუ თავვარა სავალი ტახტის მემკვიდრისა“; 12) «Разбор учебных руководств по русскому языку»; 13) «Нормальное письмо», 14) «Правила о Тифлисе» и 15) «К вопросу о поднятии уровня среди грузинского населения». ამასთან დავსძენ, რომ დამზადებულ კლიშეებსაც ამა გამოცემისათვის უფასოდვე დაუკამობ წერა-კითხვის საზოგადოებასა“ (თხ. 9, 1962, გვ. 255).

ა. გოგებაშვილის ამ მოხსენების გამო საზოგადოების ვამგეობა აღვენს: „დიდის მაღლობით მიღებულ იქმნას საპატიო წევრის ა. გოგებაშვილის აქ მოხსენებული წიგნაკები“ (თხ. 10, 1965, გვ. 344).

მარტი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 3) ბეჭდავს იაკობის მოთხოვაბებს „ვანო და ჩიტი“ და „მელო და ჯიბლიბო“.

გარტის 2 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი  
საზოგადოების გამგეობა ი. ჭავჭავაძის ხელმოწერით ი. გოგებაშვილი  
უკავნის შემდეგი შინაარსის წერილს: „ე. შ. წერა-კითხვის გამავრ-  
ცელებელი საზოგადოების გამგეობამ, მოისმინა რა თქვენი წერილო-  
ბითი მოხსენება, რომ თქვენ სამუდამოთ უთმობთ გამგეობას სრულს  
უფლებას საკუთარი თხუომეტი წიგნის საზოგადოების სასარგებლოთ  
გამოცემისას და აგრეთვე ამ გამოცემებისათვის უფასოთ საჭირო  
კლიმატის, თავის მორიგ კრებაზედ 29 წარსულ თებერვალს დააღინა: „დიდის მადლობით მიღებულ იქმნას საპატიო წევრის იაკობ გოგე-  
ბაშვილისაგან მოხსენებაში აღნიშნული წიგნები და კლიმატი“. გამ-  
გეობა თავის სასიამოვნო მოვალეობათ სთვლის გაუწყოთ ზემო აღ-  
ნიშნული დაღვენილება თქვენდამი საკურადღებოთ. საზოგადოების  
თავმჯდომარე ილია ჭავჭავაძე“ (თხ №., ტ. 10, 1965, გვ. 345).

— აღნიშნულის შესახებ საზოგადოებას აუწყებს განეთები „ივერია“ (№ 44) და „ცნობის ფურცელი“ (№ 1059), „კვალი“, (№ 10).

მატერიალის 4 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1061) საშოგადოებას ახალ ამბად აუწყებს აკად. ივანე თარხნიშვილის იუბილეზე, პეტერბურგში ილია ჭავჭავაძისა და იაკობ გოგებაშვილისაგან მისალოცი დეპეშების გაგზავნის შესახებ.

მარტის 12 — გაზეთი „ივერია“ (№ 54) ბეჭდავს იაკობის წერილს „ნაცნობის“ ხელმოწერით ემილ ზოლას ცხოვრებიდან, სათაურით: „მუნჯური მეოთხდი და ზოლა“.

მარტის 21 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელება—  
ლი საზოგადოების გამგეობას შეასსენებს, რომ საჭიროა წიგნის „იავ-  
ნანამ რა პერნა?“ საალლგომრო გამოცემა.

„კაპ ხანია გამოიღა მეორე გამოცემა ჩემი მოთხრობისა „იავნანაშ რა პერია“ და მისი კითხვის მსურველი ხელცარიელი მიღიან ჩვენის წიგნის მაღაზიიდან. საჭიროა დაუყონებლივ დაიბეჭდოს მესამე გამოცემა. რათა საზოგადოება არ გადავაჩვიოთ ამ მოთხრობის კითხვასა“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 255).

მარტის ბოლო — გაშეთები „ივერია“ (№ 70) და „ცნობის ფურცელი“ (№ 1085) ბეჭდავენ ცნობებს ი. გოგებაშვილის „რეკონსტუქციის

ეოს” იმ მოთხოვნების შესახებ, რომელიც მოდის მოსკოვიდან და ჩუსეთის სხვა ქალაქებიდან.

„ყაზანის გუბერნიის გარდა, საიდანაც, როგორც მეთხველებს თავის დროზე ეუწყათ, დაიბარეს შემოღომაზე «Русское слово», ბ. ი. გოგებაშვილისა, ესვევ წიგნი მოუთხოვიათ მოსკოვის გუბერნიიდანაც. ამ დღეებში ცენტრალური მაღაზიიდან დაუბარებია ოჩოდე ცალი «Русское слово»-სი თავისი მეთოდიეთ სალაცვის წიგნის მაღაზიას, რომელიც მოსკოვში საუკეთესო მაღაზიად ითვლება“ (ცნობის ფურცელი № 1085). მეორე დღეს იგივე გაზეთი (№ 1086) წიგნადღის ინფორმაციას ასე ასწორებს: „გუშინდელ ახალ ამბავში «Русское слово»-ს შესახებ შეგვეპარა ერთი შეცდომა, რომელსაც ახლა ვასწორებთ. ჩვენ გვქონდა დაბეჭდილი, რომ ორიოდე ცალი ან წიგნისა მოითხოვა სალაცვის მაღაზიამათ; ორიოდე ცალი იანვარში მოუთხოვნია მაღაზიასა, ამ დღეებში-კი ასიოდე ცალი დაუბარებია“.

მარტი-აპრილი (?) — პარიზის გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის მრავალგზისი თხოვნით იაკობი რუსულ ენაზე წერს წერილი «Школьное дело у грузин».

„სწავლა-განათლების შესახებ წერილის დამზადება კომიტეტმა აუდაკისრა, მაგრამ ერთი მიზეზის გამო... მე ამაზე გადაჭრილი უარ შევუთვალე. მაშინ კომიტეტმა მიმართა ბევრს ქართველს პედაგოგს და ლიტერატორს და პოლიტიკოს კარგი აუთქვა. სამწუხაროდ ცდა ამაოდ ჩაუარა... ჩვენ თითონ მიემართეთ წერილებით ზოგიეროვებს... მაგრამ ვერც ჩვენ გავხდით რასმე... სხვა წერილები დამზადებულია, განხილულინი, მოწონებულ და გადათარგმნილ იქმნენ კომიტეტის კარგულებით... სწავლა-განათლების შესახებ-კი ჯერ წერილი არავის არ დაეწყო. მაშინ კომიტეტმა რამდენჯერმე მომმართა მე ხელმორიდი იმავე თხოვნით... მეტი დონე აღარ იყო, უნდა ამეღო კალამი ხელში და დამტაღებინა წერილი.

რამდენიმე საღამო მოვანდომე და დავწერე მოკლე ისტორიულ მიმოხილვა სწავლა-განათლებისა საქართველოში რუსულ ენაზე ან სათაურით: «Школьное дело у грузин...»

წერილის დაწერამ, განხილვამ და გადათარგმნამ თვეზე შეტანილი მიმოხილვა და ამიტომ იყო პარიზში გაიგზავნა კომიტეტის მიერ ძლიან გვიან, სახელდობრ მაისში“ (თხ. ტ. 3, 1954, გვ. 230).

აპრილი — ეურნალი „ჯეჯილი“ (№ 4) ბეჭდავს იაკობის მოთხოვას საქართველოს წარსულიდან „სამასი თავდაცებული გლეხში“ და ბუნებისმეტყველებიდან „ტოროლას ბარტყების სიყვარული“. აპრილის 9 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1094) აქვეყნებს 0. გოგებაშვილის წიგნების სიას.

აპრილის 13 — გაზეთი „ივერია“ (№ 78) ბეჭდავს 0. გოგებაშვილის წიგნების სიას ტირაჟების მითითებით (ტირაჟების შესახებ ცნობებს აქვეყნებს აგრეთვე უურნალი „მწყემსი“ № 7, გვ. 15).

ამავე გაზეთში ქვეყნდება ამონაკრეცი გაზ. „ქაზბეკ“-ში გამოქვეყნდებული ხ. ურუმიაგოვის წერილიდან 0. გოგებაშვილის „რუსკო სლოვოს“ შესახებ. აგრეთვე ცნობა რუსეთის სამრევლო სკოლების მთავარი მეთვალყურის შემიაკინის განკარგულება „რუსკო სლოვოს“ შესახებ.

აპრილის 18 — ვარიანის სამრევლო სკოლისათვის უურნალ-გაზეთების გამოწერისათვის იაკობს გაზეთის საშუალებით (ივერია, № 82) მაღლობას უხდის სკოლის გამგე რ. აფციაური. მაღლობის წერილი ქვეყნდება აგრეთვე 20 აპრილს გაზ. „ცნობის ფურცელში“ (№ 1101).

აპრილის 19 — გაზეთ „ივერიის“ № 83-ში ახალ ამბად ქვეყნდება შემდეგი ცნობა: „როგორც შევიტყეთ, ბ-6 იაკობ სიმონის ძის გოგებაშვილის პატივისმცემელთ, მისდა პატივსაცემლად, მისის სალიტერატურო და საპედაგოგიო ასპარაზზედ მოღვაწეობის 35 წლის შესრულებისა გამო, განუზრახავთ სადილი გამართონ. სადილის გამართვის დევი შინაარსის „წერილის რედაქციის მიმართ“.

აპრილის 21 — გაზეთ „ივერიის“ № 85-ში იაკობი აქვეყნებს შემოგვი შინაარსის „წერილს რედაქციის მიმართ“.

„როგორც თქვენი ახალი ამბებიდან ჩანს, ზოგიერთ ქართველს მოუწადინია გამიმართონ საიუბილეო სადილი. დიდ მაღლობას მოვახსენებ, და ვთხოვ დიდი თხოვნით ხელი აიღონ ამ თავისს წადილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს სადილი უჩემოდ ჩაივლის. ჯერ ქართველი საზოგადოებამ უნდა გადაიხადოს ის დიდი ვალი, რომელიც მას აწევს კისერზე შესახებ ჩევნის მთავარ-მოღვაწეებისა, რომელთაც ჩემზე უფრო დიდხანს უმოქმედნიათ და ჩემზედ უზომოდ მეტი გაუკეთებიათ. ჯერ იაღმდეგსა და მყინვარს ღირსეული იუბილეები გაუ-

გართონ, და მერე გაუწიონ თავაზიანობა სერებსაც, თუ არ დაუშელიათ".

აპრილის 22 — გაზეთი „ივერია“ (№ 86) საზოგადოებას აუწყებს ა. გოგებაშვილის განცხადებას უურნალ „ჯეკილში“ მისი თანამშრომალობის შესახებ.

აპრილის 25 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უთმობს „დედა-ენის“ მეთხოვთა გამოცემის უფლებას (თხ. ტ. 9, 1965, გვ. 254).

აპრილის 30 — საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის სასულიერო სემინარის რექტორი გერმოგენი იაკობ გოგებაშვილს ოფიციალურად ატყობინებს მისი წიგნების „რუსულ სლოვოს“ ორივე ნაწილის და მეთოდური სახელმძღვანელოს მოწონების შესახებ. «Вследствие отзывов Алавердского Епископа Кириона, от 24 сентября 1899 г., за № 484, и Грузинского наблюдателя Церковных школ И. Татиева от 28 января с. г. за № 244, «Грузинский Эпархиальный Совет... честь имеет уведомить ... что составленные Вами книги «Русское слово» ч. 1-я и 2-я (VII-ое издание I-й части и V изд. 2-й части) и «Руководство к преподаванию по «Русскому слову», изд. 2-е, одобрены Эпархиальным советом в качестве учебных руководств по русскому языку для грузинских церковно-приходских школ» (თხ., ტ. 8, 1961, გვ. 439).

საეპარქიო სასწავლებელთა საბჭოს აღნიშნულ დადგენილებას ქართულ ენაზე აქვეყნებს გაზეთები „ივერია“ (№ 99) და „ცნობის ფურცელი“ (№ 1116), უურნალი „მწყემსი“ (№ 13—14).

მაისის დასაწყისი — გამოდის „იავნანაშ რა პქმნას“ მესამე გამოცემა. ამის შესახებ საზოგადოებას აუწყებს გაზეთები „ივერია“ (№ 99) და „ცნობის ფურცელი“ (№ 1117).

მაისის 6 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1116) საზოგადოებას აუწყებს ა. გოგებაშვილის „რუსულ სლოვოს“ სამრევლო სკოლებში სახმარებლად მოწონების შესახებ.

მაისის 9 — ქვეყნდება ცნობა („ცნობის ფურცელი“, № 1119) იმის შესახებ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობა სასერი-

რევიზორებად ნიშნავს ი. გოგებაშვილს, ალ. ჭყონიას, ა. მიქაბერიძეს, დ. კარიჭაშვილს, ექ. თაყაიშვილს.

მასის ბოლო — ქართველთა შორის წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მინდობილობით პოტშებს ხელთუბნის სკოლას.

„... შარშან მასის გასულს მოვასვინე რევიზია ხელთუბნის სკოლას. სკოლა ვერა ვნახე სასურველ მდგომარეობაში“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 256).

ივნისის 3 — მოწინავე მასწავლებელთა პრემირებისათვის იაკობი წერა-კითხების გამავრცელებელ საზოგადოებას გადასცემს 150 განეთს.

„... ვუდგენ გამგეობას თხუთმეტს თუმანს უულს (150 გ.) იმ მიზნით, რომ ეს უული გაპყოს ხუთ სამ თუმნიან პრემიად და ჯილდოდ მისცეს: პირველი პრემია სამაგალითო მასწავლებელს გურიისას, მეორე პრემია ამისთანავე მასწავლებელს იმერეთისას რაჭითურთ, მესამე პრემია ... სამეგრელოსას სვანეთით და სამურზაყანოთურთ, მეოთხე ... კახეთისას და მეხუთე — ქართლისასა. ამ წლის ვანმავლობაში გამგეობა შეჟყრებს სანდო პირების შუამავლობით ცნობებს შესახებ მასწავლებელთა მოღვაწეობისას და უფრო ღირსეულთ მათგანს დაურიგებს პრემიებს მომავალის წლის იანვრისათვის“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 253).

ივნისის 4 — გაზეთ „ივერიის“ № 118-ში ქვეყნდება იაკობის წერალი „კასა სახალხო სკოლების მასწავლებელთათვის“, რომელშიც აყტორი აყენებს წინადადებას რომ „...ყოველგვარი აღვილობრივი ვამოცემანი, ქართულს ენაზე იქნებიან იგინი დაწერილი, თუ რესულზედ, სახალხო მასწავლებელთა კასის სასარგებლოდ გამოიღებენ ერთს პროცენტს...“ მასწავლებელთა პენსიებისა და პრემიებისათვის.

„ეს ღონისძიება უნდა განვახორციელოთ მომავალი წლიდგან, როდესაც ნამდვილად იწყება მეოცე საუკუნე.“

ხოლო მე — წერს იაკობი, — ამ წლიდგანვე ვაწყებ ხარჯის გაღებას, და ამ უკვე წარეუდგინე „წერა-კითხების საზოგადოებას“ თხუთმეტი თუმანი იმ მიზნით, რომ მან ეს უული ხუთ სამთუმნიან პრემიად გაპყოს და მისცეს პირველი პრემია სამაგალითო ხალხის მასწავლებელს გურიისას ... მეორე პრემია იმერეთისას რაჭითურთ, მესამე ...

სამეცნიეროსას სვანეთითა და სამურჩაყანობითურთ, მეოთხე — კანკოსას და მეხუთე — ქართლისას“.

ივნისის 8—10 — იაკობი აღ. მიქაბერიძესთან ერთად სენაკისა და აქ ამოწმებს ადგილობრივი სკოლის მუშაობას.

„თანახმად გამგეობის მონდობილობისა, ჩევნ მოვახდინეთ სენაკის სათავადაზნაურო სკოლის რევიზია ოთხი დღის განმავლობაში — 7 ივნისიდან ათ ივნისამდის, მხოლოდ გამგეობის წევრი ი. გოგებაშვილი I განყოფილების გამოცდის დროს ვერ დაესწრო, რადგანაც უქიმუობის გამო ტფილისიდან სენაკში მისვლა ერთი დღით დაუგვანდა“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 248).

ივნისის 23 — გაზეთი „ივერია“ (№ 134) საზოგადოებას ახალ ამბად აუწყებს ი. გოგებაშვილის „დედა-ენისა“ „ბუნების კარის“ სასულიერო სასწავლებლებში სავალდებულო სახელმძღვანელოდ მიღების შესახებ.

ივნისის 27 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1164) ბეჭდუქ ცნობას „რუსეთ სლოვოს“ სინოდის მიერ ახლად დამტკიცებულ საწავლო პროგრამებში შეტანის შესახებ.

ივნისის 13 — გაზეთი „ივერია“ (№ 150) ბეჭდავს ნარკვევს ერალ-გაზეთებიდან პარიზის გამოფენისათვის იაკობის მიერ დაწერილ მიმოხილვიდან «Школьное дело у грузин».

ივნისის 27 — გაზეთ „ივერიის“ № 161-ში ქვეყნდება აღ. ხახაშვილის „წერილი პარიჟიდგან“, რომელშიც საუბარია მსოფლიო პარიზის გამოფენაზე საქართველოდან წარდგენილ ექსპონატების, შათრის ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შესახებ.

აგვისტოს 10 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1206) საზოგადოებას აუწყებს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებზე ერევნის გებერნიიდან მოთხოვნის შესახებ.

სექტემბერი — თბილისში ფრანგულ ენაზე გამომავალ თავის ფურნალ „ილუსტრარებული კავკასიის“ № 10-ში მურიე ბეჭდავს იაკობის წერილს «Школьное дело у грузин», ამის შესახებ იაკობი გადმოგცემს:

„შემოდგომის დამდევში გაიცნო ჩემი წერილი კავკასიის ფრანგული 182

ლი უურნალის რედაქტორმა პ. ნმა მურიემ, საინტერესოდ სცნო თავისი მკითხველებისათვის და მოიწადინა მისი დაბეჭდვა თავის გამოცემაში... წერილი იქნა გადათარგმნილი ფრანგულად და დაბეჭდილი „მურიეს უურნალში“ (თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 280—281).

სექტემბრის 5 — გაზეთი „ივერია“ (№ 193) საზოგადოებას აუწყებს იმის შესახებ, რომ კავკავის ქართულ სკოლაში მასწავლებლებმა ა. გოგებაშვილის მეთოდით ჩაატარეს სანიშვით გაკვეთილები.

სექტემბრის 6 — იაკობი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სრულ საკუთრებად გადასცემს მის მიერ შედგენილ საყმაწვილო წიგნს „კონა ...“.

„გარდა იმ თხუთმეტის წიგნისა, რომელიც წარსულს გაზაფხულზე სრულ საკუთრებად გარდავეცი წერა-კითხვის საზოგადოებას, ამ უამაღ შესაძლებლად დავინახე სრულ საკუთრებათვე დაუუმო იმავე საზოგადოებას ჩემ მიერ შედგენილი საყმაწვილო წიგნი სახელწოდებით: „კონა ...“ იმ პირობით მხოლოდ, რომ თითო წიგნს გამგეობამ დაადოს ექვსი შაური ნაცვლად წინანდელის ათის შაურისა. ასეთი ფასის დაკლება შესაძლებელია, მით უმეტეს მე უფასოდ დავუთმობ სურათების კლიშეებსაც, რაშიც უული ბლობად მიღიოდა, რის გამოც გამოცემა თითო წიგნის „კონისა“ საზოგადოებას დაუჯდება სამ შაურად. ამას ისიც უნდა დაუუმატო, რომ ახალს, მესუთე გამოცემას, გამგეობა უნდა შეუდგეს დაუყოვნებლივ, რადგანაც მეოთხე გამოცემიდან ამ უამაღ გასასყიდად დარჩენილია მხოლოდ ორმოცი წიგნი“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 254—255).

სექტემბრის 7 — გაზეთის საშუალებით (ივერია, № 195) იაკობს მადლობას უხდიან გაბრიელ ეპისკოპოსის სახელობის ბიბლიოთეკისათვის დახმარების გამო.

სექტემბრის 16 — გაზეთი „ივერია“ (№ 201) აქვეყნებს ცნობას იაკობის სახელმძღვანელოს „რუსეთ სლოვო“ და მეთოდური სახელმძღვანელოს საქართველოს ფარგლებს გარეთ გავრცელების შესახებ, კერძოდ ყაზანიდან მათი დაკვეთის შესახებ: „ანდ. დუბრივინის წიგნის მაღაზია სწერს ყაზანიდან გრიბუროვის წიგნის მაღაზიას ტფილისში, რომ მან დაუყოვნებლივ გაუგზავნოს 150 ცალი «Русско-словенский словарь»-ს პირველი ნაწილისა, ამდენივე მეორე ნაწილისა. 25 ცალი „მე-

тогдюиси მასწავლებელთაოვის" და 5 ცალი «Разбор учебных руко-  
ководств по русскому языку». «Русское слово»-ს ავტორის კუ-  
დაუწყვეტია ამ დღეებში გაუგზავნოს ორივე ნაწილი «P. C.»-ს შე-  
თოდითურთ სამოსწავლო ოლქის უკელა მზრუნველებს რესერვში გა-  
საცნობად. იმედია მაშინ სხვა ოლქებიდგანაც მოითხოვენ, როგორც  
ყაზანის ოლქიდან ითხოვეს».

სექტემბრის 23 — გაზეთ „ივერიის“ (№ 207) ფურცლებზე გმი-  
ქვეყნებულ რ. აუციაურის კორესპონდენციაში საუბარია იაკობ გოგი-  
ბაშვილის მიერ სოფელ ვარიანში სკოლის დაარსების შესახებ.

ოქტომბრის 2 — კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საჭ-  
ჭო „რუსკოე სლოვოს“ ორივე ნაწილს ამტკიცებს ოლქის დაწყებით  
სკოლების სრულუფლებიან სახელმძღვანელოდ (თხ. ტ. 7, 1961,  
გვ. 609).

ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებას ინფორმაციას აწედიან გა-  
ზეობი „ივერია“ (8 ოქტ., № 219), „ცნობის ფურცელი“ (14 ოქტ.,  
№ 1267) და „კავკაზი“. ამ საკითხის ირგვლივ საზოგადოებას ინფორმაციას აწედიან გა-  
ზეობი „ივერია“ (8 ოქტ., № 219), „ცნობის ფურცელი“ (14 ოქტ.,  
№ 1267) და „კავკაზი“.

ნოემბრის 26 — გაზეთი „ივერია“ (№ 257) საზოგადოებას უკა-  
მერამდენეჯერ აუწყებს „რუსკოე სლოვოს“ ყაზანის, მოსკოვისა და  
პეტერბურგის წიგნის მაღაზიებიდან მოითხოვნის შესახებ.

ნოემბრის 29 — კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საჭ-  
ჭო. გოგებაშვილს აუწყებს მისი „მეთოდური სახელმძღვანელოს“...  
მოწონების შესახებ დაწყებით და საშუალო სკოლების ბიბლიოთეკ  
ბისათვის (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 439).

დეკემბრის 5 — გაზეთი „ივერია“ (№ 264) საზოგადოებას აუწყებს  
„ბუნების კარის“ მეთერთმეტე გამოცემის ბეჭდვის შესახებ.

დეკემბრის 16 — იაკობი წერილით („ყოვლად ლირსეული სტიქ-  
დია“. ივერია, № 273) ეხმაურება პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის  
სახელობის სტიპენდიის დაარსებას, ამასთან ფონდის გასამღიერებლა-  
გზავნის ოცდახუთ მანეთს და სხვებსაც მოუწოდებს წვლილის გაღ-  
ბას ამ ლირსეული საქმისათვის.

„ვგზავნი პროფესორ პეტრიაშვილის სტიპენდიის შესამატებლა-  
ც-და-ხუთს მანეთსა, და ვწუხვარ, რომ ამ უამაღ მეტის გამოლება ა

შემიძლიან. ვთხოვ ყველა შეგნებულს ქართველს, ნუ დაიშერებს თა-  
ვის წვლილს ამ ყოვლად ღირსეულის, მეტად სიმპატიური სტიპენდი-  
ას თანხის გასაძლიერებლად" (თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 203).

წლის ბოლო — გამოდის „უნივერსიტეტის“ შეთერთმეტე შევსე-  
ბული გამოცემა მრავალი ახალი სურათით.

თავფურცელზე გამოცემის წელი — 1900, გარეჯანზე: 1901.

\* \* \*

— 1900 (?) რუსულ პრესაში გამოსაქვეყნებლად წერს წერილს „კრიზისი საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკოლაში“. (წერილი  
მიმართულია ვოსტორგოვის წინააღმდეგ. ამის გამო მისი გამოქვეყნე-  
ბა აკტორის სიცოცხლეში არ მოხერხდა).

— ამ წელს გამოდის:

- „დედა-ენის“ შეთხუთმეტე გამოცემა.
- „კონა პირველდაწყებითი მოთხრობებისა...“ შეხუთე გამოცემა.
- „რუსეთი სლოვოს“ შეორე ნაწილის მეშვიდე გამოცემა.
- ზაქარია ჭიჭინაძის წიგნი „იაკობ გოგებაშვილი“. სერიით სამ-  
შობლო ქვეყნის მოღვაწენი. 56 გვ.

## 1901

იანვარი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის ნარკე-  
ვებს ბავშვებისათვის: „თამარ მეფის აღზრდა“, „ღვაწლი ივერიის  
მონასტრისა და თორნიკე ერისთავისა“ და „წმიდა ქვეყანა. ძველი და  
ახალი გზა საქართველოდან იერუსალიმში“ (ნარკევები ამოღებულია  
„ბუნების ქარის“ მომავალი გამოცემისათვის გამზადებული დედნი-  
დან).

იანვრის 2, 3 — გაზეთი „ივერია“ (№№ 2, 3) „ნაცნობის“ ხელ-  
მოწერით ბეჭდავს იაკობის წერილს «Школьное дело у грузин»-ის  
ქართულ თარგმანს, სათაურით: „ქართველთა სწავლა-განათლების  
ნიჭი? წერილის თარგმანი ეკუთვნის პეტრე მირიანაშვილს.

წერილს ახლავს მთარგმნელის შემდეგი შენიშვნა: „ეს წერილი

დამზადებული იყო პარიეის გამოფენისათვის და რაღგან საინტერესოდ დავინახეთ ჩვენი საზოგადოებისათვისაც, ამიტომ გაღმოვთარგმნულ ჩვენს „ცბეჭდავთ“.

იანვრის 10 — გაზეთი „ივერია“ (№ 7) ბეჭდავს ბუტი შევრენა წერილს სათაურით: „ხმა მორიდან (ბ-ნ იაკობ გოგებაშვილის წერილის გამო“), რომელიც წარმოადგენს გამოხმაურებას იაკობის წერილზე „ყოვლად დირსეული სტიპენდია“ (გასილ პეტრიაშვილის სახულობის სტიპენდიის დაარსების განზრახვის გამო).

თებერვალი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 2) ბეჭდავს იაკობის ნახვევს ბავშვთათვის „წმიდა გუნდი ცამეტთა კაპადოკიილთა მამათა“.

თებერვლის 4 — გაზეთები „ივერია“ № 28), „ცნობის უურცელი“ (№ 1373) ბეჭდავენ ცნობას „რუსკო სლოვოს“ სახელმძღვანელოზ დამტკიცების შესახებ და აქვეყნებენ დადგენილების ტექსტს. ანალიზიურ ცნობას აქვეყნებს „კვალი“ № 7), „მწყემსი“ (№ 6).

თებერვლის 6 — უმაღლესი სასულიერო მთავრობა იწონებს ი. გოგებაშვილის „მეთოდურ სახელმძღვანელოს“ ქართული საეკლესიის სამრევლო სკოლების მასწავლებელთათვის სახელმძღვანელოდ. ამის შესახებ „ივერია“ (№ 97) ბეჭდავს საინფორმაციო ცნობას: „უწმ. სანოდთან არსებულის სასწავლებელთა საბჭოს დადგენილებით ... რომელიც დამტკიცებულია სინოდის ობერ-პროკურორის მიერ, გადაწყდა: იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი «Руководство для учителей и учительниц к преподаванию «Русское слово» (მეორე გამოცემა...) — მოწონებულ იქნას მასწავლებელთა „სახელმძღვანელოდ“ ქართულ საეკლესიო-სამრევლო სკოლებში“. ანალიზიურ ცნობას აქვეყნებს „ცნობის უურცელი“ (№ 1467) და უურნალი „მწყემსი“ (№ 6).

თებერვლის 21 — გაზეთი „ივერია“ (№ 40) საზოგადოებას კანშეორებით აუწყებს ი. გოგებაშვილის მიერ შედგენილი წიგნის „კონაპირებული სამრევლო სკოლებში“-ს გამოსვლას და ბეჭდავს ამ წიგნის წინასიტყვაობას.

— ამ დღეს იაკობს ირჩევენ რაფიელ ერისთავის თბილისში და კრძალავი კომიტეტის შემადგენლობაში.

მარტი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 3) ბეჭდავს იაკობის ნარკევის გავშვთათვის „მეუე ღიმიტრი თავდაღებული და გიორგი ბრწყინვალე“.

გარტის 2 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1397) ბეჭდავს დ. საგირეთელის ვრცელ წერილს „საქართველოს წარმომადგენელი პარიზის მსოფლიო გამოფენაზე“. წერილი დაწერილია პარიზის გამოფენისათვის იაკობის სტატიის „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭის“ გამო და მის წინააღმდეგ.

„ამ თვის დამდეგს „ცნობის ფურცელში“ დაიბეჭდა ერთი იქლა-კანტური წერილი... წერილი ესე აშენებულია მოჭორილის არაეზე, რომელიც მოვლებულია ყოველს სიმართლესა. როგორც ყოველს კორს, ამ არაესაც მიზნად აქვს გათახსირება იმისი, რომლის წინააღმდეგ არის იგი შეთხხული“ (თხზ., ტ. 3, 1954, გვ. 229).

მარტის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 56) ბეჭდავს ცნობას საქართველოს რუსეთთან შეერთების საიუბილეო კომისიის განზრახვის შესახებ გამოსცეს საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორია, ამასთან საზოგადოებას აუწყებს, რომ იაკობ გოგებაშვილი უარს აშბობს ასეთი ისტორიის შედგენაში მონაწილეობის მიღებაზე.

მარტის შეა რიცხვები — უურნალ „კვალის“ № 12-ში ქვეყნდება იაკობის მიერ შედგენილი წიგნის „კონას...“ ბიბლიოგრაფიული მიმოხილვა.

მარტის 29 — გაზეთ „ივერიის“ № 71-ში იაკობი ბეჭდავს წერილს „ერთი ბოროტი არაეს გამო“, რომელიც წარმოადგენს პასუხს დ. საგირეთელის წერილისა — „საქართველოს წარმომადგენელი პარიზის მსოფლიო გამოფენაზე“, რომელშიც იაკობი დაწერილებით გადმოსცემს მისი სტატიის „ქართველთა სწავლა-განათლების ნიჭის“ დაწერის გარემოებებს და მაგალითების მოხმობით ცხადყოფს რეცენზენტის უსაფუძვლო ბრალდებებს.

— გაზეთის იგივე ნომერი აქვეყნებს ამონაბეჭდს გაზეთ „ტერსეიე ვედომოსტი“-დან ოსეთის სამრევლო სკოლებში ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოების შემოღების შესახებ.

აპრილის 10 — ხელთუბნის სკოლის (წინა წლის?) რევიზიის შედეგებზე იაკობი მოხსენებას უდგენს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას.

— ამავე დღეს საზოგადოების გამგეობას წერილობით მოახდენეს, რომ თანახმაა გასაღების უფლება დაუთმოს „ბუნების კარის“ მეოთხოეთში გამოცემისა.

აპრილის 12 — წერილს უგზავნის ექვთიმე თაყაიშვილს. ექვთიმე შეზე განაწყენებული იაკობი წერს: „თავად-აზნაურობის წინამდებარების, რომ დაგვავალა დაწერა წერილისა შესახებ სწავლა განათლების მდგომარეობისა საქართველოში, თქვენ უნდა იყისროთ, რადგანც ჩემდა სამწუხაროდ მე ვერ მოვიცლი ამ საქმისათვის. და ვერ მოვალი უმთავრესად იმის გამო, რომ თქვენმა სკოლის წოდებითმა, მან წავლებელმა კვლავ ასტეხა ჩემ წინააღმდეგ აყალ-მაყალი და ლიტერატურული ჭორიყანობა და ამ ჭორიყანობას ჯეროვანი პასუხესაჭიროება. ტყუილად აბრალებთ ამ ავი საქმის ატეხას გარეშე პირსა, რომ ბუღე აქ სააზნაურო სკოლაა, ამას არც მასწავლებლები მაღავენ და არც რედაქცია „ფურცლისა“. თქვენ უარყოფთ ამ უაქციალბათ იმიტომ, რომ იგი სათავილოდ მიგაჩნიათ სკოლისათვის.

საოცარი საქმე ხდება: როცა სააზნაურო სკოლას ესაჭიროება ჩემი დახმარება, იგი მავალებს ამ დახმარებას, დარწმუნებული რომ არას დავიშურებ, რაც კი შემეძლება. სამაგიეროდ ეს სკოლა არ იმურებს ჩემს წინააღმდეგ არც ერთ ლონისმიებას, რასაც კი ჩემი დაცირება შეუძლიან“. (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 296).

აპრილის 14 — საპასუხო წერილს უგზავნის ექვთიმე თაყაიშვილი, იაკობი საყვედურობს, რომ არ იჩენს მიუდგომლობას იმათ მიმართ ვინც მის წინააღმდეგ არა ლონისმიებას არ ერიდებიან.

„მიერდე თქვენი დიპლომატიური წერილი ... გწერთ არა დაძმატიურს სტრიქონებს პასუხად...“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 296).

აპრილის 30 — იაკობს სადილად პყავს მიწვეველი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი.

„დღეს სადილად ვიყავით მიწვეულნი იაკობ გოგებაშვილთან. სადილზე იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, ანტ. ფურცელაძე, ვახტანგ თელავე, ნიკო ცხვედაძე, პეტრე უმიკაშვილი და მე ...“ (ი. მეუნარგია, ნანა და გაგონილი ილიას შესახებ. 1937, გვ. 46).

მასის 4 — გაზეთი „ივერია“ (№ 97) საზოგადოებას აუწყებს, რომ „დღემდის ი. გოგებაშვილის „რუსეთი სლოვი“ იხმარებოდა საეკა

სიო-სამრევლო სკოლებში დროებით სახელმძღვანელოთ ...”, ხოლო სინოდის 6 თებერვლის დადგენილებით იგი ამიერიდან წარმოადგენს შედმიუ სახელმძღვანელოს სამრევლო სკოლებისათვის”.  
ანალოგიურ ცნობას 17 მაისს ბეჭდავს „ცნობის ფურცელი“  
(№ 1467).

მაისის 18, 19 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1468, 1469) ბეჭდავს იაკობის წერილის („ერთი ბოროტი არავის გამო“) საპასუხოდ დ. სავირეთელის წერილს — „დიდი სახელის მოხეჭის მსურველს (პასუხად ნაცნობს — გოგებაშვილს)“.

მაისის 24 — გაზეთი „ივერია“ (№ 110) „ვ-ლის“ ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის ბიბლიოგრაფიულ წერილს „მოზაურობა წმინდა ქალაქს ივრუსალიმსა და წმ. ათონის მთაზე, დეკანოზ პეტრე დავითის ძის კონჭოშვილისა, ტფილისი, 1901 წელსა“. 1901

ივნისის 1, 2 — გაზეთი „ივერია“ (№ № 116, 117) „ნაცნობის“ ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის ვრცელ წერილს ქართველი ერის მძიმე მდგომარეობისა და ამ მდგომარეობიდან მისი გამოსვლის გზების შესახებ, სათაურით: „ქართული მიმართულება“.

„ქარგად მოგეხსენებათ, რომ საზოგადო ასპარეზზე მოქმედი ადამიანი მხოლოდ მაშინ ეწევა გულის წადილს და იმარჯვებს, როდესაც მას გამორკვეული აქვს გზა ცხოვრებისა და შემუშავებული აქვს გეგმა და პროგრამა მოქმედებისა, ერთი სიტყვით აღჭურვილი არის ნათელი, განსაზღვრულის მიმართულებით, და ამასთან მხნედ ახორციელებს ამ თავისს მიმართულებას, პროგრამასა, — გვმოძლევრავს იაკობი და განავრმობს, — მით უმეტეს საჭიროა ამისთანა განსაზღვრული, ნათელი მიმართულება მთელის ერისათვის, მეტადრე იმისთანა ერისათვის, რომელსაც ბრძოლა არსებობისათვის მეტად გასძნელებია საზოგადოდ უკუღმართა გარემოებათა წყალობით.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ქართველი ერი სწორედ მისთანა გაჭირვებულს მდგომარეობაშია ჩავარდნილი, რათა ამ გაჭირვებამ არ იმატოს, არამედ შემცირდეს თანდათან და ბოლოს გაუჭირვებელ არსებობად გარდაიქცეს, საჭიროა გადაჭრილი გზა, მიმართულება, პროგრამა, თუ არა? არსებობს ქართული გეგმა მოქმედებისა, თუ ჩვენი ცხოვრების გზა ბინდ-ბუნდით არის მოცული? დააღ,

ქართველობას აქვს განსაზღვრული მიმართულება, გადაჭრილი სის. ბოლო პოლიტიკური სარწმუნოებისა ...". შემდეგ წერილის აუტორი ჩამოთვლის ერთს წარმატებათა საუძღვლებს, მის ბურჯვეს, აუკა-ლებლობად მიიჩნევს იმ დაბრკოლებებისაგან თავის დახსნას, რომელ-ბიც წინ ეღობებით ქვეყნის წარმატებებს.

„დიალ, ბატონებო, საჭიროა, ფრიად საჭიროა თავიდგან ავიცა-ლოთ ყველა ეს დიდი დაბრკოლებანი, რომლებიც წინ ეღობებიან შექ-ნის ქვეყნის წარმატებას, გვასუსტებენ, გვალარიბებენ, გადაშენების გზაზე გვაყენებენ და გვიქადიან გაქრობას პირისაგან მიწისა. ამა მოითხოვს არა მარტო საქართველოს სიკეთე, არამედ რუსეთის სა-ხელიცა. სხვა არა იყოს-რა, რას იტყვის ისტორია, თუ სსენგბული შე-ში ასრულდება. იგი იტყვის: „საქართველო მთელი ათასი წლიდან ებრძოდა აუარებელს მტრებსა, გადალახა, როგორც იყო, დიდი ის-ტორიული ოკეანე, რომელზედაც წამ-და-უწუმ ებრძოდა საშინელი ქარიშხალსა, და ბოლოს მიაშურა და მიადგა რუსეთის ნავთ-საღვურ-საო. მაგრამ იმედი გაუცრუვდა, ნავთ-საღვური ჭაობად აღმოუჩნდა, და მრავალტანჯული ერთ ჩაირჩო“.

რათა ეს ასე არ მოხდეს და ასე არ ითქვას, საჭიროა ჯეროვანი და დასაბუთებული შუამდგომლობა იყისროს მთავრობის წინაშე იმისთვის დაწესებულებამ, რომელსაც კანონი აძლევს ამის ნებასა. რუსეთის ამისთანა შუამდგომლობას კისრულობს ერობა, მაგრამ საქართველოს იგი ჯერ არ ღირსებია, თუმცა ქართველი ხალხისათვის ერობა არ ნაკლებ საჭიროა და სასარგებლო, ვიღრე რუსთათვის. ჩევნში ერთა ერთი წოდება, რომელსაც აქვს მინიჭებული ამისთანა შუამდგომლო-ბის უფლება, არის თავადაზნაურობა. იგი მოვალეა, როგორც უცუ-შიანი და დაწინაურებული წოდება, იხმაროს ყოველი ღონისძიება, ფა-ველი შუამდგომლობა იყისროს, რათა მთელს ჩევნს ერსა და თავის თავსაც ააცილოს თავიდგან ის დიდი დაბრკოლებანი, რომელიც გუ-შე ეღობებიან ჩევნს არსებობას და წარმატებას, და ჩევნი საშიში გა-მეტად გაჭირვებული მდგომარეობა გარდააქციონ საიმედო, მომავლა-ან მდგომარეობად.

თავად-აზნაურობის შუამდგომლობას ზურგი უნდა გაუმაგროს ჩევ-ნებურმა პრესამ, რომელმაც უნდა ხმა-მაღალი ღალადისი გააჩალოს ორსავე ენაზე, როგორც ადგილობრივ, ისე სატახტო გაზეთებში სა-ქართველოს გაჭირვებულს მდგომარეობაზე, დასახელებით იმ რეჟიმ-შებისა, რომელთაც შეუძლიანთ ფეხზე დააყენონ იგი“.

ივნისის 12 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობას უდგენს მოხსენებით ბარათს კავკავის ქართული სკოლის დაქეევითებული მდგომარეობის შესახებ და „ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად მოითხოვს სკოლის გამგედ ლუარსაბ ბოცვაბის დანიშვნას.“

„თუ ეს ჩემი აზრი შეწყნარებულ არ იქნება, კავკავის სკოლა უფრო კიდევ უკან წავა, და გამგეობას ბრალი დაედება“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 260).

ივლისის 6 — გაზეთი „ივერია“ (№ 145) „ვ-ლის“ ხელმოწერით აქცეულებს იაკობის წერილს „სამრევლო სკოლების შესახებ“ (თხზ., ტ. 3, 1954, სათაურით: „დეკანოზ ვოსტორგოვის პროექტი“), რომელშიც აკტორი ცხადყოფს სამრევლო სკოლების გარდაქმნის ახალი პროექტის უკარგისობას.

„დეკ. ვოსტორგოვის სამრევლო სკოლები ვერავითარ სიკეთეს ვერ მოუტანენ ჩვენს დაცემულ ხალხსა, უფრო კიდევ ძირს დასწევენ, — და ბევრად უკეთესი იქნება დაიკეტონ ივინი ჩვენში. მოგეხსენებათ, რომ სკოლა ორბირი ხანჯალია: აუკეთესებს და ასპეტაკებს ხალხს. თუ იგი გონივრულად არის მოწყობილი; აუგუნურებს და აეღლურებს, თუ უკულმართობის გზაზედ არის დაყენებული“.

ივლისის 10, 12 — გაზეთი „ივერია“ (№ № 148, 150) პეტავს იაკობის წერილს „სამრევლო სკოლების შესახებ“.

ივლისის 21 — გაზეთი „ივერია“ (№ 158) საზოგადოებას „ახალ ამბად“ აცნობს „რუსულ სლოვოს“ ჩრდილოეთ ოსეთის სკოლებში სახელმძღვანელოდ დაწესების შესახებ.

ზაფხული — პეტერბურგის თავისუფალი ეკონომიკური საზოგადოების წევრის გენრის ადოლფის ძე ფალბორკისაგან იაკობი ლებულის წერილს თხოვნით: დახმარება აღმოუჩინოს ტრაქტატის — „საერო განათლების მდგომარეობის“ შესადგენად მასალების შეგროვების საქმეში. და აგრეთვე თხოვს დაწეროს სტატია „განათლების მდგომარეობა საქართველოში“.

„ამ ზაფხულს ქალალდი მომივიდა Вольное экономическое общество-დგან, რომლებიც მოხვდნენ დამეწერა სტატია შესახებ,

„ხალხის განათლების მდგომარეობისა საქართველოში“ (თხზ., ტ. 9,  
1964, გვ. 351).

ამის შესახებ „ივერია“ (1902, № 3) შემდეგს წერს: „პეტერბურგი...  
ში არსებობს კერძო საეკონომიკ საზოგადოება, რომელმაც ერთ-ერთ  
თავის წევრს, სახელდობრ, გენრიხ აღლუის-ძე ფალბორკის მიანდო  
შედგენა საერთ განათლების მდგომარეობის გამოკვლევისა რესენტი.  
ფალბორკიმ იყისრა ამ საქმის მეთაურობა და დაიწყო მასალის შეკ-  
რიცხვება. მან მისწერა წერილები საერთ განათლების საქმის გულშე-  
მატკიცვართ და სთხოვა დახმარება მასალის მიწოდებით. ერთი ამის-  
თანა წერილი მოუვიდა სხვათა შორის წარსულს ზაფხულს ჩვენს პე-  
დაგოვს ბ-ნს ი. გოგებაშვილს“.

(უნდა ვიდარაუდოთ, რომ თანხმობის წერილს ფალბორკს დაკავ-  
უგზავნის წინადადების მიღებიდან რამდენიმე ხნის შემდეგ).

„ზაფხულში ვერ მოვიცალე ამ საქმისათვის, და იმედი მქონდა რომ  
შემოღვიძებები დავსწერდი...“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 351).

აგვისტოს 2 — ქართველთა შორის წერა-კთხვის გამაცერცელებე-  
ლი საზოგადოების გამგეობას თხოვს კავკავის სკოლის მასწავლებელ  
ლ. ბოცვაძე დააჯილდოვონ ხუთი თუმნით იმ ფულიდან, რომელიც  
მან წარუდგინა გამგეობას საუკეთესო მასწავლებელთა დასაჯილდო-  
ებლად.

ი. გოგებაშვილის ამ თხოვნის საფუძველზე საზოგადოების გამ-  
ცერება ადგენს: „ბ. ბოცვაძეს მიეცეს ჯილდოდ ხუთი თუმანი ერთგულა  
და სამაგალითო სამსახურისათვის იმ ფულიდან, რომელიც ბ. იყო  
გოგებაშვილმა შემოსწირა სამაგალითო მასწავლებლის დასაჯილდო-  
ებლად“ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 345).

შემოღვიძე (?) — იაკობი ადგენს სახალხო სკოლის რეფორმის  
პროექტს (სათაურით: «Как улучшить народную школу в Гру-  
зии») განათლების სამინისტროში წარსადგენად.

„სტატია დაწერილია ჩემ მიერ წარსადგენად განათლების სამი-  
ნისტროში ... განსაკუთრებით, საგანგებო დანიშნულება წერილისა მ-  
ვალებდა მე მიმეცა მისითვის უფრო მოხსენების (Записка) ხასიათი,  
ვიდრე ლიტერატურული ნაწარმოებისა, და სწორედ ისეთი ხასიათ  
აქვს მას ... ჩემს პროექტს აქვს ესრედ წოდებული ოპერატიული ან-  
პრაქტიკული ხასიათი და მიმართულება ...“ (თხზ., ტ. 3, 1954,  
გვ. 306).

სექტემბრის 11 — გაშეთი „ივერია“ (№ 196) საზოგადოებას უწევდებას ახალი ახალციხის საქალებო სკოლისათვის იაკობის მიერ გაგზავნილი წინგებისა და სხვა საჩუქრების შესახებ.

ოქტომბრის ბოლო — მონაწილეობს ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებაში, სადაც გამოდის კავკავის სკოლის გარშემო გამართულ კამათში.

ნოემბერი (?) — წერილს უგზავნის ნიკო ლომოურს გორში, წინა-დადებას აძლევს გაღმოვიდეს თბილისში და იყისროს გაზეთ „ივერიის“ რედაქტორობა.

საპასუხო წერილში ნ. ლომოური იაკობს წერს: „თქვენი წერილი ... წავითხოთ სიამოვნებით, მაგრამ მერე კი უსიამოვნება ვიგრძენი. დავ-ფიქრდი, გავითვალისწინე ჩემი სულიერი ძალა, ნიჭი, მომზადება და თქვენი წინადადების აზრი, ხასიათი და ძალაუნებურად უკან დავი-წიე ... სამწუხაროდ თქვენს ჩინებულს წინადადებას ვერ მივიღებ. რე-დაქტორად ყოველდღიური გაზეთისა ვერ გამოვდგები ...“ (ხელნაწერ-თა ინ-ტის მოამბე, ტ. 1, 1959, გვ. 249).

ნოემბრის 3 — გაშეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1630) ადგილს უთმობს იაკობის წერილს რედაქციისადმი სათაურით: „სიმართლის აღვანენა“. წერილი გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ „ცნობის ფურ-ცელში“ (№ 1626) გამოქვეყნებულ წერილში „წერა-კითხვის საზო-გადოების კრებაზე“ იაკობის გამოსვლის შესახებ აღნიშნული იყო, რომ მან ბევრი ილაპარაკა კავკავის სკოლის საკითხზე და მისი ნათ-ქვამი მიიჩნიეს ჭორად.

ნოემბრის 7 — იაკობი უარს ამბობს წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის წევრობაზე და ითხოვს მომავალ კრე-ბაზე მის მაგივრად კენჭი უყარონ სხვა კანდიდატურას.

„როცა წარსულს საზოგადო კრებაზე, თანახმად რამდენჯერმე გა-მორებულის სურვილისა ბევრის წევრის მიერ, მე უკან წავიღე უარი შესახებ კენჭის ყრისა, თან დავსმინე: მე უფლებას ვიტოვებ უარი ვან-ვაცხადო ამორჩევის შემდეგ გამგეობის წევრობაზე, თუ ამას, გარე-მოებათა მიხედვით, საჭიროდ დავინახამ მეთქი.

ესარგებლობ ამ უფლებით, უარს ვამბობ გამგეობის წევრობაზე და ვთხოვ გამგეობას ჩემს ადგილზე სხვას უყაროს კენჭი მომავალის კვირის საზოგადო კრებაზე (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 260).

— „ივერია“ (№ 243) ბეჭდავს იაკობის „წერილს რედაქციის შამართ“, რომელიც ავსებს მისისავე წერილს „სიმართლის აღდგენა“. წერილი გამოწვეულია „ცნობის ფურცლის“ რედაქციის მიერ იაკობის წერილის შინაარსის დამახინჯებულად დაბეჭდეის გამო.

ნოემბრის 11 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების კრებას იაკობი წერილობით თხოვს:

„... ჩადგანაც ამასთან ხნიერება და სიმრთელის სისუსტე ნებაა არ მაძლევს ჯეროვანი მხნეობით ვიშრომო საზოგადოების სასარგებლოდ. ამიტომ უმორჩილესად ვთხოვ საზოგადო კრებას განშაოთავისულოს გამგეობის წევრობიდგან და ჩემ მაგიერ ამოირჩიოს რომელიმე განვითარებული და მხნე ქართველი. დარწმუნებული უნდა ბრძანდებოდეთ, რომ თუმცა გამგეობას ვტოვებ, მაგრამ სრულს ჩემს თანავრძობას და დახმარებას არას დროს არ დავაკლებ იმ დიდ საქმეს, რომელსაც, შეძლებისამებრ ვემსახურებოდი ოცდა ორი წლის განმავლობაში“ (თხ. 9, 1962, გვ. 261).

ნოემბერ-დეკემბერი — იაკობის წერილებმა „სიმართლის აღდგენა“ (ცნობის ფურცელი, № 1630) და „წერილი რედაქციის მიმართ“ (ივერია, № 243), რომლებიც შეეხებოდა კავკავის სკოლის საკითხს ცხარე პრლემიკა გამოიწვია. „ივერია“ — „ცნობის ფურცელში“ ქვენდება წერილები: გ. ლასხიშვილისა „წერილი რედაქციის მიმართ“ (ივერია, № 245) და „პასუხად ბ. გოგებაშვილს“ (ცნობის ფურცელი, № 1641); გ. იოსელიანისა „კავკავის სკოლაზე ატეხილ კამათის გამო“ (ცნობის ფურცელი, № 1657); პ. გოთუასი „ღია წერილი ბ. ა. გოგებაშვილს“ (ცნობის ფურცელი, № 1638); გ. ნათაძის „საჭირო განმარტება“ (ცნობის ფურცელი, № 1154); პრესის მიმოხილვა (ცნობის ფურცელი, № № 1674, 1681); ლ. ბოცვაძისა, „ბ-ნ პ. გოთუა „ღია წერილის“ გამო“ (ცნობის ფურცელი, № 1655) კარიკატურება ი. გოგებაშვილზე (ცნობის ფურცლის სურათებიანი დამატება, № № 13, 15, 25) და სხვ.

— „ივერიის“ № 247-ში ქვეყნდება იაკობის წერილი „უკანასკნელი იინების გამო (პასუხად ბ-ნ ლასხიშვილსა)“, რაც გამოწვეულია გ. ლასხიშვილის მიერ გამოქვეყნებული წერილებით: „წერილი რედაქციის მიმართ“ (ივერია, № 245) და „პასუხად ბ. გოგებაშვილს“ (ცნობის ფურცელი, № 1641).

ნოემბრის 24 — ბათუმის სკოლაში მესამე მასწავლებლის მოსაწვევიდან წერა-კიხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობას გაუდის და დასცემს 200 მანეთს.

ამის შესახებ საზოგადოების გამგეობა აღვენს: „მაღლობით იქ-  
ნას მიღებული“ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 345).

ნოემბრის 25, 27 — გაზეთ „ცნობის ფურცლის“ № № 1651, 1653-ში ქვეყნდება იაკობის წერილი „პასუხი ბ-ნს გოთუას“. წერილი წარმოადგენს პასუხს პ. გოთუას წერილზე „დღა წერილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს“ (ცნობის ფურცლი, № 1638).

ნოემბრის 27 — გაზეთ „ივერიის“ № 257-ში „ვ-ლის“ ხელმოწერით კავკავის სკოლის საკითხზე ქვეყნდება იაკობის წერილი „საქმეში ჩახელულის მეტამორფოზა (პასუხად ბ-ნს ყუმისთაველს)“.

დეკემბრის დასაწყისი — მონაწილეობს თბილისის თავად-აზნაურთა საგანგებო კრებაში. იაკობი გამოსთვამს აზრს თავად-აზნაურთა შეიღების განათლებისათვის გადადებული ფულის მოხმარების შესახებ (ივერია, № № 267—269).

დეკემბერი (?) — წერილს უგზავნის ალექსანდრე ხახანაშვილს მოსკოვში. ესაუბრება პეტერბურგის თავისუფალი ეკონომიური საზოგადოებისაგან მიღებული წერილის შესახებ, რომლითაც ოხოვდნენ სტატიის დაწერას სახალხო განათლების მდგრადირეობის შესახებ საქართველოში. ატყობინებს, რომ სხვადასხვა მიზეზების გამო უარს უთქმის და სამავისროდ უსახელებს აღ. ხახანაშვილს. ოხოვს დასთანმდეს მათ წინადადებას, თავის მხრივ პირდება დახმარებას მასალების მიწოდებით.

„ზაფხულში კერ მოვიცალე ამ საქმისათვის, და იმედი მქონდა, რომ შემოდეობაზე დავსწერდი; მაგრამ სიმრთელემ მიმტყუნა და სხვა აქტებიც აღმიჩნდა. ამიტომ ტელეგრამა მიასწერე უარისა და კურ-ზე თქვენ მოგმართონ თხოვით. უარს ნუ ეტყვით, თქვენებურად, ვოცხლად და სხარტულად დაწერილს წერილს შესახებ ხალხის გა-ათლების ქართველთა შორის დიდი მნიშვნელობა აქნება და ყველა-

საგან დიდი მადლობას დაიმსახურებთ. ჩა მასალებსაც მოგვთხოვ აქე-  
დან გამოგიგზავნით" (თბზ., ტ. 9, 1962, გვ. 351).

საქართველო  
სახელმწიფო მუზეუმი

დეკემბრის 5 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1661) ბეჭდავს  
იაკობის წერილს „პასუხი მამა გიორგი ნათაძეს“, რომელიც გამოწევ-  
ულია გ. ნათაძის წერილით „საჭირო განმარტება“ (ცნობის ფურც-  
ლი, № 1654).

დეკემბრის 16 — გაზეთ „ივერიის“ № 273-ში იბეჭდება იაკობის  
პოლემიკური სტატია „ბ-ნი იოსელიანის წერილის გამო“, რომელიც  
გამოწევულია გიორგი იოსელიანის მიერ გამოქვეყნებული წერილით  
„კავკავის სკოლაზე ატენილი კამათის გამო“.

წერილს აქეს აფტორის შემდეგი შენიშვნა: „ეს წერილი გავვჩავ-  
ნეთ დასაბეჭდად „ცნობის ფურცელში“, სადაც აღიბეჭდა წერილი  
ბ-ნი იოსელიანისა. რედაქცია ჩავარდა საგონებელში და რამდენსამე-  
დდეს ვერ გადასწყიტა ვერც დაბეჭდვა და ვერც დაუბეჭდელობა.  
ბოლოს უარი შემომითვალია, ალბად ამ მოსაზრების ძალით: ეს წერი-  
ლი ბ-ნი იოსელიანის ციტატებით ჩვენც გვამტყუნებს, უკანასკნელი  
პოზიციას გვართმევს და ცილის მწამებლად გამოვდივართ ჩვენის  
მკითხველის თვალში და ისიც ჩა დროს? როდესაც ხელის მოწერ:  
გაზეთში იწყებათ“.

დეკემბრის 23 — გაზეთი „ივერია“ (№ 279) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს „სიმართლის შიში“, რომელიც გამოწევულია „ცნობის ფურც-  
ლის“ უარით დაბეჭდოს იაკობის საპასუხო წერილი „ბ-ნი იოსელია-  
ნის წერილის გამო“ და გაზეთის № 1674-ში გამოქვეყნებული პრესის  
მიმოხილვაში რედაქციის უსაფუძვლო თავისმართლებით.

დეკემბრის 24 — ქართველთა შორის წერა-კითხვის გამაერცელე-  
ბელი საზოგადოების გამგეობას სთხოვს: „იმ თხუთმეტის თუმნიდან,  
რომელიც მე შემოვწირე დასახმარებლად სამასწავლებლო ფონდისა,  
დარჩენილია ათი თუმანი ფული. რადგანაც ამ ფონდისათვის სხვა  
არავინ შემოსწირა ფული და იგი ამის გამო არ დაფუძნდა. ამის გამი  
ვთხოვ გამგეობას ამ ათი თუმნით ოც დარიბს სახალხო სკოლას და-  
უკვეთოს საბავშვო უურნალი „ჯეჯილი“ მომავალის წლისათვის“  
(თბზ., ტ. 9, 1962, გვ. 261).

საზოგადოების გამგეობა აქმაყოფილებს ი. გოგებაშვილის თხუ-  
ნას და უურნალ „ჯეჯილის“ რედაქციას გადასცემს ას მანეთს, ხოლი

სეკლების დასახელებას ანდობს თვით გოგებაშვილს (თხზ., ტ. 10,  
1965, გვ. 345).

დეკემბრის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 283) ბეჭდავს იაკობის წერილს „სიცრუის ბოლო“. წერილი გამოწვეულია „ცნობის ფურცლის“ რედაქციისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამ-  
გობის არასწორი პოზიციით კავკავის სკოლის საკითხის გარკვევაში.

\* \* \*

— ამ წელს იაკობი გამოსცემს თავისი მოთხრობების კრებულს, სახელწოდებით: „აკიდო ანუ კრებული საყმაწვილო მოთხრობათა“, დაწერილი იაკობ გოგებაშვილის მიერ. თბ., გამოცემა ქუთათური ამ-  
ხანაგობისა, 1901, 63 გვ.

წიგნი შეიცავს 24 მცირე მოცულობის მოთხრობას, მათგან უმრავ-  
ლესობა (18) ი. გოგებაშვილს ეკუთვნის.

## 1902

იანვრის 1 — ქვეყნდება საახალწლო ექსპრომტები საზოგადო მოლ-  
ვაწეებისადმი, მათ შორის იაკობ გოგებაშვილისადმი (ივერია, № 1).

იანვრის 4 — გაზეთ „ივერიას“ (№ 3) უურცლებზე ქვეყნდება წე-  
რილი „პირველ-დასაწყის საერთ განათლების შესახებ ჩვენში“, რო-  
მელშიც ჩართულია პენრის ფალბორკის წერილი თხოვნით ი. გოგე-  
ბაშვილისადმი, საქართველოს სკოლების შესახებ ცნობების მიწოდე-  
ბის შესახებ.

იანვრის 6 — გაზეთი „ივერია“ (№ 5) ბეჭდავს იაკობის წერილს, სათაურით: „სავალდებულო დახმარება“. წერილი წარმოადგენს მო-  
წოდებას, უმთავრესად მასწავლებლებისადმი, მიაწოდონ საჭირო ცნო-  
ბები პროფესიონალური აღ. ხახანაშვილს სახალხო განათლების შესახებ სა-  
ქართველოში, რამდენადაც ამ უკანასკნელს უკისრნია ტრაქტატის და-  
წერა „პირველ-დასაწყისი განათლების შესახებ საქართველოში“.

იანვრის 8 — გაზეთი „ივერია“ (№ 6) ბეჭდავს პ. გოთუას კადევ  
ერთ პოლემიკურ წერილს კავკავის სკოლის დაქვეითების გამო, სათა-  
ურით: „იაკობ გოგებაშვილის წერილების გამო“.

იანვრის შუა რიცხვები — ქართველ თავადაზნაურთა წინამდებრების მელიქიშვილს პეტერბურგში, განათლების სამინისტროში. წარსახდებისად მიაქვს იაკობის მიერ შედგენილი მოხსენება-პროექტი სახლების სკოლის განახლების შესახებ საქართველოში — «Как улучшить народную школу в Грузии» (თხ., ტ. 3, 1954, გვ. 306).

იანვრის 16 — გაზეთი „ივერია“ (№ 12) ბეჭდავს იაკობის უკანასნელ პოლემიურ წერილს კავკავის სკოლის შესახებ, სათაურით: „მამაცური ცრუპენტელობა (პასუხად ბ-ნს გოთუას)“, რომელიც განწვეულია პ. გოთუას ბოლო წერილით (ივერია, 1902, № 6).

— გაზეთის იმავე ნომერში იძეჭდება წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის მაღლობა იაკობ გოგებაშვილისადან ბათუმის სკოლისათვის 200 მანეთის შეწირვის გამო.

იანვრის 17 — გაზეთი „ივერია“ (№ 13) ბეჭდავს იაკობის წერილს „ქართველი ერის დაქუცმაცება“ (თხ., ტ. 3, 1954, სათაურით: „კალენდრებიც ჩერნა გვძრიყვობენ“), რომელიც შეეხება გერცენშტაინის მიერ შედგენილ და გამოცემულ «Тифлисский настольный календарь»-ში მოყვანილ მცდარ ცნობებს თბილისში მცხოვრებ ქართველთა შესახებ.

იანვრის 19 — სოფელ დვირის სკოლისათვის წიგნების გაგზავნა გამო მასწავლებელი ი. შუბლაძე გაზეთის საშუალებით მაღლობას უკადებს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებასა და ი. გოგებაშვილს (ცნობის ფურცელი, 1902, № 1701).

იანვრის 20 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1702) აქვეყნებს თბილისის დურგალთა ამხანაგობის გამგეობის მაღლობას წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა და იაკობ გოგებაშვილისადან ამხანაგობის შეგირდებისათვის წიგნების შეწირვის გამო.

იანვრის 28 ან 29 — იაკობი ათვალიერებს გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენას.

„წავიყითხე „ივერია“-ში რეცენზია ბ-ნ გ. გაბაშვილის სურათების გამოფენის შესახებ! წავიყითხე და შემრცხვა: თითქმის სრული ერთ

<sup>1</sup> რეცენზია გამოქვეყნდა 27 იანვარს.

თვეება, რაც გამოფენა გაიმართა, და მე კა ვერ მოვახერხე მისელა / და ათვალიერება იმისი ...

შემჩრევა-მეთქი, მოგასსენეთ, და ვალის პირნათლად გადასახ- დელად გავემურე გოლოვინის პროსპექტისაკენ.

ვნახე გამოფენილი სურათები ...“ — წერს ი. გოგებაშვილი (ივე- რია, 1902, № 24).

იანვრის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 24) ბეჭდავს იაკობის წე- რილს (ხელმოწერა: „გ-შვილი“) გიგო გაბაშვილის გამოფენის შთა- ბეჭდილებებზე სათაურით: „სხვათა შორის“ (თხზ., ტ. 3, 1954, სათა- ურით: „გიგო გაბაშვილის სურათების გამოფენის გამო“).

— გაზეთის ივივე ნომერში ქვეყნდება ცნობა ი. გოგებაშვილის მიერ ხონის ქალთა პროგიმნაზიისათვის წიგნების საჩუქრად გაგზავნის შესახებ.

თებერვლის 2 — იაკობი წერილს უგზავნის ალექსანდრე ხახანა- შვილს მოსეკოში. ატყობინებს იმ მასალების შეგროვების თაობაზე, რომელიც საჭიროა სტატიისათვის: „სახალხო განათლების მდგომა- რეობა საქართველოში“.

— ამ დღეს გაზეთ „ივერია“ (№ 27) ბეჭდავს მასწავლებელ ბახტაძის მადლობას იაკობ გოგებაშვილისადმი ხონის ქალთა პრო- გიმნაზიის ბიბლიოთეკისათვის წიგნების საჩუქრად გაგზავნის გამო.

თებერვლის 14 — გაზეთი „ივერია“ (№ 37) მკითხველს აუწყებს („იმპერეტის ამბები“) ხონში დაარსებულ დარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების საპატიო წევრად იაკობ გოგებაშვილის არჩევას.

მარტის 8 — სოფელ უდეს სკოლის მოსწავლეთათვის სახელმძღვა- ნელოების უფასოდ გაგზავნისათვის ამ სკოლის მასწავლებელი ი. ბა- რიკალაშვილი იაკობს გაზეთის საშუალებით (ივერია, № 51) მადლო- ბას მოახსენებს.

მარტის 19 — ჩუღურეთისა და ნაძალადევის სკოლის გამგენი გა- ზეთის საშუალებით (ცნობის ფურცელი, № 1757) იაკობს მადლობას უხდიან წიგნების შეწირვისათვის (იხ. აგრეთვე: ივერია, № 64).

შარტის 23 — გაზეთ „ივერია“ № 64-ში იაკობი ბეჭდავს წერილ, რედაქციისადმი სათაურით: „მეტი გულებითილობის ნაყოფი“.

„მოგეხსენებათ, რომ ერთი სიმპატიური თვისება გულებითილობისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი აზიადებს სხვის სიკეთეს და თავისას—ეს ამცირებს. სწორედ ამგვარის გულებითილობით უნდა ავსინას ამბავი, რომ ორის ახლად გახსნილის თბილისში საკეირაო სკოლის გამგე ქალბატონებმა ჩემი მცირედი შეწირულება ამა სკოლათ, სასარგებლოდ გაასამჟეცეს. მე გავუგზავნე ამ სკოლებს 25 ქართული სახელმძღვანელო და იმდენივე რუსული სახელმძღვანელო, რომელთა დირებულება არ აღემატება ორს თუმანსა. მათ-ეს თქვენს გაშემო გამოაცხადეს, ვითომც მე შემეწიროს ხუთი თუმნის წიგნები...“

შარტის 28 — გაზეთი „ივერია“ (№ 67) საზოგადოებას აუწესებს „ახალ ამბად“ კონსტანტინე ზუბალაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის მიერ (100 მან.) ფულის შეწირვას დარიბი სკოლებისათვის უკრნალ „ჯეჯილის“ გამოსაწერად.

შარტის 30 — გაზეთი „ივერია“ (№ 69) ბეჭდავს იაკობის წერილ რედაქციისადმი, სათაურით: „ნამდვილი შემწირველი“, რომლითაც აეტორი მოითხოვს მასწავლებელთა ფონდის დაარსებას.

შარტის 31 — აპრილის 2, 3, 4, 7, 9 — გაზეთი „ივერია“ (№№ 70—73, 76, 77) ბეჭდავს იაკობის სტატიას „როგორ უნდა მოწყობოს უკეთესად სასოფლო სკოლა?“.

აპრილი — უურნალი „ჯეჯილი“ (№ 4) ბეჭდავს იაკობის მოთხრობებს საქართველოს ისტორიიდან: „საშინელი სასჯელი მოლალატია“ და „ქართველთა მეცე გლეხის ოჯახში სტუმრად“.

აპრილის 6 — გაზეთი „ივერიის“ № 75-ში იაკობი ბეჭდავს „საჭირო განმარტებას“ თავისს ვრცელ სტატია-პროექტის („როგორ უნდა მოწყობოს უკეთესად სასოფლო სკოლა?“) გარშემო.

„ჩემი სტატია ხალხის განათლების შესახებ, რომელსაც ამჟამად პბეჭდავს „ივერია“ თავისს ფურცლებზედ, დაწერილია წარსულს შემოდგომას რუსულს ენაზედ ამ სათაურით: «Как улучшить народную школу в Грузии». ქართული თარგმანი ეკუთვნის თვით რედაქციას და არა მე. სტატია დაწერილია ჩემ მიერ წარსადგენად განა-

თლების სამინისტროში... მისი წარდგენა სამინისტროში იკისრა  
ქართველ თავაღ-აზნაურობის წინამდლობრი თავადმა მელიქიშვილ-  
ვა ...” (თხ. ტ. 3, 1954, გვ. 306).

აპრილის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 79) საზოგადოებას აუწყებს  
შემდეგს: „გუშინ-წინ პეტერბურგიდან გვაცნობეს, რომ ბ-ნ იაკობ  
გოგებაშვილის წერილი სახალხო სკოლების გაუმჯობესების შესახებ  
წარედგინა სახალხო განათლების მინისტრს ...“.

აპრილის 21 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1786) აქვეყნებს  
უცნობი ავტორის (№ № ხელმოწერით) „მცირე შენიშვნას“ იაკობ  
გოგებაშვილის მოსაზრების წინააღმდეგ, ხუცური ანბანის სკოლებში  
ხმარების გარშემო.

აპრილის მეორე ნახევარი — წიგნად გამოდის (ავტორის გამოცე-  
მით) იაკობის ნაშრომი «О грузинском и русском алфавитах с  
педагогической точки зрения» (ივერია, 1902, 21 აპრ., № 72).

ამ ნაშრომით ავტორი ერთხელ კიდევ ნათელყოფს ქართულ სკო-  
ლებში რუსული ასოების პირდაპირი (სწორი) წერის უპირატესობას.  
ამასთან დაკავშირებით გან. „ივერია“ (№ 143) აქვეყნებს სარედაქ-  
ციონ განცხადებას: „ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლებში რუსული  
სწორი წერის შემოღების თაობაზედ, ბ-ნ ი. გოგებაშვილისაგან ჩვენ  
მივიღეთ შემდეგი ბარათი: „გთხოვთ გამოაცხადოთ, რომ მე არავი-  
თარი მოხსენება ქართლ-კახეთის სამოსწავლო საბჭოსათვეის არ წარ-  
მიდგენია; ჩემი აზრი შესახებ პირდაპირის წერის უაღრესობისა გა-  
მოვსთქვი ორს რუსულს წიგნაკში «Нормальное письмо» და «Гру-  
зинский и русский алфавиты с педагогической точки зрения». და თუ მართლა ხსენებულმა საბჭომ ნება დართო ქართულს სკოლებ-  
ში რუსულის პირდაპირის წერის შემოღებისა, თანახმად ჩემის აზრი-  
სა, ეს აზრი უნდა შეეწყნარებინა ამ წიგნაკში გამოთქმულის შეხე-  
ღულების მიხედვით და არა ჩემის არ არსებულის მოხსენების ძალით“.

მაისის 5 — გაზეთი „ივერია“ (№ 95) ბეჭდავს იაკობის წერილს  
„დაურდვეველი კავშირი“ (თხ. ტ. 3, 1954, სათაურით: „დაურდვე-  
ველი კავშირი ქართული ტერიტორიისა და ქართველის ერის შორის“).

მაისის 14 — გაზეთი „ივერია“ (№ 100) ბეჭდავს იაკობის წერილს

„ქართველთა ერის გაუმჯობესება“ (შემდგომში თვით იაკობი ცელის სათაურს „ქართველთა ერის მოდგმის გაუმჯობესება“), ასეთი დანართი არ არის.

მაისის 25 — გაზეთი „ივერია“ (№ 108) ბეჭდავს იაკობის წერილს „უსამართლო ბრალდება (პასუხად „ცნობის ფურცელს“). (შემდგომში იაკობი უცვლის სათაურს: „უსამართლო ბრალდება მესამოცე წლების მოღვაწეებზე).“

იაკობის ეს წერილი გამოწვეულია „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული შემდეგი ბრალდებით: „აფხაზეთში მთავრობის მოსპობის შემდეგ, უფრო-კი უკანასკნელ რეს-ოსმალოთა ომის შემდეგ, შევ ზღვის ნაპირებს მთავრობამ დიდი ყურადღება მიაქცია და უნდოდა დაუსრულებელის ომების წყალობით ვერანად ქცეული მხარე დაქახლებინა. ამ დროს ჩვენ გლეხ-კაცობას გულ-შემატკივარი ვინჩე რომ პყოლოდა, მთელი ეს შშვენიერი მხარე ქართველებით იქნებოდა დასახლებული. მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, მაშინ იმ საშეილოშვილ საქმისათვის თითქმის არავის მცირე ყურადღებაც არ მიუქცევაა.“

„ეს სიტყვები რომ სამართლიანი იყოს, — წერს იაკობი, — მესამოცე წლების ქართველი ინტელიგენცია თავიდგან ვერ აიცილებდა ამ ფრიად მმიმე ბრალდებას, მაგრამ ეს ბრალდება ნაყოფია სრული უცოდინარობისა. დასამტკიცებლად ამისა მე მოგითხოვთ ამბავს ერთ ჩემი წერილისას ხსენებულის საკითხის შესახებ, რომელიც სხვ შხრივაც არის საყურადღებო“, და შემდეგ იაკობი დაწერილებით გამოსცემს, თუ როგორ დაიცვა ერის უფლება და სამართლიანობა საქართველოს ამ განუყოფელ მიწაზე უტყუარი ფაქტებით.

— გაზეთის იგივე ნომერი საზოგადოებას შეახსენებს, რომ იაკობ გოგებაშვილმა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სამუდამოდ შესწირა მისი ავტორობით გამოცემულ 16 წიგნი საავტორო პონორარზე უარის თქმით ...

მაისის 26 — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 1819) პრესის მომხილვას მთლიანად მიუძღვნის იაკობის წერილს აფხაზეთის ტეროტორიის დასახლების საკითხზე დაბეჭდილ წერილს „უსამართლო ბრალდება“.

ივლისის დასაწყისი (?) — იაკობი იღებს წერილს ბერლინიდან ი. ვილენსკისაგან, რომელიც თხოვს რჩევა-დარიგებას ქართული ენის,

ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის შესწავლის საქმეში  
(ივერია, 1902, № 146, გვ. 2).

ივლისის 9 — გაზეთი „ივერია“ (№ 143) ბეჭდავს იაკობის ბარათს  
ქართლ-კახეთის საეპარქიო სეოლებში რუსულის სწორი წერის თა-  
ობაზე.

ივლისის 11 — გაზეთი „ივერია“ (№ 145) საზოგადოებას აუწყებს  
იაკობის სამურნალოდ წასვლას კავკასიის მინერალურ წყლებზე.

ივლისის 12 — გაზეთ „ივერიის“ № 146-ში იაკობი აქცენტებს წე-  
რილს რედაქციის მიმართ, სათაურით: „ორ-გვარი აზრი“. წერილი  
გამოწვეულია „ივერიაში“ (№ 145) გამოქვეყნებული უარყოფითი რე-  
ცენზით 6. გიგაურის მიერ თარგმნილ და გამოცემულ წიგნზე „ის-  
ტორია ბავშვის მდგომარეობისა“.

„ამ წიგნის შესახებ გამოიტქვა ქართულს პრესაში ორი ერთმანე-  
თის წინააღმდეგი აზრი: ჩვენმა მოუღალეობა პროფესორმა ხახანა-  
შვილმა იგი აღიარა ფრიად სასარგებლო წიგნად და ინატრა, რომ  
ყელა შეგნებულს ქართულს ოჯახში გაჩენილიყო ეს წიგნი. გუშინ-  
დელს „ივერიაში“-ის სრულიად წინააღმდეგი აზრი ამოვიყითხე...  
ჩვენ სრული გულით ვისურვებთ ამ სასარგებლო წიგნის გავრცელებას  
ჩვენს საზოგადოებაში ...“

აგვისტოს ბოლო (?) — გამოდის იაკობის წიგნის «Правда о  
Тифлисе»-ს მეორე შევსებული გამოცემა (ივერია, 1902, № № 191,  
201).

სექტემბერი (?) — წერილთან ერთად თავის ახლად გამოსულ წიგნს  
«Правда о Тифлисе» უგზავნის ნიკო ლომოურს გორში, ამასთან  
ერთად 6. ლომოურის მოთხოვნით აწვდის ცნობას ხანის პაჯი ჩაღა-  
ბის შესახებ (ხელნაწერთა ინ-ტის მოამბე, ტ. 1, 1959, გვ. 248).

სექტემბრის 3 — გაზეთ „ივერიის“ № 186-ში ქვეყნდება გაზეთის  
შეთაურად იაკობის წერილი „ტფილისი, 3 სექტემბერს“ სამეგრელოში  
შეგრულ კილოკავებზე სწავლების მომხრეთა წინააღმდეგ (შემდგომში  
იაკობი ამ წერილს ასათაურებს: „ბოროტი წადილი სამეგრელოს შე-  
სახებ“).

ოქტომბრის 13 — გაზეთი „ივერია“ (№ 218) საზოგადოებას აუწ-

ყებს, რომ ა. გოგებაშვილის მიერ „დამზადებულია ვრცელი წერილი რუსულ ენაზე სათაურით: «К вопросу о мингрельской начальной школе...»

ოქტომბრის შუა რიცხვები — საპასუხო წერილს დებულობს (10 ოქტომბრის თარიღით ნიკო ლომოურისაგან გორიდან. მაღლობას უძის თავისი წიგნის «Правда о Тифлисе»-ს გაგზავნისა და ხანის პაჯი ჩალაბის შესახებ ცნობების მოწოდებისათვის (ხელნაწერთა ან-ტის მოამბე, ტ. 1, 1959, გვ. 248).

ნოემბრის 10 — გაზეთ „ივერია“ № 241-ში იაკობი აქევენებს „წერილს რედაქციის მიმართ“, რომლითაც საზოგადოებას თხოვს პარადი წერილების, დეპეშების ბინის მისამართზე გამოგზავნას.

ნოემბრის 17 — გაზეთი „ივერია“ (№ 247) „გ-შვილის“ ხელმოწერით ბეჭდავს იაკობის წერილს „სხვათა შორის“ (თხზ., ტ. 3, 1954, სათაურით: „პ. უმიკაშვილის წერილის გამო“), რომელშიც გმობს პეტრე უმიკაშვილის აზრს დედათა სკოლის დაარსების საკითხზე.

ნოემბრის 19 — გაზეთი „ივერია“ (№ 248) „ვარიანტის“ ფსევდონიმით ბეჭდავს იაკობის წერილს „პედაგოგიური კონტრაბანდა ანუ სახელოვანი «Kypre»-ი ბ-ნ ლევიცკისა“.

წერილის დასასრულს ავტორი აკეთებს დასკვნას: „დასაცლეოს საქართველოს სახალხო სკოლას მხოლოდ მაშინ გაუთვნდება, როდენაც იგი თავიდგან მოიშორებს ბ-ნი ლევიცკის პოლიტიკანურს და უგვანო «Kypre»-სა, შემოიღებს მის სანაცვლოდ პედაგოგიურად შემუშავებულს რუსულ სახელმძღვანელოსა...“

ნოემბრის 26 — გაზეთი „ივერია“ (№ 253) „ვარიანტის“ ფსევდონიმით ბეჭდავს იაკობის წერილს „სენის მიზეზი და წამალი“ (შემდგომში ავტორი აძლევს სრულ სათაურს: „ეროვნული სენის მიზეზი და წამალი“). წერილი ეძღვნება სკოლებში ქართული ენის სწავლების საკითხს.

დეკემბრის დასაწყისი — გაზეთი „ნოვო თბოზრენიე“ (№ 6244) აქევენებს იაკობის «Письмо в редакцию», რომელიც შეეხება ბათუმის ობექტის ქართველ მამალიანთა თსმალებად წოდების საკითხს.

დეკემბრის 6 — გაზეთი „ივერია“ (№ 262) ეხმაურება „ნოვო

„ბოზრენიეში“ გამოქვეყნებულ იაკობის წერილს ბათუმის თალქის ქართველ მაპმადიანთა შესახებ და ბეჭდავს „ნარკევს“ ამ საკითხზე:

დეკემბრის 17 — ქართველ ქალთა ამხანაგობის სამკერვალო სკოლის ხელმძღვანელობა მაღლობას უტხადებს თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებას, აგრეთვე ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს ამ სკოლისათვის დახმარების გაწევის გამო.

დეკემბრის 21 — გაზეთი „ივერია“ (№ 274) მეთაურად („ტუოლის, 21 დეკემბერი“) ბეჭდავს იაკობის წერილს, რომელიც მიმართულია გაზეთ „ცნობის ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილის წინააღმდეგ: სადაც გატარებულია აზრი: „ქართველობას ზურგი შექცეული აქვს ეროვნებისათვის და მონატრულია გადაგვარებისათვის“.

დეკემბრის 25 — გაზეთი „ივერია“ (№ 277) ბეჭდავს ალ. ფრონელი-ყიფშიძის წერილს ახალციხის ამბების შესახებ, რომელშიც აღნიშნულია ახალციხის ქალთა სკოლისადმი იაკობ გოგებაშვილის მიერ გაწეული დახმარება.

\* \* \*

— ამ წელს გამოდის:

- „დედა-ენის“ მეჩიდმეტე გამოცემა.
- „ასპინძის ომის“ მესამე შევსებული გამოცემა.
- „ბუნების კარის“ მეთორმეტე შევსებული გამოცემა.
- „თავდადებული ქართველი“. მეორე გამოცემა.
- „სხივი წარსულისა“. მესამე გამოცემა.
- „რუსეთ სლოვოს“ პირველი ნაწილის მეცხრე და მეორე ნაწილის მერვე გამოცემები.

1903

იანვრის 3 — მოსკოვის ქართველ სტუდენტებისათვის თავისი გამოცემების გაგზავნისათვის სილ. გაბუნია სტუდენტთა სახელით მაღლობას უხდის გაზეთის საშუალებით (ივერია, № 2) უერნალ-გაზერების რედაქციებს, იაკობ გოგებაშვილს და სხვებს.

იანვრის დასაწყისი — გაზეთი „ნოვო ობოზრენიე“ (№ № 6280,

6284, 6288, 6296, 6300, 6307, 6310, 6322) მეთაურ წერილებად  
ბეჭდავს იაკობის ვრცელ წერილს სათაურით: «Об одной из злоб  
дня» (№ № 6280, 6284, 6288), ხოლო შემდეგ ნომრებში სათაურით:  
«Как улучшить Кавказскую народную школу». წერილი ქვე-  
ნდება ფსევდონიმით: «Я. Симонидзе».

ამავე წელს თბილისში ცალკე წიგნად გამოდის ნაწილობრივ შევ-  
სებული ეს ნაშრომი: Я. С. Гогебашвили. Как улучшить Кав-  
казскую народную школу. Тиф., 1903, 60 с.

იანვრის 4, 12 — „ივერია“ (№ № 3, 9) მეთაურებად ბეჭდავს  
(„ტფილისი, 4 იანვარი“, „ტფილისი, 12 იანვარი“) იაკობის წერილს,  
რომელიც გამოწვეულია „პეტერბურგსკიე ეეღომოსტსა“ და „ცნობის  
ფურცელში“ გამოქვეყნებული წერილებით, სადაც ქართველებს წაყე-  
ნებული აქვს ბრალდება რუსთა და სომებთა მოძულეობისა.

„ცილის-წამება «ერთოს თვისებისაა და მავნებლობით ერთმანეთს არ დაუვარ-  
დება. კიდევ ჰო, ჰო, რომ ამ დაწამებაში მცირეოდენი სიმართლე მა-  
რც მოიპოვებოდეს; მაგრამ მკითხველს კარგად მოეხსენება, რომ  
მთელს საქართველოში დიოგენის ფარნითაც ვერ მოსმებიან რუს-  
თა ერთის და სომებთა ერთის მოძულეობა. არიან ქართვე-  
ლებში მოძულენი ამა თუ იმ უღირსის სომხებისა და რუსებისა, რო-  
გორც არიან მოძულენი სულმდაბალ ქართველებისა; მაგრამ რა აქვს  
ამას საერთო ერთონულს სიძულევილთან? «ერთოს-ცილის-წამე-  
ბა გულს უმდვრევს და აბოროტებს ქართველებზე რუსებსა, „ცნობის  
ფურცლის“ ჭორი სომხებს ააფორებს იმავე ქართველებზე. ორივენი  
ლვარძლესა სოფესი, სამშობლოს მტრებს უმრავლებენ და დიდ ზარალს  
აძლევენ ჩვენს ქვეყანასა“.

იანვრის 14 — მონაწილეობს კავკასიის სასოფლო-სამეურნეო სა-  
ზოგადოების კრებაში, სადაც სულთან კრიმ-გირე კითხულობს მოხ-  
სენებას „შესახებ დედა-ენის მნიშვნელობისა სწავლა-ცოდნის გავ-  
რცელებისათვის ხალხში“. კრებაშე იაკობი წარმოთქვამს სიტყვას  
ივანე როსტომაშვილის მიერ წამოყენებული აზრის — სწავლების რუ-  
სულ ენაზე მოწყობის წინააღმდეგ.

„დადგა წამი საარსო მხილებისა. ქართველი პედაგოგები ერთმა-  
ნეთს სთავაზობენ სიტყვის წარმოთქმასა და სიჩუმეშ კარგა ხანი გა-  
ნაზობდნენ სიტყვის წარმოთქმასა და სიჩუმეშ კარგა ხანი გა-

ტენა. ბოლოს მოვითხოვე სიტყვა და დააბლოებით შემდეგი ვსოქვა".  
აქ იაკობი გადმოსცემს თავისი სიტყვის შინაარსს.  
ამ კრების საქმიანობასა და იაკობ გოგებაშვილის აზრს სახალხო  
სეოლებში დედაენაზე სწავლების საკითხში ეხმაურება გაზ. „ცნობის  
ურცელი“ (№ 2042).

თებერვლის 1 — „ივერია“ (№ 26) მეთაურ წერილად ბეჭდავს  
(„ტფილისი, 1 თებერვალი“) იაკობის წერილს ჭიათურის შავი-ქვის  
შრეწველთა საბჭოს შესახებ (შემდგომში ავტორი აკონკრეტებს წე-  
რილის სათაურს: „თვით-მმართველობის გაჭირვება ჭიათურაში“).

თებერვლის 4 — „ივერია“ (№ 28) მეთაურ წერილად ბეჭდავს  
(„ტფილისი, 4 თებერვალი“) იაკობის წერილს ზაქარია ერისთავის მი-  
ერ შემოწირულ ოძისის მამულში სამეურნეო სეოლის დაარსების სა-  
კითხის შესახებ. (შემდგომში ავტორი აკონკრეტებს წერილის სათა-  
ურს: „მაღლი მატლად ქცეული“).

თებერვლის 5 — „ივერია“ (№ 29) მეთაურ წერილად ბეჭდავს  
(„ტფილისი, 5 თებერვალი“) იაკობის წერილს ეურნალ „კვალის“  
მიმართულებაში სასიკეთო ცვლილებების შესახებ (ავტორი შემდგომ-  
ში აკონკრეტებს სათაურს: „სასიამოვნო ცვლილება „კვალისა“).

თებერვლის 27 — გაზეთი „პეტერბურგსკიე ვედომოსტი“ ფსევდო-  
ნიმით «Варнанели» ბეჭდავს იაკობის წერილს «К вопросу о мини-  
грельской начальной школе».

იაკობის ეს ნაშრომი პეტერბურგში იმპერატორის ფილიპ ფილიპ  
Варнанели. К вопросу о мингрельской начальной школе. СПб, 1903, 29 с.

იაკობის ამ წერილს ეხმაურება გაზეთი „ივერია“ (№ 56, 11 მარ-  
ტი).

მარტის 19 — „ივერია“ (№ 63) თავის მეთაურ წერილს მიუძღვნის  
რუსული ენის სახელმძღვანელოებს ი. გოგებაშვილის „რუსეთი სლო-  
ვოს“ და რადონეჟსკის „სოლინშოს“.

აპრილის 29 — „ივერია“ (№ 92) „ვარიანელის“ ფსევდონიმით  
ბეჭდავს იაკობის წერილს სათაურით: „დღიურს ვარამზედ“ (შემდეგში  
ავტორი აძლევს სათაურს: „საჭიროა ბანის მიცემა“).

წერილის ავტორით თავად-აზნაურობას მოუწოდებს მხარი დაუკიროს სახალხო სკოლებში სწავლების მოწყობას მშობლიურს, ქართულ ენაზე.

ივნისი — ქვეყნდება მიმოხილვები რუსულსა და თათრულ განეთებში იაკობის წიგნისა — «Как улучшить Кавказскую народную школу» (ივერია, 1902, № 121, 133).

ივნისის 28 — „ივერია“ (№ 139) „ვარ-ნელის“ ფსევდონიმით ბეჭდავს იაკობის წერილს „შემცდარი აზრი (პასუხად ბ-ნს ყუმისთაველს)“. ავტორი არ იჩიარებს ყუმისთაველი-მიქაბერიძის აზრს სასკოლო რევიზორის თანამდებობის შემოღების საკითხში.

ივლისის 9 — „ივერია“ (№ 148) ბეჭდავს ნარკევეს რუსულ განეთში ი. გოგებაშვილის წიგნის «Правда о Тифлисе»-ს შესახებ გამოთქმული აზრის შესახებ.

ივლისის 11, 13 — „ივერია“ (№ № 150, 151) ბეჭდავს იაკობის წერილს („მძინარე პედაგოგის“ ხელმოწერით) „საარაკო გადათქმა“, რომელშიც ავტორი ამხელს ივანე როსტომაშვილის აზრის — სწავლების რუსულ ენაზე მოწყობის არაპედაგოგიურობას.

ივლისის 19 — „ივერია“ (№ 153) ბეჭდავს წერილს „საოცარი გულმავიწყობა“, რომელშიც გამოთქმულია გულისწყრომა უურ. „მოგზაურში“ მოთავსებული წერილის — „ქართული სახალხო სამეცნიერო წიგნების გამოცემის შესახებ“ — ი. გოგებაშვილის „დედა-ენის“ გამოტოვების გამო.

ივლისის 24 — „ივერიის“ № 156-ში ა. ყუმისთაველი-მიქაბერიძე საპასუხო წერილით („ბ-ნს ვარ-ნელს ვითომდა ჩვენის „შემცდარის“ გამო“) ეხმაურება იაკობ გოგებაშვილს მისი წერილის (ივერია, № 139) გამო.

აგვისტოს 12 — „ივერია“ (№ 171) საზოგადოებას აუწყებს ერხსანიდის რუსული ენის სახელმძღვანელოს უვარვისობის შესახებ და იქვე მიუთითებს იაკობ გოგებაშვილის „რუსკოე სლოვოს“ რუსეთში გავრცელებაზე, კერძოდ ყაზანიდან მისი მოთხოვნის შესახებ.

აგვისტოს 13 — „ივერია“ (№ 172) „ვარ-ნელის“ ხელმოწერით

ბეჭდავს იაკობის კორესპონდენციას „ბორჯომი. მოაგარაკეთა სიცორავე. ამის მიზეზი სადილი პროცესორ ხახანაშეიღის პატივსაცემაზე“.

ავეისტოს 20 — „ივერიის“ № 177-ში „ვ-ელის“ ხელმოწერით იაკობი აქვეყნებს წერილს „პლაგიატი, ანუ ლიტერატურული ქურდობა პედაგოგიაში“. მაგალითების მოხმობით იაკობი ნათელპყოფს ბერძენი პედაგოგის კორხანიდის მიერ გოგებაშვილის სახელმძღვანელოდან თითქმის სიტყვა-სიტყვით გადმოხეჭდას.

ავეისტოს 22 — „ივერია“ (№ 179) ბეჭდავს ივ. როსტომაშვილის საპასუხო წერილს, სათაურით: „მძინარე პედაგოგის“, რომელიც გამოწვეულია იაკობის წერილით „საარაკო გადათქმა“ და შეეხება სკოლებში ქართულ თუ რუსულ ენებზე სწავლების საკითხს.

სექტემბრის 2 — „ივერიის“ № 186-ში აკაკი წერეთელი ბეჭდავს წერილს იაკობ გოგებაშვილისა და კორხანიდის სახელმძღვანელოების შესახებ, სათაურით: „მუნჯური მეთოდი“.

სექტემბრის 13 — „ივერია“ (№ 195) ბეჭდავს იაკობის წერილს ივ. როსტომაშვილის წერილის („მძინარე პედაგოგის“) საპასუხოდ სათაურით: „ცოცხალი ტყუილი (პასუხად ივანე როსტომაშვილს)“, რომელიც გაღმოსცემს თავის ლვაწლს ქართულ სკოლებში დედაენის უფლების დაცვის საქმეში.

სექტემბრის 25 — „ივერია“ (№ 205) „ვარიანელის“ ფსევდონით ბეჭდავს იაკობის ბიბლიოგრაფიულ წერილს „სამეგრელოს საერთო სკოლები ლუარსაბ ლოლუასი, გამოცემა სოსიკო მერკვილაძისა...“

წერილს ეპიგრაფიდ წამძღვარებული ქართული ანდაზა — „ოქრო პატარაა, მაგრამ ძვირფასი კია“ — ნათლად გამოხატავს წერილის ავტორის აზრს სარეცენზიო წიგნზე, მაგრამ მიყვეთ ტექსტის: „ეს ძველი ანდაზა სწორედ ზედ გამოჭრილია ამ წიგნაქნე. დიალ, იგი პატარაა, მაგრამ ბევრს დიდს, ვებერთელა ტომზე უფრო სასარგებლოა და ძეირფასი. ავტორი სამეგრელოს ახლანდელს სკოლებს უსინჯავს მაჯას, აღიარებს სნეულად, განკურნებას ნატრულობს და უებარს წაგები ...“

ოქტომბრის 1 — „ივერიის“ № 209-ში იაკობი ბეჭდავს რეცენ-  
14 ა. გორგაშვილი, ნ. გურგენიძე, მ. საჯაად

ზიას 1903 წ. ილუსტრირებულ საცნობო ლიტერატურულ კრეპულზე  
«Весь Кавказ».

ოქტომბრის 19 — „ივერია“ (№ 224) ბეჭდავს ნარკვევს „რუსეთი  
მისლ“-ში იაკობ გოგებაშვილის წიგნის «Как улучшить Кавказ-  
скую народную школу»-ს რეცენზიის გამო.

ოქტომბრის 24 — ქვეყნდება ცნობა იაკობის წიგნის «К вопро-  
су о мингрельской начальной школе»-ს გამოსვლის შესახებ  
(ივერია, № 226).

ნოემბერი — იაკობი იწყებს „დედა-ენის“ მეცხრამეტე გამოცემის  
ბეჭდვას (თხზ., ტ. 9, გვ. 262).

ნოემბრის 26 — „ივერია“ (№ 252) საზოგადოებას აუწყებს უკან  
„რუსეთი სკოლას“ ნოემბრის ნომერში ი. გოგებაშვილის წიგნის  
«Как улучшить Кавказскую школу»-ს შესახებ გამოთქმულ აზრს.

დეკემბრის 13 — „ივერია“ (№ 266) „ვარ-ნელის“ ხელმოწერით  
ბეჭდავს იაკობის წერილს „სამაგალითო ცხოვრება“, წერილი ეძღვნე-  
ბა ფილოსოფოსისა და პედაგოგის პერპერტ სპეციალის გარდაცვალე-  
ბას.

\* \* \*

ამ წელს გამოდის:

„დედა-ენის“ მეთვრამეტე გამოცემა; „ბურჯი ეროვნების“ მეორე  
გამოცემა; „კოკორის“ მეცამეტე გამოცემა.

ქვეყნდება იაკობის წერილი „ენა და კილ“ ვ. გუნიას მიერ შევ-  
გენილ 1903 წ. საქართველოს კალენდარში. წერილი შეეხება დედა-  
ენაზე სწავლების საკითხს და სამეცნიეროსა და სეანცის სკოლებში  
ქართული ენის დევნას.

ილია ჭავჭავაძეს უძღვნის თავის წიგნს — «Как улучшить кав-  
казскую народную школу» წარწერით: „ილია გრიგოლის ძეს თა-  
ვადს ჭავჭავაძეს სახლობითურთ. ავტორისაგან“.

1904

იანვარი — „ჯეჯილი“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის მიერ გადმოკუთ-  
ხულ მოთხრობას „აღამიანის და ცხოველების სისწრაფე მოძრაობაში“.

იანვარი 1 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2368) ბეჭდავს საახალწლილილოვას საზოგადო მოღვაწეებისადმი, მათ შორის ი. გოგებაშვილისადმი.

იანვრის 18 — ცნობის ფურცელი“ (№ 2382) ბეჭდავს სამსონ ფირცხალავას (ფსევდონიმით „სიტყვა“) „პატარა ამბებს“, „რომელ-შიც მიმოხილულია იაკობის წერილები და წიგნები მშობლიური ენის მნიშვნელობაზე.“

თებერვლის პირველი ნახევარი — გამოდის „დედა-ენის“ მეცხრამეტე გამოცემა.

„... ბეჭდვა დავიწყე ნოემბერში, გავათავე თებერვლის ნახევარზე“ (თხ. ტ. 9, გვ. 262).

თებერვლის 22 — „ივერია“ (№ 46) საზოგადოებას აუწყებს იაკობის მიერ „ბუნების კარის“ ყაზბეგის სკოლის დარიბ მოწაფეთა-თვის უფასოდ გაგზავნის შესახებ.

მარტის 28 — „ცნობის ფურცლის“ სურათებიანი დამატება (№ 205) წერა-კითხვის გამარტინულებელი საზოგადოების დაარსების 25 წლისთავთან დაკავშირებით ბეჭდავს ამ საზოგადოების მეთაურების ი. გოგებაშვილის, ნ. ცხვედაძის, ვ. თუღაშვილის და დიმ. ყიუანის სურათებს.

აპრილის 1, 6, 8, 13 — „ცნობის ფურცელი“ (№ № 2453, 2458, 2460, 2465) ბეჭდავს ივანე ჯავახიშვილის წერილს იაკობის წიგნის „ბურჯი ეროვნებისა“ გამო. სათაურით: „მამულიშვილობა და მეცნიერება“.

აპრილის 10 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილობით შეახსენებს, რომ გადასახდელი აქვს „დედა-ენის“ მეცხრამეტე გამოცემის ვალი.

„... ამჟამად მძიმე ტვირთად მაწევს კისერზე დიტიატკოვსკის მა-დაზის ვალი 1380 მანეთი. თუ გამგეობას სურს ხელიდვან არ გაუშვას „დედა-ენა“, იგი მოვალეა გადაიხადოს ახლავე ეს 3000 მანეთი, რომელიც მე მერგება 15.000 ცალში. წინააღმდეგ შემთხვევაში მე

იძულებული ვაქენები უკანასკნელი გამოცემა „დედა-ენისა“ გარეუცხადები წიგნის მაღაზიასა“ (თხ. 9, 1962, გვ. 263).

ապրութիւնը 20, 21 — „Ապրութիւն պատմութեան” (№№ 2472, 2473) ծյան  
գլուխք թ. չանակացութիւնը „Թուրք Շենօնիցնաս ոց չազահոնացութիւն” — „Թամականիցնալուն ու մելունուրեա”, հռոմեանու տացուն թերուոց գա-  
թանշաբանը ու զանցանութիւնը վկանութեան վերջու ըրուցնեանունուածաւ”.

აპრილის 29 — ივანე ჯავახიშვილის წერილის „მამულიშვილობა და მეცნიერებას“ საპასუხოდ იკავბი გან. „ცნობის ფურცელში“ (№ 2481) ბეჭდავს წერილს, სათაურით: „მეოთხელისადმი (თავ. ჯავახიშვილის წერილის გამო)“.

აპრილის ბოლო — მაისი — „ივერია“ (№№ 102, 103, 107, 108, 111, 117, 118) ბეჭდავს სიმონ ქვარიანის კრცელ რეცენზიას იაკობის წიგნებზე („სამი ახალი წიგნი ი. ს. გოგებაშვილისა“), „როგორ უნდა გაუმჯობესდეს კავკასიის სახალხო სკოლა“, „სამეგრელოს დაწყებითი სკოლის შესახებ“ (ორივე რუს. ენ.) და „ბურჯი ეროვნებისა“ მე-2 გამოცემა.

მასის — მოსხენებით ბარათს უდგენს ქართლ-კახეთის არქიეპის-  
კოპოსს იმის შესახებ, რომ საქართველოს საეკლესიო-სამრევლო სკო-  
ლებში რუსული ენის სახელმძღვანელოდ მისი „რუსკოე სლოვოს“  
ნაცვლად შემოღებული იქნა კორხეანიდის „ეკვოე სლოვო“. გოგება-  
შვილი ითხოვს მისი წიგნი „რუსკოე სლოვო“ დატოვებული იქნას წი-  
ნანდელ უფლებებში (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 332—337).

მაისის 5 — „ივერია“ (№ 106) „ნაცობის“ ხელმოწერით აქვეყნებს იაკობის წერილს „ერთი მეტად სიმპატიური მხარე ეგნატე ნიკოლევილისა“ (შემდგომში ბეჭდავს სათაურით „ორიოდე სიტყვა დანიელ ჭონქაძეზე და ეგნატე ნიკოლევიზე“).

სტატიაში ავტორი მხარს უჭერს აღილობრივ განეთებში მოთავ-  
სებულ წერილის ავტორებს სალიტერატურო ფონდის დაარსების შე-  
სახებ.

გამოეთის იმავე ნომერში ქვეყნდება ცნობა იმის შესახებ, რომ მიერკავებასიის სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელოდ შემოღებული იქნა კორჩანიდის „ფილო სლოვო“ გოგებაშვილის „რუსულ სლოვოს“ ნაცვლად.

მაისის 13 — „ცნობის უურცელი“ (№ 2494) ბეჭდავს იაკობის სტატიას „ერთის ახალი ამბის გამო (შენიშვნა ფრიად საყურადღებო საგანზე)“. შემდეგში იაკობი სტატიას აძლევს ახალ სათაურს „მუჯი ბერძენი ქართულს სკოლაში მასწავლებლად“).

სტატია გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ საეპარქიო ზედამხედველობის კრებამ სამრევლო სკოლებში რუსული ენის სახელმძღვანელოდ გოგებაშვილის „რუსსერ სლოვოს“ ნაცვლად შემოიღო კორხანიდის „ვივო სლოვო“ (ცნობის უურცელი, № 2486).

მაისის 14 — „ივერია“ (№ 113) ბეჭდავს იაკობის „მცირე შენიშვნას (წერა-კითხვის საზოგადოების საყურადღებოდ)“. შენიშვნა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ წერა-კითხვის საზოგადოების მიერ ამავე საზოგადოების 25 წლისთავთან დაკავშირებით გამოცემულ წიგნებში გამოტოვებულია ბევრი ქართველი მწერლის სურათი.

წიგნაკი „იგი უნდა შეეღინა არა რომელსამე ერთს თავქეიფა წევრს გამგებისას, არამედ მთელს კომისიას, კომპენტეტურს პირებისაგან შემდგარსა.“

პირველს უთავბოლო გამოცემას, ვგონებ, აღარაფერი ეშველება. მეორე გამოცემისათვის კი უსათუოდ უნდა შესდგეს ხსენებული კომისია, რომელიც კარგად ასწონ-დასწონის ჩეუნის მწერლობის ღვაწლა და ამის მიხედვით შეაღენს მათს სიასა. მხოლოდ მაშინ ექნება ჯგუფის გამოცემას მიუდგომელი, სამართლიანი და აკადემიურია ხასიათი.

მაისის 22 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილობით წარუდგენს თავის მოსაზრებებს კავკავის ქართული სკოლის მართვა-გამგებლობის შესახებ.

გოგებაშვილის მოსაზრებათა გამო საზოგადოების გემგეობა (19 ივნისს) აღვენს: „გამგეობამ მოისმინა მოხსენება საპატიო წევრის გოგებაშვილისა და დაადგინა იქონიოს სახეში კავკავის სკოლის საქმების განხილვის დროს“ (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 346).

მაისის 23 — „ივერია“ (№ 120) საზოგადოებას აცნობს იაკობ გოგებაშვილის წერა-კითხვის საზოგადოების წევრად არ არჩევის მიზეზს.

„ზოგი გაოცებით გვეკითხება, რატომ იაკობ გოგებაშვილი არ აირჩია „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ წევრად? ამის

გამო საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ ერთი გარემოება, რომელიც კუნიგადოების წევრთა წლიურ ანგარიშში არ იყო მოხსენებული: აა-კობმა წინა წლებშიც არ ისურეა გამგეობის წევრობა და ეხლაც კრების წინად განცხადება შეიტანა გამგეობაში კენჭი არ ჩამომიტაროთ, რადგან გამგეობის წევრობას ვერ ავასრულებო".

ივნისის 3, 4 — „ივერიის“ № № 128, 129-ში იძეჭდება აკაკი წერეთლის წერილი „ქართველთა მოძულენი“, რომელშიც აკაკი ეხქანდა. ჯავახიშვილის გამოსვლას იაკობ გოგებაშვილის წინააღმდეგ.

ივნისის 4 — სოფელ წინარეხის საზოგადოების მინდობილობით გლეხები წერა-კოსხის საზოგადოების 25 წლისთვეს ულოცავენ და მაღლობას უხდიან ილია ჭავჭავაძეს, იაკობ გოგებაშვილს და საზოგადოების სხვა წევრებს (ცნობის ფურცელი, № 2515).

ივნისის 7 — მოხსენებით ბარათს უდგენს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს და თხოვს დაავალოს თბილისისა და ქუთაისის სკოლების მასწავლებლებს, რომ „რუსკო სლოვო“ გამოიყენონ დაუბრულებლივ თუ ისინი მიიჩნევენ მის უპირატესობას სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით (თხზ.. ტ. 8, 1961, გვ. 342—345).

ივნისის 9 — „ივერია“ (№ 133) ბეჭდავს იაკობის წერილს პუბლისილ ველინგოს შესახებ, სათაურით: „მტერი თუ მოყვარე“, რომელშიც გაღმოვვცემს საქართველოსა და ქართველებისადმი მის დამოკიდებულებას. ივნისის პირად ურთიერთობებს ველინგოსთან. ამ ერთ მათგანი: „ველინგომ მოინდომა ქართულის ენის შესწავლა. გადამუკიდნენ ჩვენები, შენ უნდა აძლიო გაკეთილები, თორემ რომელსამე დოლრიალას აიყვანს და საქმე გაგვიუკდებაო. მე მეტი ლონე არ იყო ვიჟისრე“.

ივნისის 10 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი მისივე მოხსენებითი ბარათის პასუხად აცნობებს, შემდეგს:

«Вследствие письма вашего от 7 сего июня уведомляю Вас, м. г., что просьба ваша предложить дирекциям ... что они могут свободно и беспрепятственно употреблять ваш учебник «Русское слово» — не признается подлежащим удовлетворению.

... препятствий с своей стороны не встречаю к тому, чтобы вы могли искать восстановления справедливости относи-

тельно вашего учебника обращением к высшей инстанции (тбъ., №. 8, 1961, №. 464—465).

ივნისის 14 — მოხსენებით ბარათს უგზავნის გორის ეპისკოპოსი  
ბერიამინ პირველს და სთხოვს შეღლცელის რუსული ენის სახელმძღვა-  
ნელოს. ნაცვლად საეკლესიო-სამჩევლო სკოლებში დატოვებული იქ-  
ნას მისი „რუსულე სლოვო“ (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 338—341).

ივნისის 18 — კავკასიის სასწაულო ოლქის შზრუნველს იაკობი წერილით თხოვს სიტყვიერ განკარგულებას ქუთაისისა და თბილისის გუბერნიის რამდენიმე სკოლაში „რუსეთი სლოვოს“ დაუბრკოლებ-ლავ გამოყენების შესახებ (თხ. 8, 1961, გვ. 465).

იენისის 23 — ქვეყნდება წერილი „დანიელ ჭონქაძის გახსენების გამო“ (ცნობის ურცელი № 2533), რომლის ავტორი ფ. მახარაძე ჩიიჩნევს, რომ ი. გოგებაშვილის („ნაცნობის“) წერილში მოყვანილი ცნობები დანიელ ჭონქაძის შესახებ სინამდვილეს არ შეეფერება.

съездов 27 — языковое сасинское письмо вице-губернатору генерал-губернатору Борису Степановичу Баскакову и телеграмма из Красноярска: «На письмо от 18 июня уведомляю вас, м. г., что ни письменного, ни словесного распоряжения дирекциям относительно бесприятственного употребления вашего учебника сделать не могу» (ттч., ч. 8, 1961, аз. 465).

«ვლის — ეურნალი «Духовный вестник грузинского экзархата» (№ 13—14) თავის დამატებაში ბეჭდავს საქართველოს საეპარქიის მეთვალყურის ა. ოდორევის „უარყოფით რეცენზიას ი. გოგებაშვილის „რესკოე სლოვოს“ პირველი ნაწილის მეათე გამოცემაზე.

„ცვდისის 14 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2553) ბეჭდავს იაკობის წერილს „დანიელ ჭონქაძის შესახებ (პასუხად ბ-6 მახარაძეს)“.

სექტემბერი — გამოდის „იავნანაშ რა პერსა“ მეოთხე გამოცემა (ივნისი 1921).

შემოღობა — მუშაობს „რუსეთის სლოვოს“ ოდოვცისეული რეცენზიის საპასუხო წერილზე.

„... შემდეგ ოდორევის პასუხს მოკუნდი, რომლის ნებართვა ცენტრის მიერ ძლიერ გაძნელდა...“ (თხ. ტ. 9, გვ. 353).

ოქტომბრის 20 — „ივერიის“ № 240-ში ი. ვარიანელის ხელში. წერით ქვეყნდება იაკობის წერილი „ქართული თეატრის გაჭირვება“.

ოქტომბრის 31 — აკაკი წერეთლის ავადმყოფობისა და მისი ეკონომიურად მძიმე მდგომარეობის გამო იაკობი (გ-ლის ხელმოწერით) ბეჭდავს წერილს (ივერია № 249) რედაქციის მიმართ, სათაურით „ნაციონალური საჩუქარი“, რომელშიც საზოგადოებას მოუწოდებს მატერიალური დახმარება აღმოჩინონ ქართველ პოეტს.

„ამჟამად ერთი ფრიად სამწუხარო მოვლენა დაიყინებით ითხოვს ნაციონალურის საჩუქარის შემოღებას საქართველოში. რამდენსამე დღის წინად ავად გახდა მთავარი მამულიშვილი და დიდი პოეტი საქართველოსა აკაკი...“

ავადმყოფობა არის უმთავრესი შედევი უკიდურესის ნივთიერების გაჭირვებისა, ყოველგვარის ნაცილულევანებისა, მოუსვენარის მდგომარეობისა. ექიმების აზრით, ჩემის მხცოვანის მგოსნის სრული მოჩ. ჩენისათვის საჭიროა არა მარტო სამაგალითო მოვლა ამ ზამთრის განმაჟლობაში, არამედ წყლებზე გაგზავნა საზაფხულოდ. ეს კი მოითხოვს ბლობა ფულსა, რომელსაც სრულიად მოვლებულია აკაკი.

... საქართველოს წმინდა მოვალეობას შეადგენს დააარსოს თანხა აკაკისა ... პირადად მე ამ თანხის სასარგებლოდ გადამიდება ჩემი წვლილი — ათი თუმანი (100 მანეთი) და, გარდა ამისა, კეისრულობ მომავალის იანვრიდან თითო თუმანი ყოველს თვეში წარმოვუდგინო ხოლმე კერძო კომიტეტს“.

იგივე წერილს ბეჭდავს „ცნობის ფურცელი“ (№ 2656) და „მწყემსი“ (№ 21).

ამავე საკითხზე რამდენიმე დღის შემდეგ (7 ნოემბერს) იაკობ „ივერიაში“ (№ 255) ბეჭდავს „საჭირო დამატებას“! (იგივე ქვეყნდება „ცნობის ფურცელის“ № 2665-ში).

ნოემბერი — ეურ. „ნაკადული“ (მოზრდ. № 1) ბეჭდავს იაკობის მოთხრობას „ქათმის საიდუმლოებანი“.

ნოემბრის 4 — წერილით აიმედებს აკაკი წერეთელს. „დღეს შენ ცოტა პესსიმიტის მდგომარეობაში გნახე და ძლიერ გამიკვირდა. გამიკვირდა იმის გამო, რომ შენს პესსიმიზმს არავითარი საფუძველი არა აქვს. ექიმების საერთო აზრით, რომელიც მათ გამოსთქვეს კრე-

ბაზედაც, შენი ჩინებული აგებულება გიქადის ხანგრძლივს და საღ  
სიცოცხლესა.. ერთი სიტყვით, შენ სრულიად დამშვიდებული უნდა  
იყო, და შეგიძლიან იფიქრო მხოლოდ შენს მომავალ პოეტურს ქმნი-  
ლებებზე...“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 344—345).

ნოემბრის 21 — „ივერიის“ № 267-ში ქვეყნდება იაკობის წერილი  
„რწმენის შერევა“, რომელიც გამოწვეულია ეკატერინე გაბაშვილის  
წერილით „ორიოდე სიტყვა ნაციონალური საჩუქრის გამო („ივერია“  
№ 252). ეკ. გაბაშვილი თავის წერილით მოიხსოვდა აკაკის ფონდის  
ნაცვლად შექმნილიყო ლიტერატურული ფონდი. იაკობი კატეგორი-  
ულად მოიხსოვა აკაკის ფონდის შექმნას.

„არა, ბატონებო, ჯერ აკაკის ფონდი შევადგინოთ და მერმე სა-  
ლიტერატურო ფონდის შეესებისათვის ეიზრუნოთ, თორემ თუ ორივე  
სიძნელეს შევეჭიდეთ ერთსა და იმავე დროს, ეერც ერთს ვერ დავ-  
სძლევთ და შერცხვენილი დავრჩებით“.

\* \* \*

საქართველოს კალენდარი 1904 წ. თავის ფურცლებზე ბეჭდავს  
იაკობის წერილებს: „ქართველი ერის დაქუცმაცება“ და „ბრმა წინამ-  
ძლოლობა ხალხის განათლებაში“.

აქვე ქვეყნდება იაკობის ბიოგრაფია და პორტრეტი.

ამ წელს გამოდის:

„დედა-ენის“ მეცხრამეტე და მეოცე გამოცემები.

„ბუნების კარის“ მეცამეტე გამოცემა.

„რუსეთ სლოვოს“ პირველი ნაწილის მეთერთმეტე გამოცემა.

— იღვწის სხვადასხვა საზოგადოებრივ საქმეთა, ამხანაგობის, მათ  
მორის გაზით „ივერიის“ რედაქციის, ქართული ენციკლოპედიის საქ-  
მების მოსაგვარებლად.

„დიდი დრო დამეხარჯა აგრეთვე „ივერიის“ საქმის მოსაგვარებ-  
ლად. დიდი ვალი დაედო, ათას თუმანზე მეტი, ამხანაგობაში გაძლი-  
ერდა განხეთქილება... დახმარება სთხოვეს ზუბალაშვილსა, პასუხი  
არაფერი მოუვიდათ... მაშინ მე იძულებული გავხდი პირადად ჩავ-  
რეოდი საქმეში; საქართველოს ენციკლოპედიის საქმეშ დამახტივა ზუ-  
ბალაშვილთანა და ამ სიახლოვით ვისარგებლე და მან იქისრა „ივე-  
რიის“ სიკვდილისაგან გადარჩენა ...“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 353).

იანვარი — იაკობი წიგნად გამოსცემს თავის ნაშრომს «Государственный язык в грузинских начальных школах». По поводу рецензии грузинского епархиального наблюдателя господина Одоева, Тиф., 1905. 68 с.

გოგებაშვილის ეს ნაშრომი, როგორც წიგნის ქვესათაურიდანაც ჩანს, გამოწვეულია მისი წიგნის „რუსეკო სლოვოს“ პირველი ნაწილის შესახებ გამოქვეყნებული ცილისმწამებლური რეცენზიებით, რომელიც ეკუთვნის საქართველოს საეპარქიოს მეთვალყურეს ოფეკტს. (რეცენზია გამოქვეყნდა უურნალში «Духовный вестник грузинского экзархата» 1904 წ. ივლისის ნომერში).

ამ წიგნის ყოველი გაყიდული ეგზემპლარიდან ავტორმა გადასდო 5 კაპ. საქელმოქმედოდ, კერძოდ, უნივერსიტეტისა და სხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა კავკასიის დამსმარე საზოგადოების სასარგებლოდ.

ამ წიგნის შესახებ თვით იაკობი ხახანაშვილისადმი გაგზავნილ წერილში ამბობს: „წიგნაკი ისეა. დაწერილი, რომ ყოველს კეთილგონიერს რუსსაც კი ათქმებინოს: აი რა უსამართლოდ და უდირრად ეჭვერიან ქართველებსათ“ ((თხ., ტ. 9, 1962, გვ. 352)).

იანვრის 1 — უურნ. „მოგზაური“ (№ 1) ბეჭდავს უცნობი ავტორის (ხელმოწერა „დ“) წერილს — „დედა-ენა როგორც წარმართობის დამანგრეველი ჩვენს მოზარდ თაობასა და ხალხში“.

უურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება მექვლეს საახალწლო უქმდები საზოგადო მოღვაწეებზე, მათ შორის იაკობ გოგებაშვილზე.

იანვრის დასაწყისი — იაკობი წერილს (2 იანვრის თარიღით) ლებულობს მოსკოვიდან ალექსანდრე ხახანაშვილისაგან. ესაუბრება „ივერიის“ გარშემო, პირდება გაზეთში მონაწილეობას. თხოვს მასალების გაგზავნას სტატიისათვის „სახალხო განათლების მდგომარეობა ხართველოში“.

იანვრის 16 — საპასუხო წერილს უგზავნის ალექსანდრე ხახანაშვილს. ატყობინებს თავისი წიგნის «Государственный язык в грузинских начальных школах» გაგზავნას პირადად, უურ. „რუსეკო

შისლის” და სხვა რედაქციებისათვის გადასაცემად. ესაუბრება თავისი  
სახელმძღვანელოების დევნის შესახებ და სხვა საკითხებზე. ესაუბრება თავისი  
სახელმძღვანელოების დევნის შესახებ და სხვა საკითხებზე.

იანვრის 19 — საპასუხო წერილს უგზავნის ქუთაისში სილოვან  
ხელისუფალების მისი ქართული გრამატიკის სასწავლო ოლქის  
მთავრულობისადმი წარდგენისა და სხვა საკითხების შესახებ.

თებერვლის 3 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2732) მკითხველს „ახალ  
ამბებში“ იაკობის წერილის — „რანი ვიყავით გუშინ?“ — შესახებ  
შემდეგს აუწყებს: „აგრ 10—12 წელიწადია, რაც დაიბეჭდა ცალკე  
წიგნად წერილი ი. გოგებაშვილისა „რანი ვიყავით გუშინ?“ მას აქვთ  
ეს წიგნები აწყვია საწყობში და ერთი ცალი არ გამოსულა გასასყი-  
დათ. გასაკვირველია, რად დაატუსაღა ავტორმა თავისი წიგნი, მით  
უფრო გასაკვირველია, რომ დღეს განსაკუთრებით საჭიროა ამგვარი  
წიგნების გავრცელება.“

თებერვლის 5 — „ცნობის ფურცელში“ (№ 2734) იაკობი აქვეყ-  
ნებს წერილს რედაქციისადმი სათაურით: „წიგნაკის დატყვევება“,  
რომელიც გამოწვეულია ამავე გაზეთის 3 თებერვლის ნომერში გამო-  
ქვეყნული ცნობით მის წიგნაქშე „რანი ვიყავით გუშინ?“ ამ წე-  
რილით იგი მკითხველს აუწყებს საქმის გარემოებას.

„მე მოგახსენებთ ჩემი წიგნაჲის „რანი ვიყავით გუშინ?“ დატყვე-  
ვებაქშე, რომლის შესახებ გუშინწინ ორიოდე სიტყვა იყო ნათქვამი  
„ცნობის ფურცელში“. საჭიროდ ვრაცხ მკითხველს ვაუწყო მოკლედ  
საქმის ვითარება“. (წიგნაჲის დატყვევების გარემოებათა შესახებ იხ.  
1892 წ. ქრონიკა ამავე წიგნში).

თებერვლის 11 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2740) ბეჭდავს თედო  
სახოკიას წერილს (ხელმოწერა „თ. ს.“) „სამეცნიერო საუბარი“, რო-  
მელშიც საუბარია ი. გოგებაშვილის დამსახურებაზე ქართულ სკო-  
ლაში პირდაპირი ხელწერის დამტკიცების საქმეში.

პრილის 11 — წერა-კითხის საზოგადოების გამგეობას წერილო-  
ბით შეახსენებს „დედა-ენის“ მეოცე გამოცემის ვალის გადახდას.  
გამგეობა (30 მაისს) ადგენს: „მიღებული იქნას საპატიო წერის  
მოგებაშვილის წინადაღებაზე“ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 346):

პრილის ბოლო — „ივერია“ (№ 64) ბეჭდავს იაკობის წერილს

„დიდი ვარამის შესახებ“, რომელშიც იგი მხარს უჭერს დემოკრატიულ აკტონომიურ წყობას საქართველოში რუსეთთან საერთო კავშირში,

იგივე წერილი ამავე წელს ქვეყნდება ქუთაისში გამოსულ კრებულში „ეროვნული თავისუფლება“.

მაისის 8 — საპასუხო წერილს უგზავნის სილოვან ხუნდაძეს, ატ-ყობინებს წერა-კითხვის საზოგადოების აზრს მისი წიგნის „ქართულ გრამატიკის“ შესყიდვის თაობაზე.

მაისის 11 — აკაკი წერეთლის სალიტერატურო ფონდის შემცროვებელი კერძო კომიტეტი (გოგებაშვილი, ა. დიასამიძე, ვ. ლამბაშიძე, ვ. მუსხელიშვილი) ოხოვნით მიმართავს წერა-კითხვის საზოგადოების გამეობას აკაკის საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირდით ში. სი უონდიდან 40 თუმნის გადაცემის შესახებ (საისტ. მოამბე, ტ. 7, 1953, გვ. 393).

ინისი-ივლისი (?) — პეტერბურგის გაზეთი „რასსვეტ“-ი (№ № 112, 113, 116, 119) ბეჭდავს იაკობის წერილს «Бесправие грузинского языка и самых грузин в учебной области на Кавказе».

„ამას წინად პეტერბურგის გაზეთს «Разсвет»-ში ჩვენ დავბეჭდეთ წერილი შესახებ იმ უუფლობისა და დაჩაგრულობისა, რომელშიაც იმყოფებიან ქართული ენა და თვით ქართველები — მასწავლებლები და მოსწავლენი სამოსწავლო უწყებაში. მთავარი დანიშნულება წერილისა იყო დასურათება უსამართლო და უდიერი რეუიტისა“ (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 78).

— ქვეყნდება („ივერიის ბიბლიოთეკა“ № 3) ა. ფერაძის რეცენზია კორხანიძის რუსული ენის სახელმძღვანელო „ეიცო სლოვოზე“, რეცენზიაში კრიტიკულად არის საუბარი იაკობის სახელმძღვანელო „რუსულ სლოვოზე“.

ივლისის 27, 28 — პედაგოგი ალექსი ჭიჭინაძე გაზეთ „ცნობის უერცესი“ (№ № 2872, 2873) ბეჭდავს წერილს „პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს (წერილი რედაქციისადმი)“, რომელიც წარმოადგენს გამოხმაურებას იაკობის პეტერბურგში გამოქვეყნებულ წერილზე («Бесправие грузинского языка и самых грузин в учебной области на Кавказе»), რომელშიც მოხსენებული იყო ა. ჭიჭინაძე.

აგვისტო (?) — ოფიციალურ წერილს აგზავნის ნამესტნიერის კანკულარიაში სოკოლოვის სახელზე სამოსწავლო გეგმის შედგენის თაობაშე.

„... და ამ წერილში განვმარტე ჩემის საქუთარის გეგმის უაღრესობა და დავასრულე იგი იმედით, რომ იგი წაკითხული და სახეში შეღებულ იქნება ნამესტნიერის საბჭოს სხდომაზე სამოსწავლო გეგმის განხილვის დროსა.

გახლობელს მომავალში მეტსა ვთხოულობ, სახელობრ სახალხო სკოლის კურსის გაგრძელებას კიდევ ორი წლით (რვა წელიწადი) და ქართულ სახალხო უნივერსიტეტების დაარსებას ჩვენს ქვეყანაში. დასასრულ ვთხოულობ, რომ როგორც ქართულს სახალხო სკოლებს, ისე ქართულს სახალხო უნივერსიტეტებს განავებდნენ სამოსწავლო საბჭოები, რომელთა წევრები უნდა ამორჩიულ იქმნას ხალხის მიერ, დამოუკიდებლად“ (თხ. ტ. 4, 1955, გვ. 73).

აგვისტოს 2 — სახალხო სკოლების მომავალი პროგრამის თაობაზე იაკობი გაზეთ „ცნობის ფურცელში“ (№ 2877) აქვეყნებს წერილს, სათაურით „ქუთაისის სასკოლო კომისიის საყურადღებოდ“.

აგვისტოს 4 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2879) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქციისადმი „ცოტა მეტი სინათლე (პასუხად ბ-ნს აღექ-სი ჭიჭინაძეს)“.

აგვისტოს 10 — „ივერია“ (№ 139) ბეჭდავს იაკობის „მცირე შენშვნას“ ი. ფერაბის რეცენზიაზე „ბ-ნ კორხანიდის რუსული ენის სახელმძღვანელო «Живое слово».

„ბ-ნის კორხანიდის რუსული სახელმძღვანელოს განხილვაში, რომელიც დამეჭდილია „ივერიის ბიბლიოთეკის“ მესამე ნომერში, ავტორს, ბ-ნს ფერაბე, ჩემს შესახებ მოსვლია ერთი მსხვილი შეცდომა. რომელიც არ შემიძლია დაეტოვო შეუნიშნავად“.

აგვისტოს 12 — ქვეყნება ი. გოგებაშვილის წერილი „სახალხო უნივერსიტეტი ჩვენში“ (ცნობის ფურცელი, № 2885).

ამავე საქათხეზე იაკობი გაზ. „კავკაზის“ № 216 ბეჭდავს წერილს რედაქციისადმი, რომელშიც აღნიშნავს, რომ „სახალხო უნივერსიტეტი შეიძლება არც ერთ ქვეყანას ისე არ ესაჭიროებოდეს, როგორც ჩვენს სხვადასხვატომიან კავკასიას. ჩვენი დღევანდელი ფრიად სამ-

წუხარო მდგომარეობა განსაცვილებელი სიზუსტით ამტკაცებს ამ დებულების ჰემარიტებას, რომ ტომებსა და ხალხებს არაფერი არ თიშავს ისე, როგორც უვიცობა... დაწყებითი სკოლები ამ ბოროტების წინააღმდეგ მხოლოდ პალიატივია. რადიკალური საშუალება კა — სახალხო უნივერსიტეტია ...“

აგვისტოს 13 — „ივერია“ (№ 142) ბეჭდავს იაკობის წერილს „სამოსწავლო გეგმის შესახებ“, შემდგომში სათაურით: „ახალი სამოსწავლო გეგმის შესახებ“, რომელშიც შეფასებულია პედაგოგ ალექსი ჭიჭინაძის ხელმძღვანელობით საგანგებო კომისიის მიერ შემუშავებული ახალი სასწავლო გეგმა და იქვე იძლევა წინადაღებებს მისი გაუმჯობესებისათვის.

აგვისტოს 17 — „ივერია“ (№ 144) ბეჭდავს იაკობის წერილს „კიბუც სამოსწავლო გეგმის გამო“ (შემდგომში სათაურით: „ნამესტნიერი სამოსწავლო გეგმა“).

აგვისტოს 18 — „ცრობის ფურცელი“ (№ 2889) ბეჭდავს იაკობის წერილს „რუსული ენის დასაწყისი სასოფლო და სამოქალაქო სკოლებში“. წერილს წამდლერებული აქვს რედაქციის განმარტება სათაურით: „ორიოდე სიტყვა რუსული ენის სწავლებაზე სახალხო სკოლაში“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რედაქცია არ ეთანხმება ავტორის ზოგიერთ მოსაზრებას.

აგვისტოს 19 — „ივერია“ (№ 146) აქვეყნებს პ. სურგულაძის წერილს „მომავალი სასკოლო ორგანიზაცია და ჩვენი პედაგოგები“, რომელიც გამოწვეულია იაკობის წერილით — „სამოსწავლო გეგმის შესახებ“.

აგვისტოს 21 — „ივერიის“ (№ 148) ფურცლებზე ქვეყნდება იაკობის „შცირე პასუხი (წერილი რედაქციის მიმართ)“, რომელიც გამოწვეულია პ. სურგულაძის წერილით „მომავალი სასკოლო ორგანიზაცია და ჩვენი პედაგოგები“.

სექტემბერი (?) — მასწავლებელთა კრებაზე, ნაცვლად პროფესიონალური საზოგადოების დარსებისა, იაკობი გამოდის წინადაღებით პედაგოგიურ-პოლიტიკური კავშირის დასაარსებლად. კრება არ ეთანხმება იაკობის წინადაღებას. ამის შესახებ იაკობი შემდეგს გადმოვცემს:

„კრება არ დამეთანხმა, გადასწყვიტა დაუარსებინა პროფესიონალური საზოგადოება, და არა კავშირი მასწავლებელთა; და შეუძგა კომისიის არჩევას წესდების შესამუშავებლად. მოინდომეს ჩემია არჩევა კომისიაში; მაგრამ მე უარი განვაცხადე, და დავსძინე: თუ კავშირი შევეწყვნარებინათ, დიდი სიამოვნებით შევიდოდი კომისიაში, მაგრამ პროფესიონალურ საზოგადოების დაარსება გადასწყვიტეთ. რომელიც მე არა მრწამს, და მისი წესდებულების შედგენაში მონაწილეობას უერ მივიღებ მეთქი ...“ (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 148).

სექტემბრის 10 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2905) ბეჭდავს იაკობის წერილს „რუსული ენა ქართულ სახალხო სკოლებში“. იაკობის ეს წერილი გამოწვეულია „ცნობის ფურცლის“ (№ 2889) იმ შენიშვნებით, რომელიც მის წერილს წაუმდლვარა გაზეთის რედაქციამ.

„ამას წინად „ცნობის ფურცლის“ რედაქციამ ერთს ჩემს წერილს წაუმდლვარა წინასიტყვაობა, რომელშიაც გამოსთქვა ის აზრი, რომ რუსულს ენას ჩვენს სახალხო სკოლებში სრულიად არ უნდა პქონდეს ადგილით“.

სექტემბრის შეარიცხები — წერილს (სექტემბრის 10 თარიღით) დაბულობს იაკობ ფანცხავასავან რამდენიმე შეკითხვით ქართული ენის სწავლების შესახებ ფოთის საქალებო სკოლებში და სხვ. (თხ., ტ. 10, 1965, გვ. 366).

სექტემბრის 19 — საპასუხო წერილს უგზავნის ფოთში იაკობ ფანცხავას და რჩევებს აძლევს ქართული ენის სწავლებისა და სასწავლო პროგრამების შესახებ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 335—336).

სექტემბრის 21, 22 — „ცნობის ფურცელი“ (№№ 2913, 2914) ბეჭდავს ალექსი ჭიჭინაძის წერილს — „პასუხი ბატონს გოგებაშვილს“. პასუხი გამოწვეულია იაკობის წერილით — „ცოტა მეტი სინათლე“, რომელიც გამოქვეყნდა 4 აგვისტოს „ცნობის ფურცელში“ (№ 2879).

ოქტომბრის 11 — „ივერია“ (№ 186) ბეჭდავს იაკობ გოგებაშვილისადმი მიძღვნილ აკაკი წერეთლის ლექსს „ყანა“.

ოქტომბრის 14 — გაზეთ „ვოზროვდენი“ (№ 10) აქვეყნებს იაკობის წერილს სხვადასხვა ეროვნების ბაგშვთა შერეული სკოლების უვარევისობის შესახებ, სათაურით: «Наша неисправимость бегущего: «Варнавели»).

ნოემბრის 4 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2942) ბეჭდავს იაკობის წერილს „ახალი წყალობა“ (თხ. ტ. 4. სათაურით: „ახალი პროექტი სინათლისა“), რომელშიც ეხება ქართული ეკლესიის მართვა-გამგეობის რეფორმას და მოიხსოვს მის სრულ დამოუკიდებლობას.

„საქართველოს ეკლესიას უნდა დაუბრუნდეს დამოუკიდებლობა და გამგე, არჩეული ქართველი სამღვდელოების და სამწყსოს წარმომადგენლების მიერ და ეს ყოვლად კინონერი და ყოვლად სამართლიანი სურვილი და მოიხსოვნა არ შეიძლება არ დაქმაყოფილდეს.“

მხოლოდ სამღვდელოებას იმედი არ უნდა ჰქონდეს, რომ ქართული ეკლესიას თავისუფლებას დაუბრუნებენ ზევიდგან. ვინც მონობა დაუწყარა, მას მხოლოდ შეუძლიან შესცვალოს ფორმა მონობისა, და თავისუფლებას-კი ძნელად მიანიჭებს. ეს თავისუფლება თეითონ მოიხვეჭოს, თეითონ მან უნდა აღიდგინოს უკანონოდ გაუქმებული აეტოვფალია, რასაკირველია სამწყსოს მხნე-მონაწილეობით“.

ნოემბრის 8 — აქვეყნებს წერილს („ცნობის ფურცელი“, № 2944) სათაურით: „განმათავისუფლებელი საერთო ფონდი“, რომლის დაარსებასაც იყო მოიხსოვს გლეხთა რევოლუციური მოძრაობის აღორძინებისათვის და ამ ფონდში პირადად შეაქვს ერთდროულად ასი მანეთი.

„სრული იმედი მაქვს, ყოველი მკითხველი სიამოვნებით დამეთანხმება, თუ ვიტყვი, რომ იმ ფულს, რომელიც ეხლა გროვდება გურულების სახელობაზე, არ შეშევნის შეწირულების სახელი. ეს წმინდა ვალის გადახდაა და არა შეწირულება, დახმარება.“

დიახ, ჩვენ ყველანი ყელამდინ ვალში ვართ გურულების წინაშე. მათ პირველებმა გამოიღიძეს, აირჩიეს განმათავისუფლებელი გზა. შემუშავეს ნამდვილი დემოკრატიული პროგრამა და პროგრამის განხორციელებას შეუდგნენ სამაგალითო მხნეობით, იშვიათის გამბეჭაობით. საარავო ვაჟაცობით.

საჭიროა დაარსდეს განმანთავის უფლებელი საყოველო ფონდი რომელმაც უნდა დახმარება გაუწიოს ჯერ გურულებს და მერე სხვა გაჭირვებულ მებრძოლ ქართველებსა... სასაჩვებლოდ ამ ფონდისა ვუდგენ რედაქციას ათს თუმანს (100 მან.) და გარდა ამისა ვაღად ვიდებ მომავალი იანვრიდან ყოველ თვე ვიხადო თვეში თითო თუმანი ... „წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვთხოვ

ამავე ფონდს შეუერთოს მთელი შემოსავალი ჩემი წიგნისა „რანი  
ვიყავით გუშინ?“

ნოემბრის 10 — გლეხთა რევოლუციური მოძრაობის განმათავი-  
სუფლებელი ფონდის ორგანიზაციისათვის „ცნობის ფურცლის“ რე-  
დაქტირაში იაკობი იწვევს გაზრდითი წარმომადგენელთა კრებას.

ნოემბრის 13 — „ივერია“ (№ 205) ბეჭდავს იაკობის წერილს ქარ-  
თული ეკლესიის უუფლებობის შესახებ, სათაურით: „ერთს ახალს  
უფლებას ვკარგავთ“. ამ წერილს აქვეყნებს აგრეთვე უურ. „მწყემსი“  
(№ 21).

\* \* \*

— გამოდის „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილის მეცამეტე გა-  
მოცემა.

ამ წელს იაკობმა განიზრახა „ბუნების კარის“ გადამუშავება და  
ორ წიგნად გამოცემა. ამის შესახებ იაკობი შემდეგს გადმოგვცემს:  
„1905 წელს, გაცხარებულის მოძრაობის დროს, მე განვიზრახე „ბუ-  
ნების კარი“ ორ წიგნად გადამექცია. პირველს წიგნში უნდა მოთავსე-  
ბულიყო ყველა განყოფილება, გარდა საქართველოს გეოგრაფიისა და  
ისტორიისა, ხოლო მეორე წიგნში ისტორიული და გეოგრაფიული გან-  
ყოფილებანი, ერთი სამად შევსებულნი, უსვად დასურათებულნი, გე-  
ოგრაფიული და ისტორიული ქრესტომატიის მასალების დამატებით.  
ამ წიგნისათვის უნდა დამერქვა ცალკე სახელი „დედა ქვეყანა“...

თანახმად ამ გეგმისა, მე 1905 წ. „ბუნების კარიდან“ გამოვტოვე  
გეოგრაფია და ისტორია საქართველოსი, წიგნს ფასი დავაკელი და  
ისე გამოვეცი. ამავე დროს „დედა-ქვეყნის“ თავდარიგს შევუდექი. მაგრამ ჩქარა საშინელმა რეაქტირამ იჩინა თავი და ჩვენი იმედები მეწ-  
ყერს მისცა“ (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 494—495).

## 1906

იანვრის 7 — „ცნობის ფურცელი“ (№ 2975) ბეჭდავს იაკობის  
წერილს რედაქტირის მიმართ, სათაურით: „უსაჭიროესი შუამდგომლო-  
ბა“, რომელშიც ავტორი მოიხსოვს ქართველთა დეპუტაციის გაგზავ-  
15 ა. გორგაძე, ნ. გურგენიძე, გ საჯავა

ნას ნამესტნიერან, დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული მოწყვეტილი მობის სისხლში ჩახშობის თავიდან ასაცილებლად.

„... ნაცადი ღონისძიება უნდა ვისმაროთ თბილელმა ქართველებამ უხლაც, ესცაღოთ და იქნება გადავარჩინოთ სისხლის ნაკადულებს, დარბევასა და გადაწყვას მთელი დასავლეთ საქართველო. უნდა იქნას ამორჩეული დაუყოვნებლივ, დღესვე, ქართველთა დეპუტაცია, რომელმაც სწორედ ისევე უნდა იმოქმედოს, როგორც იმოქმედა შემოწმობის დეპუტაციამ. ეს დეპუტაცია ... დაუმტკიცებს ნამესტნიერს, რომ დასავლეთ საქართველოში შეიარაღებული აჯანყება არის მხოლოდ შტო რესეროს საერთო მოძრაობისაა ...“

იანვრის შუა რიცხვები — ქვეყნდება (ცნობის ფურცელი № 2981) იაკობის წერილი მიმართული „მკითხველისადმი (ი. ჯავახიშვილის წერილის გამო)“. იაკობის წერილი გამოწვეულია ნ. მარისა და ივ. ჯავახიშვილის მიერ საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის არასწორი გაშექებით.

იანვრის ბოლო — გაზეთი „ცნობის ფურცელი“ (№ 2991) ბეჭდავს გ. ნათაძის გამოხმაურებას ი. გოგებაშვილის წინადაღებაზე „განმათავისულებელი საერთო ფონდის“ დაარსების შესახებ:

თებერვლის დასაწყისი — გამოიდის „დედა ენის“ ოცდამეერთე გამოცემა.

„დედა ენა“, რომელიც 20 ივნისს უნდა გაეთავებინა სტამბასა, მხოლოდ ერთი კვირის წინად დაასრულა და დაკაზმული ეგზემპლარები გასაყიდათ მხოლოდ დღეს მიიღო „წერა-კითხვის“ საზოგადოების შალაზიაში...“ — ვკითხულობთ იაკობის მიერ 10 თებერვალს ს. ხუნდაძისადმი გავზავნილ წერილში.

თებერვლის 10 — საპასუხო წერილს უგზავნის სილოვან ხუნდაძეს ქუთაისში. „დიდად პატივცემულო ბატონო სილოვან! უცნაურის შინაარსის წერილი მომიერდა თქვენგან. სრულიად უბრალო შეცდობისაოვის რაღაც მტრული მოქმედების ხასიათი მიგიციათ და მძიმე ბრალსა მდებთ ... და შემდეგ იაკობი უხსნის თუ რამ გამოიწვია „ბუნების კარში“ შეტანილი სილოვანის ლექსის „დედა და შვილის“ ჭაღაზიდელის კუთვნილებად დასახელება.

თებერვლის ბოლო — „ცნობის ფურცელში“ (№ 3014) იაკობის

ბეჭდავს „შენიშვნას“ ამავე გაზეთის № 3009-ის მეთაურ წერილში მოყვანილ ბრალდებათ გამო, რომ თითქოს ძველი თაობა ე.წ. „შები“ არ ზრუნავენ თბილისის ქართულ სკოლაში მშობლიურ უნაზე სწავლებისა და სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შედგენისათვის.

მარტის დასაწყისი — „ცნობის ფურცელში“ (№ 3019) ქვეყნდება იაკობის „პატიარა შენიშვნა უდიდეს საგანზე“, რომელშიც თავადაზნაურობას მოუწოდებს: „პირველად, გამოაცხადოს თავის აღშფოთება (ნეგოდოვანი) და პირტესტი იმ ვანაღვურების გამო, რომელსაც უსამართლოდ მიეცა მოელი დასავლეთის საქართველო და ქართლი. მეორედ, მოითხოვოს უზენაესის მთავრობისაგან, რომ დანიშნულ იქნას სენატორის რეეიზია და აუნაზღაუროს ზარალი ყველას, ვინც უსამართლოდ და უდანაშაულოდ დაისაჯა“.

მარტის პირველი დეკადა — „ცნობის ფურცელში“ (№ 3022) ბეჭდავს იაკობის წერილს სათაურით: „სადღეისონ“, რომლითაც იაკობი თავადაზნაურობის კრებას მოუწოდებს შემდეგს: „დღევანდელმა კრებამ თავად-აზნაურობისამ უნდა ნათლად გაითვალისწინოს და ღრმად იყრძნოს შემდეგი გარემოებანი: ... თუ ჩვენს თავადაზნაურობას არა სურს სიკედლით ჩვენის ერისა და თავის თავისა, მან უნდა ხმა აღიმაღლოს ... უშეერთ ჩეპრესიების წინააღმდეგ, და მოითხოვოს, რომ მთავრობამ აუნაზღაუროს გლეხებს ის საშინელი ზარალი, რომელიც მას სრულიად უსამართლოდ მიაყენა“.

პრილის 26 — გაზეთი „შრომა“ (№ 19) ბეჭდავს იაკობის წერილს (ხელმოწერა ი. გ-ლი) „ახალი შეძენა“, რომელშიც საუბარია წერა-კითხების საზოგადოების პარალელურად „საშუალო და მაღალ სწავლის აღორძინების საზოგადოების“ დაარსების შესახებ.

პრილის 29 — გაზეთი „შრომის“ № 22-ში ქვეყნდება წერილი Gr-ს ხელმიწერით „მასწავლებელთა კავშირი და ბ-ნი გოგებაშვილი“. წერილის ავტორი არ ეთანხმება გოგებაშვილს პედაგოგიურ-პოლიტიკური კავშირის დაარსების საკითხში და მოითხოვს პროფესიულ კავშირის დაარსებას.

მაისის 14 — ქვეყნდება იაკობის წერილი „პასუხი ჩემს პროექტორსა“ (შრომა, № 34), რომელიც მიმართულია Gr-ს წერილის („მასწავლებელთა კავშირი და ბ-ნი გოგებაშვილი“) წინააღმდეგ.

მასის 21 — გაზეთი „შრომა“ (№ 38) აქცევნებს იაკობის წერილს /  
რედაქტორის მიმართ სათაურით: „ვინ ამოვირჩიოთ“, იაკობი საზოგადო  
დობას აცნობს სამეურნეო ბანკის საზოგადო მდგომარეობას, სამეურნეო  
ბანკის კრების მონაწილეებს მოუწოდებს ბანკის დირექტორად  
აირჩიონ ღირსეული და საქმის მონაწილეება, ისეთი, „რომელიც  
შესისხლხორცებულია საზოგადო საქმეებთან, ჩვეულებად გადაქცევაა  
ქვეყნის სამსახური, ფართო განათლების პატრონია, (პროგრესიული  
მიმართულების სათავეში სდგას, შემოქმედებითი ნიჭი ახლავს, არა-  
ვის მარინჩალად არ გადაიქცევა და რომელსაც დამკვიდრებული რე-  
ტინა ვერ ჩაითრევს. ჩვეულებრივი ინტელიგენტი კი აქ ვერაფერს  
გააწყობს და ხელიდან შეიძლება წაგვივიდეს ერთი მეტად სასარგებ-  
ლო დაწესებულება“.

იაკობის ამ წერილის შესახებ მიმოხილვას ბეჭდავს გაზ. „კავკა-  
ზი“ (№ 18) 24 მაისს.

მასის 23 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სთავაზობს  
„დედა-ენის“ პირველი და მეორე ნაწილის გარეცელების პირობებს  
(თხ. ტ. 9, 1962, ვე. 265—266).

მასის 24 — სამეურნეო ბანკის დირექტორის არჩევნებზე ბეჭდავს  
წერილს „უსაფუძვლო შიში“ (შრომა 39), რომელიც წინა წერილის  
(„შრომა“ № 38) დამატება-განმარტებას წარმოადგენს.

მასის 28 — გაზ. „შრომა“ (№ 43) ბეჭდავს შ. ჩიტაძის კრიტიკულ  
წერილს — „გამოძახილი“ (ხელმოწერა: „ყვავი“) ი. გოგებაშვილის  
წერილის — „პასუხი ჩემს პროკურორსა“ საპასუხოდ.

ინისის 7 — გაზეთი „შრომა“ (№ 51) ბეჭდავს იაკობის წერილს  
რედაქტიისაღმი „დღევანდელი მომენტი ქართველთა და სომეხთა ეკ-  
ლებისაა“. წერილში იაკობი აყენებს საკითხს თეოთმართველობისა და  
საარჩევნო უფლების მოპოვებისათვის საეკლესიო სფეროში.

„წელიწადზე მეტია, რაც საქართველოს სამღვდელოება და სამწყსო  
იძრძების მოპოვოს თეოთმართველობის უფლება სარწმუნოების  
სფეროში, აღადგინოს საარჩევნო წესი, განახორციელოს ის თავი-  
სულება სინიდისისა, რომელიც არსებობს ყველა დაწინაურებულ  
ქვეყანაში და რომელიც ბოლოს ხანს გამოცხადებულ იქმნა თვით  
უკანდარჩინილ რესეტშიაც კი, მაგრამ სრულიად ამაოდ, უნაყოფოდ.

როგორც სატახტო ქალაქიდან იტყობინებიან, ეხლაც პბედავენ/ ძეელებურის წესით მოუვლინონ საქართველოს ეკლესიის ბიუროებიან/ ტიული მეთაური ...

არა, ბედი ჩვენის ეკლესიისა, მისი ასავალ-დასავალი უსათუოდ ხალხის ხელში უნდა იყოს და აქ ბიუროებატიას არაფერი არ უნდა ექითხებოდეს. ოვით ხალხი უნდა ირჩევდეს მეთაურს თავის ეკლესიისას, კათალიკოსს, ეპისკოპოსებს, მღვდლებს, მთელს საეკლესიო კრებულს... არა გვვონია, რომ მთელს საქართველოში იყოს იმისთანა ადამიანი, რომელიც ამ საარჩევნო პრინციპს არ თანაუგრძნობდეს“.

— გაზითის ამავე ნომერში ქვეყნდება ლ. ბოცვაძის წერილი — „უურნალი „ნაკადული“ და ჩვენი საბავშვო მწერლობა“, რომელშიც ავტორი დადგებითად აფასებს ი. გოგებაშვილის საბუნებისმეტყველო წერილებს.

იყლისის 22 — გაზ. „შრომა“ (№ 87) ბეჭდავს იაკობის წერილს, სათაურით: „ჩვენი მოვალეობა ობლების წინაშე“, რომლითაც იყი თავადაზნაურობას მოუწოდებს ახლად გარდაცვლილი შიო ჩიტაძის ობლებისა და ქვრივის მატერიალური უზრუნველყოფისათვის.

აგვისტო — მასწავლებელთა კასის დასაარსებლად წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას გადასცემს ათ თუმანს.

„1906 წელს აგვისტოს თვეში მასწავლებელთა კასის დასაარსებლად წარმოუდგინე გამგეობას ათი თუმანი ფული“. (თბზ., ტ. 9, 1962, გვ. 265).

აგვისტოს 15, 17 — ქვეყნდება იაკობის წერილი „სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უყიდურესი გაჭირვება მისი“ („შრომა“ № № 107, 108), რომელშიც იაკობი აყენებს წინადაღებას მასწავლებელთათვის ხელფასის გაზრდისა და დამხმარებელი კასის შესაქმნელად.

სექტემბრის 19 — გაზ. „გრიგალში“ (№ 8) იაკობ გოგებაშვილის თხოვნით ქვეყნდება შეცდომის გასწორება იმისა, რომ „ბუნების კარში“ მოთავსებულ სილოვან ხუნდაძის ლექსს „დედა და შვილი“ შეცდომით მიწერილი აქვს ჭალადიდელი.

ოქტომბრის 6, 8 — გაზითი „მეგობარი“ (№ № 10, 11) ბეჭდავს იაკობის წერილს სათაურით: „წადილი ქართული ენის პროგრამის შევიწროვებისა“. წერილი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ გაზ. „მე-

გობარში” (№ 6) ქვეყნდება ცნობა — „სახელმძღვანელოს არ დატკიცუდება”, სადაც აღნიშნულია, რომ ეგზარქოსმა არ დაამტკიცა თბილისის ქალთა საეპარქიო სკოლის ქართული ენის პროგრამა მის მთარივით, რომ აქ მოხსენიებულია „ბუნების ქარი”.

ნოემბრის 10 — გაზეთ „მეგობარის“ № 39-ში ქვეყნდება იაკობის „შენიშვნა ერთგვარ სიხარბეზე“. წერილი გამოწევეულია წიგნის მაღაზიების მიერ „დედა-ენის“ ძვირად გაყიდვის შემთხვევებით.

„ჩვენ ანბანი გამოვაცალკვეთ და ფასად ორი შაური დავნიშნეთ იმ განხილახვით, რომ თვით უდარიბების ქართველისათვის გაგვეადვილებინა დაწყება და შეთვისება ქართული წერა-კითხვისა. ზოგიერთ მაღაზიების სიხარბე წინ ეღობება ამ განზრახვას“.

ნოემბრის 30 — გაზეთი „მეგობარი“ (№ 55) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქციის მიმართ „ერთის ახალი წადილის შესახებ“.

„თბილისის მასწავლებელთა წრეში დაიბადა წადილი — გამართონ წრეულ საშობაოდ საჯარო ლექციები და ლექტორებად მოიწვიონ ჩვენებური პროფესორები რუსეთიდან. წადილი დიალ ჩინებულია. მაგრამ ასე სწრაფად ეს რთული საქმე ვერ გაეკითხება. ზამთარში რუსეთიდან მოსელა ჩვენებურ პროფესორებს გაუჭირდებათ...


ჩვენის აზრით, საჯარო ლექციების გამართვა უნდა გადავდოთ მაისამდის...

ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ დიდის თანავრძნობით მიეგებებიან ამ წადილს და სიხარულით იყიდებენ ლექციების ქართულად კითხვას თბილისში ზაფხულობით ჩვენებური პროფესორები: პეტრიაშვილი, ცაგარელი, მელიქიშვილი, ხახანაშვილი და ქართველი პრივატ-დოკორენტები. იქნება პროფესორმა თარხნიშვილმაც მოხუცობის დროს გაიხსენოს თავისი სამშობლო და მონაწილეობა არ დაიშუროს ამ მეტად სიმპატიურს და მიმზიდველს საქმეში“.

დეკემბრის 2 — გაზეთი „მეგობარის“ № 57-ში ქვეყნდება იაკობის „წერილი რედაქციის მიმართ“, რომელიც წარმოადგენს პასუხს სოლ. გოშაბის „წერილისა რედაქციის მიმართ“, რომელიც თავს იმართლებდა „დედა-ენის“ მომატებულ ფასებში გაყიდვის ბრალდებაში.

დეკემბრის 5 — წერილს უგზავნის სილოვან ხუნდაძეს ქუთაისში. ბოლიშს უხდის „ბუნების ქარში“ მისი ლექსის „დედა და შეილის“

შეცდომით კვლავ ჭალადიდების კუთვნილებად პითითების გამო. ატ-  
ყობინებს ალექსი ჭიჭინაძის გეოგრაფიის გამოცემის თაობაზე.



\* \* \*

ამ წელს გამოდის: „ბუნების კარის“ მეთხუთმეტე შეცვლილი გა-  
მოცემა;

„დედა-ენის“ პირველი ნაწილის ოცდამეორე შეცვლილი და შევ-  
სებული გამოცემა;

„დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეერთე გამოცემა.

1907

იანვარი — სომხურ ენაზე გამოდის „იავნანამ რა ჰქმნა?“ ლაზარე  
კარაბეტიანის თარგმანით.

ამ გამოცემის შესახებ რეცენზიები ქვეყნდება სომხურ გაზეთში  
„პოსანქი“ და „ზაკავკაზიეს“ № 13-ში.

იანვრის 6 — გაზეთი „ისარი“ (№ 2) „ნაცნობის“ ხელმოწერით  
ბეჭდავს იაკობის (?) წერილს ირანში პარლამენტური კონსტიტუციის  
მიღების გამო, სათაურით: „ირანის განახლება“.

ზამთარი-გაზაფხული (?) — სავარაუდოა იაკობი ამ პერიოდში  
ავადმყოფობს. ამას გვაფიქრებინებს მისი ღუმილი საზოგადოებრივ ას-  
პარეზზე და ის, რომ თითქმის არაფერი იძებეჭდება მისი აეტორობით  
ან მის შესახებ. 1906 წ. 5 დეკემბერს ს. ხუნდაძისადმი გაგზავნილ  
წერილში იაკობი ხომ თვითონ სწერს: „... ამ ზამთრის პირში ისევ  
გავიცვდი, ავად გავხდი და ეს მიშლის ხელსა“.

თებერვალი-მარტი — ბეჭდავს „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოც-  
დამეორე გამოცემას.

„წრეულს „დედა-ენის“ ბეჭდვა ვიწყე თებერვლის გასულიდგან...“  
„ეს მეორე თვეა რაც ვბეჭდავ ახალს, ოცდამეორე, გამოცემას  
„დედა-ენის“ მეორე ნაწილისას ...“ (თხზ., ტ. 9, გვ. 266—267).

მარტის 28 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სთავაზობს  
„დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეორე გამოცემის გავრცელების  
პირობებს (იქვე გვ. 266).

შაინის ბოლო — გამოდის „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდა, მეორე გამოცემა.

„... ერთი თვე იქნება, რაც ვავათავე და, დღეს უკვე დაკაზმული უკვე ათასი ცალი წიგნი“, — ატყობინებს იაკობი წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას 26 იქნის (იქვე, გვ. 267).

იქნისი — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 140) ბეჭდავს იაკობის წერილს «Образчик добросовестности протоиерея Восторгова». წერილი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ი. ვოსტორგოვი ყოველ შხრავ ხელს უშლიდა გოგებაშვილის „რუსულ სლოვოს“ გავრცელებას.

იქნისის 26 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილი ბით შეახსენებს „დედა ენის“ ვალის გადახდის დაგვიანების გამო (იქვე, გვ. 267).

იქნისი-ივლისი — გამოდის „დედა-ენის“ პირველი ნაწილის ოცდა მესამე გამოცემა.

ივლისის 4 — გაზეთი „ისარი“ (№ 143) ბეჭდავს იაკობის წერილს ხალხური პოეზიის შესახებ სათაურით „შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ“.

„მეოთხველს მოეხსენება, — წერს გოგებაშვილი, — რომ ჩვენს სახელმძღვანელოში — „დედა-ენა“ — ბლომად არის მოქცეული ხალხური ლექსები და ზღაპრები. უმეტესი წილი ამ ნაწარმოებისა ჩვენ მიერ არის შეკრებილი სოფელს ვარიანში ოც-და-ათის წლის წინად და შემდეგ ჩართული „დედა-ენაში“. „დედა-ენის“ გამოსვლამდინ არც ერთს ამ ჩვენ მიერ შეგროვილ ლექსთაგანს და ზღაპართაგანს ვერ შეხვდებით ჩვენს ლიტერატურაში“.

აგვისტოს 1 — გაზ. „ისარი“ (№ 167) ბეჭდავს იაკობის წერილს „გამარჯვება პირდაპირი ხელისა რუსულს წერაში“.

აგვისტოს 21 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 168) აქვეყნებს წერილს «Успех прямого письма в русских школах», რომლის უცნობი ავტორი (ხელმოწერა: «М. Д.») პირდაპირი ხელწერის დამწყებად მიიჩნევს ი. გოგებაშვილს და ვრცლად ჩერდება მის სტატიებზე.

სექტემბრის 8 — ქვეყნდება იაკობის წერილი ილია ჭავჭავაძის მეცნიელობის გამო, სათაურით: „შურისძიება ისტორიისა“ (ისარი, № 197).

სექტემბრის 9 — გაზეთი „ზაკავკაზიე“ (№ 184) აქცეუნებს იაკობის წერილს «Взгляд Ильи Чавчавадзе на отношения сословий в Грузии».

სექტემბრის 11 — გაზ. „ჩვენი გზა“ (№ 6) პრესის მიმოხილვაში კრიტიკულად ეხება გაზეთში „ზაკავკაზიე“ გამოქვეყნებულ იაკობის წერილს ილიას შესახებ.

სექტემბრის 16 — ქვეყნდება იაკობის წერილი „დიდი მწუხარების დიდი ნაყოფი“ (გაზ. „ისარი“, № 202), რომელშიც ავტორი აყენებს წინადაღებებს ილია ჭავჭავაძის უკვდავყოფისათვის და აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის მკვლელობამ, „ამ გულშემზარავმა უბედურებამ ერთი მეტად სანუგეშო მოვლენა ცხადჰყო: სრული ერთობა საქართველოსი, ყოველი მისი კუთხისა ... ყოველი წოდებისა, — ის ერთობა, რომელიც აძლევდა ჩვენს ქვეყანას წარსულში დიდ ძალასა, და შემდეგ შესაც უებზე დააყენებს მას და ძალ-ღონით აღავსებს“.

წერილის დასასრულს იაკობი მოუწოდებს ილიას ფონდის გასაძლიერებლად შეწირულებების დაუყოვნებლივ შეგროვებას. პირადად იაკობი ილიას ფონდისათვის წერა-კითხვის საზოგადოების გამგებას უდევს ათ თუმანს.

სექტემბრის 22 — გაზ. „ჩვენი გზა“ (№ 15) ბეჭდავს იაკობის „მცირე განმარტებას“, რაც გამოწვეულია გაზეთ „ჩვენი გზის“ № 6) პრესის მიმოხილვაში იაკობის წერილზე «Взгляд Ильи Чавчавадзе на отношения сословий» მოთავსებული შენიშვნით.

სექტემბრის 25 — გაზეთი „ისარი“ (№ 209) აქცეუნებს იაკობის წერილს რედაქციის მიმართ, სათაურით: „ილიას ფონდის შესახებ“.

წერილის დასასრულს იაკობი წერს: „დღესვე წერა-კითხვის საზოგადოებას“ ვუდგენ ილიას ფონდისთვის ათ თუმანსა და ვალად კიდებ ყოველ წლივ, — ილიას დაბადების დღეს 27 დვინობისთვეს, ამდენივე წარვედგინო ხოლმე, ვიდრე ჩემი შემოსავალი ძლიერ არ შემცირდება. ეს ათი თუმანი შეადგენს დაახლოებით ხუთ პროცენტს ჩემის წლიურის შემოსავლისას“.

„ქტომბრის 6 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 205) ბეჭდავს ლ. ბოკვაძის წერილს «Учебник русского языка в инородческих школах»

лах», რომელშიც სხვა სახელმძღვანელოებთან შედარებით აკტორი უპირატესობას აძლევს გოგებაშვილის „რუსეთი სლოვოს“.

ოქტომბრის 13 — იაკობი საპასუხო წერილს უგზავნის მცხოვის სამთავროს მონასტერთან არსებულ საქალებო სკოლის გამგე ელენე ბარათაშვილს, რომელშიც ურჩევს მისთვის საინტერესო საკითხებზე მიმართოს თავად-აზნაურობის წინამდლოლს თხოვნით, მოახდინოს საგანგებო კრება (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 291).

ნოემბრის 3 — წერა-კითხების საზოგადოების გამგეობას წერილთანთვის შესახებ ს „დედა-ენისა“ და „რუსეთი სლოვოს“ ვალის გადახდის შესახებ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 267).

ნოემბრის 7 — მოხსენებას უდგენს წერა-კითხების საზოგადოების გამგეობას „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეორე გამოცემის შესახებ. სადაც უყენებს ღირებულების გადახდის ვადებსა და პირობებს.

ნოემბრის 11 — გაშეთი „ზაკავკაზიე“ (№ 236) ბეჭდავს იაკობის წერილს აფხაზთა ეროვნული კულტურის აღორძინების გამო, სათაურით: «Относительно Абхазии».

ნოემბრის შუა რიცხვები — გაშეთი „ისარი“ (№ 254) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქციისადმი, სათაურით: „საშინელი გაჭირვება“, რომელითაც მოითხოვს მზრუნველი ხელი გაუწვდინონ ჩრდილოეთში გადასახლებულ ქართველ ყმაწვილ-კაცობას.

ნოემბრის 20 — კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს მოხსენებით ბარათთან ერთად უგზავნის ყველა თავისი რუსული გამოცემის თითო ეგზემპლიარს (თხ. ტ. 8, 1961, გვ. 346).

ნოემბრის ბოლო — ქვეყნდება იაკობის წერილი რედაქციისადმი, სათაურით: „პოლიტიკანობა აფხაზეთში“, (გაზ. „წყარო“, № 26), რომელშიც იგი გულისტყივილით აღნიშნავს:

„ამჟამად აფხაზებს ორი მოტირუიალე პყავს. ერთი ცდილობენ სრულიად დააშორონ იგინი საქართველოს, გაიმარტოვონ და გადამირონ თავისკენ. მეორენი მონატრუელნი არიან დაიცვან ისტორიული კავშირი აფხაზებისა ქართველებთან.“

ეს ორი მოწინააღმდეგენი სხვა და სხვა ხერხს ხმარობენ თავისი

წალილის მისაღწევად. პირველი სწერენ კიდეც და შესაბამ საქმეებს — საც აკეთებენ: ქმნიან ფაქტებსა და ამ ფაქტების მაღით იმედი აქვთ დალო გაიტანონ. მეორენი მხოლოდ ბუზღუნობენ, სჩივიან ან, სწერენ რენ კორესპონდენციებს გაზიერებში, სადაც თავის უკავშირულებას აცხადებენ, საქმით კი არაფერს აკეთებენ. ამ დალოცვილებს დავიწყებიათ ის საანბანო ჰემიარიტება, რომ უკედმართის საქმის ძლევა შეიძლება მხოლოდ წაღმართი საქმით და არა ცარიელი სიტყვით....

თუ შეგნებული აფხაზები დახმოცვებით გაიცნობენ თავისი სამ- შობლის წარსულს, ცხადათ დარწმუნდებიან, რომ აფხაზეთი მხოლოდ იმ საუკუნეებში სტეპებოდა კეთილ-დღეობით და კაი სახელით, რო- ცა შეკავშირებული იყო საქართველოსთან პოლიტიკურად, სარწმუ- ნოებით და ლოთის-მსახურებით ...

პირადად ჩვენ მზად ვართ ყოველი დახმარება აღმოუჩინოთ, შეძ- ლებისდაგვარად, ტრადიციულის შმობის და ერთობის მოციქულებს, მეტადრე ახალის მწიგნობრობის შექმნასა და გამოცემაში".

დეკემბრის შუა რიცხვები — „ისარი“ (№ 273) ბეჭდავს იაკობის წერილს „ქართულის სიმღერის ხოროს შესახებ“.

დეკემბრის 21, 22 — იაკობ გოგებაშვილის წერილის „ქართულის სიმღერის ხოროს შესახებ“ საპასუხოდ გაზითი „ისარი“ (№ № 279, 280) ბეჭდავს ზაქარია ფალიაშვილის წერილს, სათაურით: „სტიძენ- დიების შესახებ (იაკობ გოგებაშვილის წერილის გამო)“.

დეკემბრის ბოლო — ეურნალი „ნიშადური“ (№ 18) ბეჭდავს ია- კობის წერილს სათაურით: „სიმართლის აღდგენა“. წერილი გამო- წევულია გაზით „ცის ნაში“ იაკობის წიგნებისა და სახელმძღვანე- ლობის შესახებ არასწორი ცნობების გამოქვეყნებით.

„ახლად მოვლენილს გაზითში „ცის ნაში“ მოთავსებულია ჩემ ქართულ წიგნების და სახელმძღვანელოების შესახებ ცნობები, სავსე ბავშვური სიყალბით და უძლური ბოროტებით. სიმართლის აღსაღე- ნად ვთხოვ „ნიშადურის“ რედაქციას აღვილი დაუთმოს ამ ჩემს წე- რილს გაზითის მახლობელ ნომერში“.

\* \* \*

ამ წელს იაკობი ბეჭდავს და ავრცელებს „ბუნების კარის“ მეთექ- ვსხეტე გამოცემას.

ბანეარი — ეურ. „განათლების“ № 1-ში ლ. ბოცვაძე ბეჭდავს წერილს, სათაურით: „დედა-ენა, როგორც საფუძველი სწავლებისა, რომელშიც აღნიშნულია ი. გოგებაშვილის ის დიდი ღვაწლი, რაც მას მიუძღვის ამ საქმეში.

იანვრის 1 — ეურ. „ნიშალურის“ № 20-ში ქვეყნდება იაკობის წერილი ილია ჭავჭავაძის ფონდისადმი ქართული საზოგადოების უსულ გელი დამოკიდებულების გამო, სათაურით: „ილიას ფონდის შესახებ“.

— „ეშმაკის მათრახი“ (№ 14) ბეჭდავს ნ. კალანდაძის საახალწლო მილოცვებს იაკობ გოგებაშვილისა და სხვებისადმი.

იანვრის 2 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის წინაშე შეამდგომლობას უწევს დარია იოსების ასულ ჯაფარიძე-მამაცაშვილს და ნინო ათანასეს ასულ შარაშიძისას მათი შეილებისათვის სტიპენდიების დასანიშნად, პირველს — წერა-კითხვის საზოგადოების დაარსებაში ღვაწლისათვის, მეორეს — სახალხო განათლების საქმეში ხანგრძლივი დამსახურებული ღვაწლისათვის (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 269).

იანვრის 4 — გახ. „ისარი“ (№ 3) ბეჭდავს იაკობის წერილს „უცნაური გაწიწმატება (პასუხად ბ-ნს ფალიაშვილსა)“. იაკობის ეს წერილი გამოწვეულია ზ. უალიაშვილის წერილით „სტიპენდიების შესახებ (იაკობ გოგებაშვილის წერილის გამო)“, (ისარი, 1908, № 279, 280).

იანვრის 12 — იაკობის წერილის („ისარი“ № 3) საპასუხოდ ქვეყნდება ზ. უალიაშვილის წერილი „ისევ საზოგადოება და არა კერძო კომისიები“ (ისარი, № 10), რომელიც გამოწვეულია იაკობის წერილით — „უცნაური გაწიწმატება“.

იანვრის 19 — ქვეყნდება იაკობის წერილი რედაქციის მიმართ, სათაურით: „უკანასკნელი მხილება“, რომელიც მიმართულია ზაქარია უალიაშვილის წინააღმდეგ, მის წერილში „ისევ საზოგადოება და არა კურბო კომისიები“ გამოთქმულ მოსაზრებათა გამო.

მარტის დასაწყისი — იაკობი იწყებს „დედა ენის“ მეორე ნაწილის ოცდამესამე გამოცემის ბეჭდვას.

გარტის 8 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილობით უქახსენებს მისი სახელმძღვანელოების გაყიდული ეგზემპლარების ღირებულების გადახდის შესახებ (იქვე, გვ. 269—270).

გარტის 15 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სთავაზობს „დღე ენის“ მეორე ნაწილის ოცდამესამე გამოცემის გავრცელებას და უდგენს ღირებულებათა გადახდის პირობებს (იქვე, გვ. 268—269).

გარტის მეორე ნახევარი — მონაწილეობს სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების წევრთა კრებაში, სადაც წარმოთქვამს სიტყვას საზოგადოების წესდების თაობაზე.

გარტის 24 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას თხოვს მას-წავლებელთა კასის დასაარსებლად შეწირული ათი თუმანი, რადგანაც ეს კასა არ დაარსდა, გადასცეს თბილისის მასწავლებელთა კრებას.

გოგებაშვილის ამ თხოვნის გამო გამგეობა აღვენს: „გადაეცეს ასი განეთი ხსენებულს კრებულს“ (თხ., ტ. 19, 1965, გვ. 346).

გარტის 28 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 72) ბეჭდავს იაკობის წერილს «По поводу последнего собрания членов о-ва с-х (Письмо в редакцию)».

აპრილის 9 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 82) იაკობი ბეჭდავს წერილს რედაქციის მიმართ «Маленькое разъяснение (по поводу собрания с.-х об-ва)».

აპრილის 20 — უურ. „ნიშადური“ (№ 40) ბეჭდავს დუტუ მეგრელის „შენიშვნას“ იაკობ გოგებაშვილის მიერ „დედა-ენაში“ მისი ლექსის შემოქლებისა და ავტორის მიუთითებლობის გამო.

მაისის 4 — უურ. „ნიშადური“ (№ 42) აქვეყნებს იაკობის წერილს „უცნაური ბრალდება (პასუხად ბ-ნს დუტუ მეგრელს)“.

ივნისის დასაწყისი — გამოდის „რუსკოე სლოვოს“ პირველი ნაწილის მეთექვსმეტე გამოცემა.

გაზ. „ნაპერწეკალი“ 21 ივნისს (№ 22) ამ გამოცემის შესახებ ათავსებს „ი-6“-ის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას.

ივნისის 15 — ქუთაისის მასწავლებელთა კრება, რომლის მიზანს

შეადგენდა შესაფერისი სახელმძღვანელო წიგნების შეჩრევა, კველა  
განხილული წიგნებიდან უპირატესობას აძლევს გოგებაშვილის „რუს-  
კონკრეტის“ ორივე ნაწილს და რჩევას აძლევს პირველდაწყებით  
სკოლის მასწავლებლებს მომავალი სასწავლო წლიდან თავიანთ სკო-  
ლებში შემოიღონ აღნიშნული სახელმძღვანელო. მასთან კრება აღ-  
ნიშნავს „რუსკონკრეტის“ ნაკლოვანებებსაც, რის განსახილებულ-  
დაც ირჩევს კომისიას (გაზ. „ნაპერწყალი“, 1908, № 20).

ივნისის მეორე ნახევარი — ქუთაისის მასწავლებელთა კრების მიერ  
არჩეული სპეციალური კომისია (ლ. ხმალაძე, ი. ჭეიშვილი, ა. ივა-  
შარია, დ. ნიკონოვი, ვ. ბურჯანაძე, თ. მთავრიშვილი) იხილავს გო-  
გებაშვილის „რუსკონკრეტის“ ორივე ნაწილს და ადგენს ოქმს, რო-  
მელშიც აღნიშნავს სახელმძღვანელოს იმ ნაკლოვანებებს, რომელთა  
გასწორება აუცილებელი და სასურველია.

ივნისის 24 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 140) ბეჭდავს იაკობის მცი-  
რე წერილს ერთი ფაქტით აკად. თარხნიშვილის ცხოვრებიდან, სა-  
თაურით: «Маленькое дополнение».

ივლისის 3 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას პირობის  
თანახმად წერილობით შეახსნებს სახელმძღვანელოების ვალის გა-  
დახდას (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 270).

აგვისტოს 12 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 181) ბეჭდავს იაკობის საზ-  
მიმრის დეპეშას პროფესორ ვასილ პეტრიაშვილის ქვრივისადმი  
«Одесса. Вдове профессора Петриашвили».

აგვისტოს 20 — წერა-კითხვის გამაცრცელებელ საზოგადოების  
გამგეობას სთხოვს: „.... ფული, რომელიც მე მერგება ცალკე გამოცე-  
მულს ისტორიულ წერილში „რანი ვიყავით გუშინ“, გადასცეს მთლაც  
იმ მასწავლებელთა კომიტეტს, რომელიც აწარმოებს ეურნალის „გა-  
ნათლებას“ გამოცემას“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 270).

სექტემბრის 7 — გაზ. „ამირანი“ (№ 152) ბეჭდავს ია კარგაზე-  
თელის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას „დედანის“ მეორე ნაწილზე  
სადაც ავტორი დადებითად აფასებს გამოცემაში შეტანილ საერთ სი-  
ლერებს.

სექტემბრის მეორე ნახევარი — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 209) ბეჭ-  
დავს იაკობის წერილს სათაურით: «Усердие не по разуму», რაც  
გამოწვეულია გურიის ერთ-ერთ სოფლის სკოლაში ქართული ენის  
უცოდინარი მასწავლებლის დანიშნით.

ოქტომბერი — მონაწილეობს წერა-კითხვის გამაცრცელებელ სა-  
ზოგადოების საზოგადო კრებაში. აქ იაკობი გამოდის სიტყვით, რო-  
მელშიც აღნიშნავს ბათუმის სკოლის ჩამორჩენას და მის გამომწვევ  
მიზეზებს.

ოქტომბრის 22, 23 — გაზეთი „იმედი“ (№ № 9, 10) ბეჭდავს ბა-  
თუმის სკოლის გამგე ივლიანე გოგოლაშვილის გამოხმაურებას, წერა-  
კითხვის საზოგადოების კრებაზე ბათუმის სკოლის შესახებ იაკობის  
გამოსვლის გამო. სათაურით: „წერა-კითხვის გამაცრცელებელი სა-  
ზოგადოების კრების გამო“.

ოქტომბრის 28 — გაზ. „იმედი“ (№ 13) აქვეყნებს იაკობის საპა-  
სუხო წერილს „წინდაუხედველი გაწიწმატება (პასუხად ბ-ნს გოგო-  
ლაშვილს)“.

ნოემბრის დასაწყისი — იღებს წერილს (28 ოქტომბრის თარიღით)  
ნიკო ლომიურისაგან. ნ. ლომიური მაღალ შეფასებას აძლევს „ბუნე-  
ბის კარს“ — „ამ წიგნს „ბუნებისა“ კი არა, სამშობლო ქვეყნის კარი  
უნდა ერქვას!“ ამასთან ერთად აძლევს ზოგიერთ შენიშვნებს, ძირი-  
თადად სურათების შესახებ. „ბოლოს უნდა მოგახსნოთ იაკობ, —  
წერს ნიკო ლომიური, — ისიც, რამაც ცოტა არა, მაწყენინა. აკავის  
ლექსი ჩემთვის გიყუთვნებია. სად ჩემი ჩახლართული ლექსები და  
სად პოეზიით სავსე, სინარჩარით შემუშავი ლექსები აკავისა!! გებ-  
ვეწები, იაკობ, როგორმე გაასწორე ეს შეცდომა. ამით აკავის, რაღა  
ოქმა უნდა, არაფერი დაკალდება, მაგრამ ჩემთვის კი ცუდია: ეს სა-  
საცილოდ აგდებაა ჩემი პოეტური უნიჭობისა, ვამბობ „გლეხის სიმ-  
ღერაზე“, 25 გვ.“.

ნოემბერი — გამოდის ლიტერატურულ-მხატვრული აღმანახი  
„აკავის დღე საქართველოში“ № 1, რომელშიც ქვეყნდება იაკობის  
შილალმება აკავი წერეთლისადმი, სათაურით: „საიუბილეო სალამი,  
ძვირფასო მგოსანო და მამულიშვილო აკავი!“

ნოემბრის 4, 11 — ქვეყნდება საპასუხო წერილები იაკობის წერილზე „წინდაუხედველი გაწიწმატება“ კ. გოგოლაძისა „ი. გოგებაშვილის წერილის გამო“ („აღი“, № 2) და ივ. გოგოლაშვილის „წინდაუხედული ქამანდები (ბ. გოგებაშვილის პასუხის გამო“). („აღი“, № 8).

ნოემბრის 5 — ბათუმის სკოლის გარშემო ატეხილი პოლემიკის გამო იაკობი ბეჭდავს წერილს „მოკლე პასუხი ბ-ნ კ. გოგოლაძეს“ (გაზ. „აღი“, № 3).

ნოემბრის 15 — ქვეყნდება კ. გოგოლაძის წერილი (გაზ. „აღი“ № 12) ბათუმის სკოლის გარშემო, სათაურით: „ი. გოგებაშვილის პასუხის გამო“.

ნოემბრის 20 — გაზეთ „აღის“ № 15-ში იაკობი ბეჭდავს პოლემიკურ წერილს „მეორე და უკანასკნელი პასუხი ბ-ნს გოგოლაძეს“.

ნოემბრის 25-27 — გაზეთი „აღი“ (№ № 18—20) აქვეყნებს იაკობის კრცელ წერილს ბათუმის სკოლის გარშემო წარმოებული პოლემიკის გამო, სათაურით: „უკანასკნელი პასუხი ბ-ნ გოგოლაშვილს“.

დეკემბერი — ლიტერატურულ-მხატვრულ ალმანახში — „აკაკის ღღე საქართველოში“ № 2 — ქვეყნდება იაკობის ესსე აკაკის იუბილეს გამო — „საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება“.

დეკემბრის 4 — გაზეთი „აღი“ (№ 26) აქვეყნებს კ. გოგოლაძის წერილს ბათუმის სკოლის გარშემო ატეხილი დავის გამო, სათაურით: „წემგანაც უკანასკნელი პასუხი ბ. გოგებაშვილს“.

დეკემბრის 11 — „დროება“ (№ 20) ბეჭდავს იაკობის წერილს რეაქციისადმი სათაურით: „ფრიდად საყურადღებო შუამდგომლობა“ (შემდგომში ავტორი წერილს აძლევს სათაურს: „სამაგალითო შუამდგომბა უკვდავის ილიას მეუღლისა“).

დეკემბრის 16 — უურნალი „საქართველო“ (№ 9) ბეჭდავს იაკობის წერილს „ილიას მეორედ მოკველის წადილი“. წერილი გამოწვეულია იონა მეუნარგიას მიერ ქუთაისში ილიას დაბადების დღეს სალიტერატურო საღამოზე წაკითხული დეკციით.

„ჯერ მას, მეუნარგიას არ გაუცვეთნია ის წალები, რომლითაც იგი

ოლიას დასაფლავებას დაესწრო, როდესაც იგი თავის სიტყვაში წყველა-კრულვას უგზავნიდა ჩეენი დიღების მსეც მკლელებს, და დღეს კი მას თითქმის ტალახში სკრის, — გულისწყრომით სწერს იაკობი და დასასრულს დასძენს, — ბევრად უფრო საკვირველია საღამოზე დამსწრე საზოგადოების საქციელი ... ლექტორი მთელ საათს „მიწასთან ასწორებდა“ მათს სათაყვანებელ ილიას „... ესენი მხოლოდ უძლურს, სუსტს უქმდულიერებას აცხადებდნენ. შეგნებული და გრძნობა განვითარებული საზოგადოება ... აღვირაშეებულს ლექტორს იმავ თავით ხმას გააკმნინებდა, როგორც ერთი კაცი უეხზე წამოიშლებოდა და გრისხანედ შესძახებდა: გარეთ გადით“.

დეკემბრის 18, 19 — ბათუმის სკოლის გარშემო ატეხილი პოლე-მიუა გრძელდება. ქვეყნდება ამ სკოლის გამგის ივლ. გოგოლაშვილის წერილი იაკობ გოგებაშვილისადმი მიმართული — „ჩემი უკანასკნელი პასუხი“ (აღი, № № 38, 39).

დეკემბრის 21 — გან. „დროება“ (№ 29) ბეჭდავს იაკობის წერილს „არაჩეულებრივი შუამდგომლობა“, რომელიც შეეხება რუსეთში მოსწავლე ქართველი სტუდენტების თხოვნას ქართველი თავად-აზნაურობისადმი კოტე ფოცხვერაშვილისათვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ.

დეკემბრის 23 — აკაკი წერეთლის საიუბილეოდ უურ. „საქართველოს“ № 10-ში ქვეყნდება იაკობის წერილი, სათაურით: „აკაკი“. (შემდგომში აეტორი აძლევს სათაურის: „იალბუზი ქართული პოეზიას“).

დეკემბრის 30 — ეურნალი „საქართველო“ (№ 11) ბეჭდავს იაკობის წერილს „მეუნარების ჭორები ილიას შესახებ“.

\* \* \*

ამ წელს იაკობი ბეჭდავს და ავტოელებს: „ბუნების კარის“ მეწევილმეტე გამოცემას; „დედა-ენის“ პირველი ნაწილის ოცდამეხუთე გამოცემას; „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამესამე გამოცემას; „რუსეთი სლოვოს“ პირველი ნაწილის მეთექვსმეტე გამოცემას.



იანვრის 13 — საყურადღებო საკითხებზე მოსალაპარაკებლად წერილით თავისითან იწევეს მიხეილ მარაბელს.

„საჭიროა, მეტად საჭირო, პირადად მოგელაპარაკო რამდენიმე ფრიად საყურადღებო დღის ვარამზე, და გეთაყვა, ნუ დაზიარებ ჩემთან შემოსვლას ცოტას ხნობით. მე თვითონ ვერა ვნახავ, რადგანაც ეს სამი კვირაა უქეთოდ ვარ ...“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 19).

იანვრის შუა რიცხვები — დეპუტატთა საკრებულოს მდინარეობის სახელზე აგზავნის შეკითხვას სტუდენტ ქოტე უოცხვერაშვილისათვის სტიპენდიის დანიშნვის შესახებ (თხ. ტ. 4, 1955, გვ. 269).

იანვრის 21 — წერა-კითხვის საზოგადოების ვამგეობას წერილობით შეახსენებს მისი სახელმძღვანელოების ვალების გადახდას (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 274—275).

იანვრის 25 — „დროება“ (№ 19) „ი. გ.“-ს ხელმოწერით პეტდავს იაკობის წერილს სათაურით: „განა სულ ერთია?“ წერილი შეეხება აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე აღრესის წაკითხვის თაობაზე ვამართულ დავას.

თებერვლის 10 — აკაკი წერეთლის საიუბილეო კომიტეტის წევრთა სახელით იაკობი წერილით მიმართავს წერა-კითხვის საზოგადოების თავმჯდომარეს გიორგი ყაზბეგვასა და თხოვს აკაკის ლიტერატურული ფონდისა და მისი პენსიის საკითხებზე კიდევ ერთხელ სასწრაფოდ მოიწვიოს კრება (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 357).

თებერვლის 15 — ქვეყნდება იაკობის წერილი, სათაურით: „უკადურესი გალექვაობა (ვუძლენი ქართველ სტუდენტებს)“. წერილი გამოწეულია ზოგიერთი სტუდენტის მიერ ქართველ სტუდენტთა კასიდან აღებული ვალის გადაუხდელობით. (ალმანახი „ძალა“, № 6).

მარტის 13 — „დროების“ № 57-ში ქვეყნდება იაკობის წერილი რედაქციის მიმართ, სათაურით: „ბიუროკრატიული თრევა საკითხისა“, რომელშიც ავტორი კიდევ ერთხელ შეეხება სტუდენტ ქოტე უოცხვერაშვილისათვის სტიპენდიის დანიშნვის გაჭიანურებას.

მარტის 19 — „დროება“ (№ 62) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქციისადმი, სათაურით: „უსაფუძვლო მაღლობა“.

ივნისის 4 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 96) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქციის მიმართ, სათაურით: «Дело не так плохо», რომელიც შეეხება საბავშვო ბაღებში ქართულ ენაზე სწავლების საკითხს.

ივნისის 8 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 99) ბეჭდავს ადვოკატ ი. გვაზავას წერილს «Правовые курьезы», რომელიც შეეხება საბავშვო ბაღებს, მათ დაარსებას, მათში სწავლებას ... და წერილის დასასრულს იაკობ გოგებაშვილის წერილის («Дело не так плохо») გამო მისი მისამართით წერს: „იყი გამოვიდა თავისი სპეციალობის ფარგლები-დან და შეიჭრა მისთვის სრულიად უცნობ დარგში“.

ივნისის 19 — ქვეყნდება იაკობის წერილი, სათაურით: «Отли- ულся» (გაზ. „ზაკავკაზიე“ № 109), რომელიც წარმოადგენს პასუხს აღვოყატ ი. გვაზავას წერილზე.

ივლისის 21 — წერა-კითხვის სახოგადოების გამგეობის წინაშე შეამდგომლობს სტუდენტ რატიანს მისთვის სტიპენდიის დანიშვნის შესახებ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 271).

ზაფხული — იაკობი ბორჯომში ისვენებს.

ივლისის 22 — გაზ. „ზაკავკაზიეს“ № 136-ში იაკობი აქვეყნებს წერილს — «Скрытый смысл». წერილი გამოწვეულია ანტონ ფურცელაძის მიერ გაშეთ „ტიფლისკი ლისტოკის“ № 156-ში გამოქვეყნებული წერილით, სადაც ფურცელაძე თბილისის სათავადაზნაურო ბანკის წარმატებას თავის თავსა და ბეღალტერ ხ. ხაჩატუროვს მია-წერდა.

აგვისტოს (?) — გაშეთი „ტიფლისკი ლისტოკი“ (№ 171) ბეჭდავს ანტონ ფურცელაძის წერილს — «Сшел с рельс», რომელიც გამო- წვეულია გოგებაშვილის წერილით «Скрытый смысл» და მიმარ- თულია იაკობის წინააღმდეგ.

— „ტიფლისკი ლისტოკის“ ამავე ნომერში იბეჭდება ე. ანტონოვ- სკაიას წერილი რედაქციისადმი, რომელშიც იცავს ა. ფურცელაძეს ი. გოგებაშვილის ბრალდებისაგან.

· азъюисტов 20 — гаზ. „ზაკავკაზიეს“ № 159-ში ქვეყნდება იაკობის მეტად ცხარე ტონით დაწერილი სტატია — Отповедь «Славному», Антону Николаевичу Пурцеладзе», — რომელიც წარმოადგენს პასუხს ფურცელაძის წერილისა — «Сошел с рельса».

— ქვეყნდება იაკობის („ნაცნობის“ ხელმოწერით) მოწოდება „რაჭველ-ლეჩხუმელ მუშათა საყურადღებოდ“ („დროება“, № 184), იმის შესახებ, რომ ნიკოლოზი დახმარება აღმოუჩინონ სოფელ ჭრუბალოს მომავალ სამჯითხელოს.

ოქტომბრის 28 — გაზ. „ზაკავკაზიე“ (№ 213) ბეჭდავს იაკობის წერილს ქართულ ვაკთა ვიმნაზიაში ქართული ენის სწავლების მდგრადრეობის გაუარესების შესახებ, სათაურით: «Печальное нововведение».

— გაზ. „დროება“ (№ 239) ბეჭდავს მ. კვაჭაძის (ხელმოწერა: „კ-ძე“) წერილს — „ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოებზე“, რომელ-შიც აეტორი მოითხოვს „დედენასა“ და „ბუნების კარში“ ზოგიერთი სიტყვის შეცვლას.

ოქტომბრის 30 — „დროების“ (№ 241) სარედაქციო წერილი მიმართულია „ზაკავკაზიეს“ № 213-ში მოთავსებულ იაკობის წერილის «Печальное нововведение»-ს წინააღმდეგ.

ნოემბრის 2 — „დროება“ (№ 243) აღილს უთმობს იაკობის წერილს „უცნაური ბრალდება“, რომელიც წარმოადგენს პასუხს ამავე გაზეთის № 241-ის სარედაქციო წერილისა. რედაქცია წერილს ურთავს შენიშვნას: „ვებეჭდავთ ამ წერილს უცვლელად. პასუხს შემდეგ გავცემთ. მაგრამ არ შევიძლია არ აღვნიშნოთ, რომ ბ-ნი კოგება-შეილი გვერდს უხვევს საკამათო საგანს და სულ სხვა საგანზე დაბარაკობს“.

ნოემბრის 3 — „დროება“ (№ 244) თავის სარედაქციო წერილს მიმართავს ამავე გაზეთის № 243-ში მოთავსებულ იაკობის წერილის „უცნაური ბრალდების“ წინააღმდეგ.

ნოემბრის 4 — „დროება“ (№ 245) ბეჭდავს იაკობის პასუხს მის კვაჭაძის წერილზე („ორიოდე სიტყვა სახელმძღვანელოებზე“ — „დროება“ № 239) სათაურით: „ორ სიტყვაში ოთხიოდე უცნაურობა“.

244-ის სარედაქციო წერილების საპასუხო სტატიას „პრინციპიალობა“ „დროების“ მესვეურისა“.

ნოემბრის პირველი ათდღიური — იაკობი წერს და გაზიეთ „დროების“ გამოსაქვეყნებლად აგზავნის ამავე განხეთის № № 241 და

„დროების“ რედაქტორი არ ბეჭდავს იაკობის აღნიშნულ წერილს.

„იგი მე გავაგზავნე დასაბეჭდად „დროებაში“ ცხრა ნოემბერსა, დილით, მეორე დღეს, ათ ნოემბერს, თორმეტ საათზე შევიარე რედაქტორი კორექტურის გასასწორებლად. ნახვეარი ჩემი სტატიას აკრეფილი და გასასწორებლად აღმისავალი დამხედა. გავასწორე კორექტურა, ჩავაბარე და წამოვედი შინ. სრული იმედი მქონდა, რომ მეორე დღის ნომერში ჩემს სტატიას დაბეჭდილს წავიკითხავდი. მაგრამ მოვსტყუვდი: განხეთში ჩემი სტატია არ აღმოჩნდა, და რედაქციისაგანაც მაღვე მომიერდა წერილი: თქვენი სტატია ნომრიდგან ამოვიდეთ, რადგანაც მეორე გადაეკითხეს შემდეგ იმ აზრზე დავდექით, რომ მისი დაბეჭდვა შეუძლებელია ... თუ ჩემი სტატია დაიბეჭდებოდა, თვით რედაქცია პირშავად, ცილის მწამებლად გამოვიდოდა; თვით რედაქცია მეორე, ვამბობ, რადგანაც ჩემ წინააღმდეგ მომართული ორი წერილი ხელმოუწერელ მეთაურებად იყო დაბეჭდილი“ (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 279—280).

ნოემბრის 22 — უურ. „საქართველოს მოამბე“ (№ 4) ბეჭდავს იაკობის სტატიას „პრინციპიალობა“ „დროების“ მესვეურისა“. ამავე ნომერში ქვეყნდება თხოვნა ამ სტატიის დაბეჭდვის შესახებ — „წერილი რედაქციის მიმართ“.

ნოემბრის 27, 28 — „დროების“ (№ № 264, 265) მეთაური წერილები ეძღვნება იაკობ გოგებაშვილის პოლიტიკურ მსოფლმხედველობას, და კერძოდ მის დამოკიდებულებას სოციალიზმთან.

დეკემბრის 5 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის კრებას უგზავნის თავის მოსაზრებას უურ. „განათლებაში“ საკუთარი საინუორმაციო განყოფილების დარსების შესახებ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 271).

დეკემბრის 6 — უურ. „საქართველოს მოამბე“ (№ 6) ბეჭდავს იაკობის სტატიას „უცნაური წინააღმდევობა (პედაგოგიური შენიშვნა“), რომელშიც მკარიად აკრიტიკებს 1907 წლის ბოლოს შედგენილ სასწავლო პროგრამებს.

დეკემბრის 11 — იაკობი თავის მოსაზრებებს წარუდგენს წერილით ხელშეკრულის საზოგადოების გამგეობას იღია ჭავჭავაძის სახლის (ანტჩერევის ქუჩაზე) გადაეცება—გადიდებისა და გამოყენების თაობაზე (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 272—273).

დეკემბრის 20 — უკრ. „საქართველოს მოამბის“ № 8-ში ქვეყნდება იაკობის წერილი რედაქციისადმი, სათაურით: „სიმართლის გზის შეკრა“, რომელიც გამოწვეულია განეთ „დროებასთან“ წარმოებული პოლემიით, კერძოდ იგი გამოწვეულია „დროების“ № № 264 და 265-ის სარედაქციო წერილების გამო. აღნიშნულ სტატიაში იაკობი „დროების“ მეთაური წერილების საწინააღმდეგოდ იცავს თავის პოლიტიკურ პოზიციას. აი ისიც: „დროება“ სცდილობს მკითხველი და არწმუნოს, რომ ხეთის წლის წინად მე სოციალიზმის მომხრე ვიყავი, ახლა კი წინააღმდეგი ვარ მისი. უკანასკნელი აზრი ტყუილია, პირველი კი მართალი. განმანთვისუფლებელი მოძრაობის დროს ბევრი ჩვენებური სოციალისტი უკადურესად გატაცებული იყო ინტერნაციონალიზმით და იმდენათ უარყოფდა ნაციონალურ ნიადაგსა, რომ თავისი რვა-ცხრა წლის მოსწავლე შვილისაგან ითხოვდა, მოქაოხეს ბარათები მწერე რუსულს უარგონზე და არა დედა-ენაზე. მე აღვინალდე ხმა ასეთი უკუღმართობის წინააღმდეგ, რადგანაც მტკიცედ ვიდექი იმ აზრზე, რომ სოციალიზმი, თავის თავად ჩინებული პრობლემა, მოწყვეტილი ნაციონალიზმისაგან, ეროვნებისაგან, დიდს ენებას მიაყენებს კაცობრიობასა, ერების გადაგვარებას შეუწყობს ხელსა, ინდივიდუუმების თავისებურობას დაბლა დასწევს, შეასუსტებს, და კაცობრიობას დაამსგავსებს ერთ-ფერს და ერთ-გვარს უშეედებელს ნახირსა, რომელშიც საერთო კუჭმაძლრობაზე დამყარდება საერთო ერთ-ფერი და უხალისო ცხოვრება, უფერული არსებობა, საყოველთაო უსიხარულობა, გულსაკლავი პესიმიზმი. დადი ხანია ბრძნულად არის ნათქვამი: „ერთფერობა სიკედილია, მრავალფერობა სიცოცხლეო“. ეროვნული საყოველთაო სოციალიზმი კი კაცობრიობას დაამსგავსებს კრანდიოზულს ბედნიერ ხოროს, რომლის ყოველი წევრი, ყოველი ერი თავისებური ხმით გაამდიდრებს და დაამშვენებს საზოგადო პარმონიას ...“

\* \* \*

ამ წელს გამოდის სახელმძღვანელოები:

— „ბუნების კარი“ მესამე და მეოთხე წლისათვის. მეთვრამეტე გა-

მოცემა, შევსებული ახალი განცოფილებით „კაცობრიობა“. მრავალი სურათით, საქართველოს ახალი ვრცელი ქარტით და ევროპის მოწყვეტილებით. 1909, VI, 632 გვ.

— „დედა ენის“ პირველი ნაწილის ოცდამეშვიდე და ოცდამერვე გამოცემები.

— „დედა ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეოთხე გამოცემა.

1910

ივნისის დასაწყისი — ახალი წლის მოლოცვისათვის გულითად მაღლობას მოახსენებს ილია ჭავჭავაძის ქარივს — ოლდა ჭავჭავაძეს და თავის მხრივ წერილით და ტებილეულობით ულოცავს ახალ წელს.

„ნება მიბოძეთ გულითადი მაღლობა მოგახსენოთ ახალის წლის მოლოცვისათვის და კონინაყის ბოძებისათვის.

ფრიად სასიამოვნო მოვალეობად მიმართია ჩემი მხრივ მოგილოცოთ ახალი წელი, მოგართვათ ტებილეულობა და კინატრო თქვენი მრავალუამიერ სიცოცხლე ჩვენის დათავაზრივის ილიას მოსახსენებლადა“ (ოხშ., ტ. 9, 1962, გვ. 348).

იანვრის ბოლო-თებერვლის დასაწყისი — იაკობი მძიმე ავადმყოფია.

ამის შესახებ გან. „დროება“ (№ 29) 7 თებერვალს ახალ ამბად საზოგადოებას აუწყებს: „ორი კვირაა, თურმე იაკობ გოგებაშვილი აუად ყოფილა. გუშინწინ ექიმების კონსულიუმი მომხდარა“.

თებერვლის 12 — იაკობის ავადმყოფობის გამო „დროების“ № 33-ში ქვეყნდება ვ. რცხილაძის წერილი „საზოგადოების საყურადღებოდა!“ რომელშიც გამოთქვამს თავის შეშუოთებას იმის გამო, რომ ორჯერ მივიდა მასთან სახლში სანახავად, მაგრამ არცერთხელ არავინ გამოეხმაურა, გულნატენი აღნიშვნავს: „ვაი თუ ეს სიჩუმე უპატრონობის ნიშანია?... გოგებაშვილი მარტო ერთი ჰყავს ქართველ ერს და ესეთი უპატრონობა?!.. ვინც გაიგო მისი ავადმყოფობა, დარწმუნებული ვარ, დიდია თუ პატარა, ყველა გულის ფანცქალით ელის ავადმყოფის შესახებ ამბის გაგებას. ამიტომ ურიგო არ იქნება, რომ სხვა რიგ მზრუნველობასთან ერთად ექიმებმა ქართულ გაზეთებს მიაწოდონ ცნობები ავადმყოფის მდგომარეობის შესახებ“.

წერილს გაზეთის რედაქცია უკეთებს შემდეგ შენიშვნას: „ჩვენი

რედაქციის მიერ ავადმყოფის მდგომარეობის გასაგებად ჩეენ თანატ-შრომელსაც სწორედ ასეთი საქმე დაემართა. იგი ორჯერ იყო იყობ გოგებაშვილთან, წარსაულ შაბათს და ორშაბათს, რეკა ზარი, მაგრავ ვერავის ნახვას ვერ ეღირსა. მხოლოდ უკან დაბრუნებისას გოლოვინ-ს წეს შემცველოდა ი. გოგებაშვილის მოსამსახურეს, რომელსაც ეთ-კვა — იაკობი ეხლა კარგად არისო”.

პარილის 7 — გაზ. „ზავაუკაზიი“ (№ 78) ბეჭდაცს იაკობის (?) წერილს სოფლებში საერედიტო ამხანაგობათა და კომპერაციათა დაარ-სების საჭიროების შესახებ, სათაურით: «О нуждах деревни (Пись-мо из Мингрелии)».

პარილის 12 — ავადმყოფი იაკობი წერილს ღებულობს ანასტასია მაჩაბლისაგან, რომელიც სთხოეს უულადი დახმარება აღმოუჩინოს უურნალ „ერის“ რედაქციის.

„ღრმად პატივცემულო ბატონო იაკობ სეიმონის-ძევ! დიდ ბოდიში ვიზდი, რომ გაწუხებთ ისედაც ავადმყოფს და ახალ საზრუნავ საქმეს გიჩინთ. ალბათ მოგეხსენებათ გაჭირვებული მდგომარეობა უურნალის უერი“—სა ... თქვენი დახმარება ამ უურნალისათვის მით უფრო დიდ-მიმშენელოვანია, რომ იგი სხვების თანაგრძნობასაც გამოიწვევს, რად-განაც მისთვის საუკეთესო რეკომენდაცია იქნება“ (წგ-ში: ი. გოგე-ბაშვილი, თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 357).

პარილის 13 — საპასუხო წერილსა და უურნალ „ერის“ რედაქ-ციისათვის შესაწირავს უგზავნის ანასტასია მაჩაბელს.

„დიდად ვწუხვარ, რომ ასე მცირედი შესაწირავით ვიღებ მონა-წილეობას მაგ კეთილ საქმეში. მიზეზი ის გახლავთ, რომ ძლიერ და-ტვირთული გახლავართ ყოველ-თვიური შესაწირავით და გასავლით“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 315).

პარილის ბოლო (?) — გაზეთ «Утро России»-ის რედაქციისაგან იაკობი ღებულობს წერილს თხოვნით: მიაწოდოს ცნობები საქართვე-ლოს სახალხო განათლების შესახებ.

„... პირადად მივიღე ერთი თვის წინად გაზეთ «Утро России»-ის რედაქციიდან წერილი, რომლითაც იგი მთხოვდა მიმეწოდებინა გან-ვითარებული ცნობები სახალხო სკოლების შესახებ ჩეენს ქვეყანაში“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 275).

შაისის 26 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას წერილობით ატყობინებს თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ ბეჭდვის მდგომარეობას და თხოვს დახმარებას მისი გაფრანგულების საქმეში (იქვე, გვ. 275—276).

შაისი-ივნისი — ბეჭდავს თავისი „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ „პირველ ტომს.“

„... გადავწყვეტე საჩქაროდ დავბეჭდო ჩემი პედაგოგიური წერილები ... დამატებით სხვაგვარი სტატიებისა, და ამ ზაფხულის განმავლობაში გამოვსცე. ამავად უკვე დაბეჭდილია 384 გვერდი და დანარჩენი 216 გვერდი უსათუოდ დაისტამბება მოახლოებული იქნისის გასვლამდინ“ (იქვე, გვ. 275).

ივნისის 11 — გაზეთი „სახალხო გაზეთი“ (№ 29) ბეჭდავს იაკობის წერილს — „მცირე მოხსენება“ — სახალხო განათლების მოწესრიგებისა და მის მნიშვნელობაზე. აქვე გადმოგვცემს თავისი რჩეული ნაწერების პირველი ტომის ბეჭდვის მდგომარეობასა და მის მნიშვნელობას... ამავე წერილში იაკობი საზოგადოებას ატყობინებს თავისი რუსული წერილების ცალკე ტომად გამოცემის განზრახვას.

„ჩვენებური დეპუტატები ითხოვენ გამოქვეყნებას ყოველ გვარი ცონბებისას შესახებ ხალხის განათლების მსვლელობისა წარსელში და მის მდგომარეობისას აწყობში. სხვათა შორის, ამისთანა შინაარსის წერილი წავიკითხე ორი თვის წინად „ჩვენს გაზეთში“ დეპუტატი კარლო ჩხეიძისა. ამ გვარივე წერილი მივიღეთ ჩვენ პირადად ერთი სატახტო გაზეთის — «Утро России» — რედაქციიდგან.“

სწორედ ამ გარემოებამ დაგვაჩქარებინა გამოცემა ცალკე ტომად ჩვენის პედაგოგიურის და პუბლიცისტურის ნაწერებისა, რომელიც ამ თვის ბოლომდინ მზად იქმნება. ჩემი პედაგოგიური წერილებიდან — დეპუტატები, რედაქციები და მკითხველები, სხვათა შორის შეიტყობენ, რა გვარი სამოსწავლო გეგმა იქნა შემოღებული ჩვენ სახალხო სკოლებში ... რა გვარი ცვლილება მოახდინა გეგმაში მზრუნველმა დანოვესკიმ და რა ნაყოფი გამოიღო ამ ცვლილებამა, აგრეთვე გაიცნობენ მოკლე სამოსწავლო გეგმას ჩვენის ახალის ნამესტნიკისასა და ურცელს გეგმას ალექსი ჭიჭინაძის კომისიისა, რომელსაც სარჩელად დაედო ნამესტნიკის გეგმა, და სხვანი.

ჩვენს საპედაგოგო წერილებში აგრეთვე ვეხებით, თუ რა მდგომა-

რეობაში იყო ხალხის განათლება ძველს საქართველოში, როდესაც იქ  
მეადგენდა ცალკე სახელმწიფოსა ...

ხსენებული მონაწილეობით არ განვსაზღვრავთ ჩვენს მონაწილე-  
ობას ამ დიდს საქმეში. შემოდგომაზედ დაებეჭდავთ ცალკე ტომავე  
ჩვენს რუსულ წერილებს, რომელიც უმთავრესად პედაგოგიური ში-  
ნაარსისანი არიან..."

ივნისის 16 — გაზ. „ზავევეზიე“ (№ 133) ბეჭდავს გიორგი იო-  
სელიანის წერილს იაკობ გოგებაშვილის იუბილეს მოწყობის საჭი-  
როების შესახებ, სათაურით: «Забытый юбиляр».

ივნისის 19 — „სახალხო გაზეთში“ (№ 36) იაკობი ბეჭდავს წე-  
რილს რედაქციისადმი სათაურით: „უარის მოხსენება“. იაკობი ამ წე-  
რილით უარს ამბობს საზოგადოების მიერ მისი მოღვაწეობის 45 წლის  
იუბილეს გადახდაზე.

„ბატონი გიორგი იოსელიანი დასავლეთ საქართველოდგან წინა-  
დადებას აძლევს ქართველს საზოგადოებას იუბილე გამიმართონ,  
თანაც დასძენს: როგორც ჩვენ ვიცით გოგებაშვილის ხასიათი, ივი  
უარს იტყვისო; მაგრამ ამან ხელი არ უნდა შეუშალოს საზოგადოე-  
ბასო.

ამის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი:

როცა ათის წლის წინად იწყეს წერა ჩემის 35 წლის იუბილეს  
გადახდის თაობაზე, ქატეგორიული უარი განვაცხადე და ასეთი და-  
ვასაბუთე: ჯერ ქართულის ლიტერატურის იალბუშებს გაუმართეთ  
ლირსეული იუბილე და მერე სერების იუბილეზე იფიქრეთ მეოქე.

... ვაიხსენეთ ჩემი მაშინდელი უარის მოტივი, საბუთი, და თქვენ-  
თვის ცხადი შეიქნება, რომ ჩემთვის ყოვლად შეუძლებელია ფსიქი-  
ურად და ზნეობრივად დავთანხმდე იუბილეის გამართვაზე“.

ივნისის 24 — „სახალხო გაზეთი“ (№ 40) ბეჭდავს ვინმე ჯავა-  
ხელის წერილს „დედა-ენა“ და „ბუნების კარი“ იაკობ გოგებაშვი-  
ლისა (კრიტიკული განხილვა). წერილის ავტორი გოგებაშვილს უწე-  
ნებს მის სახელმძღვანელოებში ზოგიერთი სიტყვის არასწორად ხმა-  
რებას. მაგალითად გუგულისა და ოფოფის ძახილის (გუგუ და კუკუ)  
შესახებ.

ივნისის ბოლო — გამოდის იაკობის „რჩეული პედაგოგიური და  
პუბლიცისტური ნაწერების“ პირველი ტომი.

ივნისის 27 — ქვეყნდება იაკობის საპასუხო წერილი — „მოქალაქე პასუხი ბატონის ჯავახელსა“ (სახალხო გაზეთი, № 43).

ივნისის 29 — იმ ხანად სურამში დასასცენებლად მყოფი იაკობი მონაწილეობს ადგილობრივი სკოლის სასარგებლოდ გამართულ სახალხო სეირნობაში.

ივლისის დასაწყისი — ქვეყნდება პოლემიკური წერილები გოგება-შვილის „დედა-ენაში“ სმარებული ზოგიერთი სიტყვის — ვუგუს და კუკუს ხმარების გამო ი. ვაჩინაძისა „წერილი რედაქციის მიმართ“ („სახ. გაზეთი“ № 47) კ. ხევისუბნელისა [კ. მაღალაშვილის] „გუგუ“ თუ „კუკუ“ („სახ. გაზეთი“ № 49).

ივლისის 4 — თავის ახალ წიგნს „რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერების“ პირველ ტომს და ვრცელ წერილს უგზავნის აკაკი წერეთელს საჩერებეში.

„გვიზავნი ჩემს ახალს წიგნსა. შეიძლება, რომ შენში უსიამოვნობა გამოიწვიოს წინასიტყვაობის იმ ადგილმა, სადაც მე ვამბობ, რომ ქართველობაში ადგილი არა აქვს პოლიტიკურს სეპარატიზმისა მეთქა. ეს ადგილი ჩავურთე შემდეგი მოსაზრებით: ქართველებს ეშინიათ სეპარატიზმისა, მიაჩინიათ დამდუქველ მიმართულებად, და ამავე დროს პგონიათ, რომ ნაციონალიზმი, მამულიშვილობა იგივე სეპარატიზმია. ამის გამო ზურგს აქცევენ ეროვნულს პრინციპს, ეროვნულს მიმართულებას და მარხავენ ეროვნულს ძალებასა, გადაგვარების გზაზე გვიბიან. ჩემი ახალი წიგნი მთელს ას ს წერილში დადადებს, ეროვნული პრინციპის გამეფებას ყოველს სფეროში, დალადებს, რაც ძალი და ღინეაქვს მის ავტორს, და ამ უკანასკნელს უნდა, რომ უშიშრად და ადგეს ქართველობა მისი ეროვნული აზრების განხორციელებას“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 345).

ივლისის 7 — „სახალხო გაზეთი“ (№ 50) ხელმოწერით გ. ი. ბეჭდავს იაკობის კორესპონდენციას სურამის პროგიმნაზიის შესახებ სათაურით: „სურამი“.

ივლისის შუა რიცხვები — საპასუხო წერილს დებულობს აკაკი წერეთლისაგან „... ხანდახან რომ გამომელაპარაკები ხოლმე, გულს მი-

კეთებ!.. აი ახლაც შენმა წერილში და თან მოყოლებულშა წიგნშა [რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები] გულს გადამზარეს მოწოდების სევდა! გადავიყითხე, გადავითვალიერე მუშტრის თვალი; ავწონ-დავწონე და შიგ ჰემმარიტებისა და სიკარვის მეტი კერა ეიძოვე რა. კურთხეულ იყოს არა თუ მარტო შეინ შრომა, ყოველი ნაბიჯის გადადგმაც ია!..“ (ა. წერეთელი. თხ., ტ. XV.1963, გვ. 124).

ივლისის 16 — „სახალხო გაზეთი“ (№ 58) ბეჭდავს იაკობის წერილს „რას ამბობს ბრემი ოფოფის შესახებ“. გოგებაშეიღის ეს წერილი გამოწვეულია ჯავახელის, ი. ვაჩნაძის და კ. ხევისუნებნელის წერილების გამო, რომლებიც გამოქვეყნდა ამავე გაზეთის № № 40, 47, 49-ში იმის შესახებ თუ რას იძახის ოფოფი.

ივლისის 22 — „სახალხო გაზეთი“ (№ 63) ბეჭდავს ჯავახელის წერილს „იაკობ გოგებაშეიღის საპასუხოდ“ „დედა-ენაში“ ნახშარი სიტყვების შესახებ.

ივლისი-აგვისტო (?) — რუსულ ენაშე სწერს წერილს „ორმოცა წლის წინათ (საქართველოს ეგზარქოსის მიმართ განსვენებულ ეპისკოპოს გაბრიელის წერილის გამო)“.

როგორც თვით იაკობი წერს, წერილი გამოწვეულია გაბრიელ ეპისკოპოსის წერილის გამოქვეყნებით. მოუსმინოთ თვით იაკობს:

„ზავავეასეა არ რეჩის“ ივლისის ერთ-ერთ ნომერში მოთავსებულია იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის წერილი საქართველოს ეგზარქოსის მიმართ, დაწერილი სამოცდაათიანი წლების დამდეგს; ეს წერილი ვვეხება მე და ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ერთ რუს მასწავლებელს. წერილის გამოქვეყნების წინ ამ რუსმა მასწავლებელმა ყელი გამოიჭრა, რადგან გამოირკვა, რომ ის იყო თვითმარქებია, გარიცხული სემინარიელი და არა სასულიერო აკადემიის კანდიდატი, როგორც ეს აღნიშნული იყო მის ყალბ დოკუმენტებში: ის დიდიხნის მიცვალებულია, სრულიად მოშორებულია ამქვეყნიურ ტანჯვას და მის შესახებ შეიძლება გამოვაქვეყნოთ უაღრესად სათავილო რამე ებიც. სულ სხვა მდგომარეობაში ვიმუოფები მე. მე ჯერ კიდევ ცოცხალი ვარ და რადგან სამოცდაათი წლისა ვარ, შეპყრობილი ვარ განუკურნებელი მაღარიით და გრძნობიერება მაქვს გადიდებული, — ძლიერ ვიტანჯები, როცა უხეშად ეხებიან ჩემი ცხოვრების მომენტებს. თავისთავად განსვენებული ეპისკოპოსის ეს წერილი არაფერს

განმარტავს და, მეონი, დაბეჭდილია იმ აღვილების გამოტოვებით, სა-  
დაც ჩემს სასარგებლოდ არის ლაპარაკი. ძნელია გადაწყვეტა, რით  
ხელმძღვანელობდა ის პირი, ვინც ეს წერილი მიუტანა რედაქციას.  
უნებლივ იძალება აზრი, რომ ჩემს საწინააღმდევოდ რაღაც არასა-  
ქებარი განზრახვა უნდა ყოფილიყო. მაგრამ სასურველია ვითიქროთ,  
რომ ამ წერილის გამოქვეყნება გაუგებრობის, რედაქციის დაუღვრო-  
ბის ნაყოფია მხოლოდ ყოველ შემთხვევაში იგი მოითხოვს განმარტე-  
ბას არა მარტო ჩემი პირადი ინტერესების, არამედ საზოგადოებრივი  
ინტერესების გამოც. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის საშინელი შეც-  
დომა, რომელმაც კინადამ ჩემი დაღუპვა გამოიწვია, შეიძლება ყველას  
შეემთხვეს და ტრაგიკულად დაბოლოვდეს. ეს ჩემი ამბავი შეუძლებ-  
ლად გახდის ასეთ შეცდომას ყველა იმ მკითხველისათვის, ვინც ბო-  
ლომდე გულდასმით წაიკითხავს ამ ჩემს ამბავს. მაგრამ, ვიზრე ბო-  
ლომდე წაიკითხავდეს, მყითხველი დაწვრილებით უნდა გაეცნოს საქ-  
მის ვითარებას და, სხვათა შორის, გაიგოს ის მიზეზები, რამაც ჩე-  
მი საშიში ავადმყოფობა გამოიწვია“ (თხ. ტ. 4, 1954, გვ. 359—  
360).

ავტისტოს 1 — „სახალხო გაზეთი“ (№ 72) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს წიგნის ბეჭდვის საკითხზე სათაურით: „ერთი ნაკლი ქართუ-  
ლის წიგნების გამომცემლებისა“.

სექტემბერი — იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიური მოღვაწეობის  
ორმოცდახუთი წლისთვის გამო უურ. „განათლება“ (№ 7) ბეჭდავს  
ლ. ბოცვაძის (ხელმოწერა: XX) წერილს „იაკობ სვიმონის ძე გოგე-  
ბაშვილი“.

— იაკობი თავის წიგნების რამდენიმე ეგზემპლარს ავზავნის პე-  
ტერბურგში იქაური ქართველი პროფესორებისა და დეპუტატებისა-  
თვის.

.... ჩემი წიგნები პეტერბურგში გაიგზავნა ... თანახმად ჩემი სურ-  
ვილისა და განკარგულებისა და ჩემივე ხარჯით. წარსულს თვეში  
ერთმა ქართველმა სტუდენტმა პეტერბურგის უნივერსიტეტისამ წაი-  
ლო ... ყველა ჩემი ქართული წიგნები და სახელმძღვანელოები ჩვენე-  
ბურის პროფესორებისა და დეპუტატებისათვის. ამას წინად კადევ  
გამგემ იმავე წიგნის მაღაზიისამ გაუგზავნა დამსახურებულს პროფე-  
სორს აღექსანდრე ანტონის ძეს ცაგარელს ჩემი რუსული წიგნები ...

ვევღა ეს წიგნები გაიგზავნა არა თათო ცალობით, არამედ ჩამუჯუნ-სამე ცალად. ეს გაგზავნა გამოიწყოა ორმა გარემოებამ: როგორც სა-ტახტო გაზეთები იუწყებიან ახლო მომავალში სათათბირომ უნდა გა-ნიხილოს პროექტი ინორიც ცეკის სახალხო სკოლებისა, და რომ ეს პროექტი სახარბიელოს არას გვიმზადებს ...

მეორე გარემოება იმაში მდგომარეობს, რომ რუსეთში ბევრს, სამწუხაოოდ, ქართველობა მიაჩნია ველურ ხალხად, რომელსაც არ აბალია ლიტერატურა, არც საზოგადო და არც სამოსწავლო, და თით-ქმის შეუძლებელად პხდის სწავლებას „დედა-უნაზე“ ჩვენს სკოლებში და თვით ქართულის ენის სწავლებასაც. ჩვენებური პროფესიონერები და დეპუტატები გააცნობენ სათათბიროს ლიდერებს გაგზავნილის წიგ-ნების საშუალებით საქმის მდგომარეობასა ...“

სექტემბრის 1 — გაზეთი „საქმე“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის წერილს „დათვეური სამსახური“, რომელშიც ავტორი ამხელს იმ გაიძატრი-ოტებს, რომლებიც რუსულ ენაზე სწავლებას აძლევენ უპირატესობას და მაგალითად მოჰყავს „სახალხო გაზეთის“ (№ 88) კორესპონდენ-ცია „სოფლის მასწავლებლები საბრალებულო სკამზე“.

სექტემბრის 2 — „სახალხო გაზეთი“ (№ 98) თავისი მეთაური წე-რილით ეხმაურება გოვებაშვილის წერილს „დათვეური სამსახური“. რეაქცია არ იზიარებს იაკობის გულისწყრომას „სახალხო გაზეთის“ კორესპონდენციისადმი.

სექტემბრის 10 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას მი-მართავს თხოვნით დახმარება აღმოუჩინოს მისი „რჩეული ნაწერების“ გავრცელებაში და უდგენს პირობებს.

გამგეობა თანხმდება გოვებაშვილის პირობებს. (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 347).

სექტემბრის 22 — „სახალხო გაზეთი“ (№ 113) ბეჭდავს იაკობის წერილს „უკანასკნელი სიტყვა (პასუხად ბ-ნს ჯავახელს)“.

სექტემბრის 25 — „სახალხო გაზეთის“ № 116-ში ქვეყნდება დ. წერეთლის „ლია წერილი ბ. ი. ს. გოგებაშვილის მიმართ“, — ისევ იფოფის ძახილის გარშემო ატეხილი პოლემიკის გამო.

ოქტომბერი — „უურ. „განათლება“ (№ 8) ბეჭდავს იაკობის საპა-

სექო წერილს სათაურით: „საჭირო განშარტება“ „სახალხო განვითარების 98-ის მეთაურ წერილზე.

„ის მეთაური „სახალხო განეთისა“, რომელიც შეეხებოდა ჩემს  
კატარი წერილს, დაბეჭდილს განეთში „საქმე“ სრულიად გამომექა-  
რა, რადგანაც მაშინ გზაში ვიყავი, და მისი დაბეჭდეა შევიტყე და წა-  
ითქოთხე ერთი კეირის შემდეგ, რამაც დაავითანა ეს ჩემი პასუხი“.

— უურნალის ამავე ნომერში ქვეყნდება რეცენზია ბაკობის რჩეულ  
ჰედაგროირ და პუბლიცისტური ნაწერების პირველ ტომზე.

რეცენზია ქვეყნდება აგრეთვე გაზეთ „ნოვაია რეს“-ის № 252-ში. რეცენზიის ავტორია დ. ღუმბაძე (ხელმოწერა: დ. შემოქმედელი).

ოქტომბრის 14 — „სახალხო გაზეთში“ (№ 131) ქვეყნდება იაკობის წერილი რედაქციისადმი სათაურით: „მცირედი შესწორება“, — რომლითაც მკითხველს აუწყებს „... რომ ჩემი წიგნები პეტერბურგში გაიგზავნა არა „წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობის გადაწყვეტილებით, როგორც ეს შეცდომით იყო ნათქვამი „სახალხო გაზეთში“. არამედ თანახმად ჩემი სურვილისა და განკარგულებისა და ჩემვე ხარჯით“.

ოქტომბრის 28 — „სახალხო გაზეთი“ (№ 143) ბეჭდავს იაკობის წერილს საბავშვო ბაღის მნიშვნელობაზე სათაურით: „ორიოდე სიტყვა ახალის საქმის შესახებ“, რომელიც ამავე გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული ლ. ბოცვაძის წერილის „მშობელთა საყურადღებოდ საბავშვო ბაღი“ შევსე-დამატებას წარმოადგენს.

ნოემბერი — კურ. „განათლების“ № 9-ში ქვეყნდება დ. ოობაშვილის ლექსი „გუშინ და დღეს (კუძვნი ქართველ პედაგოგების მამა-ტაკარს)“.

— უურნალის ამავე ნომერში იბეჭდება წერილი სათაურით: „იძულებითი განმარტება (პ. ჯავახელის წერილების გამო)“, რომელშიც გოგებაშვილი მოხსენიებულია როგორც პედაგოგი და სახელმძღვანელოების ავტორი. მოყვანილია გერმანელ პედაგოგთა აზრი. ი. ვაგებაშვილზე. (წერილს ხელს აწერს: „გსი“).

<sup>1</sup> ფუნდონიმი „გასი“ კერთვის თვეოთ იაკობ გოგებაშვილს. იგი იქნახება პარული, მარჯვნიდან მარცხნივ — იაკობ სიმონის ძე გოგებაშვილი. შისი ვაჟიცვარა კერთვის პროფ. გ. შიქაძეს. ის. მისი ფუნდონიმიმას ლექსიონი თბ., 1984, გვ. 41.

ნოემბრის 6 — ქალთა სკოლის მუშაობის ანგარიშს და მიწვევას „აშ/სკოლის საზოგადო კრებაზე დებულობს ანასტასია წერეთლისაგან“.

„ექვს ამა თვისას მივიღე წერილობითი მიწვევა საზოგადო წლის კრებაზე ანასტასია მიხეილის ასულ წერეთლისაგან და მიწვევასთან ერთად მომივიდა წლიური ანგარიშიც. ჩემდა სამწუხაროდ, კრებაზე ვერ დავესწარი უქეიფობისა ვამო“. (სახალხო გაზეთი, № 154).

ნოემბრის 10 — „სახალხო გაზეთი“ (№ 154) ბეჭდავს იაკობის „მცირე შენიშვნას“ საზოგადოება „განათლების“ გამგეობისა და მისი ქალთა სკოლის მუშაობის გასაუმჯობესებლად.

დეკემბრის 7 — „სახალხო გაზეთი“ (№ 177) ბეჭდავს იაკობის წერილს „სწორე გზა“ (ერთი კორესპონდენციის გამო)“. წერილი გამოწვეულია „სახალხო გაზეთის“ № 175-ში მოთავსებული კორესპონდენციით ხარავოულიდან (ბელაგორიდან), სადაც აღნიშნულია, რომ აღილობრივი მასწავლებელი პირველი დღეებიდანვე ასწავლის რესულ ენას.

\* \* \*

ამ წელს იაკობი ბეჭდავს სახელმძღვანელოებს: „ბუნების კარის“ მეცხრამეტე გამოცემას; „დედა-ენის“ პირველი ნაწილის ოცდამეცხრე და ოცდამეთე გამოცემებს; „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდაშესუთე გამოცემას.

1911

იანვრის 5 — ქვეყნდება იაკობის წერილი «Сумасшедшний доктор», რომელშიც ვადმოცემულია ნამდვილი ამბავი ავტორის ცხოვრებიდან (ზაკავკაზის რეგ., № 3).

იანვრის პირველი ნახევარი — ქვეყნდება კარლო ჩხეიძის „ლია წერილი იაკობ სიმონის ძის გოგება მეილისადმი“ (სახალხო გაზეთი, № 205). სკოლებში მშობლიურ ენაზე სწავლების კანონ-პროექტის მიღებასთან დაკავშირებით. იაკობის პასუხი, სათაურით: „არხეინად ბრძანდებოდეთ“ ქვეყნდება „სახალხო გაზეთის“ № 208-ში.

იანვრის 30 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას იაკობი წე-

հոլովածութ գաղափարները շամուսացքը պնդեցն տապասի წոշնչեմուն  
գաղութամուն Շեսաեց.

„Տակուրութ զրաբք գացութալունին շամշեռած գամուսացքը պնդութ  
գաճ Շեսաեց ჩիմո წոշնչեմուն գաղութամուն, հոմելնու ჩիմո և յազգութան  
շամացք, տաճախմած ჩիմուն անդրժմած, գարհիմաճ և յայութեած վերա-  
յութեած սանցագութամուն անցագութամուն“ (տե՛, թ. 9, 1962, զ. 277).

Եղերցալու (?) — յարնալ „Կայացութամուն“ հերայիւրութ ե. նայամո-  
մած տեղանութ վերև վերութ ամառ ամառ մասութա գամութեած  
թարած յացութամուն Շեսաեց պատրակ վերութ, հոմելսաց ամաստաճ գա-  
շալցեած. սամութ մոց արացութամուն“ — սվերև նոն նայամոմես ույունութ (տե՛,  
թ. 9, 1962, զ. 322).

Եղերցալու — յայութամուն այս ամառ պատմութեած վերութեած:  
„Հոցուր գարնալ գարնալ յութեալ սանցագութամուն“ (յաճառական, № 2);  
„Ճարտանց մուն հոցուր տաճ և սայարտացութամուն“ (նայացութ, մունակ, № 2).

— մոլապարագեած այց աճաստասու մահածելուաճ մուսո մեջալուս —  
յաճ մահածուս մոյր յայտարարուս յմնութեածուս տարցմանուս գամութամուն  
տառածեց.

„Ոմ սայութամուն Շեսաեց, հանգաւ մոլապարագեած յայտանք համեն-  
սամց օդուս վիճակ, մե և եւ անհու գարնալ յութեալ, հուր յարցաւ հայուցութեալ  
սայմեսա և պարագաւ մերու յացութալունին ոցո... (տե՛, թ. 9, 1962,  
զ. 315).

Եղերցալու 1 — վերութ յացունուս սովորութ մցալութեալ մցութ.  
յասայած սահալեալ յալցնաթուրութ սակուրութեած և յարնից ելու մուս-  
յութուս մուսո յացցենուս և յամութամուն սայմես.

„Մերտագ յարցս ունամու, ու ամ յամութամուն տյացը տարուն ոյսուրեած  
և նամերտուրութ սուստրեմաթուրութուս աթարմութեած յուղեալ վելսա. մեռլութ  
սակուրութ, հութ անդաց, գայուցնեածութ, յայութեած ամ սայմեսա, հութ  
մոմացլուս վլուս յալցնաթուրութ միամիշարյալու ոյսու ամ վլուս პարցեալու լու-  
յամեթրութան“ (տե՛, թ. 9, 1962, զ. 323).

Եղերցալու 8 — վերութ յացունուս աճաստասու մահածելու, արյունու-  
թ ա. յարցամց, բ. յարցանց, թ. սայակա.

ნებს თავის ახალ შეხედულებას ვაწო მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექ-  
სპირის დრამების გამოცემის თაობაზე.

„ჩემი ახლანდელი შეხედულობით, ყველას ისა სჯობიან, რომ შექ-  
სპირის ქმნილებანი, ქართულს ენაზე ნათარგმნი თქვენის განსკენე-  
ბულის მეუღლის მიერ, გამოცემულ იქმნან ქართული დრამატული  
საზოგადოების მიერ. მხოლოდ საჭიროა, რომ გამგეობა ამ საზოგადო-  
ებისა წერილობითი პირობით შეგვერათ“. (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 315—  
316).

თებერვლის 9—10 (?) — ანასტასია მაჩაბლისაგან დებულობს წე-  
რილსა და შექსპირის დრამების ვაწო მაჩაბლისეულ თარგმანს მათი  
გამოსაცემად მოსამზადებლად. ამავე დღეს მომტანის ხელით უგზა-  
ნის საპასუხო წერილს.

„მივიღე თქვენი წერილი და შექსპირის დრამები .ხვალ-ზეგ გა-  
მოვიანგარიშებთ, რამდენი გამოვა ამ დრამებილების სტამბური თაბახი,  
რა დაჯდება სულ, რამდენი ფასი უნდა დაედოს, და შავსაც მოვამზა-  
დებ იმ კონტრაქტისას, რომლითაც უნდა შეგვერათ დრამატული სა-  
ზოგადოების გამგეობა“. (თხ. ტ. 9, 1962; გვ. 316—17).

თებერვლის 13 — იაკობი წერილით ატყობინებს ანასტასია მა-  
ჩაბელს, რომ უკვე მოამზადა ხელშეკრულების პროექტი დრამატიულ  
საზოგადოებასთან შექსპირის დრამების მაჩაბლისეული თარგმანების  
ხელახლი გამოცემისათვის და თხოვს მივიღეს მასთან ბინაზე საზო-  
გადოების თავმჯდომარე — ნიკოლოზ ქართველიშვილთან ერთად (თხ.,  
ტ. 9, 1962, გვ. 317).

მარტი — უურ. „ნაკადული“ (მოზრდ. № 3) თავის უურცლებშე  
ბეჭდავს იაკობის წერილს „ტარას შევჩენკო. დიდი პოეტი უკრაინი-  
სა“.

მარტის 13 — „სახალხო გაზეთი“ (№ 254) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს ტარას შევჩენკოს შესახებ, სათაურით: „პატარა ბარათი დიდი  
პოეტის შესახებ“. წერილის აეტორი ქართველ პოეტებს ურჩევს გა-  
ამდიდრონ ჩვენი ლიტერატურა შევჩენკოს ქმნილებათა თარგმანე-  
ბით.

მარტის 22 — „სახალხო გაზეთი“ (№ 261) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს „ორიოდე სიტყვა თელავის არჩევნების გამო“.

თელავის არჩევნებში ქართველების სასტიკი დამარცხებით გაუ-  
ერვებული იაკობი სწერს: „... მოხდა მოულოდნელი, დაუჯერებელი  
ამბავი: საბჭოს წევრებად ამორჩეული იქმნენ მარტო სომხები... ქარ-  
თველებს კი, თვითონ იმათაც, ვინც სავსებით შეეფერებოდნენ ამ თა-  
ნამღებობას განვითარებით, გამოცდილებით და საზოგადო საქმის ერთ-  
გულებითა ,სულ ყველას შავი კენჭი მიაყარეს“, — მომხდარი ფაქტით  
გულნარებინი იაკობი წერილის დასასრულს დასძენს: „ეხლაც ქართვე-  
ლობას არც სომხებისათვის, არც რუსებისათვის, არც თათრებისათ-  
ვის და არც სხვებისათვის სიკეთის მეტი არაფერი სურს. ითხოვს მხო-  
ლოდ, რომ მას მიუწყონ იმავე საწყაულით. რომლითაც იგი უწყავდა  
სხვებს, მეტადრე კი თავის სამხრეთელს მეზობლებსა და არ ისარგებ-  
ლონ უდიერი ეგოიზმით, შოვინისტურად იმ კრიზისით, რომელსაც  
ეხლა განიცდის საქართველო. წინააღმდეგ შემთხვევაში სომხები იქმ-  
ნებიან დამნაშავენი, თუ ქართველობა იგი შემდეგში ხელს აიღებს თა-  
ვისს ტრადიციულს ხაორიანობაზე და მიუწყავს მათ იმავე საწყაული-  
თა, რომელსაც ისე კადნიერად ხმარობენ იგინი ახლა თავისს მოძმე-  
უდის შესახებ“.

მარტის 30 — „სახალხო გაზეთი“ (№ 267) ბეჭდავს იაკობის სტა-  
ტიას თბილისის მოსახლეობის შესახებ ყალბი დემოგრაფიული მონა-  
ცემების გამოქვეყნების გამო, სათაურით: „უცნაური სტატისტიკა“.

მარტი-აპრილი — იაკობის ავადმყოფობა უკან არ იხევს, ტემპე-  
რატურა მატულობს, რასაც ასე მტკიცნეულად განიცდის.

„მე იმედი მქონდა, გაზაფხულდება, დათბება და მეც სიცხე გამა-  
მელევა მეოქი. მწარედ მოესტყუვდი, — წერს იაკობი ანასტასია მა-  
ნაბლისადმი 25 აპრილს გაგზავნილ წერილში, — გაზაფხულმა უარესი  
დღე დამაყენა.“

ზამთარში სიცხე სჭარბობდა ნახევარს გრადუსსა, ახლა კი, თუნ-  
და ორი კვირაა, მთელს გრადუსს აჭარბებს ყოველ დღე გეგე მაღა-  
ლაშვილი უნდა იყოს მართალი, რომ შეპყრობილი ვარ ავი მაღარი-  
ოთ. უბედურობა ის გახლავთ, რომ ვერც ქინამ, ვერც ევკალიტმა,  
ვერც გორეჩქამ და ვერც დარიშხანამ-მიშაქმა სიცხე ვერ გამომილი-  
ეს და უწინდელივ დამწყვდეული ვარ ჩემს საკუთარს საპყრობილები  
(თხ. ტ. 9, 1962, გვ. 317—318).

აპრილი — ეურ. „განათლება“ (№ 4) ბეჭდავს იაკობის ნახევრის „აგტობიოგრაფიულ წერილს სათაურით: „პატარა საიდუმლოება“.

„დიდი ხნის საიდუმლოებას ვამზღვნებ. ორმოც წელში მეტობა განვლო მას უკან, რაც მოხდა ის ამბავი, რომელსაც ეხლა ამოიყოხავთ. ამბავი ესე მოხდა სწორედ ისე, როგორც არის აწერილი. ამ აღწერაში იოტის ოდენა საარაკო წერილმანიც კი არ მოიპოვება. მარტივს, ხალასს სიმართლეს მოგითხობთ. ის მოქმედნი სულიერი, რომელიც ამ მოთხოვნაში არიან მოხსენებული, ზოგი, მთავარი, უკვე განისვენებენ წიაღსა შინა აბრაშისასა, ზოგი კი მოწმენი, ჯერჯერობით სტებებიან მზის ამოსვლითა და ჩასელითა“.

აპრილის 14 — „სახალხო გაზეთი“ (№ 277) ბეჭდავს იაკობის „ბიბლიოგრაფიულ შენიშვნას“ ფილიპე გოგიჩაშვილის რედაქციის შედგენილ «Сборник статистических сведений о частном землевладении в Тифлисской и Кутаисской губерниях ...».

აპრილის 24 — „სახალხო გაზეთი“ (№ 283) (წერა-კითხვის საზოგადოების წლიური კრების დღეს) ბეჭდავს იაკობის წერილს „ახალი ანდერძი ენუქასი (ვუძღვნი წლიურს კრებას „წერა-კითხვის საზოგადოებისას“).“

— ავაღმყოფობის გამო იაკობი ვერ ესწრება წერა-კითხვის საზოგადოების წლიურს კრებას.

„ცწუხვარ, რომ მოკლებული ვარ შეძლებას პირადად მივიღო მონაწილეობა საზოგადოების სჯა-ბაასში. წყეული მაღარია აგრეთვე ხუთითვეა, ძალიან იშვიათად მიშვებს გარედ, თუმცა ლოგინად კი ვერ ჩამაგდო“ (თხ., ტ. 4, 1955, გვ. 386).

აპრილის 25 — ახალგაზრდა იოსებ გრიშაშვილის სასარგებლოდ იაკობი ხუთ მანეთს უგზავნის ანასტასია მაჩაბელს და შენიშვნას: „მოგარმევთ ხუთს მანეთს გრიშაშვილის სასარგებლოდ (ვეჭობ კი, რომ მან წარმოდგენიდან შემოსული უული თავის განათლებას მოახმაროს. უფრო მოსალოდნელია, რომ იყი გაფლანგავს მას „ოცნების კოცნაში და მრავალ-უამიერში. მაკრამ ეს მისი ჭკეუის საქმეა და არა ჩვენი)“ (თხ., ტ. 9, 1962, გვ. 317).

— წერა-კითხვის საზოგადოებას უომობს „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეექვესე გამოცემას და უდგენს პირობებს,

გამგეობა უცვლელად იღებს (28 აპრილს) გოგებაშეიღის პირობებს (თხ. ტ. 10, 1965, გვ. 347).

აპრილის 27 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას უდგენს მისი წიგნების გავრცელებიდან მიღებული მოგების გაანგარიშებას და სოხოვს მოგების ნახევარი მოახმაროს სახალხო სკოლების გაუმჯობესებას.

„ლეტისათვისაც და კაცისათვისაც საამური იქნება, თუ ამ თრასი თუმნიდან გამგეობა ნახევარს მოახმარებს თავისი სკოლების საარსო გაუკეთესეობას: სოფლის სკოლის მასწავლებლებს მისცემს თვეში ოთხ თუმნამდე, რათა საუკეთესო მათგანი თავისკენ გაღმოიძიროს. ყველა სკოლას გაუგზავნის საჭირო სურათებს, დაუარსებს საშეოლო ბიბლიოთეკას და გარდა ამისა, ყოველ სკოლასთან იქონიებს პატარა აფთიაქსა უსაჭიროები წამლებით, რომელსაც სოფლის მცხოვრებლებს მასწავლებლები მიჰყიდიან იმავე ფასად, რა ფასადაც დაუკავება თვითონ გამგეობას. ამ უკანასკნელს ღონისძიებას დიდი მნიშვნელობა აქვს მეტადრე ახლა, როდესაც ხალხის სიღატაებში ავადმყოფობა გაახმირა და როდესაც ჩვენს ქვეყანას ემუქრება ხორველაც და შევი ჭირიც“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 283).

მასის 1 — „სახალხო გაზეთი“ (№ 292) აქვეყნებს იაკობის „საბუბილეო სიტყვას“ ეკ. გაბაშვილის ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავისათვის.

მასის 10 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სოხოვს თათო თუმანი აძლიოს ყოველთვიურად ნათესავებს — რძალსა და დისტულს (იქვე, გვ. 284).

ივნისის 7 — „სახალხო გაზეთის“ № 320-ში ქვეყნულება მასწავლებელთა ჯგუფის მიმართვა „მასწავლებელთა კრების საყურადღებოდ“, რომელშიც ვეითხულობთ: „საგანგებოდ ქართული სკოლებისათვის ზედგამოჭრილია რუსული სახელმძღვანელო ბ. იაკობ გოგებაშვილის «Русское слово» ორ ნაწილად და ორ წიგნად გამოსული შეთოდური სახელმძღვანელო მასწავლებელთათვის. ამ ჩვენებურს სახელმძღვანელოს მჭიდრო კავშირი აქვს ქართულ ყოფა-ცხოვრებასთან, ქართულ სახელმძღვანელოებთან. რასაც ჭეშმარიტი პედაგოგიური მოსაზრებანი მოითხოვენ; იპყრობს სრულ კურსს პირდაპირი რუსუ-

ლის წერისას და აუქმებს საჭიროებას ცალკე რუსული დედის შეტენისას. ეს სახელმძღვანელო მოწონებულია ქართული სკოლებისათვის, როგორც საერთო სამოსწავლო მთავრობისაგან, ისე უწმინდესი სინთა-დისაგან". დასასრულ მიმართვის აეტორები მასწავლებლებისაგან მო-ითხოვენ ქართულ სკოლებში რუსული ენის სწავლება სწარმოებდეს ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოთ.

ივნისის 19 — იაკობი წერილით ბოდიშს უხდის ანასტასია შარი-ბელს, იმის გამო, რომ დროულად არ გაუგზავნა დრამატიული საზო-გადოების სასარგებლოდ გამართული წარმოდგენის ბილეთის ფული.

„... მიზეზი გახლდათ დროებით უფლობა. ახლაც ვწეხვარ, რომ ასე მცირედს მოვართმევთ. ქართველთა შორის ბევრია გაჭირვებაში და შემწეობას ითხოვენ აქედგანაც და იქიდგანაც“ (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 318).

ივნისის 22 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სთხოვა სტუდენტ კონსტანტინე კასრაძეს (დისტულს) დაუნიშნოს სტიპენდია კურსის დასრულებამდე (იქვე, გვ. 286).

ივნისის 25 — „სახალხო გაზეთი“ (№ 336) ბეჭდავს იაკობის წე-რილს დავით ზაქარიას მე სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო, სა-თაურით: „დიდი მოამაგის დაკარგვა და საშინელი სენი“.

ივლისი — უურ. „ნაკადული“ (მოზრდ. № 7) ბეჭდავს იაკობის წე-რილს — „დიდი მოამაგის გარდაცვალება“ — დავით სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო.

ივლისის 26 — გამ. „ზაკავკასკია რეჩ“ (№ 165) ბეჭდავს დ. ლუმ-ბაძის (დ. შემოქმედელის ხელმოწერით) წერილს (კორხანიდის მიერ ი. გოგებაშვილის რუსული ენის სახელმძღვანელოების უარყოფითად შეფასების გამო) «По поводу летних курсов устроенных для народных учителей в г. Телаве».

ივლისის 27 — გაზეთი „კოლხიდა“ (№ 97) ბეჭდავს იაკობის წე-რილს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლებთან სატექნიკო კლასების გახსნისა და მათში რუსულ ენაზე სწავლების შესახებ, სათაურით: „ფრიად მავნებელი მაგალითი (საპედაგოგო შენიშვნა)“. აღნიშნული წერილი გადაბეჭდა „სახალხო გაზეთმა“ (№ 364).

ივლისის ბოლო-აგვისტო — ქვეყნდება საპასუხო წერილები იაკობის წერილზე „ფრიად მაკებელი მაგალითი“. კიტა აბაშიძისა „ი. ს. გოგებაშვილის წერილის გამო“ („კოლხიდა“, № 110); „ფრიად სამოსამართო სენი“ („სახალხო გაზეთი“, № 370) და ხელმოუწერელი წერილი „ჭიათურის მომავალი სამთო-სატექნიკო სასწავლებელი და ქართული ენა (პასუხად ი. გოგებაშვილს)“ („კოლხიდა“, № 99).

აგვისტოს 11 — გაზ. „კოლხიდა“ (№ 109) ბეჭდავს იაკობის წერილს „კარტული“ დეცექტი“. წერილი წარმოადგენს პასუხს ანონიმური წერილისა „ჭიათურის მომავალი სამთო-სატექნიკო სასწავლებელი და ქართული ენა (პასუხად ბ-ნ ი. გოგებაშვილს)“.

აგვისტოს 20 — გაზ. „ზაკავკასკაია რეჩ“ (№ 185) აქვეყნებს პ. კორხანიძის საპასუხო წერილს დ. შემოქმედელის წერილის გამო, სათაურით: «По поводу методических курсов для народных учителей в Телаве».

აგვისტოს 28 — „სახალხო გაზეთის“ № 383-ში ქვეყნდება ვინ-მე „ქერას“ „მცირე შენიშვნა“ („დედა ენის“ ახალი გამოცემის გამო). ამ სახელმძღვანელოში ზოგიერთი გაუგებარი სიტყვების გამო.

სექტემბერი — ყოველკვირეულ პედაგოგიურ გაზეთ „შეკლა ი ფიზიკის რედაქტორის პენსიონის ფალბორსკისაგან იაკობი პეტერბურგიდან იღებს წერილს წინადადებით, თანხმობა განაცხადოს აღნიშნული გაზეთის თანამშრომლად ჩარიცხვის შესახებ (თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 378).

სექტემბრის 1 — „სახალხო გაზეთი“ (№ 390) ბეჭდავს იაკობის წერილს — „ორკესტრი ცილისწამება (პასუხად კიტა აბაშიძეს)“. ეს არის იაკობის მეორე წერილი ჭიათურის საქალაქო სკოლის ტექნიკურ განყოფილებაში სწავლების რესულ ენაზე წარმოების გარშემო ატეხილი პოლემიკის გამო.

გაზ. „ზაკავკასკაია რეჩ“ (№ 194) აქვეყნებს დიმ. დეკანოზოვის წერილს «По поводу письма Корханиди», რომელშიც არ ეთანხმება დ. შემოქმედელს და აღნიშნავს, რომ კორხანიძი არ შეხებია გოგებაშვილის სახელმძღვანელოებს.

სექტემბრის 5, 7 — პ. კორხანიძის, დიმ. დევანოზოვის და სხვათ  
საპასუხოდ დ. დუმბაძე (შემოქმედელი) აქცეუნებს წერილს — «Отает  
Г. Корханиди св. Деканозову и г-же Пирамовой» („შავებების  
კათ. რეჩ“ № № 197, 199).

სექტემბრის 13, 16 — „სახალხო გაზეთი“ (№ № 399, 401) ბეჭ-  
დავს „ქერას“ მეორე წერილს „დედა ენის“ ლექსიის შესახებ „პასუ-  
ხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს“.

სექტემბრის 22 — გაზ. „კოლხიდა“ (№ 141) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს „კიდევ „კარტული“ ღეცექტით (პედაგოგიური შენიშვნა)“ გან.  
„კოლხიდა“ № 128-ში „პედაგოგის“ ხელმოწერით დაბეჭდილ ბაბ-  
ლიოგრაფიულ წერილზე «Методическая хрестоматия по русско-  
му языку с первыми уроками грамматики, ч. I-ая. Составили  
В. Джапаридзе и Я. Зедгенидзе. Тифlis. 1910 г.».

სექტემბრის ბოლო (?) — იაკობი საპასუხო წერილს უგზავნის გა-  
ზეთ „შეოლა ი ყიზნის“ რედაქტორს პენრის ფალბორსკის, რითაც აუ-  
ნობებს, რომ სიამოვნებით გამოთქვამს თანხმობას, თუმცა ხანდაზმუ-  
ლობის გამო შემდგომ მონაწილეობა გაზეთში არ შეუძლია და თავის  
მხრივ აწვდის ლუარსაბ ბოცვაძის კანდიდატურას. ამასთან მისი წი-  
ნადაღებით გაზეთის რედაქციას წერა-კითხვის საზოგადოების წიგ-  
ნის მაღაზიიდან უგზავნება მისი რუსული გამოცემების თითო ეგზემ-  
პლარი (თხზ., 9, 1962, გვ. 368—369).

ოქტომბრის პირველი ნახევარი — ქვეყნდება საპასუხო წერილები  
იაკობის წერილზე — „კიდევ „კარტული“ ღეცექტით“: პედაგოგისა —  
„პედაგოგიური ჰირვეულობა“ (ბ. გოგებაშვილი წერილის — „კიდევ  
„კარტული“ ღეცექტის“ გამო)“ („კოლხიდა“ № 151); ვ. ჯაფარიძისა  
და ი. ზედგენიძისა „მცირე განმარტება“ (ბ. იაკობ გოგებაშვილის წე-  
რილის გამო)“ („კოლხიდა“, ვ 159); რისხვასი — „კიდევ კარტული  
ღეცექტები“ (სახ. გაზეთი, № 414) და სხვ.

ოქტომბრის 5, 6 — „სახალხო გაზეთი“ (№ № 416, 417) ბეჭდავს  
იაკობის წერილს „უკანასკნელი პასუხი“, რომელიც გამოწვეულია „ქე-  
რას“ წერილით „პასუხად ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს“ („სახ. გაზეთი“  
№ № 399, 401).

ოქტომბრის 21 — გაზ. „კოლხიდაში“ (№ 166) ქვეყნდება „ქერძა“ „ღია წერილი ი. ს. გოგებაშვილს“.

თავისუფალ  
გენერალის

ნოემბერი — უკრ. „განათლება“ (№ 9) ბეჭდავს ვინმე „მასწავლებლის“ წერილს — „მცირე შენიშვნა გაზ. „კოლხიდის პედაგოგის“ წერილის გამო“.

ნოემბრის 10—16 — „სახალხო გაზეთში“ (№ № 447—449, 451, 452) იაკობი ბეჭდავს პოლემიკურ წერილს „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის“ პედაგოგისა“. წერილი წარმოადგენს პასუხს გაზ. „კოლხიდის“ № 151-ში დაბეჭდილი პედაგოგის წერილისა „პედაგოგიური ჰირვეულობა“.

ნოემბრის 12 — გაზ. „მნათობი“ (№ 73) ბეჭდავს იაკობის წერილს რედაქციისადმი სათაურით: „კოლხიდის“ მკონცელთა მიმართ“, რომელიც წარმოადგენს პასუხს გაზ. „კოლხიდის“ № 151-ში მოთავსებულ წერილზე „პედაგოგიური ჰირვეულობა“.

„ბოდიშს ვიხდი „კოლხიდის“ მკითხველთა წინაშე, — წერს იაკობი, — რომ ჩემი პასუხი ავტორს წერილისას „პედაგოგიური ჰირვეულობა“ ვერ წარვუდვინე მათ იმავე გაზეთის სვეტებშე. ამის მიზეზი არის თვით რედაქცია „კოლხიდისა“, ანუ უკეთ ბ-ნი სილოვანი. საქმე ის გახდავთ, რომ ეს ახლად მოვლენილი რეფორმატორი არ იწყნარებს ჩემს მართლ-წერას და თავისებურად სცვლის შას. ვთხოვე ჩვენს სილოვანს, განმათავისუფლეთ ამ ულმობელის ცენზურისაგან მეთქი; მაგრამ არ შეისმინა. ჩემი მართლ-წერა კი მე მიმართა ქართულ ლიტერატურულ მართლ-წერად, რომელსაც მისდევდნენ ბოლოს დრომდე ყველა ქართველი მწერლები იმერნი და ამერნი, ყველა ჩერებური პერიოდული გამოცემანი აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოსი, მათ შორის ბატონი სილოვანიც. ახლანდელი მართლ-წერა ჩენის რეფორმატორისა პროვინციალურია, პროვინციალურის გამოთქმას და გემოზე დამყარებული, და მას ვერას გზით ვერ შევიწყნარებ. ამ გარემოებამ იძულებული გამხადა ჩემი პასუხი მომეთავსებინა „სახალხო გაზეთში“. (აქ იაკობი გულისხმობს თავის წერილს „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის“ პედაგოგისა“).

ნოემბრის 16 — გაზ. „კოლხიდა“ (№ 188) ბეჭდავს სახელმძღვანელო „გუთნის“ შემდგენელთა წერილს რედაქციის მიმართ, რომელ-

შიც აცხადებენ; რომ „პედაგოგიური ჰითვეულობის“ ავტორი „გუთინის“ არც ერთი შემდგენელი არ არის. აღნიშნულ განცხადებას ადასტურებს გაზეთის რედაქტორი. „გუთინის“ შემდგენელთა იგივე ფიციქოლოგება გადაბეჭდა 18 ნოემბერს „სახალხო გაზეთმაც“ (№ 454).

— გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება სილოვან სურდაბის წერილი „ბ-ნი ი. გოგებაშვილის „კარტული“ ენა“, რაც გამოწვეულია ი. გოგებაშვილის წერილით „ანტიპედაგოგიური ჯიუტობა „კოლხიდის“ პედაგოგისა“.

ნოემბრის 19 — „სახალხო გაზეთი“ (№ 455) ბეჭდავს იაკობის წერილს „მოულოდნელი უკანონობა“. წერილი გამოწვეულია იმერეთის საეპარქიო სამოსწავლო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებით — რუსული ენის სწავლების პირველი წლიდან დაწყების გამო. იაკობის ივივე წერილი ქვეყნდება უურ. „განათლების“ დეკემბრის ნომერში.

ნოემბრის 23 — „სახალხო გაზეთი“ (№ 457) აქვეყნებს იაკობის წერილს რედაქციისადმი, სათაურით: „პასუხად „გუთინის“ ავტორებსა“. იაკობის ეს წერილი წარმოადგენს გამოხმაურებას სახელმძღვანელო „გუთინის“ შემდგენლების წერილზე („კოლხიდა“, № 188). იაკობი მადლობას უძლენის წერილის ავტორებს, რადგან მათ თავიანთი წერილით „სამარცხეინო ბოძე გააკრეს „კოლხიდის“ პედაგოგიც და მისი წერილიც ჩემს წინააღმდეგ შეთხზული. როთ გააკრეს სახელმძღვანები? იმითი, რომ იმდენად სათავილოდ ჩასთვალეს ავტორობა წერილისა, რომ ცილის წამებად გამოაცხადეს იგი ავტორებმა თავის შესახებ“.

ნოემბრის ბოლო — გაზ. „კოლხიდა“ (№ № 198, 199) აქვეყნებს პედაგოგის წერილს „ბ. გოგებაშვილის პასუხად“ და სახელმძღვანელო „გუთინის“ ორი შემდგენლის „ღია წერილს ბ-ნ ი. გოგებაშვილი-სადმი“, რომლითაც ისინი უარყოფენ, რომ „პედაგოგიური ჰითვეულობის“ ავტორი, როგორც ამას გოგებაშვილი მიიჩნევს „გუთინის“ ერთი შემდგენელთაგანია.

დეკემბრის 13 — „სახალხო გაზეთი“ (№ 474) აქვეყნებს სახელმძღვანელო „გუთინის“ შემდგენლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის ერთობლივ წერილს „პასუხად ბ-ნს ი. გოგებაშვილს“. წერილი გამოწვეულია იაკობის მიერ წერილში „ანტიპედაგოგიური

ჯიუტობა „კოლხიდის“ პედაგოგისა“, „გუთინისა“ და მათი შემდგენ-  
ლებისადმი შემდეგი ბრალდების წაყენებით.

„უნდა გამოვტყოდეთ, რომ სრულიად სხვანაირად მოიქცნებ ჩეუთ-  
ნის“ შემქმნელი. გამოვიდა თუ არა მათი წიგნი, გამოაძევეს თავისი  
გიმნაზიის ყველა კლასებიდან „ბუნების კარი“ და გაამეცეს მხოლოდ  
თავისი სახელმძღვანელო. ერთი გარემოება კი საჭიროდ ხდიდა „ბუ-  
ნების კარის“ ხმარებასა ერთს რომელსამე განყოფილებაში მაინც.  
საქმე ის გახდავთ, რომ სამშობლოს გეოგრაფიას და ისტორიას ად-  
გილი სრულიად არ ქვეთდა, და არც ეხდა აქვს „გუთანში“ (თხ.,  
ტ. 4, 1955, გვ. 442—443).

დეკემბრის 14, 16 — „სახალხო გაზეთი“ (№ № 475, 477) ბეჭ-  
დავს იაკობის საპასუხო წერილს „მოწიწებითი ეპისტოლე ჩენის რე-  
ფორმატორის ბ. სილოვანის მიმართ“. იაკობის ეს საგრამიტიკო წე-  
რილი გამოწვეულია სილოვან ხუნდაძის წერილით „ბ-ნი ი. გოგება-  
შვილის „კარტული“ ენა“ („კოლხიდა“, № 188).

— გამ. „კოლხიდა“ (№ № 211—213) აქვეყნებს წერილს „პედაგო-  
გის“ ხელმოწერით — „პედაგოგიური უკუღმართობა (ბ-ნ გოგებაშვი-  
ლის წერილის „ანტიპედაგოგიური ჯიუტობის“ გამო)“.

დეკემბრის 28—30 — „სახალხო გაზეთი“ (№ № 486—488) ბეჭ-  
დავს იაკობის საპასუხო წერილს „პოლიტიკანობა თუ პედაგოგიბა?  
(უკანასკნელი პასუხი „კოლხიდის“ პედაგოგის)“.

\* \* \*

ამ წელს იაკობი ბეჭდავს სახელმძღვანელოებს:

— „ბუნების კარის“ მეოცე გამოცემას;

— „დედა-ენის“ პირველი ნაწილის ოცდამეთერთმეტე და ოცდა-  
მეთორმეტე გამოცემებს;

— „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეექვსე გამოცემას;

— „რუსკო სლოვოს“ მოსამზადებელი ნაწილის მეოცე გამოცემას.

1912

ამ წელს გამოდის იაკობის წიგნები:

„ბუნების კარის“ ოცდამეერთე გამოცემა შევსებული ახალი გან-

ყოფილებით „კაცობრიობა“, საქართველოს ახალი ვრცელი ქარტით და ეკროპის პატარა ქარტით;

„დედა-ენის“ პირველი ნაწილის ოცდამეცამეტე გამოცემა და „დედა-ენის“ მეორე ნაწილის ოცდამეშვიდე გამოცემა;

„რუსეთ სლოვის“ მეორე ნაწილის მეთხუთმეტე გამოცემა;

„საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“ მეორე გამოცემა;

„თავდადებული ქართველი ეჯიბი. ქართველთა მეუე გლეხის ქოხზი სტუმრად“.

იანვარი — მესამე გამოცემად გამოდის იაკობის შიერ შედეგებიდა: Методическое руководство для учителей и учительниц к преподаванию русского языка по учебнику того же автора «Русское слово». Изд. третье, исправл. Тиф., 1912. 94 с.

— ფურ. „განათლება“ (№ 1) ბეჭდავს იაკობის წერილს ნიკო ღოლობერიძის გარდაცვალების გამო, სათაურით: „სასიქადულო სიცოცხლე და შვეიცარიანი გარდაცვალება (ნიკო ღოლობერიძის სხოვნას)“.

— „განათლების“ ამავე ნომერში ღუარსაბ ბოცვაძე (ხელმოწერით „ლ“) ბეჭდავს მოქლე ბიბლიოგრაფიულ წერილს იაკობის «Методическое руководство»-ს ახალ გამოცემაზე.

მეთოდური სახელმძღვანელოს მაღალ შეფასებასთან ერთად რეცენზიის ავტორი შენიშვნას: „ჩვენი პედაგოგი მომხსრეა კითხვა-წერის და არა წერა-კითხვის სწავლებისა, წინააღმდეგ დისტერევებისა, უშინსეისა, მირობოლსეისა და სხვათა. მას თავისი საკუთარი მოსაზრება აქვს ამ საგანზე, დამყარებული როგორც მეცნიერთა აზრზე, აგრძოვე გამოცდილებაზედაც. პირადათ ჩვენ უფრო წერა-კითხვის მომხსრე ვართ, ვიდრე კითხვა-წერისა, მაგრამ არსებითად დიდი განსხვავება არ არსებობს ამ ორ სისტემას შორის...“

იანვრის 3 — ავადმყოფობით განაწამები და დაუძლურებული იაკობი გრძნობს სიცოცხლის აღსასრულს, წინასწარ იჭერს თადარიგს საუკუნო განსასვენებლისათვის. უახლოეს მეცნიერისა და თანამოაზრეს ღუარსაბ ბოცვაძეს შემდეგი შინაარსის წერილს უგზავნის:

„მთავ ღუარსაბ! ვეთაყვა, ნიკო [ღოლობერიძე] დაკრძალვის შემდეგ ინახულე დეკანოზი ტალავებე და სთხოვე ჩემ მაგიერ, — ღოლობერიძის გვერდით საფლავის აღვილი გზის პირად ჩემთვის დასტოვოს იმავე სიღიღისა, რა სიღიღეც აქვს ნიკოს საფლავის აღვილსა.

ამასთანავე შემატყობინოს, რა ელირება ეს ადგილი და ისიც, უკლი  
ახლავე უნდა გადავიხადო, თუ საქმარისია ბე მივცე. ღოლობერიძის  
საფლავის და ჩემის საფლავის შუა უნდა დარჩეს მხოლოდ ვიწრო  
გასავალი, რათა ჩენ შორის ვინმე ოხერი არ ჩაეჩიროს. (თხზ., ტ. 9,  
1962, გვ. 292).

იანვრის 4 — „სახალხო გაზეთი“ (№ 492) ბეჭდავს იაკობის წე-  
რილს რედაქციის მიმართ, სათაურით: „არაბული არაკები სამთა კავ-  
შირისა“. იაკობის ეს საპოლემიკო წერილი მიმართულია „გუთნის“  
შემდგენელთა“ ხელმოწერით 1911 წ. „სახალხო გაზეთის“ № 454-ში  
დაბეჭდილი — „წერილი რედაქციის მიმართ“ — წინააღმდეგ, რამდე-  
ნადაც „გუთნის შემდგენელთა“ წერილი უმთავრესად ეხება „ბუნების  
კარს“. მანამდე „გუთნის შემდგენელთა“ წერილს უბასუხეს 6. ლომო-  
ურმა წერილით „გუთნის“ შემდგენელთ“ (სახალხო გაზეთი № 484)  
და ლ. ბოცვაძემ „წერილი რედაქციის მიმართ“ (სახალხო გაზეთი,  
№ 477).

იანვრის 5 — იაკობი, როგორც ნიკო ღოლობერიძის ანდერძის აღმ-  
სრულებელი, წერილს ღებულობს (1 იანვრის თარიღით) ქუთაისის  
სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელ აღექსანდრე გორგაძისა-  
გან, თხოვნით იმის შესახებ, რომ ნიკო ღოლობერიძის ანდერძის აღ-  
სრულების შემდეგ დარჩენილი ფულის ნაწილი მოხმარდეს ბაგრატის  
ტაძრის ნანგრევების დაცვას.

— ამავე დღეს აღნიშნულ წერილს გასაცნობად უგზავნის ექვთიმე  
თაყაიშვილს.

„გიგზავნი ამასთან წერილს, რომელიც მომივიდა დღეს ქუთაისი-  
დან“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 298).

იანვრის 10 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას უდეგნს  
„რუსეთ სლოვოს“ პირველი ნაწილისა და მისი სწავლების მეთოდიების  
გავრცელების პირობებს (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 287).

იანვრის 12-13 (?) — მაკო საფაროვა-აბაშიძის საიუბილეო კომი-  
ტეტი და დრამატული საზოგადოება იაკობს საგანგებო წერილით იწ-  
ვევს და შესასვლელ ბილეთს უგზავნის ქართველ თავადაზნაურთა თე-  
ატრში თბილისის სასწავლებელთა მოსწავლეთათვის განკუთვნილ დი-  
ლაზე.

„... უმორჩილესად გთხოვთ პატივი გვცეთ და დაესწროთ ხსენებულ დილას“ (წგ-ში: გოგებაშვილი ი. თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 358).

იანვრის 14 — იაკობი წერილსა და თუმანს უგზავნის ანასტასია მაჩაბელს მაკო საფაროეას სასარგებლოდ. ამასთან სთხოვს წყნეთის ქუჩაზე მდებარე სამადლო სკოლის მდგომარეობის დაწვრილებით გამოკვლევას და ცნობების მიწოდებას.

„მოგართმევთ ერთს თუმანს შესაწირავად მარიამ საფაროეის იუბილეის სასარგებლოდ ვწუხვარ, რომ მეტს ვევრ გიგზავნით. ჩემი «Русское слово» სამრევლო სკოლიდან გამოაძევეს, რის გამოც ამ წიგნის შემთხვევალმა იყლო, ქართული ენაც ბევრს სკოლაში გააუქმეს და ამან ძლიერ შეამცირა „დედა-ენის“ გასავალი. ხარჯი კი მომემატა იმის გამო, რომ სასწავლებლებში ვზრდი ობოლს ძმისწულებას, ზოგს რუსეთში და ზოგს აქა. ხშირი უქეთობაც ზედმეტს ხარჯს თხოულობს ღოკტორებზე და წამლებზე. აი თუნდა თვე ნახევარზე მეტი იქნება, რაც კარში ვერ გამოვსულვარ. ამ მიზეზის გამო ხვალინდელს თქვენს წარმოდგენასაც ვერ დაეცესწრები, და ბილეთს გიბრუნებთ უკანვე, ისარგებლოს მითი რომელიმე ღარიბმა ინტელიგენტმა. ... ღლევანდელს «Закавказская речь»-ში ამოვიკითხე: წყნეთის ქუჩაზე არსებობს სამადლო სკოლა, რომელშიაც 102 ქართველია და 38 სხვა ეროვნების ჩამომავლობისა; ქართულს წიგნს კი ამ სკოლაში სრულიად არ ასწავლიანო. ნუთუ ეს საბავლობა მართალია? წყნეთის ქუჩაზე თქვენს ახლოს არის, ხსენებულის სკოლის ნახვა და საკითხის გამოკვლევა თქვენთვის ძნელი არ უნდა იყოს“ (თხზ., ტ. 9, 1962, გვ. 318—319).

იანვრის 16 — მადლობის წერილს ლებულობს ანასტასია მაჩაბლისაგან მაკო საფაროეასადმი თანაგრძნობისათვის, ამასთან ბოლიშს უხდის თხოვნის შეუსრულებლობისათვის.

„მე თითონ დიდი სურვილით მინდოდა თქვენი ნახვა, მაგრამ ჩემი ქალის ავაღმყოფობამ და მერე საიუბილეო საქმიანობამ შემიშალა ხელი. თქვენი წერილი და ფული მივიღე და დიდ მადლობას მოგახსენებთ თანაგრძნობისათვის იუბილარისადმი ... იმედი მქონდა, რომ თქვენთვის საჭირო ცნობებს დღეისათვის შევერეფამდი და წერილთან ერთად გაახლებდით. მხოლოდ განზრახვა არ ამისრულდა ... ხვალ ან ზეგ უჰქოლად მოგაწვდით იმ ცნობებს“ (წგ-ში: გოგებაშვილი ი. თხზ., ტ. 10, 1965, გვ. 358).

იანვარ-თებერვალი — გრძელდება პოლემიკა სახელმძღვანელო „გუთინის“ შემდგენელთა და გოგებაშვილის მომხრეთა შორის, ქვეყნის ნდება წერილები „გუთინის“ შემდგენლებისა — „საპასუხოდ ორთა კავკასიაში შირის — ბოცეაძეს, გოგებაშვილის (იძულებითი პასუხი)“ („კოლხიდა“, № 29); გოგებაშვილის მომხრეთა „მასწავლებლის“ ხელმოწერით — „პასუხად ბ-ნს „კოლხიდის“ პედაგოგს“ („განათლება“, № 1).

თებერვალი — უკრ. „განათლება“ (№ 2) ბეჭდავს იაკობის კრცელ სტატიას „ეროვნული შეიტყოფის შირი ამიერ და ამიერ საქართველოში“.

„შევიწინო თორგვარი გახლავთ ფიზიკური და ფსიქიური. პირველი ასეულებს და სპოს მხოლოდ მცირეოდენს ნაწილს ერისას, მეორე კი მომაკვდინებელ სენად ედება მთელს ხალხსა და ამოფხვრის გზაზე აყენებს. ჩვენი ბედერული სამშობლო ჯერ-ჯერობით თავისუფალია, დათის მაღლით, პირველის შევის შირისაგან; მაგრამ მეორე კი მას ძეალსა და რბილში უჯდება, და თუ მის წინააღმდეგ არ აღვიჯუნეთ, სამარის კარამდის მიგიყვანს, რაში მდგომარეობს ეს სენი? — კითხულობს იაკობი და იქვე ალაპარაკებს ფაქტებს და მოჰყავს მაგალითები იმის შესახებ, თუ როგორ უშლიან ხელს საერთოდ, და კერძოდ ქართველების სწავლების არა მშობლიურ ენაზე წარმართვას, თუ ზურგი როგორ შეუქცევია ქართველს ყოველის ეროვნული საუნაზისათვის.

— უკრნალ „განათლების“ იმავე ნომერში ქვეყნდება ი. გოგება-შვილის წერილი რედაქციისადმი, სათაურით: „უცნაური რეცენზია“, რომელიც გამოწვეულია ამავე უკრნალის პირველ ნომერში მისი „მეთოდური სახელმძღვანელოს“ შესახებ გამოქვეყნებულ დ. ბოცეაძის რეცენზიით.

იაკობი თავისი საპასუხო წერილში რეცენზიის აეტორისადმი შემდეგს გამოთქვამს: „ავტორი სიმწესრით აცხადებს, რომ ეს მეთოდიკა ბევრს მასწავლებელს არც კი წაუკითხია, და ურჩევს უსათუოდ გულდადებით გადაიკითხონ. კარგი და პატიოსანი; მაგრამ ბალა ის არის, რომ თვითონ რეცენზიტს დამართნია ის, რასაც მასწავლებლებს უკითხინებს. მას რომ ყურადღებით გადაეკითხა ეს გამოცემა, უსათუოდ აღნიშნავდა, რომ მასში გამოტოვებულია მთელი გვერდები, ჩამატებულია მთელი ახალი გვერდები და სხვა აღვილებიც შესწორებულია. და როგორ დაიბეჭდებოდა უცვლელად მეთოდური სახელ-

მდღვანელო, დაწერილი ოცი წლის წინად, როგორც ძველი რეკორდი პარბაშებდა და ხელს გვიკრავდა.

უკელაზე საოცარი ის არის, რომ რეცენზენტი დახლოებით არ გაცნობია იმ საარსო განყოფილებას, რომელსაც სათაურად აქვს: «Преимущества метода чтения — письма перед методом письма — чтения».

თებერვლის 5 — „სახალხო გაზეთი“ (№ 517) ბეჭდავს ნიკო ჯანაშიას (პამუდ-ბეის ხელმოწერით) „მცირე შენიშვნას“ ი. გოგებაშვილის სახელმძღვანელოებში ტექსტის ხშირი ცვლილებების შესახებ.

თებერვლის 8 — „სახალხო გაზეთის“ № 519-ში ქვეყნდება თელო უორდანიას პასუხი ი. გოგებაშვილისადმი „ლია წერილი ბ-ნ იაკობ გოგებაშვილს“, რომელშიც ავტორი ილაშქრებს გოგებაშვილის წერილს „მოულოდნელი უკანონობის“ (განათლება, 1911, № 10) წინააღმდეგ.

თებერვლის 9 — „სახალხო გაზეთი“ (№ 520) ბეჭდავს იაკობის წერილს, სათაურით: „უცნაური შენიშვნა“, რომელიც გამოწვეულია ნიკო ჯანაშიას (პამუდ-ბეის) წერილით „მცირე შენიშვნა“.

თებერვლის 16 — „სახალხო გაზეთი“ (№ 526) ბეჭდავს იაკობის წერილს, სათაურით „პედაგოგიური დამურა“. წერილი მიმართულია თელო უორდანიას პოლემიკური წერილის „ლია წერილი ბ-ნ გოგებაშვილს“ წინააღმდეგ.

თებერვლის 21 — ქვეყნდება ნიკო ჯანაშიას (პამუდ-ბეის) საპოლემიკო წერილი „კიდევ უცნაური შენიშვნა, პასუხად დიდად პატივ-ცემულ იაკობ გოგებაშვილს“ (სახალხო გაზეთი, № 530).

თებერვალი-მარტი (?) — წერა-ეთხეის საზოგადოება ცალკე წიგნად გამოსცემს (მეორე გამოცემად) მოთხრობას „საარაეკ თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა“.

ამ გამოცემის შესახებ უურ. „განათლების“ № 4-ში მოკლე ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას ხელმოუწერლად ბეჭდავს ლ. ბოცვაძე.

მარტი — უურ. „განათლების“ № 3-ში ლ. ბოცვაძე ბეჭდავს წერილს „გუთნის“ შემდგენელთა“ და სხვათა საპაუხოდ, სათაურით

„პედაგოგიური შეუგნებლობა“, რომლითაც იცავს ო. გოგებაშვილს  
კოლეგისტთა შეუსაბამო ბრალდებებისაგან.

საქართველო  
სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

მარტის 8 — „სახალხო გაზეთი“ (№ 538) აქცევნებს თელო უორ-  
დანიას წერილს რედაქტიის მიმართ „პასუხად ბ-ნ იაკობ გოგება-  
შვილს“.

მარტის 8 — „სახალხო გაზეთი“ (№ 544) აქცევნებს იაკობის მცი-  
რე წერილს „პასუხის მაგიერი“ თ. უორდანიას წერილის გამო („სახ.  
გაზეთი“, № 538).

მარტის 14 — იაკობი, მოწმების ილია ნაკაშიძის, დიმიტრი ღუმ-  
ბაძის და გრ. ბურჭულაძის თანდასწრებით, აღგენს ანდერძს<sup>1</sup>. ანდერ-  
ძის აღმსრულებლად ნიშნავს ფილიპე გოგოჩიაშვილს ვალერიან გუ-  
ნიას, ნიკო ლომიურს, შიო დედაბრიშვილს, სოფრომ მგალობლიშვილს.

მარტი-აპრილი — ავადმყოფი იაკობი დაკავებულია თავისი ისტო-  
რიული მოთხრობების: „თავდადებული ეჯიბის“ და „ქართველი მეფე  
სტუმრად გლეხის ქოხში“ ერთ წიგნად გამოცემისათვის მოსამზადე-  
ბელი სამუშაოებით.

„ჯეჯილში“, სხვათა შორის დაბეჭდილი იყო ჩემი პატარა ისტო-  
რიული მოთხრობა „თავდადებული ეჯიბი“ და „ქართველი მეფე სტუმ-  
რად გლეხის ქოხში“. მწარიან ეს ორი მოთხრობაც ერთ წიგნად გა-  
მოცე, როგორც გამოვეცი სხვები, მაგრამ „ჯეჯილის“ ნომრებში ვერ  
ვიძოვნე იმის გამო, რომ ბევრი ნომერი მაკლია ... გავკადნიერდები და  
გთხოვთ — მონახოთ ხსენებული მოთხრობები თქვენს საყმაწვილო  
ეურნალში, ამოაწერინოთ და მომაწოდოთ“ — სწერს 3 აპრილს იაკო-  
ბი ანასტასია წერეთელ-თუმანიშვილისას (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 302—  
303).

აპრილი — ეურ. „განათლება“ (№ 4) ბეჭდავს ბიბლიოგრაფიულ  
მიმოხილვას იაკობის საბავშვო წიგნზე „საარაკო თავგადასავალი ტახ-  
ტის მემკვიდრისა“. (მიმოხილვა ხელმოუწერელია, შესაძლოა იგი  
ეკუთვნოდეს ეურნალის რედაქტორს ლ. ბოცვაძეს).

<sup>1</sup> არსებობს იაკობის კადევ თრია ანდერძი შედგენილი 1912 წ. 2 მაისს (ის. ქვე-  
მო).

მარტის 23 — „სახალხო გაზეთი“ (№ 557) ბეჭდავს იაკობ გოგებაშვილის ძმის შვილის — შალვა გოგებაშვილის (ვარიანტელის ხელმოწერით) წერილს ვარიანის სკოლის შესახებ, რომელშიც აღნიშნულია, რომ სკოლა დაარსებულია იაკობის შემწეობით და დიდ დახმარებასაც უწევდა მას.

პპრილის 3 — წერილსა და „ჯეჯილის“ წლიური ხელმოწერის ფასს — ხუთ მანეთს უგზავნის ანასტასია თუმანიშვილ-წერეთელს, ამასთან სამიმარს უცხადებს ძმის — ვასილ თუმანიშვილის გარდაცვალების გამო. თხოვს „ჯეჯილის“ ნომრებში დაბეჭდილი მისი მოთხრობების („თავდაცებული ეჯიბი“ და „ქართველი მეუე სტუმრად გლეხის ოჯახში“) ამოწერას და მიწოდებას მათი გამოსაცემად მოსამზადებლად (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 302—303).

— „სახალხო გაზეთი“ (№ 564) ბეჭდავს იაკობის წერილს „სოფ. ვარიანის სკოლის შესახებ“. წერილი გამოწვეულია შ. ვარიანელის (შ. გოგებაშვილის — იაკობის ძმიშვილის) წერილით, რომელიც გამოქვეყნდა ამავე გაზეთის № 557-ში.

წერილში იაკობი გადმოსცემს ვარიანის სკოლის დაარსების ისტორიას და წერილის დასასრულს საზოგადოებას აცნობს თავის შემდეგ განშრახეას: „ახლა ამ აზრზე ვდგევარ: თუ სახელმწიფო სათათბიროს გეგმა, რომლის ძალით სწავლება დედა-ენაზე უნდა სწარმოებდეს თოხი წლის განმავლობაში, კანონად დაიდო, ვარიანში გვიჩსნი, თუ დამცალდა, სრულს სკოლას ჩემი ხარჯით, წინააღმდეგ შემთხვევაში კი — არა“.

პპრილის 10 — წერა-კითხვის საზოგადოების გამგეობას სოხოვს საზოგადოების სახელით გამოცემული „საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრის“ (მეორე გამოცემა) გავრცელებას (თხ. ტ. 9, 1962, გვ. 286).

პპრილის 14 — პედაგოგი ივანე გომელაური წერილით ატყობინებს იაკობს მისი „რუსკოე სლოვოს“ შესახებ სასწავლო ოლქის მზრუნველის დადებით აზრს.

„სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ცირკულარი (ამ წლის მეორე ნომერი) შემთხვევით ჩამივარდა ხელში და მეტად განვცილები, რომ თვით ჩვენს მზრუნველს, თავისი მხლებლებით, თქვენი შედგენილი

«Русское слово» საუკეთესო სახელმძღვანელოდ მიაწინა ქართული სკოლებისათვის» (თხ. ტ. 7, 1960, გვ. 624).

აპრილის 20 — „სახალხო გაზეთი“ (№ 578) საზოგადოებას აუწყებს იყობის ავადმყოფობას.

„ცნობილი მხცოვანი პედაგოგი იაკობ გოგებაშვილი ამჟამად მშიმელ ავად არის“.

აპრილის ბოლო — იაკობს ავადმყოფობა უძლიერდება. მის ჯან-  
გრთელობის მდგომარეობას მეოთვალყურეობს ექიმთა ჯგუფი.

„... ავალ გახდა 28 აპრილს; საჩქაროდ აცნობა ეს თავის ძმისწულს კიევის კომერციული ინსტიტუტის სტუდენტს შალვა ზაქარიას ძე გოგებაშვილს, რომელმაც ჩქარა ჩამოხედა ავალმყოფს“. (კრებული „იაკუბ გოგებაშვილის სახსოვრად“, 1913, გვ. 95).

აპრილის 29—30 — იაკობის ჯანმრთელობის მდგომარეობას ამოწმებს ექიმთა კონსილიუმები.

„ამ რამდენისამე დღის წინად ჩვენს გაზეთში აღნიშნული იყო იაკობ გოგებაშვილის ავადმყოფობა. ამის შემდეგ ცოტაოლენი გაუმჯობესება დაეტყო, მაგრამ ამჟამად, როგორც დანამდვილებით გაეთვალისწინეთ ავადმყოფობა კვლავ გასძლიერებით. კვირას ექიმებს ტ. ქიქოძეს, ვ. მაღალაშვილსა და სხვებს კონსილიუმი პქონდა. გუშინ კიდევ მოწვეულ იქმნა დოსტაქართა კონსილიუმი“ („სახალხო გაზეთი“, 1 მაისი, № 588).

მაისის 2 — მოწმეების გრიგოლ დიასამიძის, ღიმიტრი ღუმბაძის, აკობ ნიკოლაძის თანდასწრებით მეორედ ადგენს ორ ანდერს.

ანდერძით, რომლის აღმსრულებლები არიან ფ. გოგიჩაიშვილი,  
ვ. გუნია, ნ. ლომოური, შ. დედაბრიშვილი, ს. მგალობლიშვილი, ია-  
კობი თავის ლიტერატურულ და პედაგოგიურ ნაღვაწს: წიგნებს, სა-  
ხელმძღვანელოებს და სხვ. გადასცემს წერა-კითხვის საზოგადოებას  
გარკვეული პირობების მოთხოვნით; მეორე ანდერძით, რომლის აღმ-  
სრულებლები, გარდა პირველ ანდერძში მოხსენებული პირებისა, და-  
მატებით შეყვანილია ექ. თაყაიშვილი და ა. ლულაძე იაკობი მთელ  
თავის ქონებას ანაწილებს საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე, ნათე-  
სავებსა და სხვადასვა პიროვნებებზე.

მაისის პირველი რიცხვები — ავაღმყოფი იაკობი გაზეთ „ზაკავკას-კათ რენ“-ის რედაქტური აგზავნის წერილს რედაქტირისადმი და მას-

თან ერთად ხუთ მანეთის დარიბი მოწაფის სწავლის უკლის გადასახ-  
დელი თანხის შესაღენად. წერილში იაკობი სინანულს გამოიქვამს,  
რომ არ შეუძლია უფრო არსებითი დახმარების აღმოჩენა (წერილი  
ქვეყნდება „ზაკავკაზეთის რეგ“-ის № 102-ში 3 მაისს).

მაისის 5 — იაკობის ჯანმრთელობის შესახებ „სახალხო გაზეთი“  
(№ 591) საზოგადოებას შემდეგს აუწყებს „იაკობ გოგებაშვილს ცოტა  
გაუმჯობესება დაეტყო. წინანდელს სისუსტეს აღარა პეტრობს და  
საჭმელსაც იღებს. სხვების დახმარებით დგება კიდევ“.

— გაზეთის ამავე ნომერში ქვეყნდება იაკობ მანსვეტაშვილის დე-  
პეშა „ბაქო. ღრმად დამაღმონა პატივცემულ მოღვაწის იაკობ გოგე-  
ბაშვილის ავადმყოფობამ. გთხოვთ გადასცეთ ჩემი უგულითადესი თა-  
ნაგრძნობა და სურვილი მისი განკურნებისა“.

მაისის 6 — „... საღამოს 5 საათზე საკონსულიუმოდ თავი მოიყა-  
რეს ექიმებმა ქიქოძემ, ჩუდნოვსკიმა და მარკევიჩმა. ავადმყოფის გა-  
უმჯობესობა შეამოწმეს, მაგრამ საბოლოოდ ვერ გამოარევის ავად-  
მყოფობის ნამდვილი მიზეზი. ავადმყოფი ბრმა ნაწლავის ტკივილებს  
ისევა პეტრობს, თუმცა სიცხე სრულებით აღარ აქვს (37 გრადუსი).  
მაჯის ცემა წუთში ასამდე აღწევს“ („სახალხო გაზეთი“, 8 მაისი,  
№ 93).

მაისის 7—10 — იაკობის ჯანმრთელობა უმნიშვნელოდ უმჯობეს-  
დება.

მაისის 9 — „სახალხო გაზეთი“ (№ 594) აქვეყნებს დეპეშას წერა-  
კითხვის საზოგადოების ბაქოს განყოფილებისაგან: „მეტად დაგვალონა  
სახელოვან პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის ი. გოგებაშვილის  
ავადმყოფობამ. ვუსურვებთ მალე მორჩენას“.

მაისის 11 — „იაკობ გოგებაშვილის მდგომარეობა უკეთესდება. 11  
მაისის საღამოს  $7\frac{1}{2}$  საათზე სიცხე პქონდა 37,5. მაჯის ცემა —  
82 წუთში. ტკივილებს აღარა გრძნობს. უმაღლოთ არის. ექიმები სა-  
თათბიროდ დღეს შეიკრიბებიან“ (სახალხო გაზეთი, 13 მაისი, № 598).

მაისის შუა რიცხვები — იაკობის ჯანმრთელობას ოდნავ უკეთე-  
სობა ეტყობა.

„იაკობ გოგებაშვილის მდგომარეობა უმჯობესდება. „სიცხეშ-

ეკლო .ტკივილები მიუყენდა, თუმცა ღამ-ღამობით სიცხეს აძლევს და  
ასუსტებს" (სახალხო გაზეთი, 17 მაისი, № 600).

მაისის 17 — ექიმთა კონსილიუმი არკვევს იაკობის ჯანმრთელო-  
ბას.

„17 მაისს, საღამოს 8 საათზე, ექიმებმა ქიქოძემ, მარკევიჩმა და  
ჩულოვაკიმ დიდი ხნის თათბირის შემდეგ ავადმყოფობის შესახებ შემ-  
დევი დასკვნა გამოიტანეს: საერთოდ ავადმყოფი უკედ არის, აუცილე-  
ბელ საჭიროებას არ შეადგენს ნაწლავების ოპერაცია; შემდეგ კი  
ავადმყოფი ტერაპევტიულ საშუალებებით უნდა განიკურნოს; ავად-  
მყოფს მკურნალობა მიანდეს მხოლოდ ექიმ ქიქოძეს" (სახალხო  
გაზეთი, № 602).

— ამავე დღეს „სახალხო გაზეთი“ (№ 600) ბეჭდავს დეპეშებს  
იაკობისადმი, მისი მაღალ მორჩენის სურვილებით.

პეტერბურგიდან: — „ულრემესად შეგვაწუხა იაკობ გოგებაშვილის  
ავადმყოფობამ ვუსურვებთ მაღალ მორჩენას. სამხედრო სამკურნალო  
აკადემიის ქართველ სტუდენტთა მინდობილობით მახვილაძე“.

ხონიძან: — „ხონის საქრებული ტაძარში დიდაღ საზოგადოების  
თანდასწრებით გადაიხადეს პარაკლისი იაკობ გოგებაშვილის განსა-  
კურნებლად“.

„მეტეხის ციხეში მყოფი პოლიტიკური ტუსაღნი უსურვებენ პა-  
ტივცემულ პედაგოგს მის განკურნებას. — ი. იმედაშვილი“.

მაისის 17—18 (?) — ხონის საქრებულო ტაძარში მის სახელზე გა-  
დახდილი პარაკლისის გამო იაკობი შემდეგი შინაარსის დეპეშას უგ-  
ზავნის ქუთაისში სახალხო განათლების მოღვაწე ალექსი ბესარიონის  
ძე ჭიჭინაძეს: „ეკონომიკური ინსტიტუტი და გადაეციო ჩემი ულრემესი მადლობა  
ხონის ტაძრის კრებულს და ყველა იმ მღლოცველთ, რომელთაც მო-  
ნაწილეობა მიიღეს პარაკლისში“ (სახალხო გაზეთი, 1912, 20 მაისი,  
№ 603).

მაისის ბოლო — ავადმყოფობა უკან იხევს. იაკობის ჯანმრთელობა  
უმჯობესდება.

„იაკობ გოგებაშვილის მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება.  
მაღალ თან და თან მოსდის. სიცხეს საგრძნობლად აღარ უმატებს. საერ-

თოდ თავს უკედა გრძნობს. ექიმებს იმედი აქვთ. ამ ერთ კვირაში  
ცეხზე დადგებაო” (იქვე).

„მაისის ბოლო რიცხვებში იაკობი მართლად კარგად გახდა: სიც-  
ხემ უკლო, თითქმის ნორმალურ რიცხვამდე დავიდა, მაღა გაესნა,  
თავისით, მოსამსახურის დაუხმარებლად დგებოდა... გამხნევდა, სახე  
შეუფერიანდა... ისე კარგად გრძნობდა თავს და ისე დაიმდებული  
ყო მორჩინაზე... სააგარაკო ადგილებს არჩევდა, რათა სრულიად  
გაჯანსალებულიყო; სხვათა შორის ექიმის მოწვევის და დაქირავებას  
წლიურად ფიქრობდა, რომ უფრო კარგად მოველო თავისათვის” (კრე-  
ბული „იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად”, 1913, გვ. 95).

მაისის 30 — იაკობის ჯანმრთელობა კელავ უარესდება.

მაისი 31, საღამო — იაკობი მეტყველებასა და გონებას კარგავს ...

ივნისის 1, საღამოს 6 საათი — „განისვენა ... საუკუნოდ დაეხუჭა  
მოხუცს თვალი (ცით დაეშვა ანგელოსი, ეამბორა გულ-მტირალი,)  
სუბუქ ფრთები, ლურჯ ეთერში, წარიტაცა მისი სული, „დედამიწას  
დაუტოვა უსიცოცხლი ცივი გული ...) აღარ არის ... მძიმე კვნესით  
უცებ ჩასწყდა შეკრდში სიმი ...“ (გ. ქუჩიშვილი).

ივნისის 2—9 — სულის მოსახსენებელი პანაშვიდები განსეუნებუ-  
ლის ბინაზე და ქაშვეთის ეკლესიაში, მთელ საქართველოში და მის  
გარეთ.

ივნისის 10, კეირა — უკანასკნელი წირვა, პანაშვიდი, გამოსვენება,  
ქაშვეთის ეკლესიიდან. დასაფლავება დიდუბის წმინდა საკანეში.

„ნეტავი შენ სულ-მართალ, რომ პპოვევი უკვდავება,  
და თან მივდევს ერის გულის კურთხევა და ქებათ-ქება“.

ສາທາລະນະລັດ ປະຊາທິປະໄຕ  
ເອກະພາບ ແລ້ວ ດັວຍງານ

იურა გოგავავალის შეცდომისა და ერისთონისაზე

ამერელი-შეიძლი 146	იაკობ სვიმონიძე 51, 75, 101, 109, 120, 122, 134
ამერი 57	იაკობ სიმონიძე 135, 145
ახალდაბელი 141	კ. კალმახელიძე 46, 47 კალმახელიძე 123
გ. ა. 48, 251	ლ. კ-ძე 118.
გ-ლი 69, 216	ნაცობა 138, 141, 143, 147, 163, 177, 185, 189, 212, 244
გ-შეიძლი 199	სემონიძე 75
გსი 255	სიმონიძე 57, 61
ღროვებით აბასთუმნელი 36	Варнанели 207, 223
ვ-ლი 189, 191, 195, 209	Н. К. 84
ვარ-ნელი 208, 210	Н. Н. 90
ვარანელი 144, 204, 207, 208, 209, 216	Симонидзе 143
ა. გ. 51, 146, 242, 257	Я. Г-ли 140
ა. გ-ლი 115, 142	Я. Симонидзе 48
ა. კარიანელი 216	Я. Симонидзе 206
ა. კალმახელიძე 76	
ა. ს-ძე 129	
ა. სვიმონიძე 79, 119, 122	
ა. სიმ-ძე 130	
ა. სიმონიძე 58, 132	
იაკობ ვარანელი 144	

II. გოგავავალის სახელმძღვანელოვანობისა და თაზავასთა გამოცხადის

რწევული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ტ. I, 1910, 250

ბუნების კარი, საყმაწელო წიგნი დაბალ კლასებში სასმარებელი. 1868, 22

მე-2 გამოც. 1873 31	მე-7 — 1892 122
მე-3 — 1876 45	მე-8 — 1894 130, 137
მე-4 — 1882 68	მე-9 — 1896 151
მე-5 — 1885 85	მე-10 — 1899 173
მე-6 — 1888 97	მე-11 — 1900 185

<sup>1</sup> ბიბლიოგრაფიულ ქრონიკას და საბიექტებში მითითებულია გოგებაშეიძლის ნაწარმოებთა ის გამოცემები, რომლებიც ცნობილია ბიბლიოგრაფიული წყაროებით.

გ-12	—	1902	205	გ-17	—	1908	241
გ-13	—	1904	217	გ-18	—	1909	246
გ-14	—	1906	221	გ-19	—	1910	256
გ-15	—	1906	231	გ-20	—	1911	267
გ-16	—	1907	236	21-გ	—	1912	267

დედა ენა ანუ ანდანი და პირველი საეთხავი წიგნი  
 სახალხო მუსიკურისათვის, 1876, 43

გ-2	გამოც.	1878	50	გ-12	1896	145
გ-3	—	1881	58	გ-13	1897	166
გ-4	—	1884	81	გ-13	[14]	1893 173
გ-5	—	1886	89	გ-14	1899	173
გ-6	—	1888	98	გ-15	1900	185
გ-7	—	1889	107	გ-16	1901	
გ-8	—	1891	114	გ-17	1902	205
გ-9	—	1892	120	გ-18	1903	210
გ-10	—	1894	137	გ-19	1904	211
გ-11	—	1895	138	გ-20	1904	217

დედა ენა. ნაწილი I, ქართული ანდანი ჰატარა მოთხრობებით,  
 ლექსიგით, აღწერებით და ზეღუნოთ. გამოცემა 21-გ, 1906, 226

22-გ	1906	231	28-გ	1909	247
23-გ	1907	232	29-გ	1910	256
24-გ			30-გ	1910	256
25-გ	1908	241	31-გ	1910	267
26-გ			32-გ	1911	267
27-გ	1909	247	33-გ	1912	268

დედა ენა. ნაწილი II, ანდანის შემდეგ საეთხავი წიგნი სურაუბში  
 სამთარებელი. გამოცემა 21-გ, 1906, 231

22-გ	1907	232	25-გ	1910	256
23-გ	1908	236	26-გ	1911	260
24-გ	1909	247	27-გ	1912	268

ქართული ანდანი და პირველი საეთხავი წიგნი  
 მოსწავლეთათვის. 1865. 18

გ-2	1867	20	გ-6	1873	33
გ-3	1868	23	გ-7		
გ-4	1869	24	გ-8	1877	46
გ-5	1872	27			

<sup>1</sup> გ-9 გამოცემიდან გამოღის „კოკორის“ სახელწოდებით.

კოკორი ანუ ანბანი და პირეული საკითხები სახლობაში სასარგებლო  
გამოცემა შე-9, 1885, 86



მე-10	1889	107	მე-12	1899	175
მე-11			მე-13	1903	210

საფრანგეთი კონა პირეულ-დაწყებითი მოთხრობებისა ბენგასი  
გეცნიერებიდგან<sup>1</sup>. ნაწილი I, 1874, 38

მე-2	1884	78	მე-4	1894	137
მე-3	1892	122	მე-5	1900	185

დედანი. ქართული წერისა, 1884, 78

დარიგება მასწავლებელთათვის,  
თუ როგორ უნდა წაიყვანოს სწავლება... 1872, 27

ავღო ანუ კრებული საყმაწვილო მოთხრობათა 1901, 197

ასპინძის ომი.	1892	120	მე-2	1895	144
მე-2	1895	141	მე-3	1900	180
მე-3	1902	205	მე-4	1904	215
ბურჯი ეროვნებისა <sup>2</sup> . მე-2 გამოც. 1903.	210.		მოსავლის მცენარი ანუ სასარგებლო ცხო. კელები და ურინეულები. 1896, 148		
ერები მეუკ და ანგოლო ქალი. 1897. 155			რანი ვიყავით კუშინ. 1892, 121		
თავდადებულინი ქართველი 895 138, 139 138, 139.			საარაყი თავდადებავალი ტახტის მემკვიდრე. სა. 1900, 175		
მე-2 1902 205			მე-2 1912 268, 272		
თავდადებული ქართველი ეკიდი 175			სხივი წარსულისა. 1898, 218		
ქართველთა მეუკ გლეხის ოჯახში სტუმ- რად			მე-2 1899 175		
1912, 268			მე-3 1902 205		
დაენანამ რა პენა. 1890. 107, 108			ძირითადი უკუდმართობა. 1892, 122		
			ხატის მიზეზი. 1892, 121		
			მე-2 1899 175		

<sup>1</sup> მე-2 გამოცემიდან გამოღის „კონას“ სახელწოდებით.

<sup>2</sup> 1 გამოცემა გამოცემა სახელწოდებით — „რანი ვიყავით კუშინ“.

## იური გოგიაშვილის ნაცაროვათა საპირადი

**ა**

აბასთებანი, 24 ავეისტოს 36  
ადამიანის და ცხოველების სისწავე მოძ.  
რაოდაში 210

აკაკი 241  
ამერიკა 18

ამ სამი თების წინად... 171

ანტიბეჭდოვანი ჯიუტობა „ეკლეზის“  
ჰელაგოვასა 265

არაბული არაკები სამთა კეტირისა 269

არაჩეულებრივი შეამდგომლობა 241

არხეინად ბრძანდებოდეთ 256

ასპინის ომი 120

აჩეარებული მსჯელობა 145

ახალი ანდერძი უწევისა 260

„ახალი მეოთხელის“ შესახებ 153

ახალი ნაბიჯი 72

ახალი ლვაწლი „ეკალისა“ 161

ახალი შეძენა 224

ახალი წყალობა 144

ახალი ჭორი ბ-ნი გორგა წერტლისა 159

ახირებული გაფრინდება 80

**ბ**

ბ-ნი იოსელიანის წერილის გამო 196

ბ-ნი რედაქტორი 151

ბაეშვილის დროის მოგონებანი 122

ბატი და ღორი 119

ბატონიშვილის რესერსისა და საქართველოში 257

ბიბლიოგრაფიული შენიშვნა 260

ბიუროკრატიული თრევა საკითხისა 242

ბორჯომი (კორესპონდენცია) 209

ბრძა წინამძღვალისა ხალხის განთლებაში 217

ბრძოლა ამერიკის შეერთებულ შტატებში...  
ის. ამერიკა

ბულბული და გვევალ (თარგმანი) 131

ბურჯი ეროვნებისა 109

**გ**

გამარჯვება პირდაპირის ხელის რესულ  
წერაში 232

გამარჯვება პირდაპირი წერისა 183

გამარჯვებული დედა 138

განა სულ ერთია? 242

განათლების მდგრამარტებობა საქართველოში  
59

განათლებისუფლებული საერთო ფონდი 224

განმარტებითი წერილი მედატორთა სამარ-  
თალს 84

განმარტებითი წერილი სწავლების პლანი-  
სა, რომელიც მიღებულ უნდა იქნის  
სამეცნიერო სკოლაში ს. წინამძღვრი-  
ანთვარს 63

**დ**

დაბრივებული ბრუნები 88

დათვერი სამსახური 254

დანიელ ჭონქაძის შესახებ 215

დარიგება მასწავლებლებისათვის... 26

დაუბლველება კავშირი... 201

დაუფასებელი ურინელები 127

დეკოლე მეგობარი 119

დეკრეტი კ. პეტრიაშვილის ქრისტიანი 238

დეკრეტი ალ. ჭიჭიაძის სახელშე 277

დააღვეტიდა და სიმართლე 75

- დადგებული წარილი დაბეჭულის მოხუცისა  
122  
 დადგ კარმის შესახებ 220  
 დადგ მოამავის ქარღაცალება 262  
 დადგ მოამავის დაკარგვა და საშინელი ხე-  
ნი 262  
 დადგ მწესარების დადგ ნაყოფი 233  
 დადგ ნაკლის შეესება 106  
 დადევანდელი კერტბის თუ ხალანდელი ქა-  
თაში 172  
 დადევანდელი მომენტის ქართველთა და სო-  
მენთა ეკლესიისა 228  
 დღიურის კარმის შესახებ 120  
 დღიურის კარამშედ 207

3

- ენა და კილო 210  
 ერტყლე მეუვ და ინგალო ქალი 155  
 ერთი ამბის გამნიარება 175  
 ერთი ბოროტი არაქის გამო 187  
 ერთი ემიზოდი სასულიერო სასწავლებლის  
 ცხოვრებიდან 126  
 ერთი მეტად სიმპატიური შხარე ვგნატე  
 ნინოშვერილისა 274  
 ერთი მუჭა წიგნი, ათი მუჭა სულელობა  
 ანუ მდიდაროვის ანანია 47  
 ერთი ნაკლი ქართულის წიგნების გამამ-  
 ცემლებისა 253  
 ერთი პრეტენზის გამო 160  
 ერთი სკოლის შესახებ 119  
 ერთის ახალი ამბის გამო 275  
 ერთის ახალი წალილის შესახებ 230  
 ერთის ახალი ურულებას კეარგავთ 225  
 ეროვნული შეავი ჭირი იმერ და ამერ საქარ-  
 თველოში 271

3

- ვანო და ჩიტი 176  
 ვასო და ჩიტები 124  
 ვან ამოვირჩიოთ 228  
 ვინ უნდა იქნეს ჩასახლებული აუხაუეთში  
 48

5

- თავდადებული აზნაური თოთამ ზედგინიძე  
 125, 138  
 თავდადებული თავადა ცოტნე აღაძანი  
 138  
 თავდადებული მდედელი თვედორე 138  
 თავდადებული ქართველი ეჯიბი 175  
 თავის განწირება მტრისათვის 174  
 თამარ მეფის აღზრდა 185  
 თვითმმართველობის გაჭირება ჭიათურა-  
 ში 207

6

- იაუი და ადეილი წამიალი უმეცრებისა 73  
 ივაერარენი, კრისტენისაგან და სიბრძნე სი-  
 ცრტულდან ...63  
 ილიას მეორედ მოკვლის წალილი 240  
 ილიას უონდის შესახებ 233  
 იმერეთის სახალხო შეოლების შასწავლე-  
 ბელთა კრებას 76  
 ისტრუქცია აგნტებისათვის (ხელნაწერი)  
 75  
 ისანის განახლება 231  
 ირიბი ხელი 90  
 ირიბი ხელის სარჩევის გამო 90

3

- კარტა კავებისის აქეთა შხრისა 24  
 „კარტული“ დეუეტი 263  
 კასას სახალხო სეოლების შასწავლებელ-  
 თაოვის 181  
 კერძი განცხადება 142  
 კოდვე ინსინუაცია 134  
 კიდევ „კარტული“ დეუეტი 264  
 კიდევ სამოსწავლო გეგმის შესახებ 222  
 კიდევ უდრით მსხვერპლი სიეგაღილისა 73  
 „კოლხიდის“ მიოთხველთა მიმართ 265  
 კრუზების ბრძოლა ქორთან 176

- შადლი მატლად ქცეული 207  
 შამაცური ცრუპენტელობა 198  
 შართალი თბილისის შესახებ 212  
 შარო და შერტყალი 176  
 შეგობრის ახსნა 159  
 შეგობრის ლევნა 125  
 შედა და მისი სახლობა 122  
 შეღო და ჯიბლიძო 176  
 შეორე და უკანასკნელი პასუხი პ.ნს გო-  
 გოლაძეს 240  
 შეორე ხუხულა პ-ნი გ. წერტოლისა 155  
 შეტი გულევოლობის ნაფოფი 200  
 შეუნარების ჰიონები იღიას შესახებ 241  
 შეცვ დამიტრი თავდაცემული და გიორგი  
 ბრწყინვალე 187  
 შზათა ვარო? 56  
 შზის შეკი და შეირობები 135  
 შთავარი საჭირობანი სასულიერო წო-  
 დებისა 124, 126  
 შოურევებელი დანაშაული 75, 76  
 შეოთხევისაღმი 226  
 შოგზაურობა წმინდა ქალაქს იურუსალიმ-  
 სა... 189  
 შოკლე პასუხი პ-ნ გოგოლაძეს 240  
 შოკლე პასუხი პ-ნს ჯავახელს 251  
 შონალირე 130  
 შოულონელი პროექტი 141  
 შოულონელი უკანონობა 266  
 შოულონელი უცერეშონიობა 104  
 შოწიწებითი ეპისტოლე ჩვენის რეფორმატო-  
 რის ბ.სილოვანის მიმართ 267  
 შსხერპლი დედა ენის უცოდინარობისა 79  
 შტერი თუ შოყვარე? 214  
 შუჯური შეთოდი და ზოლა 177  
 შლალაღებელი ციფრები 170  
 შცირე განმარტება 233  
 შცირე მოხსენება 248  
 შცირე მოხსენება დიდს საგანზედ 109  
 შცირე პასუხი 222

- შცირე პასუხი პ-ნ პაშუაძეის 272  
 შცირე რაზ 163  
 შცირე შენიშვნა 139  
 შცირე შენიშვნა ახალ საქმეზედ 68  
 შცირები შესწორება 255
- © 2019 მეცნიერებების აკადემია
- 6
- ნამდვილი შემწირველი 200  
 ნაცონალური საჩუქარი 216  
 ნიმუში "უკალის" სიმართლისა 134  
 ნობათი ... 75

- ორგარი აზრი 203  
 ორგვარი გრძნობის ამშეღელი უქტი 81  
 ორ სიტყვაში ოთხიოდე უცნაურობა 244  
 ორიოდე სიტყვა ახალის საქმის შესახებ  
 255  
 ორიოდე სიტყვა თულავის არჩევნების გამო  
 258
- ორკები უასი სწავლისა 124  
 ორკები ცილისწამება 252

- პასუხად პ-ნს აქაების 133  
 პასუხად ბ. გაბიჩევაძეს 80  
 პასუხად "გუონის" ავტორებსა 266  
 პასუხი ბ. ა. ლულაძეს 69  
 პასუხი პ-ნს გოთეას 195  
 პასუხი ბატონის სილოვანს 133  
 პასუხი აკეალის" რაზმისა 135  
 პასუხი მამა გორგო ნათაძეს 196  
 პასუხი პედ. ერნალ „ნობათის“ რედაქ-  
 ტორ-გამომცემელს ბ. ლულაძეს 89  
 პასუხი ღირსეულ რედაქტორს 134  
 პასუხი ჩემს პროექტორსა 227  
 პასუხის მავირი 273  
 პატარა პარათი დათი პოეტის შესახებ 258  
 პატარა საიდუმლოება 260  
 პატარა შენიშვნა 168

პატარა შენიშვნა უდიდეს საგანზე 227  
 პატიოსანი და უპატიოსენები 132  
 პაწია სამაგიერო 132  
 პაწია შენიშვნა 158  
 პაწია შენიშვნა პაწია საგანზე 166  
 პედაგოგიური კონტრაბანდა ... 204  
 პედაგოგიური საკვირველება ... 115, 117  
 პედაგოგიური დამურა 272  
 პირველი ნაბიჯი სამეცნიერო სკოლისა 78  
 პლავიტი, ანუ ლიტერატურული ქურდობა  
     პედაგოგიაში 209  
 პოლიტიკონბა აფხაზეთში 234  
 პოლიტიკონბა თუ პედაგოგიბა? 267  
 პრინციპისალობა „ღრმების“ მესკეურისა  
     245

## რ

რა მიზეზია? 73, 75  
 რანი ვიყავით გეშინ? 61, 121, 219  
 რას ამბობს ბრძმი თოფის შესახებ? 252  
 რაჭელ-ლეჩემელ მუშაო საყურადღებოდ  
     244  
 რესპუბლიკური პარტიის დაცემა ამერიკაში  
     78  
 როგორ დაარსდა წერა-კოთხვის საზოგადოება 257  
 როგორ უნდა მოწყოს უკეთესად სასოფლო  
     სკოლა 200  
 რომელი უფრო მავნებელია, თეორი თუ  
     წითელი ღვიძიო 145  
 რუსული ენა ქართულს სახალხო სკოლებში  
     223  
 რუსული ენის დასაწყისი სასოფლო და სა-  
     მოქადაქო სკოლებში 222  
 რწმენის შერსევა 217

## ს

საარაკო გადათქმა 208  
 საარაკო თავევადასავალი ტახტის მემკვიდრეობა  
     226, 227  
 საარაკო სინამდვილე და საიუბილეო ოცნება  
     240

საერამატიკო შენიშვნა 87  
 საღვეულო 227  
 სადაღლებულო დაბმარება 197  
 საიუბილეო სალაში ... დავის 239  
 საიუბილეო სიტყვა (ვა გაბაშვილს) 261  
 სამაგალითო ცერემონია 210  
 სამასი თავდადებული გლეხი 179  
 სამახარობლო ერგება თუ არა? 152  
 სამეცნიეროს საერო სკოლები ... 209  
 სამეცნიეროს სასწავლებლის წევრების  
     62  
 სამი მომეალი 124  
 სამი ტერმინი 167  
 სამოსწავლო გეების შესახებ 222  
 სამრევლო სკოლების შესახებ 191  
 სამღედლოთა კრებას ... 59  
 სამწესარო მოვლენა პედაგოგიაში 47  
 სანდრო და ვაშლი 122  
 საოცარი პროექტი 138, 207  
 სასამოვნო ცელის საკალიბა“ 207  
 სასიქადულო სიცოცხლე და მშეობლივი  
     გარდაცვალება 268  
 საქმეში ჩახედულის მეტამორფოზა 195  
 საღამო წერა-კოთხვის საზოგადოებისა 101  
 საყრდნოდღებო სიტყვა 77  
 საშენელი გაჭირვება 234  
 საშინელი სასკელი მოღალატისა 200  
 საჭირო განმარტება 200, 255  
 საჭირო დამატება 216  
 საჭირო შენიშვნა 167  
 სახალხო მასწავლებლის ღვაწლი და უა-  
     ღრესი გაჭირვება მისი 229  
 სახალხო უნივერსიტეტი ჩემნში 221  
 სენის მიზეზი და წამალი 204  
 სიერთ ბოროტისათვის 124  
 სიმართლეს კერსად წაუხვალ 136  
 სიმართლის აღდგენა 193  
 სიმართლის გზის შეკვრა 246  
 სიმართლის შეში 196  
 სიტყვა თქმული საზნაურო სკოლის წარ-  
     ურ კრებაზე 115  
 სიტყვის ბაზე ნე აკდეგო 80  
 სიცრუის ბოლო 197

სომებთა ეკლესია 118  
სოფელ ვარიანის სკოლის შესახებ 274  
სოფლის მაცწავლებელთა კრების ზოგიერთ  
გადაწყვეტილებაზე 51  
სოხუმი, 10 დეკემბერი 39  
სპილო და ჭიანჭველაში 106, 108  
სურამი 251  
სწავლის კურსის სასოფლო სკოლებში 66  
სწორე გზა 256  
სხვათა შორის 199  
სხვათა შორის 204

### ტ

ტარას შეეჩინეო ღილი პოეტი უკრაინისა  
257, 258  
ტარტაკოვის ქონცერტი 100  
ტელეგრამისა და შენიშვნის გამო 135  
ტორიოლის ბარტკეკის სიყვარული 179  
ტუალისი, 4 იანვარი, 12 იანვარი 206  
ტუალისი, 8 მარტი, 9 მარტი 59  
ტუალისი, 10 მარტი 146  
ტუალისი, 12 აპრილი 59  
ტუალისი, 25 აპრილი 59  
ტუალისი, 11 ოქტომბერი 72  
ტუალისის სამხედრო გომინაზიაში მისაღებ  
გამოცდების გამო 48  
ტუალის გამოაშეარაგება 76  
ტუალის მოყლე უცხებდი ასხა 58

### ც

ცარის მოხსენება 250  
ცდროო შეერთება 129  
ცეკანასენელი მხილება 236  
ცეკანასენელი პასუხი 264  
ცეკანასენელი პასუხი პ-6 გოგოლაშვილს 240  
ცეკანასენელი სიტყვა 71  
ცეკანასენელი იონების გამო 194  
ცეკანონ წინააღმდეგობა 114  
ცეზარების გულევაობა 242  
ცერძიარო ნაბიჯი 70, 71  
ცერელების აშაკობა 60

ცესმართლო ბრალდება... 202  
ცესარებილი გამოირება 82 იანვარის  
ცესაუკედლო მაღლობა 243  
ცესაუკედლო საყვედებული 159  
ცესაუკედლო შიში 228  
ცესაჭიროესი შეამღვიმებობა 226  
ცენაური ბრალდება 237  
ცენაური გაწიწმატება 236  
ცენაური თავის გამართლება 141  
ცენაური რეცენზია 271  
ცენაური სტატიასტიკა 259  
ცენაური შეინშვნა 272  
ცენაური წინააღმდეგობა 245  
ცენაური ჯაღის წრე 111  
ცემლიერების სიყვარული მოვალეობა 129  
ცემლური ბოროტება 163  
ცემლური სიპრაზის ნაყოფი 82

### ც

ცაფხურასთან გამოხმაურება ივანიესი და  
გოგასპირისა 135  
ცრალ შეკრებელი შეაგალით 262  
ცრალ საყურადღებო შეამდგომლობა 240  
ცრალ შესანიშნავი კრება 79

### ჭ

ჭამის საიდუმლოებაზი 216  
ჭართველი მეუკ კლების ქოხში სტუმარ  
200  
ჭართველთა სწავლა-განათლების ნიჭი 185  
ჭართველთა ერის მოდგმის გამჯობესება  
202

ჭართველთა კათალიკოსი და მონძოლთა  
მარქანებელი 174  
ჭართველი ერის დაქუცმაცება 198, 217  
ჭართული აზრის გამართლება 127  
ჭართული იუატრის გაჭირება 216  
ჭართული მიმართულება 189  
ჭართული პარველ დაწყებითი სახელმიწვა-  
ნელო 108  
ჭართული შრიუტის შესახებ 161  
ჭართული წერის დედანი შედგენილი პ. გა-  
ბიჩევამისაგან 79



ქართული სიმღერის ხოროს შესახებ 235  
ქართული ხელნაწერის ნიმუშების შესახებ  
70  
ქუთაისის სასკოლო კომისიის საყურადღე-  
ბოდ 221

## ლ

ლეზური ივერიის მონასტრისა და ორნაცი-  
ერისთავებისა 185  
ლეონისიერი აზრი 147  
ლია წერილი ბ-ნ ინ-ფარისაზე 142  
ლიანეული სახსოვარი 145

## ჲ

უვავილის უებარი წამალი 135  
უვაჩალია მეობავი 120  
უოელად ლიანეული სტანდა 184

## ჵ

შედეგი მიწეზად გადაქცეული 147  
შეესება ერთის ამბისა 143  
შემცდარი აზრი 208  
შენიშვნა 227  
შენიშვნა ერთგვრს სიხარუბზე 230  
შენიშვნა „მოაშე“-ზედ 146  
შენიშვნა სახალხო პოეზიის შესახებ 232  
შენიშვნები შენიშვნებზე 195  
შინაური მიმოხილვა 64  
შინაური მიმოხილვა 1882 წ. 64  
შინაური მიმოხილვის შესახებ 65  
შერისძიება ისტორიისა 232

## ჩ

ჩევინი მოვალეობა იბლების წინაშე 229  
ჩევინი სისესტე 90  
ჩევინი თავადაშინაურობის განათლების შე-  
სახებ 163  
ჩიტი და ეანო 122  
19 ა. გორგაძე, ნ. გურგენიძე, მ საჭავა

ცოტა შეტო სინათლე 221  
ცოტა რამ შინაური 131  
ცოტალი ტურალი 209

## ძ

ძვირფასი სალაში, ძვირფასი მოსაწო და  
შამულიშვილი ეკაე 289  
ძირითადი უკუღმართობა ი. რანი ვიყავით  
გემინ

## წ

წადილი ქართული ენის პროერამის შევაწ-  
რობისა 229  
წადილი უსაუძევლო ცელილებისა 125  
წერილი თავად დადანის აზრის თარგმნის  
შესახებ 72  
წერილი რედაქტორთან 84  
წერილი რედაქტორისადმი 179  
წერილი რედაქტიის მიმართ 103  
წიგნის დატვევება 219  
წიგნების გამოცემა შეერთებულის ძალით  
142  
წინააღმდეგობა თუ გაუგებრობა? 127  
წინააუგებელები გაწიწისტება 239  
წესიერტის ნიმუში 71  
წმინდა გუნდი ცამეტი კაპიტანულობა მა-  
მათა 186  
წმინდა ქვევანა ... 185  
წრეს გადასული სიხარბე 154

## ხ

ხალხის განათლება წინანდელს საქართვე-  
ლოში 142  
ხალხის განათლების შესახებ 143  
ხე ნაყოფით იცნობების 56  
ხრისების ხეხულა ბ-ნი გ. წერეთლისა 155  
ხ

„ჯეჯილის“ ადეოკატისა 158

**А**

Абастуман 36

**Б**

Боржомские воды 140

Бесправие грузинского языка и самих грузин в учебной области на Кавказе 220

**В**

Взгляды Ильи Чавчавадзе на отношения сословий 233

**Г**

Гаврил епископ Имеретин как педагог 146

**Д**

Два слова 154

Дело не так плохо 243

**И**

Из Тбилиси 84

**К**

Карталиния 48

К вопросу о мингрельской начальной

школе 207

К вопросу о поднятии уровня образования ... 167

К вопросу о судьбах грузинской церкви 90

К проекту о бессловесных учителях 44, 45

Кавказские турки 140

Как улучшить народную школу в Грузии 192, 198

Как улучшить Кавказскую народную школу 206, 210  
Как учить русскому языку 143  
Карталиния 48  
Курс начальной школы 125

**М**

Маленькая заметка 165

Маленькая поправка 165

Маленько разъяснение по поводу собрания с.-х. об-ва 237

Методическое руководство... 104, 268

**Н**

Наша неисправимость 223

Нормальное письмо 125, 129

**О**

О грузинском и русском алфавитах ... 201

О мингрельской школе ... 210

О моей деятельности в качестве смотрителя Тифлисского духовного училища 53

Об одной из злоб дня см. Как улучшить Кавказскую народную школу

Образчик добросовестности протонеря Восторгова 232

Ответ г. Николадзе 53

Относительно Абхазии 234

Очерк сравнительной грамматики ... 165

**П**

Письмо в редакцию 204

По поводу последнего собрания членов об-ва с.-х. 237

Последний ответ г. Николадзе 53

Правда о Тифлисе 157, 159, 164, 203



## Р

- Разбор учебных руководств по русскому языку 149  
«Родное слово» Ушинского в Кавказских школах 125  
Руководство для учителей ... 104  
Русское слово. Часть I, 96, 107, 110—113, 116, 126, 142, 167, 173, 205, 215, 217, 225, 237  
Русское слово. Часть II, 112, 126, 150, 168, 173, 205, 268

## С

- Скрытый смысл 243  
Сумасшедший доктор 256

## Т

- Тифлис, 11 февраля 46  
Тифлис, 12 февраля 46  
Тифлис, 14 февраля 46  
Тифлис, 20 марта 46  
Тифлис, 21 марта 46  
Тифлис, 20 апреля 50  
Тифлис, 23 июля 48  
Тифлис, 26 сентября 48  
Тифлис, 5 ноября 48

## У

- Усердие не по разуму 239  
Успех прямого письма в русских школах 232

## Ш

- Школьное дело у грузин 178, 182

## პირთა სამიეროდი

ა

- აბაშიძე ქ. 263
- ავალიშვილი გ. 166
- აკოშვილი გ. 102, 103
- ალბანელი დ. 159, 161
- ანტონიოსეაბა ქ. 243
- არჩევანიძე 121
- აუგუსტაური რ. 179
- ახალშენიშვილი ივ. 164
- ახნაზაროვი ა. 86

ბ

- ბალელიძე ნ. 57
- ბალანჩიკაძე გ. 101
- ბალტაშარი 142, 143
- ბარათაშვილი ქ. 234
- ბარათაშვილი ნ. 72, 130
- ბარიელაშვილი ი. 199
- ბაქრაძე დ. 84
- ბაქრაძე დიმ. 60, 108
- ბახტაძე ქ. 199
- ბებუონივა გ. 49
- ბეთანიშვილი გ. 20
- ბენიამინ ეპისკოპოსი 215
- ბერენეიშვილი გ. 154
- ბოლეველი იხ. შევდლიძე იო.
- ბოცვაძე ლ. 130, 135, 143, 165, 168, 174, 191, 194, 229, 233, 236, 253, 255, 264, 268, 269, 271, 272
- ბურგულაძე გ. 148, 273
- ბურჯანაძე ქ. 238

გ

- გ. ბ. იხ. ბურგულაძე გ.
- გაბაშვილი გ. 198

- გაბაშვილი ე. 170, 174, 217
- გაბიჩევაძე ვ. 79, 80, 90, 100
- გაბრიელ ეპისკოპოსი 30, 111, 146, 252
- გაბურია ს. 205
- გაბალმიელი იხ. ჯულელი ანთ.
- გამრეცელოვანი გ. 24
- გევარა 126
- გევაზეა ი. 243
- გევარამაძე-მესხი ქ. 159—161
- გიგაური ნ. 203
- გო-ძე ი. 139
- გოგებაშვილი ალ. 5
- გოგებაშვილი ან. 6
- გოგებაშვილი დ. 6
- გოგებაშვილი ვუ. 6
- გოგებაშვილი ზ. 6
- გოგებაშვილი ივ. 6
- გოგებაშვილი შავდანა 5, 24, 170
- გოგებაშვილი გ. 6
- გოგებაშვილი სემონ 5, 18, 170
- გოგებაშვილი შ. 274, 275
- გოგიარიშვილი უ. 260, 273, 275
- გოგოლაძე ქ. 240
- გოგოლაშვილი ი. 239, 241
- გოგოუ ი-ვ 136
- გოთუა ა. 194, 195, 198
- გომელაური ი. 274
- გორგაძე ალ. 269
- გოროდენსკი 105
- გოშაძე ს. 230
- გოცირიძე ი. 102, 103
- გრენი ა. 98, 101
- გრიეროვანი ზ. 69, 96, 104
- გრიშაშვილი ი. 260
- გრუშევსკი 174, 175
- გუნია ვ. 273, 275
- გურამიშვილი დ. 130



გურიელი გ. 72, 157—159  
გურიელი კ. 157—159

## ლ

ლ-რი 156  
ლალანი დავ. 72  
ლელაბრიშვილი გ. 273, 275  
ლექანოზოვი ლ. 263, 264  
ლისამიძე ა. 220  
ლისამიძე გ. 275  
ლოდაშვილი კ. 133, 135  
ლოდე ა. 74  
ლუმაძე ლ. 255, 262—264, 273, 275

## მ

მდილაშვილი გ. 157  
მდილაშვილი ზ. 170  
მესევი ეგზარქოსი 30  
მეგიძართვი 130  
მერყელე მეორე 120  
მრისთავი ზ. 154, 207  
მრისთავი ჩ. 54, 58, 72, 130, 140, 143,  
186

## ნ

ნ-ნო თ-მელი 123  
ნაგნერი ფ. 38  
ნაფა-უშაველა 130, 172  
ნაწიაძე ა. 251, 252  
ნელენსკი 48  
ნელიჩი ვ. 157, 214  
ნერმიცანაშვილი ლ. ახ. წულაძე ლ.  
ნინე დამსწრე 52  
ნიქტორ არქიმანდრიტი 10  
ნოლპერი 149  
ნოსტორგოვი 185, 191

## ჲ

ჲავადსკი გ. 112  
ჲარაუიშვილი სტ. 36, 37, 43  
ჲელგინძე ა. 264

ზინიენჯო 27—29

ზოილ-ზიგნიგი იხ. კიუელი და სამართლის  
ზოდა კ. 177  
ზუბალაშვილი ალ. 137  
ზუბალაშვილი კ. 200, 217  
ზუვე 20, 21

## თ

თ. ს. იხ. სახოვა თ.  
თავართოქიძე კ. 141, 164  
თარხნიშვილი ივ. 177, 238  
თავაიშვილი კ. 137, 157, 181, 188, 269,  
275  
თბილისელი მასწავლებელი 139  
თინიაშვილი გ. 16, 89  
თომაშვილი ლ. 255  
თორელი იხ. გამრეკელოვა გ.  
თუღაშვილი ვ. 40, 188, 211  
თუმანიშვილი ლ. 72  
თუმანიშვილი ვ. 82, 274  
თუმანიშვილი-წერეთელი ახ. 104, 106,  
118, 256, 273, 274  
თუმანოვი 102

## ი

იანოვსკი კ. 62, 63, 98, 101, 110—112,  
249  
იმედაშვილი ა. 276  
ინ-ანი იხ. ახალმენიშვილი ივ.  
ინ-უარი იხ. უერაძე ა.  
იოანიე ეგზარქოსი 50  
ინგოროვა პ. 54  
იოვიძე ა. 5, 8, 10, 12, 14, 15, 18, 20,  
23, 25, 28, 32 46, 49, 62, 89—91,  
97, 101—104, 111, 116  
იორგამაშვილი ვ. 103  
იოსელიანი გ. 25, 30, 32, 42—44, 54,  
84, 114, 118, 136, 172, 194, 250  
იოსელიანი პლ. 54, 61, 146  
ისარლოვი ლ. 85

კ-ტე იხ. კვაჭაძე 8.  
 კალანდარიშვილი გ. 19, 38, 53, 55, 69  
 კალანდარიშვილი 6. 169  
 კაპანძე ი. 75, 77  
 კარაპეტიანი ღ. 231  
 კარგარეთველი ი. 238  
 კარიჭაშვილი ღ. 136, 181  
 კასრაძე ღ. 5, 6, 11, 12  
 კასრაძე ქ. 262  
 კაზელი ღ. 67, 80, 83, 84  
 კაჭაძე ს. 154  
 კერსევი 29, 30, 52, 53  
 კვაჭაძე მ. 244  
 კორძაძე ვ. 155  
 კორჩანიძე პ. 209, 212, 213, 221, 262—  
     264  
 კრიმ-გირვა 206  
 კრუპენიოვა ი. 98, 101, 104, 105, 111,  
     112, 115, 116  
 კურაგალაშვილი გ. 40, 45  
 კურდელაშვილი ხ. 144

ღ.-ის. ბოცვაძე ღ.  
 ღამელი 50, 73  
 ღასიტი ი. 77, 106  
 ღამანისი 147  
 ღასხიშვილი გ. 154, 194  
 ღვიარი უ. 114, 116, 149, 151, 164,  
     176, 204  
 ღიანიშვილი ა. 18  
 ღორგეა ღ. 209  
 ღომოური ხ. 13, 16, 30, 31, 33, 109,  
     114, 193, 203, 239, 273, 275  
 ღორთქებულიძე ქ. 34, 35, 42, 58, 91,  
     106

გ-შეიძლი 164  
 გ-ტე მ. 117

გაეგარიძე 80  
 გამალაშვილი ი. 25, 34  
 გამალაშვილი ქ. 89  
 განსეყტაშვილი ი. 97, 116, 275  
 გარა 6. 226  
 გარევიში (კერი) 275, 276  
 გარჯანძე ეფ. 44, 49  
 გასწავლებელი 164, 265  
 გადაღაშვილი გ. 275  
 გადაროველი გლეხი 71, 72  
 გაჩაბელი ა. 248, 257—260, 262, 270  
 გაჩაბელი ვას. 93  
 გაჩაბელი ვანე 54, 55, 63, 88, 115, 258  
 გაჩაბელი მის. 242  
 გაჩანელი ღ. იხ. ნადარიძე ღ.  
 გაჭავარიანი მის. 45, 52  
 გახარაძე ფ. 215  
 გვალობლიშვილი ს. 80, 91, 257, 273, 275  
 გლივანივა ს. 47  
 გვერდი ღურუ 135, 156, 158, 186, 237  
 გველი იხ. მიქელაძე ღ.  
 გველიშვილი პ. 82, 230  
 გველიშვილი სტ. 20  
 გესხი ე. 103  
 გესხი ვ. 168  
 გესხი ს. 36—39  
 გეგუნარევა ი. 54, 55, 58, 157—159, 188,  
     240  
 გთავრიშვილი თ. 238, 266  
 გოვარელიშვილი ხ. 129  
 გირიანაშვილი ალ. 66, 70—72  
 გირიანაშვილი პ. 185  
 გიქაბერიძე ა. 181, 182, 195, 208  
 გიქაძე მ. 255  
 გიქელაძე ღ. 124  
 გურინალი ხ. 149  
 გოეოთე 164  
 გორევილი ვ. 97, 98  
 გურიე 183  
 გუსხელიშვილი ა. 36  
 გუსხელიშვილი ვ. 220  
 გუხანელი ს. 133  
 გვედლიძე იმ. 64, 66

ნ. კ. 168  
 ნაღირაძე ან. 170  
 ნაღირაძე დ. 109  
 ნაგაშარლანცი ვ. 118  
 ნათაძე ალ. 47, 152, 157, 158, 160, 161,  
 164, 165, 167  
 ნათაძე გ. 194, 226  
 ნათაძე გ. 67, 69, 85, 93  
 ნაკაშიძე ა. 273  
 ნაკაშიძე გ. 257  
 ნაწილშვილი ალ. 131  
 ნასიძე გ. 87, 88, 166  
 ნაცვლიშვილი ჩ. 103  
 ნიკოლაძე ა. 275  
 ნიკოლოვი გ. 23, 31, 52—54, 168  
 ნიკონოვი დ. 238  
 ნინოშვილი ვ. 126, 127, 129, 131, 134,  
 212

## მ

ოდიშარია ან. 238  
 ოდიშარია კ. 169  
 ოდოვცი ა. 215  
 ორბეგლანი ვრ. 54, 72, 130  
 ორბეგლანი ვ. 72  
 ოსტროვორსკი 115  
 ოქრომშედდლიშვილი ა. 74  
 ოცხელი ა. 266

## ვ

პავლოვი 19, 22  
 პაპასქირი ა. 167  
 პედაგოგი 264—267  
 პეტრიაშვილი ვ. 82, 145, 162, 184, 186,  
 236  
 პიროვნები 12, 13  
 პობედონოსიევი კ. 152  
 პოზნენევი ა. 10

ეორდანია თ. 272, 273  
 ელეტი 102

## რ

რაზიეაშვილი თ. 166  
 რამიშვილი ს. 133  
 რატიანი (სტუდ.) 243  
 რისხვა 264  
 როსტომიშვილი ივ. 51, 138, 139, 141,  
 154, 156, 208, 209  
 რუსთაველი გ. 106, 124, 125, 130  
 რცხილაძე ვ. 247

## ს

ს-ძე პ-ძე იბ. სურგულაძე პ.  
 საგორგოვი დ. 187, 189  
 სანდი კორქ 73  
 სარაჯიშვილი ალ. 54, 172  
 სარაჯიშვილი დ. 262  
 საფაროვა-აბაშიძე გ. 269, 270  
 სახოვა თ. 150, 219  
 სეც-ლი იბ. ჯუღალი ს.  
 სიმინოვი (პედაგ.) 34  
 სიმოლშეჩიური (პედაგ.) 10  
 სოსლანი დ. იბ. კუზელი დ.  
 სპენსერი პ. 210  
 სტალინსკი (პრო.) 103  
 სტაროსელსკი დ. 62, 63  
 სუერინი ალ. 144  
 სულხანოვი ა. 10  
 სუმბათაშვილი ალ. 89  
 სურგულაძე პ. 163, 222

## თ

ტალაევაძე (დეკანზი) 268  
 ტატიშვილი გ. 46  
 ტოლსტიო დიმ. 28  
 ტოლსტიო დ. 74  
 ტერიაშვილი თ. 32, 52, 53  
 ტურიევი იბ. ტერიაშვილი თ.

უშიგაშეიღლი პ. 54, 88, 172, 188, 204

უორდონი პ. 149

ურუმაგოვა ბ. 179

უსპენსია 151

უშინესია კ. 12, 13, 54, 73, 123, 149, 164

უავდერიშვილი რ. 128

უალიაშვილი პ. 191, 192, 197, 263, 264

უალიაშვილი ჟ. 235

უანცხავა ი. 223

უანცხავა ფსტ. 128

უანჯილე პ. 166

უერაძე ი. 169, 171

უილარეტ არქიმანდრიტი 14, 15

უირცხალავა პ. 166

უირცხალავა ს. 211

ულავანე ეპისკოპოსი 171

უოცხერიშვილი კ. 241, 242

ურონელი-ყიფშიძე ა.ლ. თ. ყიფშიძე ა.ლ.

უურცხალაძე ა. 136, 243

ქართველიშვილი ნ. 258

ქარ-ცეცხლი 165

ქერა 263—265

ქვარანი ს. 212

ქიქოძე გ. 9

ქიქოძე ტ. 275, 276

ქუთათელაძე ა.რ. 166

ქუთათური ბორა 70

ქუჩიშვილი გ. 276

ლ-შეიღლი იხ. ლონიაშეიღლი დ.

ლამბაშიძე დ. 58

ლამბაშიძე ვ. 220

ლეონიაშეიღლი დ. 41

ლონდაძე ს. 160

ლოლობერძე ს. 35, 172, 268, 269

ლულაძე ა.ნ. 69, 78, 80, 81, 83, 84, 99

275

ყაზბეგი გ. 242

ყვავე იხ. ჩიტაძე ვ.

ყიფანი დიმ. 40, 41, 54, 55, 68, 211

ყიფანი ე. 45

ყიფანი ვ. 84

ყიფანი მიხ. 73, 100

ყიფანი ს. 266

ყიფშიძე ა.ლ. 120, 205

ყიფშიძე გრ. 170, 172

ყუმისოველი იხ. შიქაძერიძე ა.ლ.

შეგრძნო ტ. 257, 258

შეგველია ს. 126

შესსარი უ. 257, 258

ჩიტაძე ვ. 228, 229

ჩებინაშეიღლი დ. 54, 64

ჩეღეცია 84

ჩენოვესკი (ქემი) 275, 276

ჩხეიძე კ. 249, 256

ჩხატუნიძე თ. 137

ცაგარელი ა.ლ. 57, 58, 85, 230, 253

ცისეარიშვილი 42

ცხვედაძე კ. 32

ცხვედაძე ს. 25, 30, 33, 40, 41, 54, 55,

77, 93, 119, 137, 172, 188, 211

ცხვედაძე ს. 31

- წერეთელი ა. 72, 77, 115, 130, 132, 135,  
 142, 143, 147, 148, 209, 214, 216,  
 223, 239—242, 251  
 წერეთელი ა. ახ. თემაზიშვილი-წერეთე-  
 ლი ა. ა. 107  
 წერეთელი გ. 133—136, 153, 155, 156,  
 158, 159, 162, 165  
 წინამდლობრიშვილი ა. 62, 63  
 წელაძე ლ. 110, 114  
  
**გ**  
 ჭავჭავაძე ა. 47, 54, 55, 59, 65, 72, 77,  
 78, 88—91, 105, 106, 126, 130,  
 137, 143, 148, 156, 168, 172,  
 177, 188, 205, 210, 214, 230,  
 240, 241, 246, 247  
 ჭავჭავაძე ს. 146  
 ჭავჭავაძე თ. 174, 240, 247  
 ჭალაძიშვილი გ. 226, 229  
 ჭარალა პ. 133  
 ჭიჭიანიძე ა. 72, 87, 89, 113, 220, 222,  
 223, 230, 249, 276  
 ჭიჭიანიძე ს. 24  
 ჭორი 66  
 ჭორქაძე დ. 9  
 ჭრელაშვილი სტ. 66  
 ჭყონია ა. 88, 181  
  
**ბ**  
 ხაჩიტურია ხ. 243  
 ხანანაშვილი ა. 195, 197, 199, 203,  
 218, 230  
  
 ხევისუბნელი ქ. 252  
 ხელაძე კ. 166  
 ხმალაძე ლ. 238  
 ხერდაძე სილ. 108, 132, 135, 218—220,  
 226, 229—231, 265—267.  
 ხესეივაძე თ. 107
- x
- ხავახელი 250, 252  
 ხავახიშვილი ი. 211, 214, 226  
 ხანაშვილი ლიმ. 54  
 ხანშვილი გ. 166, 212  
 ხანაშვილი ს. 272  
 ხაფურიძე კ. 264  
 ხაჯანაშვილი ს. 104  
 ხორქაძე ა. 65  
 ხულელი ანთ. 59, 60, 172  
 ხედელი ს. 147
- 3
- ჟამუდ-ბერ ახ. ჯანაშვილი ს. 6.  
 ჟემოლტი 13  
 Веденский 48, 49  
 Каландаришивили Г. 86, 89  
 Кирион епископ 180  
 Левитский Ф. 115  
 Либерман 140  
 Павлов 19  
 Соболщиков 10  
 Татищев 113  
 Чарквиани Г. 106  
 Чернявский А. 149  
 Gr 227  
 XX ახ. ბოცვაძე ლ.

## გ ი ნ ა რ ს ი

ტ ი ნ ა რ ს ი	3
ბომბიდლიოგრაფიული ქრონიკა	5
ს ა ძ ი ე ბ ლ ე ბ ი	279
იაკობ გოგებაშვილის უსეველონიმები და კრისტონიმები	281
იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოებისა და თხზულებათა გამოცემები	281
იაკობ გოგებაშვილის ნაწარმოებთა საძიებელი	284
პიროვა საძიებელი	292

სამომისი რედაქტორი  
მიმღებად დაგენერირდა  
Python კოდის საშუალებით

გამომიცემლობის რედაქტორი მ. ჯანელაძე  
 ტექნიკური რედაქტორი ფ. პუდალაშვილი  
 კორექტორი ქ. გაჩიჩილაძე  
 ხელმოწერილია დასაბეჭდად 23.06.03  
 პირობითი ნაბეჭდი თაბაზი 18, 75  
 სააღრ.საგამომც. თაბაზი 14, 97  
 ტირაჟი 300 შეკვეთის № 8

ფასი სახელშეკრულები

თბილისის უნივერსიტეტის გამომიცემლობა,  
 თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ., 14.  
 თბილისის უნივერსიტეტის სტამბა  
 თბილისი, 0128, ი. ჭავჭავაძის გამზ., 1.

014/774



Горгадзе Илья Теофанович  
Гургенидзе Нодар Антонович  
Саджая Михаил Мососиевич

ЯКОВ ГОГЕБАШВИЛИ

Летопись жизни и творчества  
1840—1912  
Биобиографическая хроника  
(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 2003

K 256.042  
3055200  
600000000000000

36053-3